სტენ გარსტოუ

# ესეც ხომ სიყვარულია...

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1978

И (Англ)
82 — 31
ბ 277

Stan Barstow
**A Kind of Loving**
Penguin Books
London, 1969

თანამედროვე ინგლისელი მწერალი სტენ ბარსტოუ სამწერლო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოვიდა. მისი პირველი წიგნი, რაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, იყო რომანი „ესეც ხომ სიყვარულია...", სადაც ასახულია ახალგაზრდა კაცის ვიკ ბრაუნის ყოველდღიური ცხოვრება. იგი ვრძნობს გაურკვეველ დაუკმაყოფილებლობას, მოწყენილობასა და მარტოობას და ეძებს რომანტიკულ სიყვარულს.

ინგლისურიდან თარგმნა
ლიანა გაბეჩავამ

Б $\frac{70304 - 080}{М\ 601\ (08) - 78}$ 229 — 78.

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო", 1978

# ნაწილი პირველი

## თავი პირველი

### I

ყველაფერი შობის დღესასწაულიდან დაიწყო, სწორედ იმ დღიდან, ქრისმა რომ ჯვარი დაიწერა. მეც იმ დღეს გადავწყვიტე მემოქმედა და აღარ მეცქირა ინგრიდ როთუელისათვის ასე პირდაღებულს პირუტყვივით. მშვენივრად მახსოვს, შობამდე თითქმის მთელი თვე ასე მივჩერებოდი ინგრიდს. საერთოდ კი რითი დაიწყო ყოველივე, აღარ მახსოვს. განა ვინმეს შეუძლია ახსნას, რატომ არის, რომ ვიღაც გოგო, რომელსაც აქამდე ვერც კი ამჩნევდი, ერთ მშვენიერ დღეს შენთვის რაღაც განსაკუთრებული ხდება. ყოველ შემთხვევაში შენ ასე გეჩვენება. ჰოდა, მეც ასე დამემართა. მთელი ერთი თვე, და იქნებ თვენახევარიც, სიყვარულისაგან ვდნებოდი, იმ ზომამდე მივედი, ვგრძნობდი, დროა, რამე ვიღონო-მეთქი.

ამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, რაც ქრისმა და დევიდმა თავიანთი სიყვარული გაამხილეს და ბეჭდებიც იყიდეს, ჩვენს სახლში ქორწილის გარდა აღარაფერზე ლაპარაკობდნენ. ვფიქრობდი, ამდენი მითქმა-მოთქმისა და მსჯელობის შემდეგ რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო. მაგრამ მაშინ ასეთი საქმეებისა არაფერი გამეგებოდა. მანამდე ქორწილებში არასოდეს მივლია და, უნდა გითხრათ, სწორედ რომ დიდი სადავიდარაბო საქმე ყოფილა.

ჯერ ერთი ხუთასი კაცი მაინც ათევს ჩვენთან ღამეს ქორწილის წინ, დილით კი ეს ამოდენა ხალხი წამოიშლება და იწყება ერთი ალიაქოთი. ოთახები მსახიობთა საპირფარეშოებს ემსგავსება, აი ისეთს, ხანდახან მუსიკალურ ფილმებში რომ უჩვენებენ ხოლმე, არ უნდა გაგიკვირდეს, უცებ ვინმე ახალგაზრდა ყმაწვილი რომ გამოჩნდეს, კარზე დაგიკაკუნოს და გაგაფრთხილოს, თქვენს გამოსვლამდე ხუთი წუთი დარჩაო,

სწორედ ისე. თეატრებში რომ იციან. ჩემს ცხოვრებაში ამდენი უცხო სახე არასოდეს მინახავს. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ თურმე ყველანი ჩვენი ნათესავები ყოფილან, ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს: ნეტავი გამაგებინა. ჩვენმა ბებერმა დედიკომ საიდან გამოჩხრიკა ამოდენა ხალხი. არა მგონია, თვითონ კი იცნობდეს ყველას. უეჭველია, ეგონა. ეს ჩვენი სახლი ყველას დაიტევდა. ჩვენმა ბებერმა მამიკომ წუხელ თქვა. რომ მცოდნოდა კიბეებზე ამდენი ხალხი დაიძინებდა და ჩემს ლოგინამდე გზას ვერ გავიკვლევდი, სახლის წინ, გაზონზე, კარავს გავშლიდიო.

არა. ისე კი ბედი ჰქონია, რომ საწოლამდე მიუღწევია. მე სასტუმრო ოთახში დივანზე მეძინა, დილით კი მთელი ოთხი-ხუთი საათი აქეთ-იქით დავყანყალებდი, რომ როგორმე საბაზანოში შემეღწია. ბოლოს. როგორც იქნა. შევძვერი საბაზანოში, უკვე კარგა მაგრა აღრენილი ამ ხალხზე, ჩვენ სახლში რომ ირეოდნენ და ბლომად სხვებზეც, ქალაქის სხვადასხვა ბოლოში რომ ცხოვრობდნენ და ელოდნენ, როდის ეახლებოდნენ და წააბრძანებდნენ ეკლესიაში. ჰოდა, ასეთი გაცხარებული რომ ვიყავი, კარების ჩარაზვა დამავიწყდა. აი, მაშინ უნდა გენახათ ჩემი გაბრაზება, კარები რომ უცებ ყურთამდე გაიღო და დოროთიმ და ანჯელამ შარვალჩახდილი დამინახეს. ამაზე ისე გულიანად ახითხითდნენ. ვიფიქრე, კიბეზე ხომ არ დავგორებულიყავი, რომ უფრო გულიანად ეცინათ-მეთქი. ეგ დოროთი და ანჯელა, დეიდა აგნესას — დედაჩემის ერთ-ერთი დის ტყუპები, გოგოები კი არა, ქაჯები არიან. მ'შვენივრად ვიცი, ჩვენი ბებერი დედიკო ამ გოგოებს ვერ იტანს და ქრისმაც მხოლოდ იმიტომ მოიწვია მდადეებად, რომ დეიდა აგნესას არ სწყენოდა, დეიდა აგნესა კი ისეთი ჭირვეული ქალია, მთელი სიცოცხლე იმას იძიებს, ვინ რა აწყენინა. ქრისს მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, კიბის ბაქანზე რომ გაირბინა, ცოტა რომ გამემხნევებინა, გავეხუმრე: ყველაფერი რომ ჩამთავრდება, უთუოდ კმაყოფილი დარჩები. შენ და დეიდი მატარებელში ჩაჯდებით და ჩვენი დედაქალაქისაკენ გაქროლდებით-მეთქი. ქრისმა პასუხად მხოლოდ ოდნავ გამიღიმა. ამ ალიაქოთმა ჩვენ ბებერ მამიკოზეც იმოქმედა. ის იყო დაბლა ჩასვლას ვაპირებდი, რომ საწოლი ოთახიდან დამიძახა. შევდივარ და რას ვხედავ: დამდგარა სარკის წინ მაისურსა და შარვალში გამოწყობილი.

— ეი, ვიკ! — მეუბნება. — ერთი მითხარი, ეს ახალი შარვალი როგორ მოგწონს?

ვჯდები საწოლის ნაპირზე და შარვალს გულმოდგინედ ვათვალიერებ.

— ძალიან კარგია, მამი. მშვენივრად გადგას. ისე, პიჯაკს თუ ჩაიცვამ, უკეთესს იზამ.

— ამ წუთში გადავიცვამ.

იცვამს პიჯაკს და კიდევ ერთხელ იხედება სარკეში. მხრებს ისე ათამაშებს, გეგონება თერძს პიჯაკში ქინძისთავები ჩარჩენიაო.

— ცოტა განიერი მეჩვენება.

—ახლა ასეთი მოდაა, მამი. პერანგს და ჟილეტს რომ ჩაიცვამ. უფრო კარგად მოგერგება, მე კი მანამდე ვერ მოგიცდი, — ვეუბნები. რადგან ვხედავ, რომ აქეთ-იქით იყურება და პერანგსა და ჟილეტს ეძებს. ჩვენი ბებერი მამიკო მაღალი, გამხდარი კაცია. კოსტუმიც მშვენივრად ადგას, თუკი წყნარადა დგას; კოსტუმი ლურჯია, ძალიან მუქი ლურჯი და ბაცი ნაცრისფერი ზოლები დასდევს.

— მშვენივრად შეუკერია, — ვეუბნები და ხელით ნაჭერს ვსინჯავ. — ესეც კარგი რამეა.

— მაშ როგორ, — ხანდახან რომ იცის, ისეთი მედიდური სახით ამბობს მამაჩემი. — ნაჭრის ყიდვაში არ მოვტყუვდები, ერთი შეხედვით ვცნობ. — უცებ ჩუმდება. ამ დილით როგორღაც გუნებაზე ვერ არის. — კარგი შეკერილია? რაღაც არ მომწონს. უხერხულად ვგრძნობ შიგ თავს.

— რას ამბობ, მთელ კრესლიში მაგას თერძი არ ჯობია. ასე რომ არ ყოფილიყო, არც გირჩევდი. აბა ერთი ჩემ კოსტუმს შეხედე, რა აქვს ცუდი?

სარკეში მაცქერდება და არაფერს ამბობს.

— ისე კარგა ძვირად კი კერავს. ჭირის ოფლმა დამასხა, ფასი რომ მითხრა. ათ-თერთმეტ გირვანქაზე მეტი კოსტუმში არასოდეს მიმიცია.

— შეკერვის ფასი მალე მიგავიწყდება, ეგ კოსტუმი კი დიდხანს გასიამოვნებს. ხვალინდელ დღეზეც უნდა იფიქრო.

ეს მუსაიფი, ცოტა არ იყოს, მომბეზრდა. გაუთავებლად სულ ერთსა და იგივეს მეუბნება.

— რა ვიცი, იქნებ ეგრეც არის. — ამბობს მამაჩემი და პიჯაკს ისევ იხდის — ისე კი, მგონი ჯობდა, ისევ ლივერსიჯის უნივერმაღში წავსულიყავი...

— და მზა კოსტუმი გეყიდა, არა? იქ ნაჭერს მაკრატლით კი არ ჭრიან, ნაჯახით ჩეხავენ.

მამაჩემთან კამათს აზრი არა აქვს. ჯობია, როგორც თვითონ ეამება, ისე მოიქცეს. გეგონება კვირაში წინანდელივით სამ გირვანქასა და ათ

შილინგს იღებდეს, და ამიტომ კოსტუმშიაც 50 შილინგზე მეტი არ უნდა გადაიხადოს.

— ახლა კი უნდა წავიდე, — ვეუბნები. წასასვლელად ვემზადები. უცბად სკამის ქვეშ ყავისფერ ფეხსაცმელებს ვხედავ. — რაო, დღეს ამ ფეხსაცმელების ჩაცმას ხომ არ აპირებ?

— რა? რის ჩაცმას?

— შენი ყავისფერი ფეხსაცმელების?

— რატომაც არა. ეგენი ხომ საგარეოა.

— ყური მიგდე. — ვეუბნები და თავს ძლივს ვიკავებ. — ლურჯ კოსტუმზე ყავისფერ ფეხსაცმელებს არ იცვამენ. ხომ გაიგონე, რა თქვა სტენლი ჰოლოუეიმ?

—ეგ ხომ დასაფლავებაზე იყო.

— ქორწილსაც ეხება. გინდა, რომ ქრისი სირცხვილისაგან დაიწვას? მთელი ქვეყანა შენ დაგიწყებს ცქერას, შენ ხომ წინ იდგები?

— ქრისტინას გვერდით მე ვიღა შემამჩნევს?

— ეგრე გგონია, ზოგიერთი ჩვენი სტუმარი მხოლოდ იმისთვისაა მოსული რამე საკირკიტო ნახოს, თუმცა, ნახევარზე მეტს არაფერი გაეგება.

— უჰ. ღმერთმა დასწყევლოს! — უცებ ამბობს გაბრაზებული. — როდის მოელება ბოლო ამ ალიაქოთს? რაც არ უნდა გავაკეთო, არაფერი მოსწონთ.

— შენც ისე გააკეთე, როგორც გეუბნებიან.

— მაშ ახალ კოსტუმზე ძველ ფეხსაცმელებს ხომ არ ჩავიცვამ?

— ვერც ყავისფერს ჩაიცვამ. წავალ და დედას ვკითხავ, ვნახოთ ერთი რას იტყვის.

ახლა კი ჩვენმა ბებერმა მამიკომ თითი უნდა მოკაკვოს, მეტი გზა არ არის.

— კარგი, ჰო. ერთ წუთს დაიცა, დედაშენი რაღად გვინდა, ისედაც თავგზა მაქვს აბნეული.

სწორედ ამ დროს ჩვენი ბებერი დედიკო ქვემოდან მეძახის.

— ვიქტორ, ვიქტორ, სადა ხარ. ტაქსი გელოდება! ჩქარა, თორემ ყველას დაგვაგვიანებ.

— აბა. ხომ ხედავ, ახლავე აქ გაჩნდება, დროზე თუ არ ჩავედი. — ვეუბნები და ისევ კარებისაკენ მივდივარ. — მხოლოდ გახსოვდეს: ყავისფერი ფეხსაცმელები — არავითარ შემთხვევაში!

მე გავდივარ, ჩემი ბებერი მამიკო კი ოთახში რჩება და დაბნეული იცქირება სარკეში.

— ჩქარა, ვიქტორ, ჩქარა, — მეძახის დედაჩემი, იგი კიბის ძირში დგას, ღუზაჩაშვებული სამხედრო ხომალდივით დიდი და მძიმე, ახლად შეკრეჭილი, ლამაზად ღავარცხნილი თმით, ასე უცებ რომ გაუჭაღარავდა. — ხომ იცი, როგორ გვეჩქარება.

აბა, ჩემზე კარგად ვინ უნდა იცოდეს? სტუმრების სია მე ჩამოვწერე, ვის, როდის და სად უნდა გავუარო.

— მამაჩემს ჩაცმაში ვეხმარებოდი.

— მამაშენს... თორემ დიდი რამის მაქნისია.

ცოტა ხანს სარკის წინ ვჩერდები, რომ თმა გაღავიკარცხნო.

— კარგი, ჰო, გეყოფა! შენ კი არა გწერთ ჯვარს, — მეუბნება ჩვენი ბებერი დედიკო.

— ჩემი გამოჭერა არც ეგრე ადვილია.

— ერთ მშვენიერ დღეს შენც გაგაბამენ მახეში.

— ცოტა რომ გაუჭირდეთ?

— ნუ გეშინია, მსურველი ბევრი გამოჩნდება. ვის არ უნდა კოხტა, წესიერი და საქმიანი ბიჭი.

დედაჩემისაკენ თვალს ვაპარებ, რაო, ახლა ჩემ დაქორწინებას ხომ არ აპირებს? ეს რა ქორწილობანა აუტყდა. ნიკაპზე ხელს ვავლებ და ვეუბნები:

— რა იცი. წესიერი ვარ თუ უწესო?

— კარგი, ჰო, გეყოფა, წადი და საქმეს მიხედე.

პიჯაკს და ჰალსტუხს ვისწორებ.

— აჰა, უკვე მზადა ვარ. ჩვენი ჯიმი სადღაა?

— ჯიმი სასტუმრო ოთახშია. ნახევარი საათია გიცდის.

ყოჩაღ, ჩვენო მწიგნობარო! სასტუმრო ოთახში შევდივარ ჯიმის საპოვნელად. ნამდვილი საგიჟეთია. ვიღაცას რადიომიმღები ჩაურთავს და მთელი ხმით აღრიალებს. რადიომსმენელთა დაკვეთით სიმღერებს გადმოსცემენ. კარებში ვდგავარ და ერთი სული მაქვს დავუყვირო, ნუთუ არავის მოგდით თავში, რადიოს ცოტათი მაინც დაუწიოთ-მეთქი. ყველას ამ ოთახში მოუყრია თავი, ერთმანეთს ფეხებში ედებიან, ტანსაცმელს ისწორებენ, ირევიან, კოხტავდებიან და ერთ გაწამაწიაში არიან, რომ როგორმე სარკესთან მიაღწიონ. ვიღაცას იატაკზე საფერფლე გადმოუყირავებია და მესამე იხვი, იმ სამი პლასტმასის იხვიდან, კედელზე რომ იყო მიკრული, ახლა ნისკარტით წარეპობილა იატაკზე დაგებულ ხალიჩაში. იქით, კუთხეში, ჩვენი ჯიმი მოკალათებულა და, როგორც ყოველთვის, წიგნს კითხულობს, თანაც ისე მშვიდად, გეგონება სადმე მინდორში მარტოდმარტო ზისო.

ვიღაცეებს შუა ხელს ვაძვრენ და ჯიმის მუხლებს ვეხები.

— ეი, აინშტაინ, წავიდეთ!

ჯიმი წიგნში ადგილს ინიშნავს და მომყვება, იგი ტანწვრილია და თხუთმეტი წლის ბიჭისათვის ძალიან მაღალი. ჯიმმა ეკლესიაში ყველა სტუმარს თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს. როგორც ეტყობა, ვერ იგებს რაშია საქმე. რადგან გარეთ რომ გავდივართ და დიდ, თეთრი ბაბთებით მორთულსა და თეთრ საჯდომებიან როლს-როისს ხედავს, გაოცებული მეუბნება, მართლა ქორწილი არ გეგონებაო? ამაზე კი გულიანად ვხარხარებ.

გახარებული ვარ, რომ იმ ორომტრიალს დავუძვერი. ჩემ სიაში პირველ მსხვერპლს დავუწყე ძებნა. ეს გახლავთ დეიდა მირიემი. შოფერს მისამართს ვაძლევ და მე და ჯიმი ტაქსში ვსხდებით. ჯიმი წიგნს შლის და ქვეყნიერებას ისევ ეთიშება. მე კი კითხვის დრო სადა მაქვს? ორმეტ საათამდე ქვეყნის რამე უნდა მოვასწროთ. იმედი უნდა ვიქონიოთ. ჩემი ბიძაშვილი, ჯეფ ლესტერი, რომელიც მეორე ტაქსით დადის, თავის საქმეს მოუვლის. სიას ათასჯერ ვათვალიერებ და ჩემ თავს ვეკითხები. ეკლესიაში ყველას მიყვანას თუ მოვასწრებ-მეთქი. სია კარგა გრძელია. მაგრამ მიხარია, რომ ერთი ტაქსით ნაკლები დავიშირე და დევიდის ჯიბეს ცოტა შელავათი მივეცი. თუმცა დრო ძალიან ცოტა მაქვს. იმის იმედიღა უნდა მქონდეს, რომ ყველა სტუმარი მზად დამხვდება და ლოდინი აღარ მომიწევს.

ტაქსი უხვევს და მიჰქრის. ბაშ ქორწილი უკვე დაიწყო!

## II

შობამდე ორი კვირით ადრე, ჩვეულებრივზე გაცილებით მაგრა მოთოვა და ჭუჭყიანი თოვლის გროვები ახლაც დევს გზის ორივე მხარეს. ისეთი პირი უჩანს, ისევ მოთოვს. ცა რუხი საბანივით დასწოლია საკვამლე მილებსა და სახურავებს და მხოლოდ შორს, იმ ადგილას, სადაც მზე დიდი გაჭირვებით ცდილობს ღრუბლებს შორის როგორმე გამოიჭვრიტოს, წვრილი ვარდისფერი ზოლია გაწოლილი. ქალაქ კრესლის სასულე ორკესტრი სამიკიტნო „უელსის პრინცის“ ეზოში დამდგარა. მოსახვევში, მანქანამ სვლას როცა მოუკლო, აშკარად გავიგონე საშობაო საგალობლის „ჰეი, შეჩერდი, მახაროობელი ანგელოზები მღერიან“ ჰანგები. ფანჯრის მინას ძირს ვწევ და გავძახი:

— ოცდაჩვიდმეტ ნომერში მიდით, ათი შილინგი თქვენია!

დირიჟორი ხელს სწევს, რომ მანიშნოს, გავიგონეო, ორკესტრი კი

ამ სიცივეში დაკვრას განაგრძობს. ვიცი, ჩვენს ბებერ მამიკოს ძალიან გაეხარდება, მუსიკოსები რომ მივლენ. ეს ჯვრისწერა რომ არა, ახლა ისიც მაგათთან იქნებოდა. თვითონვე ამბობს, ამ ოცი წლის მანძილზე ეს პირველი შობაა, რომ ასეთ კონცერტში არ ვღებულობ მონაწილეობასო.

ტაქსი მიჰქრის, ჯიმი თავისთვის კითხულობს კუთხეში, მე კი ათას რამეზე ვფიქრობ, ქორწილზე და რა ვიცი, რაღაზე აღარ. ჩემის აზრით, ამდენ ხალხში — თუ ავიღებთ დედაჩემს, მამაჩემს, ჩემ თავს, ჯიმს, ქრისსა და დევიდს — მარტო დედაჩემია აღტაცებული მთელი ამ ორომტრიალით. მართლაც რომ კარგ დროს ატარებს. ნეტავ ერთი ვანახათ, როგორ დაჰქრის აქეთ-იქით და ყველას ბრძანებებს როგორ აძლევს. მთელი თავისი სიცოცხლე ამ დღეს ელოდებოდა. ქრისი უკვე ოცდაშვიდი წლისაა და მგონი, ჩვენ ბებერ დედიკოს ცოტა ეშინოდა კიდეც ეაუთხოვარი არ შემოგვაბერდესო. მშვენიერი მომავალი კი ესაბებოდა: კიდევ ერთი შინაბერა მასწავლებელი, რომლის ერთადერთი ნატვრა ის არის, პენსიაში როდის გავა. მერე კი იქნებ სულაც მარტო დარჩეს, ანდა, ვინმე თავისსავით მარტოხელას მიეკედლოს. მე კი ამაზე არასოდეს მიდარდია. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ქრისი გათხოვდებოდა. ვერ წარმომედგინა ასეთი მშვენიერი გოგო, ასეთი კარგი ხასიათისა, როგორ უნდა დარჩენილიყო გაუთხოვარი. მერე რა, რომ ჩემი დაა, მაინც პირდაპირ გეტყვით: ქრისი ისეთი გოგოა, ბევრი ბიჭი ინატრებს მაგის ცოლობას. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი მხოლოდ დროის საქმე იყო. უბრალოდ, არ შეხვედა ისეთი ბიჭი, რომ ჩვენ ქრისს შეყვარებოდა. მაგრამ ჩვენი ბებერი დედიკო სხვა შეხედულებისაა, მისთვის მთავარია მდგომარეობა. შემოსავალი და ხასიათი, და კაცი რაც უფრო ლენჩი და მახინჯია, მით უფრო კარგი ხასიათისა ჰგონია. ლამაზი ბიჭები ტელევიზორში და კინოში მოსწონს, ცხოვრებაში კი — ღმერთმა დაიფაროს. აბა, რა უნდა მოსთხოვო, როცა გარშემო ამდენი მაცთუნებელი ახვევიათო.

აი, ასე ფიქრობს ჩვენი ბებერი დედიკო, უფრო სწორად, ფიქრობდა და მაგიტომაც იყო, რომ დევიდს დიდი სიხარულით არ შეხვედრია. ჩვენი დევიდი სამხრეთიდან არის, კარგი შესახედავიცაა, სიტყვებს ისე გამოთქვამს, ნაკლს ვერ უპოვი. თანაც დედაჩემმა, დევიდზე აღაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელია, ეს კი ძალიან მოეწონა, რადგან ჩვენი ბებერი დედიკო თვლის, რომ გონიერებისა და ხასიათის სიმტკიცის მხრივ სკოლის მასწავლებელს არავინ ჯობია. ცოტა ხანს ჩემს გვერდით უნდა მჯდარიყო

შერხზე და მაშინ გვენახა, როგორ იჩიკჩიკებდა. ერთი სიტყვით, დედა-ჩემს ის აწუხებდა, რომ დევიდის ოჯახზე არაფერი იცოდა, ჭორაობით ენას ვერ მოიქავებდა (დედამისი, იცით, ესა და ეს იყო, ქსოვილების მაღაზიაც ჰქონდა უაიტლ სტრიტზე. მამამისი იცით ვინ იყო? მაგის დამ კი სამი ბავშვი და ქმარი დატოვა, დაჰკრა ფეხი და ვიღაც ვაიგანელ ბიჭს გამოუდგა). თუ გინდა დედაჩემმა გაიხაროს, ასეთი რამეები უნდა უთხრა, თუ ჭორაობით გული არ მოიოხა, დარდისაგან მოკვდება. თავისი ცნობისმოყვარეობა რომ დაეკმაყოფილებინა, ძალიან შეეცადა და ქრისს ყველაფერი დააფქვევინა: რომ დევიდი ტყვედ ჩაიგდეს ჩრდილოეთ აფრიკაში, როცა მხოლოდ თერამეტი წლისა იყო, რომ დედ-მამა ლონდონში დაბომბვის დროს დაეხოცა, მის შეყვარებულს კი წერილების წერა და ლოდინი მოსწყინდა და ვიღაცას მისთხოვდა. დევიდი თვითონ არაფრით არ მოუყვებოდა ასეთ გულისამჩუყებელ ამბებს, ქრისს კი ყველაფერი დასცინცლა.

ჰოდა. ეს ამბავი რომ გაიგო, უცებ დევიდზე გული მოუბრუნდა. აღარ იცოდა რითი ესიამოვნებინა, ისე გადაამლაშა, მიკვირს, დევიდმა ჯვრისწერამდე როგორ მიატანა. მაგრამ, რას იზამ, ასეთია ჩვენი ბებერი დედიკო, გარედან კაქივით მაგარი, შიგნიდან კი ბამბასავით რბილი.

აჰა, ამასობაში მოვედით კიდეც. დეიდა მირიემი და ძია ჰორასი მოგვყავს. ისინი თავმდაბალი ხალხია და ერთ ამბავს არ აგვიტეხენ ეკლესიაში პირველები რომ მივლენ და მთელ დილას ლოდინში გაატარებენ. ჯიმს ეკლესიაში მათთან ერთად ვტოვებ და ჭკუას ვარიგებ:

— აბა, წიგნს მოეშვი და საქმეს მიხედე! პატარძლის სტუმრებს მარცხნივ წაიყვან. ნეფისას — მარჯვნივ. გაიგე?

— ცოტა გამიჭირდება, — ამბობს ჯიმი, — ეგ საქმე ვინმე საზრიანი კაცისათვის უნდა მიგენდოთ.

— კარგად იცი, რომ შენს მეტი არავინა გვყავს. ასე რომ, საქმეს მიხედე, თორემ ერთ სილას მიიღებ.

— უკაცრავად, ჩემთან ქრთამები არ გაგივა, — ამბობს ჯიმი.

გულიანად მეცინება. ჩვენი ჯიმი მართლაც რომ დიდი ხუმარა ვინმეა და თანაც ენამოსწრებული.

— როგორც გენებოს. ამას კი წავიღებ, — ვეუბნები და წიგნს ვართმევ, — იქნებ ცოტახნით მაინც ჩამოფრინდე ციდან.

— როგორ თუ წაიღებ? როცა არავინ იქნება, რა ვაკეთო?

— საფლავის ქვები ათვალიერე. ნახე, იქნებ ვინმე ნაცნობს წააწყდე.

მანქანაში ვჯდები და წიგნს ვათვალიერებ — „ფილოსოფია პლატო-

ნის დროიდან დღემდე“. წიგნს წინა ქარსაფარი მინის ქვეშ, პატარა განყოფილებაში ვდებ. ხანდახან ჩვენი ჯიმი თავისი სიჭკვიანით ნერვებს მიშლის. მაგრამ ძალიან მიყვარს, საიდანა მყავს ასეთი ძმა და ქრისისთანა და. ნათქვამია: ოჯახს თითო მახინჯი არ გამოელევაო, და ის მახინჯი სწორედ მე გახლავართ.

ჩემი შედგენილი განრიგის მიხედვით, თერთმეტს ზუსტად თხუთმეტი წუთი რომ აკლია, უკანასკნელად გამოვდივარ ეკლესიიდან ჩვენი ბებერი მამიკოსა და ქრისის მოსაყვანად. საქმე კარგად მიდის-მეთქი ვფიქრობ და საკუთარი თავის საშინლად კმაყოფილი ვარ. მადლობა ღმერთს, არც ერთმა სტუმარმა არ გვაცდევინა, ყველაფერი საათივით აეწყო. გზაზე ჩვენ ბებერ დედიკოს ვხვდებით, რომელიც მანქანაში ახლადგამომცხვარი არისტოკრატივით გამოჯიმულა. დოტის და მენჯის კი მანქანის უკანა მინაზე ცხვირები მიუჭყლეტიათ და მეჯღანებიან.

და აი, სწორედ აქ გვიმტყუნა ბედმა. აჰა, უნდა შევუხვიოთ კიდეც, რომ გზაზე ტალახში ამოთხვრილ გატეხილი რძის ბოთლს გადავუარეთ. ბუჰ! — ზაობაზნის გასროლის ხმა გეგონება. ჩვენ ერთი გემოზე ვინჯღრევით, თურმე ნუ იტყვი, მარცხენა წინა სალტე გასკდა. მანქანა გზიდან უხვევს, ტროტუარზე ადის და ჩერდება. შოფერი მანქანას ისევ უკან, გზისკენ სწევს, მერე კი ორივენი გადმოვდივართ და დაშვებულ სალტეს ვათვალიერებთ. შოფერი ქუდს კეფაზე იწევს, მუხლებზე ხელებდაბჯენილი იხრება და უსტვენს.

— ჰა, რაშია საქმე? — ვეკითხები და თავში ერთბაშად ათასი აზრი მიტრიალებს: სახლში დარჩენილი ქრისი და ჩემი ბებერი მამიკო, ხალხით გატენილი ეკლესია და დაგვიანებული პატარძალი, ჩემი ბებერი დედიკო, რომელსაც თითოეული დაგვიანებული წუთი ცეცხლს უკიდებს...

— საქმე ცუდად არის, — მეუბნება მძღოლი.

— ამას მეც ვხედავ. — ვეუბნები, — თერთმეტს ათი აკლია. რა ვქნათ?

— თვალი უნდა გამოვცვალოთ, მეტი გზა არ არის.

იგი ჯერ თეთრ პიჯაკს იხდის, მერე კი იძრობს და იძრობს ათას ჯემპრსა და პულოვერს, რომლებიც თურმე პიჯაკის ქვეშ სცმია, თანაც ისე ნელა ირჯება, გეგონება კვირა დილით თავისი სახლის ეზოში ზის და ისვენებსო. მანქანის საბარგესაკენ გავრბივარ და შიგ ვიქექები, რომ დომკრატი ვიპოვო. დომკრატს ვაყენებ და თვალის მოხსნას ვიწყებ, თან ღმერთს ვევედრები, ვინმე მოცლილი პოლიციელი არ მოგვეევლინოს და კითხვებით არ გამოგვაშტეროს. მგონი, ამ შოფერს მანქანის თვალი

არასოდეს გამოუცვლია. ალბათ, სანამ ეს ვაჟბატონი ტანსაცმელს იხდიდა და სამუშაოდ ემზადებოდა, თვალს ყოველთვის სხვა უცვლიდა ხოლმე. ასეა თუ ისე, იმ დროისათვის, როცა იმდენი რამე გაიძრო, რომ მუშაობა შეეძლო, თვალი უკვე დაყენებული მქონდა და შლეგივით ვუჭერდი ქანჩებს. ის იყო თორმეტი დაიწყო, რომ მანქანა ისევ დავძარით და ათიოდე წუთის შემდეგ უკვე ჩვენი სახლის ჭიშკართან გავჩერდით.

ჩემი ბებერი მამიკო უკვე პარმაღზე დგას, თვალებზე ხელი ისე მოუჩრდილებია, გეგონება „ყვავის ბუდეში“ ჩამჯდარი მეზღვაურია და ხელეთს ეძებსო.

— სად ეშმაკში იყავი? — შეშინებული მეკითხება. — ვერ ხედავ, რომ დავაგვიანეთ?

ერთი სული მაქვს უკულმართად ვუპასუხო, დუქანში შევედით და ცოტა გადავკარით-მეთქი, მაგრამ არა. ვხედავ რომ მართლაც მაგრაა შეფუცხუნებული და ამიტომ მარტო ჩემ ჭუჭყიან ხელებს ვუჩვენებ და ვეუბნები. სალტე დაგვეშვა-მეთქი. ამასობაში ქრისიც გამოდის და, თუმცა საპატარძლო კაბაზე პალტო აქვს მოსხმული, მაინც უფრო ლამაზია, ვიდრე მოდების ჟურნალში დახატული ქალები.

— ყველას გულებს დაუხეთქავ, — ვეუბნები, — სულ აქეთ-იქით დაცვივდებიან.

რადგან ცერემონიალი უკვე დაიწყო, არავინ ამჩნევს, რომ ქრისმა ლაგვიანა. ქრისი და დევიდი კი მერე, ალბათ, ამის გახსენებაზე, ერთს გულიანად გაიცინებენ. ქრისს პალტოს ვხდი და უკან ერჩები, რომ ყველაზე ადრე მოვასწრო გარეთ გამოსვლა. ორღანი, რომელიც აქამდე ჩუმად უკრავდა, ახლა ხმამაღლა გუგუნებს, მთელ ეკლესიას საქორწილო მარშის ჰანგებით ავსებს. ისმის ტანსაცმლის შარი-შური, სტუმრები ფეხზე დგებიან. ქრისი და ჩემი ბებერი მამიკო, რომელთა უკან დოტი და მენჯი მიცუნცულებენ, სკამებს შორის გასასვლელში მიდიან, იქითკენ, საღაც მღვდელი, დევიდი და დევიდის მეჯვარე ელოდებათ. ქრისი მართლაც რომ ძალიან ლამაზია, მთლად თეთრებში გამოწყობილი. ყვავილების პატარა ქუდქვეშ თმები საოცრად უბრწყინავს. ქრისს ცოტა მოწითალო თმა აქვს, სწორედ ისეთი, ჩვენს ბებერ დედიკოს რომ ჰქონდა ახალგაზრდობაში. მე და ჯიმს კი მამასავით შავი თმა გამოგვყვა. ჩემ ბებერ მამიკოს ფეხებს ვუყურებ და ვხედავ, ჩემი სიტყვა დაუჯერებია. ეკლესიაში ცოტა არ იყოს, ხალხი არათანაბრადაა განაწილებული, ეს იმის ბრალია. ჩვენი ნათესაობა შთლიანად გახლავთ წარმოდგენილი, დევიდს კი ნათესავები სულაც არა ჰყავს, მხოლოდ ერთი-ორი კაცი წამოუყვანია, რომლებთანაც კრესლიში დამეგობრება მოესწრო.

ორღანი ჩუმდება და ერთი წამით ეკლესიაში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. შემდეგ მღვდელი იწყებს.

— ჩემო ძვირფასებო, ჩვენ აქ შეეიკრიბეთ. რათა წმინდა ქორწინებით შეეაუღლოთ ეს მამაკაცი და ეს ქალი.

მათი გაბედნიერება მართლაც რომ გულით მიხარია. იმიტომ რომ დევიდი ძალიან კარგი ბიჭია, ჩვენი ქრისი კი — ნამდვილი საუნჯე. ყოველთვის ვფიქრობდი, ჩვენი ქრისი რაღაც განსაკუთრებულია-მეთქი. ეს შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ იმიტომ, რომ ჩემი ამხანაგებიდან თითქმის ვერავინ ვერ იტანს თავის დას. მე კი მართლაც ბედნიერად ჩავთვლიდი თავს ქრისისნაირი ცოლი რომ შემხვდებოდეს. საერთოდ კი მჯერა, რომ ასეთ გოგოს უეჭველად შეც შეეხვდები. იგი ნამდვილი ქალი იქნება, მხიარული, ტკბილმოუბარი, გულღია, მგრძნობიარე, მოსიყვარულე. ერთი სიტყვით, ყველაფრით შემკული. ამის შესახებ არავისთან კრინტი არ დამიძრავს და ჩვენ ბიჭებს ჰგონიათ. გოგოები მხოლოდ ერთი რამისთვის მაინტერესებს. რას იზამ, სხვა გზა არ არის. ის თუ თქვი, რასაც გულში ფიქრობ, მარტო დაცინვას კი არ გაკმარებენ. საერთოდ სულელად ჩაგთვლიან.

მერე ისევ ინგრიდზე ფიქრს ვიწყებ. ამ ბოლო დროს სულ ინგრიდზე ვფიქრობ და საშინლად მაინტერესებს თვითონ რას ფიქრობს ჩემზე, რასაკვირველია, თუკი საერთოდ მამჩნევს. ნეტავ ამაღამ თუ მელირსება მისი ნახვა და თუ ვნახავ, რას ვეტყვი. სული რომ გამძვრეს, რამე უნდა ვუთხრა. მეყო ამდენ ხანს მარტო შორიდან ჭვრეტა და მის გარშემო სირბილი.

როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა. ეკლესიის გარშემო ფოტოგრაფები ერთ ამბავში არიან, მოყვარულებიც და ისინიც, ვინც საგანგებოდ მოიწვიეს და ფული უნდა გადაუხადონ. ფოტოგრაფებს ვაჩქარებთ, რადგან არავის მოსწონს სიცივეში დგომა. მერე ქრისს მხრებზე პალტოს ვახურავ და ისა და დევიდი ჩემ ბიძაშვილ ჯეფთან ერთად რესტორანში მიდიან, სადაც სტუმრებს უნდა დახვდნენ. მე კი ჩემ ბებერ მამიკოსა და დედიკოსთან ერთად უკან შევყვები. ადგილიდან ვიძვრით. გზაზე კი ბორბლების ნაკვალევსა და კონფეტს ვტოვებთ.

ჩემი ბებერი მამიკო ვერ ისვენებს, ისე ცმუტავს, გეგონება რაღაც დაჰკარგვია. დედაჩემი მაშინვე ეკითხება:

— რას ეძებ?

— ჩემ სიტყვას ვეძებ. — ამბობს მამაჩემი და ჯიბეში იქექება. — აქა მქონდა როცა...

— შენს სიტყვას? — იმეორებს ჩემი ბებერი დედიკო, ორივეს პირველად გვესმის ეს ამბავი.

— ჰო, ერთი-ორი სიტყვა დავჯღაბნე, ახლა კი ვერ მიპოვია... აჰა, ვიპოვე.

— ოღონდ ბევრი არ გაბა. — ეუბნება დედაჩემი, — თქვი, დიდად გვიხარია თქვენი ნახვა და მადლობელი ვართ, რომ დაგვაფასეთ და მოხვედით-თქო. მეტი არაფერი. ბევრის მიდებ-მოდება საჭირო არ არის.

— ეგ შენ მოგივიდა თავში, რომ სტუმრები კრესლის საუკეთესო ოტელში მიგვეღო, — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო. — ჰოდა, ახლა ადექი და თავი მოიკალი. ვის გაუგონია ასეთი დიდებული ქორწილი სიტყვის გარეშე. ჩემთვის რომ ყური გეგდო და იმ დარბაზში გადაგვეხადა ქორწილი, სადაც ჩვენი ორკესტრი რეპეტიციებს მართავს ხოლმე, სიტყვის თქმა სულაც არ დამჭირდებოდა.

— ორკესტრის სარეპეტიციო ოთახი! — ქირქილებს დედაჩემი, — ყველაფერში იაფად რომ გინდა გამოხვიდე. ნუთუ ფული გენანება, რომ შენ შვილს წესიერი ქორწილი გადაუხადო? მაგის მეტი ქალიშვილი მაინცა გყავდეს.

— წესიერსა და ძალიან მდიდრულ ქორწილს შორის განსხვავებაა. ერთი უბრალო მეშახტე ვარ, ფაბრიკანტი ხომ არა ბგონივარ?

— ფაბრიკანტი როგორ გვეგონები, როცა სულ იმას ჩაგვძახი, მეშახტე ვარო... მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, ათასჯერ გვაქვს ყველაფერი ნათქვამი.

მგონი, ჩემმა ბებერმა დედიკომ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მძღოლსა და ჩვენს შორის მინა ჩაწეულია. მძღოლს ყველაფერი ესმის და ულვაშებში ეღიმება.

— მართალია, ათასჯერ გვაქვს ნათქვამი. — უმოწმებს მამაჩემი.

— და გადავწყვიტეთ, რომ ქორწილის გადახდა ყველაზე მეტად „ძველ აბჯარში“ ჯობდა.

— მართალია, გადავწყვიტეთ. — ისევ უდასტურებს მამაჩემი.

ვამჩნევ, რომ მარტო მძღოლი კი არა, მამაჩემიც იცინის, დედაჩემს დასცინის, მაგრამ დედაჩემი ხუმრობას ასე იოლად ვერ ხვდება.

— და ფული თუ ასე გენანება, დაიხსომე, რომ ეგ ერთი ქალიშვილი გყავს და როცა შენ ოჯახში მეორე ქორწილი გეენება, მაშინ სხვას მოუხდება ფულის გადახდა.

— ღმერთო დიდებულო! — ოხრავს მამაჩემი.

ქრისი და დევიდი სადგურში მიდიან, სტუმრების მეტი ნაწილი სახლებში ბრუნდება, რადგანაც ოფიციალურად ქორწილი უკვე დამთავრდა. ზოგი კი, ოჯახის ახლო მეგობრები და ნათესავები, ჩვენსა ბრუნდებიან. ჩვენ მედოუ ლეინზე ვცხოვრობთ, ძველ, ქვით მოპირკეთებულ სახლში, რომელიც მამაჩემმა ჩეში ბებერი დედიკოს ჩიჩინით ყიდა ომამდე, მაშინ, როცა დღევანდელთან შედარებით სახლები ჩალის ფასად იყიდებოდა. საწოლი ოთახის ფანჯრებიდან მშვენიერი ხედი იშლება: ერთ მხარეს ქალაქია, მეორე მხარეს — პარკი და გორაკის მწვერვალზე — საავადმყოფო, რომელსაც ღამე რომ შეხედო. მაშინ. როცა მის ფანჯრებში სინათლე ინთება, გეგონება დრაკულას ზღაპრული კოშკია და შიგ მეჯლისი გაუმართავთო. ჩვენთან სახლში კარგა ბლომად ხალხი ბრუნდება და სხვა გზა არა გვაქვს, მეზობლებს უნდა ვთხოვოთ სკამები. მაგრამ არც ეს გვშველის. რადგან ზრდილობის გულისთვის ის მეზობლებიც უნდა შემოვიპატიჟოთ, რომლებიც ქორწილში არ ყოფილან.

ჩემი ბებერი დედიკო ამბობს, ამდენი ხალხი ჩვენს სახლში მამაჩემის დასაფლავების შემდეგ ალარ მინახავსო. ეს კი დასაფლავება არ გახლავთ, ამ ხალხს რამდენი ხანია ერთად არ მოუყრია თავი და ახლა, რაც ძალა და ღონე აქვთ, ცდილობენ ყველა ოჯახური კინკლაობა დაივიწყონ და კარგი დრო გაატარონ.

შთავარი მიზეზი ჩემი ბებერი მამიკოს წარმოთქმული სიტყვა გახლავთ. როდესაც დაინახეს, რომ მამაჩემი ფეხზე წამოდგა და ბორცის ღვეზელის უკან ქაღალდი დაიდო, არავის ეგონა, რაზე ხეირიანს თუ იტყოდა. მერე რომ ალუღლუღდა და ისევ მოჰყვა ჯიბეების ქექვას, როგორც მანამდე ტაქსში, საბოლოოდ დაკარგეს იმედი, რომ რამე ჭკვიანურს გაიგონებდნენ. მე კი მაშინვე მივხვდი, რომ სათვალე ვერ იპოვა, უსათვალოდ კი გაზეთის სათაურების გარდა ვერაფერს არჩევს. მოკლედ, შამაჩემმა ერთი ჩაახველა, მერე რაღაც წაიბურტყუნა და უცებ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! გეგონება სულში რაღაც ჩაეძვრაო. ალბათ, იმან იმოქმედა, მთელი ნათესაობა რომ ერთად დაინახა, ამდენი ნაცნობი სახე, რომელზედაც თითქოს ეწერა, აბა, ერთი ჩვენი არტური რას გვეტყვისო. ჯერ ქრისზე და დევიდზე მოჰყვა. მერე მთელ საგვარეულოს შეეხო, ეს რა სისულელეა, წვრილმანებზე რომ ვკინკლაობთ და გულს ღვარძლით ვივსებთო. განა დრო არ არის, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და დავივიწყოთ ყველა სისულელე, რომელიც ცხოვრებას გვიწამლავსო. სწორედ რომ კარგად დაუმიზნა. ზოგიერთს მისი სი-

ტყვები შიგ გულში მოხვდა. ერთმა-ორმა მანდილოსანმა ცრემლებიც კი გადმოაფრქვია. ჩემი ბებერი დედიკო ისე გაოცდა, ხმა ვერ ამოიღო, იჯდა გაშტერებული და მამაჩემის ყველა სიტყვაზე თავს იქნევდა. ჩემი ბებერი ბამიკო კი ისე დაჯერებით ლაპარაკობდა, გეგონება თავის სიცოცხლეში მეტი არაფერი უკეთებიაო. ჩვენს ქრისს გული ისე აუჩუყდა, როცა მისი ჯერი დადგა, მადლობის მეტი ვეღარაფერი მოახერხა, მერე მიუბრუნდა ჩვენს ბებერ მამიკოს და იმდენი ჰკოცნა, საწყალი კაცი სირცხვილისაგან გაწითლდა. ვილიამი, მამაჩემის უფროსი ძმა, მივიდა და უთხრა:

— ღმერთმანი, არტურ, არ მეგონა, ენა თუ ასე გიჭრიდა.

— არც მე მეგონა, ვილიამ. — უპასუხა მამაჩემმა და ჩუმად შეეკითხა: — ერთი შითხარი, სისულელეები ხომ არ წამოვროშე? ეგრე თუა, იცოცხლე მომხვდება ჩემი ლუსისაგან.

— სისულელეები წამოვროშეო?! რას ამბობ, ამისთანა სიტყვა, რაც თავი მახსოვს, ჩვენ გვარში ჯერ აოავის წარმოუთქვამს.

როგორც ჩანს, სხვებიც ასე ფიქრობდნენ, დეიდა აგნესას გარდა, რომელმაც მამაჩემის ყველა სიტყვა თავის თავზე მიიღო და გაგულისებული სახლში გაეარდა. რას იზამ, გზაც იქით ჰქონია...

მაშ ქეიფი გრძელდება. როცა საქორწილო სუფრიდან დარჩენილ სანოვაგეს და კიდევ რაც სახლში შოგვეპოვებოდა, ყველაფერს ვანადგურებთ, გართობის ხასიათზე ვდგებით. ახლა ძია ჯორჯის ჯერი დადგა. აი, ძია ჯორჯთან კი არასოდეს შოგწყინდება. ერთი თამაში უყვარს ყველაზე ძალიან: აგიხვევს თვალებს და მთელი ხალხის წინ გაგამაიშუნებს. ყოველ წუთში გაისმის გულიანი სიცილი და არავინ ჯავრობს, როცა უცან ქინძისთავს შეურჭობენ, ან ცხვირ-პირს ლიმონისკრემიან ნამცხვარში ჩააყოფინებენ. იმიტომ რომ ყველაფერი ნათესაური ხუმრობაა და მეტი არაფერი. როცა თამაში გვბეზრდება და სიცილისაგან უკვე ფერდები გვტკივა, ძია ჯორჯი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თუ რა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. პიანინოსთან ჯდება. მხიარულ სიმღერებს უკრავს და ყველას გვამღერებს. მერე მამაჩემს თხოვენ ტრომბონი დაუკარიო. ისიც უკრავს ჯერ „მხოლოდ სიმღერა საღამოჟამს“ და მერე თავის საყვარელ „ღმერთო, აკურთხე ეს სახლი“. როცა სიმღერის ბოლოს მაღალ ნოტს იღებს, ნათურა სკდება და ნამსხვრევები მთელ ოთახს ეფინება. მომღერალმა რომ სიმღერით ღვინის ჭიქა გატეხოს, გამიგია, მაგრამ ტრომბონმა რომ ნათურა დაამსხვრიოს — არასოდეს. ვიდრე ასანთს გავკრავდე და კარადაში ნათურას ვიპოვიდე, სიბნელეში ერთი ორომტრიალი იწყება.

დაახლოებით ცხრის ნახევარზე სტუმრები იშლებიან, რადგანაც ბოგიერთი ძალიან შორს არის წასასვლელი. არის პალტოებისა და ქუდების ძებნა, ხელის ჩამორთმევა, ხვევნა-კოცნა და საშობაო მილოცვები. ცხრა საათისთვის უკვე ყველა წასულია. ამ არეულობაში ვრჩებით ჩვენ, ძია ვილიამი და ძალუა ედნა, რომლებმაც გადაწყვიტეს ჩვენთან გაათენონ ღამე. ერთი-ორი წუთის შემდეგ ჩვენი ჯიმიც გვტოვებს და დასაძინებლად მიდის.

— გეგონება ფეხბურთის მატჩი იყო, — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო და აქეთ-იქით იყურება. მთელ ოთახში ჩვენი მეზობლების სკამეები მიყრილ-მოყრილი. იატაკზე ყურთბალიშები ყრია, ყველგან დგას ცარიელი ჭიქები და ნამწვით სავსე საფერფლეები. ბუხარში ცეცხლი ოითქმის ჩამქრალა, ეს ბოლო ორი საათი ისე ვხტუნაობდით, უბუხროდაც გვცხელოდა. ოთახი თამბაქოს კვამლით არის სავსე. ვიხრები და ჭიქას ვიღებ, რომ ვინმემ ფეხი არ წამოჰკრას, ხალიჩის კუთხეში სიგარეტით ამომწვარ ადგილს ვამჩნევ. ხმას არ ვიღებ, სულ ერთია, ჩემი ბებერი დედიკო ხვალაც მოასწრებს ამ ამბის შეტყობას.

— ვიღაცას ხელთათმანები დარჩენია. — ამბობს დედაჩემი. — ნეტავი ვისია?

— მგონი, მილისა უნდა იყოს, — ამბობს ძალუა ედნა. — მაჩვენე, ერთი კარგად ვნახო... ჰო, მილისაა, სანამ ეკლესიაში შევიდოდით დავუნახე და ძალიან მომეწონა.

— შობის შემდეგ წერილს მივწერ და შევატყობინებ,—ამბობს ჩემი ბებერი დედიკო, თან ოთახში დადის, ყურთბალიშებს აგროვებს და ადგილზე დებს.

— ერთი ამ ბალიშისპირებს შეხედეთ, დღეს დილით სუფთა იყო. ახლა კი ყველი გინდა თუ მურაბა, ყველაფერი ზედა სცხია. — იცინის დედაჩემი და მერე აგრძელებს: — მაგრამ ჯორჯი მაინც კარგი ვინმეა, არა? პატარა ბიჭივით ანცი და დაუდეგარი. თანაც შეუდარებელი ქმარია. მთელი ამ ოცი წლის მანძილზე. რაც ელზი მაგისი ცოლია, ბედნიერების მეტი არაფერი უნახავს. ელზის გაცნობამდე ჯორჯს მუდმივი სამუშაო არცა ჰქონია. ერთხანს ქალაქში ბუკმეკერებთან სანაძლეოებსაც კი დებდა. წარამარა, როცა აჯარიმებდნენ ხოლმე, გაზეთში იყო გამოჭიმული. მამაჩემმა კინაღამ კინწისკვრით გააგდო სახლიდან, პირველად რომ მოვიდა ელზის ხელის სათხოვნელად. ჯერ წესიერი სამუშაო იშოვე და ქალიშვილი მერე მთხოვეო. ჯორჯიც წავიდა და იშოვა. ფლეტჩერის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ის იყო და ის, მერე უმუშევარი აღარ ყო-

ფილა. ახლა კი კიგლის ახლოს, რომელიღაც ქარხანაში საამქროს უფროსია.

მერე ძალუა ედნას ეკითხება:

— ჩაის ხომ არ დალევდი?

— ჯერ არ მინდა. — ეუბნება ძალუა ედნა. — ერთი წუთით ჩამოჯექი და სული მოითქვი. მთელი დღე ფეხზე ტრიალებ.

ჩემი ბებერი დედიკო ჯდება და ხელებს შუხლებზე იწყობს.

— კარგია, როცა ყველანი ერთად ვართ, ვიცინით და ვერთობით, როგორც ადრე ვიცოდით ხოლმე. როცა ერთად შევიყრებით, ველარ წარმომიდგენია როგორ შეიძლება ერთმანეთს ვაწყენინოთ.

— რას იზამ, ეს ქვეყანა ასეა მოწყობილი. — ამბობს ძია ვილიამი. — ასე იყო და ასე იქნება. ხანდახან, როცა ერთმანეთს ვხვდებით, ყველაფერი გვავიწყდება.

— აგნესას რომ არ ჩაემწარებინა...

— მგონი, მე ვაწყენინე. — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო. — ეგონა ჩემი ნათქვამი სულ მაგას შეეხებოდა.

— ჰოდა, ასეც იყო, არტურ. — ამბობს ძია ვილიამი. —ჩვენიანებში მაგისთანა გიჟი სხვა ვინ ურევია?

— აგნესაზე თავს აღარ ვიწუხებ. — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო.

— ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერაფრით ასიამოვნებ. ამდენი ხანია, სულ თავს ვევლებოდი, ჩემ თავს ვეუბნებოდი, ყველანი ვტყუივართ, მარტო ეგ არის მართალი-მეთქი. ახლა კი მეყო. ყველას რომ არ ჩაუმწაროს, არ შეუძლია.

ორიოდე წუთის შემდეგ ძალუა ედნა კითხულობს:

—ოჯახში რომ ერთი ადამიანი მოგაკლდათ, თავს როგორა გრძნობთ?

—რა ვიცი, აბა, რა გითხრა? როცა საქმე საქმეზე მიდგება, ვერც გაერკვევი. თუმცა კი ძალიან მომენატრება. ჩვენი ქრისტინა ძალიან კარგი გოგოა, თავიდანვე ასეთი იყო... მაგრამ უკვე დროა საკუთარი ოჯახი ჰქონდეს. ოცდაშვიდი წლის ზოგიერთ ქალს შვილები უკვე სკოლაში დაუდის.

— ქმარიც კარგი ბიჭი ჩანს. — ამბობს ძია ვილიამი.

—ოჰ, დევიდი მშვენიერი ყმაწვილია. მართლაც რომ შესანიშნავი. ქრისტი შაგასთან ბედნიერი იქნება. ამაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეპვი.

— ჰო, მშვენიერი მოსაუბრე ყმაწვილია, ზრდილობიანიც. — ამბობს ძალუა ედნა.

— ეგ იმიტომ, რომ ჩვენი დევიდი განათლებული ბიჭია, — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო.

— ქრისტინასათვის უკეთეს ქმარს ვერც ვინატრებდით, — უმატებს დედაჩემი.

ძალუა ედნა მე მიყურებს. სარწეველაში ვზივარ, ყველას გულდასმით ვუსმენ, მაგრამ ლაპარაკში არ ვერევი.

— ახლა კი ვიქტორის ჯერია, — ამბობს ძალუაჩემი. ძალუა ედნა ძალიან მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა უყვარს ხოლმე.

— არა, ვიქტორისათვის ცოლის შერთვა ჯერ ადრეა. — ისე ამბობს დედაჩემი, გეგონება მე იქ არც ვიჯდე. — ცოტა მოიცადოს, ჯერ ოცდაერთისაც არ არის. თანაც არა მგონია, ვინმესთან დადიოდეს. თუმცა, რა ვიცი. კიდეც რომ დადიოდეს, ალბათ ყველაზე გვიან მე შევიტყობ. ვიქტორის დარდი სულაც არ მაწუხებს. ყველა რომ ეგეთი ჭკუადამჯდარი იყოს, რაღა გვიჭირდა. აი, ჩვენი ჯიმისა კი რა მოგახსენოთ, სულ წიგნში აქვს ცხვირი ჩარგული. ერთ წუთს არ ისვენებს. მგონი, ექიმობა ნებავს. თუ კოლეჯში შესვლას დააპირებს. მაშინ დიდი მუშაობა მოუხდება. ზოგჯერ, მგონი, ზედმეტიც გამოუდის. ერთ ღამეს ლოგინში წამომჯდარიყო, გარშემო წიგნები შემოეწყო და ისე ჩასძინებოდა. თანაც, რომ იცოდე, რა მაგრად ეძინა. ძილშიაც არ ისვენებს, არც ერთი წამით ტვინს შვებას არ აძლევს, მუშაობს და მუშაობს. ძალიან უცებ აიყარა ტანი, მაგრამ ჯანმრთელობის მხრივ მაინც ვიქტორი სჯობია. ვიქტორი ბავშვობიდანვე კაჟივით მაგარია. ისევ საყმაწვილო რამე თუ შეეყრებოდა, თორემ ავად არასოდეს ყოფილა. ჰო, ერთხელ იყო, რელსებზე გაიშხლართა და თავი გაიტეხა.

ძალუაჩემი მიყურებს და სიყვარულით მიღიმის. თვალს ვუკრავ და ისიც პასუხად თვალს მიკრავს.

— მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ, ჯიმს მართლაც ძალიან აუყრია ტანი, — ამბობს ძალუა ედნა.

— ჰო, სიმაღლეში კი მიიწევს, მაგრამ ჯან-ღონისა კი რა მოგახსენოთ. მთელი ძალა ტვინში მისდის, ტანში კი არაფერი რჩება. შობის შემდეგ მინდა ექიმთან წავიყვანო, ვნახოთ ერთი რას მირჩევს.

— თუკი სწავლით ასეა გატაცებული, მაშ ყველაფერი რიგზეა. — ამბობს ძია ვილიამი. — ხომ ხედავთ, როგორი გონიერი ბიჭია. ასეთი ხალხი კი, თუ თავის გონებას რამე საქმე არ გამოუნახა, მოუსვენარი ხდება და მერე სულაც იფიტება. შენი რომ ვიყო, ნამდვილად არ ვი-

დარდებდი. ექიმთან რა თქმა უნდა, უნდა წახვიდე, მაგრამ გულს ტყუილუბრალოდ ნუ იხეთქავ.

— სათქმელად ადვილია, ჩემო ვილიამ, მაგრამ როცა შვილები გყავს, დარდი და გულისხეთქვა თავისთავად მოდის.

აი ეს კი არ უნდა ეთქვა ჩემს ბებერ დედიკოს, ძალუა ედნას და ძია ვილიამს ხომ შვილები არა ჰყავთ და უშვილობას ძალიან განიცდიან.

— ჩვენ მარტო ის გვინდა, ჯიმს ხელი არაფერში შეეშალოს. ნეტავი იმდენი შოვახერხოთ, ვიდრე თვითონ შესძლებდეს თავის შენახვას, ხელი შევუწყოთ. ჩვენი ქრისტინასთვის ადვილი იყო, სტიპენდია ჰქონდა. მაგრამ, ამბობენ, სტიპენდია ზღვაში წვეთია, თუ კაცი სამედიცინოზე სწავლობსო, — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო და ჩიბუხისა და თუთუნის ძებნას იწყებს. მაგრამ უცებ აგონდება, რომ კარადაში ყუთით სიგარები აქვს. — ჰეი, ვილიამ! ერთი ეს გასინჯე. დეკიდმა მიყიდა. როგორი საჩუქარია, ჰა?

— შშვენიერი, არტურ, — ძია ვილიამი სიგარას იღებს და ყნოსავს. — მე კი მეგონა თვითონ დაისაჩუქრე თავი.

— ჰოდა, შემცდარხარ. სიგარების მწეველებისაგან ძალიან შორსა ვდგავარ.

— არც ისე შორს, ჩემო არტურ. — ამბობს ძია ვილიამი და ასანთის შუქზე ვხედავ, როგორ კვიმატად უციმციმებს თვალები. — აბა, რითი არა ხარ ახლად გამომცხვარი არისტოკრატი! ფუფუნებით ცხოვრობ, ბიჭს კოლეჯში გზავნი მედიცინის შესასწავლად. შენ თუ არა, აბა, მაშ სხვას ვისა აქვს ფულები, მე შენ გეტყვი, მიდიხარ და რასაც იღებ, საღამოობით სამიკიტნოებში ფლანგავ.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — ამბობს მამაჩემი. — როგორც იქნა, ცოტა ადამიანური ხელფასი მოგვცეს და ყველას ეგ გაკერიათ პირზე.

— ნეტავი კვირაში ოც გირვანქას მაძლევდნენ და თუ გინდა მთელ ქვეყანას ჩემი სახელი ეკეროს პირზე. — ამბობს ძია ვილიამი.

— მაშინ მიდი და ის გააკეთე, რაშიც მე მაძლევენ ოც გირვანქას. თუ გგონია, მაღაროში კვირაში ოცი გირვანქის გამომუშავება ადვილია, ჩამო და სინჯე. მართალია, კვირაში ოც გირვანქას კი ვიდებთ ჯიბეში, მაგრამ ოცი როგორ ვმუშაობთ? მონებივით, წელებზე ფეხებს ვიდგაბთ. ამ ხალხს კი დაუღია პირი და ლაქლაქებს. მთელი მაგათი სამუშაო ის არის, კეთხა ლუდი ასწიონ და მუცელში გადაუძახონ. აბა ერთი სანგრევში ჩაუშვი! ერთ ცვლასაც ვერ გაუძლებენ. მიმუშავია და ვიცი. მადლობა ღმერთს, იქ აღარ ვმუშაობ. ახლა უფროსი ვარ და ბევრი ჩემი ხელქვეითი ჩემზე მეტ ფულს აკეთებს, მაგრამ იმათი არა მშურს.

მაგათ ადგილას მიმუშავია და ვიცი, ეგ ფული რა ოფლის ფასად მოდის, თანაც...

— კარგი, არტურ, გეყოფათ. — აწყვეტინებს ჩემი ბებერი დედიკო. — ნეტავი გამაგებინა რისთვის კამათობთ. ხომ შეიძლება ვილიამს თავისი აზრი ჰქონდეს.

— არავის არ შეიძლება ჰქონდეს სწორი აზრი, თუკი ფაქტებს არ იცნობს. უბრალოდ მინდა ავუხსნა...

ძალუა ედნა და ჩემი ბებერი დედიკო ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად უყურებენ. აი, ახლა კი დროა გუდა-ნაბადი ავიკრა.

— წვები, ვიქტორ?

— არა, ცოტას გავივლი. ქალაქში დღეს ცეკვებია და მინდა ცოტა ხნით შევიარო.

— ასე გვიან?

— სწორედ ახლაა გახურებული ცეკვა-თამაში.

— კარგი, ოღონდ გასაღები წაიღე და ძალიან არ დააგვიანო, დღეს მთელი დღე ფეხზე ჩამოწყდი.

— აბა, შენ იცი, კარგი დრო გაატარე, ვიქტორ. — მეუბნება ძალუა ედნა.

## IV

ზემოთ ავდივარ თუ არა, ტუალეტის მაგიდის სარკეში ვიხედები. მაგიდას სამსარკიანი კარი აქვს და თუ მოახერხებ, შეგიძლია ისე დააყენო, მარტო ანფასი კი არა, პროფილიც დაინახო. ამ ბოლო დროს ვამჩნევ, სახლშიც და გარეთაც ძალიან ხშირად ვიხედები სარკეში. არასოდეს ვიფიქრებდი, ქვეყნად ამდენი სარკე თუ არსებობდა. თანაც კიდევ მაღაზიის ვიტრინები, თუ ფარდებია ჩამოშვებული, სარკედ მშვენივრად გამოდგება. როცა სამსახურში ხელებს ვიბან, კიდევ ორ ხელს ვხედავ, რომლებიც ჩემს მოძრაობას იმეორებენ. თუკი კინოში მივდივარ, ათიდან ცხრა შემთხვევაში, შეიძლება ცხვირით შევეჯახო ჩემს ორეულს, რომელიც მოპირდაპირე მხრიდან ამოდის კიბეებზე (სიმართლე რომ ვთქვათ, მთლად ზუსტი ორეული არაა, რადგან იმისი მარჯვენა ხელი, ჩემი მარცხენაა). თუკი ღამით ავტობუსის ფანჯრიდან გავიხედავ, იქაც ჩემი ორეული შემომაჭყეტს თვალებს. არ გეგონოთ, ჩემ თავზე ძალიან შეყვარებული ვიყო და სულ იმას ვფიქრობდე, ეს რა ლამაზი ბიჭი ვარ-მეთქი. უბრალოდ, ვცდილობ, ჩემ თავს უცხო თვალით შევხედო და გამოვიცნო, რას ვფიქრობ იმ ჩემ ორეულზე. უფრო ხშირად მგონია, დი-

დი ვერაფერი შეილი ვარ, მაგრამ ყოველთვის ასეთი კი არა ვყოფილ-ვარ. იყო დრო, ფეხებზედაც არ მეკიდა, რანაირი ვიყავი, ან სხვებს მოვ-წონდი თუ არა. ახლა კი სულ სხვანაირადაა საქმე. ეს იმიტომ, რომ გო-გოებს დავუწყე ჭვრეტა და თანაც ძალიან მაგრად.

როცა სახლში ვიხედები სარკეში, აი, როგორც ახლა, არც ისეთი უშნო ბეჩვენება ჩემი თავი. რანაირადაც უნდა შემხედო და როგორადაც უნდა დამათვალიერო, უშნოს მაინც ვერ დამარქმევ. შეიძლება ლამაზი არ ვიყო, მაგრამ უშნოც არა ვარ. სახე ოდნავ კვადრატული მაქვს და როგორც წიგნებში წერია ხოლმე — გახსნილი, ფერი — მშვენიერი. (მადლობა ღმერთს, სხვა ბიჭებივით სახეზე მუწუკები, მეჭეჭები და ათასი სხვა უბედურება არა მაქვს.) აი, ის ნაჭრილობევი მარცხენა წარბ-თან. რელსს რომ დავკარი, მაინცდამაინც არ მიხდება, თუმცა ზოგჯერ მეჩვენება, რომ ვაჟკაცურ იერს მაძლევს. თმა კი მართლაც კარგი მაქვს: სქელი, მუქი. ოდნავ ხვეული, არაფრის წასმა არ მჭირდება, ისედაც ბრწყინავს. ერთი გადაივარცხნე, ხელით შეისწორე და მორჩა, მეტი არაფერია საჭირო. ასე რომ, თმის ჯავრი არ მაწუხებს. ყოველ ორ კვი-რაში ვაკრეჭინებ, ხანდახან შეიძლება ერთი-ორი დღე გადავაცილო. სიმაღლეში კი ერთი-ორი გოჯით მეტი რომ ვყოფილიყავი, არაფერი უჭირდა. მაგრამ არც ეგ მაწუხებს, რადგან ტანი კარგი მაქვს, მხარ-ბეჭიც განიერი, ასე რომ საბანაო კოსტუმის ჩაცმისა არა მრცხვენია. ჩაცმა-დახურვისაც გამეგება, ამაში ვერავინ შემომედავება. არ გეგო-ნოთ, ძალიან ძვირს ვიხდიდე, სამაგიეროდ, ვიცი კარგად სად კერავენ. შარვალი მუდამ გაუთოვებული მაცვია, ფეხსაცმელები სუფთა, პე-რანგს თუ საყელო ოდნავ გაუჭუჭყიანდა, იმ წუთში სარეცხში ვუკრავ თავს. თუ გინდათ ჩემ ბებერ დედიკოს ჰკითხეთ. ასე ამბობს, რაღა ერ-თი არმიის სარეცხი გქონია დასარეცხი და რაღა ვიქტორისაო.

აი, ასეთი გახლავთ ვიქტორ არტურ ბრაუნი, ოცი წლის ბიჭი, რო-მელიც მაინცდამაინც არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული და მა-შინვე უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, თუკი ორაზროვან ბინძურ ხუმრობას გაიგონებს. გინდა მომიწონეთ, გინდა დამიწუნეთ. რაცა ვარ, ესა ვარ. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს როგორი ხარ. რამდენიც გინდა იმდენი ლამაზი გოგო ისეთ ჯოჯო ბიჭებთან დადის, რომ არც ერთი თავმოყვარე გოგო ზედ არ შეაფურთხებს.

ანდა ტანსაცმელს რა ჭკუა აქვს? თუ წესიერად ჩაიცვი, გიჟი ჰგონი-ხართ. გოგოები კი ისეთ აბრანძულ-დაბრანძულ ბიჭებს ეხვევიან, იმ ბი-ჭების ადგილას რომ ვიყო, საკუთარ ეზოში გავლისა შემრცხვებოდა. ჰოდა, აბა რა ჯანდაბად მინდა კარგი ტანსაცმელი? მოკლედ, არაფრით

არა ვარ სხვა ბიჭებზე ნაკლები და მიკვირს ინგრიდი რატომღა უნდა ფიქრობდეს სხვანაირად. მაგრამ ასეთ დიდ გულხე მარტო ჩემ ოთახში ვარ. საკმარისია ინგრიდი დავინახო, რომ ჩემი თავი ურჩხული მგონია, რომელიმე სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმიდან.

სარკეს ვშორდები და დასაბანად სააბაზანოში შევდივარ. უცებ აზრად მომდის, კარგი იქნება ჯიმთან შევიდე და თავისი ახალი ჰალსტუხი ვთხოვო-მეთქი, აი ის ლურჯი, მოქსოვილი, გარდიგარდმო ზოლებიანი. ჯიმის ოთახის კარებიდან შუქი გამოდის, თვითონ ჯიმი საწოლში ზის, ხელში ფანქარი უჭირავს, წიგნი კი მუხლებზე უდევს. უჯრიდან ჰალსტუხს ვიღებ.

— მათხოვე, რა...

პასუხად რაღაცას ბურტყუნებს. არა მგონია, უარს მეუბნებოდეს. სარკესთან მივდივარ, (ისევ სარკე!) და ჰალსტუხის გაკეთებას ვიწყებ.

— ჩემ დღეში არ მინახავს, კაცი ასეთი დიდი ამბით იკეთებდეს ჰალსტუხს. — მეუბნება ჯიმი ცოტა ხნის შემდეგ.

— რა ამბით?

— რა და იგრიხები, ტრიალებ და იმანჭები. გამოკვანძე და შორჩა.

— ეს უინძორული კვანძია. — ვეუბნები, ჰალსტუხს ვისწორებ და საყელოზე ხელს ვისვამ. — უინძორული კვანძი ლამაზიცაა და დიდხანსაც ძლებს.

— სამაგიეროდ, მე რომ გაკეთება მომინდეს, ჰალსტუხი დაჭმუჭნული იქნება.

— როგორ, შენ ამასაც აქცევ ყურადღებას?

— მმმ. — რაღაცას ბუზღუნებს და ისევ წიგნში რგავს ცხვირს.

— კარგი ჰალსტუხია.

ჯიმი ხმას არ იღებს.

— თუ გინდა, შომყიდე.

— რა?

— ჰალსტუხი. გინდა გაყიდო?

— მე არ მიყიდია, დედამ მაჩუქა.

ისევ სარკეში ვიხედები. მართლაც რომ მშვენიერი ჰალსტუხია. ჯიმისთვის კი სულ ზედმეტია, იმიტომ რომ ჯიმი ტანსაცმელს არაფრად დაგიდევს.

— ნახევარ კრონს მოგცემ.

— ეგ უფრო ძვირი ღირს.

— შენ ხომ არ გიყიდია?

— მით უმეტეს, როგორ უნდა გავყიდო, თუ არ შიყიდია?

— მაგრამ ნახევარი კრონი ხომ უფრო გირჩევნია? — ვეკითხები და სარკეში ვიხედები. ჩვენ ჯიმს ჯიბე მუდამ ცარიელი აქვს, იმიტომ რომ ან სულ რაღაც სისულელეებს ყიდულობს, ან ფულს აგროვებს, რომ მერე სწორედ ეს სისულელეები იყიდოს — ზღვის გოჭები, კურდღლები, მარკები კოლექციისათვის და ათასი სხვა რამ.

ჯიმი თვალს არ მაშორებს. გონებაში რაღაცას წონის.

— იცი რა, მოდი, როცა მოგინდება, გაიკეთე, მაგრამ თითო გაკეთებაზე სამი პენსი მომეცი. დღეს უკვე სამი პენსი გმართებს.

— რა მრჯიდა, რომ ეს ლაპარაკი წამოვიწყე. ვყოფილიყავი ჩემთვის გაჩუმებული. — ვამბობ და ჯიბეებში ვიქექები. — ხურდა არა მაქვს. აი, ერთი შილინგი.

— კარგი, სამაგიეროდ შეგიძლია სამჯერ უფასოდ გაიკეთო.

საწოლზე შილინგს ვუგდებ.

— შენ, ჩემო ძმაო, ჯობია მედიცინაზე დრო არ ხარჯო და ასეთ საქმეს მოკიდო ხელი. სანამ ოცდაათის გახდები, მილიონი გექნება. — მერე ახლოს მივდივარ და ვეკითხები: — აბა, ერთი კარგად შემომხედე, გასაპარსი ხომ არა ვარ?

— აღდგომამდე იქნებ ცოტა ამოიწვეროს, მაშინ გაიპარსე.

— რასა ბრძანებ? ახლა უკვე ყოველდღე ვიპარსავ.

— რა ვიცი, თუკი არ გეზარება... რაო, სადმე მიდიხარ?

— ცეკვაზე.

— ასე გვიან?

საათს ვუყურებ.

— ათს თხუთმეტი აკლია. ჯერ ადრეა, ჩემო კარგო.

— ნეტავი შენ, რომ ამ შუაღამისას არ გეზარება იმ დახუთულ ოთახში მუჯლუგუნების კვრა და იმ ვითომდა ჯაზის მოსმენა.

— შენ საქმეს მიხედე და ლათინურს დააწექი.

— რა იცი რომ ლათინურია?

— ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ „ქალბატონო, უკან არ მოიხედო“ არ იქნება.

— ეგ რაღა არის?

— მაგის მნიშვნელობა არა აქვს.

— ისე, თუ გინდა იცოდე, მათემატიკაა და რადგან აქა ხარ, ბარემ რაღაცას გკითხავ, კარგად ვერ გავიგე.

— შაინც ვერ გიშველი. ჩემთვის მათემატიკა და ჩინური ერთი და იგივეა, — ვეუბნები და მიხარია, რომ მოსწრებული ნათქვამი გამომივიდა.

— ჰა, როგორი ნათქვამია: „ჩემთვის მათემატიკა და ჩინური ერთი და იგივეა“.

— ჰა, ჰა, ჰა! — ირონიულად იცინის ჯიმი. — მართლაც რომ სასაცილოა, ვიკ, ჩვენი ბებერი კარტრაიტი ამას წინათ გამიჯავრდა და მითხრა, ვიკ ბრაუნის ძმისაგან უკეთეს ნიშნებს მოველოდიო.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე სარკეს ვშორდები.

— ეგრე თქვა? ჩვენმა ბებრუცანა კარტრაიტმა? აი, მაგას კი ვერ დავიჯერებ.

— ღმერთმანი, ეგრე თქვა. — ამბობს ჯიმი, — ფრანგულის გაკვეთილზე არ ვამხელ, რომ ჩემი ძმა ხარ, მაგრამ ჩვენ ბებერ კარტრაიტს, როგორც ჩანს, ძალიან ჭკვიანი ჰგონიხარ.

— ჯანდაბას ფრანგული. ნეტავი ვის რაში სჭირდება?

საწოლთან მივდივარ და ჯიმის სახელმძღვანელოს ვიღებ.

— აბა, რა გაგჭირვებიათ, ყმაწვილო? — ვეკითხები, და ვცდილობ კარტრაიტივით ვიბურტყუნო.

— აი, — ჯიმი თითით მიჩვენებს წიგნში, — ეგ ვერ გამოვიყვანე. ნახევარი საათია ვეწვალები. მგონი, წიგნში შეცდომაა.

— არა შგონია, სახელმძღვანელოებში შეცდომებს არასოდეს წავწყდომივარ. — შემოწმებას ვიწყებ და ჯიმის ნამუშევარში შეცდომას მაშინვე ვპოულობ. წიგნს ისევ ლოგინში ვუგდებ და ვეუბნები: — აბა, სინჯე და ეს ბოლო განტოლება შეაბრუნე.

ჯიმი წიგნს დასცქერის.

— ფუი, დასწყევლოს ღმერთმა, როგორ ვერ მოვისაზრე.

— ჰოდა, ასეთ პატარა რამეს ვერ მოისაზრებ გამოცდაზე და ორიანიც მზად არის.

— ჰო, კარგი, ბატონო, ჭკვიანი ბრძანდებით, გავიგეთ.

ნიკაპზე ხელს ვისვამ, მეჩვენება, რომ წვერი ხელისგულზე მიფხაჭუნებს.

— სულ ერთია, გაპარვას მაინც ვერ მოვასწრებ, ისედაც გვიან არის.

— არ მოგიცდის?

— ვინა?

— ვინა? — იღრიჭება ჯიმი. — ვინა და, ბრიჯიდ ბარდო, სხვა ვინა?

ერთ წუთს მგონია, ჯიმმა ყველაფერი იცის-მეთქი. მაგრამ მაშინვე ვმშვიდდები, იმიტომ რომ ჩემს გარდა დედამიწის ზურგზე, არავინ არაფერი იცის. იმანაც კი არ იცის, მალე კი გაიგებს, ძალიან მალე.

გარეთ ცივა, ცა მოკრიალებულია, ნამდვილი, კარგი ზამთრის ამინდია. დილით ცა ისე იყო მოქუშული, თოვლი მოვა-მეთქი, მეგონა, ახლა კი ვარსკვლავებით არის მოჭედილი და გვარიანადაც ყინავს. ცოტა ხანს ამინდზე ვფიქრობ. ფეხით მივდივარ, ცივა და ავტობუსის ლოდინს ფეხით სიარულს ვამჯობინებ. მალე აღმართში ამავალი ავტობუსის ქშენა მესმის, თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ და მეორე გაჩერებაზე ვეწევი. ქალაქამდე სამ პენსს ვიხდი და ბილეთს ვიღებ. ზემოთ არავინ არის. უკან ვჯდები და ვიწყებ შიშველი და ნახევრადშიშველი ქალების სურათების თვალიერებას ჟურნალში, რომელიც ვილი ლომასმა მათხოვა საშობაო უქმეების წინ. ჟურნალს „Chér.e" ჰქვია და საფრანგეთშია გამოცემული. ყდაზე ერთი კარგი გოგოა დახატული. მარტო სარტყელი უკეთია და შავი ნეილონის წინდები აცვია, მეტი არაფერი, თანაც, აი, ისე. რაღაცნაირად იყურება. „კარგი რამეა" — მითხრა ვილიმ და მართალიც იყო. ფრანგებს ძალიან ეხერხებათ ასეთი ჟურნალებისა და წიგნების გამოშვება. სული გეპარება, როცა ამისთანა გოგოებს უყურებ. ერთ-ორ ჩიტუნიას მარტო საცვლები აცვია ანდა ნეილონის ღამისპერანგები. ისე რომ, ოდნავ აქვთ ტანი დაფარული, სწორედ იმ ზომამდე, თქვენმა ფანტაზიამ რომ ფრთები თავისუფლად გაშალოს. ზოგი კი ისეა, ფანტაზია აღარც გჭირდება. რაღაც წარწერებიც აქვს და გული მწყდება, რომ სკოლაში ფრანგულს წესიერად არ ვსწავლობდი. ეს წარწერები თუ ამ სურათებს შეეხება, ძალიან კარგი რამე უნდა იყოს. როცა ამისთანა გოგოებს ვუყურებ, ჩემ თავს მილიონჯერ ვეკითხები, ნეტავი იმ საქმეში როგორები არიან-მეთქი. მაგრამ, აბა, როგორ გამოვარკვევ? ამისთანა გოგო უბრალოდ ახლოს რომ მომეკაროს, შიშისაგან სული გამძვრება.

ყველაზე უცნაური ის არის, ინგრიდზე არასოდეს ასეთნაირად არ ვფიქრობ. იმიტომ კი არა, რომ შეუხედავი იყოს, პირიქით, თითქმის ყველაზე ლამაზიც კია ჩემ ნაცნობ გოგოებში. მაგრამ ინგრიდზე ყოველთვის სუფთად, ნაზად და ლამაზად ვფიქრობ. ერთი იმის ლოყაზე შეხება, სხვა გოგოებთან ხვევნა-ალერსს მირჩევნია.

საკმარისია ინგრიდზე დავიწყო ფიქრი, რომ ამ ქვეყნად სხვა ყველაფერი მავიწყდება. აი, ახლაც, ჩემ გაჩერებას გავცდი და უკან ფეხით შოვჩანჩალებ.

ილინგუორთის ქუჩას მივყვები და თანდათან კარგ გუნებაზე ვდგები. მშვენიერი კოსტუმი მაცვია, სუფთა საცვლები, თმა კოხტად გაკრეჭილი და დავარცხნილი, ფეხსაცმლის ქუსლებს ტროტუარზე ბაკა-ბუკი გააქვთ და ეს ხმა რატომღაც მამხნევებს. ახლა ცეკვებზე შესვენება იქ-

ნება. იქვე „ვერძის თავში“, პატარა სამიკიტნოში შევდივარ, რომ გასამხნევებლად ერთი ჭიქა ლუდი გადავკრა და თან ვნახო, ჩვენი ბიჭები იქ ხომ არ არიან. სამიკიტნო ხალხითაა გატენილი, როგორც ეტყობა, ცეკვებზე მართლაც შესვენებაა და მთელი ხალხი აქ მოსულა. მოსაწევ ოთახში, ბარის უკან ორკესტრანტები ტრიალებენ, ტანზე ჩალისფერი, მოდური ქურთუკები აცვიათ, ყელზე კი—ყავისფერი ბაფთიანი ყელსახვევები გაუკეთებიათ. ერთ კათხა ლუდს ვიღებ, ხალხს ვათვალიერებ და უცებ ვილი ლომასს ვამჩნევ, კუთხის მაგიდასთან მიმჯდარა და ხელს მიქნევს. იქითკენ მივდივარ. ლომასთან რომ ბიჭია, ჰარი... (გვარი არ მახსოვს) განზე იწევს და ადგილს მითმობს. ბიჭებს პალტოები არ აცვიათ და ვეკითხები, ცეკვებზე ხომ არ იყავით-მეთქი. თანხმობის ნიშნად თავს მიქნევენ, მერე ვილი მეუბნება, იმდენი ხალხია, ფეხისმოსაკიდებელი ადგილი არ არისო. ლომასი, როგორც ყოველთვის, ძალიან მხიარულად გამოიყურება. მგონი უბრალოდ სახე აქვს ასეთი — ჩამოგრძელებული და თეთრი, გეგონება კლოუნისაო. თმა, კუპრივით შავი და კარგად გაპრიალებული ფეხსაცმელივით ლაპლაპა, უკან გადაუვარცხნია. ვილი ფეხს მაღლა წევს და ჩამოხეულ შარვალს მიჩვენებს.

— ჩქარ ფოქსტროტს ვცეკვავდი და ის იყო ფეხი გამოვწიე, ვილაც გოგომ ქუსლი გამომდო, კინაღამ იატაკზე ზღართანი მოვადინე.

— კარგი გოგოები თუ არიან? —ვეკითხები.

— ვინც ყოველთვის დადის ხოლმე, — მეუბნება ჰარი, მაგრამ ეგ სულაც არ მაინტერესებს, თუმცა სულერთია, ესენი ინგრიდს მაინც არ იცნობენ.

— მომღერალი გოგო კი კარგი ჰყავთ. — ამბობს ვილი.

— ფრთხილად, ყელზე არ დაგადგეს. — ეუბნება ჰარი.— მაგისთანა გოგოსთვის ჯერ მარტო წინდების ყიდვას ვერ აუხვალ.

— ვიოცნებებ რა... ოცნებაში ფულს ხომ არ მართმევენ? — ამბობს ვილი.

— მაინც არაფერი გამოგივათ, გათხოვილია, — ვეუბნები.

— რა იცი? — მეკითხება ვილი.

— რა ვიცი და ბრმა რომ ხარ. ვერა ხედავ, საქორწინო ბეჭედი უკეთია?

— ზოგჯერ მგონია, გაუთხოვრებს ისევ გათხოვილები სჯობია... იციან მაინც, რა გინდა და ბევრი იწილო-ბიწილო არ არის საჭირო. — ამბობს ჰარი.

—მე კი მგონია, ვერაფერი სასიამოვნოა, სულ იმის შიშში იყო, არიქა, ქმარმა არ მომისწროსო. — ამბობს ვილი. — გაუთხოვარს რა სჯო-

ბია? ნახე ერთი პატარა ქალწული, ასწავლე რაღაც-რაღაცეები და ბოლოს მადლიერიც კი დაგრჩება, რომ გააგებინე რაშია სიცოცხლის სიხარული.

ვილი თავგამოდებული ბაქიაობს, ჰარი ეშმაკურად მიკრავს თვალს, მე ვზივარ და გულში ჩუმად მეცინება.

— მთელი უბედურება იმაშია, — ამბობს ვილი, და კათხიდან ლუდს წრუპავს, — რომ რომელი გოგოც კი მომეწონება, ან უკვე გათხოვილია ან ვინმესთან დადის. ამას წინათ ერთი გოგო გავიცანი „ტროკადეროში.“ ღმერთივით გოგო. თანაც სახეზე ეტყობოდა, არაფერზე უარს არ მეტყოდა, დიდი-დიდი შემწვარ კარტოფილზე და თევზზე დამეპატიჟებინა. გრინფორდამდე შივაცილე, ორი მილი მატარა ფეხით. ის იყო მაღაზიის შესასვლელში უნდა მიმემწყვდია, ცოტა ხელი მიმესვ-მომესვა, და თანაც პაემანზე დამეყოლიებინა, რომ იმ ქალბატონმა ძალიან შორს დაიჭირა, ჩემს საქმროს ეწყინებაო. გესმის, რა მითხრა? ჩემ საქმროსო. ოთხი შილი კი ფეხით მათრია.

გულიანად ვიცინი. ვილიზე მე ჩემი შეხედულება მაქვს. დარწმუნებული ვარ, ერთ ვინმე ქუჩის ქალს შეირთავს, ექვსი ფუტის სიმაღლისას, თანაც პაკჰაუზის კედელივით ულაზათოსა და შეუხედავს. მერე მთელი სიცოცხლე იმის კაბის კუდზე იქნება გამობმული.

—ღმერთმა დასწყევლოს ქალები. — როგორც ჩანს, ჰარისაც რაღაც აწუხებს. — ამ ცოტა ხნის წინათ ერთ გოგოსთან დავდიოდი. მთელი წელი ვხვდებოდი, იმასაც კი ვფიქრობდი, დავნიშნავ-მეთქი თვითონაც სულ იმას ჩაჩჩიჩინებდა, დავინიშნოთ და დავინიშნოთო.

— რას ამბობ, დანიშვნაზე ჩემ დღეში არ მიფიქრია. — ამბობს ვილი. გულში მეცინება, წარმოვიდგინე ჩემს მიერ დახატული ქუჩის ქალი, ვილის რომ ჰყავს ჩასაფრებული და საცაა ქეჩოში ჩასწვდება.

— მე კი უარს ვერ ვეუბნებოდი, ისე დამასუსტა თავისი ჩიჩინით. ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ გულს ნუღარ გამიწყალებდა. მერე ერთ შაბათ-კვირას უორინგტონში წავიდა თავისი ბიძაშვილის სანახავად იქიდან მოყოლებული ყოველ შაბათ-კვირას იქ დადიოდა, ვიღაც იანკის გადაეკიდა და მიმატოვა.

— მაშ როგორ გეგონა? მუნდირი და ფულები. აბა, იმათთან ჩვენ სად მოვალთ, — ამბობს ვილი.

— მიდით და ავტობუსზე დაიწყეთ მუშაობა კონდუქტორებად. — ვეუბნები და ვგრძნობ, აქ კიდევ ცოტა ხანს რომ დავრჩე, მეც ცუდ გუნებაზე დავდგები. ისედაც თავგზა მებნევა ინგრიდის გახსენებაზე.

სამიკიტნოში სიწყნარეა. აქეთ-იქით ვიხედები და ვხედავ, ჯაზის ბი-

ჭები უკვე წასულან, ალბათ შესვენება დამთავრდა. მე კი ტყუილად ვაცდენ დროს.

— ჰო, მართლა, ვილი... — ჯიბიდან ფრანგულ ჟურნალს ვიღებ, ყდაზე დახატულ ტიტლიკანა გოგოს ხელს ვაფარებ, ვილის ვაწოდებ და გმადლობთ-მეთქი, ვეუბნები.

ვილი ჟურნალს ჯიბეში ჯადოქარივით აუჩინარებს.

— როგორ მოგეწონა, ვიკ?

— კარგი რამეა. ერთ-ორ გოგოს მანდედან რომ უფრო ახლოს გავცნობოდი, არ შაწყენდა.

— შენ ეგა თქვი, — ამბობს ვილი. — ბიჭი არ ვიყო, თუ გაისად პარიზში არ მოვუსვა. ეშმაკს წაუღია ეს ჩვენი ბლეკპული. აი, ნახავ, თუ არ წავიდე.

— რაო, ხომ არა გგონია იქ ქალები ქუჩაში შიშვლები დასეირნობენ? — ეკითხება ჰარი.

— რა თქმა უნდა, არა, — ამბობს ვილი, მერე მაგიდაზე წინ იხრება და ჩურჩულით მეუბნება:— მაგრამ ეს კია, თურმე ზოგი გოგო მოდის ქუჩაში, ჩვეულებრივად, პალტოჩაცმული, ახლოს მიხვალ თუ არა, პალტოს იხსნის— ქვეშ კი თურმე არაფერი აცვია.

მე შეცინება, ჰარი კი ამბობს:

— რას მიჰქარავ!

— არაფერსაც არ მივქარავ. ერთ ბიჭს ვიცნობ, წარამარა პარიზში დადის. ძალიან უყვარს აქეთ-იქით სიარული. იმას რომ გოგოები ჰყოლია, არც ერთ დედალ კატას იმდენი ხვადი არ ეყოლებოდა. თანაც პარიზში თურმე ყოველ ნაბიჯზე საროსკიპოებია, სახელმწიფო ხარჯზე. ყველაფერი აშკარად. შედიხარ, ფულს იხდი და ქალს ირჩევ. რა იქნებოდა ერთი-ორი კრესლიშიც რომ გვქონოდა? მაშინ ცეკვებზე კი აღარ ავეტორღიალებოდით გოგოებს. მიდი და ინებე, ბატონო, რაც გინდა და როცა გინდა.

— მაგაზე მეც თანახმა ვარ, ვილი, — ეუბნება ჰარი, — მაგრამ პარიზში წასვლა კი ცოტა შეგაგვიანდა. ეგ შენი საროსკიპოები კარგა ხანია მიაკეტეს.

— რაო? შენ რა იცი?

— ამას წინათ წიგნში წავიკითხე. ომის შემდეგ გააუქმეს.

— გააუქმეს და გააუქმეს. — ცოტა არ იყოს გაწბილებული ამბობს ვილი. — მაგრამ სულ ერთია, გოგოებს, ალბათ, იქ მაინც უფრო ადვილად იშოვი.

— ცოტა ფრთხილად იყავი, ისეთი რამე არ აიკიდო, ბერე მოშორება გაგიჭირდეს. — აფრთხილებს ჰარი.

— მაგისთვის, ძმაო, მეცნიერება არსებობს.

— შენ რა, ხომ არ ფიქრობ ქუჩის ქალებს მეცნიერებისა რამე გაეგებათ?

როგორც ვატყობ, ჰარი და ვილი აქედან წასვლას არ აპირებენ.

— რაო, მიდიხარ, ვიკ? — მეკითხება ვილი. — მოდი, წასვლამდე ერთი კიდევ გადაჰკარი.

უარს ვეუბნები. ერთი სული მაქვს, სანამ ცეკვაზე შევიდოდე და ინგრიდს ვნახავდე. თუმცა, დიდი მსმელი ისედაც არა ვარ. ვილის ერთი ლუდის სახდელი ქარხანა ვერ მოპირავს, მე კი ერთი კათხა თავსა მდის.

— აბა, ნახვამდის, მერე განახავთ. — ვეუბნები. ორივენი მემშვიდობებიან და პარიზელ „იმნაირებზე“ კამათს განაგრძობენ. გზაზე პირში პიტნიან საღეჭ რეზინს ვიდებ, რომ ლუდის სუნი გამიქროს. შესასვლელთან სამ შილინგს ვიხდი. მერე პალტოს ჩამოსაკიდებლად გასახდელში შევდივარ. ვიღაცას ზომაზე მეტი უყლაპია და ახლა საპირფარეშოში თავგამოდებული მღერის, მსახურს ცალი ყური იქით აქვს, ეტყობა ფიქრობს გააგდოს თუ არა. თმას ვივარცხნი, ჰალსტუხს ვისწორებ და შაღლა ავდივარ. მძიმე კარს ვაღებ და ცხვირპირით ოფლის, ოდეკალონისა და კვამლის ზღუდეს ვაწყდები. ჰაერი ისეთი სქელი და მძიმეა, ლამის დანით დაიჭრას. ერთ წუთს სუნთქვაშეკრული ვჩერდები, მაგრამ მერე წინ მივდივარ, იქნებ როგორმე შევეჩვიო, თანაც ვცდილობ ღრმად არ ვისუნთქო.

ვილის მართალი უთქვამს. იმდენი ხალხია, ნემსი არ ჩაიგდება. მუჯლუგუნების კვრით, დიდი გაჭირვებით მივიკვლევ გზას კუთხისაკენ.

გზაზე ერთმა წყვილმა, რომელიც რაღაც საკუთარ საომარ ცეკვას ასრულებს, ლამის იატაკზე წამაქციოს. ბიჭს მუქი მწვანე ხავერდის ქურთუკი და ყვითელი კუბოკრული პერანგი აცვია უჰალსტუხოდ. შავი შარვლის ტოტები ალბათ თოთხმეტი გოჯის სიგანე თუ იქნება. გოგო, მასთან რომ ტლინკაობს, ერთი უშნო ვინმეა: ცარიელა წამწამები და გათხუპნული ტუჩები. სახეზე ისეა გადაფითრებული, მიცვალებული გეგონება. შავი სვიტრის ქვეშ ძუძუები ბურთებივით აქვს გამობზეკილი. ეტყობა აზღუდი ისე უჭერს, სუნთქვა ეკვრის. ბიჭი სწორედ მკერდზე მიშტერებია, წელში სამად მოკაკულა და საბერველივით ქმინავს. ამ საცეკვაო დარბაზის შესვეურებს მეტისმეტად გადარეული ჯაზები, როკ ენდ როლი და ამისთანები არ მოსწონთ. ამის შესახებ კედლებზე განცხადებებიც არის გაკრული. მალე საიდანღაც ადმინისტრატორი

მოდის, ბიჭს მხარზე ხელს ადებს და რაღაცას ეუბნება. ორივენი ადმინისტრატორს გამანადგურებელ მზერას სტყორცნიან და სწრაფ ფოქსტროტზე გადადიან. ამის ცეკვა კი ნებადართულია.

ინგრიდი არსად ჩანს, თითქმის ნახევარი საათია რაც აქა ვარ და ორკესტრს ვუსმენ. მოყვარულების კვალობაზე, არც ისე ცუდად უკრავენ. უცებ აზრად მომდის, დარბაზს რომ გარშემო შემოვუარო, იქნებ ვიპოვო-მეთქი. გოგოს ვირჩევ. საცეკვაოდ გავდივარ. შორიდან შესახედავად არა უშავს რა, მაგრამ ახლოდან ისე ყარს, როგორც ამძაღებული ქონით სავსე კასრი. ერთი სული მაქვს ცეკვას როდის მოვრჩები. ამ ქვეყნად აყროლებულ გოგოზე უფრო არაფერი მეჯავრება. აივანზე ავდივარ, აქედან ყველას ვხედავ, იმათ გარდა, ვინც კარებთან დგას. ამასობაში ორკესტრი ნელი ვალსის დაკვრას იწყებს, შუქი თანდათან კლებულობს, მარტო ჭერზე ჩამოკიდებული სარკის წახნაგებიანი ბურთი ტრიალებს ნელ-ნელა და მისგან არეკლილი შუქი ხან ერთს ეცემა ხან მეორეს. როგორ მინდა ამ წუთში ინგრიდი მყავდეს გულზე მიკრული და ვცეკვავდე. როდესაც ნელ ვალსს ვცეკვავ და შუქიც მიმქრალია, ასეთ რომანტიულ გუნებაზე ხშირად ვდგები ხოლმე. მაგრამ ინგრიდი აქ არ არის, ამაში უკვე დარწმუნებული ვარ. მოსვლით კი ასე გვიან აღარ მოვა. მთლად გამოცარიელებული და იმედგაცრუებული ვარ. იქნებ „ტროკადეროში“ წავიდა-მეთქი, ვფიქრობ. ანდა იქნებ ზის თავისთვის სახლში და ტელევიზორს უყურებს, ანდა შეიძლება სძინავს კიდეც. სიგარეტს ვუკიდებ და ვუცდი, ვიდრე შუქი ისევ აინთება. უკანასკნელად ვათვალიერებ ხალხს, არ მინდა რომ იმედი გამიცრუვდეს. დაბლა ვილისა და ჰარის ვხედავ, მაგრამ ამ საღამოს მათთან ყოფნა სულაც არ მინდა. გასახდელში ჩავდივარ, პალტოს ვიღებ და სახლში მივდივარ. ავტობუსები ასე გვიან აღარ დადიან და შინ ფეხით მიწევს წასვლა.

## თავი მეორე

### I

შობის დღესასწაული დამთავრდა, ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და დილაობით, ავტობუსის ზედა სართულზე ისევ ძველ მგზავრებს ვხედავ. უმეტესობას გაზეთებში წაუყვია ცხვირი და ვინ რომელია ვერც კი გაარჩევ. მაგრამ ერთი-ორი ისეთია, ვერავისში შეგეშლება. დაღმართში, მეორე გაჩერებაზე ერთი ტიპი ამოდის, ძალიან ჰგავს

სკვაირს[1]. სკელი, ხაოიანი ტვიდის კოსტუმი აცვია, ფარფლებჩამოშვებული, დაწინწკლული ქუდი ახურავს და იღლიაში „დეილი ტელეგრაფის" მაგივრად სანადირო თოფი რომ ჰქონდეს ამოჩრილი, უფრო შოუხდებოდა. როგორც კი ამ კაცს სახეზე შევხედავ, მაშინვე ფორთოხალი მაგონდება—ისე აქვს სახე წვრილ-წვრილი ძარღვებით დაქსელილი. ცხვირი კი იმისთანა უზარმაზარი და პრიალა ადევს, გეგონება ყოველ დილით, გაპარსვის წინ, იძრობს და მერე ისევ იკეთებსო. ეს ყმაწვილი სუფთა ჰაერის გიჟია, და როცა მგზავრები კიბეზე მისი ფეხსაცმელების ბრაგუნს გაიგონებენ ხოლმე, თავიანთ ადგილებზე ჩუმად მიიყუჟებიან. ჩვენი სკვაირი სულ ერთს და იმავე ადგილას ჯდება, ავტობუსის შუაში (მაგრამ თუკი ვინმე უცხომ, რომელმაც ეს ამბავი არ იცის, მისი ადგილი დაიკავა, იცოცხლე, თვალებით შეჭამს). რომელ ფანჯარაზეც ხელი მიუწვდება, ყველას აღებს და ავტობუსში ისეთი ქარბორბალა დატრიალდება ხოლმე, ლამის ქუდები მოგვტაცოს. ქარში, წვიმაში, ნამქერში, თოვლში — სულ ერთია, ფანჯრები მაინც უნდა დააღოს, ალბათ, მის ცხოვრებაში ყველაზე უბედური ის დღე იყო, ღია ავტობუსები რომ გააუქმეს.

მე ამ ტიპს „ბლადნოკი" შევარქვი, არის ასეთი პერსონაჟი ერთ საესტრადო წარმოდგენაში. ისე კი, კაცმა რომ თქვას, თუ კარგად შეიფუთნები, ამ კაცის ატანა შეიძლება. ყბედების გაძლება უფრო ძნელია, აი, ვის უნდა ერიდო. ბლადნოკის შემდეგ გაჩერებაზე ერთი მოლეული ბებერი ამოდის ხოლმე. ამოვა და გვერდით მომიჯდება, გეგონება ძველი ძმაკაცები ვიყოთ. ამ ბებრუცანამ ყველაფერზე თავისი აზრი უნდა გამოთქვას, თანაც მეტად მხიარული ვინმე ბრძანდება. სწორედ ამიტომაა რომ ყველას გულზე გვეხატება.

აჰა, ამ დილითაც გვერდით მომიჯდა.

— ესეც შენი უქმეები. მთელი წელი ელოდები და ხელად კი გაგიფრინდება ხელიდან. — მისი ხმა მთელ ავტობუსს ესმის, გეგონება ყელში მიკროფონი ჩაუდგამთო. ბებრის ხმის გაგონებაზე ჩვენი ავტობუსის ყველა მუდმივი მგზავრი გაყინულ გამომეტყველებას იღებს.

— ჰო, ეგრეა. — ვეუბნები. ყველაფერში უნდა დაეთანხმო, თორემ თუ საკამათოდ გამოიწვიე, შენი საქმე წასულია.

ცოტა ხანს ჩიბუხს უტრიალებს, მერე ანთებს და კვამლის საფარში მხვევს. თამბაქო თურმე თვითონ მოჰყავს. ყველას ამას ეუბნება ხოლმე და ხელის გულზე დაფშვნეტილ ყვითელ ფოთლებს უჩვენებს. მე რომ

---

[1] მემამეჯე.

მკითხო, თამბაქო კი არა, მთელი დღე მზეზე გაფიცხებულ ცხენის ნაკელს უფრო გავს. არავინ არ ეკამათება, იმიტომ რომ, არა მგონია რომელიმე იცნობდეს ისეთი ჯიშის თამბაქოს, ასე რომ ყარდეს.

აი, ეს ტიპი ჩიბუხს რომ გააბოლებს ხოლმე, მაშინა ვართ ბლადნოკისა და მისი გაღნიოშებული ფანჯრების მადლიერი.

— საკმარისია სულ ნახევარი საათი იყო სამუშაოზე და უკვე ისე გეჩვენება. თითქოს არასოდეს დაგისვენია. — მეუბნება ჩემი მეზობელი და თან ჩიბუხს ქაჩავს. ალბათ ეგა და თავისი ჩიბუხი ერთად დაბერდნენ, იმიტომ რომ ჩიბუხს თავი ცალ მხარეს სულ ჩამწვარი აქვს, ტარს კი გარშემო საიზოლაციო ლენტი აქვს შემოხვეული. ალბათ ან ძალიან უყვარს ეს თავისი ჩიბუხი და გადაგდება ენანება, ანდა ძუნწია და ახლისათვის ფულს ვერ იმეტებს. უფრო ძუნწი უნდა იყოს. მაგნაირ კაცებს, საერთოდ, ხელიდან კაპიკს ვერ გააგდებინებ.

— ჰო, ეგრეა, — ვეუბნები.

— არ მესმის, რისთვის ვიცხელებთ თავს ამ შობის დღესასწაულისათვის. — ისე გაჰყვირის, რომ მთელ ავტობუსს ესმის. — ხალხს რელიგიისა არაფერი სწამს. ნამდვილი გრძნობა არ გააჩნია. მაიმუნობაა და მეტი არაფერი. მედუქნეებს კი მოსწონთ. მაგათ რა უქირთ? რაცა აქვთ და არა აქვთ, ყველაფერს ასაღებენ. დანარჩენები კი სასმელ-საჭმელით იბერებიან და მერე ტელევიზორს უყურებენ... მაიმუნობაა-მეთქი, გეუბნებით.

ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს, ცხვირს ხმაურით იხოცავს და პატარა თეთრ ულვაშებს იწმენდს. ჯიბეში ჩადებამდე ცხვირსახოცს გულმოდგინედ ათვალიერებს.

— მართალი რომ გითხრათ, მეც არ მიყვარს ეკლესიაში სიარული. ახლანდელი ეკლესია პირმოთნეობისა და მოტყუების მეტი არაფერია. ჩვენი მღვდლები კი რაღა მღვდლებია — წვრილფეხობა, თანაც მატყუარები და პარაზიტები. ცხოვრობენ თავისთვის არხეინად. კარგად იციან, არავინ ხელს არ ახლებს, ვიდრე ჩუმად იქნებიან და ზოგიერთებს, ვინც ღირსია, ქადაგების დროს არ შეაჩვენებენ.

— ჰო, ეგრეა.

— ანდა ეს ტელევიზორი. არავითარ შემთხვევაში არ ვიყიდი. ცოლი ჩამციებია, იყიდე და იყიდეო. მე კი ვეუბნები, თუ ბევრი გაქვს, იყიდე, მაგრამ რა დღესაც სახლში ტელევიზორი გაჩნდება, იმ დღიდან ჩემი ფეხი აქ აღარ იქნება-მეთქი. ღმერთმანი, არ ვიცი, სადამდე შეიცალთ. მთელი ქვეყანა შეშალა ამ ტელევიზორმა. ყველა. დიდიან-პატარიანად.

მოხსნა პირი გუდას ამ ჩემმა ბებერმა, გაბა და ლაქლაქებს... მაგრამ ამ დილით მისი ყბედობა ისე არ მაშინებს, ვზივარ ჩემთვის ჩუმად და ინგრიდზე ვფიქრობ. დღეს უეჭველად უნდა გამოველაპარაკო. არ ვიცი, როგორ, მაგრამ აუცილებლად გამოველაპარაკები. უკვე ორი წელია ერთმანეთს ვესალმებით, მაგრამ შობამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე შევამჩნიე რა მშვენიერი გოგო ყოფილა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი ცხვირწინ მყავდა. ახლა კი იქამდე ვარ მისული, უეჭველად რამე უნდა ვიღონო. ბეტი გზა არ არის. სამწუხაროდ, არც ვიცი, მივაღწევ კი რამეს? იმისთვისაც რამეს წარმოვადგენ თუ ერთი უბრალო ჯიბეცარიელი მხაზველი ვარ, რაღაც გროშებს რომ იღებს? ეს კია, ვერასოდეს ვერ გავიგებ ინგრიდი ჩემზე რას ფიქრობს თუ როგორმე არ დაკუაბლოვდი. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, უბრალოდ მაინც უნდა გამოველაპარაკო.

ავტობუსის გაჩერებაზე დილის გაზეთს ვყიდულობ და ქუჩის მეორე მხარეს გადავდივარ, რომ მეორე ავტობუსს დაველოდო. თითქმის შუაგზამდე ვარ მისული, რომ რიგში ინგრიდს ვხედავ. ჩემს გარშემო მყოფი ხალხი თითქოს სადღაც ქრება, მე მარტო ვრჩები, ქუჩის მეორე მხარეს კი რიგში მდგომი ხალხი მომჩერებია, მე კი ინგრიდზე ვფიქრობ და ასე მგონია, ყველაფერი, რასაც ვფიქრობ, სახეზე მაწერია. ვატყობ, ვწითლდები და სასწრაფოდ რიგში ვდგები. რა თქმა უნდა, მომეჩვენა, რომ ინგრიდი მიყურებდა, მხოლოდ ერთხელ უბრალოდ შემომხედა და მის პრაისთან (აი ის, მემანქანეთა ბიუროში რომ მუშაობს) ლაპარაკი გააგრძელა. მაინც რატომ უნდა შევამჩნიე? ვითომ ვინა ვარ? ერთი ჩვეულებრივი ბიჭი საკონსტრუქტორო ბიუროდან. და თანაც ყველაზე დაბალი თანამდებობის მქონე. სანაძლეოს დავდებ, ზედიზედ ორჯერ არ უფიქრია ჩემზე. იმაშიც დარწმუნებული ვარ, დღესვე რომ დავტოვო უიტეკერის ქარხანა, სრულებით არ მოვაკლდები თვალში. არა და ამაზე დიდი ტანჯვა არაფერია: ამ წუთში იმედის შუქში ხარ გახვეული, მეორე წუთში კი არაფრისა გჯერა და აღარ იცი, რომელია მართალი.

რიგიდან გამოვდივარ, ცოტა განზე ვდგები და გაზეთის ზემოდან ვუპვრიტინებ. მართლაც რომ მშვენიერი გოგოა! მუდამ ფაქიზად და კოხტად ჩაცმული. ვერ ვიტან როცა გოგოებს ფრჩხილები დამტვრეული აქვთ, თმა გაჩეჩილი და თან ისე ყარან, გეგონებათ, ქვაბით გაფუჭებული ცხვრის ხორცი შემოუდგამთ გასათბობადო. ლამის გული ამერიოს ეგეთებს რომ წავაწყდები ხოლმე. ინგრიდი კი სულ მუდამ გაკრიალებულია, ალბათ ყოველ დილით აბაზანას იღებს. თმა ყოველთვის სუფთა და ფაფუკი აქვს და სინათლეზე ლამაზად უბზინავს. მზის შუქ-

ზე მისი თმა ჩემ თმაზე უფრო ბაცია. ქვედატანები. კოფთები და ჯემპრები მუდამ სუფთა და გაუთოებული აცვია და ტანზე ისე კოხტად ადგია, თვალს ვერ მოაშორებ. მაგრამ, ჩემის აზრით, ყველაზე კარგი ინგრიდს ფეხები აქვს. მშვენივრად მოყვანილი, მაღალ ქუსლებზე შესკუპებული, ნეილონის თხელ წინდებში გამოხვეული, ვერასოდეს ერთ წასულ თვალსაც რომ ვერ შეამჩნევთ. ეგეთი გოგო ჩემ ცხოვრებაში არ შემხვედრია და, მე მგონი, ტყუილად ვკვნესი და ვგმინავ, არავითარი იმედი არ არის, არც ერთი ნამცეცი...

გაზეთს უცებ მაღლა ვწევ, რადგან ინგრიდი უკან იხედება და პირდაპირ მე მომჩერებია, თითქოს იგრძნო ვიღაც მიყურებსო.

ავტობუსი ქშენით გვიახლოვდება და ჩერდება. კონდუქტორი ძირს ჩამოდის, რომ ცოტა ხანს ავტობუსის რადიატორს მიეყუდოს და მძღოლსაც ერთი-ორი სიტყვა უთხრას. იმ დროისათვის, როცა ავტობუსის კარებამდე მივდივარ, ზემო სართული უკვე სავსეა და ხალხი ძირს ჩამოდის, რომ ფეხზე დასადგომი ადგილი მაინც იშოვოს. როგორც ყოველთვის, იმ წუთში მეორე ავტობუსიც მოდის და რიგში მდგომი ხალხი უკან იწევს რომ ამ ავტობუსში ავიდეს. მეც საერთოდ ასე ვიქცევი ხოლმე, მაგრამ დღეს პირველ ავტობუსში ავდივარ და ფეხზე ვდგავარ. ასე ინგრიდი უფრო ახლოსაა. იგი წინ ზის, გასასვლელთან, ვიღაც უცნობი ქალის გვერდით. წინ მივძვრები და მის უკან ვჩერდები. ავტობუსი ცოტა ხანს ძაგძაგებს და მერე ადგილიდან იძვრის. კიდევ ცოტათი მივიწევ წინ, ხელის მოსაკიდს ვეჭიდები და ინგრიდს მივჩერებივარ. უცებ კონდუქტორის ხმა მაფხიზლებს. სხვათა შორის, ეს ყმაწვილი მთელ მარშრუტზე ცნობილია, როგორც თვითნასწავლი ოხუნჯი. ამბობენ, ყოფილი სერჟანტია და ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიაო. ავტობუსში კენტერბერის არქიეპისკოპოსიც რომ ამოვიდეს, მთელი თავისი საგარეო შესამოსელით მოკაზმული, იმასაც სხვებივით მოექცევა, შეიძლება ცოტა გადაუმლაშოს კიდეც. ხმა იმისთანა აქვს, შემირცხვენია კრესლის „ალჰამბრას“ თეატრის კომიკოსები. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს. ჰოდა, აი, ეს ჩვენი კონდუქტორი შემოდის ავტობუსში.

— აბა, აბა, მგზავრებო, თუ შეიძლება, ფული მოამზადეთ! და ცოტა გამხიარულდით! აბა, ისინი გაიხსენეთ, დილის რვის ნახევარზე რომ სახლიდან გამოვიდნენ, თქვენ კი მაშინ ტკბილად გეძინათ... დიახ, მის! პირველი ხარისხისა სამ პენსად? თქვენ კი რით შემიძლია გემსახუროთ, ქალბატონო? ოთხი პენსის საქონელი გნებავთ? შენმა ბებერმა მეტი არ მოგცა? გისმენთ, სერ!

იგი ნელ-ნელა მიიწევს წინ და აფრქვევს თავის უკბილო ოხუნჯო-

ბებს. მე კი ჯიბეებში ვიქექები და ხურდა ფულს ვეძებ. პალტოს ჯიბეში ნახევარპენსიანს ვპოულობ. ეს პირველი ავტობუსით მგზავრობისა და გაზეთის ყიდვის შემდეგ დამრჩა, ესე იგი იმ ექვსპენსიანიდან დამრჩენია. პალტოს ვიხსნი და შარვლის ჯიბეებს ვისინჯავ, იქაც არაფერია. არც სხვა ჯიბეებში მაქვს რამე. გამოდის, რომ გზის ფული არა მაქვს, ყველაფერი სახლში დამრჩენია, ტუალეტის მაგიდაზე. ჩემ ცხოვრებაში არ დამმართია ასეთი რამ. სხვებისაგან კი ხშირად გამიგონია. თუკი არავინ ისეთი არ არის ავტობუსში რომ ვესესხო, კონდუქტორს მისაშართსა და გვარს დავუტოვებ და მერე გადავიხდი. ჩემი ამხანაგები ყველანი ზევით არიან. თვალწინ მიდგას, როგორ ვუხსნი კონდუქტორს— ფული სახლში დამრჩენია—მეთქი, ის კი დგას და დამცინის, თანაც ინგრიდის თვალწინ. ალბათ მერე ეს ამბავი სასაცილოდ მომეჩვენება, ახლა კი სრულებით არ ვარ სიცილის გუნებაზე. კონდუქტორი მიახლოვდება. ისევ მგზავრებს ვათვალიერებ და ნაცნობს ვეძებ. რა თქმა უნდა, ჩვენები ყველანი ზემოთ არიან. მე აქ უცხო ტერიტორიაზე ვარ.

მხოლოდ ორი გზა დამრჩენია: ან ამ ოხუნჯი კონდუქტორის სამასხრო გავხდე ან... ან ინგრიდს ვესესხო. შაგრამ ინგრიდს ფულს ვერ ვთხოვ. განა ამაზე კარგი შემთხვევა მომეცემა, რომ გამოველაპარაკო? მერედა განა ამდენ ხანს სულ ასეთ შემთხვევას არ ველოდი? მთელი უქმეები ამაზე არ ვოცნებობდი?

მეტს აღარ ვფიქრობ, ვიხრები და ინგრიდს მხარზე ვეხები. ინგრიდი ჩემსკენ ტრიალდება და მისი თმის სურნელება მაბრუებს. იგი სახეში მიყურებს, სულ რაღაც ერთი ფუტით არის ჩემგან დაშორებული. მღელვარებისაგან მუხლები მიცახცახებს და ძლივს, გაჭირვებით ვლუღლუღებ:

— იცით, მეტად სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ფული სახლში დამრჩენია და თქვენ ხომ... აქ, დაბლა, ვერავინ ნაცნობი ვერ ვიპოვე.

ინგრიდი უცებ ხვდება რაც მინდა და ჩანთას ხსნის. კისერზე ოდნავ სიწითლე ეპარება.

— არა, — ვეუბნები, — თქვენ აიღეთ ორივეს ბილეთი. — წელში ვიმართები. ახლა მარტო კისერი კი არა, ყურები და ლოყები უწითლდება. ვუყურებ და ვგრძნობ, როგორ გაგიჟებით მიყვარს. მთელი სხეული უცნაურად მიდუნდება.

ჩვენს გაჩერებაზე განზე ვდგები და ველოდები როდის ჩამოვა. ვცდილობ გავუღიმო, მაგრამ უშნო ღრეჭის მეტი არაფერი გამომდის.

— გმადლობთ, დაღუპვისაგან რომ მიხსენით.

— ოჰ, არაფრის.

ქარხნისაკენ მიმავალ გზას მივყვებით.

— სამსახურში ფულს ვიშოვი და დღესვე დაგიბრუნებთ.

— არა უშავს, ნუ სწუხდებით.

— ტუალეტის მაგიდაზე დამრჩა. პალტოს ჯიბეში ექვსპენსიანი მედო, ასე რომ, სანამ მეორე ავტობუსში არ ჩავჯექი, ვერც კი შევამჩნიე, რომ თურმე ფული არ მქონია. რომ მივალთ, ბიჭებს გამოვართმევ.

— არა უშავს, ბოლოს და ბოლოს მხოლოდ სამი პენსია.

— მაინც თქვენი ფულია და უნდა დაგიბრუნოთ.

— როდისმე თქვენ ამიღეთ ბილეთი.

— სიამოვნებით.

შენ მხოლოდ საშუალება მომეცი და მერე მე ვიცი: კინოებზე, ცეკვებზე, თეატრებზე, შოკოლადებზე, სუნამოებზე და ნეილონის წინდებზე აღარაფერს ვიტყვი. ინგრიდისათვის არაფერი მენანება, მთელ ჩემს ავლადიდებას დავხარჯავ, ოღონდ ერთი სიტყვა მითხრას.

ორივენი ჩუმად ვართ. აჰა. ამისრულდა. რასაც ამდენ ხანს ველოდი. გვერდით შივყვები და ველაპარაკები. რა ვუთხრა? „ძვირფასო ინგრიდ, რამდენიმე თვეა, გაგიყებით მიყვარხარ (ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თუ არა, ერთი თვე მაინცაა, თქვენ კი რა აზრისა ხართ ჩემზე? მოდი, მაქციეთ მთელ კრესლიში ყველაზე ბედნიერ კაცად და ამ საღამოს ჩემთან ერთად წამოდით კინოში“.

— რა მშვენიერი დილაა, არა? — ვეკითხები.

— ჰო, არა უშავს.

მეტი რა ვუთხრა? მგონი, ახლა ზამთარია.

— ნეტავი კიდევ თუ შოთოვს?

— ალბათ კი, ძალიან ცივა.

მერე, სულ ერთი არ არის ცივა თუ ცხელა? ინგრიდი მზეშიც მეყვარება და ყინვაშიც. ნეტავი გამაგებინა, ჩემზე რას ფიქრობს. ძალიან ტკბილად კი მელაპარაკება... მერე რა, უბრალოდ ზრდილობიანია და მეტი არაფერი. მეც საკმაოდ თბილად ვეკცევი ისეთ ხალხს, სრულებითაც რომ არ მომწონს. იქნებ როგორმე სიტყვა ჩავუკრა...

— სასაცილოა, არა?

— სასაცილო? რა?

როგორც ჩანს, თავისი ფიქრებით იყო გართული, რაღაცაზე ფიქრობდა, იქნებ ვიღაც სხვაზე, მერე? იქნებ უკვე ვინმესთან დადის. ოჰ, ღმერთო ჩემო, აი, ეს კი არასოდეს შომსვლია თავში. გულშიც არ გამივლია, ვცდილობდი არ მეფიქრა. თუმცა ვინ იცის... სრულიად შესაძლებელია უკვე ვინმე ჰყავდეს.

ასეთი მშვენიერი გოგოა და საერთოდ...

— უბრალოდ ვფიქრობდი, ამდენი ხანია, თითქმის სამი წელია, ერთად ვმუშაობთ და პირველად გამოველაპარაკეთ ერთმანეთს-მეთქი.

— ჰო, — მპასუხობს ინგრიდი. — მართლაც სასაცილოა.

მაშ სასაცილო ყოფილა. ამაზე შევთანხმდით. ისევ ვჩუმდებით. მე თავს ვიმტვრევ, კიდევ რა ვუთხრა-მეთქი, რატომ თვითონ არ ამბობს არაფერს? ვიღაცის ფეხის ხმა მესმის. უკან ვიხედები და ვხედავ მის პრაისს, რომელიც მამაკაცივით ფართო ნაბიჯებით მოაბოტებს და სწრაფად გვეწევა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ბრაუნ! კარგად დაისვენეთ უქმეებზე?

— მშვენივრად.

ეს კი უკვე დასასრულია, ახლა მარტო ვეღარ დავრჩებით.

მის პრაისი თავს მიქნევს, თავის მძიმე ნიკაპს წინ სწევს და გვერდით მოგვდევს. გრძელი, თბილი შარფის ერთ ბოლოს მხარზე იგდებს და ფეხს მიწყობს. საერთოდ მის პრაისი საგონებელში მაგდებს. ძალიან კარგი ქალია, ისეთი კარგი, თითქმის დაუჯერებელია, რომ არტურ ფრენკთან[1] არა აქვს ხელშეკრულება დადებული. როცა ვუყურებ, სულ მგონია, რომელიმე ინგლისური კინოკომედიიდან არის გამოქცეული-მეთქი, შერე რა ხმა აქვს! ვიღაცამ თქვა, როცა მის პრაისი ლაპარაკობს, ქარხნის მეორე ბოლოში გაიგონებ, რასაკვირველია თუ ქარი საწინააღმდეგო მიმართულებით არ უბერავსო. უცებ თავში ერთი სასაცილო აზრი მომდის — რა ოინი იქნება, ეგა და ის ჩვენი ოხუნჯი კონდუქტორი რკინიგზის გვირაბში ერთად რომ დატოკო. იყვირონ და იყვირონ...

— შობა კარგად გაატარეთ, ვიკ? — მეკითხება ინგრიდი. ინგრიდის პირით ნათქვამი ჩემი სახელის გაგონება ისე მსიამოვნებს, ერთ ხანს ხმას ვერ ვიღებ. მის პრაისივით მისტერ ბრაუნო კი არ მითხრა, არც ვიქტორი მიწოდა, — ვიკი დაშიძახა ახლო მეგობარივით.

— ისე რა, არა უშავს, — როგორც იქნა მოვახერხე ბოლოს. — თუმცა ჩვენსა დიდი აბზავი იყო. ჩემი და გათხოვდა.

— მშვენიერი გოგოა. — ამბობს მის პრაისი. მისი ხმა მარტო მე და ინგრიდს კი არა, გარშემო, ერთ ორმოცდაათ იარდზე მაინც ყველას ესმის. — სიძეც მშვენიერი ყმაწვილი ყოფილა. სასიამოვნო და ჭკვიანი ახალგაზრდა. ჩემმა დამ მითხრა.

უცებ მაგონდება, რომ მის პრაისს და ჰყავს, მეორე მის პრაისი, რო-

---

[1] ინგლისის ერთ-ერთი კინოფირმის დირექტორი.

ბელიც სკოლაში მგოლახეობას ასწავლის. სკოლა რომ დავამთავრე სწორედ იმ წელს დაიწყო მუშაობა.

— ნამდვილი ჯვრისწერა და ქორწილი გქონდათ, ვიკ? — მეკითხება ინგრიდი, მგონი, როგორც იქნა, რაღაცით დავაინტერესე. სასაცილოა, ღმერთმანი, როგორ აინტერესებთ გოგოებს გათხოვება და ჯვრისწერა. ბერე რა, თუკი არც დედოფალს იცნობენ და არც ნეფეს? — თქვენ დას რა ეცვა? — მეკითხება, ვატყობ, გულით უნდა ყველა წვრილმანი შეიტყოს.

ამ საქმისა არაფერი გამეგება და რაღაცას მივედ-მოვედები, მაგრამ უცებ მხსნელად მის პრაისი მევლინება.

— მე და ჩემი ღა ეკლესიაში ვიყავით (საოცარია, მაგრამ არც ერთი არ შემიმჩნევია.) ჩემ დას ძალიან უნდოდა მისტერ ლისტერის ჯვრისწერის დასწრებოღა, მე კი საერთოდ ასეთი რამეები ძალიან მიყვარს.

ესეც ახალი ამბავი! თურმე ქორწილი და ჯვრისწერა იმასაც აინტერესებს, ვისაც საამისო ასაკი კარგა ხანია გაუვიდა.

ასეა თუ ისე, ინგრიდს რაც კი აინტერესებს, ყველაფერს დაწვრილებით უკაკლავს. მერე კი ინგრიდი მეუბნება:

— ძალიან მაინტერესებს ფოტოსურათების ნახვა, ვიკ. თუ შეიძლება, მიჩვენეთ, როცა გამოიტანთ.

სწორედ ამ დროს შენობაში შევდივართ. მის პრაისი გვემშვიდობება და გრძელ დერეფანს შიჰყვება.

ინგრიდი ხითხითებს:

— კარგი ვინმეა, არა?

პასუხად რაღაცას ვბურტყუნებ და მის პრაისს თვალს ვაყოლებ, რატომღაც ასეთი ხალხი ყოველთვის მეცოდება.

ამასობაში ზარიც ირეკება და ინგრიდი მემშვიდობება.

— ფოტოებს როგორც კი დაამზადებენ, მაშინვე მოგიტანთ.

— ჰო, თუ შეიძლება, აუცილებლად. ძალიან მინდა ვნახო.

ინგრიდიც იქითკენ მიდის, საითაც მის პრაისი წავიდა, მე კი მაღლა ავდივარ. ფოტოებიც კიდევ ერთი საბაბი იქნება გამოსალაპარაკებლად, თუკი მანამდე ვერაფერი უკეთესი ვერ მოვიფიქრე.

მინდა კიბის მოაჯირს გადავეყუდო და ვუყურო, როგორ მიდის. მაგრამ გარშემო ბევრი ხალხი ირევა. თანაც კიბეზე ჩემი კოლეგა ჯიმ სლეიდი ამოდის. შარვლის ტოტები შეკრული აქვს და ხელში ველოსიპედის ტუმბო უჭირავს. ამ ტუმბოს არასოდეს გარაჟში არ ტოვებს, ეშინია მომპარავენო.

— დილა მშვიდობისა, ყვინჩილ!
— გამარჯობა, ჯიმ.
— შევუდექით შრომას?
— შევუდექით.
ორივენი ერთად მივყვებით კიბეებს.

## II

უიტეკერის ქარხანა ყველაზე დიდია კრესლიში და მთელ ახლო-მახლო მიდამოებში. სამონტაჟო სააქროს კედელზე თეთრი ავურებით წარწერაა გამოყვანილი— **„დოუსონ უიტეკერი და ვაჟიშვილები, მანქანათმშენებელი ქარხანა“.** ასე რომ მგზავრები, რომლებიც კრესლიში მატარებლით შემოდიან, ადვილად გებულობენ რა იყო ის აყროლებული ადგილი, ეს-ეს არის რომ ჩამოუარეს.

პირველი, რაც თავში მოგდით, როცა ადმინისტრაციულ შენობაში შედიხართ, ის არის, რომ ეს შენობა ისე აუგიათ, საუკუნეებს გაუძლებს. ყველგან სქელი მუხის კარებია, რომლებსაც ყოველ ათ წელიწადში ზეპოდან ლაქს უსვამენ, რომ ახალივით იბრწყინოს. ოთახების მეოთხე ნაწილს კედლების ზემოთა ნახევარი მინისა აქვს. ასე რომ, ქვემო სართულის რომელიმე ოთახიდან რომ გაიხედოთ, აბსოლუტურად ყველა ოთახს დაინახავთ და შიგ მომუშავე ხალხსაც, რომელთაგან ზოგი ბაგიდებთან ზის და თავჩაქინდრული მუშაობს, ზოგი კი ხელების ქნევით ერთმანეთს ელაპარაკება. მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ—გეგონება ხმაგამორთულ ტელევიზორს უყურებო. მხაზველების ოთახი ყველაზე დიდია და ზედა სართულის თითქმის ერთი მხარე უჭირავს. არც ერთ ოთახში არ არის ამდენი მინა. დერეფნის მხარეს რომ კედელია, ნახევრად მინისაა, ეზოს მხარეს კი უზარმაზარი ფანჯრებია გამოჭრილი. სახურავიც ნახევრად მინისაა, ერთ კედელში კი იმხელა ფანჯარაა, ეკლესიაში გეგონება თავი, ოღონდ ერთია—ვიტრაჟები არა აქვს. ამ ოთახში სინათლე ბლომადაა, მაგრამ ზაფხულში ისე ცხელა, როგორც ორანჟერეაში. ზამთარში კი თავი მაცივარში გეგონება. სახაზავი დაფებსამ მწკრივადაა ჩარიგებული, სულ ოცდათხუთმეტი მხაზველი და კონსტრუქტორი ეტევა. ყოველ დაფასთან დგას წნეხი, რომელშიც შეიძლება ნახაზი გაასწორო, და ერთიც კარადა, სადაც ნახაზებია შენახული. ეს ნახაზები კი ფირმის დაარსების დღიდან—ათას რვაას რომელიღაც წლიდან გროვდება. ერთი საკუთარი უჯრაცა გვაქვს, სადაც ნება გვეძლევა რაც გვინდა ის შევინახოთ—სენდვიჩები, „მანჩესტერ-გარდიანი“, „დეილი მირორი“,

შიშველი ქალების ფოტოები, „სპორტი“, აგრეთვე სხვადასხვა ცნობარი და სახაზავი ინსტრუმენტები, გააჩნია, როგორი კაცი ხარ და რა გაინტერესებს. ჩვენს დარბაზს სამი კარი აქვს, რომლებიც უფრო მომცრო ოთახებში გადის, ერთში გამომთვლელები სხედან, მეორეში გოგოები, რომლებიც კალკებს ამზადებენ, მესამე ოთახში კი ნახაზებიდან ასლებს იღებენ. ასლების გადამღები მანქანები ნახშირის რკალზე მუშაობს და ძალიან ჰგავს მექანიკურ პიანინოს, აი, ისეთს, ერთპენსიანს რომ ჩაუშვებ და ბურების ომისდროინდელ რომელიმე პოპულარულ სიმღერას დაუკრავს. ასლებს ერთი ყმაწვილი, გვარად ლეისტერდაკი და ერთი გოგო — ფებ ჯონსონი იღებენ. ჩვენი დარბაზის თავში ორი შემინული ჯიხურია, ერთში ბიუროს უფროსის მოადგილე მილერი ზის, მეორეში კი თვითონ უფროსი — ჰესოპი, რომელიც თითქმის ყველას ჭირივით გვეჯავრება.

ჩვენი ნამდვილი უფროსი მისტერ ოლთორპია, მთავარი ინჟინერ-კონსტრუქტორი. მას, დერეფნის ბოლოში, საკუთარი კაბინეტი აქვს (არავითარი შემინული კედლები!), რომლის კარებზედაც პატარა დაფაა მიკრული და ზედ ოლთორპის გვარი აწერია. იგი დავალებებს იძლევა, ჰესოპი და მილერი კი ამ დავალებებს ჯგუფის ხელმძღვანელებს გადასცემენ. თითოეულ ჯგუფის ხელმძღვანელს ორიდან ოცამდე კაცი შეიძლება ჰყავდეს, გააჩნია, როგორ სამუშაოს ასრულებენ. შეიძლება იფიქრო, ასეთ დიდ საწარმოში ალბათ გამოცდილებასაც ღიდს ღებულობენო, მაგრამ არა. თითოეული ჯგუფი თავისი ვიწრო სპეციალობით არის შემოფარგლული და წლიდან წლამდე ამ ერთ საქმეს ემსახურება. ყოველ შემთხვევაში, უიტეკერის საკონსტრუქტორო ბიუროში ასე ხდება.

მუშაობის დაწყება სულაც არ მადარდებს, ეს იმიტომ, რომ ბიუროც მიყვარს და ჩემი საქმეც მომწონს. რასაკვირველია, ისე აღარ ვარ გატაცებული, როგორც პირველ ორ წელიწადს ვიყავი, მაგრამ ის ზომამდე არ ვარ მისული, რომ ვეღარ ავიტანო. ამიტომ, არა უშავს, გულს ვუდებ. თანაც ახლა, სხვა ინტერესიც გამიჩნდა...

სადილამდე ინგრიდს ვეღარ ვხედავ. სადილის დროსაც მხოლოდ სასადილოში ვხვდები, ჩვენ შორის სამი მაგიდა და ერთი ოცდაათიოდე კაცი დგას. პირით ჩემსკენ ზის და, თუმცა, არ მიყურებს, თვალს მაინც ვერ ვაშორებ. ერთი ჩვეულება აქვს: ლაპარაკის დროს ჩერდება ხოლმე, თავს უკან სწევს და იცინის (ძალიან გულიანი სიცილი კი იცის...) ვუყურებ და ვხედავ რა ლამაზად მოყვანილი კისერი აქვს. ნეტავი რა დღეში ჩავვარდები, ერთი ამ კისერზე და ნიკაპზე რომ ხელი

შომასმევინა? მარცხენა ყურის ქვეშ, კისერზე ნაჭრილობევი ემჩნევა, იქაც მინდა მოვეფერო, მაგრამ გაფიქრებაც არ მინდა, რომ ინგრიდს ოდესმე დანა შეხებია.

ჩემს გვერდით კენ როულინსონი ზის. პიჯაკის გულისჯიბეში იმდენი ფანქარი და კალმისტარი უწყვია, ჩვენ ნახევარ ბიუროს თავისუფლად ეყოფა. წყალი მომაწოდეო, მთხოვს, ასე რომ, ცოტა ხნით ინგრიდზე ფიქრს ვეშვები. როულინსონს ისევ ის ჰალსტუხის დამჭერი გაუკეთებია. ეს კაცი ხშირად ისეთ რაღაც-რაღაცეებს მიიწებებს, ნერვებზე მოქმედებს. აი, თუგინდ ეს ჰალსტუხის დამჭერი. იგი კლიპსსა ჰგავს და ძეწკვი აბია, კლიპსი პერანგს უნდა მოუჭირო, ძეწკვს კი ჰალსტუხი უჭირავს. როულინსონი კი კლიპსს პერანგსაც უჭერს და ჰალსტუხსაც, ძეწკვი კი ისე, საკოპწიოდ უკეთია. ყოველთვის მინდა ავუხსნა, როგორ უნდა გაიკეთოს, მაგრამ შერე ვფიქრობ ხოლმე, ნეტავი რა ჩემი საქმეა-მეთქი. მაგისთანა ხალხს არაფრად უღირს, ბლომად ფული წყალში რომ გადაყაროს და თუკი ტაკიმასხარასავით იქნება ჩაცმული, მე რა მენაღვლება!

როულინსონი ჭიქას ივსებს და მეუბნება:

— წუხელ ერთი კარგი ფრანგული ფილმი ვნახე.

— მართლა?

— „ჟერვეზა“. ზოლას რომანის მიხედვით არის გადაღებული. — მეუბნება და თან თეფშში საჭმელს ისე ქექავს, გეგონება ეშინია რამე საშინელება არ ვიპოვოო.— რამე თუ გაქვს ზოლასი წაკითხული?

— არ უნდა შქონდეს. ზოლა? რაღაც თამაშის სახელსა ჰგავს როგორც ბინგო, ლუდო ან კანასტა.

— შესანიშნავი მწერალია. სამოცი თუ სამოცდაათი წლის წინათ წერდა და მისი ნაწერები მაინც საოცრად თანამედროვეა.

— ჰოო?

— თანაც თავისი დროისათვის მეტად გაბედული. ჩვენთან მისი წიგნები აკრძალული იყო, არ მოეწონათ.

— რაო, ძალიან სექსუალურია?— ნამდვილად ასე იქნება.

— მე მგონი, უფრო „დაუფარავი“ შეიძლება დავარქვათ. — ამბობს როული.

ნეტავი რაში მეკითხება, რაც უნდა ის დაარქვას. ისა ჯობს, ცოტა წავიქილიკო.

— მაშ, ცოტა „იმნაირი“ ფილმი ყოფილა.

— ოჰ, ცენზურამ ნება დართო, — ამბობს როული, — არაფერი პორნოგრაფიული შიგ არ არის, უბრალოდ მოზრდილებისთვისაა.

— ალბათ ფრანგულადაა?

— რა თქმა უნდა. თუმცა, რასაკვირველია, ინგლისურადაც აქვს წარწერები, ეს იმათთვის, ვინც ენა არ იცის.

ამას ისეთი სახით ამბობს, რომ აშკარად გაგებინებს, მე მაგ უვიცთა რიცხვს არ ვეკუთვნიო.

— საერთოდ საზღვარგარეთული ფილმების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, განსაკუთრებით თუ ლამაზი გოგოებია გადაღებული, — ვეუბნები და ჩუმად სახეზე ვაკვირდები. ცხვირს ისე იბზუებს, გეგონება რაღაც მყრალი სუნი ეცაო, ოდნავ სიწითლეც ეპარება.

— მაგრამ წარწერების კითხვას ვერ ვიტან. ჩემი დალოცვილი ინგლისური ქვეყანას მირჩევნია.

— რას იზამ, ყველას თავისი გემოვნება აქვს. — ამბობს როული. ზურგს მაქცევს და მის გვერდით მჯდომ ბიჭს რაღაცას ეუბნება.

ცოტა გული მწყდება, რომ ზედმეტი მომივიდა და როული მთლად სულელად მთვლის. ისე, კაცმა რომ თქვას, რა მენაღვლება, როულიმ და როულისთანებმა რაც გინდა ის იფიქრონ ჩემზე.

ოფიციანტს პუდინგი და კრემი მოაქვს, ის-ის არის ჭამას უნდა შევუდგე, რომ სკამების ჭრაჭუნი მესმის და ვხედავ, რომ ინგრიდი და მისი მეგობრები მიდიან. ინგრიდი ისე ახლოსაა, რომ მისი სახელო მხარზე მეხება. თვითონ წარბსაც არ იხრის, თითქოს არც იცის, რომ აქა ვარ. ეგრე მომიხდება. ნეტავი გაშაგებინა, რას ვიხეთქავ გულს? საქმეებიც სულ ამერ-დამერია. სწორედ საშობაო უქმეების წინ ზომებში რვა ფუტისა და ორი მეათედის მაგივრად, ცხრა ფუტი და შვიდი მეათედი ჩავწერე. ბობ ლეისიმ, ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელმა, ისე, მეგობრულად მიმითითა და გამაფრთხილა, ცოტა ყურადღებით იმუშავეო. კიდევ კარგი, ბობმა შეამჩნია, თორემ საამქროში ქვეყნის ლითონი გაუფუჭდებოდათ. ახლა ისე მეშინია, ვიდრე ნახაზებს ბობს ჩავაბარებდე, მე თვითონ გულმოდგინედ ვამოწმებ. მაგრამ ადრე თუ გვიან, უეჭველად კიდევ რაღაც შემეშლება. თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებ, რომ დაბლა, ქარხანაში, გამომიძახებენ. რათა საკუთარი თვალით ვნახო ჯართის გროვა, რომელიც, ალბათ, ათასობით გირვანქა ღირს. აი, მაშინ დამადგება კაი დღე!

დარწმუნებული ვარ, ჰესოპმა უკვე კბილი დამასო. ცხვირზე იაფფასიანი სათვალე წამოუსკუპებია და სულ აქეთ-იქით დასუნსულებს. წამოგადგება ჩუმად თავზე, მოლეული, წითური. წამოგადგება და თავის აყროლებულ ნასუნთქს შემოგაორთქლებს. თავზე თმა აღარ შერჩენია, ცხვირში კი ბალანი უხვად უბიბინებს. სულ ერთნაირი ლურჯი კოსტუმი

აცვია, ვერ გაიგებ ძველია თუ ახალი. იმდენ ხანს აცვია, ვიღრე ლაპ-ლაპს არ დაიწყებს, მერე ძველს გადააგდებს და მეორეს, ზუსტად ასეთ-საევეს ჩაიცვამს. ზოგჯერ მოგინდება, მართლა გაბრაზდეს, და ერთი გე-მოზე გამოგლანძღოს, მაგრამ ჰესოპი არასოდეს ამას არ აკეთებს. თუ მართლა გაბრაზდა, გაფითრდება, გალანძღვით კი არ გაგლანძღავს — ისე. ვინმე პატარა ბიჭს თუ დაუყვირებს. ვერ ბედავს, აი, რაშია საქმე. ამიტომაა, რომ ყველას სძულს. მაგრამ არავინ თავს ზედმეტის ნებას არ აძლევს, იმიტომ, რომ ჰესოპის უკან შისტერ ოლთორპია, ის კი სულ სხვანაირი ვინმეა. ყველას ჯანდაბის გზას გაუყენებს, ისე გამოგთათხავს, წარბსაც არ შეიხრის, ამიტომ ყველა ერიდება და პატივსა სცემს, თუმ-ცა შეიძლება ისე არ უყვარდეთ, როგორც მისტერ მილერი უყვართ.

ჰოდა, მე მგონი, საქმე თუ ისევ ასე წავიდა, ადრე თუ გვიან ოლ-თორპის კაბინეტში ამოვყოფ თავს. არადა სხვანაირად ვერ ვახერხებ, ინგრიდზე ფიქრი თავიდან ვერ მომიშორებია. ეგ სულ იმიტომ, რომ გა-ურკვეველ მდგომარეობაში ვარ. აი, რომ ვიცოდე ჩემზე რას ფიქრობს...

## III

ჯერ უნდა აიღო ძველი დანა (მე იმ გატეხილ დანას ვხმარობ, დედა-ჩემი რომ კარტოფილს ფცქვნის ხოლმე) და მთელი ტალახი ააფხიკო ან ჩამოამტვრიო, თუკი ქუსლთან მაგრაა ჩაჭედილი. მერე ცოტა მაგარი ჯაგრისით კარგად გაწმინდო, ბოლოს კი გააპრიალო. წესით, თასმებიც უნდა გამოაძრო, მაგრამ ყოველთვის მეზარება ხოლმე, დღესაც კი, რო-ცა საგანგებოდ ვიპრიალებ. ფეხსაცმელების წმენდა მიყვარს, განსაკუთ-რებით მაშინ, როცა რამე მაქვს საფიქრელი. როცა ხელები დაკავებუ-ლი გაქვს, თითქოს ფიქრი უფრო გიადვილდება, ზოგჯერ შეიძლება მთელი ჯავრიც მოგეშვას გულიდან. მიყვარს, როცა ფეხსაცმელს საცხს თანაბრად წავუსვამ, მერე ჯაგრისით მივადგები და იმდენს ვაპრი-ალებ, სანამ კაშკაშს არ დაიწყებს. სულ ბოლოს ხავერდის ჩვარს ვუს-ვამ, ისე რომ მალე ფეხსაცმლის ქვინტები შავ მინასავით იწყებენ ბრჭყვიალს. ამ საღამოს ფეხსაცმელებს იმიტომ ვაპრიალებ, რომ სასე-ირნოდ გავდივარ: თან ვფიქრობ, წარამარა ვჩერდები და ჩემს თავს ვარწმუნებ, ყველაფერი მართალია და ცხადში ხდება-მეთქი.

ეს იმ დღეს მოხდა, ინგრიდს ავტობუსში გზის ფული რომ ვესესხე. საღამოობის შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობდი, ჰესოპმა კბილი დამასო-ს-მეთქი. და მართლაც, ხუთს ათი წუთი რომ დააკლდა, თავზე წამომდგა-

რი ჰესოპი დავინახე, მითხრა ეს ნახაზი ხვალ დილას მზად უნდა იყოსო. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჰესოპმა მართლა ამომიჩემა.

ეს ნახაზი დაფაზე ჯერ კიდევ შობამდე დავაკარი. თუ დილისთვის უნდა იყოს მზად, მაშ სამუშაო საათების შემდეგ უნდა დავრჩე. დავრჩები და ინგრიდის ნახვა—ფაფუ! რას იზამ, რადგანაც მითხრეს დაამთავრეო, უნდა დავამთავრო, მიუხედავად იმისა. მართლა სჯირდებათ თუ ჰესოპი უბრალოდ ჯიბრს მიწევს. ბიუროში ქვეყნის სამუშაოა, ასე რომ ერთი-ორი ჯგუფი თითქმის ყოველ საღამოს რჩება სამუშაოს შემდეგ. მაგრამ, რადგანაც დღეს უქმეების შემდეგი პირველი სამუშაო დღეა, არავინ არ არის ბეჯითობის გუნებაზე და ექვსის ნახევარზე ყველა წასასვლელად ემზადება. თანამშრომლები თითო-ოროლად გადიან გარეთ და დაფების ზემოთ, ნათურებიც ნელ-ნელა ქრება. ასლების გადამღები გოგოებიც გამოდიან თავიანთი ოთახებიდან, გარშემო პუდრის სურნელებას აფრქვევენ და წამში ორმოცდაათ სიტყვას ისვრიან.

ბოლოს, ასე ექვსს ოცი წუთი რომ აკლია, შენობაში მარტო მეღა ვრჩები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰესოპსა და მილერს. რომლებიც ყველაზე გვიან მიდიან ხოლმე. ექვსს რომ ხუთი წუთი აკლია, დაფიდან ფურცლებს ვიღებ და ჰესოპთან მიმაქვს, ჰესოპი ჩემ ნახაზს ათვალიერებს და ხან რას მიწუნებს, ხან რას. ამაში კიდევ ხუთი წუთი გადის. როგორც იქნა გავთავისუფლდი!

დერეფანში ნათურების ნახევარი გამორთულია, შორიდან დამლაგებლების ვედროების რახა-რუხი ისმის. კიბეებს მივუყვები და ის არის, დიდ კარებში უნდა გავიარო, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ნაცნობი ბაკა-ბუკი მესმის. ლამის ჰკუიდან შევიშალო, ვიცი, ვისი ფეხის ხმაც არის. გულს ბაგა-ბუგი გააქვს. უკან ვიხედები და ვხედავ როგორ მილერის; გეგონება, ჩემი ნახვა გაეხარდაო.

— მეც თქვენკენ მოვდივარ.

კარი ღია მიჭირავს და როცა ჩემ წინ, კარებში გადის, სახეში მისი დამათრობელი სურნელება მცემს, მორიგეს ვემშვიდობებით და ბილიკს მივყვებით. ინგრიდი რაღაცაზე გაჯავრებული ჩანს.

— ზოგიერთს სხვისი დარდი სულ არა აქვს. სწორედ მაშინ მოუნდებათ წერილის კარნახი, როცა სახლში წასვლის დროა.

— მაგარი უფროსი გყოლიათ.

— მერე როგორი!

— ვინ არის?

— ლესლი ფელტონი... ეტყობა, ამ ხალხს სახლი არა აქვს და შინ წასვლა არ უნდა. თუმცა, მაგისთანა ცოლის პატრონს სახლში წასვლას რა მოანდომებს...

— მაინც რანაირი ცოლი ჰყავს?

— უჰ, საშინელი კაპარჩხანაა. ნუთუ არ იცით? მე მეგონა ყველამ იცის-მეთქი.

როგორც ჩანს, ბევრი რამ არა მცოდნია და ინგრიდი ნელ-ნელა მანათლებს. ამ საღამოს საუბრის წამოწყება არ მჭირდება. ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ისეა ჭორებით გატენილი, როგორც საკვირაო გაზეთი. უიტეკერის ქარხნის თანამშრომლებზე ავტობუსების გაჩერებამდე იმდენი შევიტყვე, რომ რაც აქ ვმუშაობ, მაგის ნახევარიც არა მცოდნია.

ქალაქამდე ორივეს ბილეთს მე ვიღებულობ.

— ახლა კი ბარი-ბარსა ვართ. — მეუბნება ინგრიდი და მიღიმის.

ზუსტად იმ სიტყვით იწყებს ლაპარაკს, რა სიტყვაზედაც ავტობუსში ჩაჯდომის წინ შეჩერდა და ისევ ლაპარაკობს და ლაპარაკობს. მაგრამ ახლა გულისყურით ვიღარ ვუსმენ. ჩემი გონება მთელი დაძაბვით მუშაობს. როგორ მოვიქცე, რომ ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გავუშვა? ვფიქრობ, როგორ წამოვიწყო. ავტობუსი კი მიჰქრის ქალაქისაკენ. სკოლის შენობას რომ ვუახლოვდებით, შიში მიპყრობს, საცაა ბოლო გაჩერებაზეც მივალთ.

— იცით, რაღაც უნდა... — ვიწყებ, მაგრამ ისიც იმავე წუთში იწყებს ლაპარაკს. მერე ორივენი ვჩუმდებით.

— განაგრძეთ, — ვეუბნები.

— არა, უნდა მეკითხა, ის ახალი მუსიკალური კომედია „აღსდექ და იბრწყინე“, „პალასში“ რომ გადის, თუ ნახეთ-მეთქი. მაინტერესებს, როგორია.

მართალი რომ გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს როგორია. მაგრამ მაინც ვეუბნები:

— მგონი, კარგი უნდა იყოს. — თან გამწარებული ვფიქრობ: „ახლა, სწორედ ახლა, ახლაა დრო, რას ელოდები?“ — ამ კვირას ვაპირებდი ნახვას. — ვეუბნები და ესეც კიდევ ერთი ტყუილი, მაგრამ მაგას ვჩივი? მერე ვახველებ და ვეუბნები: — იქნებ... იქნებ თქვენც წამოსულიყავით... ერთად გვენახა.

— ოჰ! — ისეთნაირად მეუბნება, გეგონება რაღაც წარმოუდგენელი ვუთხარი. უკვე იმაზე ვფიქრობ, უარი რომ მითხრას თავი როგორ დავიჭირო-მეთქი. — კარგით, მაგრამ როდის?

სკამზე ველარ ვჩერდები. ისე ვარ აღელვებული, მინდა წამოვხტე და ვიყვირო.

— ხვალ მინდოდა. მაგრამ ისე ყოველთვის შემიძლია.

— ხვალ ახალწლის წინაღამეა. ერთ წვეულებაში ვარ დაპატიჟებული. ოთხშაბათს იყოს, კარგით?

— კარგით, — ვეუბნები. ოთხშაბათი, ხუთშაბათი. პარასკევი. შაბათი, თუგინდ კვირა. რომელ საღამოსაც გინდა, ოღონდ კი მალე იყოს.

— მაშ ოთხშაბათს. — მეუბნება და მეც თავს ვუქნევ. —ოთხშაბათს.

ვიდრე ავტობუსი ბოლო ვაჩერებამდე მივა, შეხვედრის დროს და ადგილს ვნიშნავთ. ამ დილით ჩემი იმედები ერთი გახვრეტილი გროშიც არ ღირდა. ახლა კი... შაგრამ აი, თურმე ხანდახან როგორ ხდება.

ოთხშაბათი... ღმერთო, შენ გამაძლებინე ოთხშაბათამდე.

ოთხშაბათს, რასაკვირველია, ცოცხალი ვარ და, რვას რომ ოცდახუთი უკლია, ქუჩის კუთხეში ველოდები. ინგრიდი აგვიანებს, მაგრამ მხოლოდ ხუთ წუთს. მე კი ათი წუთით ადრე მოვედი, რომ არ დამგვიანებოდა. ასე რომ, ეს ხუთი წუთი უფრო მეტი მეჩვენება.

ამინდი ცოტა შეთბა. დილას კარგი მაგარი თავსხმა იყო, კი გადაიღო, მაგრამ ჰაერში ისევ წვიმის სუნი ტრიალებს. ტროტუარი ნათურების შუქზე ლაპლაპებს და მანქანის საბურავები სველ ასფალტზე მისრიალებენ. შავი „სუპერსნაიპი“ ზედ ტროტუართან მოდის, უცებ უკან ვხტები, რომ ჭუჭყიანი წყალი არ შემომაშხეფოს.

მანქანას თვალს ვაყოლებ, ვუყურებ, როგორ ჩერდება და როგორ გადმოდის ვიღაც ბიჭი. მერე მანქანა ისევ იძვრის. სვლას უმატებს და უკან კვამლის ბოლქვებს ტოვებს. აი, მანქანა რომ მყავდეს... გოგოები მანქანიან ბიჭებზე გიჟდებიან. ბუნებრივიცაა. მანქანა რომ გყავს, შენც უფრო თავდაჯერებული ხარ, თითქოს უფრო ამაყიც. ვხედავ, როგორ ვზივარ გადასახდელსახურავიან, ორადგილიან მანქანის საჭესთან — სულაც არ მინდა დიდი, მოუხეშავი მანქანა — ვაჩერებ ტროტუართან, იქ, სადაც ინგრიდი მიცდის, თან ვტკბები მისი სახის გამომეტყველებით, თან კარს ვუღებ და ვეუბნები, დაბრძანდით-მეთქი. „აბა ამ საღამოს საით ინებებდით? იქნებ ლიდსში ან ბრედფორდში წავსულიყავით და რამე სპექტაკლი გვენახა?“ — აი, როგორ უნდა გაართო გოგო პირველ პაემანზე. სპექტაკლის შემდეგ კი მანქანა სადმე მყუდრო ადგილას უნდა გააჩერო, მხარზე ხელი შემოხვიო და უსმინო, როგორ გეჩურჩულება, მთელი ამ ხნის განმავლობაში შენზე ვგიჟდებოდიო... მე კი მანქანის მართვაც არ ვიცი. მაგრამ ალბათ, მალე ვისწავლიდი. ერთი თხუთმეტი წელი რომ ფული მეგროვებინა და სიგარეტისათვისაც თავი მომენებებინა, იქნებ მეყიდა კიდეც.

ისე ვარ ოცნებებში წასული, ვერ ვამჩნევ, როგორ უახლოვდება

ტროტუარს კიდევ ერთი შანქანა. გონზე მაშინ მოვდიეარ, როცა შარვლის ტოტები და ფეხსაცმელები უკვე ჭუჭყიან წყალში მაქვს ამოწყობული. სადღაა ჩემი გაპრიალებული ჭვინტები? ისე გულმოდგინედ ვწმენდდი, რომ ჩემ ბებერ დედიკოს რაღაც ეჭვი დაებადა. შარვლის ნაკეცებს ალბათ არაფერი მოუვა, იმიტომ რომ ჩემი კოსტუმი ტერილონისაა — ეს ის ახალი, ნაცრისფერი კოსტუმია, ქრისის ქორწილისათვის რომ შევიკერე. ფეხსაცმელებს კი ინგრიდი სიბნელეში ვერ შეამჩნევს. სხვაფრივ თითქოს არაფერი მიშავს. საღამოს, ჩაი რომ დავლიე, პირი მაშინ გავიპარსე. გაპარსვის შემდეგ კი ლოსიონი წავისვი. ეს ლოსიონი, სამსახურიდან რომ მოვდიოდი, გზაზე ექვს შილინგად ვიყიდე. ასე რომ, კარგი სუნი უნდა ამდიოდეს. კბილებიც საგანგებოდ გამოვიხეხე. რომ კბილებს შორის ძეხვისა და კარტოფილის ნამცეცები არ ჩამრჩენოდა. ალბათ დიანა დორსთანაც[1] რომ მქონოდა პაემანი, ამაზე მეტად თავს მაინც ვერ მოვიქაჩლებდი.

რვას თხუთმეტი აკლია. აი, ესა სჭირთ ქალებს: ვერასოდეს გაიგებ, რა უნდათ. ზოგ ბიჭს ეს ამბავი მოსწონს კიდეც. მე კი ყველაფერი გამორკვეული და დალაგებული მიყვარს. უნდა ვიცოდე, საქმე როგორ არის, აი, მაგალითად, როგორც ქრისმა და დევიდმა. იმათ სწორედ ის იპოვეს, რის პოვნასაც მე ვნატრულობ. მაგრამ ეს ჩემი საიდუმლოა, ამის შესახებ არავის არაფერს ვეუბნები.

ათი აკლია. ვერაფერი სასიამოვნოა ქუჩის კუთხეში ასე დგომა. თან ყველა შენ შოგჩერებია, ხვდება, რომ გოგოს ელოდები, ის კი აგვიანებს. როგორ ვერ მიხვდება. როცა ასეთ დროს — რვას რომ თხუთმეტი აკლია — პაემანს არავინ ნიშნავს. ასე რომ. გოგო ან აგვიანებს, ან სულაც არ მოდის. მე რომ მკითხოთ, თხუთმეტი წუთი ლოდინი სრულიად საკმარისია. მაგრამ ინგრიდს რვამდე დაველოდები. რაც უნდა იყოს, პირველი პაემანია. მერე კი ნურას უკაცრავად. არა და რა ცუდია. ასეთ კოშკებს რომ აგებ და მერე უცებ მიწაზე დაენარცხები.

— ჰელო!

შემკრთალი უკან ვიხედები და ინგრიდის თავბრუდამხვევი სურნელი სახეში მეფრქვევა. სინათლის 'მუქზე თვალები უბრწყინავს და თმაში წყლის წვეთები უციმციმებს. პირი ოდნავ აქვს გაღებული და კბილები უჩანს. ისე გამალებით სუნთქავს, გეგონება, მორბოდაო.

— მაპატიეთ. რომ ასე დავაგვიანე. აღრე გამოსვლა ვერ მოვახერხე. მთელი გზა მოვრბოდი, მეგონა აღარ დამიცდიდით და წახვიდოდით.

---

[1] ინგლისელი კინოვარსკვლავი.

— არა, — ბეტის თქმას ვერ ვახერხებ, ინგრიდის ცქერით ვტკბები. ღმერთო დიდებულო, რა ლამაზია! და ეს მშვენიერი გოგო მთელი გზა მორბოდა, რომ მე შემხვედროდა. აკი თვითონვე თქვა! —ვიცოდი, რომ მოხვიდოდით. — ვახერხებ ბოლოს, როცა მისი ყურებით ვძღები. ამას ვეუბნები და თვითონვე მჯერა, რომ მართლაც ასე იყო. — თქვენ ისეთი გოგო არა ხართ, რომ ადამიანი მოატყუოთ.

— კი მაგრამ, რატომ უნდა მომეტყუებინეთ? — ამბობს ინგრიდი. — წამოსვლა რომ არ მდომოდა, თავიდანვე გეტყოდით, არ მინდა-მეთქი. ასე არ არის?

თავს ვუქნევ და ლამის თვალებით შევჭამო. ვერ დამიჯერებია, რომ ყველაფერი სინამდვილეა და რა ვქნა? როგორ შეიძლება ასეთი ბედნიერება მომევლინოს? არა, აქ უთუოდ რაღაცაშია საქმე.

— ახლა რა ვქნათ? — მეკითხება ინგრიდი და ვატყობ, ჩემი ასეთი გაშტერებული მზერა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

— წავიდეთ! — ვეუბნები და გაკაშკაშებული კინოთეატრისაკენ მიმყავს.

მებილეთეს სამუშაო გამოლევია და სალაროზე მიყრდნობილი მოლარეს ელაქლაქება. ამ კინოთეატრს თუ საქმე ასე წაუვა, ეს კაცი მალე ქუჩაში დარჩება.

— თითქმის არავინ არ არის. — ამბობს ინგრიდი. — მეგონა რიგში ჩადგომა მოგვიხდებოდა.

— სამი-ოთხი წლის წინ, ალბათ, მოგვიწევდა რიგში დგომა. კინოს პატრონებს ცუდადა აქვთ საქმე. რაღა კინოში გადაიხადო ფული ცუდი სურათის სანახავად, დაჯექი და სახლში, ტელევიზორით უფასოდ უყურე.

ეს სიტყვები სადღაც ამოვიკითხე, მაგრამ ინგრიდი იცინის და რა მენაღვლება, დაე იფიქროს, რომ ჩემი საკუთარი ხუმრობაა. ნეტავი გამაგებინა კინოში რა ადგილებზე უყვარს ჯდომა. მაგრამ არ ვეკითხები, იქნებ ძვირი ადგილები მოსწონს და ჩემთვის თქმა მაინც მოერიდება. ორ ბილეთს ვიღებ ამფითეატრში, ყველაზე ძვირი ადგილების უკან. ასე ინგრიდი არ იფიქრებს თავის გამოჩენა უნდაო, თანაც მე და ინგრიდმა თუ საერთოდ ერთად დავიწყეთ სიარული, ყოველთვის ძვირი ადგილების ყიდვა გამიჭირდება. რადგან ორნი ვართ, ფარნიანი ქალიშვილი უკანა რიგებისაკენ მიგვიძღვის, სადაც ცარიელ სავარძლებს შორის ჩახვეული წყვილები სხედან. ჩემდა გასაოცრად, ინგრიდი ცარიელ ადგილებს გვერდს უვლის და სულ უკანასკნელი რიგისაკენ მიდის. რომე-

ლიღაც წყვილს გზას ვუქცევთ. ნახევრად წამოწოლილან, ერთმანეთს ჩახვევიან და ჩვენ სულაც ვერ გვამჩნევენ. ორადგილიან სავარძელში ვჯდებით, ჩვენ შორის არავითარი სახელური არ არის და, რა თქმა უნდა, ეს მე ძალიან შომწონს. ინგრიდს პალტოს გახდა უნდა, ვეშველები, ხელი მხარს უკან ეხება, ნეტავი გამაგებინა, იმდენს თუ გავბედავ, რომ ასე მოხვეული დავრჩე. მაგრამ, იქნებ ჯობდეს, გავჩერდე, მეტისმეტად არ ავჩქარდე და კარგად დაწყებული საქმე არ ჩავფუშო.

იმ ადგილიდან, სადაც ის ნახევრად წამოწოლილი წყვილია, რაღაც ტკაცუნი ისმის, გეგონება, რეზინი გაწყდაო. გოგო ხითხითებს და ბიჭის თავიდან მოშორებას ცდილობს.

— ასე მგონია, ის ფსიქიატრი ვარ, ერთ საღამოს „ფოლი ბერჟერში“ რომ წავიდა და შარტო ხალხს აკვირდებოდა, — ვეუბნები ინგრიდს.

— რა? — შეკითხება ინგრიდი, არ ვიცი, ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი, თუ ხუმრობას ვერ მიმიხვდა.

— ისე, არაფერი, — ჯიბეებში ვიქექები. — ხომ არ მოსწევთ?

— მოიცადეთ! — მეუბნება და ჩანთას ხსნის, — ჯერ ეს ვჭამოთ.

შოკოლადის ფილას იღებს, ამტვრეკს და მუხლებზე ილაგებს. თან შევექცევით, თან კინოს ვუყურებთ. ქიშმიშიანი და თხილიანი შოკოლადია. ჩემის აზრით, ასეთ შოკოლადს მარტო ყავიანი კრემი თუ აჯობებს.

ფილმი ლამის გათავდეს და ჯერ ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო. თუმცა, თითქმის ყველა მუსიკალური ფილმი სულელურია, და როგორც წესი, ყველა ფილმში ხელმოცარული მსახიობების დასია ნაჩვენები, რომელთაც სჯერათ, როცა იქნება ბედი გაგვიღიმებს, ვინმე ფულს მოგვცემს და ბროდვეიზე რაღაც ზღაპრულ წარმოდგენას დავდგამთო. ყოველთვის, რომელიმე მომხიბლავ რეჟისორს უყვარს ახალგაზრდა ლამაზი გოგო, მაგრამ ვერ ხვდება, იმიტომ რომ მეორე გმირ ქალს, აუტანელს ხასიათით, მაგრამ საოცრად ნიჭიერს, მაგრადა ჰყავს ეს ჩვენი რეჟისორი ჩაჭერილი. მერე ვინმე შედის ფარდულში, ან სხვა რომელიმე ხეხულაში, სადაც რეპეტიციებს მართავენ ხოლმე და ამბობს, რა მოხდება, რომ სპექტაკლი აქ ვუჩვენოთო. ამის შემდეგ ყველაფერი საათივით აეწყობა, პრემიერის დღეს დარბაზში ყოველთვის ზის ვინმე საშინლად მდიდარი ბანკირი და ვიდრე იგი ჩეკზე ხელს აწერს, მშვენიერი ახალგაზრდა რეჟისორი კულისებში უცებ ხვდება, თურმე როგორ ყვარებია ეს ლამაზი ახალგაზრდა ქალი და მერე, სიმღერით უხსნის სიყვარულს. ხანდახან, რასაკვირველია, ერთი-ორი კარგი ფილმიც გამოერევა ხოლმე, მაგრამ ახლა რომ ფილმს ვუყურებთ, წელან რომ გითხარით, სწორედ ისეთია. ჯანდაბას, დღეს რასაც გინდა, იმას ვნახავ. მე

ვინც მაინტერესებს ეკრანზე კი არა, აგერ, გვერდით მიზის. ისე ახლოსაა, ლამის თავბრუ დამეხვეს, ვერ ვითმენ და ჩუმ-ჩუმად მისკენ თვალს ვაპარებ. ნეტავი ეს ფილმი მართლა აინტერესებს თუ უბრალოდ თავს მაჩვენებს? იქნებ გავბედო და ხელი მოვხვიო?

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცე პირველ პაემანზე, რამდენიმე აზრი არსებობს. ზოგი ამბობს, თითი არ უნდა დააკარო, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. არის სრულიად საწინააღმდეგო აზრიც, პირველ დღესვე, თურმე, შეტევაზე უნდა გადახვიდე. მე მგონი, ეს მეთოდი მხოლოდ გარკვეული ტიპის გოგოებთან გამოდგება. იმათ იციან, რატომ დაუნიშნე პაემანი და ყველაფერზე მზად არიან. არიან ბიჭები, რომლებიც უფრო ზომიერ მეთოდებს მიმართავენ. გოგოს უბრალოდ აგრძნობინებენ, რომ ის ქალია და თვითონ მამაკაცი. მე თუ მკითხავთ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მიზანი გამოძრავებს. მაგალითად, სულაც არ არის ძნელი გამოსაცნობი, ჩვენ რიგში რომ ბიჭი ზის. იმას რა მიზანი აქვს. თუ გოგოს საქციელით ვიმსჯელებთ, ბიჭი თავის საწადელს ნამდვილად მიაღწევს.

მაგრამ ინგრიდი ჩემთვის სულ სხვაა. მხოლოდ ის მინდა, მასაც მოვეწონო და ნება მომცეს მისდამი ყურადღება გამოვიჩინო. მინდა ნაზი და გამგები ვიყო, ისე ძალიან მინდა, რომ როგორც კი ამაზე ვიწყებ ფიქრს, გრძნობების ბურუსში ვეხვევი. ამ წუთში კი მასთან ვარ, სულ ახლოს, სიბნელეში...

სწორედ ამ დროს შესვენება იწყება, სინათლე ინთება და დარბაზში ნაყინი შემოაქვთ. ვეკითხები, ნაყინი თუ გინდა-მეთქი, არაო, მეუბნება. ასე რომ, აღარც ჩემთვის ვყიდულობ. ლაპარაკის დროს იდაყვს სავარძლის საზურგეზე ვდებ და როცა შუქი ქრება, ხელი თითქოს უნებურად იქ ეშვება, სადაც მინდა რომ იყოს. ინგრიდი, როგორც ჩანს, წინააღმდეგი არ არის. როგორც კი ჩემი ხელი მის მხარს ეხება, ჩემსკენ იწევს და მკერდზე მეკრობა, ინგრიდის თმა სახეში მიღიტინებს და მის ძვირფას ნელსაცხებლის სურნელებაში ვეხვევი. ცოტა ხანიც და უკვე ერთმანეთს ვკოცნით, პირველად ვკოცნით... რაღაც წარმოუდგენლად სასიამოვნოა.

გარეთ რომ გამოვდივართ, საშინელი ცივი ქარი უბერავს. ცოტა ხანს მთავარ ქუჩას მივყვებით, მერე კი ინგრიდის ქუჩაზე ვუხვევთ. არც ერთი არ ვიღებთ ხმას. მინდა რამე ვუთხრა ისეთი, რომ იმას, რაც კინოში მოხდა, აზრი არ დაეკარგოს. მაგრამ აქ, სიცივეში, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაფერი იქ, სითბოში და სიბნელეში დარჩა და ვეღარასოდეს ვიპოვით.

— ძალიან მიხარია, რომ ეს საღამო ერთად გავატარეთ. — ვამბობ მე.

— მაშ გულდაწყვეტილი არ დარჩით, არა?

პირდაღებული მივჩერებივარ. გულდაწყვეტილიო...

— იქნებ კიდევ წავსულიყავით ერთად სადმე. აი, შაბათს ან კვირას...

— კარგით, თუ თქვენ გინდათ...

ვთქვათ არ მინდა, მერე? ნეტავ ინგრიდისათვის სულერთია თუ არა? ბოლოს და ბოლოს ის კოცნა კინოში რა დიდ რამეს ნიშნავს? ჩვენ ხომ არაფერზე გვილაპარაკია და ერთმანეთს არაფერს დავპირებივართ.

— თუ არ გინდათ, ნუ წავალთ, — ვეუბნები და თან გული მისკდება, თვითონვე ვაძლევ იმის საშუალებას, რომ უარი მითხრას.

— არა, წამოსვლა მინდა.

მაშ ყველაფერი რიგზეა. მისი ქუჩის ბოლოში ვჩერდებით. მართლაც რა სუსხიანი ქარია. ხელებს ჯიბეებში ვიწყობ და ვიბუზები.

ის რაც კინოში მოხდა, სადღაც მიდის, ქრება. შეიძლება სამუდამოდაც გაქრეს. აი, ახლა რომ მეკოცნა, იქნებ ძველი გრძნობების რაღაც ნამცეცი მეორე შეხვედრამდე შემრჩენოდა. მაგრამ, აქ, გარეთ, ისევ ისე ვართ, როგორც უცხოები. კინოში ყველაფერი ბუნებრივად და უბრალოდ მოხდა. ახლა კი უშნოდ გამოვა.

— წამოდი, — ვეუბნები. — ჭიშკრამდე მიგაცილებ.

— არა, არ არის საჭირო.

— მაგრამ მე მინდა.

— მაშინ კარგი.

მიხვეულ-მოხვეულ ქუჩას მივყვებით მხარდამხარ, მაგრამ შორიშორს. ბოლოს ჭიშკართან ჩერდება.

— შენი სახლია?

— ჰო.

პატარა, თანამედროვე სტილის სახლია, გზიდან ცოტა მოშორებით, გარშემო ბაღით. დღევანდელი ფასებით, ალბათ, ორიათას ხუთასი გირვანქა მაინც ეღირება. რომ შეიღებოს, მართლაც მშვენიერი იქნება.

არა, ჩვენ სახლსა ჰგავს სწორედ!.. ჭუჭყიანი ქვის ფასადი, ორი სართული, ზემოთ სხვენი და უზარმაზარი ოთახები. თუმცა სიმყუდროვე მაინც არ აკლია, იმიტომ რომ ჩემ ბებერ დედიკოს მაგ საქმეში დიდი ნიჭი აქვს. მაგრამ სულ ცოტა, ერთი ტონა ქვანახშირი მაინც გვინდა, რომ ჩვენ სახლში სითბო დატრიალდეს. სილამაზითაც ვერავის მოხიბლავს.

ინგრიდის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი. ნეტავი რა ოჯახი აქვს, ან მამამისი ვინ არის. რატომღაც ინგრიდის მამის დიდი რიდი მაქვს,

თუმცა არასოდეს მინახია და არც მისი ქალიშვილისათვის მიკადრებია ცუდი.

— და ან ძმა თუ გყავს?

— არა, დედისერთა ვარ. — ამბობს ინგრიდი. ქუჩის ფარნის შუქზე მის ტუჩებს მოლურჯო ფერი დაჰკრავს, სახე კი რაღაც ჭუჭყიანი თეთრი ფერისა აქვს. მთელი ღამე აქ ხომ არ დავაყენებ, არადა ძალიან მინდა ვაკოცო. ნეტავი თუ ელოდება, რომ ვაკოცებ? რატომღაც აქ, გარეთ, ისე ბუნებრივად აღარ გამოდის.

ჭიშკარს აღებს. ჩემი წასვლის დროა.

— გმადლობ საღამოსათვის, ძალიან კმაყოფილი ვარ.

— სასიამოვნოა. ხვალამდე.

აი, ახლა, როცა ასე ახლოს არის ჩემთან და სახეც ჩემსკენა აქვს მობრუნებული, სწორედ დროა, რომ ვაკოცო. მელოდება, და უკვირს რატომ არ ვკოცნი.

— კარგი, ხვალამდე.

ახლა კი უკვე დაგვიანდა. შედის და ჭიშკარს ხურავს. ვხედავ როგორ ადის ოთხ საფეხურს და როგორ მიჰყვება აღმართში ბილიკს სახლისაკენ. უკან იხედება და ხელს მიქნევს.

— ეი!

— რა!

— ბედნიერ ახალ წელს გისურვებ!

ინგრიდი იცინის.

— გმადლობთ. შენც!

უკან მოვდივარ. ნეტავი გაისად ამ დროს, როგორ ვიქნებით ერთმანეთთან? ისევ ერთად ვივლით? იქნებ სჯობდეს კიდეც, რომ არ ვაკოცე? იქნებ ამით უფრო მოვეწონო? ერთი მალე მოვიდოდეს შაბათი საღამო. ფეხს ვუჩქარებ. სეირნობისათვის სადა მცალია, როცა ამდენი ფიქრითა მაქვს თავი გამოტენილი.

## თავი მესამე

### I

შაბათი დილაა. ლოგინში კარგად ვარ ჩათბუნებული და მესიზმრება, ვიღაც მეძახის. უცებ მეღვიძება და მესმის, ჩემი ბებერი დედიკო კიბის ძირში დამდგარა, და ისე ხმამაღლა მიყვირის, რომ ჩვენს ქუჩაზე ალბათ აღარავისა სძინავს.

— ვიქტორ, ვიქტორ! რამდენი უნდა გეძახო?

თვალებს ვახელ და გავძახი, კარგი, მოვდივარ-მეთქი. ცხვირი ზედ შპალერზე მაქვს მიდებული. ჩემი ბებერი დედიკოს გემოვნებითაა ნაყიდი. ნაცრისფერ ფონზე კომბოსტოსოდენა ვარდის წნულებია დახატული. ფანჯრის მინებზეც ყვავილებია მოხაზული. ამაზე კი ყინვას უზარუნია. საბნიდან ხელს ვყოფ და ვგრძნობ რა საშინლად ყინავს ოთახში. ერთ წამს მეჩვენება, რომ ჩვეულებრივი შაბათი დილაა და უნდა წავიდე მისტერ ვან ჰუიტენს მივეხმარო მაღაზიაში. მერე მაგონდება, რომ დღეს განსაკუთრებული შაბათია და გულში ბედნიერების გრძნობა ისე იშლება. როგორც დიდი, ყვითელი ყვავილი, კაშკაშა მზის სხივებითა და სიმხურვალით გაჟღენთილი.

საათს ვწვდები, უკვე ცხრის ორი წუთი ყოფილა. აბა, ახლა კი უნდა ავჩქარდე, თორემ... საბანს ვიხდი, ფეხებს გარეთ ვყოფ, მაგრამ ხალიჩის შაგივრად, ყინულივით ცივ ლინოლეუმს ვხვდები. უცებ ისევ ლოგინში ვძვრები. საწოლიდან ვიხრები, წინდებს ვიღებ, ვიცვამ და ფეხებს ფოსტლებში ვყოფ. ლოგინიდან გადმოვდივარ და ფოსტლებს ისევ ვიხდი, იმიტომ რომ პიჟამოს შარვალს ფოსტლებჩაცმული ვერ ვიძრობ. ჩემი შარვალი ისეა გაყინული, რომ დააყუდო, თავისით დადგება. აი, ასეთ ამინდში ნაკეცები მართლაც არ გაფუჭდება! სააბაზანოსაკენ რომ მივდივარ, დედაჩემი კიბის ძირთან ჩერდება და ის არის, პირი უნდა გააღოს და იყვიროს, რომ მამჩნევს და ისე უცებ ჩუმდება, გეგონება ვინმემ პირზე ხელი დააფარაო.

— აქამდე უნდა ამდგარიყავი. — ბურტყუნებს და ისევ სამზარეულოში შედის.

ორ წუთში მზად ვარ, მაგრამ კიბეებზე მაგონდება, რომ თუ ახლა არ გავიპარსე, მერე ინგრიდთან შეხვედრამდე გაპარსვას ვეღარ მოვასწრებ. უკან გამოვრბივარ, სახეზე საპონს სწრაფად ვიქაფებ, კანს ერთ ხუთ ადგილზე ვიჭრი და დაკლული ბურვაკივით სისხლისაგან ვიწრიტები. კიბის ბაქანზე ჩვენ ჯიმს ვხვდები, რასაკვირველია, ამჩნევს ჩემ სახეზე დაწებებულ ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯებს.

— სხვა დროს დანა-ჩანგალი კარგად გაალესინე. — მეუბნება.

— წადი, დაიკარგე! — ვუღრენ და კიბეებზე ჩავრბივარ. უმაგისოდაც საზიზღარ გუნებაზე ვარ. როგორია ასე დაჩეხილი სახით პაემანზე წასვლა? სამზარეულოდან ლორიანი ერბოკვერცხის სურნელი გამო-

დის, პირი ნერწყვით მევსება. ჩემი ბებერი დედიკო გაგულისებული მიდგამს თეფშს.

— ცოტა ზედმეტად შეიწვა, მაგრამ შენ თავს დააბრალე. ექვსჯერ დაგიძახე. არ ვიცი, რა გემართება. გინდა შენ გამიღვიძებიხარ და გინდა მიცვალებული წამომიყენებია. იქამდე მიხვედი, პასუხსაც კი მძინარე ვაძლევ.

საუზმეს გემრიელად შევექცევი — გაუშვი, ილაპარაკოს. არა უშავს, ცოტას შეისვენებს. დილის ხუთი საათიდან ფეხზეა ხოლმე— მამაჩემს სამუშაოზე ისტუმრებს. ოცდაათი წელიწადია მამაჩემი ჩასჩიჩინებს ჩემ თავს თვითონ მოვუვლიო, მაგრამ ვერ შეასმინა. დედაჩემს დაუჩემებია, მე რომ არ გაგისტუმრო ან საუზმე დაგრჩება ან სხვა რამეო და ერთი-ორი დღის გარდა (მაშინაც ძალიან ავად იყო), არც ერთი დღე არ გამოუტოვებია, ყოველ დილით აცილებს.

მიყურებს, თეფშს პურის ლუკმით როგორ პირწმინდად ვაპრიალებ.

— აბა, რა უნდა შეგერგოს? არცა ღეჭავ, ისე ყლაპავ. ჩაის არ დალევ?

ჩაიც მინდა და პურსაც დავაყოლებ კარაქითა და ჯემით-მეთქი. დედაჩემი ბუტერბროდს მიკეთებს. პურს ისე დაითრევს ხოლმე, გეგონება დასაკლავი ქათამია და ეს-ეს არის თავი უნდა წააცალოსო.

— შენს ადგილას ცოტას ვიჩქარებდი. დაგვიანება ხელს არ მოგცემს. რად გინდა მისტერ ვან ჰუიტენს შენზე შეხედულება გაუფუჭდეს, თანაც იმ ხუთი გირვანქის შემდეგ, საშობაოდ რომ მოგცა.

— ხან მიჯავრდები ასე ჩქარა რად ჭამო, ხან მეუბნები ცოტა გაინძერიო.

— ისე უნდა მოიქცე, რომ ყველაფერი მოასწრო, საჭმელსაც შეირგებ და სადაც მისასვლელი ხარ, იქაც დროზე მიხვალ. აი, როგორც შენი ბიძაშვილი უოლტერი, დილაობით ყველაფერი წუთობით აქვს გამოზომილი, ამდენი წუთი ამისათვის, ამდენი — იმისათვის. არც შენსავით დაუღეჭავად ყლაპავს საჭმელს და არც ავტობუსზე აგვიანდება.

მე ვიღრიჯები. ჩემი ბიძაშვილი უოლტერი ერთი აწოწილი, დიდცხვირა ბიჭია. მუშაობით ბანკში მუშაობს. საშინლად მეჯავრება. ალბათ იმიტომაც, რომ მთელ ჩვენ ოჯახს ჰგონია, მაგას აღარავინ სჯობიაო. აბა, ერთხელ დილით ფულზე ნერვები მოეშალოს... მთელი მაგის სისტემა ხუხულასავით დაინგრევა.

— ნუ გეშინია, არ დამაგვიანდება, — ვეუბნები ჩემ ბებერ დედიკოს, — ოღონდ ახლა მომეშვი.

— მოშვებით მოგეშვები, მაგრამ ყურს კი აგიწევ. დედასთან ასეთი ლაპარაკი გაგონილა? ხომ არ გგონია, წვერის პარსვა რომ დაიწყე, ერთი ლაზათიანად ვეღარ მიგბეგავ? არა, შენ სახეს შეხედე. ერთი მითხარი, შეიძლება ასეთი დაჩეხილი სახით გარეთ გასვლა და მაღაზიაში მყიდველებთან მუშაობა?

— იქ რომ მივალ, ქაღალდებს დავიძრობ. — კაცმა რომ თქვას, ყველაზე მეტად ჩემი სახე მე მაწუხებს. არაფერი არ მიშლის ნერვებს ისე, როგორც პარსვის დროს დაჭრილი სახე. მერე რამდენიმე კვირა ფრთხილად უნდა იყო, თორემ თუ სამართებელი ძველ ჭრილობას მოხვდა, თავიდან დაგეწყება სისხლის დენა. მაგრამ ახლა რაღა ეშველება? რაც შეეხება მიტყეპვას, ჩემ ბებერ დედიკოს თუ დასჭირდა, ერთს გვარიანად მიმბერტყავს და წარბსაც არ შეიხრის. დედაჩემს იუმორის გრძნობის ნატამალი არ გააჩნია, ეს ყველამ ვიცით, მის გარდა.

კიდევ ერთი-ორი წუთი და ჩაისაც ვსვამ და ორ ნაჭერ პურსაც ვაყოლებ კარაქითა და ჯემით. სახლიდან გავდივარ და ავტობუსის გაჩერებისაკენ თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ. მზე კარგად ათბობს, მაგრამ აქა-იქ წყლის გუბეები ჯერ ისევ გაყინულია და ერთი-ორჯერ ლამის ძირს გავიშოტო. ქუჩის ბოლოში ავტობუსი დგას და მინდა მივუსწრო. კონდუქტორი პლატფორმაზე დგას და ჩემსკენ იყურება. ჯერ მგონია მე მიცდის, მაგრამ ავტობუსამდე სულ რაღაც ოციოდე იარდით რომ ვარ დაშორებული, ზარს რეკავს, უკანასკნელ ძალ-ღონეს ვიკრებ, სახელურს ვეჭიდები და პლატფორმაზე ვხტები.

კონდუქტორი ერთი საცოდავი ვინმეა, დამდგარა და დამპალ კბილებს წვერწათლილი ასანთის ღერით იჩიჩქნის.

— შენ თუ ავტობუსებზე ასე იხტუნავე, ერთ მშვენიერ დღეს ქვეშ ჩაუვარდები. — მეუბნება, და თან მიყურებს, როგორ ძლივს ვითქვამ სულს. — აი, ახლა რომ ავტობუსი გავაჩერო და ძირს ჩაგსვა, კარგი იქნება.

— ხომ მხედავდი რომ მოვრბოდი? იქნებ გეგონა სირბილში ვვარჯიშობდი?

— მერე ეს რა, უკანასკნელი ავტობუსი ხომ არ იყო? ჩვენც გრაფიკი გვაქვს თუ არა?

ერთი გულიანად შეგინება ერთ რამედ მიღირს, მაგრამ ენას კბილს ვაჭერ და ბილეთის ფულს ვაწოდებ.

— სადამდე?

— ბაზრის ქუჩამდე.

— ოთხი პენსი.

— გორაკიდან მარტო სამი პენსია.

— ეს სპეციალური ავტობუსია. — მეუბნება კონდუქტორი. — ამ მარშრუტზე ოთხი პენსია, იმიტომ რომ რატუშას გარშემო ვუვლით.

კიდევ ერთ პენსს ვაძლევ.

— მადლობა უნდა მითხრა, რომ ჩავჯექი, ახლა ოთხი პენსით მეტი გექნება.

კონდუქტორი თავს აქნევს, ენას აწკლაპუნებს და დამპალ კბილებს აჩენს.

— მე საიდან მექნება, ჩემო ძმაო, ჩემთვის სულ ერთია.

ბილეთს ვართმევ და ზემოთ ავდივარ. არა მგონია, დღეს ამ კონდუქტორზე უბედური შემხვდეს ვინმე. კიდევ კარგი, ეს შეხვედრა უკვე წარსულს ჩაბარდა.

შაბათობით მისტერ ვან ჰუიტენის მუსიკალურ მაღაზიაში ვმუშაობ ბაზრის ქუჩაზე. დანარჩენ დღეებში მაღაზიაში მარტო მისტერ ვან ჰუიტენი და ჰენრი თომასი მუშაობენ. ჰენრი მაღაზიის უკან პატარა ოთახში ზის და რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს არემონტებს. შაბათობით კი დახლის უკან მე ვდგევარ და საკვირაო ვაჭრობაში ვეხმარები. მისტერ ვან ჰუიტენის მამა ჰოლანდიელი იყო, მაგრამ თვითონ მისტერ ვან ჰუიტენს უკვე ნამდვილი ინგლისელისაგან ვეღარც გაარჩევ. ჰოლანდიური მარტო გვარიღა შემორჩენია და ერთი-ორი სიტყვა, იმასაც, როცა გაბრაზდება, მაშინ თუ იხმარს ხოლმე. ზოგი „ვანს“ და „ფონს“ ერთმანეთში ურევს, „ფონი“ კი უკვე გერმანულია. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს მისტერ ვან ჰუიტენის მამის სახლის ფანჯრებს აგურებს უშენდნენ. მაშინ ხალხს ამდენი განათლება არ ჰქონდა და აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ თვითონ მისტერ ვან ჰუიტენსა და მამამისს პირვითი სძულდათ გერმანელები. მაგრამ როცა მისტერ ვანი მოხალისედ წავიდა ფრონტზე და შინ ინგლისურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დაბრუნდა, ყველაფერს მიხვდნენ. მამაჩემიც მაშინ წავიდა ჯარში და სწორედ იქ დაუმეგობრდა მისტერ ვან ჰუიტენს, მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ვან ჰუიტენი უკვე ასაკში შესული კაცი იყო, მამაჩემი კი სულ ახალგაზრდა ბიჭი, ლამის ჩემზე უმცროსი. ომის შემდეგ უფროს მისტერ ვან ჰუიტენს, რომელიც თურმე ანტიკვარი ყოფილა, საქმეები ცუდად წასვლია და ერთ მშვენიერ დღეს შუბლში ტყვია უკრავს. დაუტოვებია მისტერ ვანი თავის თავის ანაბარა.

მისტერ ვან ჰუიტენსაც ბევრი უბედურება შეემთხვა. მამის სიკვდი-

ლის შემდეგ ცოლი შეირთო, რამოდენიმე წლის შემდეგ კი ცოლი კიბოთი გარდაეცვალა. ასე რომ ისევ მარტო დარჩა. მერე კი აღარ დაქორწინებულა. ერთ ხანს პიანინოზე უკრავდა ჯერ თეატრის ორკესტრში, მერე მუნჯი კინოს სეანსზე და ამით გაჰქონდა თავი, ბოლოს კი აი, ეს მაღაზია გახსნა.

ჩვენი ოჯახის დიდი ძეგობარია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩემი ბებრები ხშირად ახსენებენ და საშობაოდ მისალოც ბარათსაც უგზავნიან ხოლმე. ქრისის ქორწილში კი სტუმრების სიაში სულ თავში მისტერ ვან ჰუიტენის გვარი ეწერა. მაღაზიაში მუშაობა კი აი, როგორ დავიწყე: ერთ დღეს მამაჩემმა „არგუსში" განცხადება წაიკითხა, მაღაზიას კვირაში ერთხელ გამყიდველი სჭირდებაო. სადილად რომ ვისხედით, მეც მითხრა ამის შესახებ. ვიფიქრე. ზედმეტი ფული არ მაწყენს-მეთქი, თანაც სამუშაოც მომწონდა. მამაჩემსაც ბევრი არ ულაპარაკია, წავიდა და ხელად გამიკეთა საქმე. აი, თითქმის წელიწადია რაც იქ ვმუშაობ და ერთხელაც არ მინანია. შაბათობით დახლთან დგომა მიყვარს, მაღაზიაში ქვეყნის ხალხი შემოდის. სასიამოვნოა უცხო სახეების დანახვა, როცა სამსახურში ჰესოპის, მილერის, როულინსონისა და კონროის სიფათების მეტს ვერაფერს ვხედავ. ზოგჯერ მგონია კიდეც, რომ ასეთი სამუშაო სწორედ ჩემთვისაა ზედგამოჭრილი, მაგრამ სულ რომ მანდ ვიმუშაო, ხელფასი პატარა მექნება. ახლა კი, მარტო შაბათობით როცა ვმუშაობ, ის ოცდაათი შილინგი, მისტერ ვანი რომ მაძლევს, ჩემს ხელფასთან ერთად დიდი შეღავათია.

მაღაზიაში რომ შევდივარ, ცხრა სრულდება, მისტერ ვანს კარები უკვე გაუღია. მაღაზიასთან „მორისი" დგას და ჰენრი მელოდება, რომ ერთად დავტვირთოთ მანქანა. მანქანა ბაცი ცისფერი ფერისაა და შავი ასოებით მისტერ ვან ჰუიტენის გვარი აწერია. ჯერ ისევ სულ ახალსა ჰგავს, თუმცა არც არის გასაკვირი. ექვსი თვეც არ გასულა, რაც იყიდეს. „მორისამდე" რომ მანქანა იყო, ის მისტერ ვან ჰუიტენს ჯერ კიდევ ომამდე ჰქონია ნაყიდი. იმას ზედ გვარი არ ეწერა. მისტერ ვანი, გრძელი დახლის ბოლოში, მქრქალი მინით შემოღობილ ჯიხურში ზის და წიგნებს ჩაჰკირკიტებს. მე და ჰენრის მაღაზიიდან ორი ახალი ტელევიზორი, სამი შესაკეთებლად დატოვებული და ერთიც რადიომიმღები გამოგვაქვს.

— ამ კვირას კარგად ვივაჭრეთ, არა, ჰენრი? — ვეუბნები, როცა ტელევიზორები და რადიომიმღებები უკვე მანქანაშია და ჩვენ ცოტა ხანს ვჩერდებით, რომ სული მოვითქვათ. — ეს საქონელი ალბათ ორას გირვანქაზე მეტია.

ჰენრი ერთი ჩია კაცია, სქელი ცოლი ჰყავს და ხუთი პატარა ბავშვი. სათვალეს ატარებს, თმა კი მუდამ ყალყზე უდგას, თუმცა პარაფინიდან მოყოლებული ღორის ქონამდე ყველაფერს თავზე ითხუპნის. ყურსუკან გაჩრილ სიგარეტს იღებს, პირში იდებს, აბოლებს და მპასუხობს. თავს ისე იქნევს, ვატყობ ამ დილით ვერ არის გუნებაზე. თუმცა არც სხვა დროს მახსოვს მხიარული.

— არა მგონია, ასე დიდხანს გაგრძელდეს. — მეუბნება და ისევ თავს აკანტურებს.

— გაგრძელდესო... რას მიედ-მოედები, ხომ ხედავ რა გახურებული ვაჭრობაა. მე რომ მკითხო, იმდენი საქონელი არცა გვაქვს, რომ ყველა დავაკმაყოფილოთ. — მაგრამ ჩვენი ჰენრი ასეთი კაცია და რას იზამ? ყველაფერში ცუდს ხედავს, თუ საამისოდ მიზეზი არა აქვს, თვითონ იგონებს. თუმცა ვინ იცის, იქნებ მეც ჰენრისნაირი ვყოფილიყავი სქელი ცოლი და ხუთი შვილი რომ მყოლოდა. გონებაში სულ ინგრიდი მიტრიალებს და ჰენრის რომ ვუყურებ, მეცოდება.

— რამდენ ხანს გაგრძელდება ეს აყვავება, ვიკ? — მეკითხება ჰენრი და სიგარეტს ექაჩება, — ერთხელაც იქნება, დადგება დრო, და ყველას ყველაფერი ექნება.

— შენ ფირფიტებს შეხედე, — ვეუბნები. — ყველას ეგონა, რომ ტელევიზორი ფირფიტებით ვაჭრობას ბოლოს მოუღებდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. ნახავენ თუ არა ტელევიზორში ვინმე ახალ მომღერალს, მაშინვე მორბიან და მის ფირფიტას ყიდულობენ. თვე ისე არ გავა, ვინმე ახალი მომღერალი არ გამოჩნდეს.

— მაგრამ ტელევიზორს ხომ ყოველთვე არ ყიდულობ?

— მერე რა? შეკეთება ხომ სჭირდებათ? მანქანები? მანქანებზე რაღას იტყვი? ნახე რამდენს უშვებენ. მერე, სად მიდის ამდენი მანქანა? მე, მაგალითად, არ ვიცი. ისე გამოდის, დღეს სულზე ორი მანქანა უნდა მოდიოდეს, მაგრამ არც შენა გყავს და არც მე.

— ეეე... — მეუბნება ჰენრი. — ეგ სულ სხვაა. მანდ საქმე სხვა რამეშია... — ვხედავ, როგორ აუციმციმდა თვალები, როგორ ასწია ხელი. ეს ნიშნები ჩემთვის ნაცნობია. ახლა სტატისტიკური ცნობების მოწოდებას მოჰყვება და ჰენრიმ თუ სტატისტიკას მიჰყო ხელი, მერე მორჩა, შენი საქმე წასულია. წარმოდგენა არა მაქვს საიდან აქვს ამდენი ცნობა, ალბათ, ძილში, თვითონაც ვერ გებულობს, ისე ეტენება თავი ციფრებით.

— ამაზე ბევრს ვფიქრობ ხოლმე, ხომ იცი, ეგ ჩემი ჰობია, ერთიორი დასკვნაც გამოვიტანე...

— ახლა ისა სჯობს, მუშაობას მოვკიდოთ ხელი და ეგ შენი სტატისტიკა სადილობისათვის შემოვინახოთ, თორემ მისტერ ვან ჰუიტენი ერთს კარგად შეგვახურებს, უსაქმოდ რომ ვდგავართ და ვლაქლაქებთ.

ჰენრი გრძნობს მართალი რომ ვარ და უცებ ჩუმდება, ერთს გულიანად ამოიოხრებს, ეტყობა როცა ლაპარაკს არ აცლიან, ყოველთვის ასე მოსდის ხოლმე. სიგარეტს აქრობს, ქურთუკს იკრავს და მანქანის კარს აღებს.

— ეგ კარგი, ვიკ, მაგრამ ჩვენ ყველანი ილუზიებით ვცხოვრობთ, აი, რაშია საქმე, ილუზიებით. უმუშევრობა აღარ არის და ყველაფერი რიგზეა არა? ეს ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ როცა ქუჩაში ამოვყოფთ თავს, არა თქვა, ჰენრის არ გავუფრთხილებივარო.

— არა უშავს რა, უმუშევრობის დახმარებას ერთად მივიღებთ. — ვეუბნები და ვიღრიჭები.

ჰენრი მიყურებს.

— დახმარებაო, არა? წადი და მამაშენს ჰკითხე ეგ შენი დახმარება რას ნიშნავს.

როგორც იტყვიან ხოლმე, ამ საბოლოო გასროლის შემდეგ მანქანის კარს ხურავს და ძრავას რთავს. ჰენრის სიტყვები რომ ჩემ ბებერ დედიკოს გაეგონა, ალბათ ერთს კარგად დაუცაცხანებდა, ეს რა მშვენიერი დამშვიდება გცოდნიაო. ცოტა ხანს მანქანას თვალს ვაყოლებ, მერე ისევ მაღაზიაში შევდივარ.

— ახლავე გაყიდეთ მაღაზია და ფული ბოსტნეულით ვაჭრობაში დაბანდეთ. — ვეუბნები მისტერ ვან ჰუიტენს, როცა მის მაგიდას ვუახლოვდები. მისტერ ვანი თავის დიდ, ხშირთმიან თავს სწევს და სერიოზულად მიყურებს.

— კი მაგრამ, ეს რატომ, ვიკ?

— ჰენრი ამბობს, ილუზიებით ვცხოვრობთო.

— ოჰ, ჰენრი ამბობს! ჩვენი შინაური ეკონომისტი... — იცინის მისტერ ვანი. კბილები ისე აქვს ღრძილებიდან ამოჩრილი, როგორც საფლავის ქვები ძველ სასაფლაოზე, სადაც უკვე აღარავის ასაფლავებენ. — რადიომიმღებებში მართლაც კარგად ერკვევა, ერთი-ორი უბრალო რამე თუ შეეშლება, მაგრამ რაც შეეხება ჩვენი საქმის ფინანსურ მხარეს, მე მგონი, არ არის სანდობი. — მერე ისე გულიანად იცინის, გეგონება ჰენრის სახით ჩვენი დროის უდიდესი კომიკოსი აღმოაჩინაო.

ცოტა ხანს ვაცდი და მერე ვეკითხები, რა გავაკეთო-მეთქი.

— ახლავე მოვიფიქრებთ, — მეუბნება და სათვალეს შუბლზე იწევს, — ახლავე გეტყვით.

მისტერ ვან ჰუიტენი განსაკუთრებული ადამიანია. ისეთ რამეს იტყვის, რასაც სხვისგან ვერასოდეს გაიგონებ. იცვამს, როგორც ნამდვილი ძველი ჯენტლმენი. საგულდაგულოდ უნდა დააკვირდეთ, რომ ჟილეტზე და შარვალზე საუზმის ნამცეცები ან სიგარეტის ფერფლი შეამჩნიოთ. მისტერ ვანი ბევრს ეწევა, მაგრამ ნამდვილი მწეველიაო, მაინც ვერ იტყვით. სიგარეტს მოუკიდებს, პირში გაიჩრის და ფერფლი კი ცვივა და ცვივა წიგნებზე. დროდადრო, ანგარიშმიუცემლად გადაბერტყავს ხოლმე. მართლაც რომ ნამდვილ ჯენტლმენსა ჰგავს. განსაკუთრებით ის მომწონს მისი, გულის ჯიბეში რომ მუდამ თეთრი ცხვირსახოცი უდევს ისე. დაუდევრად, არტისტულად, თითქოს უნდა თქვას — ჰო, რა თქმა უნდა, ვიცი ჩაცმა როგორ უნდა, მაგრამ მაგას რომ ვდიო, ამდენის თავი არა მაქვსო.

მისტერ ვანი ფიქრობს რა საქმე მომცეს და მერე მეუბნება:

— მე მგონი, კარგი იქნებოდა ის ახალი ფირფიტები გადაგეთვალიერებინა, ახლახან რომ მივიღეთ, რა თქმა უნდა, თუ არაფერი გექნება საწინააღმდეგო. ალბათ, დღეს იქიდან უეჭველად რომელიმეს მოიკითხავენ და კარგია რომ ვიცოდეთ, სად რა გვიდევს.

— მართალი ბრძანდებით.

„საწინააღმდეგო თუ არაფერი გექნებაო,“ უფროსი თვითონ არის, მე ვინ მეკითხება საწინააღმდეგო მაქვს რამე თუ არა. მაგრამ ასეთია მისტერ ვან ჰუიტენი, მუდამ გულისხმიერი, ადამიანურად გეპყრობა, მასთან მუშაობა სიამოვნებაა და მეტი არაფერი.

მივდივარ და ახლადმიღებული ფირფიტების დათვალიერებას ვიწყებ. საქონელი დახლის უკან, ყუთებშია ჩალაგებული. სულ მთლად ახალი სიმღერებია: ფრენკ ვოგანი, ტომი სტილი და ელვისი; იცოცხლე, დღეს საღამოს შემოცვივდებიან გოგო-ბიჭები, მთელ ფირფიტებს დაიტაცებენ, წაიღებენ სახლში და იმდენს დაუკრავენ, სანამ მეზობლებსაც ჭკუიდან არ შეშლიან და თვითონაც არ გადაირევიან. მეორე კვირას კიდევ ახლების საყიდლად მოვლენ. ყოველ შაბათს აქ არიან და ფირფიტებს ყიდულობენ — გამოჩენილ მომღერლებს, რომელთაც წლების მანძილზე არავინ ივიწყებს და ახალგამოჩეკილებსაც, რომლებიც ალბათ ერთ წელიწადნახევარში აღარავის გაახსენდება. ჰენრის წუწუნი მაინცდამაინც გულამდე არ მიმაქვს, მაგრამ ნეტავი გამაგებინა როდემდე გაგრძელდება ასე. ჯერჯერობით კი მისტერ ვან ჰუიტენის საქმეები მშვენივრად მიდის.

თვითონ ვან ჰუიტენი ბეთჰოვენს აღმერთებს. ერთხელ გავიგონე ვიღაც მყიდველს როგორ ეუბნებოდა, „გვიანდელი კვარტეტები“ მიყვარსო — ღმერთმა იცის, ამ „გვიანდელ კვარტეტებში“ რას გულისხმობს. მაგრამ სულაც არ თაკილობს, სხვა საქონლით ვაჭრობითაც მიიღოს შემოსავალი. მე კი თითქმის ყველაფერი მიყვარს, განსაკუთრებით ისეთი სიმღერები, რომლის მელოდიის სტვენაც შეიძლება. ისე კი, რაც მართალია მართალია, ჩვენი მაღაზიიდან ნაგავიც ბევრი გადის.

მიღებული საქონლის დათვალიერებას ვამთავრებთ და მისტერ ვან ჰუიტენს ტვირთბარათებს ვაძლევ. წინასწარ შეკვეთილ ფირფიტებს ცალკე ვაწყობ, დანარჩენს კი ცალ-ცალკე ყუთებში ვალაგებ. ეს ჩემი იდეაა. ადრე მისტერ ჰუიტენი ფირფიტებს კატალოგის ნომრების მიხედვით ინახავდა.

— ყური მიგდეთ, მისტერ ვან ჰუიტენ, — ვეუბნები ერთ შაბათ დილას. — სულ იმაზე ვფიქრობ, საქონელი როგორა გაქვთ დალაგებული.

მისტერ ვან ჰუიტენი ჩერდება და გულისყურით მისმენს.

— როცა ვინმე ფირფიტის საყიდლად მოდის, ჩვენ კატალოგში ნომერს ვეძებთ და თუ აღმოჩნდა, რომ გვაქვს, ვყიდით. ასე არ არის?

იგი ძალიან მშვიდად მიქნევს თავს:

— ასეა.

— თუკი არა გვაქვს, ვურჩევთ რომ შეგვიკვეთოს. მაგრამ ზოგჯერ ლოდინი არ უნდათ ხოლმე და სხვა მაღაზიაში მიდიან.

— ეგეც მართალია. მაგრამ ხომ არ შეიძლება რაც ქვეყანაზე ფირფიტებია ყველა გვქონდეს?

— მართალია, არ შეიძლება, მაგრამ ის ხომ შეიძლება, ფირფიტები ყუთებში ჩავაწყოთ და ზედ მომღერლის გვარი დავაწეროთ, კლასიკური მუსიკის ფირფიტებს კი კომპოზიტორის გვარი. მერე, მაგალითად, თუკი ვინმე ჰერი კომოს ფირფიტას მოიკითხავს, ჩვენ ჰერი კომოს ყუთს ჩამოვიღებთ და ფირფიტას მოვძებნით. მყიდველიც ჩვენთან ერთად მოძებნის; გამოვა, რომ მყიდველი მარტო კატალოგში ჩამოწერილ სახელებს კი არ ნახავს, რომლებიდანაც შეიძლება ზოგი არცა გვქონდეს, არამედ იმ ფირფიტებს, რომლებიც ჩვენა გვაქვს. სანაძლეოს დავდებ, უეჭველად რამეს ამოირჩევს, ან იმას, რომელიც დაავიწყდა, ან რომელიც ჯერ არ გაუგონია. ჩვენ კი ერთს კი არა, სამსა და ოთხ ფირფიტას გავყიდით.

მისტერ ვანი სათვალეების ზემოდან მიყურებს:

— ესე იგი, ისე უნდა ურიონ ფირფიტებში ხელი, როგორც წიგნებში ურევენ?

— დიახ, სწორედ ისე. წიგნის მაღაზიის პატრონები აქამდე ათასჯერ გაკოტრდებოდნენ, მყიდველებისათვის მარტო ის წიგნები რომ ეჩვენებინათ, რომელსაც თხოულობდნენ. ხშირად ისეც არის, რომ თვითონაც არ იციან რა უნდათ. ჩვენთან კი მოვლენ, ყუთებს გადაათვალიერებენ და თუ რამე მოეწონათ, იყიდიან. რასაკვირველია, თვალი უნდა გვეჭიროს, რომ ფირფიტები არ გააფუჭონ... ხომ გამიგეთ, მისტერ ვან ჰუიტენ?

იგი თავს მიქნევს:

— გავიგე, ვიქტორ. ვიფიქრებ და პასუხს გეტყვი. — მერე ისევ თავის წიგნებს უბრუნდება, მაგრამ ვიცი, აუცილებლად მოიფიქრებს და პასუხსაც მეტყვის.

მეორე შაბათს თვითონ იწყებს ლაპარაკს.

—შენი აზრი მომეწონა, ვიკ. — მეუბნება. — მაგრამ როგორ დავიწყოთ?

ერთი სული მაქვს იმ წუთშივე შევუდგე საქმეს.

— ძნელი არ იქნება. რაც მთავარია, ყუთები გვჭირდება, ბევრი ყუთი. წარწერებს კი მე გავუკეთებ. სახლში საბავშვო სახატავი კომპლექტი მაქვს.

— მე ეგ არ მაწუხებს. იმაზე ვფიქრობ, მთელი საქმე რომ თავიდან უნდა ავაწყოთ, ვიქტორ. ამას დიდი დრო დასჭირდება, შენ კი ჩემთან მარტო შაბათობითა ხარ, როცა გახურებული ვაჭრობაა.

მე ვეუბნები, სიამოვნებით მოვალ ერთ-ორ დღეს სამუშაოს შემდეგ მეთქი. იგი ეჭვით მიყურებს.

— თუ თავისუფალი დრო არ გენანება...

— რას ამბობთ, სიამოვნებით მოვალ, ასეთი საქმეები მიყვარს.

— მე კი ისევე გადაგიხდი როგორც შაბათობით გიხდი.

— ფულზე არც მიფიქრია, მისტერ ვან ჰუიტენ. — ვეუბნები და მართლაც რომ არ მიფიქრია. არ მინდა ეგონოს, ზედმეტი ფულის გაკეთება უნდაო. თვითონ აზრი მომწონს.

— მოდი, შევთანხმდეთ, ჩემო ბიჭო, შენ დროს მახარჯავ, მე კი ფულით აგინაზღაურებ. თუ საქმეა — საქმე იყოს.

სახლში ყუთებზე დასაკრავი წარწერები გავაკეთე და ერთი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს დავდიოდი მაღაზიაში ფირფიტების გადასარჩევად. თუკი რამე მაინტერესებს, ყველაფერს შესანიშნავად ვიმახსოვრებ. ბოლოს, როცა საქმეს ბოვრჩი, თითქმის მთელი ფირფი-

ტები ზეპირად მახსოვდა და შემეძლო მაშინვე მეთქვა, გვქონდა ესა თუ ის ფირფიტა თუ არა. პირველ ორ საღამოს მისტერ ვან ჰუიტენიც რჩებოდა. მერე კი მარტო მტოვებდა. საღამოს მაღაზიას მე ვკეტავდი და გასაღები მისტერ ვან ჰუიტენთან სახლში მიმქონდა. ძალიან მსიამოვნებდა, რომ ასე მენდობოდა. შემეძლო რომელიმე ფირფიტა წამეღო სახლში და მისტერ ვანი ვერაფერს მიხვდებოდა. ჰოდა, სწორედ იმიტომ, რომ ასე მენდო, მე კიდევ ერთი აზრი მომივიდა თავში: არაფერი მოხდებოდა, რომ შაბათობით სადილობის დრო ცოტა გადაგვეწია და მაღაზია სწორედ მაშინ არ დაგვეკეტა, როცა ყველაზე გახურებული ვაჭრობა იყო. ცოტა ხნის შემდეგ ასეც გავაკეთეთ.

აი, ახლა კი ფირფიტების დახარისხება დავამთავრე და მაღაზიას თვალს ვაკლებ. ადრე მყიდველები ფირფიტებს რომელიმე თავისუფალი ფირსაკრავით ისმენდნენ, ახლა კი მაღაზიის ერთ კუთხეში რამდენიმე ხმაგაუმტარი ჯიხური დავდგით ფირფიტების მოსასმენად. თუმცა ზოგიერთ შაბათ დღეს აღარც ეგ გვშველის და ვფიქრობ, იქნებ ისე გაგვეკეთებინა, როგორც ლიდსშია-მეთქი: იქ, იქვე მაღაზიაში დგას ფირსაკრავი რამდენიმე ყურსაცმით, ასე რომ ფირფიტას პირდაპირ მაღაზიაში შეგიძლია მოუსმინო. ნეტავი მისტერ ვან ჰუიტენს თუ მოეწონება ეს აზრი? ამ რამდენიმე დღეში უეჭველად ვეტყვი.

## II

— ჰელო! — მეუბნება ინგრიდი. — ამხანაგი მოვიყვანე, ხომ არ გეწყინება?

— არა, რა თქმა უნდა, არა, — ვეუბნები სულელივით. თუმცა, დალახვროს ეშმაკმა, აბა, სხვა რა უნდა ვუთხრა. არა და გული უკვე შიშისაგან მეპარება. ვიცი, ჩემი საქმე წასულია. ასე მაშინ აკეთებენ, როცა ბიჭის თავიდან მოშორება უნდათ. შეხვედრაზე უარს არ გეუბნებიან, მაგრამ ამხანაგიც თან მოჰყავთ, რომ თითი ვერ დააკარო. მერე თუ პაემანს აღარ დაუნიშნავ, ძალიანაც კარგი, მაგასაც სწორედ ეგ უნდა.

ინგრიდი და მისი მეგობარი, ხელიხელგაყრილები, ქუჩის ფარნის ქვეშ დგანან. ინგრიდი სუფთა, ფაქიზი და სურნელოვანია, როგორც ყოველთვის; ის მეორე კი — ერთი ვიღაც მაიმახი, დიდცხვირა, სახეზე მიწისფერი ადევს, პირი ყურებამდე აქვს შეხეული. ნეტავი გამაგებინა, ასე რატომ ირჩევენ გოგოები მეგობრებს, ერთი მუდამ მშვენიერია, მეორე კი — როგორც წესი — საფრთხობელა. არა და ასეთი წყვილი ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგხვდეს. ღმერთმა უწყის, რამდენი ბიჭი

წაჰკიდებია ამისთვის ერთმანეთს. თუკი ორნი გახვალთ სასეირნოდ, ის საფრთხობელა ხომ რომელიმეს უნდა შეხვდეს? მე კი, როგორც ჩანს, დღეს ან ორივესთან უნდა ვიყო. ან არც ერთთან. ნეტავი განახათ ის ჯოჯო რა თვალებით მიყურებს, გეგონება ის არ მეყოფა, პაემანზე რომ გამომეჭიმა.

დღეს კვირაა. გუშინ კი ჩვენ უკვე მეორეჯერ ვიყავით ერთად სასეირნოდ. მაგრამ სად პირველი პაემანი და სად გუშინდელი. კინოში ქალაქის ცენტრში ვიყავით. სავარძლებს პლუში ჰქონდა გადაკრული, ვისხედით სერიოზულად და მარტო ერთმანეთის ხელი გვეჭირა ხელში. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ეგ იყო ცუდი. მაგრამ გარეთ გამოვედით თუ არა, იმწამსვე მთელი სიახლოვე გაქრა. ზუსტად ისე, როგორც ოთხშაბათ საღამოს. სწორედ იმიტომ შევთავაზე, ხვალ საღამოს გავისეირნოთ-მეთქი. მინდოდა გამეგო, მთელ საღამოს ქუჩაში თუ ვიქნებოდით, როგორ გუნებაზე დავდგებოდი.

ინგრიდმა კი ეს გოგო მოახეტა. ალბათ უნდა საბოლოოდ ამიკრას გუდა-ნაბადი.

— გაიცანი, ეს დოროთია. — ამბობს ინგრიდი, — ეს კი ვიკი.

ინგრიდი ზრდილობიანი გოგოა, და სწორედ ისე იქცევა, როგორც კარგ გაზრდილ გოგოს შეეფერება. დოროთი ხმას არ იღებს, მაგრამ ისე მომჩერებია, ლამის ვკითხო რა გინდა-მეთქი. ქუჩის ფარნის ქვეშ სამნი ვდგავართ, ერთი აშკარად ზედმეტია. გამოდის, რომ მე ვარ ზედმეტი, დონდლო და უგერგილო.

— ხომ არ იცნობთ ვინმე მერი ფიცპატრიკს? — უცებ მეკითხება დოროთი. მაინც ეს რა იციან ამ ჯოჯო გოგოებმა, უცებ რაღაცას შეგეკითხებიან და ეშმაკმა იცის, ამ კითხვის უკან რა იმალება. აი, ახლაც მგონია ალბათ ჩემზე რაღაც საშინელი იცის-მეთქი. ამ მახინჯებმა იციან, რომ სილამაზით თავბრუს ვერ დაგახვევენ და სხვა გზებით ცდილობენ ბადეში გაგხვიონ.

— დიახ, ვიცნობ.

— მე კი, რასაკვირველია, არ მიცნობთ, — ამას ისეთნაირად აბბობს, გეგონება უნდა გითხრას, აი, ამ წუთში ინანებ, რომ არ მიცნობო. — მე კი გიცნობთ, თქვენცა და მერი ფიცპატრიკსაც.

— მოკითხვა ვადაეცით, როცა ნახავთ. — ვეუბნები. ნეტავი გამაგებინა რა ჯანდაბა უნდა.

— იყო დრო, თვითონვე გადასცემდით ხოლმე, არ გახსოვთ?

— მე? მერი ფიცპატრიკს? არ მესმის რას ამბობთ.

მერი ფიცპატრიკი და მე ადრე ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. მახსოვს,

ერთხელ ცეკვებზე შევხვდი და შინ მივაცილე, იმიტომ რომ მარტო იყო. თანაც ერთი გზა გვქონდა. ეს იყო და ეს, შეტი არაფერი. ისე თვითონ, მგონი, მოვწონდი, მაგრამ ჩემი გემოვნებისა არ იყო, თანაც კათოლიკეთუმცა დიდი მორწმუნე არა ვარ, მაგრამ მაინც ანგლიკანურ ეკლესიას ვეკუთვნი. სულაც არ მინდოდა, რომ რელიგიის გამო კიდევ გამერთულებინა საქმე. ეს დოროთი კი ისე მელაპარაკება, გეგონება, შერი ფიცპატრიკი ჩემგან ფეხმძიმედაც კი იყო.

— კარგად არც კი ეიცნობ, — ვამბობ. მაგრამ არა მგონია ინგრიდმა დაიჯეროს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს დაიჯერებს თუ არა. დოროთი ხან ერთს შეგვხვდავს და ხან მეორეს. თითქოს უნდა გამოიცნოს, ჩვენ ორს შორის რა ამბები ტრიალებს. ხელის გულები შექავება, ისე მინდა ერთი ლაზათიანი სილა გავაწნა. კარგად მივხვდი, რაცა ბრძანდება და ეგეთ ქალბატონებს ვერ ვიტან.

— საით წავიდეთ? პარკისაკენ?

— კარგი, თუ შენ გინდა.

ყოველ შემთხვევაში, ცენტრს მოვშორდები და იქისი მაინც აღარ შემეშინდება, ვინმე შემხვდება და ორ გოგოსთან ერთად დამინახავს-მეთქი. აღმართს მივყვებით. ისინი ისევ ერთად მოდიან: ერთმანეთს ისე ეკვრიან, გეგონება ეშინიათ თავს ვინმე არ დაგვესხასო. ტროტუარზე სამივენი ვერ ვეტევით. ამიტომ მე მანქანების სავალ ნაწილზე ჩავდივარ. ახლა ინგრიდი მართლა შორსაა ჩემგან, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ნამდვილად ზედმეტი ვარ. ნეტავი როდემდე გავძლებ ასე? იქნებ ბოდიში მომეხადა და ავთესილიყავი? არა და მშვენიერი საღამოა. ქუჩა აღმართს მიჰყვება, ცალ მხარეს სახლებია ჩარიგებული, ქვემოთ ნათურებით გაჩირაღდნებული ქალაქი და კალდერფორდისკენ მიმავალი გზა მოჩანს. სწორედ ასეთ საღამოზე ვოცნებობდი, მშრალსა და ცივზე. ასეთ საღამოს უნდა ისეირნო და ისაუბრო, თუკი გინდა ადამიანი ახლოს გაიცნო. მაგრამ მე მთელი გეგმები ჩამეშალა და ამ სეირნობას, ჩემთვის აზრი აღარა აქვს, ხუთი წუთი ისე გავიდა. ხმა არ ამომიღია. დოროთიმ ყველაფერი ამირია. ანდა ზედმეტი ჩალიჩი რაღა საჭიროა, როცა ისედაც ყველაფერი ნათელია. დიდი ჭკუით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ შავით თეთრზე რაც წერია. იმას მეც კარგად ვარჩევ.

დოროთი ინგრიდს რაღაცაზე ემუსაიფება, მაგრამ ჩემი მხრიდან არ მოსდევს და ამიტომ არაფერი მესმის. ეტყობა, რაღაცას ხუმრობს, თანაც არ უნდა მე გავიგონო. მერე ორივენი ხითხითებენ. ასე მგონია მე დამცინიან-მეთქი. რომც არ დამცინოდნენ, ასე ცალკე ხითხითი ვერაფერი ზრდილობაა.

დოროთი ხმას უწევს და ინგრიდს ეუბნება:

— ნახე, რალფ უილსონი ახლა სად ცხოვრობს. — პარკის აქეთ მდიდრული სახლები დგას და დოროთი ერთ-ერთ მათგანზე უთითებს. სახლი ხეების უკანაა. შესასვლელთან, გზაზე, მანქანა დგას. მგონი „არმსტრონგ სიდლი.“

— არ ვიცოდი თუ გადავიდნენ.

— კარგა ხანია აქ ცხოვრობენ. ნეტავი განახა, რაც ამ სახლში გადმოვიდნენ, როგორ იბერება. როცა მხვდება, წესიერად არც კი მელაპარაკება.

— არ მესმის, რატომ უნდა გაბერილიყო. ძველი სახლიც საკმაოდ დიდი იყო, თანაც მაგათი ოჯახი ყოველთვის მდიდრულად ცხოვრობდა. რა ვიცი, მე ყოველთვის კარგად მხვდება.

— ოჰ, ეგლა აკლია, შენც აღარ შეგხვდეს მეგობრულად. — ამბობს დოროთი, თანაც ისეთნაირად, გეგონება, რაც თქვა, იმაზე ბევრად მეტი იცისო. მაგრამ ინგრიდი არ უთმენს.

— მაგითი ვითომ რისი თქმა გინდა?

— რა და გახსოვს, ჩოგბურთის კლუბში რომ გასახდელში ჩაიკეტეთ და ვეღარავინ შემოდიოდა?

— ძალიან კარგად იცი, რომ ეს ჰერი ნორისმა ჩაიდინა, კარი დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

— ოჰ, ეგ როგორ არ ვიცი. მე იმაზე მოგახსენებთ, შიგნით რაც ხდებოდა. რაღაც გამოსვლას მაინცდამაინც არა ჩქარობდით.

— თქვენ გინდოდათ ერთი ვაი-უშველებელი აგვეტეხა, არა?

— ყველას გვინდოდა, რალფ უილსონის გარდა. მე მგონი სწორედ თვითონ სთხოვა ჰერი ნორისს გასახდელში ჩაგვკეტეო.

— სთხოვა თუ არ სთხოვა, მაგით რა მოიგო?

— თვითონ სულ სხვას ამბობდა. გავიგონე, ბიჭებს რასაც უყვებოდა.

— ვერ გამიგია, ეს ლაპარაკი რატომ წამოიწყე. — ამბობს ინგრიდი. — დარწმუნებული ვარ, ვიკს ეგ ძველი ჭორები სულაც არ აინტერესებს.

— ეგ არავინ იცის.

— შენ რა, ყველას გულის მესაიდუმლე ხარ, არა?

— მაგითი რისი თქმა გნებავთ?

— ძალიან კარგად იცი, რისი თქმაც მნებავს. ჯერ მე მომდექი და ახლა გინდა ინგრიდი გაჭორო, არა?

მოთმინების ფიალა უკვე ამევსო და ვიცი, ახლა ისეთ რამეს ვიტყვი,

სამუდამოდ გავიფუჭებ საქმეს. მაგრამ თავს ვეღარ ვიკავებ. ამ დროთიმ მთელი საღამო ჩაგვიმწარა და ასე ადვილად ვეღარ გადამირჩება.

— ნეტავი შენი თავი ვინა ggონია? შენზე ისეთი რამეები ვიცი, რომ ვთქვა. არა მgონია, კარg gუნებაზე დადgე.

სამივენი ვჩერდებით. დროთის შიg სახეში შევცქერი.

— ასეთი ლაპარაკით ვერ შემაშინებ. ისეთი არაფერი gეცოდინება, რაც სხვამ არ იცის. მაგრამ თუ რამე ჭორის მოჩმახვას აპირებ, gირჩევ კარgად დაფიქრდe.

— ვითომ რას მიზამ? — ქირქილებს დაცინვით.

ახლა კი მართლა ვbრაზdები. მagონdება რამdენი ხანი ვნატრობdი ინgრიdთან შეხვedრას და dღeვანdელ საღამოს როgორ veლოdებოdი. ამ gომbიომ კი თავისი bინძური ჭორებით ყveლაფერი gააფუჭა. თავს veღარ ვიკავebდ და რაც gულში მაქვს ყveლაფერს პირში ვახლი.

— საცვალს ჩაgხdი და ერთ ადgილს კარgად მიgიbegვავ. ძალიან მწყინს, რომ აქამdე არავის მიუbegვიხარ.

— ერთი თითი dამაკარe... მაშინვe პოლიციას dავუძახebd.

— ცოტა dაიცა, მალe ღრeჭის gუნebაზe აღარ იქნebი.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ რომ bიჭს, რომeლიც შeნ ხeლს dაgაკარebს, medალი eკუთვნის. თვალebს თუ აიხვevdა, თორeმ ისe ჩოgbურთის კლუbში შeნთან ვინ ჩაიკeტebოdა?

მgონია, სახeში meცemა dა კbeნას dა კაწvრას dამიწყebს-mეთქი. უკან ვიხev dა ხeლebს mაღლა ვწev, რომ სახe dავიფარო. მagრამ dოროთი უცebd ზურgს mაქცevს dა bაvშvივით gულამომჯdარი იწყebს ტირილს.

— eg არ უნdა gეთქვა, — meუbნebა ინgრიdი.

— ჯანdაbას magის თავი, აbა რას mიed-mოedებოdა...

dროოთი სლუკუნ-სლუკუნით აღmართს mიჰყvebა. ინgრიdი თvალს არ აშორebს.

— ნახe, mიdის.

— meრe, შeნ რა?

— mარტო veრ dაvტოvebd.

— თvითონ შeნze რაღა არ mოჩmახა dა ახლა mარტო veრ სტოvebd?

— შeნ არ იცნობ. უbრალოd ხასიათი აქvს ასეთი, gულში არაფeრი ცუdი არ უdevს.

— ჰm. ყveლა bebeრი ჭორიკანას სათქmeლი eg არის, კაცს gულს gაუხეთqevebd dა meრe gაიmახიან gულში ცუdი არ gvedოო.

— კი მაგრამ, დოროთის ხომ არ იცნობ?

— არც მინდა ვიცნობდე. დღეს მაგის ცქერით საკმაოდ ვიჯერე გული.

ინგრიდი ტროტუარის ნაპირზე დგას, თითქოს ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს. ნეტავი გამაგებინა, რაში სჭირდება ასეთი დავიდარაბის ატეხვა?

— არა, ვერ დავტოვებ.

— რატომ მოიყვანე? პაემანი ხომ ჩემთან გქონდა?

— ჩაიზე მოვიდა ჩვენთან და ხომ არ გავაგდებდი. ჩემ- ყველაზე ახლო მეგობარია.

— რომ არ გეთქვა, ამას ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი.

„კარგად კი მოუფიქრებია, — ვამბობ გულში, — რატომ პირდაპირ არ მეუბნება, რასაც ფიქრობს? ღობე-ყორეს რაღას ედება". დოროთი უკვე ოცი იარდით დაგვშორდა. თავჩაქინდრული მიდის და ეტყობა, ისევ ცრემლებს აფრქვევს.

— უნდა გავყვე დოროთის, — ამბობს ინგრიდი. — შენ შეურაცხყოფა მიაყენე, დოროთი ძალიან მგრძნობიარეა.

— კი მაგრამ, თვითონ რატომ არ ფიქრობს, რომ სხვაც შეიძლება მგრძნობიარე იყოს?

— რას იზამ, ასეთია... ახლა კი უნდა წავიდე.

— კარგი.

— ორშაბათს სამსახურში გნახავ.

— მე ყოველთვის იქა ვარ.

ორი-სამი ნაბიჯით მცილდება.

— ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა.

უცებ ტრიალდება და დოროთის მისდევს. დოროთი უკვე კუთხეს მიეფარა და აღარცა ჩანს. ინგრიდს თვალს არ ვაშორებ. ვიდრე ისიც კუთხეს არ ეფარება. მერე დაღმართს მივყვები. ისეთი უბედური ვარ, ლამის თავი ჩამოვიხრჩო.

## თავი მეოთხე

### I

ორშაბათ დილამ ერთი სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა: ჰესოპი სამსახურში არ მოსულა. მილერთან კაბინეტში ვარ და ველაპარაკები. ამ დროს შიდა ტელეფონი რეკავს — ოლთორპის ნათურაც ინთება, მილე-

ტი ყურმილს იღებს, ჩამრთველს თითს აჭერს და უსმენს, მერე კი ამბობს:

— ჯერ რომ არ მოსულა, მისტერ ოლთორპ... პარასკევს ცოტა უქეიფოდ იყო... კარგით, ახლავე მოვალ. — ყურმილს დებს. ხალათის ჯიბეში ბლოკნოტს იღებს და კარებისაკენ მიდის.

საკონსტრუქტორო ბიუროში თითქმის ყველას ხალათები გვაცვია. იმიტომ რომ გარშემო საოცრად ბევრი ჭუჭყია — ფანქრების გრიფელის მტვერი თუ ქარხნის მილებიდან ამოსული ჭვარტლი. ერთმა ბიჭმა თეთრი ხალათი ჩაიცვა, ნაყინის გამყიდველს ჰგავხარო უთხრეს და დაცინვა დაუწყეს. ჩვენთან, საერთოდ, ან ხაკისფერი ან რუხი ხალათები აცვიათ. ის ბიჭი ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა, რატომღაც ვერ შეგვეწყო.

— ბერე განახავ, ვიკ, — მეუბნება მილერი და გადის.

— ჰესოპს რა მოუვიდა?

— მ ი ს ტ ე რ ჰესოპს! — მეუბნება მილერი და ისე გადის, პასუხს არ მაძლევს.

ჩვენს ოთახში შევდივარ. ჯიმი, რომლის სახაზავი დაფა ჩემს გვერდით დგას, თავს სწევს და მეკითხება:

— სად არის ამ დილით ჩვენი ქოფაკი?

— შენთვის მისტერ ქოფაკი. — ვეუბნები.

— მისტერ ჰორაციუს ედუარდ ჰესოპ ქოფაკი, ესკვაირი. — ამბობს ჯიმი. — ზოგისთვის „ჩვენი კარგი ჰესოპი“, ზოგისთვის „აბეზარი“.

ახალთახალ ფანქარს ვიღებ და ნება-ნება ვიწყებ თლას.

— ავად უნდა იყოს. იღბალი რომ გვქონდეს, ფილტვების ანთება აღმოაჩნდება და ექვს თვეს დავისვენებთ.

— ერთი კვირაც მეყოფა, — ამბობს ჯიმი. — პატარა სიხარულიც მყოფნის.

კონროის იღლიაში ნახაზები ამოუჩრია და მოდის. როგორც ყოველთვის, საშინლად სერიოზული სახე აქვს, თავისი დიდი თავი კი მხრებში ჩაუძვრენია.

— ჰესოპს რა მოუვიდა?

— მგონი გრიპი აქვს.

კონროი რაღაცას ბურტყუნებს და მიდის. ღმერთმა ხელი მოუმართოს. კონროი, ღვთის წყალობით, ერთი იმათთაგანია, ვის გარეშეც თავს მშვენივრად ვგრძნობ.

ფანქარს შუბივით წვერს ვუკეთებ და სახაზავი დაფიდან მტვერს

ვწმენდ. ყველა გულიანად მუშაობს, თუმცა ჰესოპი თავზე არ ადგიათ. მილერი და ჯგუფის ხელმძღვანელებიც კარგად მოუვლიან საქმეს. თანაც თუ არ იმუშავე, ისე დროს რა გაიყვანს? ის არის მუშაობას უნდა შეეუდგე, რომ ინგრიდი და წუხანდელი შემთხვევა მაგონდება. ძალიან ვცდილობ ხაზვას გული დავუდო და რამდენიმე ხაზს ვავლებ. არაფერი გამოდის — ინგრიდი თავიდან არ მშორდება. ჩემს გვერდით ჯიმია. კარგი იქნებოდა ყველაფერი მომეყოლა, იქნებ რამე ერჩია, მაგრამ წუხელ ვირულად მოვიქეცი და ამის გამხელა არა ღირს.

ცოტა ხნის შემდეგ მილერი მოდის და თავის კაბინეტში მიხმობს.

— ქალაქში ხომ არ გაისეირნებ?

— რატომაც არა, მშვენიერი დილაა.

— მისტერ ჰესოპი ტელეფონთან არ მოდის, მისტერ ოლთორპს კი უნდა რაღაც გადასცეს და თანაც ქალალდები გამოართვას. იცი საღ ცხოვრობს?

— სადღაც ბრედფორდ როუდზე, არა?

— სწორია. ახლავე მისამართს დაგიწერ.

მისამართს და ჰესოპისთვის გადასაცემ წერილს მაძლევს, ეს წერილი ოლთორპისაგან მოიტანა.

— აჰა, ოლონდ ძალიან არ დააგვიანო. კაფეში შესვლა და ყავის დალევა არ მომინდომო.

— მაგრამ მხედველობაში მიიღეთ, რომ შესვენებას ვაცდენ.

— კარგი, ჰო, წადი. — იღიმება მილერი და ხელი ჯიბისაკენ მიაქვს. — აჰა, შილინგი ავტობუსისათვის, ხურდა შეგიძლია დაიტოვო.

— მე მგონი ეგ შილინგი არც მეყოფა, მარტო იქით ალბათ შვიდი პენსი დამჭირდება. — ვეუბნები და გავდივარ.

ხალათს ვიხდი და ჩემ სკამზე ვაგდებ.

— სადილამდე ისვენებ, ბრაუნ? — მეკითხება ჯიმი დირექტორის ხმით.

— ჰესოპის სანახავად მივდივარ. კარგია დილით ქალაქში გასეირნება, გულს გადააყოლებ. ხომ არაფერს დამაბარებდი?

— უთხარი, მშვენიერ გვირგვინს გიყიდით-თქო. — ამბობს ჯიმი.

გარეთ მშვენიერი მოწმენდილი ამინდია. ცაში, როგორც გაბაფხულზე იცის ხოლმე, ფაფუკი ღრუბლები მიცურავენ. ოღონდ მაინც ცივა და თუ ერთ ადგილას გაჩერდი, გაიყინები. ქუჩის კუთხეში ვჩერდები და ავტობუსს ვუცდი. ჯიბეს ვისინჯავ, ჰესოპის წერილი ხომ არ დავკარგე-მეთქი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მისის ჰესოპმა, ან სულ ერთია ვინც

კარს გამიღებს, მითხრას, ამოდი და ინახულეო, წარმოდგენა არა მაქვს რაზე ველაპარაკო. სიგარეტის კოლოფს ვიღებ და ვხედავ, რომ უკვე სამი ცალი მომიწევია. ამ ბოლო დროს საკვამლე მილივით ვაბოლებ. თუ თავი არ შევიკავე, დღეში ალბათ ოც სიგარეტს მაინც მოვწევ: ამას კი ჩემი ჯიბე ვერ გაუძლებს. ხანდახან, როცა უფულოდა ვარ და თან გაზეთშიც წავიკითხავ ხოლმე თამბაქო ფილტვების კიბოს აჩენსო, ვფიქრობ, თავს დავანებებ-მეთქი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვასრულებ. სიგარეტებს ისევ ჯიბეში ვიდებ. უკან რომ დაებრუნდები, ყავას დავლევ და მაშინ მოვწევ.

ავტობუსში ვჯდები თუ არა, ისევ ინგრიდზე ვიწყებ ფიქრს. საერთოდ სულ ინგრიდზე ვფიქრობ, მაგრამ ზოგჯერ სხვაც გამომიჩნდება ხოლმე საფიქრალი. ახლა კი შემიძლია მარტო ინგრიდზე ვიფიქრო. არადა ღმერთივით გოგოა! რაც უფრო ხშირად ვხედავ და მეტს ვფიქრობ, უფრო და უფრო ვრწმუნდები რომ მეტისმეტად ლამაზია. კაცმა რომ თქვას, რა მაქვს საწუწუნო? ბოლოს და ბოლოს სამჯერ მყავდა პაემანზე. თუმცა სამჯერ კი არა, ორჯერ. წუხანდელი არ ითვლება. გუშინ სამდვილად პანღური მკრა. ახლა რომ ვფიქრობ, მეჩვენება რომ დ[illegible]ოვისთან ერთად გადავამლაშე, ძალიან უხეშად მოვიქეცი. თუმცა ღ[illegible] კი იყო. ეტყობა. ყოველთვის ასე აჭარტალებდა ენას და არავინ არაფერს ეუბნებოდა. ჩემთან კი — უკაცრავად, და სწორედ ასეც მოვახსენე. არა და რა უცებ ამოუშვა ტირილი, როცა მართლა ვიფრინე. ეტყობა ძალიან ეტკინა გული. საწყალი ჯოჯო... მე და ინგრიდს შორის ჯერ რა იყო და ისიც მაგის წყალობით ჩაგვეშალა. არადა ეს ქალები რა უცნაურები არიან. ერთმანეთს თუ გაუბრაზდნენ, კატებივით ამოკაწრავენ თვალებს, მაგრამ საკმარისია მამაკაცმა აწყენინოს რომელიმეს, და ყველანი ერთად აუმხედრდებიან.

ავტობუსი სავაჭრო ცენტრში მიდის. იქაც ბევრ ფეხზე ჩვრები შემოეხვევია და გრეინჯერის ვიტრინას აწყობს. ერთი სქელ-სქელი დედაკაცი. მკლავები მოჭიდავეს რომ უგავს, ჩაჩოქილა და კინოთეატრ „პლაკატ“ ფოიეში იატაკს რეცხავს. ერთი გოგო (მართლაც რომ ჯერანივით ფეხები აქვს — ასეთს ხშირად ვერ შეხვდები), კინოთეატრის ვიტრინასთან დგას და სურათებს ათვალიერებს. არა უშავს რა. ქვეყანაზე ბევრი კარგი გოგოა. მინდა სხვა რამეზე ვიფიქრო, მაგრამ არ გამოდის. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვდივარ და ბრედფორდის მიმართულებით მიმავალ ავტობუსზე ვჯდები. დაბლა, კარებთან ახლოს, რადგან არ ვიცი რამდენი გაჩერება მაქვს გასავლელი. ჩვენი კონდუქტორი სიცილით შეიჭრა და ზარს რეკავს. ალბათ გარეთ კონდუქტორმა ქალმა რაღაც

სასაცილო უთხრა. ფულს ვაწვდი და ვეუბნები პროვიდენს ავენიუზე უნდა ჩამოვიდე-მეთქი.

— გაჩერებას „სამშობიარო სახლი“ ჰქვია, იქ უნდა ჩამოხვიდეთ. ახლალა ვამჩნევ რომ ავტობუსში ორი ქალი ზის ცხვირზე ძომდგარი მუცლით, ორიც აღმართში რომ ავდივართ, მაშინ ამოდის. კონდუქტორი ქალებს ფულს ართმევს და თვალს მიკრავს. — ჩვენდენი უბილეთო მგზავრი არც ერთ მარშრუტზე არა ჰყავთ. — მეუბნება და იცინიჭება.

— ისე, როდისმე გაჭირვებაში ხომ არ ჩავარდნილხართ?

კონდუქტორი ხარხარებს:

— კი, როგორ არა. მაგრამ ავტობუსში არა!

ესეც „სამშობიარო სახლი“. სახლის წინ დიდი გაზონია. ჩემთან ერთად ხუთი ფეხმძიმე ქალი ჩამოდის ავტობუსიდან: მუცლები წინ გაუშვერიათ და საავადმყოფოსაკენ მიბაჯბაჯებენ. საშინლად მაინტერესებს რასა გრძნობენ, როცა მუცელში ბავშვი უზით, მაგრამ მადლობა ღმერთს, ამას ვერასოდეს შევიტყობ. სხვა რაღაც-რაღაცეებიც მაინტერესებს. ნეტავი გამაგებინა, ქალები თუ ისეთივე სიამოვნებას ღებულობენ, როგორც მამაკაცები. რატომღაც მგონია, რომ არა, თანაც ალბათ ყველა კაცს არ შესწევს იმის უნარი, რომ ქალს სიამოვნება მიანიჭოს. თუმცაღა აბა, მე რა ვიცი. არა და ამ ბოლო ხანებში სულ ასეთ რამეებზე ვფიქრობ. აი ახლაც, ჰესოპის სახლისაკენ რომ მივაბიჯებ, სულ ეგ მიტრიალებს თავში. ჩემის აზრით საროსკიპოები ცუდი არ უნდა იყოს. სამხედრო სამსახურში ნამყოფი ბიჭები ჰყვებიან ხოლმე. მოგინდა — წადი, ფული გადაიხადე და მიიღე რაც გსურს. თითქოს გწყუროდა და ერთი ჭიქა წყალი დალიე. აბა, ვინა ფიქრობს გამუდმებით წყალზე? რასაკვირველია, თუკი სადმე უღაბნოში არ არის და წყურვილით არა კვდება. თუმცა ისეთი ბიჭებიც არიან დღე და ღამე ღვინოზე რომ ფიქრობენ. მაგრამ ღვინის სმა სიამოვნებისათვის სმაა. ისევე, როგორც ისეთ გოგოსთან წოლა, რომელიც გიყვარს. ალბათ იმას არაფერი სჯობია, როცა ქალთან ლოგინის გარდა სხვა გრძნობებიც გაკავშირებს. ეს უკვე სიყვარულია და ზოგჯერ ეგეც მოდის ხოლმე. მეორე კი ბიოლოგიაა და მეტი არაფერი. იგი ყოველთვის ჩემთან არის.

ვიდრე ბილერის მოცემულ ქაღალდზე ჰესოპის სახლის ნომერს არ ვამოწმებთ, მგონია, რომ შემეშალა. სახლი გზიდან მოშორებითა დგას. წინ შავი, ბაგრად მოტკეპნილი ბიწაა, ეტყობა ოდესლაც აქ ბაღი იყო. სახლი დიდია და კვადრატული, გეგონება მიტოვებული მუშაობა კლუ-

ბიაო. საუკუნის ხნისა მაინც იქნება. ქვა თითქმის სულ გაშავებულა, გზაზე დაგებული ქვის ფილები კი ნახევრად მიწაშია ჩაფლული. წინ პატარა კართანაა. კარის ორივე მხარეს ფანჯრებში ფერადი მინებია ჩასმული, წითელი. ყვითელი და მწვანე. ბილიკს მივყვები და კარზე ვაკაკუნებ. რატომღაც ისევ მგონია, რომ მისამართი შეცდომით მომცეს. კარის ზემო ნაწილში მჭრქალი მინაა ჩატანებული, ზედ რაღაც ამოშავალი მზის მსგავსია გამოსახული. რადგან ჩემ კაკუნს არავინ ეხმაურება, კარს ხელსა ვკრავ და კართანაში შევდივარ; შიგნით კიდევ ერთი კარია, მის წინ კი სიძველისაგან ძაფებად ქცეული ფარდაგი. იქვეა ტომრების გროვა. ძველი ჟანგიანი ნავთქურა და ცარიელი ბოთლებით სავსე კალათა. ყველაფერს ობის სუნი ასდის, ასე მგონია მთელი სახლი ლპება და არავის არ ენაღვლება-მეთქი. მოკლედ, ძალიან უსიამოვნო აღგილია. აქაურობა სულაც არ მომწონს.

მაგრამ კარზე ზუსტად ის ნომერია, რაც ჩემ ქაღალდში წერია. ასე რომ ეს ნამდვილად ჰესოპის სახლია. კედელზე, პატარა ნიშაში, ზარის სახელურია, ვეწევი და ყურებდაცქვეტილი ვუსმენ, მაგრამ არსაიდან არაფერი ისმის. ეტყობა ეს ზარი სამყაროს შექმნის დღიდან არ მუშაობს. მერე საფოსტო ყუთზე ვიწყებ კაკუნს.

ასე მგონია ნახევარი დღე აქ გავატარე-მეთქი. ჩემი ნება რომ იყოს, აქედან აქამდეც მოვუსვამდი. უცებ მესმის, ვიღაც შიგნიდან კარის ურდულს სწევს. კარი ექვსიოდე გოჯის სიგანეზე იღება და ღრიჭოში ქალის სახე ჩანს. მისი ხმის გაგონებაზე სახტად ვრჩები, კაცივით როხროხებს.

— რა გნებავთ?

— წერილი მაქვს გადასაცემი მისტერ ჰესოპისათვის, — ვამბობ და კარებში გამოჩენილ სიფათს მივჩერებივარ: გრძელი, შეშუპებული, მიწისფერი, თვალები წამოკარკლული, გეგონება უპეებში მარმარილოს ბურთები ჩაუსვამთო.

— მისტერ ჰესოპისათვის? — კითხულობს სიფათი.

— უიტეკერის ქარხნიდან გახლავართ. მისტერ ჰესოპი ხომ აქ ცხოვრობს?

— რა წერილია?

პირს რომ აღებს, უშველებელი ქვედა კბილები უჩანს. ასეთი კბილები ჩემს დღეში არ მინახავს, ზემოთ განიერია, ღრძილებისაკენ კი ვიწროვდება.

— აქ ყველაფერი წერია, — ვეუბნები და კონვერტს ვუწვდი. — მისტერ ოლთორპმა გამოუგზავნა. რადგან მისტერ ჰესოპი ამ დილით სამ-

სახურში არ მოვიდა, იფიქრა ალბათ გრიპი აქვსო. პარასკევს ცოტა გაცივებული იყო, ვიცოდით. იმედი მაქვს სერიოზული არაფერი სჭირს. უბრალოდ, გარშემო გრიპია მოდებული და თუ ფრთხილად არ იქნები...

მოვყევი და ვუბედობ... თვითონ არ ვიცი რას მივედ-მოვედები. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს ამ კარებში გამოჩენილი სიფათის წინაშე — თავისი ორი გადმოკარკლული თვალით რომ მომშტერებია. უცებ კარების ნაპრალში გაძვალტყავებული ხელი ძვრება და წერილს მტაცებს.

— მოიცადეთ!

სიფათი ქრება.

ამისთანა უცნაური რამ ჩემ ცხოვრებაში არ დამმართია. თითქმის ხუთი წუთი გადის: მერე კარები უფრო ფართოდ იღება, თითქოს ქარმა შეაღოო, კარს ვაწვები და სახლში შევდივარ.

უზარმაზარ, ქვის იატაკიან ჰოლში ვდგავარ, გარშემო უამრავი შავი, ლაქწასმული კარია, ყველა დახურული. ჰოლის ბოლოში კიბე ადის. კიბის ბაქანზე დიდი ფანჯარაა, რომლის კამარაშიც ფერადი მინებია ჩასმული. საიდანღაც გაზის სუნი მცემს. ცოტა ხანში გულის რევას ვგრძნობ. ისე, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც კარგად ვგრძნობდე თავს. მაინც ვიცდი. კიდევ ათი წუთი გადის, მაგრამ არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმის. ისევ მგონია, რომ არასწორი მისამართი მომცეს, ვიღაცა შეშლილი ქალის სახლში მოვხვდი: იმან კი წერილი წამართვა და გაუჩინარდა. მინდა მოვიფიქრო, სამსახურში რომ დავბრუნდები, რა ვუთხრა. სწორედ ამ დროს სადღაც შაღლა კარი იღება და ორი ადამიანის ხმა მესმის, რაც ძალი და ღონე აქვთ, გაჰყვირიან, რომ ერთმანეთს აჯობონ. რას ყვირიან არ მესმის, მერე უცებ ყვირილი წყდება და ის ქალი კიბის ბაქანზე გამოდის. ახლა უფრო კარგად ვხედავ და გულში ვნატრობ ნეტავი არ შემოვსულიყავი-მეთქი. თუ ეს ჰესპის ქალბატონია, ერჩივნა ისევ იქ ჩაემარხა, საიდანაც ამოთხარა. იგი კიბეზე ჩამოდის, თავი მაღლა აუწევია; რაღაც საშინელი კარიკატურაა ჰერცოგის მეუღლისა, რომელიც ბალზე მიბრძანდება. შავი, გახუნებული თმა უცნაურად აქვს კეფაზე დაგრეხილი. რაღაცა თხელი ნაჭრისაგან შეკერილი ხალათი აცვია, ნაცრისფერი და ჭუჭყიანი ყვითელი, ზედ ვითომ ბუმბულის საყელო მიუწებებია. ქალბატონი კიბეზე ჩამოდის და თავის მარმარილოს ბურთებს მაპყრობს. მიახლოვდება თუ არა, საშინელი მყრალი სუნი მცემს. ალბათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მაგის ტანს წყალი არ მიჰკარებია. ხელში დიდ კონვერტს მაძლევს და კარგი ბარაქიანი ბანით მეუბნება:

— რისთვის დაგჭირდათ ჰოლში შემოსვლა?

ბოდიშს ვუხდი და ვეკითხები ჰესოპი როგორ არის-მეთქი.

— მანდ არის, კონვერტში.

— მაშ კარგით. ახლავე დავბრუნდები სამსახურში და წერილს მისტერ ოლთორპს გადავცემ. იმედი მაქვს მალე გამომჯობინდება და ისევ...

ქალი ხმას არ იღებს, მარტო თავისი მარმარილოს ბურთებით მომშტერებია. ნეტავი აქ რას ვდგავარ და რას ველაქლაქები? ეტყობა, კარებამდე მიცილებას არც აპირებს.

--- მაშ კარგით. მე წავედი. — ვეუბნები და კარებისაკენ მივდივარ. ქალი ხესავით გაშეშებული დგას, მაგრამ თვალს კი არ მაშორებს.

როგორც კი კარს ვაღებ და ოთახში მზის სხივები იღვრება, იგი ადგილს სწყდება. თითქმის სირბილით მოდის ჩემთან, ხელები ისე აქვს წინ გამოშვერილი, გეგონება თვალები უნდა ამომჩიჩქნოსო.

— დახურეთ კარი, დახურეთ!

სიამოვნებით დავხურავ, თუკი თვითონ კარს უკან დარჩება. ვემშვიდობები და უცებ ვძვრები გარეთ. კარი ჯახუნით იხურება და გარედან ჩამოკიდებული ჩაქუჩი ქანაობს. ალბათ ის ქალი შიგნიდან მთელი ძალით აწვება კარს. მესმის ურდულს როგორ სწევს. კართანადან გამოვდივარ და ბილიკს ჩქარი ნაბიჯით მივყვები. უკან მხოლოდ მაშინ ვიხედები, როცა უკვე ტროტუარზე ვდგევარ. ჰესოპს თუკი ასეთი ცხოვრება ჰყავს სახლში, რაღა გასაკვირია რომ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდეს.

## II

ქალაქში ყავის დასალევად სასაუზმე „ცისფერ ჩიტში" შევდავარ. სიგარეტსაც ვაბოლებ. დილით მინდოდა მოწევა. მაგრამ ყავის დალევამდე გადავდე. დილით, სამუშაო საათებში ქალაქში ყოფნას დაჩვეული არა ვარ, და, მართალი გითხრათ, მიკვირს გარშემო ამდენ ხალხს რომ ვხედავ: თანაც მარტო საყიდლებზე გამოსულ ქალებს კი არა, ახალგაზრდებსაც. იმ დროს, როცა მე და ბევრი ჩემისთანა ლუკმა-პურისათვის მთელი დღე თვალებს ვიწყალებთ, ისინი აქეთ-იქით დაეხეტებიან. ფერადკანიანებიც კარგა ბლომად არიან, ინდოელები თუ პაკისტანელები, თუმცა ერთმანეთისაგან მაინც ვერ ვარჩევ. გრძელი სახეები, მაღალი ყვრიმალები. წვრილი მაჯები და ნაფოტივით კბილები. ისეთი სქელი, შავი და ლაპლაპა თმა აქვთ, გეგონებათ ყოველდღე თითო დასხმაზე ნახევარ ბოთლ ლოსიონს მაინც ხმარობენო. ჯერ არც ერთი არ შემხვედრია კარგად ჩაცმული, ალბათ ბევრს ძალიან უჭირს. მაგრამ ალბათ ისინიც კი, რომლებიც არ მუშაობენ, აქ უმუშევართა შეერაწევრის წყალობით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე თავის ქვეყანაში იც-

ხოვრებდნენ, სამუშაოც რომ ჰქონოდათ. ალბათ ბევრი არც ცდილობს სამუშაო იშოვოს, რა ენაღვლება, თუკი მთავრობა შეინახავს? სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენთან ზოგი მაგათ ავი თვალით უყურებს. მე კი მგონია, რომ არ შეიძლება ყველა ერთ ტაფაში მოაქციო. ალბათ მაგათთანაც არიან კარგები და ცუდები, ისევე როგორც სხვაგან. თითქოს არც არავის აწუხებენ და თავისი საქმით არიან გართული. ისე, კაცმა რომ თქვას. მა-ნც არ ვინდომებდი, გოგო რომ ეყოფილიყავი, ღამე კოლეილის გზატკეცილზე მარტოს ჩამეველო. აქ იმდენი ფერადკანიანი ცხოვრობს, რომ გზატკეცილს „გზა მანდალეისაკენ"[1] დაარქვეს. ღმერთო დიდებულო, რა ბედნიერებაა, რომ ინგლისელი ვარ. სწორედ ამიტომაა რომ ყოველთვის სიხარულით მევსება გული, როცა გაზეთში წავიკითხავ ხოლმე სხვა ქვეყნებში რა ხდება.

სასაუზმეში სიმყუდროვეა და ყავას სიამოვნებით შევექცევი. რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ინგრიდი შემოსულიყო და წყნარად გვესაუბრა, იქნებ შაშინ მაინც გამეგო ჩემზე რას ფიქრობს. თუმცა ისედაც ყველაფერი ნათელია. ჩვენი სიყვარულობანა მორჩა. მაგრამ მაინც ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ორი შეხვედრის შემდეგ ყველაფერი დამთავრდეს — თუ გინდა სამის — თუკი წუხანდელს ჩავთვლით. ჩემთვის რომ გეკითხათ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, საქმეს სულაც არ უჩანდა ცუდი პირი, ის დროთი რომ არ გამომხტარიყო. იქნებ მე თვითონ ვერ გავუგე ინგრიდს? იქნებ დროთი მართლა სწორედ იმ საღამოს მივიდა სტუმრად და როგორც ინგრიდმა მითხრა, იქნებ მართლაც ვერ მოიშორა თავიდან? მართლა თუ ასე იყო. მაშინ მე ამირევია ყველაფერი, რას ვერჩოდი იმ უბედურ დროთის? თუმცა, აბა. რა ვიცი. ეშმაკმა უწყის გოგოების თავი და ტანი.

ცოტა არ იყოს მომშივდა. კიდევ ერთ ფინჯან ყავას ავიღებ და ძეხვიან ბუტერბროდს დავაყოლებ, სადილამდე ცოტას შევნაყრდები. ყველაფერი რომ შევიტყო, ერთიღა დამრჩენია — ერთხელ კიდევ უნდა დავიბარო პაემანზე. თუ მოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და ახლა რომ ვარ. იმაზე უარეს დღეში ხომ არ ჩავვარდები. ფიქრით თავი მისკდება, ათას საშინელებას წარმოვიდგენ ხოლმე. მაგრამ მაინც რაღაცის იმედი მაქვს. მაშ გადაწყდა: ვთხოვ შემხვდეს, თუ პირისპირ ვერ გავუბედავ. პატარა ბარათს მივწერ და ჩვენ ლაისტერდაიკს გავატან.

ვზივარ, ყავას შევექცევი და ინგრიდზე ვფიქრობ. ბარის უკან, პატარა ოთახიდან ჭურჭლის საშინელი რახა-რუხი ისმის. უცებ სასაუზმეში

---

[1] იგულისხმება რ. კიპლინგის ლექსი „მანდალეის გზაზე".

შეშოდის — იცით ვინ? თავად ლეს ჯეკსონი. მარცხენა ხელი ისე სქლადა აქვს ბანდით შეხვეული, გეგონება მოკრივის ხელთათმანი აცვიაო. თვითონაც მამჩნევს, გაოცებისაგან წარბებს მაღლა სწევს, ფინჯანს იღებს და ჩემი მაგიდისაკენ მოდის. შეხვეული ხელი გულზე აქვს მიკრული. ბანდები ახალი და სუფთაა.

— გამარჯობა, ვიკ!

— გამარჯობა, ლეს. ხელზე რა ჯანდაბა მოგსვლია?

— სულ ქალების ბრალია, არა და იცი, რა თეძოები აქვს? — მეუბნება სიცილით და მაგიდასთან ჯდება. — პარასკევს საბურღავ მანქანას დავეჭიდე.

— ძალიან დაშავდი?

— ხელზე ტყავი სულ წამაძრო და თითის წვერიც წამაცალა.

— ღმერთო დიდებულო!

ლესი ჩაის წრუპავს, მე სიგარეტებს ვიღებ და ერთ ცალს ლესს ვაწოდებ.

— პატივი დასდეთ „დედოფალ ვიქტორიას".

ერთ სიგარეტს ჩემთვის ვიღებ და ვუკიდებ. ლესი ისე ექაჩება, გეგონება ერთი კვირაა თუთუნი თვალით არ უნახავსო.

— სწორედ ეს მინდოდა. საავადმყოფოში ვიყავი. ყოველ დილით ღავდივარ სახვევების გაშოსაცვლელად.

— არტაშანი დაგადეს?

— არა, ახლა საქმე ისე ცუდად აღარა მაქვს. მაგრამ პარასკევს, როცა ხელი დავიშავე, თაბაშირი დამადეს და კინაღამ უფალს სული მივაბარე. საავადმყოფოში კარგი ჯანიანი ირლანდიელი მოწყალების დები მუშაობენ. ვუთხარი, სანამ ადამიანის კერვა-შეკოწიწებას დაიწყებდეთ, რაღე წამალი უნდა მისცეთ-მეთქი. რაო, შენისთანა ვაჟკაცსო? ერთი ამას დამიხედეთ, რა აზიზი ვინმე ყოფილაო.

— თუ მარტო მაგაშია საქმე, მეც აზიზი ვყოფილვარ. — ვეუბნები და სახვევებიან ხელს ვუყურებ, მინდა წარმოვიდგინო ბანდის ქვეშ როგორია, რატომღაც ცივი ოფლი მასხამს.

— კი, მაგრამ ამ დროს ქალაქში რას აკეთებ?

— ჩემს უფროსთან წერილი გამატანეს. მაგრა ირის ავად.

— და შენც ფირმის ხარჯზე ნებივრობ, არა?

— მაშ როგორ!

— რა გიჭირთ, კანტორის ბიჭები კარგად ცხოვრობთ.

— შენ თავს დააბრალე საყელოსა და ჰალსტუხის მაგივრად სპეც-

ტანსაცმელი რომ გაცვია. საშუალო სკოლა იმიტომ დაამთავრე, რომ ლითონი ბურღო?

— მე ჩხრეკედელაობა მიყვარს. ყოველთვის მიყვარდა. მთელი დღე საწერ მაგიდასთან წამოსკუპული ვერ გავძლებ, ისევ სკოლაში მგონია ჩემი თავი. ჰო, მართლა, იცი ამას წინათ ვინ შემხვდა? ჩვენი ბებერი როსტერი.

— არა, მართლა?

— ღმერთმანი.

ჩვენი ბებერი როსტერი... რამდენი ხანია არ მინახია. გელაპარაკა?

— მაშ. მე მივესალმე, ის კი გაჩერდა და ერთი კარგად დამათვალიერა. ხომ იცი, როგორ იცის ხოლმე — ჯერ სათვალის ზემოდან, მერე სათვალიდან. მერე მკითხა, შენ ხომ ჯეკსონი ხარო, ო, ღმერთო ჩემო, ხელზე ეგ რა მოგსვლიაო. ალბათ, ერთი ათი წუთი მაინც ვიდექით და ვილაპარაკეთ. წარმოგიდგენია, ჩემი გვარი ახსოვდა.

— არა, ჩვენი ბებერი როსტერი ურიგო კაცი არ იყო. ბევრი მაგაზე უარესია.

— რა თქმა უნდა.

— ის ხომ არ გაგიხსენა, ხალათის სახელოები რომ ამოუკერე?

ამ ამბის გახსენებაზე ორივენი გულიანად ვიცინით. ლესი ფინჯანს განზე სწევს, წინ იხრება და ჩუმად მეუბნება:

— ის ანეკდოტი თუ იცი, ერთი ხისფეხიანი ბიჭი რომ საქორწინო მოგზაურობაში წავიდა?

— არა, არ გამიგონია.

დაახლოებით თორმეტის ნახევარზე სამსახურში ვბრუნდები და კონვერტი მილერთან შემაქვს.

— ნახე მისტერ ჰესოპი? — მეკითხება.

— არა, მარტო მისი ცოლი.

— ალბათ და თუ იყო. მისტერ ჰესოპს ცოლი არა ჰყავს. გითხრა როგორ არისო?

— ასე მითხრა, ყველაფერი კონვერტშიაო.

მილერი მომჩერებია, ჰგონია ვეხუმრები.

— როგორ თუ კონვერტში?

— ასე თქვა. ვკითხე როგორ არის-მეთქი და მითხრა. ყველაფერი კონვერტშიაო.

მილერი კონვერტს ხელში ატრიალებს. წერილი მისტერ ოლთორპის სახელზეა, ასე რომ თვითონ ვერ გახსნის.

— ჰესოპის და თუ გინახავთ? — ვეკითხები, იმიტომ რომ ახლა, აქ სამსახურში, ისე მეჩვენება, რომ ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო.

— არა. ჰესოპის პირად ცხოვრებაზე ცოტა ვიცი. თვითონ ამაზე ძალიან ცოტას ლაპარაკობს.

— აბა არის გასაკვირი. ღმერთმანი, ჯეკ, ამისთანა უცნაური არსება ჩემ ცხოვრებაში არ მინახავს.

ყველაფერს დაწვრილებით ვუყვები. მილერი თავის მაგიდაზეა მიყრდნობილი, დროდადრო საჩვენებელი თითით ცხვირზე სათვალეს ისწორებს: ასე იცის ხოლმე, როცა ვინმეს უსმენს.

—ჰოო... — მეუბნება როცა მოყოლას ვამთავრებ. — მოდი, ბიუროში ამის შესახებ ბიუებს ნურაფერს ეტყვი. არ არის საჭირო რომ მისტერ ჰესოპის პირადი ცხოვრება საჭორაოდ იქცეს.

კარგი-მეთქი, ვეუბნები. მილერი კონვერტს იღებს და ოლთორპთან მიდის. კარებთან უკან იხედება და მეკითხება: — მაშ ხალათის საყელოზე ბუმბული აქვს მოვლებული?

— რა ვიცი. მე კი ბუმბულად მომეჩვენა და...

— ჰოოო... — ისევ ბურტყუნებს და გარეთ გადის.

ბიუროში შევდივარ და ჩემ სახაზავ მაგიდასთან ვდგები.

— აბა. დღეს როგორ ბრძანდება მხაზველთა მეგობარი? — მეკითხება ჯიმი.

— ყველაფერი კონვერტშია. — ვეუბნები და ვხარხარებ. ამ სიტყვებზე მე და ჯიმი ბლომად ვიცინებთ ხოლმე, როცა ყველაფერს მოვუყვები.

— რა გაცინებს? — მეკითხება.

— მერე გეტყვი. — არა მგონია რამე დაშავდეს, თუკი გარეთ ჯიმის ყველაფერს მოვუყვები. არა და რომ არ მოვუყვე, არ შემიძლია, ასეთ ანეკდოტს საიდუმლოდ ვერ შევინახავ. ჯიმის სახაზავ დაფას ვეყრდნობი: — იცი ანეკდოტი ერთ ხისფეხიან ბიუზე. საქორწინო მოგზაურობაში რომ წავიდა? — თურმე ჯიმის გაუგონია ეს ანეკდოტი.

## III

ახლა, როცა გადავწყვიტე ინგრიდი კიდევ ერთხელ დავიბარო პაემანზე, სხვა ვეღარაფერზე ვფიქრობ. არ ვიცი, როგორ მოვახერხო, ან თვითონ რა პასუხს მომცემს. შესვენებაზე სასადილოში ვხვდები, მაგრამ კენ როელინსონი მასზე ფიქრს არ მაცდის. კვირა საღამოს ლიდსის რატუშაში გამართულ სიმფონიურ კონცერტზე ყოფილა და იმაზე მელაქლაქება.

— ...წარმოგიდგენია, რა ტრაგედიაა: თავისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი თვითონ არც კი მოუსმენია.

— რაა? — ვეკითხები. — ვისა?

— ბეთპოვენს.

— როგორ თუ არ მოუსმენია? რა, ახალგაზრდა მოკვდა?

— სმენა დაკარგა.

— კი მაგრამ მუსიკას როგორღა სწერდა, ყრუ თუ იყო? — ეს მატრაკვეცა როულინსონი მუდამ რაღაც უცნაურს მოიგონებს ხოლმე. ახლა მალე ალბათ ბრმა მხატვარზე დაიწყებს ლაპარაკს.

— მუსიკა გონებაში ჰქონდა, შიგნიდან ესმოდა, მხოლოდ უნდა ჩაეწერა.

— არ ესმოდა და ისე?

— რა თქმა უნდა. მთელი ის აბდაუბდა, ფილმებში რომ გვიჩვენებენ, როგორ ზის კომპოზიტორი როიალთან და მელოდიას როგორ აწყობს, ჰოლივუდის შეთხზული მითია და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში მეტისმეტად გაზვიადებული. საკმარისია პირველი კლასის მუსიკოსმა ნოტებს შეხედოს და გონებაში მაშინვე მუსიკის ჟღერას გაიგონებს. სინამდვილეში კომპოზიტორმა რომ ჩაიწეროს, ამისათვის სრულებითაც არ არის საჭირო, უეჭველად გაიგონოს მუსიკა.

მართლაც რომ საინტერესოა. ცოტა ხანს ინგრიდიც კი მავიწყდება. რასაკვირველია, როულისა არ ეჯერა, იმიტომ რომ დიდი ბაქია ვინმეა, თუმცა, როცა მომინდება მისტერ ჰუიტენს შევეკითხები და გავიგებ, როული მართალს ამბობს თუ არა. მისტერ ჰუიტენს არასოდეს არაფერი შეეშლება.

— პირველი კლასის მუსიკოსი ისევე ადვილად კითხულობს პარტიტურას, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი — წიგნს.

— მაშ, თავისივე ბრალი ყოფილა, თუ მოსმენისას მოეჩვენება, რომ ნოტა არ არის სწორად აღებული.

— დიახ, სწორედ ეგრეა. ისეთი მუსიკოსებიც არიან, რომლებიც ფიქრობენ, ჩემ საყვარელ ნაწარმოებს იდეალური შესრულებით ვერასოდეს მოვისმენო და ამიტომ ყველაფერს პარტიტურის კითხვას ამჯობინებენ.

— მაშ, ისე გამოდის, თუ სრულყოფილი ქალი ვერ იშოვე, ანანიზმს უნდა მიჰყო ხელი. — ამბობს კონროი, რომელიც როულის მეორე მხრიდან უზის. როული კიბოსავით წითლდება და ხმის ამოუღებლად განაგრძობს ჭამას. მე კი ვიღიმები. მართალია, არც კონროი მეხატება მაინცა და მაინც გულზე, მაგრამ დღეს ნათქვამი ძალიან ენამოსწრებული გამო-

უვიდა და როულის დროზე მოაკეტინა. როული ხმას აღარ იღებს და მე ისევ ინგრიდზე ვიწყებ ფიქრს. ინგრიდი მომწონს. ყველაფერი მომწონს მისი. მომწონს მისი მოკლედ შეკრეჭილი თმა, ყურებთან რომ ეხვევა. მომწონს პატარა ჩაკუჭულები ტუჩის კუთხეებთან, ტუჩებიც მომწონს, რბილი, სავსე, კოცნისათვის გაჩენილი. მაგონდება, როგორ ვკოცნიდი. ნეტავი კიდევ თუ მეღირსება? გრძნობს როგორ მივჩერებივარ და მხოლოდ ერთხელ, ისიც ერთი წამით, თვალს ჩემსკენ აპარებს. გეგონება, ერთმანეთისათვის მხოლოდ ერთი-ორი სიტყვა გვეთქვას. ვითომ არც თბილ და ბნელ კინოში ვმჯდარვართ ერთად, თითქოს ჩვენ შორის სრულებით არაფერი ყოფილა.

ოთხის ნახევარია, მე კი ისევ ინგრიდზე ვფიქრობ. სწორედ ამ დროს ინგრიდი შემოდის ბლოკნოტითა და ფანქრით ხელში, ალბათ მილერთან თუ შიდის სტენოგრამების გასაკეთებლად. სახაზავი დაფიდან თავს ოდნავ ვწევ და თვალს ვაყოლებ. რა კოხტადა აქვს ქვედატანი შემოწკეპილი და ფეხებზედაც მუქი ნეილონის წინდები როგორ უხდება.

— კარგი რამეა, არა, ჯეფ! — ვიღაც ამბობს ჩემს გვერდით და მე ვკრთები. კონროი და მისი ძმაკაცი ლუისი კონროის სახაზავ დაფაზე დაყუდებულან და მიყურებენ. ორივენი დაცინვით ქირქილებენ. ასე კონროი ქირქილებს ხოლმე და ლუისიც მას ბაძავს.

— ასეთი გოგოს მარტო ცქერაც სასიამოვნოა. — ამბობს კონროი.

— რა იყო, რაშია საქმე? — ისე ვეკითხები, ვითომ არაფერი ვიცი.

— თავს ნუ იკატუნებ, ბრაუნის ბიჭო, — ამბობს კონროი. — ძალიან კარგად ვიცით, რომ მის როთუელს ეკურკურები. ეგ ჩვენი მეშანჭანეთა ბიუროს სირინოზია.

— მერე, თქვენ ვინ გეკითხებათ? — ვამბობ და ისევ დაფისაკენ ვიხრები, ვითომ მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ.

— სასტუმრო ოთახში ჯერ არ შებრძანებულხარ, არა, ბრაუნ? — ამბობს კონროი.

— ჯერ ისევ ეზოს კარებთან დგახარ და ცახცახი გაგიდის, არა?

— რომელ ეზოს კარებზე ლაპარაკობ! სანაძლეოს დაგიდებ, უკვე საკარბაზო შესასვლელიც გავლილი ექნება. — ხითხითებს ლუისი.

სახეზე ცეცხლი მეკიდება, სული მეხუთება და ვგრძნობ, რომ ცოტაც და ვიფეთქებ. ხმას არ ვიღებ. მაკათ სწორედ ის უნდათ, რომ ხმა ამოვიღო. მაგრამ ადრე თუ გვიან ამ ლუისს ერთი კარგად მივეკეკავ. კონროის მორევა ცოტა გამიჭირდება, მაგრამ ლუისი ზუსტად ჩემი სარგოა... ერთი არ მინდა რამე წამოაყრანტალოს უადგილო ადგილას და მერე მე ვიცი...

მაინც არ ჩუმდებიან.

— ცოტა ფრთხილად იყავი, ბრაუნ. ეს ჩვენი მის როთუელი ძალიან ვნებიანი ვინმეა. საშენო არ არის, ჯობია ზრდასრულ კაცებს დაუთმო.

თავჩაღუნული ვდგავარ. ვითომ ვმუშაობ. მაინც არ მეშვებიან. ახლა უკვე გულს ბაგა-ბუგი გაუდის. ხელები ისე მიცახცახებს, ფანქარს ვეღარ ვიმაგრებ. თითებს უფრო მაგრა ვუჭერ და ქაღალდს ვაწვები, რომ არ შემამჩნიონ.

— იცი, რას ეძახიან? — ამბობს კონროი. — მეტსახელი რა აქვს, იცი? აი ის... ჩოქელა.

ხმას არ ვიღებ, ვცდილობ თავი შევიკავო, იქნებ მომეშვან.

— ერთი მწერია, კალიასა ჰგავს. ჰოდა, როცა დედალ-მამალი ერთ ამბავში არიან, დედალი მამალს ახრამუნებს ნელა-ნელა, ნაწილ-ნაწილ შეექცევა.

— თვითონვე მიხვდები, ბოლოსთვის რომელ ნაწილს შემოინახავს. — ამბობს ლუისი და ისე იცინის, ლამის გაიგუდოს.

— რა სიბინძურეს მიჰქარავ, კონროი. — თავს ველარ ვიკავებ და ვეუბნები. — წადი და შენ საქმეს მიხედე, შე გარყვნილო ღორო, შენა.

— რაო! — ამბობს კონროი და იდაყვებზე იწევს. — ერთი კიდევ გაიმეორე, შე ლაწირაკო, და მე შენ გიჩვენებ...

ბილერის გამოჩენა მშველის, კაბინეტის კარს აღებს და კონროს თავისთან იხმობს. კონროი მიდის, ლუისი ჩემთან მოდის და სახაზავი დაფის ზემოდან დამყურებს. ახლად გაპარსულია. თმა უკანა აქვს გადავარცხნილი და რაღაც არაჩვეულებრივი სიზუსტით გვერდზე გაყოფილი. ამბობენ, თმას ყოველ ათ დღეში აკრეჭინებსო. ძალიან ზრუნავს თავის გარეგნობაზე. გარედან რომ შეხედო, მაგაზე სუფთას ვერ იპოვ-, შიგნიდან კი სულიც უყარს.

— ენას ცოტა კბილი დააჭირე, ბრაუნი, — მეუბნება, — თორემ ყურებს აგახევ.

ამის ატანა აღარ შემიძლია, ჰალსტუხზე ხელს ვეჭიდებ და სახაზავი დაფისაკენ ვითრევ, ლამის მოვგუდო.

— ერთი კრინტი დაგიძრავს და მაშინვე მოგახრჩობ. — იგი უმწეოდ იქნევს ხელებს, სახეში სისხლი აწვება. — კარგად დაიხსომე, შენ კონროს ზურგი გაქვს, თორემ ისე ერთი საცოდავი ჭიაყელა ხარ.

ჰალსტუხს ვეშვები და ლუისს ხელის კვრით ვიშორებ. დგას, სულს ძლივს ითქვამს, ჰალსტუხს ისწორებს და ეტყობა ფიქრობს, ღირს ერთი ამბის ატეხა თუ არაო. ამასობაში მილერი და კონროი შემოდიან. ლუისი ამით სარგებლობს და ჩუმად იპარება, არ უნდა სხვების სამასხარაოდ გახდეს.

## IV

ორშაბათს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ინგრიდთან გამოლაპარაკებას ვერ ვახერხებ; იმედს მაინც არ ვკარგავ, იქნებ ხვალ დილით მოვახერხო. მაგრამ დილით მე და ჯიმი ბრბოში ვიკარგებით, ინგრიდი კი წინ, ვიღაც ქალებთან ერთად შიდის.

ბიუროში შევდივარ თუ არა, მაშინვე წერილს ვწერ, შეიძლება თუ არა ამ საღამოს განახო-მეთქი. ერთ-ორ ნახაზს ვახვევ და ასლების გადასაღები ოთახისაკენ მივდივარ. მანქანა ხმაურობს, ასლებს იღებენ, ნათურები ქანაობენ და კედელსა და ჭერზე ათინათებს ისვრიან. აქ ყველაფრის ბატონ-პატრონი ფებ ჯონსონია; დამდგარა და თავისთვის ცეკვავს, გეგონება წინ მანქანა კი არა, პიანოლა-ავტომატი უდგასო. მთელი დღე ასე ერთობა, კალიპსოს მელოდიებს ღიღინებს, თან მხრებსა და ფეხებს აყოლებს. ჯერ მარტო თექვსმეტისაა, მაგრამ ძალიან შადის აღმძვრელი გოგოა, ისეთი მრგვალი თაძოები და ამობურცული გულ-მკერდი აქვს, ბევრ კინომსახიობს შეშურდება. ბიჭები ამბობენ, ნაღდი ვინმეაო, მაგრამ ტყუილია, ერთი-ორი ვიცი, ფებთან რომ დადიოდნენ, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. ფებს ნამდვილი სიყვარული უნდა, იმ ბიჭებს კი, ერთი რამის მეტი არაფერი აინტერესებთ. თუმცა, ფებმაც იცის ალბათ, რომ როცა გათხოვდება, ძალაუნებურად მაგ ამბავსაც უნდა შეურიგდეს.

ნახაზებს რომ ნაპირებს უსწორებენ, იმ მაგიდას ვეყრდნობი და ცოტა ხანს ფებს ვუყურებ.

— კოლინი სად არის?

ფები მხრებს იჩეჩავს, ცეკვას კი მაინც განაგრძობს.

— არ ვიცი.

მართალი გითხრათ, ფებისა, ცოტა არ იყოს, მეშინია, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს პირში მოგახლის. თავის საქმეს კარგად აკეთებს და ამიტომ უთმენენ, მაგრამ ერთხელაც იქნება ისეთ რამეს წამოროშავს, რომ ალბათ სამსახურიდან მიაბრძანებენ. თუმცა ფებს მაგითი ვერ შეაშინებ. აშკარად ეტყობა, ხვალვე რომ დაითხოვონ, ფეხებზედაც არა ჰკიდია. აი, როგორი გოგოა ჩვენი ფები.

— ამ დილით იყო?

— არ მინახავს. — ცოტა ხანს კიდევ ცეკვავს და მერე ჩეშსკენ ტრიალდება.

— შენი ჰალსტუხი არ მომწონს.

— რა სჭირს ჩემ ჰალსტუხს?

— თანამედროვე არ არის. ბებრულია. — ჰალსტუხში ხელს მავლებს, ჯემპრიდან მაძრობს და მშვიდად ათვალიერებს. მერე თავს აქნევს და ცეკვას განაგრძობს, ხელები მაღლა აქვს აშვერილი და თითებს ატკაცუნებს. ჰალსტუხს ვისწორებ.

— მაშ, შენი აზრით, როგორი უნდა მეკეთოს?

— როგორი და ვიწრო, მოკლედ — მოდური. ქვეყნისა ყრია მაღაზიებში.

— ყრია და ეყაროს. ეგეთ ჰალსტუხს კუბოშიაც არ გავიკეთებ.

— არ გინდა და იარე ბაბუაშენივით...

— არც ის მინდა, რომ კოხტაპრუწას ვგავდე. არ შეგიძლია ცოტა ხანს გაჩერდე? სულ უნდა იცეკვო? ასე წმინდა ვიტის ცეკვა შეგეყრება, თუ უკვე არა გჭირს...

ფები ჩერდება და სწორდება, თავის მომხიბლავ გულ-მკერდს წინ სწევს და ჰერცოგის მეუღლის ტონით მეუბნება:

— მისტერ ბრაუნ, თუ იმიტომ მოხვედით, რომ შეურაცხყოფა შომაყენოთ, ჯობია წახვიდეთ. — მაგიდას ვშორდები, ვუღიმი და ნახაზებს ვაწოდებ:

— აჰა, თითო-თითო ასლი გადაიღე, კარგი?

— როდისთვის?

— როცა ინებებთ, ოღონდ ათ წუთში მზად უნდა იყოს.

ცოტა ხნის შემდეგ ფები ოთახიდან გამოდის, მაშინვე შევდივარ, რომ ლაისტერდაიკს მარტო ველაპარაკო.

— ყური მიგდე, კოლინ! მემანქანეების ბიუროში ლამაზი, შავთმიანი გოგო რომ არის, ინგრიდ როთუელი, იმას თუ იცნობ?

ლაისტერდაიკი თავს მიქნევს. იგი ყველას იცნობს, ფუნთუშალოყებიანი პატარა ბიჭია, ასეთი ბიჭები ქალებს განსაკუთრებით უყვართ, არ ვიცი დედობრივი ინსტინქტის ბრალია, თუ სხვა რამის. ჯიბიდან წერილს ვიღებ:

— ამ წერილს ვერ გადასცემ?

ლაისტერდაიკი იკრიჭება:

— ვიფიქრებ. — მერე წერილს მართმევს და ჯიბეში იდებს.

— ხომ იცი როგორ უნდა მისცე. არავინ დაგინახოს.

— ვიცი.

თავს, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობ და ოთახიდან გავდივარ. ვიღაცამ უკვე იცის ჩვენი ამბავი, და ახლა რომ ინგრიდმა უარი მტკიცოს, ძალიან სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდები.

სადილობის დრო უკვე გავიდა, მაგრამ პასუხი ჯერ არა ჩანს. სასა-

დილაში ინგრიდის მზერას ვიჭერ და შეჩვენება, რომ მიღიმის. მერე, დაახლოებით ორ საათზე, ფები ჩემთან მოდის, დაფაზე წერილს მიგდებს და ხმამაღლა მეუბნება, მემანქანეებთან რომ გოგო მუშაობს, იმან ნოხოვა გადაეცია. თავს ვხრი და შუბლზე ხელებს ვიჭდობ. კარგა ხანს მაღლა ახედვას ვერ ვბედავ, დარწმუნებული ვარ, ყველამ გაიგონა. ეიცდი, სანამ სახიდან ალმური გადამივლის, მერე გარშემო ჩუმად თვალს ვაპარებ, მაგრამ ყველა თავისი საქმით არის გართული. წერილს ჯიბეში ვიდებ და ტუალეტში გავდივარ, რომ წყნარად წავიკითხო. მღელვარებისაგან თითებს ძლივს ვიმორჩილებ და კონვერტს გაჭირვებით ვხსნი.

წერილი ძალიან მოკლეა: „ძვირფასო ვიკ, მაპატიე, მაგრამ დღეს ვერ შეგხვდები. ჩემი ბიძაშვილია ჩამოსული რამდენიმე დღით“.

ესეც ასე. რამდენჯერ უნდა გითხრან? ტუალეტში ვიღაც შემოდის და ონკანს ხსნის, ამიტომ ვიდრე კაბინიდან გამოვიდოდე, წყალს ვუშვებ. სამხაზველოში შევდივარ. გულზე თითქოს მძიმე ლოდი მაწევს. მთელი კვირა ამ დღეში ვარ. საშინლად უბედურად ვგრძნობ თავს, ავტომატურად ვმოძრაობ, არც კი მესმის რას ვაკეთებ. ვიცი, ამას არაფერი სასიკეთო არ მოჰყვება, მაგრამ თავს ვერ ვერევი. კარგად ვიცი, სისულელეა, მაგრამ პარასკევი მოდის და ძლივს ვიკავებ თავს, რომ არ ვთხოვო შემხვდი-მეთქი. მაგრამ ახლა ნამდვილად ბედი მწყალობს და აი როგორ: ასლების გადასაღებ ოთახში მარტო ვდგავარ. ამ დროს ინგრიდი შემოდის და რაღაც ნახაზებს თხოულობს, რომლებიც მილერის წერილებს უნდა დაურთოს.

— მე რომ არ ვიცი, სად არის? — ვეუბნები და მაგიდაზე ნახაზებს ვქექავ. — კოლინს ჰკითხე. არა მგონია გაკეთებული ჰქონდეს.

— არა უშავს, წერილს დავამთავრებ და მერე მოვალ, — მეუბნება და კარებისაკენ მიდის.

— მომისმინე!

იგი ჩერდება, ჩემკენ ტრიალდება, მაგრამ არ მიყურებს. ალბათ ხვდება, რაც უნდა ვუთხრა, და უხერხულად გრძნობს თავს, რადგან უარის თქმას აპირებს.

— ხვალ... ხვალ საღამოს რამე საქმე ხომ არა გაქვს? სადმე ხომ არ მიდიხარ?

არა, არსად არ მიდის; მაგრამ თვალებში მაინც არ მიყურებს. მაგიდასთან ვდგავარ და ვცმუკავ. არ მინდა შემამჩნიოს, როგორ ვნერვიულობ და ჯიბის დანას ხან ვშლი, ხან ვკეცავ. თვალებში მაინც მიყურებდეს, მივხვდებოდი რას ფიქრობს.

— იცი... მე ვიფიქრე... მეგონა... ხომ არ შემხვდებოდი? ჯერ კინოში წავიდოდით, მერე ცეკვებზე შეეივლიდით. რა თქმა უნდა, თუ შენც გინდა. — ასე მგონია, სანამ პასუხს მომცემდეს, ათი წელი გავიდა-მეთქი.

— კარგი. — მეუბნება და ჩუმდება, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისია.

ოთახში ფები შემოდის და თეძოებს ისე არხევს, გეგონება აფრიკულ ცეკვას ასრულებს და უკან მთელი ჩვენი ბიურო მოსდევს ჩამწკრივებულიო. ფებს რომ თვალს ვაშორებ, ინგრიდი უკვე ოთახში აღარ არის. მაგრამ „კარგიო“ ხომ მითხრა, „კარგიო“. „კარგიო“. მაგიდას თითქმის ფრენით ვშორდები, ფებს ხელს ვაკიდებ და ოთახში ცეკვა-ცეკვით ვაპროწიალებ.

— ერთი ამას უყურეთ, — ამბობს ფები, — ჭკვიანურად აღსდგა.

## თავი მეხუთე

### I

შაბათი საღამოა. ხელები პალტოს ჯიბეებში ღრმადა მაქვს ჩაყოფილი, მონტეგიუ ბერტონის მაღაზიის ვიტრინის წინ ვდგავარ და მანეკენებზე მორგებულ კოსტუმებს ვათვალიერებ. იმის ფიქრში რომ ვარ, ეს საღამო როგორ მოვკლა-მეთქი, ვიღაცის ხელი მეხება მხარზე და უილის ხმა მესმის:

— სისულელეს თავი გაანებე.

უკან ვიხედები.

— გამარჯობა, უილი.

— რას აკეთებ? — მეკითხება უილი.

— ვფიქრობდი, სად წავიდე-მეთქი. შენ საით გაგიწევია?

— ერთი-ორი ჭიქის გადაკვრა მინდოდა, მერე კი აგე, იმ ახალ ვესტერნის ნახვას ვაპირებდი „რიცში“.

— მარტო?

— ჰო, ხომ არ წამოხვიდოდი?

— რატომაც არა.

სულერთი არ არის სად გავატარებ ამ საღამოს, თუ ისედაც მთელი გეგმები ჩამეშალა? ისე, რა თქმა უნდა, მარტო ყოფნას უილისთან ყოფნა სჯობია. მაგრამ ჩემისთანა გუნებაზე მყოფ კაცთან სეირნობა არც თუ ისე სასიამოვნოა.

კოოპერატივის ქუჩაზე გაჩირაღდნებული მაღაზიების გასწვრივ მივ-

დივართ. ქუჩის მეორე მხარეს გრეინჯერის მაღაზიის გაკაშკაშებული ვიტრინა ჩანს. პოლიციელი, რომელიც შემოვლაზეა, ცოტა ხანს ჩერდება, რომ ძვირფასი ბეწვის ქურქების მზერით დატკბეს. თითო ქურქი რამდენიმე ასეული გირვანქა ღირს.

— ამ ფილმში ვინ თამაშობს? — ვკითხულობ, უილი კი მუჯლუგუნსა მკრავს, მანიშნებს, ქუჩის მეორე მხარეს უნდა გადავიდეთო.

— ბერტ ლანკასტერი და კერკ დუგლასი, — ამბობს უილი. — ფერადი ფილმია. კარგი უნდა იყოს. მიყვარს კარგი ვესტერნი.

უილის თითქმის ყველანაირი ფილმი მოსწონს, კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ მაინც დადის კინოში, ფილმს ვერ ახსენებ, რომ ნანახი არ ჰქონდეს. უილის ჰობი ლუდი და კინოა, თუ სამიკიტნოში არ არის, ესე იგი კინოშია. ქუჩაზე გადავდივართ და გეზს იქითკენ ვიღებთ, საიდანაც სინათლე და პიანინოს ჟღრიალი გამოდის. ეს სამიკიტნო „ფეიქრის ღერბია“.

— მოდი, სადმე მყუდრო სამიკიტნო მოვნახოთ. — ვეუბნები, რადგან ვხედავ, რომ უილი იქ შესვლას აპირებს.

— აქ კარგი ლუდი აქვთ ხოლმე. — ამბობს უილი.

— შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ არ მიყვარს, როცა სამიკიტნოში პიანინოს უკრავენ.

უილი მხრებს იჩეჩავს:

— კარგი, ახირება არ მიყვარს. მგონი, იქით, კუთხეში ერთი სამიკიტნო კიდევ უნდა იყოს.

გზას ვაგრძელებთ.

— მაშ არ მოვიდა, ჰა? — მეკითხება უილი რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ.

— ვინა?

— აი, ის გოგო, ვისაც ელოდებოდი.

— ვინ გითხრა, რომ გოგოს ველოდებოდი? უბრალოდ ბერტონის ვიტრინებს ვათვალიერებდი და ვფიქრობდი, სად წავიდე-მეთქი.

— სანამ შეგხვდებოდი, ერთი ხუთი წუთი იქით, კუთხეში ამხანაგს ველაპარაკებოდი. დაგინახე როგორ დადიოდი წინ და უკან და თან საათზე იყურებოდი.

— ეგრე იყოს. გოგოს ველოდებოდი.

— და არ მოვიდა? — ამბობს უილი. — ეგ არც პირველია და არც უკანასკნელი, სხვებთანაც არ მოდიან ხოლმე.

— სხვა არ ვიცი, ჩემთვის კი უკანასკნელია. — გაგულისებით ვეუბნები. თუმცა ახლა სიბრაზე კი არა, რაღაც სულ სხვა გრძნობა მაქვს.

— კარგი სიტყვებია. — ამბობს უილი და ჩერდება. — გადაუტანიათ...

— რა?

— სამიკიტნო. ღმერთმანი, ამ ერთი-ორი კვირის წინ აქ იყო... წარმოგიდგენია, მე, ჩემი საკუთარი ქალაქის ცენტრში სამიკიტნო რომ ვერ ვიპოვო? მგონი, ცოტა გამოვჩერჩეტდი. — ცოტა ხანს დგას და აქეთ-იქით იყურება. მერე უცებ ხვდება რა ადგილას ვართ და მეუბნება: — წავედით. — ისევ მიდის. — მომყევი.

მეც მივყვები.

კი, მაგრამ ასე რატომ მომექცა? უილის მივყვები, მაგრამ თავში მარტო ეს მიტრიალებს. რატომ? რატომ? ეთქვა პირდაპირ არ მოვალო, რატომ მაყურყუტა ქუჩაში ტყუილად მთელი ოცდახუთი წუთი. მთელი დღე ამ შეხვედრის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. ის აზრი, რომ საღამოს ინგრიდს უნდა შევხვედროდი, თითქოს ძვირფასი ქვა იყო, წარამარა რომ ჯიბიდან იღებ და ცქერით ტკბები. ასეთ წუთებში ზუსტად ისეთი წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ, როგორიც ასლების გადასაღებ ოთახში იყო, აი, მაშინ, შემხვდი-მეთქი, რომ ვთხოვე. თვალს დავხუჭავდი თუ არა, იმ წუთში თვალწინ მედგა: მის თმებზე ათამაშებული სინათლის შუქი, მისი სახე... როგორ მარიდებდა თვალს, როცა ველაპარაკებოდი (ახლა კი მესმის, რატომ არ მიყურებდა სახეში; იმიტომ, რომ მატყუარა და უსინდისოა... თუმცა არა... სულაც არა ვარ გაბრაზებული... უბრალოდ ძალიან უბედური ვარ; ერთი თითი რომ დამიქნიოს, ხვალვე კუდის ქიცინით მივეახლები). ბაცი ვარდისფერი კოფთა ეცვა, მაღალი, დახურული საყელოთი, რომელიც თავის ფუნთუშა ყელზე ჰქონდა შემოტმასნილი. როგორ მინდოდა სწორედ ყელზე მივფერებოდი, ხელი გადამესვა. თუმცაღა მე ყოველთვისაც მინდა ინგრიდს მივეფერო და ხელი გადავუსვა, ისეთი რბილი, ნაზი და მშვიდია. ახლა კი... რატომ? რატომ უნდა მომქცეოდა ასე? რა დავუშავე? ეს გამაგებინოს, მეტი არაფერი მანდა.

სამიკიტნოში შევდივართ. მე მგონი „ალუბლის ხე" უნდა ერქვას. ორ კათხა ლუდს ვიღებთ და მაგიდისაკენ მივდივართ.

— ადრეც შეხვედრიხარ? — მეკითხება უილი. — თუ ეს პირველი და უკანასკნელი პაემანია?

— ორჯერ შევხვდით, უფრო სწორად სამჯერ, მაგრამ ეს მესამე არ ითვლება.

— რატომ?

ვგრძნობ, რომ ცოტა ზედმეტი გულახდილობა გამოვიჩინე, ამიტომ ვიდრე ვუპასუხებდე, კათხის სველ კედლებზე თითებს ვათამაშებ.

— თავისი მეგობარი მოიყვანა პაემანზე.

უილი ყურიდან ყურამდე იღრიჭება. ლუდს სვამს და კათხას ისევ მაგიდაზე დგამს. ისევ იღრიჭება.

— წარმოგიდგენია? — თავი მომაქვს უილისთან. — ამხანაგი მომიყვანა.

— ჩემთვის უნდა დაგეძახნა. იმ მეორეს მე მოვუვლიდი.

დროთის სახე მაგონდება, თავს ვაქნევ და ვეუბნები:

— არ შოგეწონებოდა, უილი. ვიოლინოს ფუტლიარივით ფეხები ჰქონდა და უშნოდ გაფხრეწილი პირი. ძალიან დიდი ვაქკაცი უნდა იყო ან ზომაზე მეტი ლუდი უნდა გქონდეს ნაყლაპი, რომ იმას არშიყობა დაუწყო... წარმოიდგინე, რა მომივიდა, პაემანზე ორივე ერთად რომ გამომეცხადა.

— არ გითხრა რისთვის მოვიყვანეო?

— როგორ არა. რაღაც ზღაპარი მომიჩმახა, ჩაიზე მოვიდაო, ხომ არ გავაგდებდიო, ეწყინებოდაო. რას დავუჯერებდი...

— რაღაც ეგრე არ უნდა იყოს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მეორეჯერ დაუნიშნე პაემანი. აბა ამ საღამოს რაღას ყურყუტებდი ქუჩაში?

— მინდოდა შემემოწმებინა, საბოლოოდ გამეგო ჩემზე რას ფიქრობს.

— ახლა ხომ გაიგე?

— რა თქმა უნდა. — კათხას ვწევ და ვსვამ. ლუდი ცივია, სასიამოვნო. სწორედ ისეთი, მე რომ მიყვარს. კარგა ხანია სასმელი ასე არ მსიამოვნებია. მაგრამ მაინც ვფიქრობ, ნეტავი უილი არ შემხვედროდა-მეთქი, იმიტომ, რომ ამ ლაპარაკის შემდეგ ჩემი თავი დიდი სულელი ვინმე მგონია.

— იქნებ ზედმეტად შეუტიე, — ამბობს უილი და მომჩერებია, — და დააფრთხე.

— თითიც არ დამიკარებია.

— მაშ ძალიან გაგიჭიანურებია.

— როგორ გითხრა... ისე ვეხვეოდი და ვკოცნიდით ერთმანეთს. უფრო მეტი აზრად არ მომსვლია, მაგ გოგოსთან არა. ისეთი არ არის.

— როგორ „ისეთი“? — მეკითხება უილი.

— როგორი და... სულ სხვანაირია.

— როგორ სხვანაირი? — ისევ მეკითხება უილი. — ყველაფერი ხომ ისე აქვს, როგორც სხვა გოგოებს?

არ მომწონს, როცა ინგრიდზე ასე ლაპარაკობენ, ვგრძნობ სახის კუნთები როგორ მეძაბება.

— რა და წესიერი გოგოა, უილი. აი, ამის თქმა მინდოდა.

— კარგი წესიერი ყოფილა, ქუჩის კუთხეში თუ ამდენი გაყურყუტა.

— ალბათ რამე საქმე გამოუჩნდა და ვერ გამოვიდა.

— იქნებ ჩაი დალია, მერე უცებ დავარდა და მოკვდა.

— კარგი, გეყოფა, უილი. — ვამბობ და ჩემ კათხას ვწრუპავ. უილის კათხა უკვე ცარიელია.

— კარგი. — ამბობს უილი. — გოგოს გულისთვის ერთმანეთს ხომ არ წავეკიდებით. თანაც ისეთი გოგოსთვის, პაემანზე რომ არ მოდის. მოდი, თითო კიდევ დავლიოთ.

— არა, გვეყოფა. — პირველი ორი კათხის ფული მე გადავიხადე. ასე რომ, ახლა რომ უარი ვთქვა, უილის არ ეგონება ფულის გადახდა ენანებაო. — კინოში დაგვაგვიანდება.

ეს ვესტერნი მართლაც ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით ბოლო ნაწილი, ყველანი რომ ერთმანეთს დაერევიან და აქვთ ერთი ცემა-ტყეპა. გეგონება მართლა ჩხუბობენო, ნამდვილად ბრაზდებიან ერთმანეთზე. ყოველ შემთხვევაში ცოტა ხანს მაინც ვერთობი და ზოგჯერ ისიც კი მეჩვენება, თითქოს ინგრიდ როთუელი ვინ არის, არც კი ვიცოდე. მაგრამ ქუჩაში, სიცივეში გამოვდივარ თუ არა, ყველაფერი ისევ ძველებურადაა.

— მოდი, სანამ დაკეტავდნენ, იქნებ ერთის გადაკვრა კიდევ მოგვესწრო. — ამბობს უილი.

კინოს გამოსასვლელის წინ, ტროტუარზე ვდგავართ. მაყურებლები, კიბეზე რომ ჩამოდიან, იძულებულნი არიან გზა აგვიქციონ.

— რაღაც არ მინდა, უილი. ჯობია, სახლში წავიდე.

—მე კი მერე ცეკვებზე მინდოდა წასვლა.—ამბობს უილი. —იქნებ წამოსულიყავი? გამოიბერტყე ეგ შენი გოგო თავიდან. ვინმე ახალ მშვენიერებას ვიპოვით.

ფეხსაცმელის წვერს კიბის საფეხურს ვუსვამ.

— არა, ჯობია სახლში წავიდე და დავიძინო.

უილი სახეში მომჩერებია.

— გაგაცურა, არა? მაგრად მოგხვდა გულში, გეტყობა.

— არა, უილი, პატიოსნებას გეფიცები, ეგრე არ არის. უბრალოდ დილის ცხრა საათიდან ფეხზე ვარ და ცეკვებზე ტლინკაობის თავი აღარა მაქვს.

— კარგი, როგორც შენ გინდა, ძმაო. ნახვამდის.
— ნახვამდის, უილი. კარგად იყავი.
— გამაგრდი. — მეუბნება უილი.

ავტობუსი, რომელშიც ვჯდები, აღმართზე არ ადის. როცა გადმოვდივარ ცხვირში თევზისა და შემწვარი კარტოფილის სუნი მცემს. ქუჩაზე გადავდივარ, მაღაზიაში შევდივარ და თევზსა და ოთხი პენსის შემწვარ კარტოფილს ვყიდულობ. მარილითა და ძმრით ვაზავებ, აღმართს მივუყვები და ქაღალდის პარკიდან გზადაგზა ვჭამ. ძალიან მიყვარს თევზი და შემწვარი კარტოფილი, და არსად ისე არ მეგემრიელება, როგორც სუფთა ჰაერზე, მით უმეტეს, თუ ტაფიდან იმ წუთში არის გადმოყრილი. ოქროსფრად დაბრაწული ცომი, თევზს რომ გარშემო აკრავს, ისე ცხელია, რომ ცივ ჰაერზე, ცოტა რომ გაგრილდეს, ვამტვრევ. ქაღალდის პარკი ცოტა განზე მიჭირავს. ძმარი ზედმეტი მომსვლია და ახლა პარკიდან ჟონავს და თითებზე წურწურით ჩამომდის. ჩემი სასუსნავი ეზოს ჭიშკრამდე მყოფნის, ხელებს ქაღალდზე ვიწმენდ, მერე ბურთივით ვამრგვალებ და ერთი ათი იარდის მანძილზე ვისვრი.

თერთმეტის ნახევარია. ჩემ ბებერ დედიკოს და მამიკოს მაგიდის ლამპა უნთიათ და ტელევიზორს უყურებენ.

— ივახშმებ? — მეკითხება დედაჩემი.

— თევზი და შემწვარი კარტოფილი ვჭამე.

— მაშ რამის დალევა გენდომება.

— არა უშავს, კაკაოს გავიკეთებ.

სამზარეულოში შევდივარ, კაკაოს ვიდუღებ და ისევ სასტუმრო ოთახში ვბრუნდები, დივანზე ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ. ინგრიდზე ფიქრი თავიდან არ მშორდება, თუმცა ტელევიზორში კინოს ვუყურებ. რატომღაც მგონია, რომ ეს ფილმი ადრე მაქვს ნანახი, ომის შემდეგ, მთლად პატარა ბავშვი რომ ვიყავი. ჩემ ბებერ მამიკოს ფეხები ნებივრად გაუშოტია და ჩიბუხს აბოლებს, ჩემი ბებერი დედიკო კი ქსოვს. ნამდვილი ოჯახური იდილიაა.

— სად იყავი? — ერთი წუთის შემდეგ მეკითხება დედაჩემი; ვიცი, ცნობისმოყვარეობისაგან გული ელევა.

— კინოში.

— მარტო?

— უილი ლომასთან ერთად.

— უილი ლომასთან? მგონი, არ უნდა ვიცნობდე.

— ჩემი ამხანაგია. სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

— საშუალოში?

— არა, დაწყებითში.

დედაჩემი რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის. ალბათ, ინგრიდთან რომ ვყოფილიყავი კინოში ან ყველაფერს დამაფქვევინებდა, ან ტყუილს მათქმევინებდა. ინგრიდთან ყველაფერი კარგადაც რომ მქონდეს, მაინც არ მინდა ჩემმა ბებერმა დედიკომ ჯერჯერობით რამე იცოდეს. ძალიან ადრე ელანდება ხოლმე საქორწინო ზარების რეკვა, ისე აჩქარებს ყველაფერს, თავგზას აგიბნევს.

მამაჩემი იხრება და ჩიბუხს ბუხარში ბერტყავს.

— ნეტავი კინოში ფულებს რატომ ხარჯავ, როცა შეგიძლია სახლში მუქთად ნახო.

— ტელევიზორში ფერად და ფართოეკრანიან ფილმებს არ უჩვენებენ.

— ფართოეკრანიანს?

— ჰო, დიდ ეკრანზე უჩვენებენ, უფრო განიერზე.

მამაჩემი ცარიელ ჩიბუხს წუწნის:

— ვითომ რაო, ცუდი კინო რომ ფართო ეკრანზე უჩვენო, უკეთესი გახდება?

კამათის თავი აღარა მაქვს. ფილმი უკვე დამთავრდა და ახლა კბილების პასტის რეკლამას უჩვენებენ. ვდგები და სიგარეტის ნამწვს ბუხარში ვაგდებ.

— შენ ოთახში ადიხარ?

— ჰო, დღეს ძალიან დავიღალე.

— ხომ არ დაგავიწყდა, ხვალ ჩვენ ქრისტინასთან ჩაიზე ვართ დაპატიჟებული.

— არა, არ დამვიწყებია.

ვემშვიდობები და მაღლა ავდივარ. ჯიმის ოთახში სინათლე ანთია და კარიც გამოღებულია. საბანაბანოში შევდივარ. გინდა იქ შესულხარ და გინდა დიდ, ცივ გამოქვაბულში; გარშემო მილები, წყლის რეზერვუარები და მოშიშვლებული, შეღებილი კედლებია. ელვის სისწრაფით ვიბან პირს და კბილებსაც სასწრაფოდ ვიხეხავ. გარეთ რომ გამოვდივარ, მესმის, ჯიმი მეძახის. მისი ოთახის კარებში ვჩერდები.

— რა იყო?

წიგნიდან ბაც ცისფერ კონვერტს იღებს და საწოლის ბოლოში ისვრის.

— აჰა, წერილია შენთან.

წერილს ვიღებ და კონვერტს დავცქერი. ვუყურებ ჩემ საკუთარ სახელს და უცებ მღელვარება მიპყრობს.

— სად იყო?

— დასაძინებლად რომ ამოვდიოდი, მაშინ დავინახე, ჰოლში ეგდო. ალბათ ჩვენ რომ ტელევიზორს ვუყურებდით, მაშინ შემოაგდეს. მარკა არა აქვს. მისამართი არ აწერია, მხოლოდ ჩემი სახელი წაუწერიათ. ძლივს ვიკავებ თავს, აქვე მინდა გავხსნა.

— დედამ და მამამ ნახეს?

— არა, პირდაპირ აქ ამოვედი. — ჯიმი ეშმაკურად მიყურებს. — მამაკაცის ნაწერს არ უნდა ჰგავდეს, რას იტყვი, ჰა?

ჯიმს ვუღიმი, მთელ სახეზე ღიმილი მეფინება, თუმცა ჯერ არც კი ვიცი წერილში რა სწერია.

— გმადლობთ, ჯიმ. ანდერძის შედგენისას არ დაგივიწყებ.

— სამადლობლად არა ღირს.

— როგორ არა ღირს. ოღონდ არსად წამოგცდეს.

— სამარე ვარ.

— ჰოდა ეგრე.

ჩემს ოთახში შევდივარ. ვიდრე წერილს გავხსნიდე, კარებს ვხურავ. კონვერტში ცისფერი ფურცელი დევს: „ძვირფასო ვიკ.“ წერია ფურცელზე. — ჩემმა ბიძაშვილმა გადაწყვიტა საღამოს მატარებლით წასულიყო, ამიტომ ლიდსში წავყევი გასაცილებლად. მატარებელმა დააგვიანა და კრესლიში რვის ნახევრამდე ვერ ჩამოვაღწიე. სადაც უნდა შევხვედროდით, იმ ადგილას მოვედი, რასაკვირველია, წასული დამხვდი. წარმომიდგენია რას ფიქრობ ჩემზე. ამიტომ გადავწყვიტე, წერილს მივწერ და ყველაფერს ავუხსნი-მეთქი. ალბათ ისე ორშაბათს არც კი დამელაპარაკებოდი. ხვალ საღამოს (კვირას) იმავე ადგილას მოვალ, შენც თუ მოხვალ, კარგი იქნება. რვის თხუთმეტ წუთამდე დაგელოდები, თუ არ მოხვალ, ჩავთვლი, რომ არ გცალია. მაგრამ იმედი მაქვს, მოხვალ. გკოცნი, ი ნ გ რ ი დ ი“.

ბოლო სიტყვა თითქოს წერილიდან გადმოხტა და თვალწინ ამითამაშდა. „გკოცნი!“ „გკოცნი!“ წერილს ჰაერში ვისვრი, საწოლზე ვხტები და ცირკის ჯამბაზივით ვხტუნაობ. მაშ არ მოვუტყუებივარ. თურმე ვერ შეძლო, და თანაც გკოცნიო მწერს, გკოცნიო! სიხარულით იატაკზე ვხტები, შარვლის ჯიბეში ხელს ვიყოფ და ისევ ჯიმის ოთახში შევრბივარ.

— ველოსიპედის სპიდომეტრისთვის ფულს ისევ აგროვებ? — სა-

წოლზე ორნახევარ კრონს ვუგდებ. — აჰა, ეს ხუთი შილინგიც დაუმატე.

ჩემ ოთახში რომ შევდივარ, ვფიქრობ ნახევარი კრონიც საკმარისი იქნებოდა-მეთქი, თუმცა, ჯანდაბას ფული! რას მიქვია ფული! ჩემი კარგი ჯიმი; მაგრამ მეც ხომ კარგი ვარ? ყველანი კარგები არიან. ჩემი მშვენიერი, დახატული ინგრიდი. უჰ, რა ლამაზი გოგოა, რა ტკბილი, რა კარგი...

## II

კვირას. ნაშუადღევს, მთელი ჩვენი ჯალაბი: ჩემი ბებერი დედიკო და მამიკო, ჯიმი და მე ქალაქის მეორე ბოლოში, ქრისთან მივემგზავრებით. ქრისის ახალი ბინა პატარა ქუჩაზეა, დიუსბერის გზატკეცილის ახლოს. ჩვენი სახლივით კორტოხზეა შემომდგარი და იქიდანაც მშვენიერი ხედი იშლება. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამათი ბინა მეორე სართულზეა და სასტუმრო ოთახიდანაც ტკბებიან ამ სანახაობით, ჩვენ კი მარტო საწოლი ოთახის ფანჯრებიდან შეგვიძლია დავინახოთ. ქრისი და დევიდი მხოლოდ გუშინ დაბრუნდნენ საქორწინო მოგზაურობიდან. ამიტომ კარს გვიღებენ თუ არა, იმართება ერთი მისალმება, ხვევნა და კოცნა. მერე ყველანი ერთად ბინას ვათვალიერებთ: ახალი ავეჯით გაუწყვიათ. მანამდე ქრისს არავისთვის უჩვენებია, როცა დაბრუნდებოდა და ამ სახლში კარგად დამკვიდრდებოდა. მაშინ უნდოდა სიურპრიზი მოეწყო. მართლაც რომ მშვენიერი ბინაა; ასეთს არც მე დავიწუნებდი. ავეჯი თანამედროვე, ღია ფერისაა, გამოშვერილი ფეხებით. ფრთხილად თუ არ იქნები, წარამარა წამოედები. მთელ იატაკზე მონაცრისფრო-იასამნისფერი ხალიჩაა დაგებული, კედელზე კი ორფერი შპალერი გაუკრავთ. ჩვენ რომ სახლში გვაქვს, ისეთი გარნიტური არ ისურვეს, უყიდიათ რამდენიმე სავარძელი და დივანი, რომელსაც საწოლის მაგივრადაც იხმარ, თუკი ვინმე სტუმარი ღამის გასათევად დარჩება. ჩემი მოხუცი დედიკო ყველაფერს გულმოდგინედ ათვალიერებს:

— კარგია, გენაცვალე, ძალიან კარგი. — მაგრამ ხმაზე აშკარად ეტყობა, რასაც ფიქრობს: „რას იზამ, თუკი თქვენ მოგწონთ, კარგია. მე კი ასეთ ავეჯს სახლში არ გავაჩერებდი".

ჩემი ბებერი მამიკო და დევიდი ფანჯარასთან მიმდგარან და გარეთ იხედებიან.

— აი, ეს კი ნამდვილი დასავლეთ რაიდინგის ხედია. — ამბობს მამაჩემი. — რა გინდა რომ არ დაინახო.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბინის ფანჯრებიდან რაც ჩანდა, იმას მაინც ჯობია: ათიოდე ტერასიანი სახლი და ჩემ დღეში რომ არ მინახავს, ისეთი უზარმაზარი ნონკონფორმისტების ეკლესია.

— კლეკჰიტონში არასოდეს ყოფილხარ? — ეკითხება ჩემი ბებერი მამიკო, ისეთნაირად, რომ სახეზე ღიმილის ნიშანწყალი არ ეტყობა. — უთხარი ერთხელ ქრისს, წამოგყვეს. მშვენიერი ადგილია. ისეთი უშველებელი მეთოდისტების ეკლესია აქვთ, ჩემს სიცოცხლეში რომ არ შემხვედრია. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კი მეორე, ასეთივე დიდი ეკლესია დგას.

— ძალიან პირქუში კია ეს ეკლესიები.

— ეეე, ცოტა ფრთხილად, ყმაწვილო, — ეუბნება მამაჩემი. — რაც უნდა იყოს, ღვთის სადიდებლად არის აგებული. აბა, წარმოიდგინე, რა გრძნობებს აქსოვდნენ, როცა მაგ ეკლესიებს აშენებდნენ.

— რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით. საწყენი ის არის, რომ ასეთ უშნო ხუხულებს აგებენ. მე, უბრალოდ, არქიტექტურას ვგულისხმობდი. რატომ არის, რომ დასავლეთ რაიდინგში ყველა დიდ შენობას ბერძნულ ან იტალიურ სტილში აშენებენ? თითქმის ყველა შენობა გაუვარტლულ პართენონს გავს.

— იმიტომ, რომ გვინდა ყველაფერი საკუთარი გვქონდეს.

— კი, მაგრამ ტიპიური იორკშირის არქიტექტურა არ არსებობს?

— კი, როგორ არა, კოლინსონის ქარხანა. — ქირქილებს ჩემი ბებერი მამიკო. — აგერ იქით, ყველაზე დიდი საკვამლე მილი რომ ადგია.

დევიდი იღიმება.

— ბოლოს და ბოლოს, დასავლეთ რაიდინგი არც ისე ცუდი რაიონია. მართალი გითხრათ, სულ არ მოველოდი და ძალიან მესიამოვნა.

— არა მგონია შენი აზრი ბევრმა გაიზიაროს. ზოგს უფრო მშვიდი, არ ვიცი, მიმიხვდები თუ არა, უფრო წყნარი ადგილები უყვარს.

დგანან და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეზე მუსაიფობენ. ჩემი ბებერი მამიკო თვლის, რომ მთელი ქვეყანა აქვს შემოვლილი და მაინც იძულებულია აღიაროს, რომ სხვაგანაცაა ლამაზი ადგილები.

ვდგები და წიგნის კარადისაკენ მივდივარ, რომელიც იქვე, ბუხართან დგას. პატარა სამზარეულოდან ჭურჭლის წკარუნი ისმის. წარამარა სასტუმრო ოთახში ხან ქრისი და ხან დედაჩემი შემოდიან და შუა ოთახში გაშლილ მაგიდაზე საჭმელებს ალაგებენ. მთავარი საგანი, რომელსაც დევიდი ასწავლის — ლიტერატურაა, ამიტომ თაროები შექსპირითა და სხვა მოსაწყენი კლასიკოსებითაა გამოტენილი. კარადასთან ისე, ტყუილად ვჩერდები, მინდა ვიდრე ჩაის

სმას შევუდგებოდეთ, დრო როგორმე მოვკლა. თვალში ერთი სქელი, მწვანეყდიანი წიგნი მხვდება, კარადიდან ვიღებ და ვხედავ, რომ ყუაზე გველი კი არა, ძველებური მშვილდი ყოფილა დახატული. წიგნის სათაურია „ულისი“, ავტორი ვინმე ჯეიმს ჯოისია. მართალი გითხრათ, არც ერთი გამიგონია და არც მეორე, მაგრამ რადგან უკვე გადმოვიღე. ვშლი და ვათვალიერებ. თითქმის ბოლოში ისეთი ნაწყვეტი მხვდება თვალში, თმა ყალყზე მიდგება. თუ არ ვცდები, გოგოზე უნდა იყოს ლაპარაკი, ლოგინში თუ სადღაც სხვაგან წევს და იგონებს ბიჭებთან როგორი დრო უტარებია. ღამის ჭკუიდან შევიშალო, რა თქმა უნდა, ასეთი რაღაცეები ადრეც მინახავს, მაგრამ ის მანქანაზე დაბეჭდილი ფურცლები იყო და ხელიდან ხელში გადადიოდა. ნაირნაირი ამბები მტვერსასრუტებით მოვაჭრე კომივოიაჟერზე, რომელსაც ერთ-ერთ სახლში მარტო ქალი ხვდება. მაგრამ ასეთი რამე რომ წიგნში ყოფილიყოს დაბეჭდილი — პირველად ვხედავ.

გამალებული ვკითხულობ და გკერდებს ჩქარ-ჩქარა ვშლი. მინდა ამ საკითხში ცოდნა გავიღრმავო (თუ სწრაფად არ იკითხე, არაფერი გამოვა, იმიტომ რომ ეს გოგოს ფიქრებია, ისევეა დაწერილი, როგორც თავში მოსდის, არაფერია გამოტოვებული, კი, ნამდვილად, არაფერია გამოტოვებული: არც მძიმე და არც წერტილი, ერთი წინადადება მეორეზეა გადაბმული, სწორედ ისე, როგორც ფიქრის დროს).

ჰოდა, ვდგავარ, ვკითხულობ და ყველაფერს თავში ვიბეჭდავ, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მარილიან ადგილებს; ამ დროს დევიდი მოდის ჩემთან და მეკითხება, რამე საინტერესო თუ იპოვეო.

ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობ თავს, თვითონაც არ ვიცი, რატომ, წიგნი ჩემი ხომ არ არის, მაგისია.

— ცოტა ზედმეტები სწერია, არა? არ მეგონა, თუ ასეთი რამეების დაბეჭდვის ნებას აძლევდნენ. — ვეუბნები სიცილით.

— ამ წიგნმა, ვიდრე გამოქვეყნების ნებას დართავდნენ, რამდენიმე სასამართლო გაიარა. — მეუბნება დევიდი.

— არც არის გასაკვირი...

წარმოგიდგენიათ, ჩვენი დევიდი თურმე როგორ წიგნებს კითხულობს და თანაც ისეთ ადგილას ინახავს, რომ ქრისსაც შეუძლია წაიკითხოს.

— რა, ეს წიგნი კარგ ნაწარმოებად ითვლება?

— შედევრია. — ამბობს დევიდი. — სხვა უფრო შესაფერ სიტყვას ვერც გამოუნახავ. ინგლისურ ენაზე თუკი რამე დაწერილა, ეს ერთ-ერთი საუკეთესოა.

მე მგონი, თავისუფალ დროს სიამოვნებით წავიკითხავდი და დევიდს ვეუბნები:

— როდისმე უნდა მათხოვო.

— მოგწყინდება. — მეუბნება დევიდი. — ძალიან ძნელად საკითხავი წიგნია. ისეთი ღრმა აზრებია ჩაქსოვილი, რომ თუ გინდა ყველაფერი გაიგო, რამდენჯერმე უნდა წაიკითხო... თანაც არ მინდა დედაშენმა აიღოს და ის ადგილი გადაშალოს, სადაც ახლა შენ კითხულობ. შეიძლება ვერ გაიგოს.

— რა თქმა უნდა, ვერ გაიგებს. ქრისი რა აზრისაა ამ წიგნზე?

— არ წაუკითხავს. იცის რაზედაც არის, ამ წიგნის რეპუტაციაზედაც სმენია და ამბობს, არავითარი სურვილი არა მაქვს უფრო ღრმად გავიცნოო.

დევიდი კარადიდან სხვა წიგნს იღებს.

— ამ წიგნზე რას იტყვი?

სათაურს დავცქერი.

— ა, რაიმონდ ჩანდლერია. ჰო, ეს წიგნი წამიკითხავს. მაგისი სამი თუ ოთხი წიგნი უნდა შქონდეს წაკითხული. რაც ბიბლიოთეკაში ჰქონდათ, ყველა წავიკითხე.

— გიყვარს კითხვა?

— ძალიან. მუდამ ვკითხულობ. მე რომ მკითხო, ათასჯერ სჯობია იკითხო, ვიდრე ტელევიზორს უყურო.

— როგორ წიგნებს კითხულობ?

— რა ვიცი, დეტექტივებს, ომის ამბებს, ეგეთ რაღაცეებს. შენ რატომ არ დაწერ წიგნს, დევიდ? რამეს ომის შესახებ... ხომ ბევრი რამე გადაგხდომია თავს.

— ძალიან ბევრი... — ჩანდლერის წიგნს ისევ კარადაში დებს. — ერთხელ დავიწყე წერა, მინდოდა აღმეწერა, რაც სამხედრო ტყვეთა ბანაკში გადამხდა. მაგრამ ამ თემაზე იმდენი წიგნია დაწერილი, რომ ჩემი წიგნის გამოსვლას არავითარი აზრი არ ექნებოდა. — კარადიდან რაღაც წიგნს იღებს და მაწვდის: — აი, მე რომ ომზე ასეთი კარგი წიგნის დაწერა შემეძლოს, მაშინ, რასაკვირველია, აღარ ვიტყოდი, ომზე სხვა წიგნებიც ბევრია-მეთქი.

წიგნის სათაურია „ვის უხმობს ზარი“.

— ფილმი ვნახე ამ წიგნის მიხედვით. კარგა დიდი ხნის გადაღებულია, მაგრამ ახლახან ისევ გამოუშვეს ეკრანებზე. ჰარი კუპერი და ინგრიდ ბერგმანი თამაშობენ... კარგი ფილმია.

ინგრიდი... ინგრიდი... დევიდის სიტყვები თითქმის აღარც კი მესმის, წიგნი წაიღე და ნახე როგორ მოგეწონებაო.

ცოტა ხნის შემდეგ სამზარეულოში ვიუყიტები, დედაჩემი იქ არ არის და ქრისს ერთი-ორი სიტყვა მინდა ვუთხრა:

— ქრის, ხომ არ გეწყინება, რომ ასე, შვიდის ნახევარზე ავითესო?

ქრისი სალათისათვის მაგრად მოხარშულ კვერცხსა ჭრის.

— უდიდეს შეურაცხყოფას მომაყენებ, — შეუბნება ქრისი. — პირველად ხარ ჩემ ოჯახში მოწვეული და ასე ადრე გინდა გამექცე. რაიმე გადაუდებელი საქმე გაქვს?

— ძალიან გადაუდებელი. ამაღამ არც ვაპირებდი სადმე წასვლას, მაგრამ ცოტა გაუგებრობა მოხდა და, რომ არ გავიდე, არ შეიძლება.

— რა ჰქვია?— მეკითხება ქრისი.

— შენ არ იცნობ.

— თუ მეტყვი, რა ჰქვია, მაშინ ცოტათი მაინც მეცნობება. შენ ხომ იცი, რა ჰქვია?

— რა თქმა უნდა, ვიცი. ინგრიდ როთუელი. დედაჩემს არაფერი უთხრა, კარგი? ხომ იცი, როგორია. როცა დრო მოვა, თვითონვე ვეტყვი, თუკი... ხომ გესმის?

ქრისი იღიმება, თავისებურად, ტკბილად. როცა ამ ღიმილს ვხედავ, ყოველთვის მგონია, რომ ყველაფერი კარგად მიდის.

— მესმის.

დედაჩემი სამზარეულოში ფაცა-ფუცით შემოდის, თან კარქიან თითებს ილოკავს, მერე ხელებს ქრისისაგან ნათხოვარ წინსაფარზე იწმენდს.

— აბა, აქედან მოუსვი. ვერ ვიტან კაცები რომ სამზარეულოში ფეხებში გედებიან და ხელს გიშლიან... შენთან როგორ არის საქმე, ქრის? მგონი, ყველაფერი მზად უნდა იყოს.

— აი, ჩაის თუ დააყენებდი...

— ახლავე, შემოგევლე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი სუფრას ვუსხედვართ, ქრისი გვიყვება საქორწინო მოგზაურობის დროს რა ნახეს. ჩემი ბებერი მამიკო მაშინვე ლონდონზე იწყებს ლაპარაკს. რას იზამ, ერთი ნაკლი აქვს, ჰგონია, ლონდონს გადასარევად ვიცნობო, რადგანაც პირველი მსოფლიო ომის დროს ერთი-ორჯერ ყოფილა, მოგვიანებით კიდევ რამდენიმეჯერ სასულე ორკესტრის კონკურსზე და თასის მოსაპოვებლად გამართულ რეგბის ფინალურ მატჩზე. გვერდით რომ დევიდი

უზის და დევიდი ლონდონშია დაბადებული, სულაც არ აწუხებს. მალე ისე ერევა ყველაფერი, ქრისის დასმარებით აზრებს ძლივს ალაგებს.

— კი მაგრამ, შენ რომ ახსენე, ის ადგილი ლესტერ სკვერზე სულაც არ არის, მამიკო. — ეუბნება ქრისი.

— უკანასკნელად რომ ვიყავი ლონდონში, იქ იყო. — იხტიბარს არ იტეხს ჩემი ბებერი მამიკო. — ხომ არ გინდა მითხრა, ლონდონს არ იცნობო?

— შენ რა, გინდა მამაჩემს ლონდონში სად რა არის, ის ასწავლო?— ეუბნები ქრისს.

— როცა არ გეკითხებიან, ენას კბილი უნდა დააჭირო, ყმაწვილო.— მიწყრება შამაჩემი. საჩვენებელ თითს მაღლა სწევს და დიდად თავდაჯერებული განაგრძობს: — ჰოდა, როცა მე და ეზრა დაიქსი „დეილი ჰერალდის“ მიერ მოწყობილ სასულე ორკესტრების კონკურსზე წავედით 1949 წელს, თუმცა, არა, დაიცათ... მგონი, ორმოცდათერთმეტში იყო... — მერე დედაჩემისაკენ ბრუნდება და ეკითხება: — შენ ხომ გახსოვს ის წელიწადი, რომელი იყო: ორმოცდაცხრა თუ ორმოცდათერთმეტი?

— აბა. მე საიდან უნდა ვიცოდე? — მშვიდად ეუბნება დადაჩემი. — ჯობია გაჩუმდე და ჩაი დალიო.

დევიდი, რომელიც აქამდე ჩუმად ზის და ლაპარაკში არ ერევა, თავს სწევს და ჩუმად თვალს მიკრავს.

შვიდის ოცდახუთ წუთზე სააბაზანოში შევდივარ და ხელებს ვიბან. მერე კი, ვიდრე დედაჩემი სამზარეულოში ქრისს ჭურჭლის რეცხვაში ეხმარება, პალტოს ვიცვამ და სახლიდან ჩუმად გავდივარ.

ინგრიდი ბარკლის ბანკთან, ქუჩის კუთხეში მელოდება. ბეწვის საყელოიანი ლურჯი პალტო ტანზე კოხტად აქვს მომდგარი. ქუდი არ ახურავს. ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია. ასეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ადრე არასოდეს სცმია. მე უფრო ადრე შევამჩნიე, ვიდრე თვითონ. ქუჩაზე სწრაფად გადავდივარ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ორადა ვარ გაყოფილი და ერთი ნახევარი უკვე ქუჩის მეორე მხარეზე მის გვერდით დგას.

— გამარჯობა.

— გამარჯობა. ჩემი წერილი მიიღე, არა?

— ჰო. მივიღე.

მისი ხელთათმანიანი ხელი მიჭირავს და ვუსმენ, როგორ მეჟღურტულება. როგორ მიხსნის, წუხელ რატომ დააგვიანდა. ახლა, როცა ვიცი, რომ წუხელ არ მოვუტყუებივარ, ეს ამბავი სულაც აღარ მაინტერე-

სებს. მაგრამ ინგრიდი მაინც ჟღურტულებს და ჟღურტულებს, არც ერთი წვრილმანი არ ავიწყდება.

— იმ კაცს რა ერქვა?

— ვინ კაცს?

— აი, იმ მებარგულს, ვაგონში რომ ჩემოდნები აგატანინათ.

— მე რა ვიცი. — მეუბნება, მაგრამ უცებ ხვდება, რომ ვეხუმრები და უმატებს: — თავი მოგაბეზრე, არა? და თანაც ამას ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, ჰო?

— რასაკვირველია.

— წარმომიდგენია, ჩემზე რა არ იფიქრე.

— კარგი, მოდი მაგას თავი დავანებოთ.

— იმ საღამოს რა გააკეთე? ჩაგამწარე, არა? დიდხანს მიცადე?

ვეუბნები, ამხანაგთან ერთად კინოში ვიყავი-მეთქი. მერე ვეკითხები, წერილის მოწერა რაღამ გაფიქრებინა-თქო. მე რომ მკითხოთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს წერილია.

ის, რომ მოსვლას აპირებდა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, რომ დააგვიანდა და მერე წერილის მოწერა გადაწყვიტა, ეგ უკეთესი. იმიტომ რომ, ალბათ, ჩვენს ურთიერთობას გულგრილად არ უყურებს და არ უნდა ასე უბრალოდ დავშორდეთ ერთმანეთს. აი, სწორედ ამიტომ მომწერა ის წერილი.

— რა ვიცი, უცებ მომივიდა თავში. ვიფიქრე, თუ ახლავე მივწერ და ყველაფერს ავუხსნი, მიხვდება, რომ ჩემი ბრალი არ იყო-მეთქი. ორშაბათამდე რომ მომეცადა, ამ შაბათ-კვირას კიდევ უფრო მეტი დაგროვდებოდა, ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა? მერე შერიგება უფრო გაჭირდებოდა. შემეშინდა, არ გეფიქრა, ასე განგებ მომექცაო.

— კი მაგრამ, საიდან იცოდი, სად ვცხოვრობ? — ესეც კიდევ რაღაცას ნიშნავს. მაშ, გამოდის ადრევე დაინტერესებულა, სად ვცხოვრობდი.

ინგრიდი ილიმება, სახეში არ მიყურებს.

— რა ვიცი, ვიცოდი. იქნებ შენ რომ გგონია, იმაზე ცოტა მეტი ვიცი შენზე?

ისეთ გუნებაზე ვარ, ლამის აქვე. ქუჩაში ვიყვირო და ვიმღერო. ოჰ, ღმერთო, რა მშვენიერი გოგოა. მართლაც და რა გადასარევი გოგოა.

## III

— ახლა სად წავიდეთ? კინოში?

— მერჩივნა გაგვეევლო და ცოტა გველაპარაკა. — მეუბნება ინგრიდი და მეც, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

წინა კვირას მეც სწორედ ეს მინდოდა, მაგრამ იმ ქალბატონმა დოროთიმ თავისი დინგი წაყო ჩვენ საქმეში და კინაღამ ყველაფერი ჩაგვიშალა... რამდენ რამეს დავკარგავდი... ინგრიდთან ვერ ვისეირნებდი და არც ის მეცოდინებოდა, რომ ინგრიდიც ისევე სერიოზულადაა ჩემს მიმართ განწყობილი, როგორც მე მის მიმართ. მაგრამ იქნებ უკეთესიც არის, პატარა გაუგებრობა რომ გვქონდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ინგრიდი არც გამომაქცევებდა, რომ მოვწონვარ. ისე გამოვიდა, ჯერ თითქოს ერთი-ორი ნაბიჯით უკან დავიხიეთ, მერე კი ოცი ნაბიჯით წინ წავედით. შგონი დოროთის ჩემგან მადლობის თქმაც კი ეკუთვნის.

— დღეს ხომ გეცალა? მოსვლა ხომ არ გაგჭირვებია?

— წესით დღეს არ უნდა გამოვსულიყავი, — ვეუბნები, გულში კი ვფიქრობ, ქუჩა კაციჭამია ლომებით რომ ყოფილიყო სავსე, მაინც ვერაფერი შემაჩერებდა-მეთქი. — მთელი ოჯახი ჩემ დასთან, ახალ ბინაში ჩაიზე ვიყავით დაპატიჟებული. გუშინ ჩამოვიდა საქორწინო მოგზაურობიდან.

— ჰო... ქრისტინასთან; ქორწილზე და ჯვრისწერაზე ხომ მიამბე.

მართალია მოვუყევი, მაგრამ ეს ორი კვირის წინ იყო, რამდენი რამე კი მოხდა ამ ხნის განმავლობაში. ჯერ გავიცანი, მერე მომეჩვენა, რომ დავკარგე, დღეს კი, აი, ხელახლა ვიპოვე. და მაინც არა მჯერა, რომ დღეს აქ, ჩემ გვერდით არის და თანაც მე კი არ მითხოვია მოდი-მეთქი, თვითონ მთხოვა. ვიღებ მის ხელს და მკლავში ვიყრი.

ჩემსკენ იხედება და მიღიმის. ცხვირში მისი სუნამოს სურნელი მცემს.

— შენი სუნამო ძალიან მომწონს. რომელია?

— „სურვილი" ჰქვია. — იცინის ინგრიდი.

— მერე არ გეშინია, ასეთ სუნამოს რომ ხმარობ? — ჯიმი სლეიდი, ალბათ, სხვანაირად იხუმრებდა: თითო ბოთლ ასეთ სუნამოს მაღაზიაში უფასოდ თითო უბიწოების სარტყელი უნდა მიაყოლონო. ამის გაფიქრებაზე ჩემთვის მეღიმება.

— ისე, ძალიან ძვირი კი ღირს. — ამბობს ინგრიდი. — მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში ვხმარობ. ყოველდღე ასეთ სუნამოს ვერც დაისხამ.

—არ ვიცი, რაც მითხარი, უნდა გამეხარდეს თუ არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვიცი, რას ფიქრობ, ბგონია თავს შევიკავებ და ხელს არ გახლებ თუ რა?

ინგრიდი კისკისებს.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს.

ჩვენ ჩვენს ოჯახებზე ვიწყებთ ლაპარაკს, იმიტომ, რომ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ. ინგრიდის მამა თურმე ინჟინერია, მანჩესტერის ახლოს ერთ მსხვილ სამშენებლო ფირმაში მუშაობს და სამსახურის საქმეების გამო ხშირად უხდება აქეთ-იქით სიარული, ზოგჯერ საზღვარგარეთაც მიდის.

— თითქმის არასოდეს არ არის სახლში. — ამბობს ინგრიდი, — დედა ამბობს ხოლმე, ასე მგონია, მეზღვაურის ცოლი ვარო.

ვამჩნევ, რომ ინგრიდი არასოდეს ამბობს „დედაჩემი“ ან „დედიკო“, ესე იგი მისი ოჯახი ჩემსაზე ერთი საფეხურით მაღლა დგას.

— მაგრამ თვითონვე ამბობს, ასე სჯობია, როცა ქმარი იშვიათად არის სახლში, არა გბეზრდებაო. როცა მამა ჩამოდის, მტრედებივით ღუღუნებენ ხოლმე, გეგონება ოცი წელი კი არა, ოცი დღეა, რაც დაქორწინდნენო... რა თქმა უნდა, მერე, როცა მე აღარ ვეყოლები სახლში, ცოტა მოსწყინდება.

— როგორ, სახლიდან წასვლას აპირებ?

— როდისმე ხომ წავალ... როცა გავთხოვდები.

— რამდენი წლისა ხარ, ინგრიდ? — დაახლოებით ვხვდები, მაგრამ ზუსტად მინდა გავიგო.

— ზუსტად შობის წინ თვრამეტი შემისრულდა.

მე ცოტათი მეტს მივცემდი.

— ჯერ სულ ბავშვი ხარ, — ვეუბნები, მინდა ცოტა გავაღიზიანო. — დედაშენს კარგა დიდხანს ვერ მოშორდები.

— ყოველ შემთხვევაში, მომავალზე ხომ მაინც უნდა ვიფიქრო. რამდენი გოგოა, თვრამეტისა თხოვდება და საკუთარი ოჯახი აქვს. ისე, თქვენ რამდენისა ბრძანდებით, ბერიკაცო, რასაკვირველია, თუ საიდუმლო არ არის...

— ოცისა.

— მართალი გითხრა, არ მეგონა. შენმა ჭაღარა წვერმა შემაცდინა.

მე ვიცინი.

— კარგი, კარგი. — ვეუბნები და ისევ მინდა ვიყვირო და ვიმღერო. ღმერთო, რა ბედნიერებაა, რა კარგად ვგრძნობთ თავს ერთად.

— მერე, როგორ ბიჭზე აპირებ გათხოვებას? ხომ არ გინდა მამაშენივით დღე და ღამე სახლში არ იყოს?

— ვინ მოგახსენათ? მე ისეთი ქმარი მინდა, გვერდიდან არ მშორდებოდეს. ვნახოთ, იქნებ არ მომაბეზროს თავი.

სწორედ ისე, როგორც მე მინდა, სულ ერთად ვიყოთ, ერთად ვიყოთ, ერთმანეთი გვიყვარდეს, ვიცინოთ, ვიმხიარულოთ, სულ, ყოველთვის, სიცოცხლის ბოლომდე. ალბათ, ასეთი ცხოვრება დიდი ბედნიერებაა. რასაკვირველია, თუ ბედი გაგიღიმებს და კარგი გოგო შეგხვდება.

— რას იზამ, უნდა მოიცადო, იქნებ სადმე იპოვო ასეთი ბიჭი. ანდა ვინ იცის, იქნებ მეზღვაური შეგხვდეს ან ვინმე უფრო უარესი.

— კი მაგრამ, რა იცი, რომ ჯერ არ მიპოვნია? — მეუბნება ინგრიდი.

თვალებში ვუყურებ, არ ვიცი, რა ვუპასუხო.

— მაშინ აქ, ჩემთან რას აკეთებ?

— ისე. მინდა ვაეჭვიანო.

— ჰოო... გასაგებია... მაღალია?

— არა, მაღალი არ არის, მაგრამ კარგი აღნაგობა აქვს.

— მუშტებს თუ ხმარობს კარგად?

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, თავს არავის დააჩაგვრინებს.

— ჰოო... — ვითომ ქუდს ვიხდი და უცებ იქითკენ ვბრუნდები, საიდანაც მოვედით. — ღამე მშვიდობისა.

ინგრიდი იცინის:

— წამოდი, წამოდი, ნუ გეშინია, მე მოგეშველები.

აქამდე პროსპექტს მივყვებოდით, რომლის ორივე მხარეს საცხოვრებელი სახლებია ჩარიგებული; ეს პროსპექტი მთავარი გზატკეცილის განშტოებაა, კრესლის უშენს მიჰყვება და გრინფორდში მიდის. ჩვენს წინ რევენსნუკის პარკის რკინის ნაჭედი ჭიშკარია, გერბებითა და ჩუქურთმებით მორთული. იქვე პატარა კუტიკარი ღიაა. ინგრიდი მეუბნება პარკში გავისეირნოთო. გვერდით ყარაულის ჯიხურია, მთლად სიბნელეში ჩაძირული. ჩვენ ფართე, მოასფალტებულ გზას მივყვებით, რომლის ორივე მხარეს ყვავილების კვლები და დიდი ხეებია ჩაყოლებული.

— გუშინ რომ არ მოვედი, რა იფიქრე? — ცოტა ხნის შემდეგ მეკითხება ინგრიდი.

— მართალი გითხრა, არ ვიცოდი, რა მეფიქრა.

— ალბათ, გუნებაშიც არ გაგივლია, რომ შეიძლება რამეს შეეშალა ხელი.

— როგორ არა, ეგეც ვიფიქრე.

— ნუთუ გეგონა, რომ პაემანზე დაგთანხმდი და მერე განგებ არ მოვედი.

— ეგეც ხდება ხოლმე.

— მაშ, კარგად არ გცნობივარ, თუკი გეგონა, რომ ასეთ რამეს ჩავიდენდი. — მეუბნება და მეჩვენება, რომ ხმაში ცოტა სიცივე შეეპარა.

— მერე, განა ეგრე არ არის? მართლაც არ გიცნობ კარგად. სულ რაღაც სამჯერ შევხვდით ერთმანეთს. ორჯერ მარტო ჩვენ ორნი. აი, იმ საღამოს, იმ შენ დოროთისთან ერთად რომ გამომეცხადე, მე...

—ხომ გითხარი, არ შინდოდა წამოსულიყო-მეთქი. რა ვქნა, კვირა საღამოს იცის მოსვლა და ჩაიზე დარჩენა. იმ საღამოს სულაც არ ველოდი. მერე, როცა მოვიდა, სანამ გარეთ არ გამოვედით, ვერაფრით ვერ მოვახერხე ამეხსნა, რაში იყო საქმე. მერე კი, როცა ქუჩაში გამოვედით, ხომ ველარ ვეტყოდი, წადი-მეთქი. ეწყინებოდა. ასეთი ხასიათი აქვს. ამოიჩემა, გინდა თუ არა. უნდა ვნახო, ვისთან მიდიხარო, ხუთიოდე წუთს დავრჩები და მერე წავალო.

ახლა კი ყველაფერი ნათელია. თითქოს ყველაფერს თავიდან ვიწყებთ, დოროთის წყალობითაა, საქმე რომ ასე სწრაფად მიდის წინ. რას გაგულისდება, რომ გაიგოს!

— მერე კი რაც მოხდა, შენც კარგად იცი.

— დიახ, ვიცი. მაგრამ ნახევარზე ნაკლები. ნეტავი იმლამინდელი ამბის გამო ცოტა ხომ არ მსაყვედურობს? არც უმაგისობა იქნება, და სწორიც არის. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, დოროთის მოგონებაზედაც კი არ მერევა გული.

— დოროთისთან ჩხუბს სულაც არ ვაპირებდი. მაგრამ იმისმა ქარაგმულმა ლაპარაკმა ნერვები ამიშალა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ მანამდე უკვე ორჯერ შევხვდით ერთმანეთს. მერე იმ კინკლაობის შემდეგ, წუხელიც რომ არ მოხვედი, ვიფიქრე ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, ჩემთან შეხვედრა აღარ უნდა, მაგრამ პირში თქმას ერიდება-მეთქი.

— სულაც არ იყო ეგრე! — ამბობს ინგრიდი. — ხომ ხედავ, რა შეიძლება მოჰყვეს გაუგებრობას, კიდევ კარგი, წერილის მოწერა მოვიფიქრე, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდა.

—მე გეტყვი, რაც შონდებოდა.—ვეუბნები.—მეტს აღარ შეგაწუხებდი.

სიბნელეში უცებ საორკესტრო ნიჟარა ამოიზიდა, მოხაზულობით რაღაც ზღაპრულ ტორტსა ჰგავს.

— მოდი, ჩამოვჯდეთ, — ვეუბნები ინგრიდს და ბილიკისაკენ მიმყავს, სადაც ჩამოსაჯდომი მერხი მეგულება და სადაც ზაფხულობით უზარმაზარი შქერის ბუჩქები ყვავის ხოლმე. — მერე, გეწყინებოდა,

რომ აღარ მეთხოვა შემხვდი-მეთქი? — ვეკითხები, ინგრიდი კი დარცხვენით მეუბნება:

—შენ როგორა გგონია?

არაფერს ვპასუხობ, მაგრამ მხრებზე ხელს ვხვევ. იგი ოდნავ ჩემსკენ იწევს, მე კი ვფიქრობ, თურმე რა პატარა რამეს შეუძლია ყველაფერი შეცვალოს-მეთქი. მიყვები ამ ერთფეროვან დღეებს, მერე უცებ რაღაცა ხდება და ყველაფერი არაჩვეულებრივად გეჩვენება.

— ეს რა გიდევს ჯიბეში?

მხრიდან ხელს ვიღებ და მერხზე ვსწორდები.

— წიგნი.

— აგური მეგონა.

ჯიბიდან წიგნს ვიღებ და ხელში ვატრიალებ.

— ეს რომანია, „ვის უხმობს ზარი“, წაგიკითხავს?

ღმერთო დიდებულო, რა თქმა უნდა, არა. თურმე ინგრიდს წიგნების კითხვა არ უყვარს. კვირაში სამ ჟურნალს ღებულობს და იმის წაკითხვასაც ვერ ასწრებს, იმიტომ რომ სულ „ტელეს“ უყურებს. რატომღაც არ მიყვარს ეს სიტყვა „ტელე“, იმ წუთში მაგონდება ღიპიანი, უვიცი ადამიანები, რომლებიც ქათმებივით იწყებენ კრიახს, რაიმე უკბილო ოხუნჯობას რომ მოჰკრავენ, ყურს, აი, ისეთს, ფერად ღია ბაღრატებზე რომ ბეჭდავენ ხოლმე: დიდ ღიპებზე, ღამის ქოთნებზე და სხვა ამისთანა სისულელეზე. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, როგორი ოხუნჯობაც არის ხოლმე. წიგნი ისევ ხელში მიჭირავს და ხმას არ ვიღებ. წიგნის მარტო ხელში ჭერაც კი ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრის, მყარია და მარადიული, რომელიც მუდამ შენთან არის. არა, ტელევიზორია... ჩართე და გამორთე ონკანივით. საწყენია, რომ კითხვა არ ჰყვარებია, მაშ, გამოდის წაკითხულ წიგნებზე ვერ ვილაპარაკებთ და ვერც ერთმანეთს ვურჩევთ ესა და ეს წიგნი წაიკითხეო.

— ამ წიგნის მიხედვით ფილმია გადაღებული. — ვეუბნები, რომ სიჩუმე როგორმე დავარღვიო. — ჰარი კუპერი და ინგრიდ ბერგმანი თამაშობენ.

— ჩემი სეხნიაა.

— რა?

— ინგრიდ ბერგმანი. დედამ სწორედ მაგიტომ დამარქვა ეს სახელი. ერთ დროს დედა თურმე მაგ მსახიობზე ჭკუას ჰკარგავდა. მაგაზე და ლესლი ჰოუარდზე. ბიჭი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ლესლის დამარქმევდა.

— კი გამიკვირდა, ინგლისელ გოგოს ასეთი უცნაური სახელი რატომ უნდა ერქვას-მეთქი.

— მე უცნაურად არ მეჩვენება. მომწონს კიდეც.

— არა, მე ის კი არ მითქვამს, არ მომწონს-მეთქი. უბრალოდ უცხოა.

— შენ რა, გერჩივნა მერი, ბარბარა ან სხვა მაგისთანა მრქმეოდა?

— დოროთი. — ვეუბნები. — აი, ეგ სახელი მომწონს ყველაზე ძალიან.

ინგრიდი ხუმრობით მუჯლუგუნს მკრავს და მეუბნება:

— ჰო, კარგი ეხლა, გეყოფა.

ვიცინი და წიგნს ისევ ჯიბეში ვიდებ.

— როგორიცა ხარ, ისეთი მომწონხარ.

ინგრიდი ერთხანს ჩუმად არის, მერე კი მეკითხება:

— მართლა, ვიკ? აბა, დაიფიცე.

მინდა ვუთხრა, მიყვარხარ, შენთვის ვგიჟდები-მეთქი, მაგრამ ასე ერთბაშად ყველაფერი როგორ მივახალო?

— რომ არ მომწონდე, მგონი, არც ასე გდევდი კუდში, არა?

— ალბათ, არა.

ხელს ისევ მხარზე ვხვევ. იგი ჩემკენ იწევა და მისი თმა სახეზე მელამუნება. თავს ვაბრუნებ და ტუჩებით ლოყაზე ვეხები, მერე კი მთელ სახეს ვუკოცნი. ვკოცნი, ბევრს, ძალიან ბევრს. ვკოცნი ყველგან: შუბლზე, ლოყებზე, თვალებში, ცხვირზე, ბოლოს კი ტუჩებში. ტუჩებშიც ასევე ბევრს ვკოცნი. მეჩვენება, რომ ერთი გრძელი კოცნა არ შეყოფა, ამიტომ ვკოცნი და ვკოცნი და თან მის სახელს ვჩურჩულებ.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს ეშორდებით, რომ ცოტა სული მოვითქვათ.

— უჰ! — იცინის ინგრიდი. — შავ დღეში ვართ გოგოები. — ცოტა ხნის შემდეგ კი უმატებს:— ერთიც ვნახოთ და წინა კვირას არ გეთხოვა შემხვდეო. მთელი საუკუნე გავიდოდა, ვიდრე მიგახვედრებდი, შენთან შეხვედრა მინდა-მეთქი.

— უჰ, ის დოროთი! კინაღამ ყველაფერი გააფუჭა.

— გაეხარდებოდა კიდეც. მართალია, ჩემი ამხანაგია, მაგრამ ცოტა აუტანელი ხასიათი აქვს. შურს, შენთან რომ დავდივარ. ეგ ერთი ნაკლი აქვს, შურიანია.

— თვითონაც იპოვოს ვინმე. — ვეუბნები. მე ხომ უკვე მყავს ინგრიდი, რა მენაღვლება, დოროთი ვისთვისაც გინდა, იმისთვის დამილოცნია.

— ასე ამბობს, კაცებს ვერ ვიტანო. ვითომ, ყველა ამ სისულელეზე მაღლა ვდგავარო.

— არავის არ უთხოვნია შემხვდიო?

— არა მგონია.

—ჰოო. მძიმე შემთხვევაა.

— რა უშნოა, არა? არა, მართალი მითხარი, ხომ ძალიან უშნოა? ხომ სრულებით არ გიზიდავს?

— სამაგიეროდ, შენ მიზიდავ. — ვეუბნები და თან ვფიქრობ, დროა ხელახლა ჩავეხვიო-მეთქი: ისევ ვკოცნით ერთმანეთს. ახლა კი ნამდვილად, ნელა, ასე მგონია, სადაც არის დავდნები და ინგრიდის სიყვარულში სული ამომხდება. აღარა ვკოცნი, მაგრამ ისევ გულში მყავს ჩაკრული და ნელა, ნაზად ვუსვამ ხელს შუბლზე, ლოყაზე, მერე კი ისევ ვკოცნი. ინგრიდი ენის წვერს მილამუნებს, საშინლად ვღელდები და მაგრად, მაგრად ვიკრავ გულში, მაგრამ ამაზე მაგრად ჩახუტება აღარ შეიძლება. თავში ათასი აზრი მიტრიალებს. თუკი ასე მეალერსება, ესე იგი, ნებას მაძლევს უფრო შორს წავიდე; მაგრამ ვაითუ ასე არ არის? ასეთი სიამტკბილობის შემდეგ ჩემი საქციელით რომ შეურაცხყოფა მივაყენო, ალბათ თავს მოვიკლავ. ვკოცნით და ვკოცნით ერთმანეთს. ინგრიდის ენის მოკარებაზე ტანში ჟრუანტელი მივლის. ახლა კი დარწმუნებული ვარ, მართლაც ნებას მაძლევს უფრო თამამად მოვექცე. თუ არა და იტყვის, მხდალი ყოფილაო. პალტოს ქვეშ ხელს ვუყოფ, ინგრიდი ცოტას იხრება, რომ ხელი არ შემიშალოს. ერთი წამიც და ხელი უკვე კოფთის ქვეშა მაქვს, მაგრამ აქ კი უკაცრავად... შიგ ისეთი აკაზმულობაა, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ინგრიდი რაღაცას მეუბნება, ცოტა უკან იწევს და თვითონ იყოფს ხელს კოფთის ქვეშ, მერე ისევ მეკვრის და ამბობს, ახლა კი შეგიძლიაო. ხელი ისევ ინგრიდის უბეში მაქვს, ვგრძნობ მის მკვრივ მკერდსა და ამობურცულ ძუძუსთავებს. სიყვარულისაგან ლამის მთლად დავიღვენთო.

— ღმერთო ჩემო,— ვეჩურჩულები, — სიგიჟემდე მიყვარხარ, ინგრიდ!

ინგრიდს თითები ჩემს თმებში შეუყვია და მეალერსება.

— ვიკ, ოჰ, ვიკ! — ჩურჩულებს გაუთავებლად.

სწორედ ამისთვის ვყოფილვარ დაბადებული, აი, თურმე მთელი სიცოცხლე ვის ველოდებოდი. ხელს ცოტა ქვემოთ ვაცურებ.

ჩემ შეხებაზე თრთის და მოთენთილი ჩემს მკლავებშია მისვენებული.

არასოდეს არ მეგონა, თუ ასეთი სიყვარული შეიძლებოდა. მხოლოდ ოცნებაში თუ იქნება-მეთქი.

ეტყობა, ინგრიდი რაღაცაზე ფიქრობს, მერე უცებ მეკითხება:

— ვიკ... ძალიან ქარაფშუტა და ადვილად ხელმისაწვდომი ხომ არ გგონივარ?

— რად უნდა მეგონო?

— აი... აი, ახლა რაც მოხდა, იმის გამო.

— ეგ არასოდეს იფიქრო, — ვეუბნები. — არასოდეს, — მერე ისევ ვკოცნი სახეზე, ვკოცნი ყველგან, მინდა იგრძნოს, რომ მადლობელი ვარ, და ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი ამ საღამოს შემდეგ.

შინ რომ შევდივარ, უკვე გვიანაა. ჩემი ბებერი დედიკო ჯერ არ დაწოლილა, მიცდის. ცეცხლისთვის ზურგი მიუშვერია და მაღვიძარას მართავს. ჩემი ბებერი მამიკო, ალბათ, უკვე დაწვა.

— ძალიან კარგად კი მოიქეცი, აი... — შეუბნება დედაჩემი, მე კი ვდგავარ და სინათლეზე თვალებს ვჭუტავ.

— რატომ მეუბნები?

— ჩაიზე დაგპატიჟეს, შენ კი ადექი და გაიპარე. დევიდი რას იფიქრებდა?

— რაო, რამე თქვა თუ?

— რას იტყოდა, ხომ იცი, როგორი ზრდილობიანია. არ გაწყენდა, ცოტა რამ მისგან გესწავლა.

— მე ქრისსა ვთხოვე, მითხრა კარგი, წადიო.

— ჩვენი ქრისტინა მუდამ ხელს გაფარებს. ანდა, აბა, სხვას რას გეტყოდა? ძალით ხომ არ დაგიჭერდა, თუკი უთხარი წასასვლელი ვარო.

რბილ სკამზე ვჯდები და ფეხსაცმელების თასმების შეხსნას ვიწყებ. ვატყობ, სახეზე სიწითლე შემომეპარა. პირი მაგრადა მაქვს მოკუმული. არ მინდა ვინმემ დღევანდელი საღამო ჩამიმწაროს.

— უნდა გრცხვენოდეს, — მეუბნება ჩემი ბებერი დედიკო.

— კარგი ერთი, რა მოხდა? ბოლოს და ბოლოს ჩემ დასთან ვიყავი დაპატიჟებული ჩაიზე, ბუკინგემის სასახლეში ხომ არა. ჩაიზე ვიყავი მიწვეული, ვახშამდე ხომ არ დავრჩებოდი?

ჩემი ბებერი დედიკო ბუხრის თავიდან ფინჯანს იღებს და დარჩენილ ჩაის წრუპავს.

— როცა ჩაიზე გპატიჟებენ, როგორც კი სუფრიდან წამოდგები, მაშინვე კი არ უნდა გაიპარო.

— შენ რომ არ გააზვიადო, ისე ხომ არ შეიძლება. ასეა თუ ისე, ქრისს ყველაფერი ავუხსენი და მითხრა, კარგი, წადიო.

— რა აუხსენი? ისიც კი არ ვიცი, რა საქმე გქონდა იმისთანა გადაუდებელი, რომ წაუსვლელობა არ შეიძლებოდა.

ფეხზე ვდგები, დედაჩემისკენ ზურგით ვტრიალდები და სკამის უკან ფოსტლების ძებნას ვიწყებ.

— პაემანი მქონდა.

— გოგოსთან?

— დიახ!

— კი მაგრამ, თითქმის ორი კვირის წინ უკვე იცოდი, რომ ქრისტინასთან ვიყავით დაპატიჟებული.

— წუხელ უნდა შევხვედროდი, მაგრამ პატარა გაუგებრობა მოხდა და იძულებული ვიყავით დღეისთვის გადმოგვედო.

— აკი წუხელ მეგობართან ერთად ვიყავიო.

— ჰო, ვიყავი. ხომ გითხარი, გაუგებრობა მოხდა-მეთქი.

— ვერაფერი გავიგე. რაღაც აბდა-უბდას მეუბნები.

ვგრძნობ, რომ ვბრაზდები, იმიტომ რომ ვიცი, ყველაფერს ჩამამწარებს. უკვე წარმომიდგენია, რომ გაიგოს დღეს პარკში რაც მოხდა, როგორ ლაფში ამოსვრის და წაბილწავს ყველაფერს, სინამდვილეში კი სულაც არ იყო ასე. ფოსტლებს ვიცვამ და ისევ ძირს ვიყურები, მაგრამ ვგრძნობ, რომ დედაჩემი თვალს არ მაშორებს.

— იმ გოგოს ვიცნობ?

— არა.

ცოტა ხანს ჩუმად არის, მერე რაღაცნაირი, სასაცილო წვრილი ხმით მეუბნება:

— იმედი მაქვს, თავის დროზე თვითონ მეტყვი იმას, რაც წესით, უნდა ვიცოდე.

— ვახშმად რა გვაქვს?

— საპურეში ბატონია, თუ გინდა კაკაო მოიდუღე.

— რძე არის?

— საკმაოდ.

— მაშინ ერთ ჭიქა რძეს დავლევ.

— ოღონდ მე და მამაშენს საუზმისათვის დაგვიტოვე, — კარებისაკენ მიდის და თან მაღვიძარა მიაქვს. საათი სიჩუმეში ისე წიკწიკებს, როგორც მეტრონომი. — მალე დაწექი და სინათლე ანთებული არ დაგრჩეს.

სამზარეულოში შევდივარ, ბატონს ვიღებ, შუაზე ვჭრი და კარაქს

სქლად ვუსვამ. ნეტავ, ჩემი ბებერი დედიკო რატომ არ ჩამაციცდა და ყველაფერი დაწვრილებით არ გამომკითხა. იქნებ გულის სიღრმეში გაეხარდა კიდეც, რომ გოგოსთან ვიყავი.

ბატონს და რძეს ვიღებ, სასტუმრო ოთახში ვბრუნდები და ბუხრის წინ ვჯდები. უბედურება იმაშია, რომ მე თვითონ, სადღაც ღრმად, შიგნით, ყველაფერი ჭუჭყიანი და ბინძური მეჩვენება: ალბათ იმიტომ, რომ ამაზე არასოდეს ლაპარაკობენ; უბრალოდ ასეა დაწესებული, იმისათვის, რომ ადამიანები გამრავლდნენ, არ ამოწყდნენ და ამიტომ იმათ, ვინც ამას მხოლოდ სიამოვნებისათვის სჩადის, ლოთებთან და აზარტულ მოთამაშეებთან ერთად ერთ ტაფაში აქცევენ. ჩემდა უნებურად ასეთი აზრები მიტრიალებს თავში, თუმცა ვიცი, რომ მთლად ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში, არც ქრისსა და დევიდს შორის და არც მე და ინგრიდს შორის.

## თავი მეექვსე

### I

მეორე დილას ჰესოპი უკვე სამსახურშია, ცოტა იმაზე ადრე. ვიდრე ვვარაუდობდით და გაცილებით ადრე, ვიდრე გვსურდა.

— მეგონა, ერთი კვირა კიდევ ვიქნებოდით მშვიდად. — ამბობს ჯიმი, როცა ჩვენი ბოსი კაბინეტში შედის და კარებს იხურავს. — მაგის დის სიტყვები განა ამას არ ნიშნავდა?

— ალბათ, ყველაფერი კონვერტში იყო. — ვეუბნები ღიმილით.

რაში მეკითხება ჰესოპი დაბრუნდა თუ არა? ბედნიერი ვარ და მთავარი მხოლოდ ეს არის. ჩვენი ჰესოპი კი არც ისე ცუდი ვინმეა, თავისი საქმე კარგად იცის და თუ ხანდახან აურევს ხოლმე, რას იზამ? ასეთია ბოსების ბუნება. მაგას თავისი უბედურება სჭირს... ის თავისი დაიკო... ამისთანა შექანებულ დედაბერთან ერთ ჭერქვეშ რომ ვცხოვრობდე, ალბათ ხანდახან მეც ვიქნებოდი ხოლმე გააავებული. მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ბედნიერი ვარ. მართალია, ამ დილით ინგრიდთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე, მაგრამ როცა ჩემს წინ, ბუფეტში, მის ფეხებს მოვკარი თვალი, მთელი წუხანდელი საღამო თვალწინ დამიდგა და ვიფიქრე, ეს რა ბედნიერზე ბედნიერი კაცი ვარ-მეთქი. თანაც ჩემს გარშემო ყველა მომწონს. ამ ჩვენ თავხედ კონროისაც კი

აღმოვუჩინე ზოგ-ზოგი კარგი თვისება. ყოველ შემთხვევაში, სადილ-ბამდე მაინც ასეა.

მერე კი ისე ხდება, რომ ჩვენ, ასე, ათიოდე ბიჭი, ნახაზების შესანახ კარადასთან ვდგავართ და ზარის მოლოდინში ვმუსაიფობთ. ვიღაცა კონროის სახელს ახსენებს. უცებ კარი იღება და თვითონ კონროი შემოდის. თავის სახელის გაგონებაზე ჩერდება.

— რომელმა ახსენეთ ჩემი სახელი?

მე არ მიხსენებია, მაგრამ უცებ ენაზე, ისე, დაუფიქრებლად, ისეთი მოსწრებული პასუხი მადგება, რომ მენანება არ ვთქვა.

— მე გახსენე. ბიჭებს ვეუბნებოდი ღორი ვიყიდე და არ ვიცი რა დავარქვა-მეთქი.

ვიღაცა ჩემს უკან სიცილისაგან ბჟირდება. ყველას, კონროის გარდა, სახეზე ღიმილი უთამაშებს. ერთ წამს გაშეშებული მომჩერებია, თითქოს ზედმეტმა სიბრაზემ ხელ-ფეხი შეუბორკაო.

— უჰ, შენი... შე წვინტლიანო ლაწირაკო... — ხელებს განზე სწევს. ბიჭებს აქეთ-იქით ყრის და ჯიქურ ჩემსკენ მოიწევს. ფეხს არ ვიცვლი. ჩხუბის წამოწყება სულაც არ მინდოდა, ყოველ შემთხვევაში დღეს მშვენიერ გუნებაზე ვიყავი. მაგრამ, სულერთია, ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო. გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ერთი სული მაქვს გავიქცე, მაგრამ ამოდენა ხალხის წინ ამას როგორ ჩავიდენ?

ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ მომიახლოვდეს და ახლო მანძილიდან ვეჩხუბო. ამიტომ კონროის პირველ დარტყმას თავს ვარიდებ, ძირს ვიხრები და ხელებს წელზე ვხვევ. ლინოლეუმით დაფარული იატაკი ელვის სისწრაფით მიახლოვდება. ძირს ვეცემი და კონროისაც თან ვიყოლიებ. იატაკზე ვგორავთ და ნახაზების შესანახ კარადებს ვეხლებით. ერთი კარადის უჯრის სახელურს ყურით ვედები და სიმწრისაგან ლამის ვიყვირო. კონროი კი, რომელიც ცდილობს, ხელიდან გამიძვრეს და ერთი გულიანად მიმბეგვოს, გამეტებით მირტყამს თავში. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ტკივილისაგან მზადა ვარ ვიტირო. მეშინია, მართლაც არ ავღრიალდე ყველას თვალწინ. ცოტა განზე მივჩოჩავ და თავს უკან ვწევ, რომ კონროის დარტყმები როგორმე ავიცილო; სწორედ ამ დროს ზედ ცხვირწინ კონროის მსუქან ბარძაყს ვხედავ. რომელსაც შარვლის ტოტი მჭიდროდ შემოტმასნია. არ ვიცი, ჩხუბის კანონებით ნებადართულია თუ არა, მაგრამ კბილებს ვავლებ და რაც ძალა და ღონე მაქვს, ვკბენ.

ახლა კი გადავრჩი. კონროი ყვირის, ფეხზე დგება და განზე გარბის, მერე მუხლებზე ეცემა და ლაჯებშუა ორივე ხელს იკიდებს.

— ვაიმე, ეს რა მიყო, ვაიმე, რაღა მეშველება. ვაიმე...

ჩემს გარდა ყველა სიცილით კვდება. კონროის თვალს არ ვაშორებ, მეშინია, მართლა ხომ არაფერი დავმართე-მეთქი. მანდ კბენა სულაც არ მინდოდა, მაგრამ ალბათ უცებ შემოტრიალდა.

კარი იღება და ჰესოპი შემოდის. მაგრამ დაჩოქილ და მგმინავ კონროის დანახვაზე, რომელსაც ხელები მუცლის ქვემოთ მიუჭერია, ეცებ ჩერდება. მე ფეხზე ვდგები, დანარჩენები კი ისევ სიცილით იქაჭებიან. მაგრამ ჰესოპის დანახვაზე ყველა უცებ ჩერდება. ჰესოპი კი ისევ კონროის მისჩერებია. კონროი ზუსტად ჰესოპის ფეხებთანაა ჩაჩოქილი, გეგონება რამეს ეეედრებაო.

— რა ხდება? — კითხულობს ჰესოპი. კონროი უყურებს, მერე განზე იხედება და ხმას არ იღებს.

— რაო, ჩხუბობდით, ბრაუნ? — მეკითხება ჰესოპი.

— ისე, ცოტა წავიძიძგილავეთ, მისტერ ჰესოპ. — ხელით კოსტუმს ვისუფთავებ, თან ჰესოპს თვალს არ ვაშორებ. იგი მთლად გაფითრებულია, ხმას არ იღებს, გეგონება ფიქრობს, რა სიტყვებით გამოვთათხოო. მაგრამ კრინტს არა ძრავს. ცოტა ხანს სახის კუნთი ნერვიულად უთრთის, მერე კი ამბობს:

— აქ არც ჩხუბის ადგილია და არც დრო. მიდით. იმუშავეთ, და მეორედ ასეთი რამ აღარ გაბედოთ.

ჰესოპი კაბინეტში შედის, კონროი ფეხზე დგება, თავისი მაგიდისაკენ მიდის, და ხელებში თავჩარგული ჯდება. ცოტა ხანს ვუყურებ, მერე კი მივდივარ და ვეკითხები:

— ხომ არაფერი დაგიზიანე, კონროი?

— თავიდან მომწყდი. — მიღრენს ისე, რომ სახეში არც კი მიყურებს.

ჩემი მაგიდისაკენ მივდივარ და მუშაობას ვიწყებ. მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და დროდადრო კონროისაკენ თვალს ვაპარებ. ცოტა არ იყოს, გული მეთანაღრება, მართლა ხომ არაფერი დავუზიანე-მეთქი. მარჯვენა ყური კი მთელი დღე მაწუხებს.

თურმე ძალიან ვცდებოდით, როცა გვეგონა, რომ ყველაფერი ამით დამთავრდა. მეორე დილით ჰესოპი მიდის კონროის დაფასთან და ეუბნება:

— მისტერ ოლთორპს თქვენი ნახვა უნდა, კონროი, თქვენიც, ბრაუნ.

კონროი დიდ თავს სწევს და ჰესოპს კარგა ხანს უყურებს თვალებში, მერე ტაბურეტიდან ჩამოდის და კარებისაკენ მიემართება. მეც უკან მივყვები.

— ხომ ხვდები საქმე რაშია, — მეუბნება, როცა უკვე დერეფანში გავდივართ. — ჩვენმა ჰესოპმა მიუტარტალა ენა, იმის თავი არა აქვს, რომ თვითონ შეგვახუროს და ოლთორპთან ჩივის, ეს უსიამოვნო საქმე იმას უნდა გააკეთებინოს.

— რა ვუთხრათ? — ვეკითხები. — იქნებ რამე მოვიგონოთ და თავი დავიძვრინოთ.

— მაგაზე ტყუილად თავს ნუ იცხელებ, ძმაო, ოლთორპს კარგად ვიცნობ, პირის გაღების საშუალებასაც არ მოგცემს.

ოლთორპის კაბინეტის მძიმე, ლაქით გაპრიალებულ კარებთან ვჩერდებით, რომელსაც მოოქრული ასოებით „მთავარი ინჟინერი" აწერია.

— აი, ამ ზღურბლის მიღმა მეფობს ის, ვისაც წელიწადში ორი ათასი გირვანქა შემოსავალი აქვს.

კონროი აკაკუნებს და ყურს კარებზე ადებს. დერეფანში ვილაც მემანქანე მოდის და თავიდან ფეხებამდე გვათვალიერებს.

თვალს ვუკრავ, თუმცა თვალის ჩაკვრის გუნებაზე სულაც არა ვარ. კაბინეტიდან ძახილი გვესმის, კონროი კარის სახელურს ატრიალებს და ორივენი შევდივართ.

მისტერ ოლთორპი კარგად მოყვანილი ვაჟკაცია. შევერცხლილი თმები ფანჯრიდან შემოსულ სინათლეზე უბრწყინავს. იგი წერილის კარნახს ამთავრებს, და სტენოგრაფისტ ქალს უშვებს, ისიც ილებს თავის ბლოკნოტსა და ფანქრებს და გვერდით ოთახში გადის. მისტერ ოლთორპი „პლეიერის" კოლოფიდან, რომელიც მაგიდაზე უდევს, ერთ სიგარეტს ილებს და უკიდებს. ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათია, მაგრამ მისი საფერფლე უკვე თითქმის სავსეა პაპიროსის ნამწვითა და ასანთის ღერებით.

ხელით გვანიშნებს უფრო ახლოს მოდითო, მერე თავის მძიმე სათვალეს იხსნის და საწერ მაგიდაზე დებს: ისეთი დაჟინებით გვიყურებს, ვგრძნობ, გამბედაობის ნატამალიც აღარ შრჩება.

— თქვენ, ყმაწვილებო, როგორც გადმომცეს, თურმე სამუშაოზე მუშტი-კრივი გაგიმართავთ, თურმე იატაკზე გორავდით და ერთმანეთს მუშტებს უშენდით.

არ ვიცი პასუხს ელის თუ არა, ამიტომ ჩუმადა ვარ და ვუცდი, კონროი რას იზამს.

კონროი კი ხმაგაკმენდილი დგას. მისტერ ოლთორპის ზურგსუკან ფანჯარაში ვიხედები და ვეუბნები კაშკაშა ყვითელ საბარგო მანქანას, რომელიც უკვე გადმოუტვირთავთ, და ამწეს, ისრები მაღლა რომ აუშვერია ეზოში თავდაყირა მოსიარულე ცირკის ჯამბაზივით.

— ასეთი რამ მეტი აღარ გავიგონო. გაიგეთ? — უცბად გვეუბნება მისტერ ოლთორპი და ისე მაგრად ურტყამს მაგიდას ხელს, რომ მოულოდნელობისაგან თითქმის ერთი ფუტის სიმაღლეზე ვხტები. — თუ რამე გაქვთ გამოსარკვევი, გარეთ გამოარკვიეთ. აქ კი ამის უფლებას არ მოგცემთ. აქ იმიტომ მოდიხართ, რომ იმუშაოთ და საქმე გააკეთოთ. ფულს მაგაში გაძლევენ; თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და სხვა ადგილი იშოვოთ. იმის ნებას არ მოგცემთ. ეს დაწესებულება მაიმუნების საშენს დაამსგავსოთ. ჩემს ყმაწვილობაში რომ ეს ჩამედინა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გარეთ მიმბარძანებდნენ. მაგრამ მაშინ სამუშაოს ვუფრთხილდებოდით, ასე იოლად არ იშოვებოდა.

ახლა მისტერ ოლთორპის ჰალსტუხს მივჩერებივარ, კოხტად გამოკვანძულ ცისფერ, თეთრწინწკლებიან ჰალსტუხს, ნეტავი ოდესმე თუ მეღირსება ასეთი დიდი საწერი მაგიდის უკან ჯდომა და ორი ათასი გირვანქის აღება წელიწადში; ნეტავ მეც თუ ოდესმე ასე გამოვიძახებ ორ ყმაწვილს და კარგად შევახურებ. მერე, რომ გამოვედი, მივხედი, რომ იმ წუთებში სულაც არ ვნაღვლობდი სამსახურის დაკარგვას.

— თქვენ კი საკმაოდ მოზრდილები ხართ და დროა იცოდეთ, როგორ მოიქცეთ. — ახლა კონროის ეუბნება ოლთორპი. — ამაზე ლაპარაკი თქვენთან არ უნდა მჭირდებოდეს. თქვენ, უფროსებმა, მაგალითი უნდა მისცეთ ისეთებს, როგორიც ბრაუნია. თქვენი მუშაობის შესახებ არაფერი მეთქმის, კონროი, საინჟინრო საქმე კარგად გესმით და თქვენზე ყოველთვის დიდ იმედებს ვამყარებდით. უკვე დროა, რომ ასაკის შესაფერისად მოიქცეთ.

მერე მე მიყურებს. ისე ჩომჩერებია, ჩემი თავი მუყაოზე ქინძისთავით დამაგრებული პეპელა მგონია.

— თქვენზე კი ამას ვერ ვიტყვი, ბრაუნ. ამ ბოლო ხანებში მისტერ ჰესოპი თქვენი მუშაობით კმაყოფილი არ არის. როდესაც ჩვენთან პირველად დაიწყეთ მუშაობა, თქვენზეც დიდ იმედებს ვამყარებდით, ამ ბოლო ხანებში კი ამას ვერ ვიტყვით. რაშია საქმე? ალბათ მუშაობისას ნახაზების მაგივრად, გოგოებზე ფიქრითა ხართ გართული.

ვწითლდები და პირს ვაღებ, ალბათ უნდა პასუხი გავცე-მეთქი. მაგრამ ოლთორპი ლაპარაკს აგრძელებს და პირს უცებ ისევ ვკუმავ.

— თავში აზრები ცოტა დაილაგეთ და თუ გინდათ ჩვენთან დარჩეთ, სამუშაოზე იფიქრეთ. — მერე სათვალეს იღებს და ისევ იკეთებს. — არ ვიცი რაზე ძიძგილაობდით და არც მინდა ვიცოდე. მაგრამ ასეთი რამ აღარ გავიგონო.

თავისი ქაღალდების თვალიერებას იწყებს და ვხვდები, რომ რაც სათქმელი ჰქონდა, უკვე გვითხრა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ვფიქრობ ეს რა ადვილად გადავრჩით-მეთქი და კაბინეტიდან გასვლას ვაპირებ, ეს ჩვენი კონროი, რომელსაც აქამდე კრინტი არ დაუძრავს, უცბათ ისეთ რამეს ამბობს, რომ თმა ყალყზე მიდგება, მისტერ ოლთორპი კი სათვალეს ისევ იხსნის.

— რა თქვით?

— რა და არ მესმის ასეთ უბრალო რამეზე ამდენი აურზაურის ატეხვა რა საჭირო იყო. ბიჭებმა ბიუროში რაღაც წავიკინკლავეთ; არ შეიძლებოდა იქვე, ბიუროში მოგვეგვარებინა ეს ამბავი და თქვენამდე არ მოსულიყო?

გინდა ეს უთქვამს და გინდა ის, რომ ჰესოპი ენატანია და ჯაშუშიაო. მისტერ ოლთორპს სახეზე ალმური ედება, თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდეს, სათვალეს მაგიდაზე ახეთქებს, ფეხზე დგება და მაგიდას ხელებით აწვება.

— როგორ, კონროი, ხომ არ გინდათ მასწავლოთ ჩემს ხელქვეითებს როგორ მოვექცე?—მერე ისევ თავიდან იწყებს და ისევ იმას გვეუბნება, რაც აქამდე გვითხრა, ოღონდ ახლა ისეთი სიტყვებით ამკობს, რომ მირჩევნია მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს, ისე უხერხულად ვგრძნობ თავს. ისეთი უსიამოვნო გრძნობა მაქვს, გეგონება ოლთორპის მაგივრად ჩემი ბებერი მამიკო იდგეს და იგინებოდეს. იქნებ ჰგონია, ესენი სხვანაირ ენაზე ლაპარაკს ვერ გაიგებენო. მე რომ მკითხოთ, მისტერ ოლთორპის მდგომარეობაში მყოფ კაცს ასეთი სიტყვების ხმარება დიახაც რომ არ ეკადრება. ამის შემდეგ, ალბათ, ძველებური პატივისცემით ვეღარ მოვეკიდები. კონროისკენ ჩუმად თვალს ვაპარებ. დგას თავისთვის უხმოდ. პირი მაგრად მოუკუმავს, ეტყობა, ოლთორპის სიტყვებს აინუნშიაც არ აგდებს. — ახლა აქედან დამეკარგეთ. — ამბობს ოლთორპი. — ორივენი. — მერე სავარძელში ეშვება და ისევ სათვალეს იღებს.

დერეფანში გამოვდივართ თუ არა, კონროიც იწყებს გინებას. ისეა გაცეცხლებული, ლამის კედელზე ავიდეს. მე თავიდან ფეხებამდე ვცახცახებ და გული გამალებით მიცემს.

— ღმერთო დიდებულო, დედის გინება რომ დაგვიწყო, მიწა გამხეთქოდა, მერჩივნა.

— ისე, არაფერი ეშლება, მთელი ლექსიკონი ხუთი თითივით იცის, არა? ერთი კარგი მაინც აქვს: არც იმისი ეშინია, რასაც ფიქრობს ის გითხრას და არც იმისი, რომ კარგად გლანძღოს და გაგინოს. — ამბობს კონროი.

— მე რომ მკითხო, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე გაგაღიზიანე.

— შენი კი არა, ჰესოპის ბრალია. უჰ, ერთი იმისი ყვითელი კბილები ჩამალეწინა. ენატანია... გველი.

კონროის ვუყურებ. აი, ამას კი არ ვიფიქრებდი — მგონი მომწონს კიდეც. არასოდეს დამავიწყდება ოლთორპთან თავი როგორ ეჭირა.

— ძალიან ვნანობ, რომ გიკბინე, კონროი, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ძალიან მწარედ მირტყამდი.

— კარგი, მაგაზე ლაპარაკს მოვრჩეთ. — ბურტყუნებს კონროი. — უბრალოდ, პირველად მომეჩვენა, რომ სამუდამოდ დავიღუპე. ყოველ შემთხვევაში ახლა ბარიბარში ვართ. თავიდან ხომ მე გაგაბრაზე, იმ გოგოზე რომ გელაპარაკებოდი... მაგრამ მალე ჩემ სიფათს აქ ვეღარ დაინახავ. სრულებით არ მინდა ასეთი ლანძღვა-გინება კიდევ მოვისმინო. უკანასკნელი ადამიანი ვიყო, თუ აქ დავრჩე, არავის არ მივცემ ნებას, როგორც შავ მუშას, ისე მომექცეს.

კარებს ხელისკვრით ყურთამდე აღებს, ზამბარა კარს მაშინვე უკან აბრუნებს და დროზე ხელი რომ არ შევაშველო, ცხვირ-პირს ჩამილეწავს. კონროი მაგიდებს შორის გასასვლელში მიდის და უიმპერის დაფასთან ჩერდება. მისტერ უიმპერი ერთი შუახნის, კაფანდარა კაცია. ერთი იმათთაგანი, დღე და ღამე რომ თავაუღებლივ მუშაობს და ხელფასის მიღებას გულისფანცქალით ელის.

— „მანჩესტერ გარდიანი“ სად გვაქვს? — ამბობს კონროი ისე, რომ ყველამ გაიგონოს.

— ნუ გეშინია, სადილის დროს მოგცემ. — ამბობს უიმპერი და თავზე წამომდგარ კონროის დამფრთხალი შესცქერის.

— რა თავში ვიხლი სადილობას... ახლა მჭირდება.

უიმპერი მხრებს იჩეჩავს:

— თუკი ასე დაგიჩემებია... — ხელმარცხნივ უჯრას აღებს და კონროის არც უყურებს ისე განაგრძობს მუშაობას.

თითქმის ნახევარი ბიურო კონროის უყურებს. იგი გაზეთს იღებს და თავისი დაფისაკენ მიდის, გაზეთს შლის და ისევ ფურცლავს, გეგონება საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში იყოს. როცა იმ

გვერდს აღწევს, სადაც სამუშაოს შესახებ განცხადებებია დაბეჭდილი, ჩერდება და კითხვას იწყებს, ყველა სვეტს სათითაოდ თითს აყოლებს.

ეტყობა ჰესოპი გრძნობს, რომ ბიუროში რაღაც ხდება და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩუმად გამოდის თავისი პატარა კაბინეტიდან და კონროისაკენ უხმაუროდ მიეშართება. კონროი კი ყურსაც არ იბერტყავს.

— რაო, კონროი, გაზეთები აუცილებლად სამუშაო საათებში უნდა იკითხოთ? — ეკითხება ჰესოპი რაც შეიძლება გესლიანად. კონროი კი ისე განაგრძობს კითხვას, თითქოს არც იცოდეს, ჰესოპი რომ თავზე ადგას.

— თქვენ გელაპარაკებით, კონროი. — ცოტა არ იყოს გაგულისებული ამბობს ჰესოპი.

კონროი თავს აბრუნებს და ჰესოპს შესცქერის.

— სამუშაოს ვეძებ. თუ ამ გაზეთში ვერ ვიპოვე, მაშინ „იორკშირ პოსტს“ გადავხედავ, ყველა გაზეთს დავათვალიერებ. — კონროის სიბრაზე ეკიდება: — აქაურობა ყელში ამომივიდა, ჰესოპ, და მივდივარ. მე იმ დამფრთხალ მხაზველებში კი არ შეგეშალოთ, დღე და ღამეს რომ ასწორებენ და უფროსის ხმის გაგონებაზე წელში ცხრად იკაკვებიან. რაც უნდა იყოს, ჩემი ტვინი ჯერჯერობით კარგად მუშაობს, წავალ და სხვაგან გამოვიყენებ. არა მგონია, ბევრი ძებნა დამჭირდეს. რამდენიც გინდა იმდენ ფირმას ენატრება ცოტა საზრიანი ბიჭები. ფულსაც ათასჯერ მეტს იძლევიან, ვიდრე ამ თქვენ ბიუროში, თანაც აქ ცხრა პირ ტყავს გვაძრობთ.

რაც მართალი, მართალია. აი, ახლა კი ყველაფერი უთხრა. ყველანი ყურებდაცქვეტილი უსმენენ, არც ერთი სიტყვა არ უნდათ გამოეპაროთ, ელოდებიან, რა მოხდება. ეს კონროი ვინ ყოფილა... ერთი თუ გაიწია, მერე ვეღარ გაიჩერებ. ჰესოპს სახეზე მიტკლისფერი ედება, ტუჩები კი უცახცახებს; ასე მოსდის ხოლმე, როცა ბრაზდება.

— თუ ასე მოიქცევი, უფრო ადრე მოგიხდება სამუშაოს ძებნა, ვიდრე შენა გგონია, კონროი.

— თუ გინდათ, გამაგდეთ. — ამბობს კონროი. — ნუ გეშინიათ, ძალიან არ მეწყინება.

ჰესოპს შუბლზე ძარღვი ებერება, გვგონია, საცაა ეტყვის კონროის, აქედან აიბარგეო. მაგრამ ჰესოპს ამდენი ვაჟკაცობა ვინ მისცა, რომ მთელი ბიუროს წინაშე ეს გაბედოს? იქვე დგას, გაჩუმებული, თანაც უფრო მეტხანს. ვიდრე საჭიროა. მერე მოგუდული ხმით ამბობს:

— მე გაგაფრთხილეთ, კონროი. ახლა თქვენ იცით. — მერე ტრიალდება და თავისი კაბინეტისაკენ მიდის.

ვიდრე ჰესოპი კარს არ ხურავს, კონროი თვალს არ აშორებს. მერე ისევ კითხვას განაგრძობს, თითის წვერს ენაზე ისველებს და გაზეთებს ფურცლავს.

II

ერთ საღამოს შინ მივდივარ და ვხედავ, მამაჩემი ზემოთ, თავის ოთახში ასულა და ვარჯიშობს. რაც მართალი, მართალია, მშვენივრად უკრავს ტრომბონზე, თავის დროზე ბევრ სახელგანთქმულ ორკესტრში იწვევდნენ, მაგრამ ყველას უარი უთხრა. ორკშირში იმიტომ არ წავიდა, მაღაროები ძალიან ღრმადაა და სული შემეხუთებაო. სხვაგან სულ უნდა აეღო ხელი მაღაროში მუშაობაზე და ქარხანაში შავ მუშად ემუშავა, თანაც ხელფასი ძალიან ცოტა ექნებოდა. ასე რომ სულ მუდამ კრესლის ორკესტრში უკრავდა. ამ ორკესტრის სახელი, რასაკვირველია, მთელ ინგლისში არა ქუხს, მაგრამ მეორეხარისხოვანი ორკესტრის კვალობაზე საკმაოდ კარგია. თვითონ მე არაფერზე ვუკრავ, მაგრამ სასულე ორკესტრები კი მიყვარს, განსაკუთრებით როცა მარშით მიდიან ხოლმე და წინ ამაყად თავაწეული მამაჩემი მიუძღვით. მთელი ორკესტრის ფონზე მარტო იმისი ტრომბონის ხმა მესმის.

ჩაის რომ შევექცევი, მამაჩემი მაშინ ჩამოდის. ბუხართან მიდის და თაროდან ღია ბარათს იღებს.

— ხომ არ დაგვიწყნია, ვიკ?

ეს უწყებაა. შაირგროვროუდზე რომ სკოლაა, იქ დონორებს იწვევენ. მამაჩემმაც მიიღო ასეთი ღია ბარათი; ჩვენ, როგორც წესი, ერთად დავდივართ ხოლმე.

— დამავიწყდა, მაგრამ არა უშავს. — ვეუბნები. — სულერთია, არაფერი გადაუდებელი საქმე არა მაქვს.

— ამ შუა ზამთარში სისხლის მიცემა გაგონილა? — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო. — ნუთუ არ გესმით, რომ დაგასუსტებთ და მერე ვერც სურდოს და ვერც სხვა ავადმყოფობას ვეღარ მოერევით.

— კარგი, ჰო, გეყოფა. — ვეუბნები.

— მე კი მგონია, სასარგებლოც არის. — ამბობს ჩვენი ჯიმი. — იყო დრო, როცა ყველაფერს სისხლის გამოშვებით მკურნალობდნენ.

ჩემ სწავლულ ძმას ვეჯღანები, დედაჩემი კი ეუბნება:

— ახლა ხომ აღარ მკურნალობენ? ესე იგი ისწავლეს და გაიგეს, რომ არ ეარგებულა.

ჩემი ბებერი მამიკო ბუხართან დგას და ფეხსაცმელებს იპრიალებს.

— ვერ გამიგია რა არის ამაში ცუდი. ჩვენ რაღაც ერთ წვეთ სისხლს გვიღებენ, მერე კი იმით ვიღაც გაჭირვებულს სააქაოს აბრუნებენ.

— ჰო, კარგი. კარგი. — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო. — ყველამ ერთმანეთს რაღაცით უნდა ვუშველოთ, თორემ ეს ქვეყანა უკუღმა დატრიალდება. მე კი, ვიქტორ, შენს ადგილას რომ ვიყო, ზამთრობით ლუდის საფუარსა და თევზის ქონს დავლევდი, ძალიან მოგიხდებოდა.

ისევ ვიღრიჯები. ერთი საუკუნეა ლუდის საფუარი და თევზის ქონი არ დამილევია.

— ჯიმმა სულ გამოსცალა. ხვალ აფთიაქში წავალ და ვიყიდი.

— მაშინ კაპსულებში იყიდე. პატარა ხომ აღარა ვარ, რომ კოვზით შევხვრიპო. — მერე ფინჯანს ვუწვდი და ვეუბნები: — ერთი წვეთი კიდევ დამისხი რა, თუ არის.

დედაჩემი ჩაიდანს იღებს და ჩაის მისხამს.

— გინდა დაბერდე, გინდა არა, რაც გჯრგებს, ყველაფერი უნდა მიიღო, მათ შორის დედაშენის დარიგებაც.

— ოჰო, ლექცია იწყება.

—ყურებს კარგად რომ ავიწეკ. ბერე მიხვდები როგორ უნდა დედის დაცინვა. ჭკვიანი კაცი კარგ რჩევას ყოველთვის იჯერებს.

სკამიდან ვხტები. ხელებს ვიწეკ და ელ ჯონსონივით ცეკვას ვიწყებ.

— ოჰ, დედილო... როგორ მიყვარხარ, როგორ მჭირდები, ჩემო საყვარელო ბებრუცუნა დედილო...

დედაჩემი ძალიან ცდილობს არ გაიღიმოს, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებს.

— წადი, მომშორდი, შე ჯამბაზო, შენა!

სკოლის შენობა გაჩახჩახებულია. სპორტულ მოედანს ვჭრით და შესასვლელისაკენ მივდივართ. კარებზე წარწერაა: „დონორებო, აქეთ მობრძანდით!“ გვერდით კი ისარია მიხატული. ერთ ყმაწვილსა და შუახნის დედაკაცს ხელში უწყებები დაუჭერიათ და გარეთ, კარების მარცხნივ იცდიან. კიდევ ორი-სამი კაცი იმ ოთახის კარებთან იცდის, სადაც სისხლს იღებენ. მე და მამაჩემი რიგში ვდგებით. ახლა სისხლის მიცემა სულაც არ მიძნელდება, ძალიან იოლი რამეა, აი, საავადმყოფოს სუნს კი ვერაფრით ვერ ვეგუები. არა და, როგორც კი სკოლაში სისხლის გადასხმის პუნქტს მოაწყობენ, თითქოს ეს სუნიც თან მოაქვთო. მამაჩემი ოთახში შედის, ერთი წუთის შემდეგ მეც შევდივარ, ახალგაზრდა

კაცის წინ ვჯდები, რომელიც უწყებას მართმევს. მერე სხვა ბარათს მაძლევენ, რომელშიაც წერია, რომ არასოდეს მქონია სიყვითლე, მალარია, კიბო, თირკმელების დაავადება და სხვა ათასი უბედურება. ამ ბარათს ხელი უნდა ვოვაწერო. თუკი აქ ჩამოთვლილი სნეულებებიდან რომელიმე გჭირდა, შენი სისხლი აღარ უნდათ. ყველა მისვლაზე ხელს გაწერინებენ. იქნებ წინა სისხლის აღების შემდეგ რომელიმე ეს სენი შეგეყარა. მერე ის ბიჭი ღია ბარათს მაძლევს და მეუბნება, თქვენი სახელი და მისამართი დააწერეთო. ერთ-ორ კვირაში ეს წერილი უკან მომივა, გამაგებინებენ ჩემი სისხლი რისთვის გამოიყენეს. ბოლოს ჩემ დონორის ბარათს მაძლევს და კიდევ სხვა ათასნაირ ქაღალდს. აქედან ლურჯხალათიან გოგოსთან მივდივარ. იგი ხელს ვკიდებს, თითს ნემსით მიჩხვლეტს, მერე ხელს მიჭერს, სისხლის წვეთებს მინის მილაკში უშვებს და რაღაც ქიმიურ პრეპარატს ურევს. მერე სხვა მინის მილაკიდან პირველ ფილაკში უბერავს და უყურებს სისხლი ფერს როგორ იცვლის. იგი ჩემი სისხლის ჯგუფს ადგენს და იმას ადარებს, რაც დონორის ბარათში მიწერია. გარეთ გავდივარ, ნაჩხვლეტ თითზე ბამბა მადევს. პიჯაკს კაუჭზე ვკიდებ და სხვებთან ერთად ჩემ რიგს ველოდები.

დიდ დარბაზში საგორავებიანი საწოლებია ჩამწკრივებული, მედდას ერთ-ერთ მათგანისაკენ მივუყავარ. საწოლზე პირაღმა ვწვები. მედდა ხელში რაღაც ჯაგრისისნაირ საგანს მაძლევს, ხელი ხან უნდა მოვუჭირო, ხან უნდა გავუშვა, ამასობაში მედდა იდაყვის ზემოთ რეზინის ლახტს მადებს და მიჭერს. რომ ვენა უკეთ ამოიბურცოს. ყველანი მზადა ვართ. ერთი წუთის შემდეგ ექიმი ქალი შემოდის, როგორც ყოველთვის ტკბილად მიღიმის და მეკითხება როგორა ხარო. კარგად ვარ-მეთქი, ვეუბნები. მერე ექიმი ვენაში ნემსს მირჭობს, მაგრამ ისე ფრთხილად, რომ მისი თითების შეხების გარდა თითქმის არაფერს ვგრძნობ. სახეზე მივჩერებივარ. მშვენიერი სუფთა, ახალგაზრდა სახე აქვს, არაფერი არ უსვია. ვფიქრობ, რა კარგი ქალია-მეთქი და მიკვირს, რომ გაუთხოვარია; დარწმუნებული ვარ, მშვენიერი ცოლი იქნებოდა.

— ასე კარგადა ხართ?

— მშვენივრად, გმადლობთ.

იგი ისევ მიღიმის და სხვა დონორისაკენ მიდის. ძალიან მინდა თვალები დავხუჭო, მაგრამ მეშინია არ ჩამეძინოს და თვალებდაჭყეტილი ჭერს მივჩერებივარ, დროდადრო მედდას გადავხედავ ხოლმე, თანაც ისე, ლამის თვალებით შევჭამო. იგი ჩემ საწოლთან თავისთვის, წყნარად ზის და ქსოვს. ამასობაში ჩემი სისხლი იატაკზე დადგმულ ბოთლ-

ში ჩადის. შენობა ძველია, რემონტი სჭირდება. რაც თავი მახსოვს, სულ გასარემონტებელია. ათი წლის წინ, სწორედ ამ დარბაზში, დაწყებითი სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩავაბარე და საშუალოში გადავედი. ათი წელი! ამბობენ, რაც ხანში შედიხარ დრო უფრო მალე გადისო, მაგრამ მეც კი უკვე შოსაგონებელი გამიხდა ათი წლის წინათ რაც იყო. ათი წლის შემდეგ კი... ნეტავ რა იქნება ათი წლის შემდეგ, ოცდაათისა რომ შევსრულდები. ალბათ ცოლი მეყოლება და შვილებიც. მაგრამ ვინ იქნება ჩემი ცოლი? ვინ იქნება ის გოგო? ერთი-ორი კვირის წინ ვიტყოდი ალბათ ინგრიდი-მეთქი, მაგრამ ახლა... უცნაურია, რატომ გამოვიდა ასე ინგრიდთან... ახლა კვირაში ორჯერ ან სამჯერ ვხვდები და ასე შგონია ყველაფერს, რაც მინდოდა და მენატრებოდა, უკვე მივაღწიე-მეთქი. თითქოს ასეა. მაგრამ რატომღაც, მეც არ ვიცი რატომ, ისე აღარა ვარ მოჯადოებული, როგორც პირველად, დასაწყისში რომ ვიყავი. თუმცა ახლაც ინგრიდის სიახლოვე ზოგჯერ ძალიან მაღელვებს. ყოველ შემთხვევაში, ცოლის შერთვაზე როცა ვფიქრობ, ინგრიდი აღარ მაგონდება. ასეა და რა ვქნა...

ოციოდე წუთში, ცოტა დასვენებისა და ფინჯანი ჩაის დალევის შემდეგ, მე და ჩემი ბებერი მამიკო ქუჩაში გამოვდივართ. ჩვენი ვალი მოვიხადეთ, ყველაფერი რიგზეა.

— პირდაპირ სახლში მიდიხარ? — მეკითხება მამაჩემი.

— ჰო, მგონი ამ საღამოს არაფერი საქმე არ უნდა მქონდეს.

დაღმართს მივყვებით და სამიკიტნო „ყურძნის მტევანს“ ვუახლოვდებით. ერთი მშვენიერი, მყუდრო სამიკიტნოა, კედელზე განცხადებაა გაკრული, რომელიც მომსვლელებს აუწყებს, სამიკიტნოში სიმღერა აკრძალულიაო.

გაოცებისაგან ლამის პირი დავაღო, როცა მამაჩემი ჩერდება და მეუბნება, თუ გინდა შევიდეთ და დავლიოთო.

ძალიან გაკვირვებული ვარ, იმიტომ, რომ თუმცა მამაჩემმა იცის, რომ სხვა ბიჭებივით ხანდახან ერთ-ორ ჭიქას მეც გადავკრავ ხოლმე, ასე სასმელად არასოდეს მივუპატიჟებივარ. მაშ უკვე კაცად მთვლის და ერთად დალევასაც მთავაზობს.

— ერთ-ორ ჭიქას სიამოვნებით გადავკრავდი, მამა.

— ცოტა ჯანზე ხომ უნდა მოვიდეთ, ჰა, რას იტყვი? — მეკითხება და ფანჯრიდან გამოსულ შუქზე ვხედავ, რომ ქვეშ-ქვეშ იღიმება.

— რასაკვირველია.

სამიკიტნოს პატრონი თურმე მამაჩემს იცნობს:

— საღამო მშვიდობისა, არტურ, როგორა ხარ?

— საღამო მშვიდობისა, ჯეკ. ისე, არა მიშავს, ბედს არ ვუჩივი. შენ როგორღა ხარ?

ჯეკი უპასუხებს, ბედს არც მე ვუჩივიო და გვეკითხება, რას დალევთო.

ჩემი ბებერი მამიკო მე მიცდის, მე კი მინდა ვაჩვენო, რომ სმაში ძალიან გაჩვეული არა ვარ და ვეუბნები, რაც შენ გინდა ის დავლიოთ-მეთქი.

მამაჩემი ნახევარ-ნახევარ პინტა შავ ლუდსა (ისე, მე მაგარი, ღია ფერის ლუდი მერჩივნა) და ერთ შეკვრა „პლეიერის" სიგარეტებს იღებს. იქვე, ცეცხლის ახლოს მაგიდასთან ვსხდებით. ჩვენს გარდა სა-ბიკიტნოში მარტო ორი ახალგაზრდაა, ბუხრის იქითა მხარეს სხედან და ფეხბურთზე ლაპარაკობენ.

მამაჩემი ჭიქას სწევს:

— გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

სვამს და ჭიქას მაგიდაზე დგამს, ხელებს მუხლებზე იწყობს და წელ-ში იმართება.

— რას იღრიჭები? — მეკითხება ერთი წუთის შემდეგ.

— ისე, არაფერია...

მაგრამ სიცილი თავისთავად მოდის, იმიტომ რომ ეს კიდევ ერთი საფეხურია ჩემ ცხოვრებაში, ისევე როგორც პირველი გრძელი შარვა-ლი და პირველი აშკარად შოწეული სიგარეტი. თითქოს მამაჩემმა აღი-არა, რომ ბავშვობას გადავაბიჯე და კაცობაში შევდგი ფეხი.

— ძალიან კარგი, მყუდრო ადგილია. — ამბობს მამაჩემი. — არა-სოდეს ხმაური და აყალმაყალი არ არის. ოდესმე ყოფილხარ აქ? — არა-მეთქი, ვეუბნები.

— მაგრამ ხანდახან ერთ-ორ ჭიქას ხომ გადაჰკრავ ხოლმე?

— ჰო, ზოგჯერ თითო ჭიქის დალევაზე უარს არ ვამბობ.

მამაჩემი თავს მიქნევს.

— არაფერი არ უშავს ყმაწვილმა თუ ზოგჯერ თითო ჭიქა დალია, მხოლოდ ეგ არის, ზომაზე არ უნდა გადავიდეს. ზოგი დალევს რვა-ცხრა ჭიქას და მერე სხვებს ლამის საკინძე ჩამოახიოს.

— ეგ ხომ სისულელეა.

— სისულელეა, მაგრამ ეგეთები რამდენიც გინდა იმდენია.

— მშვენიერი ლუდია.

— ჰო, ჯეკს მუდამ კარგი ლუდი აქვს ხოლმე.

ერთხანს ჩუმად ვსხედვართ. მერე ჩემი ბებერი მამიკო შეუბნება:

—სამსახურში როგორა გაქვს საქმეები?

— კარგად.

— ხომ ისევ მოგწონს?

— ჰო, ძალიან მომწონს. — ვიცი, მთლად მართალს არ ვეუბნები, მაგრამ ასე სჯობია: აბა, მამაჩემს როგორ გავაგებინო როგორაა საქმე, როცა მე თვითონ მთლად ვერ გავრკვეულვარ.

— ეგ კარგი პროფესია უნდა იყოს. საღამოს გაზეთები განცხადებებით არის სავსე, მხაზველები გვჭირდებაო.

—ჰო, ადგილები ყველგან თავზე საყრელია.

— უიტეკერის ფირმა როგორღა მოგწონს? როგორა გგონია, მთელ განაკვეთზე რომ გადაგიყვანდნენ, მანდვე დარჩებოდი?

— რა ვიცი, ჯერ არსად გადასვლა არ მიფიქრია. ვნახოთ, გავხდე ოცდაერთისა და... ფულს იმდენს გვიხდიან, რამდენსაც პროფკავშირი აწესებს, სამუშაო კი სხვაზე ნაკლები არაფრით არ არის. რასაკვირველია, ასეთ ადგილს სხვაგანაც ვიშოვიდი. არა მგონია, უიტეკერთან დაწინაურების დიდი იმედი იყოს, ძალიან ბლომად არიან საზრიანებიცა და ნიჭიერებიც.

— თუკი ასეთსავე სამუშაოზე სხვაგან წახვალ, ქალაქიდან წასვლაც მოგიწევს. ამაზე ხომ გიფიქრია?

— როგორ არა. ალბათ ასეც ვიზამ, მანჩესტერში ან ბირმინგემში წავალ.

— ჰოო... — თავს მიქნევს ჩემი ბებერი მამიკო და ეტყობა ჩემ ნათქვამს გონებაში სწონის. მერე კი მეუბნება: — რას იზამ, ბევრი ახალგაზრდა ტოვებს ხოლმე სახლს და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს, თუკი უნდა რამეს მიაღწიოს. ჰოდა, თუ შენც ასე აპირებ, ვიდრე მარტოხელა ხარ, მანამ უნდა მოასწრო.

— მეც ეგრე მგონია. — კარგა ხანია მე და მამაჩემს ასე აღარ გვილაპარაკია. ისე, კაცმა რომ თქვას, თითქმის არც კი ვლაპარაკობდით ერთმანეთთან — მარტო იმას თუ ვკითხავდით, ფეხსაცმელების ვაქსი სად დევს, ანდა სუფრაზე ერთმანეთს თუ ვთხოვდით, მარილი მოგვაწოდეო.

— არ გეგონოს, რომ შენი თავიდან მოშორება მინდოდეს. უბრალოდ მინდა იცოდე, რა აზრისა ვარ ამ საკითხზე და თუკი წასვლას ამჯობინებ, შენი ნებაა. არ მინდა გეგონოს, რომ ჩვენ წინ გადაგეღობებით.

— ჰო, რა თქმა უნდა, მესმის.

— დედაშენი, რასაკვირველია, სხვანაირად ფიქრობს, იმისთვის ჯერ ისევ ბავშვი ხარ.

— მე რომ სხვაგან მემუშავა, ერთი-ორი წლის წინ უკვე დააჯერებდნენ, რომ ბავშვი აღარა ვარ.

— შენ რა, ჯარში წასვლაზე ამბობ?

— ჰო.

— როგორა გგონია, კიდევ გაგიწვევენ?

— არა მგონია. უიტეკერის ფირმაში ძალიან ბევრს გადაუწიეს გაწვევის ვადა. ასე რომ, არა მგონია, შეგვაწუხონ. ალბათ მალე სულაც ამოგვშლიან სიიდან.

— ურიგო არ იქნებოდა.

— ხანდახან ვფიქრობ, ნეტავი გავეწვიეთ-მეთქი.

— ორ წელიწადს უქმად დაკარგავდი და ეგ იქნებოდა, მეტი არაფერი.

— მე კი მგონია, ბევრ რამეს უფრო სხვა თვალით შევხედავდი. ხომ გესმის რისი თქმა მინდა? მეტ გამოცდილებას შევიძენდი. ზოგ ბიჭთან, ვისაც საზღვარგარეთ მოუხდა სამსახური, ბილაპარაკნია და ჩემის აზრით, სახლში თუ დაჯექი, იმის მეათედსაც ვერ ნახავ.

— ჰო, ბიჭს დედის კალთას აშორებს და დამოუკიდებლობას აჩვევს. გამოცდილების შეძენისა კი რა მოგახსენო. მე მგონი, ყველაფერი თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. იყვნენ ჩვენთან ბიჭები ათას ცხრაას თექვსმეტში, რაც შტერები მოვიდნენ, ისევ ის შტერები წავიდნენ. ვერაფერიც ვერ ისწავლეს. მარტო ის თუ შეიგნეს, რომ ომს პოლიტიკოსები ატეხავენ ხოლმე, უბრალო ხალხს კი ერთმანეთს ახოცინებენ.

მამაჩემი ჭიქას ცლის, მისი ჭიქისაკენ ხელს ვიწვდი და ვეკითხები კიდევ თუ გინდა-მეთქი.

მამაჩემი კედლის საათს უყურებს და ოავს მიქნევს, მინდაო.

— მინდა შაბათს როგორმე ჰადერსფილდში წავიდე. — მეუბნება, როცა სავსე ჭიქებით ხელში უკან ვბრუნდები. — შენც ხომ არ გამოისეირნებდი?

— მე მაღაზიაში ვიქნები, მამა.

— ჰო, რა თქმა უნდა, დამავიწყდა. რას იზამ. კარგა ხანია ასე ერთად აღარსად ვყოფილვართ.

მართლაც რომ კარგა ხანია. აღარც კი მახსოვს ბოლოს როდის ვიყავით ერთად. ჭიქას ვწევ.

— დღეს ხომ მაინც ერთადა ვართ.

მამაჩემი თვალს მიკრავს.

— ეგეც მართალია, მაგრამ ძალიან ნუ დავაგვიანებთ, შვილო, თორემ დედაშენი იდარდებს სად დაიკარგნენო.

ერთი ჩია კაცი დახლთან დამდგარა, ერთ კათხა ლუდს ყიდულობს და მამაჩემს თვალს არ აშორებს. მერე ჩვენ მაგიდასთან მოდის და მამაჩემს მხარზე ხელს ადებს.

— როგორა ხარ, არტურ? როგორ მიდის ცხოვრება, ძმაო?

მამაჩემი მაღლა იხედება.

— თავს მოვიჭრი, ეს თუ ჰერბერტი არ არის! სადა ხარ, ბიჭო? ერთი საუკუნეა არ მინახიხარ, მოდი, აქ დაგვიჯექი.

ქონდრისკაცი ტაბურეტს ახლოს იჩოჩებს და ჯდება. მშვენივრად აცვია, რუხი ტვიდის პალტო, მწვანე ფეტრის ქუდი, მაგრამ სახეზე და ხელებზე ლურჯი ლაქებიც რომ არ ჰქონდეს, მაგის პროფესიას მაინც გამოვიცნობდი.

— ჩემ ბიჭს არ უნდა იცნობდე, არა, ჰერბერტ? — ეკითხება მამაჩემი. — ჩემი უფროსი ვაჟი გახლავთ. მეორე ისევ სკოლაში დადის. ეს კი უიტეკერთან მხაზველად მუშაობს. — მამაჩემს ხმაში სიამაყე ეტყობა. მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს. ვერასოდეს ვიფიქრებდი, მამაჩემი ჩემით ამაყობს-მეთქი. ქრისით და ჯიმით — კი, მაგრამ ჩემით — არასოდეს.

— მართლა? — ამბობს ქონდრისკაცი. — მხაზველად? თუმცა მაღაროში მუშაობას კი სჯობია.

— აგრეა. — ვუმოწმებ მე.

— ყოველთვის ვამბობდი, ჩემ შვილებს ჩემსავით მაღაროში არ მოუწევთ ჩასვლა-მეთქი. — ამბობს მამაჩემი.

—ჩვენს ახალგაზრდებს ოქროს ხანა აქვთ, არტურ.—ამბობს ქონდრისკაცი. — ჩვენს ახალგაზრდობას კი არა ჰგავს. ადრინ მეტი გზა არ იყო: ან ქარხანა, ან მაღარო, ჩვენს მამებს კი ერთი სული ჰქონდათ სანამ მაღაროში გვიკრავდნენ თავს, სახლში ცოტა მეტი ფული შემოვიდესო. ჩემი ბიჭი ახლა ქვანახშირის სამმართველოში მუშაობს. სულ თავის ხელფასზე ბუზღუნებს, შენზე ნაკლებს ვიღებო. ვეუბნები, შენ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი-მეთქი. დილით რომ ცხრა საათზე მიბრძანდება სამსახურში და ფანჯრიდან დღის სინათლეს ხედავს, კვირაში სამი შილინგი არა ღირს? ჩემი სამუშაო ერთ კვირაში მოუღებდა ბოლოს, მე მგონი, უფრო ადრეც.

იგი კათხას ხელში იღებს და ანახევრებს. ვუყურებ, როგორა სვამს. ეტყობა, გადაკვრა ჰყვარებია. გეგონება, ჩემ ფიქრებს კითხულობსო, მეუბნება:

— არ ვიცი, რას ვიზამდი, არტურ, ეს კათხა ლუდი რომ არ არსებობდეს. ზოგჯერ მგონია, სული ამითი მიდგია-მეთქი. — ჯიბიდან „ვუდბაინზის“ პაკეტს იღებს და გვაწოდებს: — ნახშირს რომ უფასოდ გვაძლევენ, ლუდიც უფასოდ უნდა გვაძლიონ. — გვეუბნება სიცილით.

— ახლა სად მუშაობ, ჰერბერტ? — ეკითხება მამაჩემი, როცა სამივენი მოწევას ვიწყებთ.

— ეს ბოლო სამი წელია რაუნდვუდთან, დღისით ვმუშაობ, ქვანახშირს ვტვირთავ.

— რაუნდვუდი... ეგ უეიკფილდში, არა? კარგა დიდი გზა კია გასავლელი.

— მანქანა მყავს. — გვეუბნება ქონდრისკაცი. — რამდენი ხანია ავტობუსით აღარ ვმგზავრობ, ოც წუთში სამუშაოზე ვარ.

— მთლად გადიდკაცებულხარ, ჰერბერტ.

— რატომაც არა? — ამბობს ჰერბერტი. — ამდენი შემოსავალი ამ ბოლო ათ წელიწადს რომ მაქვს, არასოდეს მქონია, ჰოდა, სანამ დროა, მინდა მოვასწრო.

— ეგ როგორ „სანამ დროა“? კიღევ კრიზისს ხომ არ ელოდები?

— ყოველთვის ასე არ იქნება. — ამბობს ქონდრისკაცი. — ბევრი გაჭირვება მინახავს და არა მგონია ამ ბედნიერებამ დიდხანს გასტანოს.

— არა, ჰერბერტ, ვითომ რატომ არ უნდა გასტანოს?

— რა ვიცი, რა არ ხდება, ჩემო არტურ. ხალხს ნახშირი მუდამ სჭირდებოდა. და ალბათ კიდევ დიდხანს დასჭირდება. შენც კარგად გეხსომება ხალხს ბუხრები გამოფხეკილი ჰქონდა, მაღაროებში კი ნახშირის მთები იდგა. საქმე ეკონომიკაშია, ჩემო არტურ. შენისთანებს და ჩემისთანებს ეკონომიკისა არაფერი გაეგებათ. ჩვენ მარტო ნახშირს ვიღებთ, ისიც მაშინ, როცა ნებას გვაძლევენ.

ვზივარ და მუსაიფს ვუსმენ. ნახშირის ამოღებიდან და ეკონომიკიდან პოლიტიკაზე გადადიან. რასაკვირველია, ორივე ლეიბორისტია, ამიტომ საკამათოც არაფერი აქვთ. მერე სპორტზე იწყებენ ლაპარაკს, არც ქალაქ ჰადერსფილდს ივიწყებენ. აქ ერთი-ორ საკითხში ვერ ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მეგობრულად საერთო ენას პოულობენ. ამასობაში ქონდრისკაცი თავისთვის ერთ კათხა ლუდს კიდევ ყიდულობს და ჩვენ ჭიქებსაც ავსებს. მერე მამაჩემი ყიდულობს იმისთვის ერთ კათხას და ჩვენთვის თითო ჭიქას. კიდევ კარგი ძალიან მაგარ ლუდს არა ვსვამ, თორემ აგერ ათს ხუთი წუთი აკლია და უკვე ხუთ-ხუთი ჭიქა გვაქვს დალეული.

ჩვენი ქონდრისკაცი კი მეოთხე კათხას წრუპავს.

— ერთი შეხედე, რა დრო გასულა. — ამბობს მამაჩემი. — ახლა კი უნდა წავიდეთ.

— დღეს რაღაც ძალიან შეგაგვიანდათ. — გვეუბნება ჩემი ბებერი დედიკო. სახლში სიმყუდროვეა, თბილა და ახლადგაუთოებული თეთრეულის სუნი ტრიალებს.

— ჰო, დაგვაგვიანდა. — უპასუხებს ჩემი ბებერი მამიკო. დედაჩემი ეპვის თვალით გვათვალიერებს.

— აი თურმე სადა ყოფილხართ, ყველაფერი გასაგებია.

— ცოტა გადაკვრის გუნებაზე ვიყავით. — ეუბნება ჩემი ბებერი მამიკო და პიჯაკს იხდის. ლუდისაგან თვალები კვიმატად უციმციმებს, დედაჩემი კი ვერ იტანს, როცა ვინმე დასცინის.

— დადიხარ და ვიქტორსაც დაათრევ. კარგ რამეს კი არ ასწავლი!

— მე მგონი, დროა ცოტა სმასაც შეეჩვიოს, ზომიერად, რა თქმა უნდა. — ეუბნება ჩემი ბებერი მამიკო, მერე სკამზე ჯდება, ფეხს ფეხზე იდებს და ფეხსაცმელების გასახდელად ემზადება.

— ნუ გეშინია, უშენოდაც მალე ისწავლის. ნუ დაგავიწყდება, რომ ერთი ვაჟი კიდევ გვყავს და კარგი მაგალითი უნდა უჩვენო.

ჯიმი ზის და თავისთვის წიგნს კითხულობს, არც ერთს ყურადღებას არ გვაქცევს.

— მგონი ჩემს ორივე ვაჟს საკმაოდ კარგ მაგალითს ვაძლევ. — ამბობს მამაჩემი და სანამ ჩემი ბებერი დედიკო არ გვიყურებს, თვალს მიკრავს. მეც ვპასუხობ. ვატყობ, ცოტა შემთვრალვარ, ამიტომ გასუსული ვზივარ და ხმას არ ვიღებ, ძალიან ფრთხილად დავდივარ, რომ დედაჩემმა სიმთვრალე არ შემატყოს.

გვგონია, კიდევ რაღაცას გვეტყვის, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა თავი დაგვანებოს, ხმისამოუღებლად აგრძელებს უთოობას, გაუთოვებულს კი ადგილზე დებს.

## თავი მეშვიდე

### I

— კარგი იყო? — ყურში ჩამჩურჩულებს.

— ჰო, ძალიან კარგი.

ქვეშ ჩემი ლაბადა მაქვს გაშლილი და მის გვერდით გულაღმა გაშო-

ტილი ხის ტოტებს შორის ცას გავცქერი. დღეს ცა განსაკუთრებით მაღალია, დიდი და ნათელი. ღრუბლის შავი ჩრდილები ერთმანეთს სწრაფად მისდევს და მთვარე აღარ ჩანს. რამდენიმე წამის განმავლობაში სრულებით არაფერსა ვგრძნობ, მთლად დაცარიელებული ვარ. თითქოს ცოცხალიც აღარა ვარ. უცებ სირცხვილის გრძნობა მწვავს, ყველაზე პირველად ეს გრძნობა მეუფლება. მერე და მერე ვხვდები, რომ პირველად ყოველთვის სირცხვილს ვგრძნობ, მაგრამ ვეჩვევი და ისე აღარ მიძნელდება, როგორც ახლა. ესღა მაწუხებს: სირცხვილის გარდა არაფერსა ვგრძნობ. ახლა უფრო საღად და ნათლად ვაზროვნებ. ვიღრე ადრე, როცა ინგრიდს პირველად შევხვდი და არ ვიცოდი, მოვწონდი თუ არა. ჩემი გონება ძალზე საღად მუშაობს და საშინელება მიპყრობს: ინგრიდი აღარ მიყვარს და ვაი, რომ ეს სიმართლეა. მიყვარს კი არა, თითქმის აღარც მომწონს. არა, იმიტომ არა, რომ ჩვენს შორის რაღაცა მოხდა. თუმცა, სწორედ ამან ამიხილა თვალები. ჩვენი პირველი შეხვედრების დროს. როცა მხოლოდ მის გვერდით ყოფნა მინდოდა და ვნატრობდი, ნეტავ ამასაც ვუყვარდე-მეთქი, ვერ ვხვდებოდი, რომ თურმე სრულებით არ მყვარებია. ისიც კი ვერ მოვახერხე გამეგო, მომწონდა თუ არა — აი, ისე, ზოგი რომ მოგწონს, მოგწონს ისეთი, როგორიც არის, მორჩა და გათავდა. ალბათ იმიტომ, რომ დანახვისთანავე შემიყვარდა, ისე რომ, ორი სიტყვაც კი არ მქონდა ნათქვამი. ახლა კი ვფიქრობ, ნეტავ ამდენ ხანს როგორ გავუძელი-მეთქი. მაგის ჭორებს, ათას სულელურ ამბავს, ლაქლაქს სატელევიზიო გადაცემებსა და პროგრამა-ვიქტორინებზე, ყოველ წვრილწანს იმის შესახებ, რომ ვიღაც ილბლიანმა ვულვერჰემპტონელმა თუ ტუტინგელმა დიასახლისმა როგორ მოიგო მაცივარი, თუ სამასი წყვილი ნეილონის წინდა ანდა უფასო მგზავრობა ამერიკაში, იმისათვის, რომ პასუხი გასცა შეკითხვებს, რომელზედაც ყველა მეოთხეკლასელი უპასუხებდა. როგორ ვუძლებდი! ვაი, რომ ის გრძნობაც უკვე გამიქრა. სამაგიეროდ არაფერი გამიჩნდა, სრულებით არაფერი. და როცა მაგონდება, რომ სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ მისი გულისათვის ცხრა მთას იქით წავიდოდი, აღარაფერი მესმის, ვეღარაფერი გამიგია.

— რა ჩუმადა ხარ. — მეუბნება.

— ჰოო?

— არაფერი გაქვს სათქმელი?

ჩემსკენ ბრუნდება და სახეზე მისი თბილი სუნთქვა მხვდება.

— ვიკ!

— რა?

— იცი, აი, მაშინ, პირველად... იცი, მეგონა, რომ შენ... ყველაფერი გინდოდა.

მაშინ მართლაც ძალიან მინდოდა, ახლა კი ღმერთმა მაშოროს.

— იქნებ ეგრეც იყო. მაგრამ გონება მთლად არ დამიკარგავს.

— როგორა გგონია, ვითომ ის სულ სხვანაირი იქნებოდა? — მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.

ღმერთო ჩემო! რად უნდა, ამაზე რომ ლაპარაკობს? რაც იყო—იყო, როდემდე უნდა ილაპარაკოს ერთსა და იმავეზე.

— რა ვიცი, შეიძლება... ეგრე მგონია.

— მე კი მაინტერესებს, — მეუბნება, ალბათ ასეთნაირად უნდა გამოარკვიოს, ადრე ვინმესთან ვყოფილვარ ახლოს თუ არა.

უცებ, რატომღაც სურვილი მებადება, გული ვატკინო და ვეუბნები:

— ისე მელაპარაკები, გეგონება ჩემს გარდა ბიჭთან არ გაგეცლოს.

— ნუთუ ფიქრობ, რომ ვინმესთან ასე ახლოს ვყოფილვარ. როგორი გვონივარ?

— მე რა ვიცი. — ვეუბნები. ისე, კაცმა რომ თქვას, სულაც არ მინდა ვაწყენინო. უბრალოდ, რაღაცის ჯავრი მინდა ამოვიყარო. ინგრიდი განზე იხედება. მე კი სიბრალულის გრძნობა მიპყრობს.

— კარგი, გაგეხუმრე. ვიცი, რომ ჩემამდე არავინ გყოლია. ვიცი, რომ ისეთი გოგო არა ხარ.

— ზოგჯერ მგონია, ვარ-მეთქი.

— კარგი, ჰო, გეყოფა.

ვიცი, ახლა ალბათ ფიქრობს, რომ ძალიან ადვილად დამყვა და ეშინია, ვაითუ გადაუყვარდეო. მართალია, აღარ მიყვარს, მაგრამ ეგ არაფერ შუაშია. თანაც მაგისი გრძნობებისათვის სულაც არა მცხელა. ჩემი გრძნობებისათვის ვერ მომივლია. მეჩვენება, თითქოს ერთბაშად ხუთი წელი შომემატა და აღარც წინანდებურად სუფთა ვარ. აი, ოურმე, როგორ ყოფილა, როცა ქალი არ გიყვარს. რაც გრძნობებს შეეხება, გინდა ასე ვყოფილვართ და გინდა ყველაფერი ჩაგვიდენია.

— ისე კი, — უცებ მეუბნება ინგრიდი, — სულაც არა მგონია, რომ ცუდ რამეს ჩავდივართ და უნდა გვრცხვენოდეს. ამაში ცუდი არაფერია, თუკი ადამიანი გიყვარს.

მაგრამ თუკი არ გიყვარს? მაშინ რაღა? და უფრო ხშირად, აი, ვიდრე ასე არ დაუახლოვდები, ვერც მიხვდები, იმიტომ რომ ვნება გაბრმავებს. ახლა კი ვხვდები, მაგრამ არ ვიცი, რა ვიღონო. როგორ დავშორდე, როცა სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ ვეუბნებოდი, შენთვის ვგიჟ-

დები-მეთქი. მაშინ მართლაც ასე იყო. როგორ ავუხსნა, რომ ვნება და ოცნება ერთმანეთში ამერია და დაშაბრმავა? როგორ ვუთხრა, ყველაფერი თურმე შეცდომა ყოფილა და ჯობია დავშორდეთ-მეთქი. როგორ ვუთხრა, განსაკუთრებით დღევანდელი საღამოს შემდეგ, როცა ასე აშკარად მაგრძნობინა, რომ მისთვის ძვირფასი ვარ და ვუყვარვარ. ეგეც რომ არ ყოფილიყო, თვითონვე ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ. ინგრიდი ვერასოდეს გამიგებს. იფიქრებს, თავს თურმე მარტო ამისათვის იკლავდა და როცა თავისას მიაღწია, კულაც გაუცივდაო. სინამდვილეში კი ასე სულაც არ არის. მაგრამ ინგრიდისათვის ყველაფერ ამას სულაც არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც, მაგალითად, ვინმე სხვა გოგოსთვის ექნებოდა. არა, სულაც არა მგონია, რომ ინგრიდი ისეთი გოგო იყოს, დღეს ერთთან იგორაოს და ხვალ მეორესთან. არა მგონია, პირველსავე შემხვედრთან, ვინმე ტომთან, დიკთან ან ჰარისთან ასე შეეტოპა. ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე თუ კიდეც ჰყავდა ვინმე. უსიყვარულოდ არაფერს იკისრებდა. მაგრამ იქნებ ძალიან ადვილად უყვარდება? მგონი, სწორედ ასე უნდა იყოს — დიდი ვნებიანი ვინმეა. იმ საღამოს, აგერ, იმ სკამზე რომ ვიჯექით, ისეთი კოცნა დამიწყო, რომ მეც ზედმეტები გავბედე. ეგრე რომ არ ექნა, ასე არ შევტოპავდი. თანაც. ამ საკითხს შეიძლება სხვანაირადაც მივუდგეთ, კაცმა რომ თქვას, არც ისეთი დიდი გულთდამპყრობი ვარ. გარშემო ჩემზე ლამაზი ბიჭი რამდენიც გინდა, იმდენია. სულაც არა ვარ ისეთი თავდაჯერებული, ვიფიქრო, მარტო მე მოვახერხე მაგის ანთება-მეთქი.

წვიმა დაიწყო. მაგრად არა წვიმს, მაგრამ ეტყობა რამდენიმე ხანს ისე წვიმდა, ვერ შევამჩნიე. რა გაეწყობა, საკმაოდ კარგი მიზეზია იმისათვის, რომ ავდგეთ და წავიდეთ.

— წამო, სადმე შევეფაროთ.

ინგრიდი ტანსაცმლის სწორებას იწყებს, კაბას იწევს, რაღაც-რაღაცეებს იკრავს. მერე ფეხზე დგება. კაბიდან მტვერს იბერტყავს და ჩანთას იღებს. ჩემ ლაბადას ვბერტყავ, მერე ორივენი ლაბადას თავზე ვიხურავთ და ბალახებში გავრბივართ, რომ სადმე შევეფაროთ. როცა უკვე აღარა წვიმს, ინგრიდი პუდრს ისვამს და პომადას ისწორებს. მე ვდგავარ. ვუყურებ და ნერვები მეშლება. სულ ცოტა ხნის წინ კი ალბათ სიამოვნებით დავდგებოდი და ვუყურებდი. არ მესმის რა მომდის. გგონია, რაღაც საუნჯეს მიაგენი, მერე უცებ ფხიზლდები და ხვდები, რომ თურმე არაფერიც არ გიპოვნია. თუკი თვითონვე არ მესმის რა მომდის, იმას როგორღა გავაგებინო.

თავის სახის გალამაზებას ამთავრებს, პუდრის კოლოფს ხურავს და

ჩანთაში აგდებს. სკამზე ერთმანეთისაგან მოშორებით ვსხედვართ და წვიმას მივჩერებივართ. მალე ჩვენი ერთ-ერთი ბოსის შესახებ რაღაცა ჭორის მოყოლას იწყებს. ის კაცი, ვიზედაც ყვება, მაინცა და მაინც არ მიყვარს და ამიტომ გულისყურით ვუსმენ, თუმცა რატომღაც მისი ლაპარაკი მაინც მაღიზიანებს. მინდა შევეკამათო. ვიცი, ახლა რომ მითხრას შავი შავიაო, ვეტყვი თეთრია-მეთქი, მხოლოდ იმიტომ, რომ გული გავუხეთქო.

რაღაცას ვეუბნები, ის კი მპასუხობს:

— მეგონა ის კაცი არ გიყვარდა, რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის.

— მართალია, არ მიყვარს, მაგრამ ეს არ არის საკმაო მიზეზი იმისათვის, რომ რასაც მის შესახებ მოჩმახავენ, ყველაფერი დავიჯერო.

გრძნობს, რომ განგებ ვეკამათები. ასეთი ტონით მასთან არასოდეს მილაპარაკია. ვიცი, ხვდება, მაგრამ მაინც არაფერს მეუბნება, ჩანთას ხსნის, სიგარეტების შეკვრას იღებს და ერთს მაწოდებს. როცა პაემანზე მოდის, ყოველთვის თავისი სიგარეტები მოაქვს ხოლმე, ჩემსას არასოდეს ეწევა.

— ისედაც ბევრ ფულს მახარჯავ, ეგლა გაკლია სიგარეტიც შენ მიყიდო. — მეტყვის ხოლმე. ეს ყოველთვის მომწონდა და ახლაც მომწონს.

არა, მართლაც რომ კარგი ვინმეა, ნებისმიერ ბიჭს გაეხარდება ასეთ ჭოგოსთან სიარული. ვერაფერი ბიჭობაა ჩემი მხრივ, ათას მიზეზს რომ ვუგონებ: ძალიან დამყოლია და ვულგარული-მეთქი. დამყოლი ჩემთან არის, მე კი უკვე აღარ მიზიდავს... აი, ეს არის თავი და თავი. სიგარეტს ვეწევი და წვიმას გავცქერი, ველოდები, როდის გადაიღებს, რომ აქედან დავიძრათ.

— საზიზღარი ამინდია. — ვეუბნები, ის კი მიყურებს.

— ამ საღამოს რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, არა?

— მე ვერ ვამჩნევ.

— მე კი ვამჩნევ. რაშე ისეთი ხომ არა ვთქვი ან გავაკეთე?

— არა, რა თქმა უნდა, არა.

მგონი, ახლა კი დროა, ვუთხრა, რასაც ვგრძნობ, მაგრამ ვერა და ვერ ვიწყებ, აბა, როგორ დაიწყო იმ ამბების შემდეგ, რაც სულ ნახევარი საათის წინ ჩვენ შორის მოხდა. ვერასოდეს გაიგებს. დარწმუნებული ვარ, იფიქრებს, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა დაგეგმილიო...

— მაგრამ მაინც რაღაც გაწუხებს, არა?

— შეიძლება. იქნებ სულაც წავსულიყავი აქედან, ბირმინგემში ან მანჩესტერში: სულ მთლად გამომეცვალა გარემო.

— მართლა გინდა წასვლა? სამუდამოდ გინდა კრესლი მიატოვო? მხრებს ვიჩეჩავ:

—არ ვიცი, იქნებ არც იქ იყოს უკეთესი. ზოგჯერ მგონია, უბრალოდ მუშაობა ამომივიდა ყელში. წინა კვირას მე და კონროი ოლთორპმა გამოგვიძახა...

მერე თავიდან ბოლომდე ვუყვები, როგორ ვიჩხუბეთ მე და კონროიმ. მხოლოდ ის არ მითქვამს, ჩხუბი რაზე წამოვიწყეთ და არც ის გავუმხილე, კონროის რომ ვუკბინე.

— შენ რა, კონროისთან ვერა ხარ კარგად?

— არა, კონროი ჭკვიანი ბიჭია, თავისი ფასიც იცის, მაგრამ რა მექნა, როცა ჩხუბი წამოიწყო, ძალაუნებურად მეც ერთი სილა გავაწანი. სამაგიეროდ ახლა უფრო მომწონს, ვიდრე ადრე. წარბიც არ შეუხრია, ოლთორპი რომ მისდგა. მერე უნდა გენახა, ჰესოპს როგორ დაუხვდა. მიკვირს, იმ წუთშივე რატომ არ დაითხოვა ჰესოპმა სამსახურიდან. ლამის თვითონ კონროი ეუბნებოდა, გამაგდეო.

— მე კი ყოველთვის რაღაც არანორმალური მეჩვენებოდა. — ამბობს ინგრიდი. — მაგასთან მარტო დარჩენას არაფრით არ ვინდომებდი.

— ვისთან? კონროისთან?

— არა, მისტერ ჰესოპთან. რაღაც უცნაური ცქერა იცის. ჩვენი მემანქანე გოგოები ამბობენ, ისე გიყურებს, გეგონება რენტგენის სხივებით გაშუქებსო.

— ვინა? ჩვენი ბებერი ჰესოპი? ვინმე გოგოს აეკიდა?

— არა, რას ამბობ, პირიქით, ყოველთვის კორექტულია და თავი შორს უჭირავს, ერთ ურიგო სიტყვას არ გეტყვის, მაგრამ ისე გიყურებს, გეგონება ტანსაცმელს გხდისო; სულ ეკლებს მაყრის ხოლმე.

— მაგას კი ვერ ვიფიქრებდი... ნუთუ ეგეთებიც იცის? შენთვის არ მომიყოლია, მაგასთან რომ გამგზავნეს სახლში სამსახურიდან, გრიპით რომ იყო ავად, მაშინ?

კარგად ვიცი, გინდ ინგრიდისათვის მომიყოლია და გინდ უიტეკერის ფირმაში მომუშავე მთელი გოგოებისათვის, მაგრამ რატომღაც ახლა სულერთია, გინდა ყველამ გაიგოს და გინდ მილერიც გამიწყრეს ზედმეტი ყბედობისათვის. რაღაც მაინც გვექნება სალაპარაკო, სანამ წვიმა გადაიღებს, მერე კი შინ წავალთ.

— ...ჰოდა, მერე ჩამობრძანდა კიბეებზე იმ თავის უცნაურ ხალათში გამოწყობილი, ხელში უშველებელი კონვერტით. მე კი ვიდექი და რაღაცას მივედ-მოვედებოდი: იმედი მაქვს მისტერ ჰესოპი მალე გამოჯან-

შრთელდება-მეთქი, იმან კი პასუხის მაგივრად წერილი მომაჩეჩა და მითხრა, ყველაფერი მანდ კონვერტშიაო.

— რაო, როგორ გითხრა?

— ყველაფერი მანდ კონვერტშიაო. როცა ვკითხე, ჰესოპი როგორ არის-მეთქი, კონვერტი ჩამჩარა ხელში და მარტო ეგ მითხრა.

— ღმერთო დიდებულო!

— მაგრამ ყველაზე საპაცილო მაშინ იყო, როცა გამოვდიოდი. კარი ვავაღე და მზის სინათლე დაინახა თუ არა, გამწარებული მომვარდა და იყვირა, დახურე, დახურეო. გეგონება შეეშინდა უცბად არ დავეკნე და მტვრად არ ვიქცეო. ისე, როგორც ვამპირებს მოსდით თურმე.

— უჰ, — აერეოლებს ინგრიდს. — ამბურძგლა. მერე რა ქენი?

— უცბათ გამოვვარდი გარეთ. ღეხის გამოდგმა ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად მოაჯახუნა კარები. ერთი ხუთი წუთი რომ შევყოვნებულიყავი, ალბათ პირდაპირ ფანჯრიდან მისროდა.

— კარგი ვინმე ყოფილა. — ამბობს ინგრიდი და ხითხითებს. ხელებს გულზე იკრეფს. გეგონება ჩემ მონაყოლ ამბავს გულში იხუტებს, რომ თავის გოგოებს უვნებლად მიუტანოს. ხვალ, სადილისათვის მთელ ფირმას ეცოდინება, მაგრამ ჩემთვის სულერთია.

პარკს თვალს ვავლებ.

— აღარა წვიმს, მოდი, წავიდეთ.

რას იზამ, სანამ წასვლას მოინებებს, ცოტა კიდევ უნდა ვეხვიოთ და ვკოცნოთ ერთმანეთს. სანამ ინგრიდს თავი წესრიგში მოჰყავს, მე ასფალტზე ბოლთას ვცემ, ვგრძნობ როგორ მეკიდება სიბრაზე. მინდა მისგან შორს ვიყო, მარტო, ჩემთვის, აი, ამ წუთში, ახლავე, რომ კარგად შეეიგნო რაც მოხდა და მოვიფიქრო რა მოვიმოქმედო. მაგრამ ვიცი, რომ სახლამდე რომ არ მივაცილო, არ შეიძლება. მიხარია, რომ ბნელა, იმიტომ რომ, ახლა, თუმცა უცნაურად ყღერს, არ მინდა ერთად დაგვინახონ. ძალიან ცუდი იქნება, ახლა რომ ისეთმა ვინმემ დაგვინახოს, რომელიც ორივეს გვიცნობს. ისეთ დასკვნებს გამოიტანს, რაც სინამდვილეს სრულებით არ შეეფერება.

როგორც იქნა თავის საქმეს რჩება და ორივენი ჭიშკრისაკენ მივაბიჯებთ.

— შენი საგარეო კოსტუმი გაიუთოვე?

სიბრაზე ჯერ არ დამცხრომია, ამიტომ კითხვაზე კითხვითვე ვპასუხობ:

— საგარეო კოსტუმი? — თუმცა ძალიან კარგად ვიცი, რატომაც მეკითხება.

— აი, ჩვენი მეჯლისისათვის.

— ჰოო!... ფრაკი მეცმევა, შენთვის არ ვითქვამს?

და აი კიდევ ერთი. გულისფანცქალით ველოდი ამ მეჯლისს, იმიტომ რომ წელს ჩემ საკუთარ გოგოსთან ერთად წავალდოდი: როგორი ბედნიერი ვიყავი! რატომ არ შეიძლება, თუკი ერთხელ შევიყვარდება ვინმე, ბოლომდე გიყვარდეს? რად უნდა იყოს ყველაფერი ასე ჩახლართული? ნეტავი არასოდეს შემემჩნია და სხვა გოგოებისაგან არ გამომერჩია. მერე ის ჩვენი პირველი პაემანი. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი, ისე ვიყავი ატაცებული. ახლა კი... ვერასოდეს ვერ შევძლებ, რომ ინგრიდს ავუხსნა. ვიცი, ვერ შევძლებ.

— რა იყო? — მეკითხება.

— რა რა იყო?

— რა ვიცი, ისე ოხრავ, გეგონება მთელი ქვეყნის ტვირთი შენ გაწევს კისერზე.

ეგრეც არის. მერე და რა უცნაური ტვირთია.

— გული ხომ არ გწყდება? — მეკითხება. — აი, იმის გამო, რაც ამ საღამოს მოხდა?

— რა თქმა უნდა, არა.

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მწყდებოდეს? მართალია ჩემი თავი მეზიზღება, მაგრამ იმიტომ კი არა, რაც მოხდა; იმიტომ რომ მივხვდი. თურმე ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. მარტო გოგოები კი არ ეთხოვებიან ზოგიერთ რამეს, დღეს მეც გამოვეთხოვე რაღაცას, და თანაც ისეთ გოგოსთან, რომელიც არამც თუ არ მიყვარს, თითქმის არც კი მომწონს. მაგრამ მგონი რაღაცა შევეძინე კიდეც: ცოტაოდენი გამოცდილება, ჰო, ალბათ სწორედ გამოცდილება.

მთელი გზა ამაზე ვფიქრობ. პარკშიც და ქუჩაშიც. ჯობია, ეს ჩვენი ამბავი თავისთავად, ნელ-ნელა ჩაკვდეს, გაცივდეს. ჩემის აზრით ინგრიდი უკეთესის ღირსია, მაგრამ ვაი, რომ ვერასოდეს ვერ შევძლებ, რომ ვუთხრა და გავაგებინო.

— როდის განახავ? — მეკითხება თავის ჭიშკართან.

— ხვალ.

— სულელო, სამსახურში კი არა, მერე.

— მე მგონი, ამ შაბათ-კვირას ვერ შევძლებ. ერთი ჩემი ძველი ძმაკაცი ჩამოდის შაბათს. რამდენი წელია არ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, სამსახურში ხომ ყოველთვის განახულობ. მერე მოვილაპარაკებთ.

გინდაც დაიჯეროს, რომ მეგობარი მართლა ჩამომდის, მაინც უნდა მიხვდეს, რომ ისე აღარ მინდა მასთან შეხვედრა. მაგრამ არა მგონია იცოდეს, როგორ გავცივდი მის მიმართ; ანკი საიდან უნდა იცოდეს?

— კარგი. — მეუბნება. მიხარია, რომ ძალიან არ მაცივდება.

იგი იცდის. არაფერს აღარ ვამბობთ. თავს მაღლა არ სწევს და სახეს არ მიშვერს. მაგრამ ვიცი, მელოდება როდის ვაკოცებ. თუმცა იმის შემდეგ, რაც ამაღამ მოხდა, რატომაც არ უნდა მელოდებოდეს? ერთ წამს ვყოყმანობ, მერე ნიკაპზე ხელს ვკიდებ და სახეს ვუწევ. ტუჩებში ვკოცნი, მაგრამ რაც ინგლისის ბანკში ოქროა, სულ რომ მომცენ, ამ კოცნას გრძნობას ვერ დავატან. აი, ახლა კი ნამდვილად უნდა მიხვდეს, აქამდე რომ კიდეც არაფერი ეასრა.

## II

რამდენიმე დღის განმავლობაში ინგრიდთან შეხვედრას თავს ვარიდებ. მაგრამ მერე თვითონვე მიგზავნის წერილს ლაისტერდაიკის ხელით. წერილს ვკითხულობ და ვფიქრობ, რა ვუპასუხო. ყველას სჯობია, ყურადღება არ მივაქციო და ისე მოვიქცე, ვითომ სულაც არ მიმიღია. მაგრამ ჩემის აზრით, დიდი უსინდისობა იქნებოდა. არ შეიძლება ამნაირად მოვიშორო თავიდან... ცოტა ხანს ვფიქრობ, მერე კი წერილს ვწერ. პირდაპირ არაფერს ვამბობ, მაგრამ ბევრს კი ვგულისხმობ. „ძვირფასო ინგრიდ, ამაღამ ვერ შეგხვდები, სხვაგანა ვარ წასასვლელი. ისევ დავიწყე მეცადინეობა ტექნოლოგიურ სასწავლებელში, მინდა გამოცდებზე მთელი კურსი ჩავაბარო, ამიტომ ლექციებზე სიარულის გარდა, სახლშიც მომიხდება მეცადინეობა. არა მგონია, ბევრი დრო დამრჩეს სასეირნოდ. არ ეკარგება ჩემი გულისათვის შენც სახლში დაგსვა და გალოდინო, შე როდის მოვიცლი“.

წერილს რომ ვკითხულობ, ცოტა არ იყოს, მრცხვენია; მაგრამ რა ვქნა? ამაზე რბილად ვერ მოვახერხებ. წერილს კოლინს ვაძლევ და ზედ ექვსპენსიანს ვაყოლებ.

— აჰა, მიეცი და კრინტი არავისთან დასძრა.

— სიამოვნებით. — მეუბნება და ფულს იჯიბავს. — ოღონდ საგანგებო დავალება ათი შილინგი ღირს.

— ერთს მოგაკერებ და ეგ იქნება შენი ათი შილინგი.

მეორე დილით პასუხი მომდის. „ძვირფასო ვიქტორ! შენმა წერილმა ძალიან გამაკვირვა. ვერ გამიგია, სწავლამ რა უნდა შეცვალოს. ვიცი, ბევრი თავისუფალი დრო აღარ გექნება, მაგრამ ამას რა მნიშვნე-

ლობა აქვს, თუ შენ მართლა გინდა ჩემი ნახვა. იმ ღამესვე ვიფიქრე, ალბათ რაღაცაშია საქმე-მეთქი. ახლა კი დავრწმუნდი. თუ მე ვარ რამეში დამნაშავე, მითხარი.

ი ნ გ რ ი დ ი."

ამ წერილის შემდეგ გუნებაზე ვეღარა ვარ. ვერაფერი გაუგია და იტანჯება. ძალიან მეცოდება. რაღაც ისე არ გამოდის, როგორც საჭიროა. მაგრამ გრძნობებს ძალით ხომ ვერ შეიცვლი? მოკლედ, ამით ყველაფერი დამთავრდება. ინგრიდი ისე ამაყია, რომ თუ ამ წერილს უპასუხოდ დავტოვებ, მეტს აღარ შომწერს. მე კი პასუხის მიწერას არ ვაპირებ.

# ნაწილი პირველი

## თავი პირველი

### I

მომავალ კვირას უიტეკერის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის მეჯლისია დანიშნული. ყოველ წელს, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, უიტეკერი რატუშაში დარბაზს ქირაობს და მთელ თავის თანამშრომლებს იწვევს. თუ დაქორწინებული ხართ, შეგიძლიათ თქვენს მეორე ნახევართან ერთად წაბრძანდეთ, თუკი უცოლო ან გაუთხოვარი — მეგობართან ერთად. ვცეკვავთ, ვისტს ვთამაშობთ, ცოტა საუმელსაც გეახლებით და ბარშიც ვსვამთ — თანაც ყველაფერი მუქთაა — რა თქმა უნდა, სასმელების გარდა. სასმელის ფული საკუთარი ჯიბიდან უნდა დააძრო.

მისტერ მეთიუ ორიოდე სიტყვით მოგვმართავს და გვეუბნება, შარშან ძალიან კარგად იმუშავეთ და იმედი მაქვს გაისად უკეთ იმუშავებთო. თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავეს გვეუბნება. მერე თუ ვინმე ბებრუცანა პენსიაში გასვლას აპირებს, ოქროს საათს აჩუქებენ და არის ერთი ტაშის დაკვრა და ხელის ჩამორთმევა. ბიჭი ხარ და ტაშს ნუ დაუკრავ, როცა ვინმე დახავსებული ბებერი, სადღაც ცხრაასშვიდში რომ დაუწყია მუშაობა, საჩუქრის ასაღებად ძლივს მიფრატუნებს. უყურებ და ჟრუანტელი გივლის, შენ ჯერ დაბადებულიც არ იყავი, რომ ეს კაცი უკვე ოცდაათი წელიწადი აქ მუშაობდა; და ვინ იცის, ვინმე ბიჭი, აგერ ოცდაათი წლის შემდეგ რომ დაიბადება, აი, ასე იდგება და იმასვე იფიქრებს, რასაც ახლა მე ვფიქრობ, როცა მეც წავფრატუნდები ჩემი საათის ან სხვა რამე საჩუქრის ასაღებად, ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ მომცემენ. მაგრამ რატომღაც მგონია, აქ აღარ ვიქნები. ვერაფრით ვერ წარმომიდგენია თავი იმ ასაკში, როცა ყველა წუხილი და დარდი წარსულს ჩაბარდება და ვიდრე იმ ქვეყანას არ წავალ, მშვიდად ვიჩაჩუნებ ჩემს ბაღში.

მოკლედ, ეს ჩვენი მეჯლისები ასეთია და თითქმის ყოველთვის ვი-

ღაცას ასაჩუქრებენ, იმიტომ რომ უიტეკერის ფირმაში ბევრია ისეთი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე აქ მუშაობს.

სასმელი იმდენია, რომ თავისუფლად ჩაძირავდა ყველა სამხედრო ხომალდს, რომელიც პორტსმუთის ნავსადგურშია. უფროსები და ქვეშევრდომები გულითად ძმაკაცებად იქცევიან ხოლმე.

ხომ იცი, როგორცა ხდება: არის ერთი ხუმრობა, ბეჭებზე ხელების ტყაპუნი, ერთმანეთის ცოლების გაცნობა და აზრები ერთიმეორეზე: ეს მუდრეგი, არც ისეთი ცუდი ყოფილა, როგორც მეგონაო. რასაკვირველია, შეორე დღეს მათ შორის ისევ უფსკრული ჩნდება, მაგრამ ცოტა ხანს ხომ მაინც გრძელდება ასე და ეგეც კარგია.

ქალებს ყველაზე მეტად ელევათ გული მოლოდინში. შობიდან მოყოლებული მარტო ეგ აკერიათ პირზე. დადიან და ხალხს აჩვენებენ ახალ კაბებს, ქმრებს ან შეყვარებულებს. არც ერთს არ გამოეპარება, მეორეს რა აცვია, იცის, მომავალში გამოადგება. ნეტავი გამაგებინა, რა უფრო მოსწონთ, თვითონ მეჯლისი თუ მერე გარდერობში ჭორაობა და ლაქლაქი. დიდი ახირებული ხალხი კია ეს ქალები. შეიძლება ასეთ წვეულებაში ორი ისეთი ბიჭი შეხვდეს, რომლებსაც ერთმანეთი მაინცადამაინც გულზე არ ეხატებათ, მაგრამ ისე იქცევიან, გეგონება ძველი მეგობრები არიანო. მაგრამ თუ ორი ასეთი ქალი შეხვდა ერთმანეთს, მტრისას, მოსისხლეებად იქცევიან.

მაგრამ მაინც ასეა თუ ისე, ეს მეჯლისები კარგი რამეა, მართლაც რომ კარგი დროს გატარება შეიძლება.

საქმე რომ სხვანაირად ყოფილიყო, თან ინგრიდს წავიყვანდი. ახლა კი დაახლოებით რვა საათისათვის მივდივარ, მარტო. ორიოდე ჭიქა ლუდსაც ვსვამ, ცოტა გუნებაზე მოვდივარ, ვცეკვავ კიდეც და ბიჭებთანაც ვყბედობ. ასე ათი საათისათვის საცეკვაო მოედნის ნაპირას რომ ვდგავარ, ვხედავ, კონროი მუჯლუგუნების კვრით გზას მოიკვლევს. კარგა მაგრაა შეზარხოშებული. ორკესტრთან მიდის და დირიჟორს რაღაცას ეუბნება. ის ტიპი, სახელად ოსკარ უინთროპი, მკერავის მანეკენს რომ მიუგავს სახე, თმა გადაუსვლეპია და ულვაშები ძაფივით წვრილად დაუყენებია, კონროის ჯერ ეჭვის თვალით უყურებს, მერე კი ოდნავ უღიმის. კონროი თავს იქნევს და ისე იღრიჯება, გეგონება უნდა უთხრას, კარგი, ნუ იპრანჭები, საქმეს მიხედეო. მერე, როგორც ჩანს, უინთროპი დათმობაზე მიდის, კონროი ფიცარნაგზე მიბობღავს და პირველ რიგში მჯდომ ყველა ორკესტრანტს ხელს ართმევს. ისინი კონროის უღიმიან და ერთმანეთს თვალს უკრავენ, მაგრამ კონროი წარბსაც არ იხრის. ტომ ივენსი, ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც ყველა ასეთ

საღამოს უდგას სათავეში, იმიტომ, რომ შესანიშნავად ცეკვავს და ფრაკიც ძალიან უხდება, ორკესტრანტებისაკენ შიდის, რომ გაიგოს საქმის ვითარება. იგი უინთროპს და კონროის რაღაცას ეუბნება, მაგრამ კონროი აინუნშიაც არ აგდებს. ივენსი უკანვე მიდის და ისეთი სახე აქვს, გეგონება ამბობს, რაც გინდა ქენით, მე ხელები დამიბანიაო.

უკნიდან ჯიმ სლეიდი მიახლოვდება.

— ნეტავი კონროი რას აპირებს?

— წარმოდგენა არა მაქვს, მეც მაინტერესებს.

დირიჟორი ჯოხს მაღლა ასწევს და ორკესტრი პირველ აკორდს იღებს.

— ქალბატონებო და ბატონებო, — ამბობს დირიჟორი. — ერთ-ერთ ჩვენ თანამშრომელს სურს შეასრულოს სიმღერა ორკესტრთან ერთად. დაე, ნურვინ იტყვის ოსკარ უინთროპი ახალბედა ტალანტებს ხელს არ უწყობსო. ნება მომეცით წარმოგიდგინოთ, ქალბატონებო და ბატონებო, სენსაციური მომღერალი ფირმიდან „დოუსონ უიტეკერი და ვაჟები“ — ელ კონროი.

ამაზე ხალხში სიცილი გაისმის და ერთი-ორი კაცი ტაშს უკრავს. კონროი მიკროფონთან მიდის. სახე წამოწარხლებია, ძალიან სერიოზულია და ყველას გარშემო თავს მდაბლად უკრავს. დირიჟორი ნიშანს აძლევს, კონროი მუხლებში იღუნება, ხელებს აქეთ-იქეთ იქნევს და რაც ძალი და ღონე აქვს მიკროფონში ღრიალებს:

პატარავ, ვისთან იყავი ღამით,
ვინ გეხვეოდა, გაოცნიდა წამით, მთვარიან ღამით?
ნეტავი თავიდან, მე ვერ ავიტან,
არავინ ახლოს ხელი ჩემ ლამაზს,
არ გეუბნებით ხუმრობით ამას,
და თუ გინდა რომ ალერსით ტკბილით
ყოველდღე მიგრძნო, ყოველდღე განახო,
გულისდარები, გრძნობები ჩვილი,
ხელუხლებელი შემომინახო[1].

კონროი ჩერდება. ახლა ორკესტრის ჯერია, ამასობაში კონროი სცენაზე ისე დახტის, იგრიხება და იმანჭება, ვეგონება ტანზე მორიელები შესევიაო. მაყურებლები სიცილით იხოცებიან, ჩვენი მხაზველი ბიჭები კი ისე ჭიხვინებენ, ლამის ორკესტრის ხმა დაფარონ.

ვიღაცა ჩემს უკან ამბობს:

[1] ლექსი თარგმნა ინოლა გურგულიამ.

— ეს თქვენთან არ მუშაობს, ჰესოპ?

ჩუმად თვალს ვაპარებ და ვხედავ, რომ ეს მეთიუ უიტეკერია, ჩვენი ყველაზე მთავარი ბოსი.

ჰესოპი ახველებს, ხმას იწმენდს. დარწმუნებული ვარ, მზად არის სული ეშმაკს მიჰყიდოს, ოღონდ კი შეეიღოს თქვას, არაო.

— ...ჰო... კი... დიახ...

— კარგად მუშაობს?

— საკმაოდ ჭკვიანი ახალგაზრდაა, მაგრამ ჯიუტია და თავის თავზე არ ფიქრობს.

ყურებდაცქვეტილი ველოდები მისტერ მეთიუ რას იტყვის, მაგრამ ქალბატონი მეთიუ, შავგვრემანი, საკმაოდ მოხდენილი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანშია შესული. სიცილით ამბობს:

— მგონი შხაზველობა სულაც რომ მიატოვოს, შიმშილით არ მოკვდება. — ყველანი იცინიან. მერე ისეთი ხმა მესმის, გეგონება დანაგვიანებულ მილში წყალი ბუყბუყებსო — ეს ჰესოპი იცინის.

მერე სამივენი მიდიან. ამასობაში კონროი სიმღერას ამთავრებს და თანაც ისეთი უცნაური მიხვეულ-მოხვეული ნოტებით, რომ ერთი სული მაქვს დავინახო ენას როგორ ატრიალებს. სცენაზე ტლინკაობას ისე უცბათ ამთავრებს, ლაშის თავით ძირს გადმოეშვას, პირდაპირ გვიმრის ქოთნებში. გამწარებული ტაშს ვუკრავ, მარტო მე კი არა, მთელი ხალხი, ორკესტრანტებიც კი. ოსკარ უინთროპი მხარზე ხელს უტყაპუნებს, კონროი ძირს ჩამოდის და საცეკვაო მოედნისაკენ მიდის. გზაში ყველანი უცინიან და რაღაცას ეუბნებიან. იგი ჩემთან მოდის.

— ჯეფ ლუისი არ გინახავს?

— არა, ახლა არა.

— ჩემი ფული მართებს, ერთი გირვანქა.

— ასლახან მისტერ მეთიუ და ჩვენი ბებერი ჰესოპი შენზე ლაპარაკობდნენ, — ვეუბნები.

— კარგს არაფერს იტყოდნენ, — ამბობს კონროი, თითისწვერებზე იწევა და ლუისს ეძებს.

— ჰესოპმა თქვა ჭკვიანი ყმაწვილიაო.

— დიდი ცრუპენტელა ვინმე ხარ, ბრაუნი.

— პატიოსნებას გეფიცები. მაგრამ ცოტა ჯიუტია და თავის თავზე არ ფიქრობსო.

— ჰო, ეს კი სიმართლესა ჰგავს, მაგას კი იტყოდა.

მერე ქალბატონმა უიტეკერმა რა თქვა, იმასაც ვეუბნები, მაგრამ კონროი არ მისმენს, ეტყობა სხვა რაღაცაზე ფიქრობს, ალბათ ლუისზე.

— მე ჩემი ფულის დარდი მაქვს. წამო ლუისი მაპოვნინე და ერთ კათხა ლუდს დაგალევინებ.

— კარგი.

ერთმანეთს ვშორდებით, ბრბოში გზას ვიკვლევთ და ბარისაკენ მივდივართ. სულ მალე ლუისის ზურგს ვხედავ. რამოდენიმე ბიჭს შუა ჩამდგარა, ეტყობა რაღაცაზე ბაჭიაობს. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მართლაც რომ მოხდენილად აცვია. ჩვენი ბოსების გარდა, მაგას და კიდევ ერთ-ორს თუ ეცმევა სმოკინგი. დანარჩენები უბრალო საგარეო კოსტუმებში ვართ გამოწყობილი, აი, ისეთებში, მარტო ქორწილებში, დასაფლავებაზე ან საკვირაო წვეულებაზე რომ ვიცვამთ ხოლმე.

— კონროი გეძებს. — ვეუბნები და მხარზე ხელს ვარტყამ.

— ჰო? რატომ?

— იმიტომ, რომ ჩემი გირვანქა გმართებს. — ამბობს კონროი, რომელიც მეორე მხრიდან მოგვახლოვებია. — აკი ერთ გირვანქაზე დამენიძღავე, ორკესტრთან სიმღერას ვერ გაბედავო?

ლუისი საფულეს იღებს და ხსნის:

— მე მგონი, ათ შილინგზე იყო ლაპარაკი.

— ათი შილინგი კი არა. ერთი გირვანქა, ლამაზო! — ამბობს კონროი, ლუისის საფულეს სწვდება და ერთ გირვანქიანს აძვრენს. მერე წასასვლელად ემზადება, მაგრამ უცებ უკან ბრუნდება და მეუბნება:— წამო, ბრაუნ, ჩვენ ლუდს მივხედოთ.

ვიდრე ბართან მივიდოდეთ, კენ როულინსონს ვხვდებით თავის გოგოსთან ერთად. ერთი გამხდარი ქერა გოგოა, ისე უცნაურად მოგჩერებია, გეგონება შენს ადგილას სიცარიელე იყოს.

— გამარჯობა, როული, — ამბობს კონროი. ვამჩნევ, რომ როული უხერხულად იშმუშნება. — ჩემი სიმღერა მოგეწონა?

ქერა გოგო კონროის შესცქერის, გეგონება კონროი რომელიღაც ლოდის ქვეშიდან გამოღოღდა და ამ ქალბატონმა მხოლოდ ახლა შეამჩნიაო.

— მე მომეწონა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, — მედიდურად ამბობს როული, — აი, საქმე იმაშია, ადმინისტრაცია რას იტყვის.

— აფსუს, ჩემი ვიოლინო სახლში დამრჩა, თორემ სავიოლინო კონცერტს დაგიკრავდით. ცოტა რამ დებიუსის ნაწარმოებებიდან, რას იტყოდით?

— დებიუსის სავიოლინო კონცერტი არ დაუწერია. — ამბობს ქერა ქალბატონი, როულის მკლავზე ხელს ჰკიდებს და განზე ექაჩება.

კონროი სიცილისაგან იგუდება. ბარში შევდივართ.

— მიდი მაგიდა დაიკავე, მე კი ყელის გასასველებელს მოვიტან რამეს.

კედელთან, სარკეების ქვეშ, მაგიდას ვიკავებ, კონროიც მალე მოდის, თავის დიდ თათებში ოთხი ლუდი ჩაუბღუჯავს.

— ამდენი ვისთვის გინდა? — ვეკითხები. ვიდრე კონროი ჭიქებს მაგიდაზე დგამს.

— ჩვენთვის, თითოს ორ-ორი. პინტობით არა ყიდიან, რას იზამ, მეტისმეტად დახვეწილი ხალხია, ისეთი როგორც როულია, — იცინის კონროი. — როგორც ჩვენი როული.

—დღეს კი კარგად მოგაკეტინა, კონროი, აი იმ სავიოლინო კონცერტის თაობაზე.

კონროი ლუდს ეწაფება, მერე თავს იქნევს და ჭიქას მაგიდაზე დგამს.

— ეგ როულის არ უთქვამს. თვითონ როულის ალბათ დებიუსი და ფინანსთა მინისტრი ერთი და იგივე ჰგონია.

ვამჩნევ, რომ კონროი „დებიუსის“ ისე გამოთქვამს, როგორც იმ ქერა გოგომ წარმოთქვა. ეტყობა, ყველაფერს გულში იხვევს და ერთხელაც იქნება როულის ჩაუნისკარტებს. ეს ჩვენი კონროი, არც ისეთი გულუბრყვილოა, როგორიცა ჩანს.

— ისე, კაცმა რომ თქვას, იქნებ იცის კიდეც, — ამბობს კონროი, და ისევ ლუდს ეწაფება. — ქვეყნის გვარები იცის და გინდ იყოს საჭირო, გინდ არა, სულ პირზე აკერია. ეგ იცი როგორი ბიჭია? წელიწადში ერთხელ სიმფონიურ კონცერტზე მიდის და მეორე დღეს მთელი ავტობუსის გასაგონად ლაქლაქებს, აქაო და კონცერტზე ვიყავიო. მაგ კაცს ვერ ვიტან, ჩემო ბრაუნ. ვერც მაგას. ვერც მაგის ტილიან ბეთჰოვენს და ვერც მაგის ჰირიან დოსტოევსკის. ალბათ ბეთჰოვენის ერთი რაღაც ტა-რა-რა-რა იცის და ეგ არის და ეგა. ანდა, აბა, ერთი ნაწყვეტი წაუკითხე დოსტოევსკიდან, სანაძლეოს დაგიდებ, ვერ გაიგებს ვისია, თავიდან ფეხებამდე ყალბია, ჩემო ბრაუნი, სიყალბეს კი ვერ ვიტან.

მართალია, კონროი ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ არც დალევას ივიწყებს. ერთი ჭიქა უკვე გაშოსცალა და ახლა მეორეს მისდგა.

— „ტაიმსსა“ და „გარდიანს“ კითხულობს და კიდევ იმ მატრაკვეცა საკვირაო გაზეთებს. კითხულობს კრიტიკულ წერილებს და ჰგონია, ყველაფერი ვიცი. დაიმახსოვრებს ფაქტებსა და სახელებს და უნდა რომ გაგაკვირვოს. მაგალითად, შეუძლია გითხრას, რომ ტოლსტოიმ 1868 წლის 13 მარტს საუზმეზე იხვის კვერცხი და შემწვარი კარტო-

ფილი მიირთვა; მაგრამ, მიდი ერთი ჰკითხე ანა კარენინას საყვარელს რა ერქვა-თქო და აბა ნახე თუ ეცოდინება.

— ვინ ანა კარ... რაო, რა თქვი?

— კარენინა. ქალის გვარია, რომანია ასეთივე სათაურით.

— შენ საიდანღა იცი?

— საიდან და წამიკითხავს. რაო, გაგიკვირდა? გეგონა, მარტო იაფფასიან ჟურნალებს ვკითხულობდი? სცდები, ჩემო ბრაუნ. შეიძლება ხანდახან ზედმეტი ბაქიაობა მიყვარდეს, მაგრამ ქვეყნად ორნაირი ბაქია არსებობს: ჩემნაირი და როულისნაირი. მე კი როულისნაირი ხალხი არ მომწონს. თუ ძალიან გიყვარს დოსტოევსკი და ის ტილიანი ბეთჰოვენი — შენი ნებაა. იქიდანაც შეიძლება გაიგო რამე. ეგ შენი „პეგზ პეიპერი“ ან მაღალი საზოგადოების ჭორები არ გეგონოს. მთელი ქვეყანა კი არ უნდა შეჰყარო, ნახეთ რა განათლებული, კულტურული ბიჭი ვარ და თქვენ კი რა უვიცები ხართო.

იგი მეორე ჭიქასაც ცლის და განზე სწევს. მე ჩემი პირველი ჭიქა ნახევრამდეც არ დამიყვანია. კონროი ჩემ მეორე სავსე ჭიქას უყურებს.

— ეგ გინდა?

— არა, მიდი, დალიე, — ვეუბნები და ჭიქას შისკენ ვწევ.

— ახლავე მეორეს მოგიტან, ოღონდ ახლა ადგომა მეზარება. — ერთ ყლუპს სვამს და ტუჩებს აწლაპუნებს.

— მერე კიდევ ვერ ვიტან ცხოვრებასთან ასე დედლურ მიდგომას. ან თმები უნდა ჩამოიზარდო და მანიკური გაიკეთო, ან ტურტლიანი ფრჩხილებით იარო, აქაო და ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორიც სისუფთავეა, ფეხებზე მკიდიაო. ალბათ ეს საბრალო დიდი ადამიანები საფლავში გადაბრუნდებოდნენ, რომ გაეგოთ რანაირი ხალხი ცდილობს მიეტმასნოს.

კონროის გაოცებული ვუსმენ. ვუყურებ შის ხელს, რომლითაც ჭიქას სწევს: მოკლე, კოტიტათითებიანი, ბალნიანი. კონროის მაინცა და მაინც ინტელიგენტური შესახედაობა არა აქვს: სახე ოთხკუთხედი, დაბალი შუბლი და ღრმად ჩამჯდარი თვალები. მაგრამ, ვიცი, მექანიკაში გონება ძალიან უჭრის, თან ისეთ ნახაზებს აკეთებს, ვერც ერთი ვერ გავუტოლდებით. გარდა ამისა, ძალიან უხეშია, ავყია და ბილწი ენის პატრონი. მაგრამ, აჰა, აგერ თურმე როგორი ყოფილა. ესეც თქვენი კონროი, წიგნებშიც ერკვევა და მუსიკაშიც. მეგონა, ასეთ წიგნებს როულისთანა აუტანელი ტიპები კითხულობდნენ, ანდა ისეთი ღირსეული მოხუცები, როგორც მისტერ ვან ჰუიტენია. რატომღაც ვერ წარმომიდგენია, რომ ისეთ კაცს, რომელსაც ლუდი და ბილწი ამბები უყ-

ვარს, ასეთი რამეებით გატაცება შეეძლოს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე მეგონა. მოკლედ, ჩვენი კონროი, ინტელექტუალური ადამიანი ყოფილა.

— ჯანდაბას შენი თავი, კონროი, შენგან ასეთი რამე არასოდეს გამიგონია.

— მართალია, არ გაგიგონია, იმიტომ რომ, როცა შენა მხედავ, ყოველთვის ფხიზელი ვარ, ახლა კი შექეიფიანებული გახლავარ. ძალიან მთვრალი არა, მაგრამ კარგა გვარიანად შექეიფიანებული, იმდენად, რომ არაფერს დაგიდევ. ზოგს, რომ დათვრება, ჩხუბი უყვარს, ზოგი ქალებისაკენ იწევს, სულერთია, როგორიც გინდა იყოს. ოლონდ ქალი ერქვას. ზოგიც ღობის ძირში გორაობს, მე კი ყბედობას ვიწყებ. რაც უფრო მეტს ვსვამ, უფრო მეტსა ვყბედობ... ვყბედობ და ვყბედობ.

კონროი ჭიქას ცლის და თითქოს სინანულით შესცქერის, მერე კი უცებ ისეთ რამეს მეუბნება, გაოცებისაგან პირს ვაღებ.

— შენთვის ჩემ ცოლზე თუ მითქვამს რამე, ბრაუნ?

ისე ვარ გაშტერებული, ხმას ვერ ვიღებ. თვითონ კი არც ისე მთვრალია, ვერ შემამჩნიოს.

— ისე კი არა ღირდა ჩემი ოჯახური ამბების გამომზეურება.

— არც კი ვიცოდი, ცოლი თუ გყავდა.

— ახლა არცა მყავს. — მეუბნება. — შენს გარდა ყველას ჰგონია, რომ ცოლი არცა მყოლია. მაგრამ თუ ვინმესთან კრიზტი დაგიძრავს, იცოდე ვერ გადამირჩები.

— რას ამბობ, ხმას როგორ ამოვიღებ, მაგაზე ნურც იფიქრებ.

— ურიგო ბიჭი არა ხარ, ბრაუნი... — იგი ბარისაკენ იხედება, გეგონება ფიქრობს, კიდევ ვიყიდო ლუდი თუ არაო. უცებ სკამს უკან სწევს და ფეხზე დგება: — წავედი. ერთი ძმაკაცი მყავს სანახავი. — ამბობს და ხალხში ერევა.

## II

ცოტა ხნის შემდეგ უკვე საცეკვაო დარბაზის კარებში ვდგავარ. ჩემგან ოდნავ მოშორებით ინგრიდს ვამჩნევ, ქობაზე ლურჯყვავილებმოვლებული ყვითელი კაბა აცვია და ოქროსფერი საცეკვაო ფეხსაცმელები. მართლაც რომ მოხდენილი გოგოა. გული მწყდება რომ აღარ მიყვარს. ერთ-ორ წუთს ისე ვუყურებ, მერე, გეგონება, ვინმემ ხელი მკრაო, ვუახლოვდები და ვეუბნები, ჩემთან იცეკვე-მეთქი. მხოლოდ მაშინ მისწორებს თვალს, როცა საცეკვაოდ მომყვება და მერე ცეკვის

დროს, მთელი ათი წუთი ზედაც არ მიყურებს. ლაპარაკითაც თითქმის არ ვლაპარაკობთ.

ორკესტრი ნელ ვალსს უკრავს, სინათლეც მკრთალად ანათებს. ვგრძნობ, როგორ მსიამოვნებს ინგრიდთან ახლოს ყოფნა. სხვასაც ვგრძნობ, როგორ მიცემს გული და როგორ მეკვრის სუნთქვა — გეგონება მთის მწვერვალზე ვიყო. სწორედ ასე მემართება ხოლმე, როცა ჟურნალში შიშველი ქალების სურათებს ვუყურებ. ხელი მის ზურგზე მიდევს, ზუსტად ლიფის შესაკრავზე. ხელს დაბლა ვაცურებ და ინგრიდს უფრო მაგრად ვიკრავ. იგი მაინც არ მიყურებს და არც არაფერს მეუბნება, თითქოს უცხო ვინმე ვიყო.

აღარ ვიცი რა ვქნა. აქამდე ჩემ თავს სულ იმას ვეუბნებოდი, აღარ მიყვარს-მეთქი, ახლა კი ისევ მენატრება, შაგრამ ძველებურად არა. წინათ რას არ მივცემდი, ოღონდ აი, ასე ყოფილიყო ჩემს გვერდით, ახლა კი ისე მინდა, როგორც ის შიშველი ქალები, ჟურნალში რომ ხატავენ. ისე გამოდის, მაინცა და მაინც ინგრიდი კი არ მინდა... არ ვიცი, როგორ გაგაგებინოთ.

იქნებ მხოლოდ ამიტომ და იქნებ იმიტომაც, რომ არ მინდა უზრდელად მოვიქცე, ვფიქრობ სახლში გავაცილო თუ არა-მეთქი. ბოლოს და ბოლოს თითქმის გადაწყვეტილი მქონდა, რომ მე და ინგრიდი აქ ერთად მოვსულიყავით. ახლა კი აი, მარტო მივიდა. მაგრამ როცა ცეკვა მთავრდება, ვფიქრობ, უკეთესი იქნება თუ გაცილებაზე ჯერჯერობით არაფერს ვეტყვი-მეთქი. თუკი დამთავრებისას ისევ შევხვდები და ისევ მარტო იქნება, მაშინ იქნებ შევთავაზო გაგაცილებ-მეთქი. ღარწმუნებული მაინც არა ვარ. ვერ გაგიგია სინამდვილეში რასა ვგრძნობ. აი ახლა, როცა ვუყურებ, გული მწყდება, რომ ასე დავშორდი.

ბარს ხურავენ და მალე კოშკის საათიც შუაღამეს რეკავს. ხალხი ნელ-ნელა იშლება, მხიარულებაც კლებულობს. ზოგიერთი გარდერობში მიდის, რომ ვიდრე ყველა მიაწყდება, პალტოების აღება მოასწროს. გარდერობიდან რომ გამოვდივარ, მესმის როგორ მღერიან შოტლანდიურ გამოსათხოვარ სიმღერას. ბოლოს კი ორკესტრი ჰიმნს უკრავს.

ჩემთან ჯიმი მოდის.

— სახლში რითი მიდიხარ?

— საკუთარი ფეხებით. დღეს ჩემი შოფერი ისვენებს.

— მილერს გარეთ მანქანა უყენია. მე და პოლინი მივყევართ სახლში. მითხრა, წადი ნახე თუ ვინმეს კიდევ უნდა წამოსვლაო. წამო, ბარემ შენ წაგიყვანთ.

თან თითქოს ინგრიდს ვეძებ, თუმცა მაინცდამაინც გულდაგულ არა. ამიტომ ჯიმს ფოიესაკენ მივყვები. იქ ის წითურთმიანი მემანქანე გოგო პოლინ ლოურენსი ელოდება მილერთან და მის ცოლთან ერთად. ამ გოგოს ჯიმი, როგორც ჩანს, ამ საღამოს დაუმეგობრდა.

— ოჰ, ვიკ, — მეუბნება მილერი. — ჩვენთან ერთად მოდიხარ? ძალიან კარგი. ჩემ ცოლს არ იცნობ? ვიკ ბრაუნი, ჩვენი ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდათაგანი.

მისის მილერს ვეცნობი, არც თუ ისე ლამაზი ქალია. თანაც საკმაოდ ჩასუქებული. ყველანი მანქანისაკენ მივდივართ.

მილერის მანქანა დიდი, მოყავისფრო-მოყვითალო „ლანჩესტერის“ ომამდელი მოდელია. ალბათ სადმე ჩალის ფაცად იყიდა. მილერი ერთ-იმათთაგანია, ვისაც ასეთი ჯაბახანა მანქანები უყვარს, აქაო და ძალიან დამჯერე მანქანებია და თანაც თვალში არავის ეცემაო. მე უკან ვჯდები ჯიმისთან და პოლინთან ერთად. ჯიმი თავს მშვენივრად გრძნობს. პოლინს მაშინვე ხელს ხვევს და პოლინიც ისე ეკრობა და ეტმასნება, გეგონება მთელი სიცოცხლე მეტი არაფერი უკეთებიაო. მილერი წინა ქარსაფარ მინას ჩვრით წმენდს და თავისი ქალბატონის გვერდით ჯდება.

— მანდ უკან როგორა ხართ? — გვეკითხება და ძრავას რთავს.

— მშვენივრად. — ვეუბნები. — ეგ არის, რომ ზედმეტი ვარ. იმედი მაქვს ამ ორი შეყვარებული მტრედის გამო მე არ მაგებინებთ პასუხს?

— იქით მიბრუნდი, იქნებ წათვლიმო. — მეუბნება ჯიმი.

პოლინი ხითხითებს. მისის მილერი უკან იხედება და იცინის. ურიგო ქალი არ უნდა იყოს. მაგრამ არც მილერია ცუდი ბიჭი, იგი ტრიალდება და რატუშის გამოსასვლელს უყურებს.

— ერთი წუთით, — ამბობს და უცებ მანქანიდან გადადის, ძრავას კი ჩართულს ტოვებს. მალე თვალს ეფარება. რამდენიმე წუთის შემდეგ უკანვე ბრუნდება, ოღონდ უკვე ვილაცასთან ერთად. უკანა კარებს აღებს და ამბობს:

— აჰა, ახლა ერთნაირად იქნებით.

გოგო თავს ხრის და მანქანაში შემოდის, იქით ვიწევი და ადგილს ვუთმობ, თან ვფიქრობ, ნეტავი ვინ უნდა იყოს-მეთქი. მერე უცებ გულ ბაგა-ბუგს მიწყებს, ეს გოგო ინგრიდია.

— ახლა ეშმაკიც ვერ გაარჩევს, ვინ ვის უზის მუხლებზე. — ამბობს ჯიმი. ცოტათი ტრიალდება, რომ უფრო მოხერხებულად დავსხდეთ,

პოლინი კი უფრო მჭიდროდ ეკვრის. ნეტავი გამაგებინა, რამდენი ხანია, რაც ასე არიან; მაშ, გამოდის, ჩვენი ჯიმი ძალიან გულჩახვეული ბიჭი ყოფილა, ერთხელაც არ დასცდენია რამე. თუმცა არც მე ვარ ნაკლები, არც მე მითქვამს ინგრიდზე არაფერი.

— მერე და რა მნიშვნელობა აქვს? ჩვენ ხომ ყველანი მეგობრები ვართ. — ამბობს მილერი.

მანქანების სადგომს ვშორდებით, დაღმართში ჩავდივართ და სავაჭრო ცენტრს ვუახლოვდებით. მილერი მაინცდამაინც კარგად ვერ მართავს მანქანას. ძალიან დაძაბულია და ისე აწყდება აქეთ-იქით, გეგონება, ვერ გადაუწყვეტია, საით წავიდესო. რამდენიმე ვიტრინა ჯერ კიდევ განათებულია, ისე კი ადამიანი არ ჭაჭანებს. მილერი ცდილობს რამე საერთო საუბარი წამოიწყოს, მაგრამ მერე ამ ცდაზე ხელს იღებს და თავის ცოლს ემუსაიფება. უკან სიწყნარეა. ჯიმი და პოლინი გახურებულ ხვევნა-კოცნაში არიან. ვერ გეტყვით, ისევ იმ კოცნას აგრძელებენ, მანქანის დაძვრისას რომ დაიწყეს, თუ მეორეს შეუდგნენ. ცოტას ვიშმუშნები და მერე ინგრიდს ვეკითხები, კარგად თუ ზიხარ-მეთქი.

— კი, კარგად. — მეუბნება.

ძალიან ახლოს ვსხედვართ, თითქმის ჩახუტებულები. რას იზამ, სხვა გზა არ არის. ისევ ის გრძნობა მეუფლება, როგორც მაშინ, ერთად რომ ვცეკვავდით. ოღონდ ახლა თითქოს უფრო მარტონი ვართ. მილერი და მისი ცოლი ჩვენსკენ ზურგით სხედან, ჯიმს და პოლინს კი ჩვენთვის არ სცალიათ. ბნელა, ჩემი ფეხი მის ფეხს ხვდება, ლამის სახითაც ვეხებით ერთმანეთს.

— ერთი ამათ შეხედე, რა დღეში არიან. — ვეუბნები.

— მე მგონი ძალიან კარგად გრძნობენ თავს.

ოდნავ ადგილს ვინაცვლებ, ვითომ მინდა უფრო მოხერხებულად მოვეწყო და ხელს მისი სავარძლის საზურგეზე ვდებ. მხარზე ვეხები და ჩემსკენ ვწევ. პირველად ისე იქცევა, გეგონება არ უნდაო. მაგრამ მერე მემორჩილება და თავს ჩემსკენ წევს, ტუჩებით მის ყელს ვწვდები, ყურს ქვემოთ. რამოდენიმე წამში თავისუფალი ხელით მის სახეს ჩემსკენ ვატრიალებ და ვკოცნი. არ მეურჩება, მაგრამ საპასუხოდ არ მკოცნის. მე ინგრიდსა და ჯიმს შუა ვზივარ, ისე რომ ისინი კიდეც რომ იყურებოდნენ ჩვენსკენ, ინგრიდს მაინც ვერ დაინახავენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, არ იხედებიან. ხელს პალტოში ვუძვრენ და მერე ნელა კაბის ქვეშ ვუცურებ. რამდენიმე წამში ინგრიდიც იღვიძებს და საპასუხოდ მეალერსება. მაშინვე ჩვენი უკანასკნელი პაემანი მაგონდება

პარკში, და გული მელევა, ისე მინდა ვიცოდე, კიდევ როდის გამეორდება.

— როდის გნახო? — ჩავჩურჩულებ ყურში.

— მეგონა, ჩემი ნახვა აღარ გინდოდა.

— როგორ არა... როდის გნახო? ხვალ?

— არა. ხვალ არა.

— მაშ როდის? ზეგ?

ცოტა ხანს ჩუმად არის.

— კარგი.

— რომელიმემ იცით სადა ვართ? — მეკითხება მილერი. — ჯობია ყურადღებით იყოთ, მე აქეთ-იქით საცქერლად არა მცალია. თუ თქვენ სახლებს გავცდით, ან ფეხით მოგიხდებათ დაბრუნება ან ჩემ ფარდულში გაათევთ ღამეს, ბაღში.

ჯიმი პოლინს შორდება და ფანჯრიდან იყურება.

— შემდეგ გზაჯვარედინზე მარცხნივ გაუხვიე, — ამბობს იგი. — მერე მარცხნივ ასე ორასი იარდი უნდა გაიარო, სანამ ეკლესიასთან მიხვიდოდე.

— იქ რომელი ცხოვრობთ?

— ჩვენ ჩამოვალთ. პოლინს მე მივაცილებ სახლამდე.

— პოლინ, შენ თავს ანდობ? — ეკითხება მილერი.

— თავს თუ... — ბილწად ხითხითებს ჯიმი.

— მაშინ თქვენ საქმეში ნუ გაგვრევთ. — ამბობს მილერი. — ჩემო კარგო, როგორც კი მანქანიდან მაგ მგელთან ერთად გადახვალ, რომლის გვარიც სლეიდია, შენ თავზე თვითონვე აგებ პასუხს.

— რას იზამ, უნდა გავრისკო.

— კარგი, ეგრე იყოს. — ამბობს მილერი და მარცხნივ უხვევს. მანქანას ქუჩის ბოლოს აჩერებს, იქ, სადაც ჯიმმა უთხრა, და ჩუმად ამთქნარებს. — ათასნაირი ფიქრი მოგდის თავში, როცა გარშემო ყველას სძინავს, შენ კი მანქანას მართავ.

— მაინც რა ფიქრები? — ვეკითხები.

— რა და ის, რომ შენც კარგა ხანია ლოგინში უნდა იწვე.

— კარგი, ჯეკ, გეყოფა. მშვენიერი დრო გაატარე. მე მგონი ყველა კმაყოფილია, არა? — ამბობს მისის მილერი და ჩვენსკენ ტრიალდება. ყველანი ვეთანხმებით.

— მე მგონი. ასეთი საღამოები ყოველ თვეში უნდა იმართებოდეს. — ამბობს პოლინი.

— ღმერთმა დაგვიფაროს. — ამბობს მილერი. — ხვალ ნახე რამდენი შოვა საშსახურში გაბრუებული და თავატკიებული.

— კონროის სიმღერაზე რას იტყვი? — ვეკითხები.

— ცოტა კი გაგვამხიარულა. — ამბობს მილერი. — ისე, მართალი ვითხრა, მაგისაგან არ მოველოდი.

— ალბათ ცოტა ზედმეტი დალია, — ამბობს ინგრიდი. — ძალიან მთვრალი იყო.

— სანაძლეოზე იმღერა. ლუისმა ერთი გირვანქა მისცა.

მილერი ჩემსკენ ტრიალდება:

— ნუთუ მართლა, ვიკ?

— თვითონ ვნახე, ფული რომ გამოართვა. ლუისს უნდოდა ათ შილინგად გადარჩენილიყო, მაგრამ კონროიმ გირვანქა გამოართვა. იმ ფულით ლუდზე დამპატიჟა. — მას შემდეგ, რაც ორკესტრთან ერთად იმღერა. რატომღაც მეამაყება კიდეც, რომ კონროისთან ერთად დავლიე.

— შენ და კონროი ერთად სვამდით? — ამბობს ჯიმი. — ამას კი აღარ ვიფიქრებდი.

— არც ისეთი ურიგო ბიჭია, თუ ახლოს გაეცნობი. ბარში კარგა ბლომად ვისაუბრეთ. სანაძლეო, რომ არც ერთმა არ იცით... — უცებ ვჩუმდები, იმიტომ რომ კინაღამ წამომცდა ცოლიანია-მეთქი. მე კი სიტყვა მივეცი კრინტს არსად დავძრავდი. — რომ წიგნებში და მუსიკაში ძალიან კარგად ერკვევა. — ვუმატებ, რომ შეცდომა გამოვასწორო. — უფრო მეტი იცის, ვიდრე როულიმ, ოღონდ ეგ არის, საქვეყნოდ არ აცხადებს.

— ვერც ერთს ვერ ვიტან. — ამბობს ინგრიდი. — კენ როულინსონი საშინელი სნობია. კონროი კი — ცხოველი.

გამოდის, რომ ვსხედვართ და ვჭორაობთ. მილერი უცებ გვაჩუმებს.

— აბა. გვრიტებო, გადადით. გამიშვით ეს ბებერი კაცი სახლში და გამოძინება მაცალეთ.

— რას ამბობთ, მისტერ მილერ, — ამბობს პოლინი. — სულაც არა ხართ ბებერი.

— როგორ თავს მიქონავს, — ამბობს მილერი, თავისი ქალბატონის მხარს ზემოთ ხელს იწვდის და ჯიმს და პოლინს კარს უღებს. ისინი გადადიან და ღამე მშვიდობისაო, მოგვძახიან.

— აი, ამათ კი ნამდვილად კარგი დრო გაატარეს. — ამბობს მილერი. მისის მილერი მაშინვე ეკითხება, დიდი ხანია რაც ერთად დადიანო.

— რა ვიცი, ერთმანეთს თუ იცნობდნენ, არც მეგონა.

— დღევანდელ საღამომდე მგონი ერთმანეთს ხეირიანად არც დალაპარაკებიან. — ამბობს ინგრიდი.

— მართლა? — ამბობს მილერი. — მაშ, გამოდის რომ ეს საღამოები ჩვენ თანამშრომლებს მართლაც აახლოებს.

ცოტა ხნის შემდეგ მილერი გვეკითხება:

— თქვენ სადღა ჩამოგსხათ?

— აი, შემდეგ შუქნიშანთან თუ მარჯვნივ გაუხვევ, ზედ სახლის კარებთან მიმიყვან, — ვეუბნები.

— შენა, ინგრიდ?

— მე, ვიკს რომ ჩამოსვამთ, მაშინ გეტყვით.

— ჯეკ, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე გაგიგრძელეთ გზა. — ვეუბნები მილერს.

— არაფერია. პარასკევს ხელფასიდან გამოგიქვითავ.

ჩემს ქუჩაზე რომ ვუხვევთ, ინგრიდს ჩემსკენ ვწევ და ვეკითხები:

— მაშ პარასკევს, არა?

— ჰო!

მანქანა ჩერდება და მე გადმოვდივარ. თავს ვხრი და ყველას ვემშვიდობები.

— გმადლობთ, რომ წამომიყვანე, ჯეკ! ძალიან დიდი მადლობა. ღამე მშვიდობისა. ინგრიდ. ღამე მშვიდობისა, მისის მილერ.

მიმავალ მანქანას თვალს ვაყოლებ, ფარების შუქზე გამოშვებული კვამლი ვარდისფრად მოჩანს. ჯიბიდან გასაღებს ვიღებ და ბილიკს მივყვები. როცა მაგონდება, რომ პარასკევს ინგრიდს უნდა შევხვდე, აღელვებისაგან სუნთქვა მეკვრის. მახსოვს, ბოლო პაემანის შემდეგ თავს როგორ ვგრძნობდი, მაგრამ ახლა რატომღაც ყველაფერი სხვანაირად მეჩვენება და აღარც მინდა ამაზე ვიფიქრო. მარტო ის მიტრიალებს თავში, ისევ რომ უნდა შევხვდე და მერე რაც მოხდება, აღარ მენაღვლება.

## III

ჩვენი მეჯლისის შემდეგ ალბათ უკვე ორი კვირა გავიდა. კონროი არა ჩანს და არც არავინ იცის სად არის. მერე მოდის ჩვეულებრივ და დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე ჰესოპთან შედის, თითქმის ნახევარი საათი იქა ზის, ალბათ რაღაცაზე ლაპარაკობენ. კოლინ ლაისტერდაიკს ჰესოპთან ჩაი შეაქვს და გვეუბნება, გავიგონე, ჰესოპი კონ-

როის როგორ ეუბნებოდა, რა ვქნა, რადგან ასე გადაგიწყვეტიათ, მე როგორღა გადაგათქმევინოთო. ეჭვი არ არის, კონროიმ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება შეიტანა.

გარეგნულად ყველაფერი ისევ ძველებურადაა. კონროი გასუსულია, ხმას არ იღებს. მომდევნო კვირის პარასკევს ჯეკ ლუისი ყველასთან მიდის ყუთითა და სიით, ფულს აგროვებს კონროის გამოსათხოვარი საჩუქრისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბავს, რომ კონროი მაინცადამაინც ბევრს არ ეხატება გულზე, ფული მაინც კარგა ბლომად მოგროვდა. ჩვენმა ბებერმა ჰესოპმაც კი გაიმეტა ნახევარი გირვანქა. ორ შილინგზე მეტს არაფრით არ გადაიხდიდა, მაგრამ ლუისმა იეშმაკა, ის სია დამალა, სადაც ჩვენი ხელმოწერა იყო.

კიდევ ერთი კვირა და კონროი გვტოვებს. მთელი დღე განყოფილებიდან განყოფილებაში დადის და ვისაც კი იცნობს, ყველას ემშვიდობება. დაახლოებით ხუთ საათზე ჰესოპის კაბინეტში პატარა გამოსათხოვარ ცერემონიალს ვმართავთ. კონროის საჩუქრად ერთნაირ ავტომატურ კალამსა და ფანქარს ვაძლევთ. მერე ჰესოპი პატარა სიტყვას ამბობს: კონროი ძალიან მოგვაკლდებაო, ყველანი უხერხულად ვგრძნობთ თავს და ვნატრობთ, ჰესოპმა ნალე მოკეტოს, იმიტომ რომ ყველამ ვიცით. თავისი სიტყვებისა თვითონვე არა სჯერა. კალამსა და ფანქარზე მოოქრული ასოებით კონროის სახელი და გვარი წარწერილი; კონროის, ცოტა არ იყოს, გული უჩუყდება, როცა საჩუქარს ღებულობს. ერთი-ორჯერ ნერწყვს ყლაპავს და მერე როგორღაც ახერხებს:

— დიდი მადლობა, ბიჭებო. ეს კარგი რამეა, აი...

ყველაფერი ამით მთავრდება. ხუთიოდე წუთის შემდეგ თავის წიგნებსა და სახაზავ მოწყობილობას აგროვებს, პატარა პორტფელში დებს და წასასვლელად ემზადება.

მერე ჩემთან მოდის და ხელს მართმევს:

— მაშ ასე, ნახვამდის, ბრაუნ.

— ნახვამდის, კონროი. ყოველივე კარგს გისურვებ.

— ქალებს უფრთხილდი და ლუდსაც ნუ მიეძალები.

— შევეცდები.

— აი, ეგ მომწონს და Nil illegitimum.

— ეგ რას ნიშნავს?

— Nil illegitimum carborundum, — ამბობს კონროი, — ნურც ერთ ოხერს ნუ დაეჩაგვრინები.

მე ვიცინი:

— კარგი, ფრთხილად ვიქნები.

მერე კონროი მიდის, გასაოცარი კია, მაგრამ როცა კარებში გადის, ყელში ბურთივით რაღაც მეცობა. სულ ახლახან შევიცანი კონროი, ნამდვილი კონროი, თავისი ჩვეული მასხარაობისა და ბაქიაობის გარეშე. სრულიად შესაძლებელი იყო, რომ კარგი მეგობრები გავმხდარიყავით სკამზე ვზივარ და მის ცარიელ სახაზავ დაფას შევცქერი. მერე ლუისს, როულის, უიმპერსა და დანარჩენებს ვუყურებ. ეჰ, ჩვენი კონროის გარეშე ის აღარ იქნება, რაც იყო. თუმცა ამ ბოლო ხანებში მაინც სხვაგვარად იყო ყველაფერი. ხელში მასშტაბურ სახაზავს ვატრიალებ. დღეს მუშაობას გულს ვეღარ დავუდებ. ყველაფერი ყელში ამომივიდა. ვინ იცის, იქნებ სამუშაოს გამოცვლამ მეც მიშველოს.

## IV

ამას კიდევ ჩემი და ინგრიდის ამბავი ემატება. მეჯლისის შემდეგ სამჯერ თუ ოთხჯერ შევხვდი და ყოველთვის, როცა ვშორდები, ვფიქრობ ეს უკანასკნელი შეხვედრაა-მეთქი. სულაც არ მენაღვლება თუ მეტს ვერასოდეს ვეღარ ვნახავ. მერე ერთ მშვენიერ დღეს თვალს მოვკრავ, ისევ ავირევი და ყველაფერი თავიდან იწყება. ჩემის მხრივ სიყვარული არაფერ შუაშია და მაშინაც კი, როცა ერთი სული მაქვს შევხვდე. მაინცადამაინც ძალიან არ მომწონს. სწორედ ამიტომ საზიზღრად ვგრძნობ თავს, მაგრამ როცა ვშორდები, მაშინ მთლად გული მერევა. ვფიქრობ ხოლმე, აი, ახლა კი ვეტყვი ყველაფერს, ვეტყვი, ასეთი შეხვედრები უსინდისობაა და მეტი არაფერი-მეთქი. მაგრამ არასოდეს ამას არ ვაკეთებ, იმიტომ რომ ახსნა-განმარტების თავი არა მაქვს. მისი ნახვა როცა მომინდება, ჩემ თავს ვეუბნები, ინგრიდს ვუყვარვარ და სულ არარაობას ურჩევნია აი, ასე მაინც შემხვდეს-მეთქი. აი, ასე მაქვს ყველაფერი არეულ-დარეული.

# თავი მეორე

## I

შაბათ დილით მაღაზიაში მივდივარ და ვხედავ, ჰენრი მაღაზიის წინ ტროტუარზე დამდგარა, მისტერ ვან ჰუიტენი კი არსადა ჩანს.

— გუშინ რაღაც კარგად ვერ იყო. — მეუბნება ჰენრი, როცა ვეკი-

თხები. რა მოხდა-მეთქი. — ამ რამდენიმე დღის წინათ, წვიმაში მოყვა და თქვა. ალბათ. გავცივდიო.

— ვინ უვლის?

— თავის თავს თვითონვე უვლის, კვირაში ორჯერ თუ სამჯერ ქალი მიდის და ულაგებს ხოლმე. ისე კი მარტო ცხოვრობს. საწყალი მოხუცი! მე კი ვიცი, რა მწარეა, როცა გრიპი გაქვს და არავინ პატრონი არა გყავს.

— კი მაგრამ, ეგრე შეიძლება სულიც განუტევოს და ვერავინ გაიგოს, — ვეუბნები ჰენრის.

ჰენრი ასანთს კრავს და სიგარეტს უკიდებს.

— ასეა, როცა მოხუცი ხარ და თანაც მთლად მარტო ამ ქვეყანაზე.

ამაზე რა ვუპასუხო, არ ვიცი. რაღაც არ მაგონდება, რომ ადრე მისტერ ვან ჰუიტენს ეავადმყოფოს. რასაკვირველია. ვიცოდი, რომ მისტერ ვან ჰუიტენი მოხუცია, მაგრამ მისი ავადმყოფობა ან სიკვდილი არასოდეს მომსვლია თავში.

— ახლა რა ვქნათ? მთელი დილა აქ ხომ არ ვიდგებით. სადაც არის მუშტრებიც გამოჩნდებიან.

ჰენრი თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს:

— მე კი ერთი-ორი რადიომიმღები მაქვს პატრონებთან მისატანი.

ერთ-ორ წუთს რაღაცაზე ფიქრობს, მერე მეუბნება:

— ჯობია წავიდე და ვნახო, როგორ არის.

— გინდა მეც წამოვიდე?

— არა, არ არის საჭირო. დიდხანს არ დავრჩები. თუ მეტს ვერაფერს გავაკეთებ, ის რადიომიმღებები ხომ მაინც უნდა ჩავაბარო პატრონებს, — ჰენრი საბარგო მანქანასთან მიდის. წინა ღამით თურმე თავის გარაჟში ეყენა.

— როგორ, მაღაზია მთელი დღე დაკეტილი უნდა იყოს?

— ამას წინათ, ავად რომ იყო, არ გაგვიღია. არავინ იყო, რომ მუშტრები გაესტუმრებინა.

— ახლა ხომ არის? — ვეუბნები. — ყური მიგდე, ჰენრი, უთხარი, ვიქტორი მარტო მუშაობას მოახერხებს-თქო. შაბათს მაღაზიის დაკეტვა არ იქნება, დღევანდელ დღეს ყველაზე გახურებული ვაჭრობაა ხოლმე. ძალიან ბევრს იზარალებს. ჯერ მარტო ფირფიტებზე ოცდაათორმოც გირვანქას მაინც დაკარგავს.

ჰენრი მანქანაზე ადის, მე მკლავში ხელს ვავლებ:

— მე დახლსა და სალაროს მივხედავ, შენ მიმღებებს უჩვენებ. ერთი დღე რომ შეკეთებას თავი მიანებო, არაფერი უჭირს.

ჰენრი სიგარეტის ნამწვავს აფურთხებს და კაბინაში ჯდება.

— ვნახოთ, რას იტყვის.

თითქმის ნახევარი საათი გავიდა, ჰენრი კი არა ჩანს. მე თითქოს ეკლებზე ვზივარ, მაღაზიის წინ გამალებული ბოლთასა ვცემ. ალბათ, ჰენრიმ, როგორც საჭიროა, ისე ვერ უთხრა. სჯობდა წავსულიყავი და თვითონვე მოვლაპარაკებოდი. გული მიკვდება, როცა წარმოვიდგენ, რომ მაღაზია მთელი დღე დაკეტილი უნდა იყოს და ამდენი ზარალი უნდა მოგვივიდეს.

მაღაზიის კართან ერთი შუახნის კაცი მიდის და გაღებას ლამობს.

— დღეს არ აღებენ?

— ნახევარ საათში, — ვეუბნები. — მისტერ ვან ჰუიტენი ცოტა უქეიფოდ არის, თუ ისევ შემოივლით ნახევარ საათში, ღია იქნება. — კაცი დგას და რაღაცაზე ფიქრობს.

— ჩემმა ქალიშვილმა საქმე გამიჭირა, მომავალ კვირას მისი დაბადების დღეა. პირდაპირ გიჟდება ამ ავტომატურ ფირსაკრავებზე. მინდოდა საჩუქრად მეყიდა... არ ვიცოდი აქ მოვსულიყავი თუ ნორტონთან. იმათაც საკმაო აქვთ ვიტრინები ფირსაკრავებითა და ტელევიზორებით.

— ჩვენთან ყველაფერია. შეგვიძლია შემოგთავაზოთ შემდეგი მარკის ფირსაკრავები: ჰ. მ. ვ., კ. ბ., ბუში...

ლამის ამ კაცს ხელი ვტაცო და სანამ ჰენრი მოვა, კარებზე მივაბა. კაცი თავს მიქნევს:

— კარგით... ცოტას გავივლი და მოვბრუნდები. — უკვე ვხედავ როგორ შედის ნორტონის მაღაზიაში, ის აუტანელი გამყიდველი როგორ ევლება თავს და ხელიდან არ უშვებს. სწორედ ამ დროს ჰენრიც მოდის თავისი მანქანით.

— ერთ წუთს თუ მოიცდით... — ვეუბნები და ჰენრისთან გავრბივარ.

— რა თქვა?

— კარგიო, ვააღეთ და იმუშავეთო. პირველად მაინცადამაინც არ ესიამოვნა.

სიხარულისაგან ვიბადრები:

— აი, უკვე მუშტარიცა გვყავს, მომე გასაღები. — კარს ვაღებ და ვიდრე ის კაცი კიდევ სადმე წასვლას იფიქრებდეს, მაღაზიაში შემყავს. მე და ჰენრი ყველა ფირსაკრავს ვუჩვენებთ, რაც კი მაღაზიაში ან საწყობშია. ჰენრის მუჯლუგუნს ვკრავ და ისიც იწყებს, მაგრამ რას იწყებს:

ენერგიის მოხმარებაო, დინამიკების დიაპაზონიო, მოკლედ, მე მაგდენი აღარ მესმის. ეტყობა, არც ჩვენ მუშტარს უნდა ესმოდეს, იმიტომ რომ ჰენრის ლაპარაკი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ალბათ, ფიქრობს, აი, მაღაზია, სადაც თავისი საქმე ესმითო.

ოციოდე წუთის შემდეგ ჩვენი მუშტარი არჩევანს ჰ. მ. ვ-ს მარკის კონსოლურ ფირსაკრავზე აჩერებს, რომელსაც თან ვ. ჰ. ფ-ს მარკის რადიო ახლავს. მე ნისიად ყიდვის პირობებს ვუყენებ და ათას რაღაცას მივედ-მოვედები, მაგრამ კინაღამ შეცდომას ვუშვებ. როგორც ჩანს, ეს ბიძა კარგად ვერ შევაფასე. ერთხანს მისმენს, მერე ჯიბიდან ფულების შეკვრას იღებს და მეუბნება:

— ნაღდ ანგარიშზე მინდა.

არც მეტი და არც ნაკლები. ხელები ისე მიცახცახებს, ფულს ძლივს ვითვლი.

— როდის გამომიგზავნით? — მეკითხება, როცა ანგარიშს ვუწერ.

— როცა გნებავთ.

— კარგით. — ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცას წერს და მაძლევს. — აი, მისამართი. ოთხშაბათ დილით გამომიგზავნეთ. არავითარ შემთხვევაში მაგაზე ადრე არ მინდა. სწორედ ოთხშაბათს მინდა მოიტანონ.

ქაღალდს თვალს ვავლებ.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ, მისტერ უეინრაიტ. — დახლიდან გამოვდივარ და კარებამდე ვაცილებ. — დიდი მადლობა, კარგად ბრძანდებოდეთ.

კარს ვხურავ თუ არა, უკანა ოთახში ჰენრისთან შევრბივარ, ჰენრის სამუშაო კომბინეზონი ჩაუცვია და ტელევიზორს უჩხიკინებს.

— სამოცდათხუთმეტი გინეა, ჰენრი, სამოცდათხუთმეტი მშვენიერი, კოხტა გინეა; შენ მაშინ ნახე, მისტერ ვან ჰუიტენს როცა ვეტყვით. ორი შეკვრა ნემსების მეტი რომ არაფერი გავყიდოთ, სადღეისოდ მაინც გვეყოფა.

ჰენრი სახრახნისს ტელევიზორის შიგნეულში ატრიალებს და თავს მიქნევს.

— ძალიან კარგია, მაგრამ ვაი, რომ ასე დიდხანს არ გასტანს.

ჰენრის თავს ვანებებ და ისევ მაღაზიაში გამოვდივარ. რასაკვირველია დღეს ორ შეკვრა ნემსებსაც გავყიდით და ბევრ სხვა რამესაც. სულ მალე გახურებული ვაჭრობა ჩაღდება, მომღერლებზე გადარეული მუშტრები ლამის დახლის უკან შემომიცვივდნენ. თაროებიდან ფირფიტების გადმოღებას ძლივს ვასწრებ და განუწყვეტლივ სალაროს ვაწკა-

რუნებ. საღამოს, როცა მაღაზიას ვკეტავ და ვან ჰუიტენთან გასაღების წაღებას ვაპირებ, უღმერთოდ ვარ დაღლილი. მაგრამ თავს მაინც ბედნიერადა ვგრძნობ.

## II

მისტერ ვან ჰუიტენი ბრამსის ფირფიტას უსმენს. ოთახში რომ შევდივარ, მანიშნებს, ვიდრე ფირფიტა არ დამთავრდება. ხმა არ ამოიღოო. მე მგონი, ბრამსი მისტერ ვან ჰუიტენის ყველაზე საყვარელი კომპოზიტორია. ერთხელ მითხრა, შეიძლება ბრამსი გენიალური მუსიკოსი არ იყოს, მაგრამ ჯერ არავის დაუწერია ისეთი მუსიკა, რომელიც ბრამსის მუსიკაზე მეტად გავდეს გენიალურსო. ამდენი უკვე აღარ მესმის, არც რიტმსა ვგრძნობ, არც მელოდიას, უკრავს და უკრავს, ალბათ, მეორედ მოსვლამდე დამთავრება არ ეღირსება.

ასე, სამიოდე საათის შემდეგ მუსიკა მთავრდება, მისტერ ვან ჰუიტენი ფირფიტას იღებს. აქამდე თითქმის კრინტიც არ დამიძრავს. მისტერ ვან ჰუიტენი კი ჩემგან ახალ ამბებს ელის. უპირველეს ყოვლისა ვეკითხები, როგორა ხართ-მეთქი. საერთოდ ისე არა მიშავს რა, მაგრამ ცოტა გაციებული ვარ და დღეს შინ დარჩენა ვამჯობინეო. ვეუბნები, როგორ გავყიდეთ ფირსაკრავი და დაწვრილებით ვუყვები იმდღევანდელი ვაჭრობის ამბებს, ყველაფერი ფურცელზე მაქვს ჩამოწერილი.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. — მეუბნება რამოდენიმეჯერ და თავს მიქნევს, ეტყობა, ძალიან ნასიამოვნებია.

— ხომ ხედავთ, რა კარგი ვქენით, რომ გავაღეთ, მისტერ ვან ჰუიტენ. ვიდრე ჰენრი მოვიდოდა, ეკლებზე ვიჯექი, უარი არ უთხრას-მეთქი.

ვან ჰუიტენი ბუხრის პირას თავის დიდ, ძველებურ სავარძელში ზის და მიყურებს.

— ესე იგი დღევანდელ ვაჭრობას შენთვის მნიშვნელობა ჰქონდა, არა, ვიქტორ?

— რასაკვირველია. აბა, შეხედეთ რამდენს ვიზარალებდით, თანაც ვინ იცის რამდენ ახალ მუშტარს დავკარგავდით, წავიდოდნენ ნორტონთან და ჩვენთან აღარასოდეს მოვიდოდნენ.

— სრული ჭეშმარიტებაა. — ამბობს მისტერ ვან ჰუიტენი. — მშვენივრად გიმუშავიათ, თანაც დღეს პირველად იყავი მთელი დღე მარტო მაღაზიაში. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ თავს გაართმევდი, თორემ სხვანაირად ჰენრის არც მივცემდი ნებას მაღაზია გაეღო.

სკამის საზურგეს ვეყრდნობი. მართლაც რომ უღმერთოდა ვარ დაღლილი, მისტერ ვან ჰუიტენი მამჩნევს:

— მაინცადამაინც არ გეწყინებოდა დაკეტვის დრო რომ მოახლოვდა, არა? — მეუბნება და მიღიმის.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ არა. მთელი დღე ერთი არ ჩამიმუხლია.

ამჯერად მისტერ ვან ჰუიტენი პასუხს არ მაძლევს, ეტყობა, რაღაცაზე ფიქრობს. ვსხედვართ ამ უზარმაზარ, მაღალჭერიან, ძველი ავეჯით გაწყობილ ოთახში. ძველებურ გრამოფონს უშველებელი მილი გამოუშვერია. ყველაფერი აქ როგორღაც ძველია და მოფამფალებული. მართალი გითხრათ, ასეთ ოთახში ვერაფრით ვერ ვიცხოვრებდი. ნეტავი გამაგებინა რატომ არ ეშვება მისტერ ვან ჰუიტენი ამ ძველ გრამოფონს, როცა მაღაზია უკანასკნელი მოდელის ელექტრული ფირსაკრავებითა აქვს გამოჭედილი. ალბათ საამისო მიზეზი აქვს. იდაყვებს საავარძლის სახელურზე აყრდნობს და თითის წვერები ერთმანეთთან მიაქვს. დიდი, შალის საშინაო ხალათი აცვია, ყელზე კი შარფი აქვს შემოხვეული. მაინცადამაინც კარგად ვერ გამოიყურება. კანი საოცრად გამჭვირვალე აქვს და სახეც ჩვეულებრივზე უფრო გამხდარი.

— შენი სამსახური როგორ მოგწონს, ვიქტორ? — მეკითხება უცებ.

მხრებს ვიჩეჩავ. არ მინდა ვაღიარო, მაგრამ მისტერ ვან ჰუიტენს ვერ მოვატყუებ.

— ისე, რა...

სათვალის ზემოდან შემომცქერის:

— ისე რა?

— პირველი ორი-სამი წელი ძალიან მომწონდა, მაგრამ ახლა, ამ ბოლო ხანებში... როგორღაც გული ავიყარე.

— იქნებ, უბრალოდ გარემოს შეცვლა გინდა? ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა გარემოს გამოცვლა აუცილებელია.

— არა მგონია ეგ იყოს მიზეზი, მისტერ ვან ჰუიტენ. უბრალოდ, მაგ სამუშაომ დამღალა. სულ სხვა რამ მინდა, სხვანაირ ხალხთან მინდა შეხვედრა.

— შაბათობით მაღაზიაში მუშაობა თუ მოგწონს?

— ძალიან, დიდებულია.

— ოდესმე თუ გიფიქრია მუდმივად ასეთ ადგილას გემუშაა?

ცოტა არ იყოს ვიბნევი.

— მართალი რომ გითხრათ, მისტერ ვან ჰუიტენ, აქ ხელფასი ცოტაა. ჩემი სპეციალობით წელიწადში, სულ ცოტა, ათასი გირვანქა მაინც

მექნება. თუ უფროს მხაზველად დამნიშნავენ, მაშინ უფრო მეტიც. გამყიდველები კი, ამბობენ, სამუშაოდ ფაბრიკებში მიდიან, რომ ცოტა მეტი ფული აიღონო.

იგი თავს მიქნევს:

— მართალია. უბრალო გამყიდველს ცოტა ფული ეძლევა. საქმეში ცოტა, როგორ გითხრა... რაღაც პროცენტი უნდა გქონდეს, რომ მუშაობა ღირდეს.

სავარძლის საზურგეს ეყრდნობა, ზურგს უკან დიდი ტორშერი უდგას, აბაჟურის ჩრდილი სახეზე ეფინება, და ამიტომ მისი სახე უფრო ღრმა ნაოჭებით მეჩვენება დაღარული.

— მოხუცებული კაცი ვარ, ვიქტორ. — მეუბნება იგი. — უფრო ხნიერი, ვიდრე შენა გგონივარ. ჩემი საქმე საკმაოდ კარგ შემოსავალს იძლევა. და ასე ალბათ კარგა ხანს გასტანს...— სახეზე ღიმილი ეფინება და აგრძელებს: — მიუხედავად ჰენრის პირქუში წინასწარმეტყველებისა... პირიქით, ვაჭრობის გაფართოებაც კი შეიძლება, მაგრამ სამაგისო ხნისა აღარა ვარ, უკვე მოვხუცდი. — ხაზს უსვამს. — თანაც აღარც ერთი ნათესავი აღარა მყავს. ბედმა არც შვილები მარგუნა. — ხელს მაღლა სწევს და აგრძელებს: — შეიძლება ჰოლანდიაში ერთი-ორი ბიძაშვილი ან გარე ბიძაშვილი მყავდეს, მაგრამ მე იმათ არ ვიცნობ და ისინი მე. — ერთი წუთით ჩერდება. — ზედმეტი არაფერი მინდა გითხრა, ვიქტორ, რადგან ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, სრულწლოვანი არც კი ხარ... მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ და შენი უნარისა და ხასიათისა მჯერა.

ეს სიტყვები მართლაც რომ გულს მიჩუყებს, გრძნობები მერევა, უცებ ინგრიდთან შეხვედრები მაგონდება და საშინლად მრცხვენია.

— საქმეს ძალიან სწრაფად აუღე ალღო, მიუხედავად იმისა, რომ კვირაში მხოლოდ ერთ დღეს მოდიხარ.

ერთი სული მაქვს გავიგო, რისი თქმა უნდა. ნუთუ მეტყვის, ჩემი მაღაზია შენ უნდა დაგიტოვოო. საშინლად ვღელავ და თითქოს მეშინია კიდეც. მისტერ ვან ჰუიტენი სავარძელში სწორდება და ცხვირს ხმაურით იხოცავს. მისი ცხვირსახოციდან წამოსული ევკალიპტის სუნი ნესტოებში მიღიტინებს.

— ახლა, ჩემო ვიქტორ, უპირველეს ყოვლისა საქმე იმაშია, რომ იძულებული ვარ მაღაზიაში მუდმივი დამხმარე ავიყვანო. ისეთი ვინმე

მინდა, ვისაც ვენდობი და ვინც მეყვარება. ერთხელაც იქნება, როდესაც სულ დავანებებ ვაჭრობას თავს და დავისვენებ, მთლიანად მივანდობ ჩემ საქმეს.

ახლა კი ვხვდები, იმ დროზე ლაპარაკობს, როცა ჩვენ გვერდით აღარ იქნება და აღარ ვიცი რა ვუპასუხო. აი, ასე დაგრევს ადამიანს ხელს სიმარტოვე. ასე გგონია, თუკი ოცნებას აიხდენ, და ისეთ ადამიანს იპოვი, როგორსაც ეძებდი, შენს სიმარტოვეს სამუდამოდ ბოლო მოეღება. მაგრამ საბოლოოდ. სიმარტოვე მაინც მოგეპარება და ასე იჯდები ძველისძველ სავარძელში, ძველ პირქუშ სახლში, მარტოდმარტო, იჯდები და დაელოდები,.როდის მოგივა აღსასრული. და ვინ იცის, იქნებ ეს არის ყველაზე საშინელი სიმარტოვე, იმიტომ რომ აღარაფრის იმედი აღარ დაგრჩენია.

მისტერ ვან ჰუიტენი ახველებს და ძალიან მორიდებულად მეკითხება:

— თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, ვიქტორ, ახლა ხელფასს რამდენს გაძლევენ?

ვეუბნები ჯერჯერობით კვირაში შვიდნახევარ გირვანქას მაძლევენ-მეთქი.

— მაგრამ თუკი იმ დროისათვის, როცა ოცდაერთი წელი შემისრულდება პროფკავშირების მოთხოვნა გაიმარჯვებს, თითქმის ათ გირვანქას მომცემენ.

— აგრე გგონია?

— თითქმის დარწმუნებული ვარ. ჩვენთან, ქარხანაში პროფკავშირი საკმაოდ ღონიერია და თითქმის ყველა ძველი მუშაკი პროფკავშირის მიერ დაწესებულ ხელფასს იღებს.

— მომავალში? კიდევ მოგიმატებენ?

— ვიდრე ოცდახუთი შემისრულდება. მაშინ დაახლოებით თოთხმეტ გირვანქა ნახევარს მომცემენ.

მისტერ ვან ჰუიტენი წარბებს მაღლა სწევს:

— თოთხმეტნახევარი... მერე კიდევ გემატებათ?

— რაც შეეხება პროფკავშირს, ამის შემდეგ უკვე აღარ ერევა. მაგრამ თუკი ფირმა ფიქრობს, რომ გეკუთვნის, ცოტას კიდევ წაგეიმატებენ. როგორც უკვე გითხარით, არის ისეთი თანამდებობები, სადაც წელიწადში ათასი გირვანქა ეძლევათ.

— ჰოოო... — თავს მიქნევს მისტერ ვან ჰუიტენი. — მხაზველების ხელფასზე წარმოდგენაც არა მქონდა. ყოველთვის მეგონა, ხელფასი

უნარსა და კვალიფიკაციას უნდა შეესაბამებოდეს-მეთქი. — იგი ახველ-ებს და ცხვირსახოცს ეძებს. ცხვირში ისევ ევკალიპტის სუნი მცემს. — მგონი, უკვე მიმიხვდი რისი თქმაც მინდოდა. როგორც გითხარი, ჯერ ადრეა რამის დაპირება და იმედის მოცემა. ახლა, უპირველეს ყოვლისა, რაც შეიძლება მალე, ისეთი დამხმარე მჭირდება, რომ მოვიდეს და მუ-შაობა შემიმსუბუქოს, თანაც უნდა მიყვარდეს და ვენდობოდე.

— როგორც ვხვდები, მისტერ ვან ჰუიტენ, თქვენ გინდათ, რომ მა-ღაზიაში გადმოვიდე სამუშაოდ.

ისევ თავს მიქნევს:

— სწორია.

რაღაცის თქმა მინდა, მაგრამ ხელით მანიშნებს, გაჩუმდიო:

— ალბათ, აქამდე ამაზე სერიოზულად არც გიფიქრია. არამც და არამც არ მინდა შენი ამორჩეული გზიდან გადაგახვევინო. სწორედ ამიტომ გკითხე, შენი სამუშაო როგორ მოგწონს-მეთქი. ახლა წარმოვი-დგინოთ, რომ ჯამაგირი იგივე გექნება და მომავლისთვისაც რაღაც პერსპექტივები იქნება დასახული, ეს მაშინ, როცა შენ რა თქმა უნდა, უბრალო გამყიდველი აღარ იქნები; რასაკვირველია, თუ ვაჭრობა არ მოიკლებს. მაშინ რას იტყოდი?

— არ ვიცი, მისტერ ვან ჰუიტენ. — ერთ-ორ წუთს ვფიქრობ. — ეგ აზრი ჭკუაში დამიჯდა, მაღაზიაში მუშაობა ყოველთვის მომწონდა.

ვიცი, საბოლოო პასუხი ასე უცებ არ უნდა მივცე და ვეუბნები:

— დიდი მადლობა ასეთი წინადადებისათვის, მისტერ ვან ჰუიტენ, მაგრამ ცოტას დავფიქრდები.

— ძალიან კარგი, ჭკვიანური პასუხია. არავითარ შემთხვევაში არ მინდა ნაუცბათევი გადაწყვეტილება მიიღო. ყველაფერი უნდა აიწონ-დაიწონოს...

— ჩვენებსაც მინდა მოველაპარაკო.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მინდოდა მეთქვა, მამაშენს მოვე-ლაპარაკები-მეთქი.

— ვეტყვი და იქნებ ამ დღეებში სამსახურიდან შემოგიაროთ.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ ვრჩები. მისტერ ვან ჰუიტენი ისევ მად-ლობას მიხდის მთელი დღე მაღაზიაში მუშაობისათვის და იმ ფულს, რასაც ჩვეულებრივ მიხდის ხოლმე, კიდევ ათ შილინგს უმატებს. არ მინდა გამოვართვა, მაგრამ არაფრით არ მეშვება.

იმავე საღამოს, ვახშმობისას, დედაჩემს და მამაჩემს ყველაფერს ვუყვები.

— მისტერ ვან ჰუიტენმა თავის მაღაზიაში მუშაობა შემომთავაზა, — ვამბობ და ჩემ ბებერ დედიკოს სახეზე ვაკვირდები.

— მერე შენ რა უპასუხე? — მეკითხება დედაჩემი.

— ვუთხარი, მოვიფიქრებ და დედ-მამასაც შევეკითხები-მეთქი.

— მე რომ მკითხო, მშვენიერი სამუშაო გაქვს. მაღაზიაში რა პერსპექტივებია?

— ერთი წუთით გაჩუმდი. — ამბობს მამაჩემი. — ცოტა ხანს ენა გააჩერე. მანდ მუშაობა სხვა მაღაზიაში მუშაობა არ გეგონოს. მისტერ ვან ჰუიტენი ჩვენ ვიქტორზე ძალიან კარგი აზრისაა. თითქმის საკუთარ შვილადა თვლის... როგორ გითხრა, ვიქტორ? პირდაპირ ეგრე ხომ არ მოუხლია?

— არა, რას ამბობ... ხან რა თქვა და ხან რა. მოხუცი ვარო, ნათესავები არა მყავსო, არ მინდა შენი ამორჩეული გზიდან გადაგახვევინოო. ხომ იცი, როგორი ლაპარაკი იცის.

მამაჩემი თავს მიქნევს. ძალიან გამჭრიახი გონება აქვს ამ ჩემ ბებერ მამიკოს, აი, ახლაც დედაჩემზე ადრე მიხვდა რაშიც არის საქმე.

— მაშ... ნამდვილი ჯენტლმენია.

— კი მაგრამ, მაღაზიის გამყიდველს, აბა, რა ფული აქვს, არტურ? — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო. — ვიქტორი საცაა ოცდაერთისა გახდება და ხელფასსაც კარგა ბლომად მოუმატებენ.

— ოჰ, მაგაზე ვილაპარაკეთ. მითხრა, ფულზე ნუ იდარდებო.

— შენ, როგორც ჩანს, ეგ აზრი მოგწონს, ვიქტორ, — მეუბნება მამაჩემი. — ნუ დაივიწყებ, რომ მუდამ გინდოდა მხაზველი გამოსულიყავი. ხომ გახსოვს როგორი გახარებული იყავი, უიტეკერის ფირმამ რომ წერილი გამოგიგზავნა, შეგიძლია მუშაობას შეუდგეო.

— მაშინ მარტო თექვსმეტისა ვიყავი. ახლა ეგეთი სამუშაო აღარ მომწონს. ნუ გგონიათ მისტერ ვან ჰუიტენის სიტყვები მალაპარაკებდეს ასე: ამას უკვე დიდი ხანია ვგრძნობ... — სახეზე ღიმილი მეპარება. — მოკლედ ეგ აზრი ძალიან მომწონს, სიამოვნებით გადავიდოდი მისტერ ვან ჰუიტენთან.

— მე მგონი, კარგი იქნებოდა მისტერ ვან ჰუიტენს რომ მოველაპარაკებოდი. — ამბობს მამაჩემი.

— მართალია. ასე მითხრა, მინდოდა მამაშენი მენახაო. ვუთხარი, სამუშაოდან შემოგიელით-მეთქი.

— რას ამბობ? — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო. — მაღაროში რომ დავდივარ იმ ტანსაცმლით მისტერ ვან ჰუიტენთან როგორ მივალ? ერთ საღამოს სახლში მოვალ, დავიბან, ტანსაცმელს გამოვიცვლი და ისე ვესტუმრები.

## III

ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი გადაწყდა. მისტერ ვან ჰუიტენთან ვიწყებ მუშაობას კვირაში რვა გირვანქად. როცა ოცდაერთი წელი შემისრულდება, ცხრა გირვანქას მომცემს, თანაც მეუბნება, შეგიძლია ჩემი იმედი გქონდეს, არაფერს გაგიჭირვებო.

ჩემ ძველ სამსახურში ამ ამბავს პირველად ჯიმი სლეიდს ვუმხელ. სააღდგომო უქმეების შემდეგ პირდაპირ ვეუბნები:

— წასვლის შესახებ განცხადება როგორ უნდა დავწერო?

— მგონი, მმართველის სახელზე უნდა დაწერო, ალბათ ასე: „ნება მომეცით გაცნობოთ, რომ ამა და ამ რიცხვიდან მსურს გამათავისუფლოთ სამუშაოდან...“

— მერე ეგ განცხადება რამდენი ხნით ადრე უნდა შეიტანო?

— მე მგონი, ერთი კვირით ადრე შეიძლება, მაგრამ ორი კვირით ადრე უფრო პატიოსანი იქნებოდა. შენ ადგილზე ჯერ ჰესოპს მოველაპარაკებოდი და ვეტყოდი, ასე ვაპირებ-მეთქი, რომ მერე სულელურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

— მაინცა და მაინც დიდი სურვილი არა მაქვს ჰესოპს ვემუსაიფო.

— ამბობენ, კონროის დატოვებასაც კი ცდილობდაო, მე კი მეგონა თვალით დასანახავად ეჯავრება-მეთქი.

— კონროისთანა მხაზველს, სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. ჰესოპმა იცოდა ვისაც ჰკარგავდა. არა მგონია ჩემზე მაინცადამაინც თავი შეიწუხოს.

სასადილო შესვენების ზარი რეკავს, ჩვენ დანარჩენებს მივყვებით და ბიუროდან გავდივართ.

— რაღაც სასაცილოდ გამომივიდა კონროისთან; ის იყო თითქოს უნდა დავმეგობრებულიყავით და სწორედ ამ დროს წავიდა კიდეც.

— ალბერტი არ იყო ურიგო ბიჭი. — ამბობს ჯიმი. — ზოგიერთ მის საქციელზე თუ თვალს დახუჭავდი, მშვენივრად შეიძლებოდა მასთან მეგობრობა. კონროი ყოველთვის მერჩივნა ლუისს.

— მეც, ყოველ მხრივ.

— რას იზამ. — მეუბნება ჯიმი. — რადგან წასვლა გადაგიწყვეტია, უნდა წახვიდე, მაგრამ ძალიან კი მომენატრები, შე მაიმუნო.

— კარგი ერთი, ტამბუქტუში კი არ ვაპირებ გადაკარგვას. ზოგჯერ შევხვდეთ ხოლმე საღამოობით, სამუშაოს შემდეგ.

— ეგეც მართალია.

დერეფანს მივყვებით. უცებ ზედ კარებთან, ქალის გულგამგმირავი წივილი გვესმის. კიბეების ძირში ხალხი ირევა. კიბეზე ჩავრბივართ და უამრავ გოგოსა და ბიჭს ვხედავთ. იატაკზე ვილაც გაშოტილა და ყველანი თავს ეხვევიან.

ვილაც ამბობს:

— არა, ნუ გაანძრევთ. წადით, ექთანს დაუძახეთ.

ერთი ბიჭი გიჟივით გარბის კარებში.

იქიდან, სადაც ჩვენ ვდგავართ, არაფერი ჩანს; არა და ვერც წინ გავდივართ.

ერთი გოგო ჩვენსკენ ტრიალდება, ვეკითხები, რა მოხდა, ძირს ვინა წევს-მეთქი.

— ინგრიდ როთუელი. — მეუბნება და მღელვარებისაგან კანკალებს. — კიბეზე ჩაგორდა. სულ ზემოდან ბოლომდე. ვერაფრით თავი ვერ შეიკავა. ერთი შეჰყვირა და ჩაგორდა.

— ჩვენი მიშველება ხომ არ არის საჭირო?

— არა მგონია. ექთანთან წავიდნენ. გონება დაკარგა და გვეშინია, რომ გავანძრიოთ.

გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ცოტა ხანს გონება მიბნელდება. ჯიმი მკლავში ხელს მკიდებს და მივყავარ:

— წამო, მარტო ფეხებში ვებლანდებით. სასადილოში წავიდეთ.

უკან მეორე შესასვლელით ვბრუნდებით და ყველაფერს ვგებულობთ. ექთანმა რომ მოირბინა, თურმე ინგრიდი უკვე გონზე ყოფილა მოსული. ექთანს ორი ბიჭისათვის უთხოვია ინგრიდი მოსაცდელში გაიყვანეთო, თვითონ კი სასწრაფო დახმარებისათვის დაურეკია.

მეორე დღეს ინგრიდი საავადმყოფოში გააშუქეს და უთხრეს მარცხენა მკლავი გაქვს მოტეხილიო. ყველაფერ ამას ჯიმისაგან ვგებულობ, ჯიმი — პოლინ ლოურენსისგან, პოლინი კი ექთანისაგან.

მიხარია, რომ არაფერი სერიოზული არ არის. შიშმა უკვე გამიარა. აღარაფერს აღარა ვგრძნობ. მაგრამ რაღაც ყურადღება მაინც უნდა გამოვიჩინო. ამიტომ რვანახევარ შილინგად ერთ კოლოფ შოკოლადს ვყიდულობ და ერთ საღამოს პატარა ბარათთან ერთად პოლინის ხე-

ლით საავადმყოფოში ვუგზავნი. ვწერ, ძალიან მწყინს, ეს ამბავი რომ შეგემთხვა და იმედი მაქვს მალე გნახავ-მეთქი. უიტეკერთან მუშაობას რომ თავს ვანებებ ამაზე კრინტსაც არა ვძრავ. ინგრიდი პასუხს ვერა მწერს, რადგანაც ცაციაა, მარცხენა ხელი კი მოტეხილი აქვს. პოლინს აბარებს შოკოლადისათვის დიდი მადლობაო.

ამ ამბავზე რომ ვფიქრობ, მიხარია კიდეც, რომ წერა არ შეუძლია, თორემ რამე დაპირებას გამომტყუებდა. სწორედ შესაფერი დროა, რომ სამუდამოდ დავშორდეთ. ინგრიდი საავადმყოფოში წევს, მე კი სხვა სამუშაოზე გადავდივარ. იქნებ გულზე მომეშვას და ამ საზიზღარ გრძნობას თავი დავაღწიო. კარგი იქნება აღარა ვნახო. მაშინ მასზე სულაც აღარ ვიფიქრებდი.

ნაშუადღევს ჰესოპს ვეუბნები, კვირის ბოლოს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება უნდა შემოვიტანო-მეთქი. მაინცადამაინც დიდ წინააღმდეგობას არ მიწევს. ალბათ მაგისთვის სულერთია წავალ თუ დავრჩები. მიუხედავად ამისა, კარგა დიდხანს ვსაუბრობთ. მეუბნება, გამყიდველად მუშაობას ესა და ეს ნაკლი აქვს, მხაზველებს კი კარგი მომავალი აქვთო. ვეუბნები, ყველაფერი უკვე კარგად ავწონ-დავწონე, უბრალო გამყიდველი კი არ ვიქნები, საქმეში ცოტა წილიც მექნება-მეთქი. ამით ჩვენი საუბარი მთავრდება.

ერთ პაოასკენ დილას, მის პედგეტს, მისტერ მეთიუს მდივანს, განცხადებას ვაძლევ, ორი კვირის შემდეგ კი სამსახურს ვტოვებ, ისე როგორც კონროი. ცალ ხელში ჩანთა მაქვს სახაზავი მოწყობილობით, მეორე ხელში კი ჩემი ინიციალებიანი ლამაზი ღორის ტყავის საფულე, რომელიც თანამშრომლებმა მაჩუქეს და შიგაც ერთი გირვანქა სტერლინგი ჩამიდეს.

ბოლო წუთებში, როცა საფულეს მაძლევენ და ჰესოპი ათას სისულელეს ჩმახავს, სწორედ ისე, როგორც მაშინ, კონროის გაცილებისას, ყელში ბურთივით რაღაც მეცობა. ჩემ გარშემო სახეებს ვათვალიერებ და უცებ შიში მიპყრობს, ვაითუ შეცდომას ჩავდივარ და არ უნდა წავსულიყავი-მეთქი. მაგონდება, პირველი დღეები, როცა ყველაფერი მომწონდა და ჩემი სამუშაო ჯერ არ მქონდა მობეზრებული. ვუყურებ და ვფიქრობ: რა კარგი ბიჭები არიან და ვინ იცის კიდევ სად შევხვდები ასეთ კარგ ადამიანებს-მეთქი. დარწმუნებული ვარ ძალიან მომენატრებიან.

მაგრამ ესეც მთავრდება. მეორე ორშაბათს დილიდანვე მივდივარ მისტერ ვან ჰუიტენთან სამუშაოდ.

# თავი მესამე

## I

მაღაზიაში მუშაობას მალე ვეგუები, რადგან სამუშაო კვლავინდებურად მომწონს. მისტერ ვან ჰუიტენი მიხსნის ტვირთბარათი როგორ გამოვწერო და დავთრები როგორ ვაწარმოო. სულ მალე, ისეთ დღეებში, როცა ბევრი მუშტარი არ გვახვევია, მარტო მტოვებს მაღაზიაში სავაჭროდ. ვცდილობ ფირფიტების კატალოგები ზეპირად დავიხსომო. „კლასიკური“ მუსიკისაც კი და თანდათან ზოგიერთი კლასიკური ნაწარმოების მოსმენა ისევე მსიამოვნებს, როგორც ჯაზური ან საესტრადო მუსიკისა. თუმცა მისტერ ვან ჰუიტენის ბრამსსა და ბეთჰოვენის ბოლო კვარტეტებს (აი იმათ, როულიმ რომ მითხრა, რომ დაყრუვდა მაშინ დაწერაო), ჯერ ვერაფერი გავუგე. კამერული მუსიკა საჩემო არ არის: მე მიყვარს, როცა ორკესტრი რაღაც გამოკვეთილ მელოდიას უკრავს, დასარტყმელ ინსტრუმენტებს ბრაგა-ბრუგი გააქვთ და არის ერთი ჟღარუნი და წკრიალი. სულ მალე ერთ აღმოჩენას ვაკეთებ: ჩაიკოვსკის მუსიკა სწორედ საჩემო ყოფილა. მალე სერიოზულ მუსიკას უფრო ღრმად ვეცნობი, იმიტომ რომ მისტერ ვან ჰუიტენს თავის მანქანით ხან ლიდსში მივყავარ და ხან ბრედფორდში, მაშინ როცა ამ ქალაქებში რომელიმე სახელგანთქმული ორკესტრი მართავს კონცერტს. საერთოდ ასეთი მუსიკა ძილსა მგვრის, მაგრამ ზოგიერთი კი გულში ჩამწვდება-ხოლმე. ხანდახან კი ვგრძნობ, თუმცა ზოგი რამ ახლა არ მომწონს, მაგრამ ერთი-ორჯერ თუ კიდევ მოვისმენ, ნამდვილად მომეწონება. მთელი გზა, იქითაც და აქეთაც, მისტერ ვან ჰუიტენი მუსიკის შესახებ მელაპარაკება. სიამოვნებით ვუსმენ, როცა დიდი კომპოზიტორების შესახებ მიყვება. თურმე ზოგიერთს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რომ სახელი მოეპოვებინა. პირველად მათი მუსიკა არავის მოსწონდა და ყურადღებას არავინ აქცევდა. მისტერ ვან ჰუიტენი ძალიან ნაკითხი კაცია და ამბების თხრობაც ეხერხება: მიყვება მუსორგსკი როგორ შეშლილა, ჩაიკოვსკი კი, თურმე, როგორ წერდა და წერდა წერილებს ვიღაც ბებერ ქალბატონს, ისე რომ თავის დღეში ოვალით არ ენახა: მერე, ერთხელ როგორ დალია საწამლავი, რომ თავი მოეკლა. ზოგი კომპოზიტორი მართლაც რომ დიდი ახირებული ვინმე ყოფილა.

მისტერ ვან ჰუიტენი სულ იმას მეუბნება, მუსიკა, თუკი მოთმინებას გამოიჩენ, ერთ მშვენიერ დღეს დიდი ყვავილივით გადაგეფურჩქნება თვალწინო.

— კი მაგრამ, რატომ წერდნენ ისე, რომ ძნელი მოსასმენი ყოფილიყო? — ვეკითხები ერთ საღამოს, როცა სიმფონიური მუსიკის კონცერტის შემდეგ ბრედფორდიდან ვბრუნდებით.

— ამას განგებ არ ჩაღიოდნენ, ვიქტორ. — მეუბნება მისტერ ვან ჰუიტენი. — აი, სწორედ ამაშია საქმე. მთელი ეს პოპულარული ჰანგები... არ ვიცი, თქვენ რას ეძახით... ჰო, ეს მოდერნული მუსიკა იმდენად პრიმიტიულია, რომ ერთ ყურში შედის და მეორედან გამოდის. რამდენ ხანს ცოცხლობს? ერთი-ორი კვირა, ერთი თვე, ანდა ბევრი-ბევრი— ორი თვე. ასეთი მუსიკა კი საუკუნეებს უძლებს. ვიდრე დედამიწაზე ადამიანი იარსებებს, ამ მუსიკას მოუსმენენ. განა შეიძლება ასეთი მუსიკა ისევე უცბათ მოგეწონოს და გაიგო, როგორც მსუბუქი მუსიკა? ვიღაცამ თქვა, დიდი ხელოვნება პირველ შეხედვისთანავე არასოდეს არ გადაგიშლის ყველა საიდუმლოსო. ცოტა მოითმინეთ, დაიცადეთ, რომ ამ ხელოვნებამ თქვენზე იმოქმედოს, ერთიანად დაგიპყროთ და ერთ მშვენიერ დღეს. იქ, სადაც დღეს მხოლოდ ხმაური გაწუხებთ, ღვთაებრივ მუსიკას მოისმენთ. შენც გაიგებ, ვიქტორ, დარწმუნებული ვარ. ბეთჰოვენის მგრგვინავ და დიდებულ მუსიკას, მოცარტის სინატიფეს და ტრაგიკულ მშვენიერებას, ბრამსის ჯადოსნურ ჟღერას და ელგარის კეთილშობილ სევდას. ეს შენთვის აღმოჩენებით აღსავსე მოგზაურობა იქნება. სადაც ყოველ ნაბიჯზე რაღაც ახალს წააწყდები. მთელი მსოფლიოს მუსიკა ელის, რომ შენი საკუთრება გახდეს, ვიქტორ. ნეტავი ორმოცდაათი წლით ახალგაზრდა ვიყო და ყოველივე ისევ აღმოსაჩენი მქონდეს.

მაღაზიაში ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ მისტერ ვან ჰუიტენი იაფად მითმობს ორსიჩქარიან ფირსაკრავსა და რამოდენიმე ფირფიტას. როგორც ჩანს, უნდა ჩემგან სერიოზული მუსიკის ნამდვილი მოყვარული გამოიყვანოს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. სწორედ ისეა, როგორც მისტერ ვან ჰუიტენი ამბობს, დროდადრო ჰორიზონტზე ახალ-ახალი რამ გამოჩნდებაო. ყოველ კვირას ვპოულობ რაღაც ისეთს, რომელიც ნამდვილად მომწონს.

ზოგჯერ ჰენრისთან ერთად საქონელი მყიდველის ბინაზე მიმაქვს ხოლმე, მაგრამ, როცა მაღაზიაში მუშტარი არ არის, სახელოსნოში გავდივარ და ვუყურებ. როგორ მუშაობს. პირდაპირ გასაოცარია, რამდე-

ნი რამე შეიძლება ისწავლო აი, ასე. საღამოობით და შაბათ-კვირას, გარდა იმისა რომ ფირფიტებს ვუკრავ ან მისტერ ვან ჰუიტენს მივყვები კონცერტზე, ზოგჯერ უილისთან ან ჯიმისთან ერთად კინოში მივდივარ, ანდა ერთ-ორ კათხა ლუდს გადავკრავ-ხოლმე. ხანდახან ცეკვებზე მივდივარ. ისევ ვოცნებობ გოგონაზე, რომელსაც ოდესმე შევხვდები, მაგრამ ახლა ისედაც ბედნიერი ვარ და სულაც არ მეჩქარება.

ინგრიდზე თითქმის სულ აღარ ვფიქრობ. როცა თვალი მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო, რომ ამბობენ, ამ შემთხვევაში მართალი გამოდგა.

ერთხელ, სკეგნესიდან, სადაც თავის დეიდასთან ავადმყოფობის შემდეგ ისვენებს, ღია ბარათი მომდის. ზედ მისამართიც აწერია; ჯერ მგონია პასუხს არ მივწერ, რადგან ყველაფერი უკვე დამთავრდა, მაგრამ მერე ვფიქრობ, არაფერი დაშავდება თუ ცოტა ზრდილობას გამოვიჩენ-მეთქი. ვყიდულობ ღია ბარათს კრესლის რატუშის სურათით და ვუგზავნი. ზედ ვაწერ: „არა მგონია აქ კიდევ ოდესმე ჩამოვიდე დასასვენებლად, ძალიან ჭუჭყიანი ადგილია და სულ წვიმს. იმედი მაქვს მალე კარგად გახდები“. ბარათს საფოსტო ყუთში ვუშვებ და ვფიქრობ, ამით კიდევ რამის იმედს ხომ არ ვაძლევ და ხომ არა სჯობდა წერილი დამეხია და არ გამეგზავნა-მეთქი. მაგრამ ბოლოს მაინც ვგზავნი.

## II

დღე დღეს მისდევს, ჰაერი თანდათან თბება და იწყება ის, რასაც დამცინავი ღიმილით ზაფხულს ვუწოდებთ ხოლმე.

ერთ დღეს, ივნისის ბოლოს, მაღაზიაში დახლზე ვარ დაყრდნობილი და, ცოტა არ იყოს, მჟავე ხასიათზე ვარ. მისტერ ვან ჰუიტენი თავის მინის ბუდეში რაღაცას ანგარიშობს, ჰენრი კი სახელოსნოში გართულა. მთელი დილა მაღაზიაში თითქმის არ გვივაჭრია. ათ საათამდე ერთი ქალი შემოვიდა და ფირფიტების კატალოგი მოითხოვა, მეორე ქალმა ელექტროუთო მოიტანა შესაკეთებლად. მერე ერთი ტიპი შემოვიდა და ტელევიზორებისა და რადიოლების თვალიერება დაიწყო, ერთი ხმა არ ამომაღებინა. მარტო დათვალიერება მინდაო. ეგეთებს კარგად ვიცნობ. წავა სახლში და იტყვის, მისტერ ვან ჰუიტენის მაღაზიაში გამყიდველები საქონელს ძალით გაჩეჩებენო. მაგრამ, თუკი მაღაზიაში შემოვა და ყურადღებას არ მიაქცევ, წავა და იტყვის, არაფრად არ ეაგდებენ და კარგად არ გემსახურებიანო.

მოკლედ. იმ ტიპს ყურადღებას აღარ ვაქცევ, რამოდენიმე წუთის შემდეგ ბაღაზიაში ეროი მატრაკვეცა გოგო შემოდის. თავზე უსარმაზარი აჩეჩილი თმის ბულული ადევს, სიმღერით მეკითხება, ტომ სტილის ფირფიტა „მე ერთადერთი მამაკაცი ვარ კუნძულზე“ თუ გაქვთო. ფირფიტას ვაძლევ, ფულს ვართმევ და მაღაზიიდან რომ გადის, თვალს ვაყოლებ. ისეთ წვრილ ქუსლებზე შემდგარა, თავს ძლივს იმაგრებს, თანაც იმისთანა ვიწრო ქვედაკაბა აცვია, ფეხებს ძლივს ადგამს. ნეტავი რა მოუვა, უცებ რომ დაავიწყდეს როგორი ვიწრო კაბა აცვია და ავტობუსს გამოუდგეს? ქვედაკაბები თანდათან მოკლდება. პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ამ გოგოს ფეხებს თვალს ვერ ვაშორებ და, რასაკვირველია, იმაზე ვფიქრობ, რაზედაც ასეთ დროს ფიქრობენ ხოლმე. ამ დროს კარი იღება და კიდევ ერთი წყვილი ფეხი შემოდის: მუქ ნეილონის წინდებში გამოხვეული კოხტად მოყვანილი ფეხები, რომელსაც ას წყვილ სხვა ფეხში გამოვარჩევ. უცბად სული მიგუბდება, გეგონება ვიღაცამ მკერდში მუშტი ჩამაზილაო.

დახლთან მოდის და მეუბნება:

— გამარჯობა, ვიკ.

— გამარჯობა, ინგრიდ. უკეთა ხარ?

— ჰო, გმადლობთ. ორშაბათს უკვე სამუშაოზე გავდივარ.

— კარგა დიდი ხანი კი დაგჭირდა, არა?

— გართულებები მქონდა. ძვალი სწორად არ შემიხორცდა და ხელახლა გადამიმტვრიეს.

— ახლა ცოტა უნდა გაუფრთხილდე, იმ შენ საბეჭდ მანქანას მაინცადამაინც ნუ მიაკვდები.

— რა თქმა უნდა, ეგრეც იქნება. ალბათ სიჩქარეც დავკარგე. თითები ასე იოლად აღარ დამემორჩილება.

— კი მაგრამ, როგორ მოგივიდა? წესიერად არაფერი არ ვიცი.

— როგორ და ახალი ფეხსაცმელები მეცვა, მაღალქუსლიანი. აი, მეტისმეტ კოპწიაობას რა მოსდევს. — იცინის ინგრიდი.

— კიდევ კარგი, რომ შედარებით მაინც იოლად გადარჩი.

ინგრიდი მშვენივრად გამოიყურება, გეგონება სულაც არაფერი შემთხვევიაო. ცოტა მზეც მოჰკიდებია, თითქოს გამხდარა კიდეც. მაგრამ ძველებურად მომხიბლავია. ამაში დარწმუნებული ვარ, იმიტომ რომ თვალს ვერ ვაშორებ. ღია ყავისფერი მოკლესახელოებიანი ჯემპრი აცვია. მკერდზე მუდმივად შემოტკეცილი. მეჩხერ ნაქსოვში თეთრი ლიფი მოუჩანს, მისი ამობურცული მკერდი თვალში მხვდება.

— დიდი მადლობა შოკოლადის გამოგზავნისათვის.

— ოჰ, არაფრის.

— მაპატიე, რომ მადლობის ბარათი ვერ გამოგიგზავნე, ხომ იცი მარცხენა ხელი მქონდა მოტეხილი.

— არა უშავს, პოლინმა შენი მადლობა გადმომცა.

ინგრიდი მისტერ ვან ჰუიტენისაკენ იხედება, რომელიც ისევ თავის ანგარიშებშია ჩაფლული და ჩვენთვის სულაც არა სცალია.

მერე ჩანთას ხსნის და ქაღალდის ფურცელს მაწოდებს.

— ეს ფირფიტები თუ გაქვთ?

ფურცელს ვართმევ. ისე მოულოდნელია ინგრიდთან შეხვედრა, ხელები ცოტა არ იყოს, მიკანკალებს. ფურცელზე სამი ყველაზე პოპულარული ფირფიტის სახელწოდებაა ჩამოთვლილი, ქვემოთ კი მიუწერია: „კიდევ როდის განახავ?“ ჯერ მგონია, ესეც ფირფიტაა, მაგრამ მერე ყველაფერს ვხვდები და წარმოიდგინეთ, ვწითლდები.

თაროებისაკენ ვბრუნდები, ყუთებს ვაღებ და ვგრძნობ, როგორ მერევა ძველებური გრძნობები.

— პირველი ორი გვაქვს. — ვეუბნები და ყუთებიდან ფირფიტებს ვიღებ. — მესამე კი ამ ორ-სამ დღეში გვექნება.

— კარგი, იყოს ეგ მესამე. — ამბობს და ვამჩნევ, რომ სიწითლე მასაც მორევია და თვალს ვერ მისწორებს.

— შეიძლება ეს ორი მოვისმინო?

ალბათ ორივე ერთი მილიონჯერ მაინც ექნება მოსმენილი, მაგრამ მაინც ვეუბნები:

— რასაკვირველია, შეიძლება.

მერე დახლიდან გამოვდივარ და ერთ-ერთი მოსასმენი ჯიხურის კარებს ვუღებ.

— როგორ მოგწონს შენი ახალი სამუშაო? — მეკითხება, როცა ჯიხურში შევდივართ.

— დიდებულია.

— ძალიან გამიკვირდა, როცა მითხრეს სამსახურიდან გადავიდაო. ცოტა მოულოდნელი იყო, არა?

—არ ვიცი. ბოლო ხანებში რაღაც მოუსვენრად ვიყავი. როცა ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ხელიდან აღარ გავუშვი.

პირველ ფირფიტას ფირსაკრავზე ვდებ და ვგრძნობ, რომ მასთან შეხვედრა მთელ ქვეყანას მირჩევნია. უნდა შევხვდე, აუცილებლად, ჯანდაბას, მერე როგორ გუნებაზეც ვიქნები.

— დღეს, რვის ნახევარზე, შენი სახლის ახლოს რომ პარკის ჭიშკარია, იქ შევხვდეთ. — ვეუბნები.

კარგიო, მეუბნება, მე კი ნემსს ფირფიტაზე ვდებ. ჯერ სასულე ინსტრუმენტების ჟღრიალი და გრუხუნი ისმის, მერე კი ვიღაცა ტიპი თავგამოდებული იწყებს ღრიალს: „ვერა და ვერ დაგივიწყებ, სადაც არ უნდა წავიდე. ყველგან თანა მდევ, პატარავ, სულ შენზე ვფიქრობ...“ სისულელეა, მაგრამ ინგრიდს მოსწონს და თავისი ფული თუ თვითონ არ ენანება, მე რაღა მესაქმება?

როგორც კი ინგრიდი გადის, ისევ ჯიხურში შევდივარ, იმიტომ რომ მუხლები მიცახცახებს და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შიგნეულობა სულ გამომიცარიელდაო. თუმცაღა მუსიკა ვერა მშველის, საშინლადა ვარ აღელვებული, აღელვებული იმიტომ, რომ ინგრიდს ისევ შევხვდი და...

## III

— გიყვარვარ, ვიკ? — მეკითხება ინგრიდი, მე კი სახეს მის კისერში ვმალავ, არ მინდა დამინახოს. ერთადერთი რაც მინდა, ის არის რომ წავიდე და მოვშორდე, ახლაც ისევე საზიზღრად ვგრძნობ თავს, როგორც ადრე. სულ რაღაც ერთი საათის წინ კი ისე მენატრებოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა. ახლა იმასღა ვფიქრობ, რა იქნებოდა მაღაზიაში არ შემოსულიყო-მეთქი. მაგრამ არა, მაინცდამაინც უნდა მოსულიყო და დამნახვებოდა, რომ მოგონებები ამშლოდა და ხელახლა მეგრძნო რა გემრიელია მისი ჩახუტება და კოცნა, რა მკვრივი სხეული აქვს და რა რბილი და ფაფუკია მისი კანი იმ ადგილებში, რომლებიც თვალისთვის მალულია. იქნებ სწორედ ეს მიზიდავს, ჩემს გარდა არავის შეუძლია შეეხოს. ეს ადგილები ყველასთვის საიდუმლო და მიუწვდომელია. ეს ხომ ღვთის ბოძებული ნობათია, ინგრიდს რომ ასე ვუყვარვარ, და ალბათ ვინმემ, თუნდაც უილიმ რომ გაიგოს, რომ ასეთ რამეზე უარს ვამბობ, გიჟად ჩამთვლიან.

არადა ინგრიდს მაინცდამაინც ახლა მოუნდა სიყვარულზე ლაპარაკი. მე კი მეგონა, ამ მხრივ დიდი ხანია ყველაფერი გარკვეულია-მეთქი.

ვიცი, ელოდება რას ვეტყვი, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ცოცხალი ტყუილი როგორ ამოვუშვა პირიდან? ანდა, იმის შემდეგ, რაც რამდენიმე წუთის წინ მოხდა. როგორ ვუთხრა არ მიყვარხარ-მეთქი. ნეტავი გამაგებინა, თუ მიმიხვდება. ყველაფრის ახსნა რომ მოვახერხო? რასაცა

ვგრძნობ, რომ ვუთხრა? ნეტავ მე თვითონ ამიხსნიდეს ვინმე, რასაცა ვგრძნობ. ერთი გამაგებინა გოგოებიც თუ გრძნობენ ასეთ რამეს. მაგრამ, ალბათ, ამ მხრივ ქალები ჩვენგან განსხვავდებიან და უსიყვარულოდ ასეთ რამეს ვერ ჩაიდენენ.

ესეც ასე, შემეკითხა და ახლა პასუხს ელის.

— არ ვიცი. — ვეუბნები.

რამდენიმე ხანს ჩუმად არის, მერე კი მეკითხება:

— სხვა ვინმე გიყვარს?

არა-მეთქი, ვეუბნები და ესეც თავისებური ტყუილია, მაგრამ ისეთი არა, რომ ინგრიდმა სიცრუედ ჩათვალოს, რადგან როცა შემეკითხა, რასაკვირველია, იმ ქალს არ გულისხმობდა, რომელიც ჯერ თვალით არ მინახავს და მხოლოდ ჩემს ოცნებებში არსებობს.

ჩემს ლაბადაზე ვწევართ, ხეების ქვეშ, ბაღის ზემოთა ბოლოში, სადაც შეყვარებული წყვილების გარდა არავინ მოდის. არაჩვეულებრივად კარგი საღამოა. მზის სხივები თბილად გველამუნება, ჩვენს გარშემო ბალახი ფოთლების ჩრდილებით არის მოჩითული. მზერა შორს, ბორცვის იქითა მაქვს მიპყრობილი. ინგრიდი, გეგონება ჩემს აზრებს კითხულობსო, მეკითხება:

— გახსოვს ის საღამო, აგერ დაბლა, იმ მერხზე რომ ვიჯექით? გახსოვს მაშინ რა მითხარი?

— ჰო... მახსოვს.

— მაშინ მართალს ამბობდი, ვიკ?

— ალბათ მართალს, თორემ, აბა, რატომ გეტყოდი? მაშინ ძალიან ვიყავი გატაცებული.

— მაშინ მართალს ამბობდი. — მეუბნება ინგრიდი. — ვიცი, სწორედ ასე იყო. მაშინ იმიტომ კი არ გინდოდა ჩემი ნახვა, რომ რაღაცას გამომრჩენოდი, ეგრე არ იყო?

ძალიან პირდაპირი თქმა გამოუვიდა და ვგრძნობ, როგორ ვწითლდები. ერთია, როცა თვითონ გრძნობ, რომ უსინდისოდ იქცევი და მეორეა, როცა სხვა გეუბნება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სინამდვილეში სულაც არა ვარ ეგეთი ბიჭი. ნამდვილად არა ვარ. სულაც არ მინდა გინდ მაგას, გინდა სხვას, უსინდისოდ მოვექცე. არავითარი სურვილი არა მაქვს გული ვატკინო. მაგრამ თვითონაა მოწადინებული, რომ შემხვდეს ხოლმე და მე რა ვქნა? რაც შეეხება ამ ჩვენ ხვევნა-კოცნას, თვითონვე წამოიწყო.

— არავითარ შემთხვევაში იმ ღამეს ასე შორს არ შევტოპავდი, შენ რომ არ გეგრძნობინებინა, არც მე ვარ წინააღმდეგიო.

— მეგრძნობინებინა? — მეკითხება ინგრიდი. — როგორ გაგრძნობინე?

—აი, ისე, სხვანაირად მკოცნიდი... რაღაცნაირად... მეგონა, მაგულიანებს-მეთქი...

— სულაც არ ვიცოდი, თუ ეგ კოცნა ასეთ რამეს ნიშნავდა. უბრალოდ მინდოდა გემრიელად მეკოცნა... ესე იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ გეგონა, რომ ადვილად დასაყოლიებელი გოგო ვარ.

— არა, არ მეგონა. არც მაშინ მიფიქრია და არც ახლა ვფიქრობ. მე... ოჰ... არ ვიცი, ვერ გამომითქვამს და რა ვქნა? ვერ გამომითქვამს, მორჩა და გათავდა.

მინდა ვუთხრა, ვიცი რომ გიყვარვარ და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი.

მაგრამ ასეთი რამ რომ ვუთხრა, ბაქიაობა გამომივა. თანაც გამოვა, რომ სწორედ ამ სიყვარულით ვსარგებლობ.

— მაშინ დოროთიმ რაც მოჩმახა, ხომ არ დაიჯერე, ვიკ? ხომ არა გგონია, რომ სხვებთანაც ვყოფილვარ ასე ახლოს?

— რა თქმა უნდა, არა.

ისე კი, გულახდილად რომ ვთქვა, ეგ ამბავი სულაც არ მაღელვებს. ერთი წუთითაც არა მგონია, რომ ჩემამდე მაგის კაბის ქვეშ ხელი არავის უფათურებია, მაგრამ უფრო შორს შეიძლება არც წასულან. თანაც ინგრიდს ძალიან უნდა მოსწონებოდა. თუკი ამდენის ნება მისცა. აი, ასეთი გოგოა.

კისერზე ხელსა მხვევს და თავისკენ მწევს.

— ხომ იცი, რომ მომწონხარ, ვიკ? ვიდრე პირველად პაემანს დამინიშნავდი. მანამდეც მომწონდი.

საოცარია, როგორ შეიცვალა ყველაფერი. რა თქმა უნდა, ასეთ რამეს როცა მეუბნება, უნდა ვაკოცო, მაგრამ ამ სიტყვებს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ტყუილად ირჯება.

ჩვენგან ოდნავ მოშორებით რომელიღაც წყვილი მიყიალებს.

— ადე, წავიდეთ, თორემ პარკის დარაჯი დაგვადგება თავზე.

— დარაჯს რას ვუშლით?

— სულერთია, უკვე გვიან არის.

ინგრიდი ჯდება, ჩანთიდან პუდრის კოლოფს, პომადას, სავარცხელს იღებს და თაეი წესრიგში მოჰყავს. მე ისევ ვწევარ. თვალს არ ვაშორებ და ვნატრობ. ერთი მალე მორჩებოდეს და აქედან წავიდოდეთ-მეთქი. ვერაფრით გამიგია, რა ხდება ხოლმე ჩემს გონებაში. ასე ძირფესვია-

ნად რომ ვიცვლები. ინგრიდი ამოწმებს ყველაფერი შეკრული მაქვს თუ არაო; მერე მე ვიწყებ ტანსაცმლის სწორებას. ერთი სული მაქვს, როდის წამოდგება, რომ წავიდეთ.

— როგორ არის უიტეკერთან საქმეები? — ვეკითხები. რამეზე ხომ უნდა ვილაპარაკოთ?

— არაფერი ახალი. როგორც ყოველთვის.

ჭიშკართან მივდივართ, იგი თავის სახლის გზას მიჰყვება, მე კი მოკლე გზით ჩემი სახლისაკენ მივდივარ. დგას და მიყურებს, ვიცი, ელის რას ვეტყვი.

— შეიძლება სამსახურში დაგირეკო?

თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს:

— ჯობია, სასადილო შესვენების დროს დამირეკო, ასე ორის ოც წუთზე, როცა სასადილოდან უკან ვბრუნდები.

— ახლა ძალიან დაკავებული ვარ. არ ვიცი, როდის მოვახერხებ. იქნებ მომავალ კვირას დაგირეკო, კარგი?

— როგორც გინდა.

სახეზე ვატყობ რასაც ფიქრობს, იცის, რომ არ დავურეკავ. იქნებ ასეც ჯობდეს. იქნებ უკეთესიც იყოს, რომ გაბრაზებული მომიბრუნდეს და მითხრას, თავიდან მომწყდიო.

მაგრამ არაფერს მეუბნება. კარგიო, თავს მიქნევს, ერთმანეთს ვემშვიდობებით და ვუყურებ როგორ მიჰყვება ხეივანს. ვიცი, როგორ ცუდ გუნებაზეა, მაგრამ არც მე ვარ უკეთესზე.

## IV

ასე გადის დანარჩენი ზაფხული და შემოდგომაც. ხანდახან კვირაში ორჯერ ვხვდები, ზოგჯერ კი ორი კვირა ისე გავა, არა ვნახავ. მერე ან თვითონ მირეკავს, ან მე ვურეკავ და იწყება თავიდან ყველაფერი. სიყვარულზე ხმას აღარ იღებს, გამოდის რომ რაღაც გარკვეულ დამოკიდებულებაზე შევთანხმდით. ინგრიდს ვუყვარვარ და ოღონდ შევხვდე. არაფერს დაგიდევს. იცის, სხვანაირად სულ დამკარგავს.

ზოგჯერ სულაც არ მინდა მისი ნახვა. ზოგჯერ კი ისე ვარ გაგიჟებული, ლამის ტანსაცმელი შემოვახიო და იქვე მივაწვინო. მაგრამ ასე შორს არ მივდივარ. ნეტავი რას მეტყოდა რომ შემეთავაზებინა? თანახმაც რომ იყოს, იმდენი გამბედაობა არ მეყოფა. რომ გავრისკო. მაგრამ თავში კი მაინც სულ ეგ აზრი მიტრიალებს.

ოქტომბერში ოცდაერთი მისრულდება და ამის შემდეგ ჩვენებს უკვე საშმლის ფულს ვაძლევ.

მე მგონი ჩემ ბებერ დედიკოს დიდი ხანია განზრახული ჰქონდა ჩემი სრულწლოვანების აღსანიშნავად წვეულება გადაეხადა, მაგრამ მე მაგის გუნებაზე არა ვარ, ამიტომ ისინი ჩემთვის ოქროს მაჯის საათს ყიდულობენ. მართლაც რომ მშვენიერი საათია.

ერთი-ორი დღის შემდეგ ინგრიდს ვხვდები. მოსალოცი ბარათი გამომიგზავნა და მადლობას ვუხდი. სჯობდა კი არ გამოეგზავნა, ჩემი ბებერი დედიკო ცნობისმოყვარეობით დაიტანჯა.

ცივი საღამოა, წვიმაც ცრის, არც ერთი კინოსურათი, რომელიც ქალაქში გადის, არ გვაინტერესებს. ამიტომ ინგრიდი კაფე „ცისფერ ფრინველში" მიმყავს ფინჯანი ყავის დასალევად. საერთოდ ასეთ ადგილებში არ დამყავს ხოლმე, ვინმე ნაცნობს შეიძლება წავაწყდეთ. და ღმერთმა იცის, რას იფიქრებენ.

— მეგონა, არ მოხვიდოდი. — მეუბნება, დარბაზის ბოლოში მაგიდას რომ ვუსხდებით. მწვანე ლაბადა მხრებზე დასველებია, თავსაფარს იხსნის, სველი თმა თავზე გადასვლეპია.

— დონორების პუნქტში ვიყავი. დამავიწყდა, დღეს რომ წასასვლელი ვიყავი, თორემ ნახევარი საათით გვიან დაგიბარებდი.

— არ ვიცოდი სისხლს თუ აძლევდი.

— ჰო, ხანდახან.

— პირველად როდის წახვედი?

— რა ვიცი. კარდაკარ დადიოდნენ და ახალ დონორებს ეძებდნენ. ვიფიქრე, თუ ასე უჭირთ, ქვეყანა არ დაიქცევა ერთი-ორი პინტი სისხლი მეც რომ მივცე-მეთქი.

— გტკივა ხოლმე, როცა სისხლს გიღებენ?

— სულაც არა. მაჩაჩემიც დადის, სხვაც ბევრი. ჩვენ სახლში რომ მოვიდნენ, კიდევ ორი კაცი შევემატეთ.

ინგრიდი ყავას წრუპავს. კეკლუცობს, ნეკი განზე გაუშვერია.

— ალბათ ამდენი სისხლის დანახვას ვერ გავუძლებდი. მით უმეტეს, ჩემ საკუთარ სისხლისას.

— სისხლს ვერც დაინახავ. ბოთლი იატაკზე დგას. თუ გადმოიწევი მაშინ კი, მაგრამ რა საჭიროა?

— მე კი მეგონა... კინოში მინახავს.

— ეს როცა სისხლს უსხამენ, მაშინ ბოთლს მაღლა სწევენ.

— ჰო, ახლა გავიგე.

— მერე ღია ბარათით გატყობინებენ შენი სისხლი რაში გამოიყენეს.

— შენი სისხლი თუ გამოუყენებიათ რამე განსაკუთრებული შემთხვევის დროს?

— ჩემი სისხლი პირველი ჯგუფისაა, ყველაზე გავრცელებული. თანაც სულ ოთხჯერ მივეცი სისხლი.

ჯიბიდან პატარა ცისფერ ბარათს ვიღებ და ზედ დაკრულ მარკებს ვუჩვენებ, თითო მისვლაზე თითოს რომ მირტყამდნენ.

— ჩვეულებრივად ოპერაციის შემდეგ უსხამენ ხოლმე, მაგრამ მაინც ძალიან საჭიროა. ძალაუნებურად იმ საცოდავებზე ფიქრობ, შენი სისხლი რომ სჭირდებათ, თანაც ვინ იცის, თვითონ როდის ჩავარდები იმათ დღეში. წარმოგიდგენია, სისხლი დროზე რომ არ გადაუსხან, რა საშინელება იქნება?

ინგრიდს აერჟოლებს:

— ღმერთმა ნურასოდეს დამაჭირვოს. საავადმყოფოებზე და ოპერაციებზე ფიქრიც კი აღარ შემიძლია, ჩემმა მკლავმა ისედაც კარგი დრო გამატარებინა.

— ვინ იცის, ვის რა მოელის.

ინგრიდი ისევ ყავას სვამს, მე კი დარბაზს ვათვალიერებ. ხალხი კარგა ბლომად არის, ალბათ იმიტომ, რომ წვიმიანი საღამოა. თანაც ძალიან ჭრელი საზოგადოებაა, უფრო მეტად ახალგაზრდები, დროს კლავენ და ერთმანეთს ეარშიყებიან. დარბაზის შუაგულში მაგიდას ბლომად ახალგაზრდები უსხედან: გოგოებს თმა აქვთ აჩეჩილი და შემოტკეცილი ჯინსები აცვიათ, ბიჭებიც ჯინსებში არიან გამოწყობილი, პიჯაკების ქვეშ ზოგიერთებს ზოლიანი ჯემპრები უჩანთ. ერთს ტყავის პიჯაკი აცვია და თმა ძალიან მოკლედა აქვს გაკრეჭილი. გეგონება, რომელიმე ამერიკული ფილმიდან გადმოაბიჯაო. დღეს ყველა იანკებზეა გაგიჟებული. საკმარისია, ამერიკაში რამე მოდაში შემოვიდეს, რომ ჩვენთანაც ხელად გადაიღებენ. თუ გინდა როკ ენდ როლი აიღეთ. მე თუ მკითხავთ, დიახაც მინდა რომ სწორედ ინგლისელს ვგავდე, იმიტომ რომ ინგლისს დედამიწის ზურგზე ქვეყანა არ სჯობია. იმიტომ კი არა რომ თითქოს ყველა გადასარევად ცხოვრობდეს. აგერ, იქით, კედელთან ვიღაც ბებერი თავისთვის მარტოდმარტო ჩამომჯდარა. ნეტავი გამაგებინა ის რაღას ფიქრობს იმაზე, რაც მის გარშემო ხდება. ზურგიდანაც კი ეტყობა, რომ კარგი ორი კვირაც იქნება რაც წვერი არ გაუპარსავს. დალაქთან კი უკანასკნელად როდის იყო, ალბათ, აღარც კი

ახსოვს. თავზე გახვრეტილი ქუდი ადევს, ტანზე მუქი ლურჯი, ღილებ-დაწყვეტილი, მტვრიანი ლაბადა აცვია, წელზე კი თოკი აქვს შემორ-ტყმული. პირდაპირ გასაოცარია, რომ ჩვენ დროში ასეთ ხალხს კიდევ ხვდები. ძალაუნებურად ფიქრობ, რომ ისევ თვითონ არიან დამნაშა-ვენი. ალბათ ლოთობით მოიკლა თავი და აი, ამ დღეში ჩავარდა. ანდა მუშაობა ჭირივით ეჯავრებოდა და დროსტარებას გადაჰყვა, ვინ იცის?... მაგრამ ასეა თუ ისე, ახლა აქა ზის, ბებერი და ეული. ალბათ ჯიბეში ერთი გახვრეტილი გროშიც არ უგდია. ეუყურებ და სიბრალულისაგან გული მეწურება.

— რას უყურებ? — მეკითხება ინგრიდი.

— არაფერს, ისე ვიყურები. უბრალოდ თავი მივატრიალე იქით.

— გეშინია, ვინმე ნაცნობმა არ დაგინახოს?

— რად უნდა მეშინოდეს?

— ზოგჯერ მგონია. ჩემთან ერთად გამოჩენისა გრცხვენია. — მეუბ-ნება და თავის ფინჯანს ჩასცქერის.

— რად უნდა მრცხვენოდეს? — ვეუბნები და ვგრძნობ როგორ მე-დება სახეზე ალმური.

ინგრიდი მხრებს იჩეჩავს.

— რა ვიცი, ხანდახან ასე მგონია ხოლმე.

ასანთის ღერით მაგიდაზე დაღვრილ ყავაში რაღაც ფიგურებს ვხა-ტავ. ინგრიდი ახლა თვითონ იწყებს დარბაზის თვალიერებას.

— ესეც ასე. ახლა სრულწლოვანი ხარ. ნეტავი გამაგებინა. რასა გრძნობ.

— უფრო იოლი რამე მკითხე. — ვეუბნები სიცილით.

— კარგი საჩუქრები მიიღე?

ხელს ვწევ და მაჯის საათს ვუჩვენებ.

— დედაჩემმა და მამაჩემმა მიყიდეს. კარგია, არა?

იგი მაჯაზე ხელს მკიდებს და თავისკენ აბრუნებს, რომ საათი კარ-გად დაინახოს.

— მშვენიერია, კიდევ რა გაჩუქეს?

— რა ვიცი... ჯიმმა ჰალსტუხი მიყიდა, ქრისმა და დევიდმა დეტექ-ტური რომანების კრებული და ფირფიტა — ჩაიკოვსკის მეექვსე პა-თეტიური სიმფონია.

— ოჰო! ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან კულტურული გაგვიხდი.

საშინლად ვბრაზდები. მაგას რომ ჰკითხო, ყველაზე კარგი მუსიკა ის წკმუტუნი და ღრიალია, თვითონ რომ მოსწონს.

— მერე რა მოხდა? იმიტომ დაწერეს, რომ ხალხს მოსწონებოდა, ეგრე არ არის? ჰოდა, თუკი მეც მომწონს, რა არის მაგაში ცუდი?

— სრულებით არაფერი. უბრალოდ ბევრი ტყუილად ამბობს მომწონსო. ჰგონია, ასე თუ ვიტყვი, სხვაზე უკეთესი გამოვჩნდებიო.

— ძალიან კარგად იცი, რომ ეგეთი არა ვარ.

ინგრიდი მხრებს იჩეჩავს:

— თუ მოგწონს, მოგწონდეს, რა მენაღვლება. მე კი ვერ ვიტან. მარტო მელოდიური მუსიკა მომწონს.

— მერედა ჩაიკოვსკის მუსიკაში მელოდიის მეტი რა არის? ჩაიკოვსკისთან იმდენი მელოდიაა, რომ... — უცბად ვჩუმდები. რა ჯანდაბად მინდა თავის მართლება? იმიტომ, რომ მომწონს ის, რაც მოწონების ღირსია და არა ვიღაც უკანასკნელი ბიჭი-სასწაული რომელიმე მოჟღარუნე და მობრახუნე ორკესტრიდან, რომელიც ტელევიზორში იმიტომ მოხვდა, რომ კუბოკრული პერანგი აცვია, ხელში გიტარა უჭირავს და უზომოდ თავხედია?

ორივენი ხელზე ნიკაპდაყრდნობილები ვსხედვართ და ხმას არ ვიღებთ.

— კიდევ ერთ ფინჯან ყავას არ დალევდი? — ვეკითხები რამდენიმე წუთის შემდეგ.

— კი, სიამოვნებით. ასეთ თავსხმაში მაინც ვერსად წახვალ.

— იქნებ უკვე გადაიღო.

— ბალახი სველი იქნება.

სახეში შევცქერი.

— დღეს როგორ უცნაურ გუნებაზე ხარ, ასეთი რამის თქმა რაში დაგჭირდა?

— სულერთია, დღეს მაინც არაფერი შეიძლება.

— აჰა, თურმე რა ყოფილა მიზეზი.

— ეგეც და სხვაც.

სახეს ვარიდებ და ვფიქრობ, ნეტავი არ შევხვედროდი-მეთქი. ამას ნამდვილად არ მოველოდი. ინგრიდი ასეთ გუნებაზე არასოდეს მინახავს. ზოგჯერ ჩუმად კი ყოფილა, რაღაცაზე დაფიქრებული, მაგრამ ასეთი ენამწარე არასოდეს. თუმცა... რა უფლება მაქვს რამეში ბრალი დავდო. მე მგონი...

— წავალ ყავას მოგიტან.

ვდგები და დახლთან მივდივარ, რომელიც დარბაზის ერთ კედელს თავიდან ბოლომდე ჩასდევს. მინის ყუთებში უამრავი სენდვიჩი, კრე-

მიანი ფუნთუშა, ეკლერი და კიდევ ათასი სხვა სასუსნავი გორებადაა აღმართული. დახლის შუაგულში მონიკელებულ ლაპლაპა ელექტროყავადანს ორთქლის ბოლქვები ასდის. მაძღარზე ამდენი საჭმლის დანახვა, ცოტა არ იყოს, გულს მირევს.

მაგიდასთან რომ ვბრუნდები, ვხედავ რომ ჩემი სკამის წინ მაგიდაზე ყავისფერ ქაღალდში შეხვეული რაღაც ბრტყელი შეკვრა დევს.

— ეს რა არის?

— გახსენი და ნახე.

ქაღალდს ვაძრობ. პორტსიგარი ყოფილა.

— მომილოცავს დაბადების დღე, ბედნიერებას გისურვებ.

პორტსიგარს ხელში ვატრიალებ. პატარა ოთხკუთხედ ფირფიტაზე ჩემი ინიციალებია ამოკვეთილი: ვ. ა. ბ. ჩემი მეორე სახელიც კი არ დავიწყებია. უცებ გული მიჩუყდება და გრძნობები მერევა. მინდა ხელზე ხელი მოვკიდო და ვუთხრა: „მიყვარხარ, ინგრიდ, დღეიდან ყველაფერი სხვანაირად იქნება“. მაგრამ, რა ვქნა, ამას ვერ ვიზამ, იმიტომ რომ სიცრუეა.

— მოგწონს?

— მშვენიერია... მართლაც რომ ძალიან ლამაზია. დიდი მადლობა, ინგრიდ! თანაც. იცი, როგორ მჭირდებოდა... არა მქონდა და...

პორტსიგარს დავჩერებივარ, ინგრიდს თვალს ვარიდებ და ვეუბნები:

— იცი, ძალიან მინდა, ასე რომ არ ვიყოთ, და სხვანაირად... ნამდვილად მინდა, ინგრიდ.

— მაგრამ შეუძლებელია არა?

— არ მინდა უნამუსოდ მოგექცე.

— სულაც არა მგონია, რომ უნამუსოდ მექცევი.

პორტსიგარს ვხსნი.

— რამდენს იტევს? თხუთმეტს?

— ჰო, თხუთმეტს.

— ეს ლითონის ფირფიტა მომწონს, სიგარეტებს ზამბარებზე უკეთ იჭერს, არ სრესავს.

— მინდოდა სიგარეტებით სავსე მომეტანა, მაგრამ ყიდვა ვერ მოვასწარი.

— დღეს იყიდე?

— წარწერის გასაკეთებლად მქონდა დატოვებული, დღეს სამუშაოს შემდეგ წამოვიღე.

— მშვენიერი პორტსიგარია, ინგრიდ. ძალიან, ძალიან მომწონს. — პორტსიგარს ტკაცანით ვხურავ და ჩემ ახალ საათს დავცქერი.

— იქნებ „რიცში“ ბოლო სეანსისათვის მიგვესწრო! რაღაც სურათია ომზე. არა მგონია ცუდი იყოს.

თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს.

ყავის ფინჯნებს ვცლით და გავდივართ. მოხუცი კაცის მაგიდას რომ ვუახლოვდებით, ვხედავთ, რომ ჩაის საოცრად ნელა წრუპავს, ეტყობა, უნდა სიამოვნება დიდხანს გაიგრძელოს. უცებ ჯიბეში ხელს ვიყოფ და ნახევარკრონს ვიღებ.

— აჰა, ერთი ფინჯანიც ჩემ სახელზე დალიე.

ფულს მაგიდაზე ვტოვებ, ფინჯანთან. იგი თითქოს შეშინებული შემომცქერის, მე კი ინგრიდს ვეწევი.

— რაო, რა მინდაო? — მეკითხება ინგრიდი კიბეებზე.

— ოჰ, არაფერი.

— ფული გთხოვა?

— ხმაც არ ამოუღია.

— ფული რომ მიეცი?

— მერე რა...

— მაინც რამდენი?

— ნახევარი კრონი.

— ნახევარი კრონი? რამ გაგაგიჟა?

— უბრალოდ შემეცოდა. ეგ არის და ეგ. მგონი, კანონით აკრძალული არ უნდა იყოს. ისე მეუბნები, გეგონება ის ნახევარი კრონი თხრილში გადამეგდოს.

— დიახაც. გადააგდე. დარწმუნებული ვარ, ახლა რომელიმე მეზობელ ლუდხანაში გარბის.

— ეგ უკვე მე აღარ მეხება, თავისი საქმეა. თუ ისეთი შტერია, რომ მაგ ფულს დაამღერებს, ეგეც მე ვიდარდო?

ერთმანეთის გვერდით მივდივართ. ინგრიდი მკლავზე ხელს მკიდებს და თითებს ოდნავ მიჭერს.

— სასაცილო ბიჭი ხარ.

— მეც კარგად ვიცი.

რამდენიმე ხნის შემდეგ კინოთეატრის დარბაზში, სულ ბოლოს, სიბნელეში ვსხედვართ. გულში მყავს ჩახუტებული და ვკოცნი, ერთხანს თითქმის ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც მაშინ, პირველად რომ ვიყავით კინოში. თითქმის, მაგრამ მთლად ისეთი არა.

# თავი მეოთხე

## I

მეორე შობა მოდის. სწორედ იმ დღეს, მაღაზია უქმეებზე რომ უნდა დავკეტოთ, მისტერ ვან ჰუიტენი ცოტა ხნით მესაუბრება და მეუბნება, შენი მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარო. კარგია, როცა იცი, რომ ვიღაცას სიამოვნებას, კმაყოფილებას ანიჭებ. მისტერ ვან ჰუიტენი საშობაოდ ხელფასის გარდა საჩუქრად კიდევ ხუთ გირვანქას მაძლევს. მივდივარ და სამგირვანქანახევრად ინგრიდისათვის პუდრს ვყიდულობ.

შობის დღესასწაულის შემდეგ, იმ დღეს, როცა ფოსტალიონებსა და მოახლეებს საშობაო საჩუქრებს აძლევენ ხოლმე, ქრისი და დევიდი თავისი ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად წვეულებაზე გვპატიჟებენ. თითქმის არც კი მჯერა, რომ უკვე წელიწადი გავიდა. მაგრამ, როცა მაგონდება, ამ ხნის განმავლობაში რამდენი რამ გადამხდა თავს... ჩემი ბებერი მამიკო გაცვეთილი ოხუნჯობებით გვართობს: პირველი შვიდი წელი ყველაზე ძნელი გასაძლებია, თქვენ კი მხოლოდ ექვსი დაგრჩათო. ქრისი და დევიდი იცინიან, მაშინაც იცინიან, როცა დედაჩემი განუწყვეტლივ მათ მომავალ შვილებზე ლაპარაკობს. ჯერ რაღაც სამაგისო პირი არ უჩანთ. ნეტავი რომელიმე უშვილო ხომ არ არის-მეთქი, ვფიქრობ. ბოლოს და ბოლოს, ჯერ მხოლოდ ერთი წელია რაც დაქორწინდნენ, თანაც როდის და რამდენ ბავშვს იყოლიებენ, თავიანთი საქმეა, სხვებს არაფერი ეკითხებათ. რას იზამ, ჩემი ბებერი დედიკო ეგეთი ქალია. ჯერ ქრისის გათხოვებაზე მისდიოდა სული, ახლა კი ვეღარ ითმენს, უნდა მალე დიდედა გახდეს. ნეტავი გამაგებინა მერე რაღაზე იდარდებს. ალბათ ჩემზე, მალე ჩემთან დაიწყებს გადაკრული სიტყვებით ლაპარაკს.

მეც სიამოვნებით შევირთავდი ცოლს. ისეთ გოგოს რომ შევხვდებოდე, როგორიც მინდა და თუ დავრწმუნდები რომ ეს ჭეშმარიტი გრძნობაა, და არა ისეთი წარმავალი, როგორიც ინგრიდის მიმართ მქონდა. ქორწინება რაღაც განსაკუთრებულად კარგი რამ უნდა იყოს, თუკი ერთი წლის შემდეგაც ისეთივე ბედნიერი იქნები, როგორც ქრისი და დევიდი არიან. მაგათ რომ ვუყურებ, უფრო აშკარად ვგრძნობ, რა დიდი განსხვავებაა ჩემსა და ინგრიდის დამოკიდებულებაში ერთი წლის წინ და ახლა.

იანვრის ერთ დილას, ქვემოთ, საუზმის საჭმელად რომ ჩავდივარ, ჩემი თეფშის გვერდით წერილს ვხედავ. კონვერტზე ინგრიდის ხელს

ვცნობ. ვჯდები და წერილს ვიღებ. ვგრძნობ, დედაჩემი როგორ გაფაციცებით მომჩერებია.

— შენი შეყვარებულისაა?

— ვინ შეყვარებულის?

— ვინ შეყვარებულის?! — ტაფაზე დახლილ კვერცხებს შიშხინი გააქვთ. — ვისი და იმისი, შენ რომ დასდევ. — მეუბნება დედაჩემი. უცბათ მგონია, ალბათ ინგრიდთან დამინახა-მეთქი. მერე ისევ მეუბნება: — აი, ის გოგო, დაბადების დღეზე მოსალოცი ბარათი რომ გამოგიგზავნა და მერე პორტსიგარიც გიყიდა.

— ჰო, ისა? ის დიდი ხნის წინათ იყო.

— მაშ ახლა აღარა ხვდები?

არ ვიცი, დედაჩემმა ჩვენი ამბისა ბევრი რამ თუ იცის. ისეთი ქალია, ადვილად ვერაფერს მიუხვდები. ისე გამოგიჭერს, თვითონაც ვერ გაიგებ.

— ისე, ხანდახან. უბრალო მეგობრები ვართ.

— რა ღობე-ყორეს ედები, გამოჩენისა გრცხვენია თუ როგორ არის შენი საქმე?

დედაჩემი სახეს იქით იბრუნებს, მე კი ჩემ ფაფას დავცქერი.

— არ მინდა ის იფიქრო, რაც სინამდვილეში არ არის. ეგ არის და ეგ.

— რა უნდა ვიფიქრო?

— თითქოს სერიოზულად დავდიოდე ან რამეს ვაპირებდე.

დედაჩემი თავს აქნევს:

— არ ვიცი, ახლანდელ ახალგაზრდებს რა გჭირთ. თვითონაც არ იცით, რა გინდათ. მარტო ისა გსურთ ერთმანეთთან დრო ატაროთ. ჩემს ახალგაზრდობაში ან სერიოზულად ვხვდებოდით ერთმანეთს, ან თავს ვანებებდით.

ღუმელიდან ტაფას იღებს, მაგიდასთან მოაქვს და დანით ერბოკვერცხს იღებს. ერთ კვერცხს ჯიმის თეფშზე დებს, მეორეს—ჩემსაზე, შაშხსაც თანაბრად გვიყოფს, მერე ტაფას ისევ ღუმელზე დებს და გაზს აქრობს. შემდეგ თავის ფინჯანს იღებს და ჩაის სვამს. გვიყურებს, მე და ჯიმი შაშხსა და ერბოკვერცხს როგორ შევექცევით.

— ის აღარ არის, რაც იყო, დროება შეიცვალა. ხომ იცი, დღეს რას ამბობენ, ირბინე და დრო ატარე, სანამ დაქორწინდები, იმიტომ რომ მერე აღარ გენდომებაო.

— ჰოდა, სწორედ მაგ დროსტარების გამო ძალიან ბევრი დროზე ადრე ქორწინდება. — მეუბნება ჩემი ბებერი დედიკო.

ჩვენი დღევანდელი საუბარი თავიდანვე არ მომეწონა. ახლა კი სრულებით აღარ მომწონს. ვჩუმდები, ხმას აღარ ვიღებ. მე და ჯიმი ისევ საუზმეს შევექცევით, დრო კი გადის. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ბებერი დედიკო მეკითხება:

— რაო, ვიკ... წერილის გახსნას არ აპირებ?

— მიდი, ვიკ, წაიკითხე წერილი, მერე ახალი ამბები ჩვენც მოგვიყევი. — მეუბნება ჯიმი.

— აბა, გაჩუმდი, თორემ მოგხვდება და შენი ახალი ამბავიც ეგ იქნება. — ეუბნება ჩემი ბებერი დედიკო.

ჯიმი დედაჩემისკენ ზურგშექცევით ზის, ამიტომ ენას ყოფს, ნიკაპს მკერდზე იბჯენს და თვალებს ატრიალებს.

— ავტობუსში წავიკითხავ. — ვამბობ და თან ვცდილობ არ გამეღიმოს, რომ ჯიმს დედაჩემისაგან არ მოხვდეს. — არაფერი მნიშვნელოვანი არ არის.

— მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, — ცივად მეუბნება დედაჩემი, — წერილსაც არ მოგწერდა.

დედაჩემი ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ წერილი გამახსნევინოს. მაგრამ მაინც ჩემსაზე ვდგავარ და გაუხსნელი წერილი მიმაქვს. ფერდობს მივყევები და ავტობუსის გაჩერებისაკენ მივდივარ. ინგრიდზე ძალიან ვარ გაჯავრებული, რაში ჭირდებოდა წერილის მოწერა? ტყუილუბრალოდ დააინტერესა დედაჩემი. თუკი რამის თქმა უნდოდა, ხომ შეეძლო დაერეკა? წერილს ავტობუსის გაჩერებაზე ვხსნი.

„ძვირფასო ვიკ, — მწერს ინგრიდი. — დღეს ცოტა შეუძლოდ ვიყავი, და სამუშაოდან დავეთხოვე. ხვალაც (ხუთშაბათს) შინ ვიქნები, ამიტომ შენთან შესახვედრად ვერ გამოვალ. დედაჩემი საღამოს სადღაც მიდის და თუ გინდა მოდი ჩვენთან. ხომ იცი, სადაც ვცხოვრობ. უკანა კარებიდან მოდი და დააკაკუნე. შენი ინგრიდი.

რვის ნახევრამდე ნუ მოხვალ, იმიტომ რომ დედაჩემი სახლიდან შვიდზე ადრე არ გავა“.

ეს კი ძალიან მომწონს. ინგრიდთან სახლში არასოდეს ვყოფილვარ. ალბათ რბილი ტახტი ან მოხერხებული სავარძელი ექნებათ და პარკზე უფრო მყუდროდ ვიქნებით.

## II

— ვერ დაგირეკე. იმიტომ რომ მთელი საღამო დედაჩემს სახლიდან ფეხი არ გაუდგამს. — მეუბნება ინგრიდი. — ამიტომ წერილი დავწერე.

სუფთა ჰაერზე გასეირნება მინდა-მეთქი, მოვიმიზეზე, გამოვედი და წერილი ჩავაგდე.

— ესე იგი დედაშენისათვის ჩემზე არაფერი გითქვამს?

— არა, არ მითქვამს. რა ვიცი, ჩვენ... მე მგონი, ჩვენ სერიოზული არაფერი გვაქვს, არა?

— ჰო... არა, არა გვაქვს.

— შენმა მშობლებმაც ხომ არაფერი იციან ჩემზე?

— კიდეც იციან და არც იციან. შენი მისალოცი ბარათი ნახეს და ისიც იციან, რომ ის პორტსიგარი ვიღაც გოგომ მიყიდა. ხშირად გხვდები თუ არა, ან რა განზრახვა მაქვს, — მაგაზე არაფერი იციან.

ინგრიდი ოდნავ წითლდება:

— ჯობია არ იცოდნენ... ცუდია არა? აბა, რა უნდა ვუთხრა, ხომ არ ვეტყვი საქმე როგორც არის?

— სხვებს რაც შეეხება, თუკი ვინმემ შემთხვევით გვნახა ერთად, უბრალო მეგობრები ვეგონებით.

ამაზე ინგრიდი არაფერს ამბობს, ცეცხლს ჩასცქერის და ალბათ უბრალოდ, ისე, ჩვეულების გამო, კაბას მუხლებზე იჭიმავს. ფეხები მაინც კარგა მაღლამდე უჩანს, იმიტომ რომ ქვედატანი მოკლე აცვია. სკამები კი ისეთია, პირდაპირ ეფლობი ხავერდის ბალიშებში.

სასადილო ოთახში ვსხედვართ. მე მგონი, ჩვენი არ იყოს, სასტუმრო ოთახს მაინცადამაინც ხშირად არ უნდა ხმარობდნენ. ოთახი ძალიან მყუდროა, ტყავის დივანი და ორი სავარძელი დგას, იატაკზე ჟანგისფერი ხალიჩაა დაფენილი. ბუხრის ერთ მხარეს, საბჯენებზე შემდგარი ტელევიზორია, მეორე მხარეს კი, პატარა მაგიდაზე რადიომიმღები დგას. ეტყობა, ინგრიდის დედა სამეფო ოჯახის დიდი თაყვანისმცემელია: ბუხრის ზემოთ, კედელზე, საკორონაციო ტანსაცმელში გამოწყობილი დედოფლის დიდი, ფერადი ფოტო ჰკიდია. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. ძალიან კარგად და გემრიელად ვგრძნობ თავს. პიჯაკს ვიხდი და სკამის საზურგეზე ვკიდებ.

მგონი, ინგრიდი ცოტას ღელავს — დედამისის ჩუმად რომ დამიძახა. ცოტა აგზნებულია, თითქოს მხიარულ ხასიათზეა და წარამარა იცინის. თუმცა მაშინ უფრო ბევრს იცინოდა, ვიდრე ჩვენ ურთიერთობაზე დავიწყებდით ლაპარაკს. ახლა კი ცოტა დაწყნარდა. ზის, ცეცხლს მისჩერებია, თითქოს რაღაცაზე ფიქრობს. აქამდე სულ იმას ვფიქრობდი, აი, ახლა ავდგები და ვაკოცებ-მეთქი. ახლა, როცა ასე მყუდროდ და მოხერხებულად ვართ, ვინ იცის რა მოხდება? ბაცი ვარ-

დისფერი კოფთის მიღმა ინგრიდის სხეულს ვათვალიერებ. მინდა უკეთ დავინახო, მინდა დავრწმუნდე რომ ჩემი ხელები არ მატყუებდნენ, რომ მართლაც ძალიან კარგია.

ფეხზე ვდგები, პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი მინდა ამოვიღო. ჯიბიდან პორტსიგარს სხვა რაღაცეებიც მოჰყვება: ჩემი სავარცხელი, საფულე და წიგნაკი გოგოების სურათებით. ამ ერთი-ორი დღის წინ სიგარეტებს რომ ვყიდულობდი, მაშინ მომეწონა. ინგრიდიც ეს-ეს არის ფარდების გასასწორებლად წამოდგა, რასაკვირველია, ხედავს, რომ წიგნაკის ყდაზე ტიტლიკანა გოგოა დახატული. უცებ იხრება, წიგნაკს იღებს და განზე ხტება, მე კი ვცდილობ სურათები ხელიდან გამოვგლიჯო.

— მომეცი-მეთქი.

ინგრიდი იცინის.

— არა, უნდა ვნახო და გავიგო, სინამდვილეში რა ბიჭიცა ბრძანდები.

სკამის უკან დგება. წიგნაკი რომ დავიბრუნო, უნდა დავედევნო და ძალით წავართვა. სახეზე ალმური ამდის, მაგრამ დავიდარაბის ატეხვას მაინც არ ვაპირებ. სავარძელში ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ. როცა რწმუნდება, აღარ მომდევსო, სავარძელში ეშვება და თვალიერებას იწყებს. ეტყობა, ძალიან დაინტერესდა. თითოეულ სურათს გულდასმით სინჯავს, ისე, როგორც ბიჭებმა იციან ხოლმე. ხანდახან ეცინება, ეს ალბათ მაშინ, როცა რომელიმე სურათი სხვა სურათზე უფრო აშკარა და გაბედული ეჩვენება. მივდივარ. მისი სავარძლის სახელურზე ვჯდები და სურათებს დავცქერი. მასთან ერთად რომ ვათვალიერებ სურათებს, რაღაც უცნაური აღელვება მეუფლება, საფეთქლებში და ხელისგულებში სისხლი გამალებით მიჩქეფს.

— ნეტავი გამაგებინა, ასეთ სურათებს როგორ იღებენ. — ამბობს ინგრიდი. — გაგონილა ასეთნაირად ფოტოგრაფის წინ დგომა?

— არა მგონია, ეგ ამბავი ძალიან აწუხებდეთ. ეგ ხომ მაგათი სამუშაოა. თუ შეიძლება ითქვას, თავის ბუნებრივ მონაცემებს იყენებენ.

— ალბათ ერთ ამბავში არიან.

— აბა, ახლა ვინ არის გარყვნილი? ვის მოსდის თავში ბილწი აზრები?

— მთელი დღე ქალებს ასეთ პოზებში რომ უღო სურათები, მაშ რას იზამდი? არა თქვა არაფერი მაგდაგვარი არ მომივა თავშიო.

— უბრალოდ მე მიუჩვეველი ვარ. თანაც არც ვიცი, სად და ვინ იღებს ასეთ სურათებს. ძალიან ჭკვიანური იქნებოდა, მამაჩემს ვინმე ფოტოგრაფთან შეგირდად მივებარებინე.

ინგრიდი ფეხში მუჯლუგუნს მარტყამს.

— კარგი, ჰო, გაჩუმდი. — მერე ისევ წიგნაკს ფურცლავს: — მშვენიერი გოგოა. რა მკვრივი ტანი აქვს, არა?

— შენ მაინც ვერა გჯობია. — ვეუბნები და მიხარია, რომ ჩემ სახეს ვერ ხედავს, იმიტომ რომ ლოყებზე ცეცხლი მიკიდია.

— გაჩუმდი. — მეუბნება ინგრიდი. — ხომ ვიცი, რომ ტყუიხარ.

— სულაც არა ვტყუივარ. მე რომ მკითხო, მაგაზე ნაკლები ტანი არა გაქვს.

— ერთი მკერდზე შეხედე. სანაძლეო, თუ ამ ქალს ლიფი სჭირდებოდეს.

ერთი-ორჯერ ნერწყვს ვყლაპავ და ხმის ამოღებას ძლივს ვახერხებ:

— მე რომ მკითხო, შენც... შენც მშვენიერი მკერდი გაქვს; მე... მე ყოველთვის ასე ვთვლიდი...

— გეყოფა! — მეუბნება ინგრიდი. — ნუ მაწითლებ.

ვხედავ, მართლა როგორ ეპარება სიწითლე კისერზე და ყურებზე.

— დაფიცებით ვერ დავიფიცებ... როგორც... მე მგონი...

— ვიცი, რაცა გგონია. ზედმეტებს ნულარ გაბედავ.

ვიხრები და ინგრიდის სახეს ჩემსკენ ვაბრუნებ. ვკოცნი, თვითონ თითქმის არც კი მპასუხობს.

— ნეტავი შეიძლებოდეს. — ვეუბნები.

— რა შეიძლებოდეს?

— ზედმეტების გაბედვა.

— ძალიან გინდა, არა?

თაეჩაქინდრული ვზივარ და ყურში ვეჩურჩულები. ინგრიდი ისევ წიგნაკს ფურცლავს, თავს ისე მაჩვენებს, თითქოს ბოლომდე უნდოდეს დათვალიერება. მერე წიგნაკს ვართმევ და განზე ვდებ. მის სავარძელს წინიდან ვუვლი, ორივე ხელით ფეხზე ვაყენებ და ისევ ვკოცნი. ინგრიდი არც ახლა მპასუხობს. რაღაც ახირებულ გუნებაზეა. გულში ვიხუტებ. ლამის გავგიჟდე, ალბათ, გრძნობს, როგორ გამალებით მიცემს გული.

ცალი ხელითა მყავს გულში ჩაკრული.

— ხომ იცი, შენდამი როგორ ვარ განწყობილი, ინგრიდ? — ვეუბნები და წონასწორობის დასაცავად ფეხებს განზე ვდგამ.

— უბედურებაც იმაშია, რომ არ ვიცი.

— ადრე ასეთი რამ არავისთან არ მიგრძვნია. — ვეუბნები და ამჯერად არ ეცრუობ.

— მერე, ყოველთვის ხომ არა ხარ ასე? ჩემი დარდი სულაც არა გაქვს ხოლმე.

ცოტა არ იყოს, მრცხვენია. აბა რა უნდა ვუპასუხო?

— ნახევარჯერ თვითონაც არ ვიცი, რასა ვგრძნობ. — ვეუბნები, — ასეთ დღეში არასოდეს ვყოფილვარ. ვიცი, ხანდახან უნამუსოდ ვიქცევი, მაგრამ განა მე მინდა? არა ვარ უნამუსო ბიჭი. ხანდახან სინდისი ძალიან შემაწუხებს ხოლმე და მაშინ მგონია, აი, ჩვენი ასეთი საქციელი უნამუსობაა-მეთქი... რამდენჯერ შევეცადე, ყველაფრისათვის წერტილი დამესვა, მაგრამ ვგრძნობდი, ისე არ გამოდიოდა, როგორც მე მინდოდა.

— მაგრამ მე არ გაძლევდი გასაქანს, არა?

ეს კი აღარ მომწონს. აქამდე, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ყველაფერს მშვენივრად ვახერხებდით. მეგონა, ორივემ ვიცით, საქმე როგორც არის-მეთქი. ინგრიდიც, როგორც ვატყობდი, ცდილობდა ასეთ ურთიერთობას შევუებოდა, თუმცა, ეს ის არ იყო, რაც თვითონ უნდოდა. ახლა ასეთი ლაპარაკი იმის საშუალებას მაინც მაძლევს, რომ თავი გავიმართლო და გავაგებინო, რომ ვიცი, თვითონ რასაცა გრძნობს. გარედან კი ისე ჩანს, რომ მე ერთი დიდი ეგოისტი ვინმე ვარ და მარტო ჩემ თავზე ვფიქრობ. უბედურება იმაშია, რომ ყველა ადამიანში ორი საწყისია, ინგრიდი კი ჩემში მხოლოდ ცუდ საწყისს აღვიძებს.

ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ძალიან ძნელია ამ სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ ჩემი აზრით, თუკი ინგრიდსაც ამის თქმა უნდა და უჭირს, უნდა მივეშველო.

— გინდა დავშორდეთ? თუ გინდა, ბრალს ვერაფერში დაგდებ.

ინგრიდი ჩემს ახლოს დგას და იატაკს ჩასჩერებია, ეტყობა რაღაცაზე ფიქრობს. მერე კი მეუბნება:

— არა, დაშორება არ მინდა.

და როცა თავსა სწევს და მკოცნის, ამ კოცნით გამოხატავს ყველაფერს, რასაც აქამდე მალავდა და არ მეუბნებოდა

კოფთაზე ღილებს ვუხსნი, იგი არ მეწინააღმდეგება, იმიტომ რომ ისეთს არაფერს არ ვაკეთებ, რაც აქამდე არ გამიკეთებია. მაგრამ როცა ქვედატანის გახდას ვუპირებ, ხელზე ხელს მკიდებს და მაჩერებს.

— რა იყო?

— შეიძლება ვინმე მოვიდეს.

— როგორ, ვინმეს ელოდები?

— არა, მაგრამ ვინ იცის...

— კარი ჩაკეტე.

— უკვე ჩავკეტე.

— თუკი ვინმე მოვა, ვითომ საბაზანოში იყავი... — ვეუბნები, იმიტომ რომ უკეთესი არაფერი მომდის თავში.

— ოჰ, ვიკ...

— ჰო, ინგრიდ, ჰო...

— ხომ იცი, რომ დიდი არაფერი არ არის...

—შენთვის არ არის, შენ გოგო ხარ, ჩემთვის კი... ზოგჯერ მაგის გარდა არაფერზე ვფიქრობ. საწოლში ვწევარ და თავში მიტრიალებს, რომ...

— სანამ აქა ხარ, ვერ გავიხდი... უნდა გახვიდე.

— კარგი ერთი... მე თვითონ გაგხდი...

— არა, ვიკ, არა. მართალს გეუბნები, უნდა გახვიდე.

— მაშინ კარგი. — ვეუბნები. რას იზამ, ყველაფერს ერთბაშად ვერ მიიღებ.

— საბაზანოში წავალ.

— კიბეზე რომ ახვალ, მოუხვიე. ცოტა ხანს დამაცადე. კარგი?

საათს დავცქერი.

— ახლა ნახევარია. ოცი რომ დააკლდება, ჩამოვალ.

ინგრიდი ტორშერს ანთებს და ჭაღს აქრობს. მერე ბუხართან მიდის, ცალი ხელით ეყრდნობა და ცეცხლს დასცქერის.

ოთახიდან გავდივარ, დერეფანს მივყვები და კიბეებზე ავდივარ. ფეხები ხალიჩებში მეფლობა. სახლი დიდი არ არის, ავეჯი ძალიან მომწონს. ალბათ, მისტერ როთუელმა ბლომად ფულები ჩააყარა, რომ ინგრიდსა და დედამისს თავი მყუდროდ ეგრძნოთ, თვითონ როცა აქეთიქით ივლიდა.

საბაზანოში კედლები ვარდისფერია, დაახლოებით ჩემი წელის სიმაღლემდე შავი ფილებით არის მოპირკეთებული. ჩვენი აბაზანა, სახლში, ცხოველივით ოთხ ფეხზეა შემდგარი. ეს კი თანამედროვეა, გვერდებამოშენებული და შავი, რომ კედლებს შეეხამოს.

არ ვიცი, დარჩენილ ათ წუთს რა გამაძლებინებს. უცებ, პირსაბანი ბაკნის ზემოთ, სარკეში საკუთარ თავს ვხედავ. თმა დასავარცხნი მქონია. ცოტა დრო ამას მიაქვს. თითებით ტალღებს ვისწორებ და ბოლოს ჩემ ნებაზე ვაყენებ. ცისფერი, სურნელოვანი საპნით ხელებს ვიბან, მერე ხელს პირზე ვიფარებ და ვცდილობ გავიგო, ცუდი სუნი ხომ არ ამომდის-მეთქი. ასე მაინცდამაინც კარგად ვერ მიხვდები, მაგრამ მაგის

დარდი არ მაწუხებს, მგონი, მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა. უნიტაზს თავსახურს ვაფარებ და ვჯდები. საათს დავცქერი. კიდევ ხუთი წუთი დარჩა. ვზივარ და ინგრიდზე ვფიქრობ. ნეტავ ახლა რას აკეთებს? უცებ მაგონდება, რომ ერთხელ, არ მახსოვს რაღაც ხათაბალაში რომ ვიყავი გახვეული, დედაჩემმა მითხრა: ისეთი რამ არასოდეს ჩაიდინო, რომ, როცა დედაშენი გაიგებს, შეგრცხვესო. ოჰ, ღმერთო დიდებულო, ახლა რომ მხედავდეს... ყველაფერი რომ მარტო იმაზე იყოს დამოკიდებული, რასაც დედა გეტყვის, ან თუნდაც მამა... მაგათ რომ ჰკითხო, მე ახლაც უნდა მეგონოს, რომ ბავშვებს ყიდულობენ და კაცი და ქალი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ქალი გრძელ თმას ატარებს და წვერი არა აქვს გასაპარსი. მერე უცებ ვფიქრობ, ეს ყველაფერი რა სასაცილოა-მეთქი. საერთოდ სქესის საკითხი... ბიჭები რომ გოგოებისათვის გიჟდებიან და ათას სისულელეს აკეთებენ... და ასე იყო დასაბამიდან, სამყაროს შექმნის დღიდან... აი, ახლა მე ვზივარ აქ, დღეს ჩემი ჯერია. ნეტავ თუ ექნება ამას ოდესმე დასასრული?

დანიშნულ დროს განგებ ორ წუთს ვაცილებ. კიბეებზე ჩავდივარ, მაგრამ ფეხებს ძლივს მივათრევ.

## III

რამდენიმე დღის შემდეგ ნამდვილი ზამთრის თოვლი მოდის. მთელი ღამე თოვს და დილით, როცა ხალხი დგება და სამუშაოდ მიიჩქარის, მანქანები უკვე ქუჩებს ხვეტენ. თოვლი თითქმის ორ კვირას დევს, მერე, როცა დნება, აქა-იქ მინდვრებში და ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანის ფეხი არ ხვდება, კიდევ დიდხანსა ჩანს ჭუჭყიანი თოვლის ლაქები. სიცივეც არ კლებულობს. პირიქით, უფრო ცივა, ვიდრე მაშინ, როცა თოვლი იყო. ყველაფერი გაყინულია. საშინელი სუსხია და აღარა მგონია, თუ ოდესმე დათბება. იმ შეყვარებულებისათვის, ვინც ერთმანეთს ღია ცის ქვეშ ხვდება, ყველაზე ცუდი დროა და მე და ინგრიდი უფრო ხშირად კინოში დავდივართ. მაგრამ ვერ ვითმენთ და ხანდახან პარკში შევდივართ, გინდა თავის შეფარებაც დაგვჭირდეს. ასეთ დროს, ხელები ყინულივით რომ გამიხდება ხოლმე, ინგრიდის მყუდრო სასადილო ოთახი მაგონდება, მოგიზგიზე ცეცხლი და დივანი. მაგრამ ასეთი შემთხვევა აღარასოდეს გვეძლევა.

ახლა რაღაც შეიცვალა. იყო დრო, ინგრიდთან ასე შორს შეტოპვაზე ვერც ვიფიქრებდი, ისევე, როგორც უფულო კაცი ბანკის გაქურდვაზე

ვერ იფიქრებს. ეგ საკუთარი ნებით ხათაბალაში გახვევა იქნებოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ინგრიდი ვიგრძენი და ვნახე როგორია, რა არაჩვეულებრივი და მომხიბლავია, საშინელი ცოუნება მიპყრობს. გეგონება მხარზე ვიღაც კაცუნა მაჯდეს და ჩამჩურჩულებდეს: „მიდი, გამოსცადე, რისი გამოცდაც გინდა. ოცდაერთი წლისა ხარ და ჯერ ქალი არ გიგემია. აქამდე მიხვედი და რა იქნება კიდევ ცოტა შორს შესტოპო? არაფერიც არ მოხდება. ათასობით ქალი და კაცი სჩადის ამას, ინგრიდსაც ხომ უნდა...“ ჰოდა, ერთ საღამოს, როცა ყინვა იკლებს და ამინდი ისევ თბება, ხეების ქვეშ, ჩვენ ძველ ადგილას მივდივართ.

მხარზე შემოსკუპებული კაცუნა დღეს განსაკუთრებით დაჟინებით ჩამჩიჩინებს, როგორც ჩანს, თვითონ ან ძისი ძმაკაცი ინგრიდსაც უჩიჩინებს, იმიტომ, რომ ყველაფერი ბოლომდე ხდება. არც ძალდატანება მჭირდება და არც ხვეწნით დაყოლიება. ეტყობა, ინგრიდსაც ჩემსავით სწადია. ვიდრე არ ვჩერდებით და გონზე არ მოვდივართ, არც ერთი ხმას არ ვიღებთ.

— გადავრჩებით, ვიკ, როგორა გგონია? — მეკითხება ჩურჩულით.

— რა? რასაკვირველია. — ვეუბნები კი, მაგრამ, აბა, მე რა ჯანდაბა ვიცი? თავში ათასი ფიქრი მიტრიალებს. ნეტავი გადავრჩებოდეთ...

— მოდი, მეტს ნულარ გავრისკავთ, კარგი?

—ჰო, რამეს ვიშოვი. — შემდეგისათვის რამეს უეჭველად ვიშოვი. არც კი ვიცი როგორ. ვერ წარმომიდგენია, მაღაზიაში როგორ უნდა შევიდე და ისე მშვიდად ვიკითხო, გეგონება ერთ შეკვრა სიგარეტს ვყიდულობო. თუმცა ვილის შევეკითხები, იმას ეცოდინება. ამ წუთში კი სრულებით არ მენაღვლება. თუ გინდა ნულარასოდეს ნუ ვიქნებით ასე. როცა ყველაფერი მთავრდება, ვფიქრობ. ნეტავი რა არის აქ თავის მოსაკლავი და გასაგიჟებელი-მეთქი. არა სჯობდა, ისევ ძველებურად ვყოფილიყავით, კიდეც გვესიამოვნა და არც არაფრის გვშინებოდა?

მაგრამ ერთი-ორი დღის შემდეგ ისევ ვგიჟდები და მაგის გარდა ველარაფერზე ველარ ვფიქრობ. თავი ნამდვილი მამაკაცი მგონია და გულში ვამაყობ კიდეც, რომ ამისთანა გოგოსთან ასეთ რამეს ჩავდივარ.

გამწარებული ვეძებ ვილის. მაგრამ მაინცდამაინც ახლა, როცა მისი ნახვა ასე ძალიან მჭირდება, ვერსად ველარ ვხვდები. ერთ საღამოს მასთან შინ მივდივარ, იქნებ იქ მაინც დავიჭირო. ვილისთან სულ ერთხელ ვიყავი სახლში და არ მომეწონა. ტერასიანი სახლია, ერთ

ვიწრო ქუჩაზე, გირდერდეილის გზატკეცილის გადაღმა. ქუჩა მუდამ სავსეა ცინგლიანი, შარვალჩაჩაჩული ბავშვებით. ვილის ძმები დიდი გაუთლელი ვინმეები არიან და გამუდმებით ლოთობენ. დედამისი კი ერთი ფეთხუმი ქალია. არც დედაჩემია დიდი აზიზი და უყვარს უხეში ლაპარაკი, მაგრამ ვილის დედისნაირ ბინძურ ქალს ახლოს არ გაიკარებს.

ქუჩას რომ მივყვები, რომელიღაც სახლის შესასვლელიდან პატარა ბიჭი გამოდის ღრიალით, ასე ხუთი-ექვსი წლისა, საშინლად ტურტლიანი. ისეთნაირად ტირის, რომ გულზე ცხვდება. ბავშვები ყოველთვის რაღაცაზე ღრიალებენ, მაგრამ ტირილიც არის და ტირილიც, ეს ბავშვი კი ძალიან გულსაკლავად ქვითინებს. ბავშვის ტირილში ამდენი უბედურება არასოდეს მიგრძვნია და ახლა სულ გულ-მუცელი მეწვის.

ვილი სახლში არა ბრძანდება. დედამისს ვეკითხები, ხომ არ იცით სად არის-მეთქი. ვილის დედა კიბეზე დგას, ხელები გაზინზლულ წინსაფარზე დაუკრეფია და მეუბნება:

— არა, არ ვიცი. მე საიდან უნდა ვიცოდე, ბიჭო? არასოდეს არ მეუბნება სად მიდის. იმ ლუდხანებში თუ ეძებე, სადაც ჩვეულებრივ დადის ხოლმე?

— არა, ჯერ არსად მიძებნია. პირდაპირ აქ მოვედი.

— იცი, რომელ ლუდხანაში დადის?

— ერთი-ორი, სადაც დალევა უყვარს ხოლმე, ვიცი.

— მაშ, იქ ეძებე. ან იქნებ კინოში წავიდა. თითქმის ნახევარ სიცოცხლეს კინოში ატარებს, მთლად გაიოხრებს თვალებს. სულ მაგას ჩავჩიჩინებ.

— მაშ, წავალ და მოვძებნი.

— კარგი, წადი, ეძებე.

იგი თავიდან ფეხებამდე მათვალიერებს, ჩემ ტანსაცმელს უყურებს. დარწმუნებული ვარ, სრულებით არ ახსოვს, რომ ადრეც ვყავარ ნანახი.

— რამე გადაუდებელი საქმე გქონდა?

— არა, ისე, უბრალოდ ამხანაგი ვარ. კარგა ხანია არ მინახავს და ვიფიქრე, ერთი შევუვლი-მეთქი.

თავს მიქნევს:

— ჰოო... კარგი, მაშ წადი და იქნებ იმ ორი ლუდხანიდან რომელიმეში იპოვო.

ქუჩას მივყვები. ვილის დედა ისევ კიბეზე დგას და მიყურებს. ცოტა ხნის შემდეგ მომძახის:

— მგონი, ბილიარდის თამაშს აპირებდა. იცი, სად არის საბილიარდო?

ვიცი, და ჯერ იქ მივალ-მეთქი, ვეუბნები. მივდივარ და ვფიქრობ, ალბათ ვილის დედას სულაც არ ენაღვლება ვილი სად იხეტიალებს, ოღონდ კი ფეხებში არ მოებლანდოს. ნეტავი რა გუნებაზე ვიქნებოდი ეგეთი დედა რომ მყავდეს. რას ამბობ, დედაჩემი მაგ დედაკაცს ათასჯერ სჯობია. მერე რა, რომ ზოგჯერ ზედმეტების გაგებას მოიწადინებს ხოლმე.

საბილიარდოში ხის კიბე ადის. თვითონ საბილიარდო კოოპერაციული ქუჩის კუთხეშია, ბაზრის გადაღმა. თუკი ბაზრობის დღეს საბილიარდოში მოხვდები, თვალწინ გადაგეშლება ბრეზენტის სახურავებიანი ფარდულები და მთავარი შენობის მინის სახურავი. ვილის პიჯაკი გაუხდია და ერთ-ერთ მაგიდასთან დამდგარა, დიდი აბაჟურიანი ნათურის ქვეშ.

— გამარჯობა, ვილი!

— ოჰ, ვიკ, შე ძველო, როგორა ხარ?

— მშვენივრად.

ვილი ბილიარდის ჭოკის ბოლოზე ცარცის წასმას ამთავრებს და იხრება რომ დაარტყას.

— სათამაშოდ მოხვედი?

— არა, შენ გეძებდი. სახლში ვიყავი თქვენთან და დედაშენმა მითხრა, შეიძლება საბილიარდოში იყოსო.

— რამე საქმე გაქვს?

— არა, ვიფიქრე ვნახავ როგორ არის-მეთქი. კარგა ხანია არ მინახიხარ.

— მართალია. — ამბობს ვილი.

საბილიარდოში კიდევ ოთხი-ხუთი ბიჭი იქნება. ვილის რომ ეთამაშება იმ ბიჭს ვიცნობ. „ამერიკულს“ თამაშობენ. ვილი არტყამს და ბურთებს აქეთ-იქით ფანტავს.

— აი, ფრედს მოვუგებ, შინ გავისტუმრებ და მერე ერთად წავიდეთ დასალევად, კარგი?

ბიჭი, რომელსაც ფრედი ჰქვია, ილრიჭება:

— ეგეთი დარტყმებით რომ ვერ მომიგო, ვილი?

— ეეე! — დინჯად ამბობს ვილი. — საქმე ის კი არ არის, კარგად თამაშობ თუ ცუდად, საქმე ის არის თამაშის დროს როგორ ერთობი.

მე შენზე მეტად ვერთობი, იმიტომ რომ შენ მოსაგებად თამაშობ. მე კი ფეხებზე მკიდია, გინდა მოვიგო, გინდა წავაგო.

ლაბადას ვიხსნი, სიგარეტს ვუკიდებ, ვჯდები და ველოდები თამაშს როდის დაამთავრებენ. ბიჭი ვილის უგებს, ვილი იცინის, თვალს მიკრავს და ბილიარდის ჭოკს თავის ადგილზე აყუდებს.

— ესეც ასე. ახლა კი დასალევად წავიდეთ. შენც წამოხვალ, ფრედ?

მიხარია რომ ფრედი უარს ეუბნება, ჯიდევ ერთი ხელი უნდა ითამაშოს. ვილისთან მარტო მინდა დარჩენა. დაბლა ჩავდივართ და იქვე, გვერდით „გვირგვინში" შევდივართ. წყნარი საღამოა და ლუდხანაში ჩვენს მეტი თითქმის არავინ არის. ცოტა ხანს ვსვამთ და ვიდრე იმაზე წამოვიწყებდე ლაპარაკს რაც მე მაინტერესებს, ღობე-ყორეს ვედები.

— ვილი, აი, როცა გოგოსთან რჩები, რაღაცეებს სად შოულობ?

— ააა! — ამბობს ვილი. — თურმე ეგ გაწუხებდა?

ვილისთან გულახდილი ლაპარაკი ჯობია, ამიტომ პირდაპირ ვახლი:

— ერთ გოგოსთან დავდივარ და თანახმაა, მაგრამ ხათაბალაში გაბმა არ მინდა.

— მოდი, მეც მიმიშვი, რა იქნება. — ამბობს ვილი. — ხარჯებსაც თანაბრად გავინაწილებთ.

— ისეთი გოგო არ არის, ვილი, მხოლოდ ეგ არის, ვუყვარვარ. კარგა ხანია დავდივართ.

— რა ჰქვია? ვიცნობ?

— არა, აქეთ არა ცხოვრობს... მოკლედ. ეგ არის, რაც მჭირდება და მერე ყველაფერი რიგზე იქნება.

— ძაღლის ბედი გაქვს.

— სად შოულობ ხოლმე, მითხარი. თან ხომ არა გაქვს?

— მართალი გითხრა, სწორედ ახლახან გამომელია. თუ ეცა ყიდვა შეიძლება. შედი მაღაზიაში და მოითხოვე.

— რომელ მაღაზიაში?

— აფთიაქში. შენი დალაქი არა ყიდის?

— რა ვიცი...

— ბევრი დალაქი ყიდის.

— ეგეც რომ იყოს, ჩემი დალაქი მამაჩემის ძმაკაცია.

— შენც სხვაგან იყიდე.

— ერთიც ვნახოთ აფთიაქში შეევედი და გამყიდველი გოგო აღმოჩნდა, მერე?

— მერე რა? ძალიან კარგად ეცოდინება ეგეთი რამეები რისთვისაც არის საჭირო.

— გოგოს ვერ შეეკითხები, ვილი, შემრცხვება, — ჩემი კათხიდან ლუდს ვწრუპავ. — იცი რა, ვილი, რა იქნება ფული რომ მოგცე და შენ მიყიდო?

— კი მაგრამ, რატომ არ გინდა, რომ შენ თვითონ იყიდო? სულ-ერთია, ოდესმე ხომ მაინც დაგჭირდება ყიდვა?

— მე მგონი, ვერ მოვახერხებ, ვილი. მეშინია, ვაითუ წლოვანება მკითხონ.

— მერე, წლოვანება ნებას ხომ გაძლევს?

— კი, მაგრამ მაინც უხერხული იქნება.

— ოო... ნუ სულელობ ერთი...

ვილი ისეთი მიკიბ-მოკიბულად ლაპარაკობს, ცოტა არ იყოს, მის სიმართლეში ეჭვი მეპარება.

— პირველად ვისთან შესცოდე, ვილი?

— ოჰ, ერთი გოგო იყო, არ იცნობ.

— ბოლოს როდის იყავი?

— ერთი კვირის წინ.

— ოცნებაში, არა, ვილი?

— ნეტავი გამაგებინა, ჩემ საქმეში ცხვირს რაზე ჰყოფ? — მეუბნება ვილი.

ვიცინი და ვილის ცარიელ კათხას ხელში ვიღებ:

— კარგი, გეყოფა, მოდი კიდევ დაველიოთ.

## IV

— აი ის... რაც საჭიროა... თუ მოიტანე? — მეკითხება ინგრიდი.

— არა, შაბათს ქალაქში გავედი, მაგრამ მაღაზიაში შესვლა და ყიდვა ვერ გავბედე.

— მაშინ ჯობია... ჯობია... ისე ნულარ ვიქნებით, კარგი?

— კარგი.

ჩემს ლაბადაზე ვაწვენ და ვკოცნი, მთელი ტანით მყავს აკრული. ასე მგონია, ახლა მის სხეულში ჩავეფლობი-მეთქი. ოჰ, რა შტერი ვარ, რა შტერი. აჰა, ყველაფერი ჩემ ხელშია და რაღაც სულელური სიმორცხვის გამო უარი უნდა ვთქვა.

მერე ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის და მგონია საერთოდ ყველაფერს მოვრჩი და ჩემ დღეში გოგოს აღარ შევხვდავ-მეთ-

ქი. აი, ასეთ წუთებში, სწორედ ასეთ წუთებში, როცა რაღაცნაირად ნათლად ვიწყებ აზროვნებას, ასე მგონია ციხიდან გამომიშვეს-მეთქი. წინ კი თავისუფლებაა და ათასი შესანიშნავი რამ, მიდი და ისიამოვნე, არაფერი არ გიღრღნის გულს; როცა წიგნს კითხულობ, მუსიკას უსმენ და კინოში ზიხარ, ვიღაც გოგოზე ფიქრი ტვინს არ გიბურღავს, არც მოფერება გსურს. მაგრამ სრულიად თავისუფლად რომ ვიგრძნო თავი, უნდა მთლად მოვშორდე; იმიტომ რომ ვიდრე აქ ვარ, მის გვერდით, ჩემი თავი უკანასკნელი ნაძირალა მგონია. აი, ასე უნამუსოდ რომ ვექცევი იმიტომ. ასე მგონია, ადამიანები ზოგჯერ ცხოველებივით იქცევიან, როგორც მაწანწალა ძაღლები, პირდაპირ ქუჩაში რომ ერთ ამბავში არიან. ოღონდ ძაღლები უფრო გონიერები არიან, მორჩებიან თუ არა საქმეს, თავთავის გზით მიდიან, ადამიანებმა კი აუცილებლად უნდა ილაპარაკონ. მე კი ინგრიდთან ლაპარაკი არ მინდა. მინდა ავდგე და წავიდე. არ მინდა დავრჩე და მის სულელურ ყბედობას ვუგდო ყური, ყველაფერზე და არაფერზე, თავი ვუქნიო და ხან „ჰო“ ვუთხრა და ხან „არა“, როცა თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს: ავდგე და წავიდე, მოვშორდე ინგრიდსაც, სხვა ქალებსაც და არასოდეს არც ერთი აღარ ვნახო. მაგრამ ის კი არ მინდა, რომ ქალი საერთოდ აღარ მომენატროს. აი, მარტო ამ საქმისათვის რომ მომენატროს, ის არ მინდა. ხომ შეიძლება სხვანაირადაც ვიყო ისეთ გოგოსთან, როგორიც მუდამ მომენატრებოდა. ალბათ, ყველაფერიც მოხდება, მაგრამ მერე მასთან დარჩენაც მომინდება. სიცილიც და ლაპარაკიც, მოვეფერები კიდეც, მაგრამ სათუთად და ნაზად. როცა ამაზე ვფიქრობ, გული მეკუმშება და შიში მიპყრობს, იქნებ ასეთ გოგოს ვერასოდეს შევხვდე-მეთქი.

ინგრიდი ისევ ლაბადაზე წევს. ნეტავი გამაგებინა, ასე ჩუმად რატომ არის. საერთოდ მუდამ ბევრი აქვს ხოლმე სალაპარაკო.

— გინდა ცოტა გავიაროთ? — სიარული მინდა, აქ მეტხანს ველარ დავრჩები. ხმას არ იღებს, სახეგიბრუნებული წევს.

— ხომ კარგადა ხარ? — ვეკითხები ცოტა ხნის შემდეგ. რაღაცას ჩურჩულებს, მგონი „ჰოო“ შეუბნება. — მოდი, ცოტა გავიაროთ, მცივა.

რაღაცას მეუბნება, ვერ ვგებულობ და ვეკითხები, რა თქვი-მეთქი.

— მგონი ცუდად არის საქმე, ვიკ. — ამბობს ინგრიდი.

მაშინვე ყველაფერს ვხვდები. თითქოს გული შემიქანდაო. შიში მთელ სხეულში ღამურასავით აფარფატდა.

— როგორ თუ ცუდად? — ძალიან კარგად ვიცი, რის თქმაც უნდა, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, იქნებ შევცდი-მეთქი.

ისე მშვიდად მელაპარაკება, რომ ვხვდები, აქ ხუმრობის ნატამალიც აო ურევია.

— ის. რაც უნდა მომხდარიყო, არ მოხდა.

— როგორ თუ არ მოხდა? —უხეშად გამომდის, იმიტომ რომ ხმას ვერ ვიმორჩილებ. არადა არ მინდა, ინგრიდმა შემამჩნიოს შეშინებული რომ ვარ.

— ძალიან კარგად იცი, რაზედაც ვლაპარაკობ.

— რამდენი ხანი დააგვიანდა?

— ათი დღე!

— ათი დღე? არა უშავს რა.

— ჩემთვის უშავს. ყოველთვის საათივით ზუსტად მაქვს ხოლმე.

— ახლა კი სხვანაირად გამოვიდა? — თვითონვე მიკვირს ახლა ისეთი ხმა მაქვს. შიგნით ყველაფერი მიდუღს და შიშით გული მისკდება, ლაპარაკით კი ისე ვლაპარაკობ, გეგონება სრულებით არ მენაღვლებოდეს. — წამო, გავიაროთ. — ვეუბნები.

— ადრე ასე არასოდეს ყოფილა, ვიკ. — მეუბნება ინგრიდი და ადგილიდან არ იძვრის.

— კარგი, მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო, როგორ?

— ძალიან კარგად იცი, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო.

— რა ვიცი, ხალხი მთელი სიცოცხლეა ერთად და ძლივს რაღაც გამოუდით. ჩემი და აგერ რამდენი თვეა ცდილობს და ჯერ არაფერი ჩანს. დარწმუნებული არცა ვარ, ისე კი იყო ყველაფერი, როგორც უნდა ყოფილიყო? რა საჭიროა ყველაფერზე ლაპარაკი, შენ თვითონ იცი.

ინგრიდი წამომჯდარია, მაგრამ თავი ჩაქინდრული აქვს და თითებით ცხვირსახოცს აწვალებს:

— მე ის ვიცი, რომ ათი დღე დამიგვიანდა და ადრე ასე არასოდეს მომსვლია... მეშინია, ვიკ.

მეც მეშინია. მერე როგორ მეშინია! მინდა წამოვხტე, სირბილით გავვარდე და რაც შეიძლება შორს წავიდე ინგრიდისაგან. გეგონება ეს საქმეს შველოდეს. მაგრამ ახლა კი მართლა უნდა მოვშორდე, რომ ყველაფერი ავწონ-დავწონო; მოვცილდე აქაურობას, რომ თავის მოჩვენება და თამაში არ დამჭირდეს. ო, ღმერთო ჩემო, ეს რა ხათაბალაში გავეხვიე!

— სულ ტყუილად გეშინია. ადე, წავიდეთ!

— ნეტავი შენსავით მჯეროდეს!

ეჰ, რომ იცოდე, მე რა დღეში ვარ, არ ინატრებდი.

— ნუ იდარდებ, მორჩა და გათავდა. ალბათ იმიტომ დაგიგვიანდა, რომ მაგის გამო ნერვიულობ, ჯადოსნური წრეა... წამო. წავიდეთ, — კიდევ ერთხელ რომ მათქმევინოს, ალბათ ვუყვირებ.

ფეხზე დგება და ტანსაცმელს ისწორებს. ლაბადას ვიღებ და ვბერტყავ, თან ვფიქრობ, ვინ იცის, რამდენჯერ დამიბერტყავს ამ ადგილას-მეთქი. არ ვიცი, როდისა ვარ ხოლმე კარგად, აი, ამაშია ჩემი უბედურება. ვიყავი ჩემთვის ჩიტივით თავისუფალი, ბედნიერი. რა ძალა მადგა, რომ ასეთ დავიდარაბაში გავიხვიე თავი, თანაც, კაცმა რომ თქვას, ნამდვილი სიამოვნება არც მიმიღია. მორჩა, ბოლო მოეღო. თუკი ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება, წერტილს დაპუსვამ. სწორედ ასე იქნება. ეგ იქნება დასასრული.

ქვემოთ, ჭიშკართან ვეუბნები:

— კარგი, ნუღარ დარდობ. მეორედ რომ შეგხვდები, ყველაფერი კარგად იქნება.

— ნეტამც აგრე იყოს. — მეუბნება მოწყენილი. — მაგრამ რომ არ იყოს, მაშინ რა ვქნათ?

ღმერთო ჩემო, ამაზე ფიქრიც არ შემიძლია!

— გეუბნები, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ნუღარ დარდობ.

ვგრძნობ, უნდა, რომ ცოტა ხანს ჩემთან დარჩეს, არ უნდა სახლში წავიდეს და თავში სულ ეგ უტრიალებდეს. იქნებ ეშინია თავისიანებთან რამე არ წამოსცდეს. მე კი არა მგავს. ურიგო არ იქნებოდა, მოყვარული მსახიობი გავმხდარიყავი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი კარგი თამაში შემეძლო.

მომდევნო რამდენიმე დღეს ჩემი ნიჭის გამოყენების საშუალება მეძლევა. ამაზე საშინელი ოთხი დღე ჩემ ცხოვრებაში არ გამიტარებია. დავდივარ, ვთამაშობ, ისე ვიქცევი, გეგონება ამ ქვეყნად სადარდებელი არაფერი გამაჩნდეს, შიგნით კი ყველაფერი მიდუღს. ახლა კი მესმის, როცა საჭიროა, როგორ ახერხებს ხალხი დიდი ჯავრის დამალვას. ვერავინ, ჩემი ბებერი დედიკოც კი ვერ ხვდება. რომ ჩემ თავს რაღაც ამბავია. მთელი ეს დღეები ლამის გავგიჟდე. ისე მინდა ინგრიდთან დავრეკო და გავიგონო, ყველაფერი რიგზეაო. მაგრამ ვერ ვბედავ, მეშინია პირიქით არ მითხრას. ვიცი, თუ მოხდება, თვითონვე დამირეკავს. მაგრამ რომ არ დამირეკოს? მაშინ ისე მშვიდად ვიყავი, იქნებ იფიქროს, რაზე უნდა შევატყობინო, როცა ისედაც დარწმუნებული იყო ყველაფერი რიგზე იქნებაო.

შეიძლება მისი ცოლად შერთვა მომიხდეს. რას იზამ, ეგეც უნდა ვიფიქრო, თუ ის, რასაც ველით, არ მოხდება. ამის გაფიქრებაზეც კი ჭირის ოფლი მასხამს. ალბათ არის დედამიწაზე ისეთი ქვეყნები, სადაც შეიძლება გოგო, თუ ბავშვს ელის, შეირთო და მერე დაშორდე. მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობ, არ შეიძლება. მართალია, ხალხი აქაც შორდება ერთმანეთს, მაგრამ თუკი ჩემისთანა კაცი ცოლს ირთავს, ათიდან ცხრა შემთხვევაში სამუდამოდ ყოფს უღელში თავს. სამუდამო პატიმრობაა. რას იზამ, უნდა გაუძლო. გარდა ამისა, სულაც არ მინდა ცოლი შევირთო და პირველივე დღიდან გაყრაზე ვფიქრობდე. რა ჯანდაბად მინდა ასეთი ქორწინება? აი, ისე უნდა დაქორწინდე, როგორც ქრისი და დევიდი, ანდა ისე, როგორც მე და ის გოგო... ჩემი ოცნების გოგო... მაგრამ სხვასთან, ასეთნაირად... აღარასოდეს-მეთქი, ვინ იცის მერამდენედ ვუმეორებ საკუთარ თავს. თუკი ახლა გადავრჩი, მხოლოდ ერთხელ შევხვდები, რომ ავუხსნა საქმე როგორც არის და ყველაფერს მოვრჩები, ბოლოს მოვუღებ. კაპუტ: ასე უნდა მოვიქცე, როგორ ძალიანაც არ უნდა მინდოდეს ყველაფრის თავიდან დაწყება.

ხუთი დღის შემდეგ (დღის კი არა, ლამის ხუთი წელიწადის) ტელეფონი რეკავს და მისტერ ვან ჰუიტენი მეუბნება, ვიქტორ შენ გეძახიან, მგონი ახალგაზრდა ქალი უნდა იყოსო. როცა ყურმილს ვიღებ, გულს სულ ბაგაბუგი გააქვს. აქეთ-იქით ვიყურები, ხომ არავინ მისმენს-მეთქი. ვიდრე ხმას ამოვიღებდე, სულს ვითქვამ.

— ალო!

—ალო, შენა ხარ, ვიკ? ინგრიდი ვარ.

— გამარჯობა, ინგრიდ, როგორ არის საქმე?

— შენ დარეკვას ველოდი, ვიკ, ვიფიქრე, იქნებ სამუშაოზე არ დადის-მეთქი.

— არა, რას ამბობ. რა ვიცი, ათასი საქმე გამომიჩნდა. — ხელს პიჯაკის ქვეშ ვიყოფ და ვგრძნობ, გული როგორ მიფართხალებს.

— ვიკ, არაფერი არ მომხდარა. უკვე ორი კვირა დააგვიანდა.

— არ მეხუმრები? — მეხუმრება, კი, მეტი ჯავრი არა აქვს...

— ხომ იცი, ასეთ რამეზე არ ხუმრობენ.

— ჯერ ხომ დიდი დრო არ გასულა.

— ჰო, მართალია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს... შენი ნახვა მინდოდა, ვიკ! უნდა მოგელაპარაკო, ტელეფონით ყველაფერს ვერ გეტყვი. შეგიძლია ამ საღამოს შემხვდე?

— ამ საღამოს? რა ვიცი, მე მგონი... — ამ საღამოს არაფერი საქმეც არა მაქვს, მაგრამ უნებურად ვცდილობ თავი დავიძვრინო.

— ვეხვეწები ვიკ. ამ საღამოს! ნუ გადადებ, ძალიან მინდა შენი ნახვა.

ვგრძნობ, თავისი დარდი ვინმეს რომ არ გაუზიაროს, შეიძლება შეიშალოს, ამიტომ ჯობია ისევ მე გაზიაროს. გოგოებისას რას გაიგებ. ზოგი თავის მეგობრებს ყველაფერს უყვება.

— კარგი, მაშ ამ საღამოს შევხვდეთ. იმავე ადგილას და იმავე დროს.

ყურმილს ვდებ და ორივე ხელით დახლს ვეჭიდები. ახლა უკვე დღესავით ნათელია, რომ აღარაფერი აღარ მოხდება და ინგრიდი ფეხშეძიმედაა.

## V

— მოდი, დალაგებით ვილაპარაკოთ. მაშ შენ ორი კვირა დაგიგვიანდა...

— თხუთმეტი დღე. — ამბობს ინგრიდი.

— კარგი, თხუთმეტი დღე. განა ასე ბევრია? მაგისა ბევრი არაფერი გამოგება, მაგრამ ქალებს ზოგჯერ ხომ აგვიანდებათ ხოლმე?

— ზოგს აგვიანდება ხოლმე, მაგრამ ისინი არც დარდობენ. მე ეგრე არა ვარ. ადრეც გითხარი, ვიკ. ასე არასოდეს არ მომსვლია. ყოველთვის ზუსტად ვიცოდი.

— იქნებ უბრალოდ გადაღლილი და გამოფიტული ხარ და რამე ტონუსის ასაწევი გჭირდება. ექიმთან რომ წასულიყავი...

— მე რომ მკითხო, ექიმთან კარგა ხანია უნდა წავსულიყავი, მაგრამ ტონუსის ასაწევი წამლისათვის კი არა. — ამბობს ინგრიდი.

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი, მაგრამ შიშით გულს ნუ გაიხეთქავ. კიდევ არის იმედი.

ჩვენ პარკში ვართ, ფანჩატურის ქვეშ. მშვენიერი მოწმენდილი, თბილი საღამოა. მაგრამ ერთმანეთისაგან შორიშორს ვსხედვართ და არც ერთს არ გვინდა გარეთ გასვლა და ბალახებზე წამოწოლა.

— და კიდევ ერთი, წეღან ტელეფონზე ვერ გითხარი... დედაჩემმა იცის, სხვა გზა არა მქონდა, უნდა მეთქვა.

ისეთი გრძნობა მაქვს, გეგონება ვიღაცამ მუცელში წიხლი ჩამაზილაო. სუნოქვა მეკვრის.

— ერთ ჯერს მეორე ემატება. რად გინდოდა, ინგრიდ, ასეთი სისულელე რომ ჩაიდინე? კიდევ ცოტახანს ვერ გაჩუმდებოდი?

ოჰ, ღმერთო ჩემო. ახლა კი მართლა შავ დღეში ვართ.

— რომ არ მეთქვა, არ შეიძლებოდა, ვიკ. ჩემზე კარგად იცის, რომ ყველაფერი დროზე მომდის ხოლმე. ჩამაცივდა, მოსვენება არ მომცა. შენ დედაჩემს არ იცნობ, ხელად დაგტყუებს, თუ რამის გაგება უნდა. ვეღარ გავუძელი და ყველაფერი ვუთხარი.

იმასღა ვნატრობ, ნეტავ აქ არ ატირდებოდეს, ნეტავი ქვითინს არ დაიწყებდეს-მეთქი.

— ყველაფერი მოუყევი?

— ჰო, თითქმის ყველაფერი.

რა მნიშვნელობა აქვს რა მოუყვა? ბოლოს და ბოლოს ბავშვების გაკეთების მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს. ამ გასართობს ადამიანი უძველესი დროიდან იცნობს. ვინ იცის, ჩემამდე რამდენი გაბმულა ასე. თვალწინ ბიჭების უზარმაზარი რიგი წარმომიდგა. ამ რიგის ბოლო სადღაც წინაისტორიულ უკუნში იკარგება. ალბათ ახლა ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავენ, ხითხითებენ და ჩურჩულებენ: აჰა, კიდევ ერთი საცოდავი გამოუჭერიათ, გაუბიათ ხაფანგშიო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, მერე რა გითხრა?

— რას მეტყოდა? კინაღამ შეი'შალა. ასეთი გაბრაზებული ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. იმას როგორ გავიმეორებ, რასაც ის ამბობდა.

— ჩემზე?

— მერედა გიკვირს?

კიდეც რომ არაფერი საშინელი არ მოხდეს და გადავრჩე, ქვეყნად მაინც იქნება ერთი ქალი, რომელიც მუდამ იფიქრებს, რომ მე ერთი ბინძური ნაძირალა ვარ, რომელმაც მისი ქალიშვილი კინაღამ გააუბედურა. დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ჩემ ბებერ დედიკოსთან არ მივა და ყველაფერს არ ჩაუკაკლავს. ნებისმიერ დღეს შეიძლება მოვიდეს წერილი...

— ცხელ აბაზანაში ჩამსვა და ჯინი დამალევინა. ახლა, მე მგონი, ნანობს, მაგრამ მაშინ თავგზა ჰქონდა აბნეული.

— მერე, არაფერი გამოვიდა?

— არა, ძალიან ცხელ აბაზანას ვერ გავუძელი, ჯინმა კი გული ამირია.

— მაგრამ მაინც... მაინც ეს თავისებური მკვლელობაა, რასაც თქვენ...

— მეც ეგრე მგონია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი ქალი იქ-ცევა ასე. რამე რომ მშველებოდა, შენც ხომ არ იდარდებდი? ასე არ არის?

— ახლა რას აპირებს?

— ამბობს, ერთ კვირას კიდევ მოვიცდი და მერე ექიმთან წაგიყვანო.

— ალბათ ჩემ ნახვას მოინდომებს.

— ასე თქვა, მამაშენს მივწერ, ჩამოვიდესო. როცა ჩვენთან მოვა, ჯობია, კაცი ელაპარაკოსო.

— ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურებაა.

— ამაზე, ალბათ ადრე უნდა გვეფიქრა.

— ეგეც ჩვენი ბედია, ცაშინვე გავებით. ზოგი მთელი სიცოცხლე ცდილობს და არაფერი გამოუდის.

— მიდი, ვინმეს გამოცდილება ვაუზიარე, — ამბობს ინგრიდი.

ასე მოსწრებულად არასოდეს უხუმრია, მაგრამ ახლა სიცილის გუნებაზე არა ვარ, გაღიმებაც კი არ შემიძლია.

ფეხზე ვდგები და ბეტონის ფილებზე ბოლთას ვცემ. გამოსავალი არსაითაა. ისე გავები, როგორც ჩიტი მახეში. ჯიბიდან პორტსიგარს ვიღებ.

— თითოს მოწევა ხომ მაინც შეიძლება. ჯერ მგონი არ დაეხოცილ-ვართ?

ინგრიდი სიგარეტს იღებს, ორივენი ვუკიდებთ.

— ვიკ, მითხარი, რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ?

ინგრიდი მართლაც რომ შეშფოთებულია, თანაც ძალიან. თურმე ამ დღეებში მარტო მე არ ვიტანჯებოდი. მანამდე კი, ვიდრე მეტყოდა, თვითონ მარტო დარდობდა. ისე, მაგისთვის ხომ უფრო ძნელი გადასატანი იქნება, მაგას გამოებერება მუცელი და ყველას თითით საჩვენებელი და საჭორაო გახდება. ყველაფერი მის საზიანოდაა მოწყობილი. გარდა ერთისა: მიიღებს იმას, რაც გულით სწადია — ჩემს თავს. დიდი საქონელი კი ვარ, აი! იქნება ახლა სწორედ ამაზე დარდობს, იქნებ ფიქრობს, ვაითუ არ შემირთოსო. იქნებ სწორედ მაგის ჯავრი უკლავს გულს.

დარწმუნებული ვარ, ფეხმძიმედაა, ეჭვიც არ მეპარება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამბიდან თავს ვერ დავიძვრენ. გაბმული ვარ და ეგ არის, თანაც ძალიან მაგრადა ვარ გაბმული. აქ მთავრდება შენი ოცნება, ვიკ ბრაუნ. ნუღარ ეძებ იმ შენი ოცნების ქალიშვილს, უკვე იპოვე. მაგის იქით გზა არა გაქვს. ხაფანგში ხარ გაბმული და ვერსაით გაიქცევი. ო, რა სულელი ვარ, რა საცოდავი, რა უმწეო სულელი ვარ.

ესეც ასე, ყველაფერი ნათელია, თქმაღაა საჭირო. თავით ფანჩატურის სკეტს ვეყრდნობი, პარკს გავცქერი და ვამბობ:

— ნუ დარდობ. დავქორწინდებით. სწორედ ეგრე ვიზამთ.

ინგრიდი ხმას არ იღებს, ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ხვები მესმის, თავს ვაბრუნებ და ვხედავ რომ ტირის.

— ნუ დარდობ, ხომ გითხარი. გითხოვ-მეთქი. ხომ არა გგონია, დაგტოვებ. ზურგს შეგაქცევ და ჭაპანს მარტო გაზიდვინებ? მართალია, მთლად ანგელოზი არა ვარ, მაგრამ არც ეგეთი უნამუსო ვარ.

ახლა კი გულამოსკვნით ქვითინებს. ხელში ცხვირსახოცი უჭირავს და თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის.

— მე შენი ცოლობა მუდამ მინდოდა, ვიკ! რამდენჯერ მინატრია, რომ ცოლობა გეთხოვა ჩემთვის. ახლა კი ყველაფერი, ხედავ, როგორ შეტრიალდა? გამოდის, ძალით გართვევინებ თავს, ასე რომ არ მომხდარიყო, არასოდეს შემირთავდი, ასე არ არის? ვიცი, რომ არ შემირთავდი. ვიცი, შენ ისე არ გიყვარვარ, როგორც მე.

რა უნდა? ორივე ერთბაშად ხომ არ იქნება? მაგრამ ქალი არ არის? რას იზამ?

— ხომ გითხარი, შეგირთავ-მეთქი? ხომ გითხარი? დავქორწინდეთ-მეთქი, ხომ გითხარი?

— თუ არ გინდა, ნუ შემირთავ. — მეუბნება მოულოდნელად. — ძალით არ აგეკიდები.

სასაცილო თუ გინდა, ეს არის. ვთქვათ, თვითონ არ ამეკიდა, მერე სხვები. სხვები რას იზამენ? წარმომიდგენია, რა ამბავი ატყდება, ერთი რომ წამომცდეს, არ ვირთავ-მეთქი. ოჰო-ჰო-ჰო, როგორ დამესევიან... მე კი არა, ათასჯერ ჩემზე ღონიერი ვაჟკაცი ვერ გაუძლებს.

— ძალიან კარგად იცი, რომ უარსაც არ მეტყვი. — ვეუბნები. გამოდის, რომ ვტრაბახობ, მაგრამ რა ექნა? მერე რა, რომ ვუყვარვარ. რა დიდი ბედნიერება ეგ არის? რომ არ ვყვარებოდი, არც ამ დავიდარაბაში გავებმებოდით.

ინგრიდი ისევ აქვითინდა.

— ვერა, უარს ვერ გეტყვი. მუდამ მიყვარდი, მუდამ მენატრებოდი. შენც ძალიან კარგად იცი.

ზურგს ვუბრუნებ და ისევ პარკს გავცქერი.

— ჰოდა, შეგისრულდა. ახლა შენს ხელთა ვარ. — ვეუბნები მშვიდად. ვდგავარ და ღმერთს ვევედრები, ვევედრები ისე, როგორც არასდროს შეევედრებივარ, რა იქნებოდა ინგრიდისათვის თვალი არასოდეს მომეკრა-მეთქი.

# თავი მეხუთე

## I

ვუყურებ, როგორ ჩადის წყალი სამზარეულოს ბაკნის მილში, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამბობენ, მზის მიზიდულობის ბრალიაო. სამხრეთ ნახევარსფეროში თურმე საათის ისრის მიმართულებით ჩადის. ნეტავი ეკვატორზე როგორ ჩადის? ალბათ პირდაპირ. რა კარგი იქნება შვებულება რომ აფრიკაში გაატარო. მოიარო მთელი კონტინენტი და სადაც გაჩერდები, დააკვირდე როგორ ჩადის წყალი მილში. როგორც კი შეიცვლის მიმართულებას მაშინვე მიხვდები, რომ ეკვატორი გადაგილახავს. იქნებ ისეთ ქალაქშიც მოხვდე, რომელიც ზედ ეკვატორზეა წამოსკუპებული. ალბათ ერთ ქუჩაზე წყალი საათის ისრის მიმართულებით ჩადის, მეორეზე კი საათის ისრის საწინააღმდეგოდ, შუაში კი პირდაპირ ეშვება. ამ ხეტიალის დროს არაფერ ხათაბალაში არ გაებმები, დრო არ გექნება, ასეთ გასეირნებას წელიწადი მაინც დასჭირდება...

— ვიქტორ, ჩაი მაგიდაზეა.

— მოვდივარ.

ორშაბათია და სამზარეულოში სითბო და სიმყუდროვეა, იმიტომ რომ ჩემი ბებერი დედიკო სარეცხს აუთოებს. დღეს ვახშმად ვირთევზაა. საერთოდ ძალიან მიყვარს ოქროსფრად დაბრაწული ვირთევზა, ზემოდან საუკეთესო კარაქის ბურთულები ბლომად რომ ადნება, ისე რომ თევზი ლამის შიგა ტივტივებს. მაგრამ დღეს გეგონება მუყაოს ნაჭერს ვღეჭავდე. ყელში ძლივს გადადის. დედაჩემი მომჩერებია, ხედავს, სხვა დროს რომ თვალის დახამხამებაში ვულაპავ ხოლმე, ახლა ძლივს ვერევი.

— ჩაის რატომ არ სვამ, ვიქტორ?

— რა ვიცი, დღეს რაღაც მადაზე არა ვარ.

— რა ვიცი, ადრე მგონი ვირთევზა გიყვარდა...

— ახლაც მიყვარს, უბრალოდ არა მშია.

შვიდის ნახევარია. რვის თხუთმეტ წუთზე ინგრიდს უნდა შევხვდე, ელოდება, რომ რამეს ვეტყვი. ეჰ, იყო დრო ვირთევზას გემრიელად შეეექცეოდი ხოლმე, ჩაის დავაყოლებდი, სკამზე გადავწვებოდი და ერთადერთი სადარდებელი ისღა მქონდა, რომელ კინოში წავსულიყავი.

ჩემმა ბებერმა მამიკომ მაგიდის მეორე ბოლო მოასუფთავა და ზეღ

ლატარიის ბილეთები გაშალა. ადრევე უყვარს ხოლმე შევსება, რომ მერე არ დაავიწყდეს.

— ალბათ, ათასი რამით ამოიყორე დღეს მუცელი. — მეუბნება ჩემი ბებერი დედიკო.

— ლუკმაც არ გამიღეჭია.

ამაღამ ინგრიდთან უნდა მივიდე სახლში და დავპირდი, ჯერ ჩემ დედ-მამას ვეტყვი-მეთქი... საუთოებელი ფიცარი უთოს სიმძიმის ქვეშ ჭრიჭინებს, აი, ახლა სულ ადვილად შეიძლება ეს უთო მე მომხვდეს თავში...

— შენ გელაპარაკები, ვიქტორ, — მეუბნება ჩემი ბებერი მამიკო.

— ჰა? რაა?

— რას ფიქრობ, შეფილდის ნაკრები მოიგებს თუ არა ამ კვირაში?

— მე რა ვიცი. — ვეუბნები მკვახედ, მინდა ამით მაინც მოვიფხანო ცოტა გული. — მე რა, მკითხავი ვარ თუ?

— აბა, აბა, ცოტა წყნარად, ყმაწვილო, მგონი მე ზრდილობიანად შეგეკითხე.

— მე რა, ფეხბურთში ყველაფერი კი არ მესმის, დროა თვითონ გაერკვე, იმის მაგივრად, რომ ყოველ წუთს მე შემეკითხო.

მამაჩემი წარბებს მაღლა სწევს და სათვალეების ზემოდან დედაჩემს შესცქერის.

— რა მოგივიდა, ვიქტორ? — მეკითხება დედაჩემი. — მაღაზიაში ხომ არ შეგემთხვა რამე უბედურება?

— არაფერიც არ მომსვლია.

სუფრიდან ვდგები, საღამოს გაზეთს ვიღებ და განზე ვჯდები. სანამ ჩემ სათქმელს მივახლიდე, მინდოდა ცოტა მომეთაფლა. პირიქით კი გამომივიდა. მინდა რაღაც საბაბი მოვნახო, რომ მერე ნელა-ნელა შევაპარო. გეგონება შეიძლებოდეს ასეთი რამის ნელ-ნელა შეპარება! გაზეთს თავიდან ბოლომდე ვათვალიერებ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მესმის. უკვე შვიდს ათი წუთი უკლია. მეტი გადადება აღარ შეიძლება. ახლავე უნდა ვუთხრა. მამაჩემი ერთი ხვნეშითა და ბუტბუტით წერს ფეხბურთის პროგნოზებს. როცა დედაჩემი უთოს აწვება, საუთოებელი ფიცარი ისევ ჭრიჭინებს. ერთ-ორ წუთს ყველანი ჩუმადა ვართ, მერე უცებ რაღაც ხმა მესმის, გეგონება ვიღაცამ კარებში თავი შემოყო და რაღაც ახალი ამბავი გვაცნობაო:

— ცოლის შერთვას ვაპირებ.

ოთახში უცებ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს, ახლა კი ვხვდები, თურმე ეს სიტყვები მე წარმომითქვამს. დედაჩემს უთო მაღლა აუწევია

და გაშეშებული დგას. მამაჩემიც კი მოშორდა თავის ლატარიის ბილეთებს. დედაჩემი უთოს სადგამზე ახეთქებს, მაგრამ ისეა თავზარდაცემული, რამდენიმე ხანს ხმას ვერ იღებს.

— ვის შერთვას აპირებ? — მეკითხება, როცა ცოტა გონს მოდის.

— ერთი გოგოა, სახელად ინგრიდ როთუელი. პარკის პროსპექტზე ცხოვრობს.

— როგორ მოხდა, რომ აქამდე არაფერი ვიცოდით?

— მეც არ ვიცოდი. სულ ახლახან გადავწყვიტე.

ჩემი ბებერი დედიკო ხანდახან ძალიან მიხვედრილია და ახლაც დიდი დრო არ სჭირდება, რომ ყველაფერს ჩასწვდეს.

— ალბათ იძულებული გახდი, რომ გადაგეწყვიტა, არა?

სკამზე უხერხულად ვიშმუშნები. სახეში ვერ ვუყურებ. დედაჩემი მომჩერებია, მამაჩემიც, მაგრამ ჯერ არაფერს მეუბნებიან.

— გინდა არ გინდა, უნდა შეირთო, არა, ვიქტორ? — პირდაპირ მეკითხება დედაჩემი.

პირს ვაღებ, მინდა რაღაც ვუთხრა, მაგრამ სიტყვები ყელში მეჩხირება. დედაჩემი ბუხრის წინ, ფარდაგზე აბიჯებს და ჩემსკენ მოდის, მე ვიკუნტები და სკამის საზურგეს ვეყრდნობი. ხელი მაღლა აქვს აწეული, ასე მგონია, აი, ახლა დამარტყამს-მეთქი. ხელს უცებ ძირს უშვებს, მაგრამ ენით კი შავ დღეს მაყრის.

— შე გამოთაყვანებულო, — მეუბნება, — შე შტერო, სულელო. წინ რამდენი რამე გელოდა და ყველა გამვლელს რომ ქვეშ ეგება, იმისთანა ქუჩის გოგოს გადაეყარე?

— ეგეთი გოგო არ არის-მეთქი, გაიგონე, სულაც არ არის ეგეთი. ჯერ თვალითაც არ გინახია, არც იცნობ, დამდგარხარ და ლანძღავ.

— ძალიან კარგად ვიცნობ, მშვენივრად კი გამოგიჭირა. რამდენი კარგი, პატიოსანი გოგოს შერთვა შეგეძლო, შენ კი მოდიხარ და მეუბნები, ვიღაც გოგოს ვირთავო. იმიტომ რომ მახეში გაგაბა, არა?

ფეხზე ვდგები და ვღრიალებ. თვითონვე მიკვირს, ინგრიდს ისე თავგამოდებული ვიცავ:

— არ არის-მეთქი ეგეთი, გეუბნები. ხომ არ იცნობ, რა იცი?

— აბა, ორივენი გაჩუმდით. — ამბობს ჩემი ბებერი მამიკო. გვიახლოვდება და ჩვენს შორის დგება. მეტი რა ჩარაა, ვჩუმდებით. — მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარეს უნდა მოუსმინო.

— ოჰო, რასა ბრძანებ? — ამბობს დედაჩემი. — ნეტავი ამ ამბისა რა გაგეგება?

— სამოცდაერთი წლისა ვარ. — ამბობს მამაჩემი. — და კარგად მახსოვს, შენ ჯერ გეარშიყებოდი, მერე ცოლად შეგირთე და სამი შვილიც გაგაჩენინე. ასე რომ, ცოტა რამ მეც უნდა ვამეგებოდეს... რაც მართალი, მართალია, სულაც არ მომწონს, რომ ის გოგო ჯერ თვალით არ გინახავს და უკვე ლანძღავ. არ ვიცი ვისი ბრალია, მაგრამ ცოტა ორივე იქნება დამნაშავე. მთლად ანგელოზი არც ჩვენი ვიქტორია, ეგეც ხომ ბიჭია. ის გოგოც თუ რბილია და დამყოლი, რაღა გასაკვირია, რომ რამე მომხდარიყო. ეგ არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი. თუკი ჩვენმა ვიქტორმა დრო ატარა, ახლა კეთილი ინებოს და სამაგიერო იწვნიოს. სხვებსაც ასე მოსდით ხოლმე.

— რამდენი წლისაა? — მეკითხება დედაჩემი, ისევ მოღუშული, მაგრამ ცოტა დაწყნარებული, ეტყობა, მამაჩემის სიტყვებმა იმოქმედა.

— ცხრამეტის.

— ჯერ სულ ბავშვი ყოფილა. — ამბობს მამაჩემი.

— ჩვენ დროში ზოგმა ცხრამეტი წლის გოგომ მეტი იცის, ვიდრე ჩვენ, ბებრებმა. — ისევ იკბინება დედაჩემი.

— ასეთებიც არიან და ისეთებიც. იქნებ ეგ გოგო არ არის ისეთი. ცოტა გამოცდილები რომ ყოფილიყვნენ, არც ეს დაემართებოდათ. აი, როცა ვნახავთ, მაშინ ადვილი იქნება ყველაფრის თქმა. სახლში როდის მოიყვან, ვიქტორ?

— როცა გინდათ, მაშინ.

— სულაც არ მინდა, ჩემ სახლში დავინახო, — ამბობს დედაჩემი.

— საკუთარ რძალს სახლიდან ვერ გააგდებ, ლუსი. —ეუბნება მამაჩემი.

— ჯერ ჩემი რძალი არ არის.

— მე თუ მკითხავ, რაც უფრო მალე გახდება ჩვენი რძალი, მით უკეთესია.

— მერე მეზობლები და საერთოდ ხალხი რას იტყვის?... — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო. — ჩვენი ქრისტინას ჯვრისწერა რა მშვენიერი იყო...

— მეზობლებმა თავის საქმეს მიხედონ, ჩვენ კი ჩვენსას მივხედავთ.

ესეც შენ... არასოდეს მინახავს, რომ მამაჩემს ასე მტკიცედ გაეტანოს თავისი. ეჰ, ნეტავი სხვა რამეზე დაჟირვებოდა და ამაზე კი არა...

— გოგოს მშობლები უკვე ნახე? — მეკითხება ჩემი ბებერი დედიკო.

— ამ საღამოს მივდივარ, ჯერ თქვენთვის მინდოდა მეთქვა.

— დიდ მადლობას ბოგახსენებთ ყურადღებისათვის. — მეუბნება დედაჩემი.

— იცოდე, ზრდილობიანად მოიქეცი. ჩვენს ოჯახზე ცუდი არ აფიქრებინო. ჩვენ ჯიმთან კი ისეთი არაფერი წამოგცდეს, რისი ცოდნაც საჭირო არ არის. ასეთი რამეების გაგებასაც მოესწრება.

უნებურად მამაჩემს ვუსწორებ თვალს. რაღაც უცნაური გამომეტყველება აქვს — ვერაფერს გაუგებ. თვალს ვარიდებ და პალტოს ჩასაცმელად მივდივარ.

## II

— თქვენებს უთხარი? — მეკითხება ინგრიდი.

— ჰო, ვუთხარი.

— მერე, რა გითხრეს?

— დაახლოებით ის, რასაც ველოდი. დედაჩემი კინაღამ გაგიჟდა. მეგონა, საცაა უთოს გამომიქანებს-მეთქი. მამაჩემი კი უფრო გონივრულად ლაპარაკობდა.

— არ ვიცი, თქვენებს თვალებში როგორ უნდა შევხედო.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. მამაჩემთან არ გაგიჭირდება, დედაჩემთან კი შეიძლება ცოტა გაგიძნელდეს. ახლოს თუ გაიცნობ, კარგი ქალია, თანაც მაშინვე მიხვდება, რომ შენ წესიერი გოგო ხარ.

— ეგრე უთხარი?

— რა?

— წესიერი გოგოაო.

— მერე, არა ხარ თუ? ხომ იცი. მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი. — მკლავში ხელს ისე მიყრის, თითქოს უკვე მისი საკუთრება ვიყო — ადრე ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია — და ნიდაყვზე ხელს მიჭერს. ვუყურებ და ვხედავ, რომ თვალებში ცრემლები უციმციმებს.

— ახლა რაღა გატირებს?

თავს აქნევს:

— არაფერი, როცა ასე ტკბილად მექცევი ხოლმე, თავს ველარ ვიკავებ.

ღმერთო დიდებულო, წარმოვიდგინე, ზოგჯერ როგორ ღორულად ვექცეოდი! ქუჩის ბოლოდან მათ სახლამდე სულ ხუთიოდე წუთის სავალია. უკვე კიბეზე ვართ. კარის სახელურს ჰკიდებს ხელს და მეუბნება:

— იცოდე, ისე მოიქეცი, ვითომ ამ სახლში არასოდეს ყოფილხარ.

— მაშ ეგ არ გითქვამს?

— რას ამბობ? წარმოდგენაც არა აქვთ, აქ თუ ოდესმე ყოფილხარ.

— კარგი, დავიხსომებ.

ინგრიდის მამა ერთი ტანმორჩილი, კოპწია კაცია, ასე ორმოცდახუთი წლისა. სწორი შავი თმა შუაში აქვს გაყოფილი. თვალებიც თითქმის შავი აქვს. ინგრიდი ერთმანეთს გვაცნობს. ხელს ვართმევთ, მაინცდამაინც მტრულად არ მიყურებს. ფეხზე ნატის ბეწვმოვლებული საშინაო ფეხსაცმელები აცვია, ტანზე შესანიშნავი გაუთოებული რუხი ფლანელის შარვალი, რუხი პერანგი, გრძელსახელოებიანი წითელი ნაქსოვი ჯემპრი და საკმაოდ მყვირალა ჰალსტუხი.

— გარეთ ცოტა სუსხია, არა? — მეუბნება. ზურგი ცეცხლისთვის მიუფიცხებია. — ვიცოდი, ყინვებს დაიჭერდა... ისევ აცივდა... რატომ არ დაჯდებით, ეეე... ვიქტორ? პალტო გამოართვი, ინგრიდ, ცოტა გაინძერი.

ინგრიდი ჩემ ლაბადას მკლავზე იგდებს და მამამისს ეკითხება, დედა სად არისო.

— მაღლა, ალბათ ირთვება. მალე ჩამოვა. — ინგრიდი გარეთ გადის, და ცოტას ყოვნდება. მისტერ როთუელი მანიშნებს დაჯექიო, და თვითონაც ჯდება. იმ სკამზე ზის, იმ ღამეს ინგრიდი რომ იჯდა. დივანს ვუყურებ და მაგონდება ინგრიდი როგორ იწვა ზედ იმ ღამეს, მთლად დედიშობილა. ნეტავი მამამისი რას იტყოდა, რომ სცოდნოდა? ჯობდა, თუკი მოსახდენი იყო, მაშინ მომხდარიყო ყველაფერი, სითბოში და სიმყუდროვეში, ყველასგან მოშორებით, ვიდრე მერე, პარკში, სადაც ციოდა და სინამდვილეში არც ერთს არ მიგვიღია სიამოვნება.

მისტერ როთუელი ტელევიზორიდან სიგარეტ „პლეიერის“ კოლოფს იღებს.

— ეწევით?

— ჰო... დიახ... გმადლობთ. — ერთ ცალს ვიღებ და ორივენი ვუკიდებთ.

მისტერ როთუელი ზის და მიყურებს. ნეტავი ინგრიდი მალე შემოვიდოდეს!

— მგონი თქვენ ასეთ რამეს არ ელოდით, არა?

— დიახ, მართალი რომ გითხრათ, არ ველოდი. მაგრამ თავის დაძვრენა მაინც არ მიფიქრია.

— სწორია, მიხარია, რომ არ ცდილობთ პასუხისმგებლობას თავი აარიდოთ. ინგრიდმა შეგვატყობინა, თურმე ცოლად წაყოლა გითხოვიათ.

— დიახ... როგორ არა... ესე იგი მაშინვე, როგორც კი მე... როგორც კი ინგრიდმა...

— თქვენთვის ეს ალბათ ძალიან მოულოდნელი იყო, არა?

— დიახ. სწორედ ასე იყო.

— მაგრამ ხომ უნდა გეფიქრათ, რომ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო.

სახეზე ცეცხლი მეკიდება.

— ჰო, რა თქმა უნდა... ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო... მაგრამ ჩვენ ხომ... ჩვენ არ...

— ჩვეულებად არ გქონიათ, არა?

— დიახ, მართალია, მხოლოდ ერთხელ მოხდა...

ამაზე არაფერს მეუბნება, მარტო მომშტერებია თავისი შავი თვალებით. ვერ გეტყვით რაზე ფიქრობს. ჩემი სკერა თუ არა. მე რომ მკითხოთ, ის, რასაც ადრე ჩავდიოდით, სულაც არ არის ნაკლებად სათაკილო, ეგ არის, ისე საშიში არაა, როგორც ბოლომდე შეტოპვა. ნეტავი გამაგებინა, ამდენი თუ იცის, ან ინგრიდმა თუ უთხრა ყველაფერი.

— რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, რომ ინგრიდი ჯერ სრულწლოვანი არ არის, თქვენ, ალბათ, ბავშვობის ასაკს უკვე გადასცილდით.

— კი, დიახ... ექვსი თვის წინ.

— მშობლებს თუ უთხარით ამის შესახებ?

თავს ვუქნევ, იციან-მეთქი.

— მერე, რა აზრისანი არიან?

— რა აზრისანი უნდა იყვნენ? ძალიან აღელვებულები არიან. მაგრამ ამ ამბავს მამაჩემი უფრო მშვიდად შეხვდა, ვიდრე დედაჩემი.

— ასეც უნდა ყოფილიყო. ასეთ ამბებს ქალები უფრო მეტად განიცდიან. ინგრიდის დედაც ასეა. კაცები იმას ფიქრობენ, საქმეს რითი შემოეელებაო და განცდებისათვის დრო აღარ რჩებათ.

ნეტავი გამაგებინა ინგრიდი და დედამისი სად დაიკარგნენ. დარწმუნებული ვარ მისის როთუელი განგებ მალოდინებს, რომ ზედმეტად მანერვიულოს.

— როგორც ვიცი, ვიდრე მაღაზიაში დაიწყებდით მუშაობას, უიტეკერთან მხაზველად გიმუშავიათ.

— დიახ, ეგრეა.

— მე თვითონ საინჟინრო საქმეს ვიმსახურები. ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი მეც ვიმუშავე უიტეკერთან. ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ისეთი კარგი პროფესია, როგორიც მხაზველისაა, მიგიტო-

ვებიათ და მაღაზიაში დაგიწყიათ მუშაობა. არ მგონია აქ უკეთესი პირობები გქონდეთ.

— რა თქმა უნდა, ვიდრე გადავწყვეტდი, ბევრი ვიფიქრე. — ვეუბნები და ვცდილობ ავუხსნა, როგორი დამოკიდებულება არსებობს ჩემსა და მისტერ ვან ჰუიტენს შორის. მაგრამ როგორღაც კარგად ვერ ვახერხებ. ლაპარაკს რომ ვამთავრებ, ვამჩნევ, მისტერ როთუელს ჰგონია, ანდერძი უკვე შედგენილია და როცა მისტერ ვან ჰუიტენი სულს განუტევებს, მთელი ქონება მე დამრჩება. იქნებ ასეც ჯობდეს, ვატყობ, რაღაც უკეთესი თვალით მიყურებს.

— ხელფასი რა გაქვთ?

ვუპასუხე, ის კი თავს მიქნევს.

— სავსებით ნორმალურია. კარგი საქმისათვის მიგიგნიათ. როგორც ჩანს, მაგ მისტერ ვან ჰუიტენს განსაკუთრებით უყვარხართ.

— ძალიან კარგად ვეწყობით ერთმანეთს. — ვეუბნები და გულში მიხარია, იქნებ ამაზე უკეთესი რეკომენდაცია არც დამჭირდეს-მეთქი.

კარი იღება და ინგრიდი და დედამისი შემოდიან. უცებ მაგონდება, რომ, როცა ქალი შემოდის, ზრდილი კაცი ფეხზე უნდა წამოდგეს. მისის როთუელს თვალს ვკიდებ. უკვე საკმარისია. მისის როთუელი არ მომწონს.

მომცრო ტანის ქალია, ალბათ მისტერ როთუელზე ცოტათი ახალგაზრდა. მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა პატარ-პატარა ტალღებადა აქვს თავზე დატკეპნილი. ფირუზისფერი ნაქსოვი კაბა აცვია, რომელიც ხაზს უსვამს მისი ტანის მოყვანილობას, უფრო სწორად იმას, რაც ამ მოყვანილობისაგან შემორჩენია.

ეტყობა, ერთ დროს მართლაც კარგი ტანი ჰქონია, ახლა კი მკერდი და საჯდომია ცარიელი. კორსეტში ძალიან მაგრა გამოჭერილა, მაგრამ იღლიების ქვეშ ქონის ნაკეცები მაინც ჰკიდია. ალბათ ვერაფერი მოუხერხა. პირველი შეხედვით ვერ ვგებულობ, რა აქვს ამ ქალს უსიამოვნო, მერე კი ვხვდები — თვალები: ღია ცისფერი, ჩლუნგი და გაიძვერული. ეჰ, ვიცი, ახლა რომ კიდეც იოლად გადავრჩე, მერე აქ კარგი დღე არ დამადგება. გული მისკდება, როცა გავიფიქრებ, მინდა თუ არ მინდა, ამ ქალს და მისტერ როთუელს ხშირად რომ უნდა შევხვდე. ასე მგონია, დიდ ბადეში მხვევენ-მეთქი. ოჰ, რა სულელი ვარ... ღმერთო, ახლა რომ თავის დაძვრენა შეიძლებოდეს... ამ წუთშიც კი, სადღაც გულის სიღრმეში მაინც არ მჯერა, რომ ყველაფერი სინამდვილეში ხდება და ველარსად გავიქცევი.

— დედა, აი ეს ვიკია.

საღამო მშვიდობისა-მეთქი, ვეუბნები და ხელის გაწოდებას ვაპირებ. იგი ოდნავ მიქნევს თავს და მისალმებაზე მპასუხობს. ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა ვთქვა.

— მეეე... ვწუხვარ, რომ ასეთ გარემოებაში გვიხდება ერთმანეთის გაცნობა.

მართალი გითხრათ, მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ნერვიულობისაგან ლამის გავგიჟდე. ხმას ვერ ვიმორჩილებ და ნათქვამი ისე გამომდის გეგონება გულში ეს ეშბავი ძალიან მართობდეს, პირში კი განგებ ველაქუცებოდე.

— ამაზე ფიქრი ცოტა გვიან ხომ არ არის? — მახლის პირდაპირ.

ინგრიდი იატაკს დასჩერებია. ვგრძნობ, რომ ღიმილი, რომელიც, მართალი რომ გითხრათ, მეტისმეტად უადგილო იყო, პირზე მადნება.

დედა-შვილი დივანთან მიდიან და სხდებიან. მისის როთუელის კაბა, ცოტა არ იყოს, მოკლეა და როცა ჯდება, ფეხი მუხლის ზემოთ კარგა დიდზე უშიშვლდება. ფეხებზე და მუხლებს ზემოთ მივჩერებივარ. მისის როთუელის ფეხებს რას დაგიდევთ, მაგრამ ხომ იცით, როგორ მოქმედებს, როცა ქალს ზედმეტი რაღაცეები მოუჩანს. სულერთია, როგორი ქალია, თუ გინდ ლამაზიც არ იყოს. ჰოდა, ცოტა ხანს მის ფეხებს ვუყურებ, — დიდი ვერაფერი შვილი ფეხებია, — ის კი მომჩერებია, თვალს არ მაშორებს. ვგრძნობ, ლოყებზე სიწითლე როგორ მეპარება. წარმომიდგენია, როცა წავალ, მისტერ როთუელს როგორ მოახსენებს:

—დაინახე, ჩემს ფეხებს თვალს რომ არ აშორებდა? ეგ ბიჭი ნამდვილად ქალების მუსუსია. სახლში რომ შემოვუშვათ, ალბათ მეც დამიპირებს ლოგინში შემოძრომას.

ჩემ სმენას ვიღაცის ხმა წვდება. ინგრიდის მამა ისევ „პლეიერს“ მაწოდებს.

— სიგარეტი გინდათ?

— არა, გმადლობთ. ახლა ჩემი მოსწიეთ. — პორტსიგარს ვიღებ და სიგარეტს ვთავაზობ. მერე მისის როთუელი მაგონდება: — უკაცრავად, თქვენ ეწევით?

ვიდრე სიგარეტს აიღებდეს, ცოტა ხანს ყოყმანობს.

— ძალიან ლამაზი პორტსიგარი გაქვთ, შეიძლება ვნახო? — ამბობს მისტერ როთუელი. პორტსიგარს ვაწოდებ, ძალიან გულმოდგინედ ათვალიერებს, ატრიალებს, ხელისგულზეც კი სწონის.

— „ვ. ა. ბ“ — კითხულობს. — ეს „ა“ რას ნიშნავს?

— არტური. მამაჩემის პატივსაცემად.

— გასაგებია... მართლაც რომ მშვენიერი პორტსიგარია. ალბათ ძალიან ძვირი ღირს.

— წარმოდგენა არა მაქვს. მაჩუქეს...

— მე ვუყიდე. — ამბობს ინგრიდი. — ოცდაერთის რომ გახდა, მაშინ.

— შენ უყიდე? — ამბობს დედამისი, ხელს იწვდის და მისტერ როთუელს პორტსიგარს ართმევს.

— ძალიან ძვირ საჩუქრებს ხომ არ ყიდულობ, ჰა?

— ოჰ... ასე ძვირი სულაც არ იყო. — ამბობს ინგრიდი. ლოყები ოდნავ ეფაკლება. ალბათ ფიქრობს, საცაა მკითხავს რა ღირსო.

მაგრამ დედამისი პორტსიგარს მიბრუნებს და ფასზე ხმას არ იღებს.

— რამდენი ხანია, რაც ჩემ ქალიშვილს იცნობთ? — ისე მეკითხება, გეგონება თვითონ ჰერცოგის მეუღლე იყოს, მე კი სამუშაოს სათხოვნელად მისული მებაღე და ეს ქალბატონი სარეკომენდაციო ბარათებს მთხოვდეს. ისიც კი მგონია, ახლა დაატანს „ბრაუნ"-მეთქი, მაგრამ მთელი საღამოს განმავლობაში საერთოდ არავითარი სახელით არ მოუმართავს.

— ისე, შორიდან კარგა ხანია ვიცნობ, მაგრამ რაც ვმეგობრობთ ასე, წელიწადნახევარი იქნება.

— ვმეგობრობთო... — იმეორებს და ტუჩებს პრუწავს. — ალბათ ხვდებით, რომ ყოველივე ამან მე და ინგრიდის მამა ძალიან აგვაღელვა.

— რასაკვირველია, აგაღელვებდათ. ეს სავსებით ბუნებრივია. — ვცდილობ ცოტა დარცხვენილი მოვეჩვენო და არც მიჭირს, იმიტომ რომ ამ წუთში ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს.

— ვფიქრობ, თქვენ მშობლებსაც ექნებათ საკუთარი აზრი ამ საკითხზე.

— ჰოდა... დიახ... ესე იგი...

— და ალბათ ყველაფერში ინგრიდს ადანაშაულებენ, ამბობენ, რომ ინგრიდმა შეგაცდინათ, არა?

— არა, რას ამბობთ... როგორ გეკადრებათ...

— მინდა იცოდეთ, რომ, ჩვენის აზრით, ინგრიდს თითქმის არ მიუძღვის დანაშაული. მე ვიცი, როგორ აღვზარდე ჩემი შვილი და ისიც ვიცი, როგორი გოგოა. ასეთ რამეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიდენდა. თუკი გასაქანს არ მისცემდით და ჩააცივდებოდით.

(ოჰო, არცთუ ისე ძალიან ჩავციებივარ, მისის როთუელ, არცთუ ისე ძალიან, როცა საქმე საქმეზე მიდგა).

—მე აღვზარდე პატიოსანი, ღირსეული ქალიშვილი, რომელსაც ყველაზე მაღალ საზოგადოებაშიც კი შეუძლია თავის დაჭერა...

(მაშ, თქვენ გგონიათ, რომ სამაგალითოდ აღზარდეთ, არა? ისე კი არა უჭირდა რა ჩვენი ქრისისაგან გადაეღო ზოგი რამ. მაგრამ ამბა ეგ ქრისს როგორ შეედრება?)

— ჩვენ ძალიან კარგ წრეში ვტრიალებთ და მაგის გათხოვებაზე დიდ იმედებს ვამყარებდით. სულაც არა ვარ აღტაცებული იმის გამო, რომ აი ასეთ გულზე მობჯენილი თოფის შიშით მიხდება ქალიშვილის გათხოვება.

ისე ლაპარაკობს, გეგონება ინგრიდი განგებ დავაორსულე, რომ მეტი გზა არ ჰქონოდა და წამომყოლოდა. ის კი არა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მე მქონდა თოფის ლულა გულზე მობჯენილი. ასეთი დაბალი მდგომარეობა რომ არა, მართლაც ძალიან სასაცილო იქნებოდა. მე მისტერ როთუელს ვუყურებ, მაგრამ ის თავის ქალბატონს მისჩერებია და ელოდება, გულს როდის მოიოხებს.

— ალბათ იცით, რომ ინგრიდი ჯერ სრულწლოვანი არ არის და რომ გათხოვდეს, ჩვენი ნებართვა სჭირდება.

— ერთ წუთს დამაცა, ესთერ. — აწყვეტინებს მისტერ როთუელი.— კანონებისა ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ არა მგონია ამ შემთხვევაში კანონი შენს მხარეზე აღმოჩნდეს. ჩემის აზრით, ნებართვას დაუყოვნებლივ მისცემენ, თუნდაც მხოლოდ ბავშვის გამო.

ამათ, მგონი, ჰგონიათ, თუკი ინგრიდს არ გამომატანენ, სასამართლოში ვუჩივლებ! რა კარგი იქნება, ახლა რომ წამოდგნენ და პირდაპირ მითხრან, ჩვენ ნებას არ გაძლევთ ინგრიდი ცოლად წაიყვანოო. მერე წავიდნენ და მეძებონ... მაგრამ ბავშვი? რატომღაც აქამდე ბავშვზე სულაც არ მიფიქრია. ნეტავი ბიჭი იქნება თუ გოგო? რაც უნდა იყოს, ჩემია, ჩემი და ინგრიდისა. მე კი მამობისათვის ჯერ მზად არა ვარ. არა ვარ მზად და რა ვქნა.

ვხედავ, დედილო როთუელი მისტერ როთუელს თვალებს როგორ უბრიალებს, გეგონება ეკითხება, შენ ვის ემხრობიო. მაგრამ მერე ისე მედიდურად მაინც ვეღარ ლაპარაკობს.

— უბრალოდ მინდა შევახსენო, რომ გარდა ამ ორისა, ეს ამბავი სხვებსაც ეხება.

— დიახ, მგონი ვიქტორი ამას გრძნობს. — ამბობს მისტერ როთუელი. — ჩემის აზრით, იგი ისევე ნანობს ამ ამბავს, როგორც ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი სხვა რომელიმე ახალგაზრდა.

(ეჰ, სხვებზე ათასჯერ უფრო მეტად, ჩემო კარგო, თუ გინდა მართალი იცოდე.).

— თავის მშობლებთანაც ხომ მოუხდა ლაპარაკი და არა მგონია, ძალიან იოლი ყოფილიყოს. სრულებით არ მომწონს, როცა ახალგაზრდები ასეთნაირად ქორწინდებიან, მაგრამ რაც მოხდა-მოხდა. ახლა უნდა საუკეთესო გამოსავალი მოვძებნოთ. ვიქტორი კაცურად მოიქცა და თქვა ინგრიდს ვირთავო, აი, ამისათვის პატივს ვცემ. ინგრიდს კი რაც შეეხება, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, ვიქტორის ცოლობას არაფერი ურჩევნია, გინდ ბავშვს ელოდეს და გინდ არა.

ამ სიტყვებზე ინგრიდი ცოტა წითლდება, მაგრამ მაინც თავჩაქინდრული ზის.

საერთოდ თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა პირობას, და იმასაც, რომ ათასჯერ მერჩივნა მისტერ როთუელს არასოდეს შევხვედროდი, მაინც ეს კაცი უფრო და უფრო მომწონს. თანაც მგონია, არც თვითონა ვგონივარ მთლად სინდისგარეცხილი ნაძირალა. ინგრიდის დედას კი მოუპრუწია ტუჩები და ეტყობა ძალიან უკმაყოფილოა, რომ ნება არ მისცეს ცოტა ხანს კიდევ ავეგდე მასხრად. ცოტა არ იყოს, დაბნეულიც ჩანს, იმიტომ რომ მისმა ქმარმა განზრახული ასე ადრე გამოამჟღავნა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხმას არ იღებს. წარმომიდგენია, რა ამბის ატეხვა შეუძლია, როცა მისტერ როთუელი შინ არ არის და დროზე ვერ ამოსდებს ლაგამს. მოკლედ, შავი დღე მომელის.

— ახლა, მგონი, ჯობია საქმეზე გადავიდეთ. — ამბობს მისტერ როთუელი საქმიანი კაცის ხმით, რომელსაც უნდა ყველაფერს სწრაფად მორჩეს და ტყუილუბრალოდ არ ხარჯოს დრო. — გადავწყვიტოთ, როდის დაქორწინდნენ და სად იცხოვრონ. ჩემის აზრით, რაც მალე დაქორწინდებიან, მით უკეთესი, და თუ ყველაფერი ჩუმად მოხდება, ზედმეტი აურზაურის გარეშე, არც ეგ იქნება ურიგო. სამ-ოთხ კვირაში უნდა მოგვარდეს საქმე. თქვენ რას ფიქრობთ, ვიქტორ?

მე თუ მკითხავენ, თუნდაც ხვალ, თუკი სხვა გზა არ არის. თანხმობის გარდა, სხვა რაღა დამრჩენია? ახლა მე აღარაფერი მეკითხება. ყველაფერი უჩემოდ ხდება. მაგრამ მაინც თავზარდაცემული ვარ, რა ჩქარა ხდება ყველაფერი... ერთი თვის წინ ჩემი ნება იყო — მინდოდა წავიდოდი, მინდოდა — მოვიდოდი. ერთი თვის შემდეგ, თუკი საქმე ასე სწრაფად წავა წინ, დაქორწინებული ვიქნები და მეყოლება ცოლი, რომელიც არცთუ ისე ძალიან მომწონს, სიყვარულზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. თანაც სულ მალე მამა გავხდები. უჰ, ღმერთო, რა შტერი ვარ, რა შტერი...

— იქნებ, — ამბობს ინგრიდის მამა, — ტყუილუბრალოდაც ვართ შეშფოთებულები. მაგრამ რადგან თქვენ უკვე დაქორწინებული იქნებით, ამით, რა თქმა უნდა, აღარაფერი შეიცვლება.

ლამის არის შევიშალო, რა ყველა უკუღმა ფიქრობს! მაგათ ჰგონიათ, ჩვენ ჩვეულებრივი შეყვარებულები ვართ, ოღონდ თავი ვერ შევიკავეთ და დროზე ადრე შევცოდეთ. წარმოდგენაც არა აქვთ, სინამდვილეში საქმე როგორ იყო. მე კი, აბა როგორ ვეტყვი? არადა რა სეირი იქნება, ინგრიდზე რომ ჯვარი დამწერონ და მერე აღმოჩნდეს, რომ თურმე ტყუილად დავფეთებულვართ.

— რა თქმა უნდა, ხელის მოწერით უნდა დავკმაყოფილდეთ. — ამბობს მისტერ როთუელი. მისის როთუელს ქვედა ტუჩი უცახცახებს და ცხვირსახოცს ეძებს.

— როცა ვფიქრობ, — ამბობს იგი და თითქოს ჩემი ბებერი დედიკოს სიტყვებს იმეორებს, — როგორ ლამაზად წარმომედგინა ჩემი ინგრიდის ჯვრისწერა... თეთრებში ჩაცმული, ეკლესიაში, გუნდით, ნათესავებითა და მეგობრებით გარშემორტყმული. როცა ვფიქრობ, რა დიდებული დღე შეიძლება ყოფილიყო... ახლა კი ეს... ახლა კი ასე ქურდულად...

ინგრიდი დედამისს ხელზე ჰკიდებს ხელს.

— არა უშავს, დედა, ჩვენთვის სულერთია.

— ჩემთვის კი არა. — ამბობს მისის როთუელი. — დედისათვის ეს ყველაზე ბედნიერი დღეა.

— ჩემის აზრით, ახლა ამაზე ლაპარაკი აღარც ღირს. — ამბობს მისტერ როთუელი, — ამიტომ ჯობია, არც ვიფიქროთ. ახლა ის დაგვრჩა გადასაწყვეტი, სად იცხოვრონ. თქვენ რას ფიქრობთ, ვიქტორ?

— მე... არ ვიცი... — ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, რომ ფიქრის დროც არა მაქვს. თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებს: იქნებ ყველაფერი კარგად დამთავრდეს... იქნებ ამ ამბავს თავი დავაღწიო... ყოველთვის ვოცნებობდი, როცა ჩემი გუნების გოგოს შევხვდებოდი, ორივენი მარტო ვიცხოვრებდით, პატარა სახლში, ან პატარა ბინაში; სადმე ცალკე და მყუდროდ, მხოლოდ ჩვენ ორნი. — არ ვიცი, ფიქრის დრო არცა მქონდა. — ვეუბნები. — ჩემის აზრით, შეიძლებოდა ცოტა ხანს ჩვენსა გვეცხოვრა. ასე უცებ ცალკე სახლს ვერ ვიშოვით.

— ქირით, არა?

— დიახ, ყიდვაზე ხელი არ მიმიწვდება.

მგონი, ამის გაგონებაზე დედილო როთუელი ტუჩს იბზუებს, თუმცა შეიძლება მეჩვენება კიდეც.

— თქვენები რას ფიქრობენ?

— ამაზე ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ, არა მგონია. წინააღმდეგნი იყვნენ. ფართობი დიდია.

— ერთი მინდა შემოგთავაზოთ. — ამბობს მისტერ როთუელი. — თქვენს მოსვლამდე გვქონდა ამაზე ლაპარაკი. მე თიოქმის სულ არა ვარ შინ და ინგრიდიც რომ წავიდეს, ეს იმას ნიშნავს, დედამისი სულ მარტო დარჩება. რასაკვირველია, ინგრიდი დედამისთან სამუდამოდ ვერ იქნება, მაგრამ ჯერჯერობით, მგონია, შეიძლებოდა ცოტა ხანს გეცხოვრათ. ბოლო თვეები ინგრიდისათვის ცოტა მძიმე იქნება, აჯობებდა, დედას არ მოშორებოდა. თქვენც საშუალება მოგეცემათ, სახლი ეძებოთ საქირაოდ, ან იმდენი თანხა მოაგროვოთ, რომ ნისიად მაინც იყიდოთ. აბა, რას იტყვით?

რა ჯანდაბა უნდა ვთქვა? ყველაფერი უკვე გადაუწყვეტიათ. დედილო როთუელს მივჩერებივარ. ზის და ხმას არ იღებს. ალბათ, მოლაპარაკებისას, საბოლოოდ ვერაფერი გადაწყვიტეს. უნდოდათ, ჯერ ვენახეთ და გაეგოთ, თუ ვიყავი სახლში შესაშვები. როგორც ჩანს, ეს ვამოცდა, ცოტა თუ ბევრად წარმატებით ჩავაბარე. მაგრამ მაინც მერჩივნა შეჩვეულ ადგილას ვყოფილიყავი, მით უმეტეს, არ ვიცი, ინგრიდის დედიკო რანაირი დედაკაცია. მაგრამ მე ვინა მკითხავს...

— კარგით... გმადლობთ.

ესეც ასე... ვზივართ და ვსაუბრობთ. ინგრიდის მშობლები ცდილობენ მეტი დამტკიცონ ჩემი ოჯახის შესახებ. მეც ვეუბნები ჩემი ბებერი მამიკოსა და დედიკოს შესახებ, ქრისსა და ჯიმზე, დევიდზე. ალბათ, მისის როთუელი უფრო ბედნიერად ჩათვლიდა თავს მამაჩემი ექიმი ან ადვოკატი რომ ყოფილიყო, ანდა ბოლოს და ბოლოს წვრილი საქმოსანი მაინც. ოღონდ მაღაროელი არა. მაგრამ აქამდე მამაჩემის პროფესია სათაკილოდ არასოდეს ჩამითვლია, და არც ახლა ვაპირებ. მგონი, ქრისი და დევიდი დედილო როთუელს ცოტა აწყნარებენ. ეტვი არ აოის, მისის როთუელი სნობი ბრძანდება.

ცხრა საათი რომ სრულდება ჩაისა და ნამცხვარს ვეახლებით. მისტერ როთუელს ვპირდები, მამაჩემს გაგაცნობთ-მეოქი და ეითესები. ინგრიდი ქუჩის კუთხემდე მაცილებს.

— აბა, რას იტყვი? — მეკითხება.

— არც ისეთი საშინელი იყო. თანაც ყველაფერი უკვე უკან დარჩა.

— შენთვის კი, მე კი ყველაფერი წინა მაქვს.

— არაფერიც არ მოხდება. ნუ გეშინია, არ შეგჭამენ. მთავარია, ისეთი იყავი, როგორიცა ხარ, ნუ გაიპრანჭები და მედიდურობას ნუ დაიწყებ; ნახე, თუ არ მოეწონებით.

არა და რატომ არ უნდა მოეწონოთ? — ვფიქრობ ჩემთვის. მშვენიერი გოგოა და თანაც არავინ არ ატანთ ძალას მთელი სიცოცხლე მაგასთან იცხოვრეო. ჩემთვის კი — ორმოცი წელი, შეიძლება მეტიც, ნამდვილი სამუდამო პატიმრობაა. თანაც კარგი ყოფაქცევისათვის წლებს არავინ ჩამოგაკლებს...

— როდის წამიყვან?

— მე მგონი, რაც მალე იქნება, მით უკეთესი. ხვალ საღამოს რომ იყოს?

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ჰო, კარგი.

ცოტა ხნის შემდეგ ვეუბნები, მამაშენი მომწონს-მეთქი, საწყენია, რომ შინ ასე იშვიათად არის, თორემ, ალბათ, ინგრიდის დედასთან შეგუებას ცოტა გამიადვილებდა. ყოველ შემთხვევაში, მე ერთადერთი არა ვარ, რომელსაც თავისი სიდედრი არ მოსწონს, გინდაც თავისი ცოლი, თუმცა ეს ჩემთვის ვერაფერი დიდი ნუგეშია, მაგრამ რას იზამ?

## III

— არა უშავს რა, კარგი კაცი ჩანს. — მეუბნება მამაჩემი. შინ რომ ვბრუნდებით. ოთხშაბათ საღამოა, დღეს მისტერ როთუელს შევხვდით სასტუმრო „ძველი საჭურვლის“ ბარში. — ჭკვიანურად და მშვიდად ლაპარაკობს და, თავის დამკარგავი, თმას არ მისტირის.

— ვის გაუგონია, რომ საკუთარი შვილის მომავალზე სამიკიტნოში ლაპარაკობდნენ. — ამბობს ჩემი მოხუცი დედიკო.

— ეგ სამიკიტნო არ გახლავთ. — ამბობს მამაჩემი. — საუკეთესო სასტუმროა კრესლიში. ქრისტინას ქორწილი რომ გადავიხადეთ, მაშინ ხომ კარგი იყო?

— ის სხვაა. — ამბობს დედაჩემი. — მაშინ ცალკე ოთახი გვქონდა, ბარში კი არ შევსულვართ.

— როცა ორი კაცი ერთმანეთს სალაპარაკოდ ხვდება, უნდა დალიონ კიდეც, — ამბობს მამაჩემი. — სანაძლეო. სადმე თუ კიდევ გვარდებოდეს იმდენი საქმე, რამდენიც მაგ ბარში, შეიძლება კიდევ მეზღვაურთა კლუბში, ეგ არის და ეგ. თანაც ადრეც გითხარი, რომ ასეთ დროს ჯო-

ბია ნეიტრალურ ტერიტორიაზე შეეხვდე-მეთქი. აქ რომ მოსულიყო, თავს უხერხულად იგრძნობდა, იმის სახლში კი მე ჩავვარდებოდი უხერხულ მდგომარეობაში. გარდა ამისა, — ამბობს და ეშმაკურად მიკრავს თვალს. — არ გვინდოდა, რომ ქალებს ხელი შეეშალათ.

— აჰაა... — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო. — თურმე კაცებმა უნდა გადაწყვიტონ ყველაფერი და მაშინ იქნება კარგად საქმე. გასაგებია. — ამბობს და რამდენჯერმე აქნევს თავს. — კარგი, ჰა ბურთი და ჰა მოედანი. ვნახოთ, რა მოხდება.

სამზარეულოში მიდის და მალე ფინჯნებით ხელში უკან ბრუნდება.

— აჰა, კაკაო, თუ თქვენი კუჭები კიდევ რამე სითხეს ჩაიტევს....

ჩემი ბებერი მამიკო წარბებს მაღლა სწევს, მიყურებს, მაგრამ არაფერს ამბობს.

— მე კი უნდა გითხრათ, — ამბობს ჩემი ბებერი დედიკო და სკამზე ჯდება. — ინგრიდი ურიგო გოგო არ არის. მართალი გითხრათ, გადაწყვეტილი მქონდა, არ მომწონებოდა, მაგრამ როცა ახლოს გავიცანი, აზრი შემეცვალა. დრო გვიჩვენებს, ვცდები თუ არა, ახლა კი არა მგონია, რომ ჩვენ ვიქტორს ცუდი გოგო შეხვდა ცოლად. შეიძლება უარესი აჰკიდებოდა.

ჩემი ბებერი დედიკოს პირიდან ამაზე მეტი ქება-დიდება არ შეიძლება ამოსულიყო. ინგრიდს რომ ვნახავ, გავახარებ.

— დედამისი როგორი ქალია, ვიკ? — მეკითხება ჩემი ბებერი მამიკო. — როგორა გგონია, შეეწყობი?

ვიღრიჯები და თავს ვაქნევ:

— რაღაც უცნაური ქალია, მამა, ვერაფერი გავუგე.

ჩემი ბებერი მამიკო მიყურებს და თვალები დაცინვით უციმციმებს:

— ნუ გეშინია, მაგის გასაგებად დიდი დრო გექნება.

* * *

— ცოლს ირთავ? — მეკითხება მისტერ ვან ჰუიტენი. — ღმერთო დიდებულო! მომილოცავს, ვიქტორ, ცოტა მოულოდნელია, არა? თუმცა, იქნებ მე არ ვიცოდი არაფერი.

— რა ვიცი, უცბად გადავწყვიტეთ.

— რას იზამ, ახალგაზრდებს მოთმენა არ შეუძლიათ. — მეუბნება და თვალებში დამცინავი ღიმილი უკრთის. — რა თქმა უნდა, ერთი კვირის შვებულებას როცა გინდა, მაშინ მოგცემ. საქორწინო მოგზაურო-

ბაში ხომ უნდა წახვიდე? — დღიურში რაღაცას ინიშნავს. — მაისის მეორე კვირა... არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

— ვწუხვარ, მაგრამ ქორწილში ვერ დაგპატიჟებთ, მისტერ ვან ჰუიტენ. არავინ არ გვეყოლება, მხოლოდ ახლო ნათესავები იქნებიან.

— გასაგებია, გასაგები, ვიქტორ. ყველაფერი მშვენივრად მესმის.

ნეტავი თუ მართლა? ყოველ შემთხვევაში ამაზე არც ახლა და არც მერე ერთ სიტყვასაც არ ძრავს. აი, ასეთი კაცია ჩვენი მისტერ ვან ჰუიტენი.

ჰენრი დაოჯახების დიდი მომხრეა.

— ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებდი. — მეუბნება, როცა ახალ ამბავს ვატყობინებ. — ადრე შეირთავ ცოლს, ბავშვებიც გეყოლება და პასუხისმგებლობაც დაგეკისრება. სწორედ პასუხისმგებლობა გაქცევს კაცად. თანაც გახსოვდეს, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, როგორი ოჯახი გექნება. თუ გინდა ჩემი მაგალითი აიღე.

ვუყურებ და სულაც არ მინდა ჰენრი მყავდეს მაგალითად.

— ჩემისთანა პატარა ხელფასით ცოლისა და ექვსი შვილის შენახვა ადვილი არ არის. მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობ და სწორედ ეგ არის მთავარი, ვიქტორ.

ეს კი მართლაც ასეა. ჰენრის ცოლი ქალს კი არა, კარებთან დაგდებულ ძველ ჩვარსა გავს, სახლი კი — საღორეს. ყველგან ბავშვები ფუთფუთებენ, კედლებზე კარაქსა და მურაბას უსვამენ და გააქვთ ერთი გნიასი. მაგრამ ჰენრი ბედნიერია. ძალიან ბევრს კი, წელიწადში ხუთიათასი გირვანქა რომ აქვს შემოსავალი, ათასი საზრუნავის გამო კუჭის წყლული უჩნდება და იმ ქვეყანას მიემგზავრება.

ეს ფაქტი მართლაც მრავლისმეტყველია, მაგრამ სახელდობრ რისა, თავად კარგად ვერ გამიგია. შეიძლება იმისა, რომ ქვეყნად სხვადასხვანაირი ხალხი არსებობს. აი, ამაშია საქმე. იქნებ სწორედ ეგ არის მიზეზი, რომ ქვეყანაზე ამდენი უბედური ადამიანი დადის.

ყველა ჩემ მეგობარს — ჯიმი სლაიდს, ვილი ლომასს და სხვებს ისე ვერიდები, როგორც შავ ჭირს. თანაც სულ იმას ვნატრობ, იქნებ სასწაული მოხდეს, ყველაფერი ძველებურად წარიმართოს და ცხოვრება თავის გზით წავიდეს-მეთქი.

# თავი მეექვსე

## I

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ზღაპარი არ არის და არც სასწაული ხდება. შაბათს, დღის 11 საათზე, ქორწინების რეგისტრაციის ბიუროში, ჰადერფელდის გზატკეცილზე, ჩემს ზურგსუკან კარებს ხურავენ და კლიტეში გასაღებს ატრიალებენ. დევიდი ჩემი მეჯვარეა, ინგრიდს კი თავისი ბიძაშვილი მოუყვანია. აქამდე ამ გოგოსათვის თვალი არ მომიკრავს. როცა გარეთ, მზის სინათლეზე გამოვდივარ, ერთი ასრი მიტრიალებს თავში — თურმე რა ადვილად შეიძლება დაკარგო თავისუფლება. ჭიშკარში რომ გავდივართ, ვიღაც გოგოს ვხედავ, მაღალ, წერილ ქუსლებზე შემდგარა და თეძოების რხევით მიიკვანწება. ჩემდაუნებურად ვამჩნევ, რომ ლამაზი ფეხები აქვს, მაგრამ იმ წამსვე მაგონდება, რომ მორჩა, ამის შემდეგ ვერც ერთ გოგოს თავისუფლად ვეღარ შევხედავ. გათავდა, ჩემი საქმე წასულია. რაღა უნდა ვეძებო ან რაღას უნდა ვესწრაფოდე? ხუთიოდე წუთის წინ ცოლიანი კაცი გავხდი, მალე კი მამაც ვიქნები.

ყელში ბურთივით მეცობა რაღაც და ვერავის ვეღარ ველაპარაკები. თუმცა, ამ ბედნიერი ქორწილის დღეს არც სხვები არიან მაინცდამაინც მუსაიფის გუნებაზე. ყველანი როგორღაც გრძნობენ, რომ, ეს ის არ არის, რაც უნდოდათ. დიდი, საზეიმო დღის ნაცვლად, რომელსაც ასე მოელოდნენ, რაღაც სხვა მოულოდნელად მიეპარათ და გონზე მოსვლაც არ დააცადათ.

იქიდან ყველანი როთუელებთან მივდივართ და ფეხზე დგომელა ვეჯამთ, თანდათანობით დაძაბულობა კლებულობს. ჩემი ბებერი მამიკო და მისტერ როთუელი გულიანად მუსაიფობენ, მაგრამ დედები ჯერ კიდევ თვალით ზომავენ ერთმანეთს. თითქოს ცდილობენ კაცებს სამაგიერო გადაუხადონ იმისათვის, რომ ისინი ოჯახის ღირსებას ჩირქსა სცხებენ და ფეხბურთზე და ათას სხვა რამეზე ისე მასლაათობენ, გეგონება ძველი ძმაკაცები არიანო.

ორის ნახევარზე მე და ინგრიდი მაღლა ავდივართ დასაბანად. ტანსაცმლის გამოცვლა არა გვჭირდება, იმიტომ რომ სამგზავროდ ისევ ჩემ ახალ ლურჯ კოსტუმს ვიტოვებ. ინგრიდი კი იმ ნაცრისფერი კოსტუმით მოდის, ხელის მოწერის დროს რომ ეცვა. ძირს ჩამოვდივართ. ვხედავ,

რომ ინგრიდის დედა ემზადება. ინგრიდი ეუბნება, ხომ არ გეწყინება, სადგურში მარტო ჯინმა, დევიდმა და ქრისტინამ გაგვაცილონო.

ამ სიტყვების გაგონებაზე მისის როთუელს სახე უგრძელდება:

— კი მაგრამ, რატომ? არ გინდა, რომ საქორწინო მოგზაურობაში დედამ გაგაცილოს?

— მირჩევნია, ნაკლები ხალხი იყოს. — ამბობს ინგრიდი და ისეთი ჯიუტი გამომეტყველება აქვს, ცოტა არ იყოს, მსიამოვნებს. იმიტომ რომ მაინცადამაინც დიდი სურვილი არც მე მაქვს, ზარითა და ზათქით გაგეცილონ. დედილო როთუელს ისეთი სახე აქვს, გეგონება საცაა იტირებსო.

მისტერ როთუელი ლაპარაკში ერევა და ამბობს:

— კარგი, ესთერ, როგორც უნდა, ისე იყოს. იქნებ ასეც ჯობდეს.

არის ერთი კოცნა-ხვევნა და ხელის ჩამორთმევა. ტუჩებთან მისის როთუელის ჩასუქებულ ლოყას ვგრძნობ და ვკოცნი, პირში პუდრის გემო მრჩება. მისტერ როთუელი ხელს გულიანად მართმევს და თვალებში მიყურებს:

— თქვენ რომ ჩამოხვალთ, მე აქ არ ვიქნები. ასე რომ მოგვიანებით გნახავთ. აბა, შენ იცი, ინგრიდს მოუარე.

— კი. რასაკვირველია.

მისტერ როთუელის „ოქსფორდით“ მივდივართ. საჭეს დევიდი უზის. დრო კარგად გამოვზომეთ, ბაქანზე რომ გავდივართ, მატარებელი უკვე ჩამომდგარია. მალე ვაგონში ვართ, ფანჯრიდან ვიყურებით და ყველას საბოლოოდ ვემშვიდობებით. ქრისის მზერას ვიჭერ. მგონი, რაც სახლში ჩვენებს გამოვუცხადე ცოლს ვირთავ-მეთქი, ქრისს ეს პირველად გავუსწორე თვალი, იმიტომ რომ მთელ ქვეყანაზე ისე არავისთვის მიჭირდა გამხელა და ისე არავისი მრცხვენოდა, როგორც ქრისტინასი. ახლა ქრისი მიღიმის და მეც გულიდან მძიმე ლოდი მეხსნება.

— ინგრიდს მოუარე, ვიკ! — მეუბნება ქრისი. — ახლა მოელა სჭირდება. შენც კარგად მოექეცი, ინგრიდ. შენი ქმარი ურიგო ბიჭი არ არის.

— ვიცი. —ამბობს ინგრიდი და უცებ ტირილს იწყებს, თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით სცვივა. სლუკუნებს და წარამარა ცხვირს იხოცავს.

დევიდი ხელს მართმევს:

— ბედნიერად, ვიკ!

მატარებელი იძვრის და ყველანი ხელს გვიქნევენ.

მატარებელი სადგურიდან გადის და სიჩქარეს უმატებს. ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ. ინგრიდი ცხვირს იხოცავს და ცხვირსახოცსაც ინახავს, მერე პუდრის კოლოფს იღებს და ცდილობს ტირილის კვალი დაფაროს. ძალიან მოხდენილი და ლამაზია, ნაცრისფერი კოსტუმიც ძალიან უხდება. ალბათ, ვინც გვიყურებს, ფიქრობს, საქორწინო მოგზაურობაში მიმავალი ჩვეულებრივი ბედნიერი წყვილი ვართ, ერთმანეთზე დიდად შეყვარებული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. პუდრის კოლოფს ინახავს და მიყურებს.

— რაო, ცოლო? — ვეკითხები.

— რაო, ქმარო?

ვუღიმი. ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიან საცოდავი ღიმილი კია, მაგრამ საერთოდ რომ მოვახერხე გაღიმება, თვითონვე მიკვირს.

## II

სკარბოროში მშვენიერი მზიანი ამინდია, ხალხი ბევრი არ ირევა, იმიტომ რომ ჯერ სეზონი ხეირიანად არ დამდგარა. სადგურზე ტაქსს ვქირაობთ, ესპლანადაზე ავდივართ და კურორტსა და სამხრეთის უბეს გადავყურებთ. დედილო როთუელმა აქ ისეთ გადაპრანჭულ სასტუმროში გვიქირავა ოთახი, როგორშიც ჩემ ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ქვემოთ, ჰოლში, ვიღაც თეთრკოსტუმიანი კაცი გვხვდება და ჩვენ ჩემოდნებს მაღლა მიათრევს, თუმცა, რა გასაკვირია, როცა დღეში თითო სულზე ოცდაათ შილინგს იღებენ; თანაც ქირა ახლა ცოტა შეღავათიანია, იმიტომ რომ სეზონი ჯერ არ დაწყებულა. დედილო როთუელს ჩემი ფულები რაში ენაღვლება? ფლანგავს აქეთ-იქით. მაინცდამაინც არ ვწუხვარ. ჯერ ერთი, ასეთ სასტუმროში შეგიძლია შენთვის იყო წყნარად და თანაც საქორწინო მოგზაურობის დროს კაპიკების თვლას ხომ არ დავიწყებ?

იმ ღამეს, დასაძინებლად რომ ვემზადებით, ერთმანეთისკენ ზურგით ვდგავართ, გეგონება ძალიან მორცხვი ბავშვები ვიყოთ. მაგრამ, უცებ ტუალეტის მაგიდის სარკეში ინგრიდს ვკიდებ თვალს, ღამისპერანგს იცვამს. მეჩვენება, რომ მკერდი ავსებია და მუცელიც თითქოს უკვე აშკარად ეტყობა. აქამდე მეგონა, ვერავინ ვერაფერს შეატყობს-მეთქი, ახლა კი სხვანაირად ეფიქრობ. მთელი კვირა იმაზე ვიფიქრებ და ვიდარდებ, ხალხმა არაფერი შეამჩნიოს-მეთქი. ესეც შენი თაფლობის თვე!

ლოგინში ვწვები, შუქს ვაქრობ და ვეხვევი, მინდა დღეს გული მოვიჯერო, ახლა ხომ უკვე ნებართვა გვაქვს. მაგრამ ინგრიდი უცებ მაჩერებს:

— მე მგონი, არ შეიძლება, ვიკ? იქნებ საშიში იყოს...

გაოცებული ვარ.

— როგორ თუ საშიში?

— ბავშვისათვის.

— ეგ რა სისულელეა! ჯერ სამი თვისა ძლივსაა. მთელი საუკუნე უნდა გავიდეს, სანამ საშიში გახდება. დედაშენს არაფერი უთქვამს?

— სწორედ მაგიტომ გეუბნები. დედამ მითხრა, ფრთხილად იყავიო.

— ეს რაღა ჯანდაბაა! რაო, ძალიან უნდა თაფლობის თვე ჩაგვიმწაროს?

— უბრალოდ, დედა ჩემზე ფიქრობდა, ვიკ!

— ძალიან კი არა ცდილა ქორწინების პირველ ღამეს ქვასავით გაეყინე! — „ბებერი, მატრაკვეცა ქოფაკი, — ვფიქრობდი გულში, — და მაგისთანა ოხერთან ერთ ჭერქვეშ უნდა ვიცხოვრო“.

— დარწმუნებული ვარ, დედას ცუდი არ უნდოდა.

— კარგი ერთი, ინგრიდ, ღვთის გულისათვის გაჩუმდი. ერთი წიგნი ვიყიდე და ყველაფერი სწერია შიგ.

— წიგნი?

— დიახ. წიგნი, ახლადდაქორწინებულთათვისაა. გიხსნიან, როგორ უნდა მოიქცე.

ინგრიდი იცინის.

— რა გაცინებს?

— ხალხს ჰგონია, ყველაფერი ძალიან კარგად ვიცითო.

— ვიფიქრე, სულაც არ იქნება ურიგო, თავიდანვე რომ სწორად მოვიქცე-მეთქი. სწერენ, ექვს თვემდე არაფერია საშიშიო. ეგ ადგილი სპეციალურად მოვძებნე. თუ გინდა გაჩვენებ.

— ისედაც მჯერა. — ინგრიდი მეკრობა. ასე არა სჯობია?

— კიდევ ათასი სხვა რამე სწერია.

— მაინც?

— რადა როგორ უნდა დაგიყოლიო, როცა შენი მოფერება მომინდება. როგორ უნდა აგაღელვო და რა ვიცი კიდევ რა.

ლოყას ლოყაზე მისვამს, მე კი ტუჩებით მის თმას ვწვდები.

— უმაგისოდაც კარგად იცოდი, როგორ უნდა მოქცეულიყავი.

— ახლა უკეთ ვიცი. — ვეუბნები და წიგნის მიხედვით ვეფერები. — ეს რა ჩაგიცვია, კაცს სურვილს უკლავს.

— არაფერიც. პირიქით, უღვიძებს. საგანგებოდ შენთვის ვიყიდე. სიფრიფანა ნეილონია, არ მოგწონს?

— მომწონს როცა თვალით ვხედავ. ახლა კი არაფერი ჩანს.

— მაშ ერთ წუთს დაიცა.

განზე იწევს და საწოლზე ჯდება.

— ბალიშის ქვეშ ამოიდე, იქნებ ხანძარი გაჩნდეს.

სიბნელეში ინგრიდის სიცილი მესმის. მერე ისევ წვება და ახლა ხელს აღარაფერი მიშლის.

— უკეთესია?

— გაცილებით.

მხრიდან ხელს თეძოებისაკენ ვაცურებ.

— გახსოვს ის საღამო, შენ სახლში? ღმერთო დიდებულო! ნეტავი რამ გამაძლებინა, ისე ძალიან მინდოდა შენთან ყოფნა.

— ახლა ხომ შეგიძლია იყო. — მეუბნება და სიბნელეში ჩემ ტუჩებს ეძებს. — ოჰ, ვიკ. — მეუბნება, ვიდრე მაკოცებდეს. — რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ!

ღმერთო, რას არ მივცემდი, ოღონდ მეც მაგის თქმა შემეძლოს.

ორიოდე დღის შემდეგ პირველი კინკლაობა მოგვდის. სასტუმროში კიდევ ერთი წყვილია. რა თქმა უნდა, სასტუმროში ხალხი ბლომადაა. მაგრამ ესენი ჩვენ მეზობელ მაგიდასთან სხედან და დიდი სურვილი აქვთ. დაგვიმეგობრდნენ. შუახნისანი არიან, მაგრამ ახალგაზრდულად გამოიყურებიან. სასტუმროს წინ მწვანე „ფორდ-კონსული“ უყენიათ. ძალიან მდიდრები არ უნდა იყვნენ, კაცის სპორტული პიჯაკი კარგა შეფერთხილია, ქალს კი საკმაოდ კოხტად აცვია. ყოველ შემთხვევაში, აქვთ რაღაც ისეთი, რომელიც მათ ინგრიდზე და ჩემზე მაღლა აყენებს. მე ვიტყოდი, თავდაჭერა, საქციელი აქვთ ისეთი. მდაბიოები არ არიან, აი. რისი თქმა მინდა. ლაპარაკითაც მშვენივრად ლაპარაკობენ. არ იმანჭებიან. ბუნებრივად და ძალდაუტანებლად საუბრობენ, არავითარი აქცენტი არა აქვთ, ვერ შეატყობ რომელი კუთხიდან არიან. ჩემ ლაპარაკს რომ ყური მიუგდოთ, ხელად მიხვდებით, საიდანაც ვარ. დედილო როთუელსაც ეტყობა, მერე რა რომ ძალიან მოაქვს თავი. აი, ამათ კი არ ეტყობათ.

თურმე ესექსიდან არიან და იორკშირის სანაპიროზე პირველად ჩამოსულან. ინგრიდი, აქაოდა ამ ადგილებს კარგად ვიცნობო, პირი მოუღია და ლაქლაქებს რაც შეუძლია. ეს კიდევ არაფერი, ვამჩნევ, ლაპარაკისას ხმას იცვლის, გეგონება, რომელიმე გადაპრანჭული მაღაზიის ტელეფონისტი გოგო იყოს.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობს, უფრო მეტად იცვლის ხმას: მეტის ატანა აღარ შემიძლია, ისღა დამრჩენია, ავდგე და აქაურობას გავეცალო.

გარეთ, კიბეზე ველოდები, გზის მიღმა უბესა და კლდეს გავცქერი. ამ კლდეს „ციხე-კოშკი" ჰქვია, მის გარშემო პატარა ნაგები და კატერები დაცურავენ და გარს ისე ეხვევიან, როგორც წიწილები კრუხს.

— ვითომ ეგ რა ჩაიდინე? — მეკითხება ინგრიდი.

— რა ჩავიდინე? — ვეკითხები მოღუშული.

— რა და შუა ლაპარაკის დროს წამოვარდი და გაიქეცი.

— რა, ოთახიდან რომ გამოვიდე, ნებართვა უნდა ავიღო?

კიბეზე ჩავდივარ. ინგრიდი უკან მომდევს.

— ერთი გამაგებინე, რა დაგიშავეს? მშვენიერი ხალხია.

— იქნებ კიდეც არიან, მაგრამ თავი რომ გაგიყადრეს და ამინდზე ერთი-ორი სიტყვა გითხრეს, ზედ კი არ უნდა მიეტმასნო.

— მთელი კვირა რომ მჯდარიყვნენ და ხმა არ ამოეღოთ, მაშინ იტყოდი, რას იბერებიანო. მგონი თვითონა ხარ სნობი, ოღონდ შებრუნებული.

ეს სიტყვები გულზე მხვდება, იმიტომ რომ ვგრძნობ, მეც დამნაშავე ვარ.

— მაგათზე უკეთეს ხალხთან მილაპარაკია, მაგრამ კეთილი ინებონ და ისეთი ამიტანონ, როგორიცა ვარ — იორკშირელი ბიჭი. მაგათ გულისათვის პრანჭვა-გრეხვას ვერ დავიწყებ.

— მერე და ვინ იწყებს?

— ვინა და შენა. ისე ელაპარაკები, გეგონება „ბი-ბი-სიში" დიქტორების კონკურსზე იჯდე და ცდილობდე თავი ისე მოაჩვენო, თითქოს პირდაპირ იტონიდან მოდიოდე. რა ვიცი, რა ჯანდაბა ჰქვია იმ სკოლას, ვითომ მაღალი წრის გოგოები რომ სწავლობენ.

— მე არ შემიმჩნევია. — მეუბნება ცივად.

— მე კი შეგამჩნიე და. დარწმუნებული ვარ, იმათაც. რად გინდა, ასეთ ხალხს რომ ეკიდები? ცოტა შორს გეჭიროს თავი. ზრდილობიანად მოიქეცი და საკმარისია. სულაც არ არის საჭირო მიეტმასნო და მიეკრო, გეგონება სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ. ხომ არა გგონია,

ხალხს მაშინ უფრო მოსწონხარ, როცა იმად აჩვენებ თავს, რაც არა ხარ?

ინგრიდი ხმას არ იღებს და მიუხედავად იმისა, რომ გაჯავრებული ვარ, სადღაც მაინც მეცოდება. ცოტახანს ხმაამოუღებლად მივაბიჯებთ. მერე კი ვეუბნები:

— კარგი, მოდი შევრიგდეთ.

— მგონი ეგრე ჯობია. — მეუბნება ძალიან წყნარად და ეს გაცილებით უარესია. მერჩივნა გაჯავრებულიყო და ეყვირა.

ლიფტისაკენ მივდივართ, რომ ძირს ჩავიდეთ. ერთი უკვე დგას, კარი ღიაა.

— სად გინდა წავიდეთ?

— სულერთია.

— გინდა მაღაზიებში გავიაროთ?

— არა. მაღაზიებში ბოლოს, წასვლის ხანს ჯობია. მაშინ გვეცოდინება რამდენი ფული დაგვრჩა.

— არა მგონია, ბევრი დაგვრჩეს. ის კაცი სულ ჰოლში იდგება. — ვცდილობ გავიხუმრო. — ასე მგონია, რამდენი გავივლი, ხელში თითო შილინგი უნდა ჩავუდო-მეთქი.

— პლიაჟზე ჩავიდეთ?

— კარგი. გაზეთები ვიყიდოთ და სავარძლებში ჩავსხდეთ. ვითომ დიდი ხნის ცოლ-ქმარი ვართ.

— მე მგონი, ეს დღეები რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოვიყენოთ. ახლა დიდხანს, ძალიან დიდხანს აღარ გვეღირსება მარტო დასეენება.

ინგრიდი ამას ისე, დაუფიქრებლად ამბობს, მე კი ტანში ჟრუანტელი მივლის. ამ სიტყვებზე მაგონდება, რომ ეს სიზმარი კი არა, ცხადია და მთელი სიცოცხლე ჩვენ ორმა ერთად უნდა გავატაროთ. ლიფტში შევდივართ; ინგრიდის ზაფხულის კაბას მივჩერებივარ და ვფიქრობ, ნეტავი მუცელი თუ ეტყობა-მეთქი.

## III

მომდევნო კვირას მთელი ჩემი ბარგი-ბარხანით როთუელებთან გადავდივარ. ბევრი არაფერია: ჩემი ტანსაცმელი, რამდენიმე წიგნი და ორიოდე ფირფიტა. ჩემს ფირსაკრავს ჯიმს ვუტოვებ, იმიტომ რომ ინგრიდს სახლში აქვს. ინგრიდს ერთნახევარადგილიანი საწოლი უდგას, როცა ჩახუტების გუნებაზე ვართ, მშვენივრად ვეტევით, მავრამ

კარგად გამოძინება მაინც გვიჭირს. ამიტომ ის სხვა ოთახში გაგვაქვს. ქალაქში მივდივართ და ორადგილიან საწოლს ვყიდულობთ. ეს არის ჩვენი პირველი შენაძენი ავეჯიდან, მეტი არც არაფერი გვჭირდება, იმიტომ რომ ინგრიდის ტუალეტის მაგიდა, გარდერობი და კამოდი ორივეს გვყოფნის. გამოდის, საკუთარი ბინისათვის ფულის შეგროვება უნდა გაგვიადვილდეს, მაგრამ ინგრიდმა მუშაობას თავი დაანება და მარტო ჩემ ხელფასზე ვსხედვართ. დედილო როთუელს ჩვენ ორივეს კუთვნილ ბინის ქირასა და საჭმლის ფულს ვაძლევ, სამსახურში დაზღვევის ფულსა და საშემოსავლო გადასახადს ვიხდი და ხელზე სახარჯოდ სულ ორმოცდაათიოდე შილინგი მრჩება — გასართობად, ტანსაცმლისათვის და ჩვენი მომავალი შვილისათვის რაღაც-რაღაცეების საყიდლად. თუ ასე გაგრძელდა, ამ დედაბერთან ალბათ კიდევ ათი წელი მომიწევს ცხოვრება. მარტო ამის გაფიქრებაზეც კი გული მისკდება, იმიტომ რომ იმ დღიდან, რაც მაგ სახლში პირველად შევდგი ფეხი, იმ დღემდე, როცა იქაურობა საბოლოოდ დავტოვე, არც ერთ დღეს ნამდვილ იქაურ ბინადრად არ მიგრძვნია თავი.

ეს იმიტომ რომ, როგორც ველოდი, დედილო როთუელი და მე მაინცდამაინც კარგად ვერ ვეწყობით ერთმანეთს. არა ვჩხუბობთ, არც უსიამოვნება მოგვდის (ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც), არც არაფერია ხელმოსაკიდებელი, რომ სხვას შევჩივლო, მაგრამ საკმარისია მხოლოდ ერთი დღე გაატაროთ ჩემთან ერთად, შეამჩნევთ რა ტონით მელაპარაკება და ხელად ყველაფერს მიხვდებით.

საშინლად მოაქვს თავი თავისი სახლით, მაგრამ ეგ სულაც არ მაღელვებს. საკმაოდ სუფთა ბიჭი ვარ და თუ ძალიან უხარია, რომ ჩემ შემდეგ საფერფლეები აცარიელოს და ყურთბალიშები ფერთხოს, თან ვამაფრთხილოს მეორე სართულზე არ მოსწიო და მაღლა მარტო საშინაო ფეხსაცმელებით ადიო — თავისი სახლია და თუკი ასე ძალიან ეამაყება, რას იზამ — იამაყოს, ცოტა ხნის შემდეგ ეგეც ნერვებზე მოქმედებს.

თუმცა ისე არა, როგორც მისი ლაპარაკი. ღმერთმა უწყის, დილიდან საღამომდე რა სისულელეებს ჩმახავს და თუ შეცდი და რამის გასწორება გაუბედე, ისე გაიყინება და გაისუსება, გეგონება სასიკვდილო შეურაცხყოფა მიაყენესო. ორი საყვარელი სასაუბრო თემა აქვს: ერთ-ერთი მათგანი სამეფო ოჯახია. ალბომში გაზეთის ამონაჭრებს აგროვებს დედოფლის, ფილიპისა და ბავშვების სურათებით, გატაცებით კითხულობს თითოეულ სტრიქონს მათი ცხოვრების შესახებ და ისე

სჯერა ყველაფერი, გეგონება, სახარება არისო. თითქოს ვინმემ მართლაც იცოდეს ყველაფერი მათ შესახებ, ანდა კიდეც რომ იცოდეს, ვინ დააწერინებს?

მეორე სალაპარაკო თემა გახლავთ, თუ როგორ ასწავლის ხოლმე დედილო როთუელი ჭკუას მედუქნეებსა და მაღაზიის პატრონებს. ყური რომ მიუგდოთ, გეგონებათ, მთელი კრესლი მაგის მოსატყუებლად დარაზმულა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ჩემი სიდედრი იმის ქალი არ გახლავთ, რომ მოატყუონ. ხელად მოიყვანს ხოლმე გონზე. აზრადაც არ მოსდის. ეგ რომ ნამდვილი ლედი იყოს, როგორც თვითონ მიაჩნია თავისი თავი, ყველანი გველის ფხაში გაძვრებოდნენ, რომ მაგისთვის ესიამოვნებინათ. მარტო მაგიტომ უნდა ეცადოს ისე მოაჩვენოს თავი, ვითომ ყველანი თავს ევლებიან, თუნდაც სინამდვილეში ასე არც იყოს.

მერე კიდევ პოლიტიკა. რაღა თქმა უნდა, კონსერვატორი ბრძანდება. აბა, სხვა რა უნდა იყოს ნამდვილი კონსერვატორის გარდა? ერთი კარგი სიტყვა არ წამოსცდება არც პროფკავშირებზე და არც ლეიბორისტებზე. მაგისი ნება რომ იყოს, პროფკავშირებს სულაც აკრძალავდა. რაც შეეხება მაღაროელებს, ასე ბრძანებს, ყოველ წუთში არეულობას აწყობენ და ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევენო. ძალიან კარგად იცის, რომ მამაჩემი მაღაროელია, მაგრამ არას დაგიდევთ; მთელ დღეს ისეთ რამეებზე ლაქლაქებს, რისაც არაფერი გაეგება. არც ფერადკანიანებს ივიწყებს. კორეელი გინდა თუ პაკისტანელი. მაგისი ნება რომ იყოს, ყველას ერთ დღეში გარეკავდა უკან, თავთავიანთ ქვეყნებში, იმიტომ რომ თურმე ამ ფერადკანიანების გამო ავტობუსში პირდაპირ სული გეხუთება და გაზეთებს თუ დავუჯერებთ, პატიოსან ინგლისელ ქალს ქუჩაში ცხვირის გამოყოფისა უნდა ეშინოდეს. მოკლედ, პირს გააღებს თუ არა, მაშინვე მიხვდებით, თუ რა უვიც, ბებერ, სულელ ძროხასთან გაქვთ საქმე. მე კი სხვა გზა არა მაქვს, ამ დედაკაცთან უნდა ვიცხოვრო.

რაც შეეხება ინგრიდს, მგონი, ჩემთან შეხვედრამდე თავში არც ერთი სერიოზული აზრი არ მოსვლია. მერე მე შევხვდი და რაღაც საფიქრელი გაუჩნდა. მანამდე, ალბათ, იმაზე თუ დაფიქრებულა, ზამთრისთვის რა ფერის პალტო აჯობებდა ან რომელი ვიქტორინა იყო უკეთესი: „კროსვორდი“, „გააორმაგეთ თქვენი ფული“ თუ „ამოირჩიეთ“.

ყველაზე უფრო რაც მაღიზიანებს, ის არის, რომ ჩემ ნებაზე ვეღარ ვცხოვრობ. რაც მინდა, ვერაფერი გამიკეთებია. ერთხელ ჩემი ფირფიტების დაკვრას შევეცადე — მხოლოდ ერთადერთხელ. ბოლომდე არ

იყო დამთავრებული, რომ ინგრიდსა და დედამისს მოწყენილობისაგან ლამის გული წაუვიდათ. მეტი რა გზა მქონდა, უნდა გამომერთო, იმიტომ, რომ ქალბატონებს ტელევიზორის ყურება ნებავდათ. სანამ როთუელებთან გადმოვიდოდი, ტელევიზორი მეც მიყვარდა, მაგრამ ახლა თვალის დასანახავად მძულს, იმიტომ რომ, დილით, საუზმის დროს რომ ჩართავენ, მორჩა, დაძინებამდე აღარ გამორთავენ. მეტი რა ჩარაა, მეც უნდა ვუყურო, სიბნელეში ვერ წაიკითხავ, სასეირნოდ კი ინგრიდის გარეშე ვერ დავდივარ, დედამისი ბრძანებს, წესი არ არისო.

ასე დაახლოებით ექვსი თვე იქნება გასული, რაც როთუელებთან ვცხოვრობ და პირველი შეტაკება მოგვდის. ერთ დღეს მისტერ ვანი მეუბნება, ლიდსში ფილარმონიის ორკესტრი ჩამოდის და ძალიან კარგს იზამ თუ წამოხვალ, იმიტომ, რომ შესანიშნავი ორკესტრია და ასეთი შემთხვევა შეიძლება მეტი აღარც მოგვეცეს.

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, მისტერ ვან ჰუიტენ, — ვეუბნები. — სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ, ხომ იცით, ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის. — თან ვცდილობ გავიცინო. — რას იზამ, ცოლიანი კაცი ვარ.

— შენი ცოლიც წამოიყვანე, ვიქტორ, ძალიან მასიამოვნებთ, თუ ორივე წამოხვალთ.

ვეუბნები, ვკითხავ, თუ წამოვა-მეთქი. იმავე საღამოს ინგრიდს ვეკითხები, მაგრამ ერთ შეცდომას ვუშვებ — დედამისთან ერთად არ უნდა შევკითხოდი. ასეც ვიცოდი, ცხვირი ჩამოუშვა და უარი მითხრა, საშინლად მომწყინდებაო.

— მოდი, სცადე, რა მოხდება. იქნებ არ მოგწყინდეს.

— ინგრიდმა ძალიან კარგად იცის, რაც მოსწონს და სულაც არ ცდილობს ხალხს თავი მოაჩვენოს, ვითომ ასეთი მაღალინტელექტუალური რამეები მიხიბლავს. — ბრძანებს ქალბატონი როთუელი. მაგას რომ ჰკითხოთ, ვითომ სხვის საქმეში ცხვირს არასოდეს არა ჰყოფს.

სიბრაზისაგან ცეცხლი მეკიდება და ლამის პირში მივახალო, მაგ ქალბატონზე რასაცა ვფიქრობ.

— გააჩნია, ვინ რა აზრისაა. — ვეუბნები და დანარჩენ სათქმელს გულში ვიკლავ. — რას იზამ, იქნებ ტელევიქტორინებივით საინტერესო ვერ იყოს.

იგი ტუჩებს პრუწავს, ხვდება, რომ მისი მისამართით იყო ნათქვამი.

— მოკლედ, შენ გინდა წამოდი, გინდა არა, მე მაინც წავალ.

ვიცი, რომ ინგრიდი წინააღმდეგი არ იქნება, მაგრამ ამ სულელმა ძროხამ მაინც უნდა ჩასჩაროს თავისი დრუნჩი.

— როცა ცოლს ერთავ, ზოგიერთი რამ უნდა დათმო, საერთოდ ორი-ე მხარემ უნდა დათმოს ხოლმე.

ნეტავი გამაგებინა, ყველაფერ ამას სიმფონიური ორკესტრის კონ-ცერტზე წასვლასთან რა კავშირი აქვს. აი, ასეთი რამეები რომ მესმის ხოლმე. ლამის ჭკუიდან შევიშალო. ამისთანა რეგვენი ქალის მნახველი არა ვარ.

— არ მესმის, ეგ რა შუაშია. განა კონცერტზე წასვლა დანაშაულია?

იგი მხრებს იჩეჩავს (ოჰ, ისეთი უშნო მხრების აჩეჩვა იცის, პირდა-პირ გულს გაგიხეთქავს).

— თუ გინდა ისევ ისე ატარო დრო, როგორც ცოლის შერთვამდე ატარებდი. ეგ ჩემი საქმე არ არის. მაგრამ, მე მგონი, ინგრიდს ექნება რამე სათქმელი.

თავისი ბრძანა, ხასიათი გამიფუჭა და გარეთ გავიდა.

— გეწყინება, რომ წავიდე? — ვეკითხები ინგრიდს.

— როდის არის?

— ორი კვირის შემდეგ, შაბათ საღამოს.

— რა ვიცი, იქნებ სხვაგან მოგვიხდეს წასვლა.

ამ წუთში ისე მძულს, სიამოვნებით ჩავაფარებდი იმ თავის გამო-ლენჩებულ სახეში. სულ სამიოდე თვის წინ, ერთი თითი რომ დამექნია, სირბილითი დამედევნებოდა. ახლა ჩემი ცოლი ბრძანდება და დედამი-სი ისე აბრუებს, თავისი საკუთარი აზრის ნატამალიც არ გააჩნია.

— რას იზამ, უნდა გადავდოთ, იმიტომ რომ მე კონცერტზე მივდი-ვარ.

ინგრიდის თვალში ახლა მე მთლად ნამუსგარეცხილი ადამიანი ვარ. მაგრამ მიდი და დაუმტკიცე, რომ არა ვტყუივარ; ხმასაც ვერ ამოიღებ, მისის როთუელი გვერდიდან არა გვცილდება. დაძინებამდე უნდა მოვი-ცადო.

— ძალიან მწყინს, როცა ასე მიღრენ ხოლმე. — მეუბნება ინგრიდი, თან ჯემპრს იძრობს და თმას ისწორებს.

— მე კი არ მომწონს, როცა მიბრძანებენ რა უნდა გავაკეთო და რა არა. პირდაპირ არ ვიცი, ამ ბოლო ხანებში რა ჯანდაბა გემართება, ინგ-რიდ. რასაც შენი ბებრუხანა ჩაგძახებს, თუთიყუშივით იმას იმეორებ.

— ძალიან გთხოვ. დედაჩემს ასე ნუ იხსენიებ.

— ყოველ შემთხვევაში, ხომ მიხვდი ვიზეც ვლაპარაკობ.

— ცოტა ზრდილობიანად უნდა მოექცე, ვიკ, რაც უნდა იყოს, მის სახლში ვცხოვრობთ.

— ვაი, რომ ძალიან კარგად ვგრძნობ.

ინგრიდი გახდას ამთავრებს და ლოგინში წვება.

— მიდიხარ იმ კონცერტზე?

— დიახ, მივდივარ.

— და მაინცდამაინც გინდა, რომ ამის გამო ერთი დავიდარაბა ატეხო?

— მე? — საწოლ ოთახში საცვლების ამარა ვდგავარ და თითი გულზე მაქვს მიბჯენილი. — მე ვტეხავ დავიდარაბას? დედაშენს ნებას აძლევ წიხლებით შემდგეს. ჩემ დასაცავად თითს არ ანძრევ და მერე მეუბნები, დავიდარაბის ატეხვა გინდაო? მხოლოდ იმიტომ, რომ შენ სახლში გნებავს დარჩენა და რაღაც სულელური ტელეგადაცემების ყურება.

— ღვთის გულისათვის, ჩუმად ილაპარაკე. ვიკ, დედაჩემი ყველაფერს გაიგონებს.

— გაიგონებს და გაიგონოს. — ვეუბნები და ხმას უფრო ვუწევ. კარებზე კაკუნი ისმის და გარედან მისის როთუელი გვეკითხება:

— ხომ არაფერი გიჭირს, ინგრიდ?

— არა, დედიკო.

შექს ვაქრობ და ლოგინში ვწვები.

— ვითომ ეგრა შეკითხვა იყო? ხომ არ ჰგონია, გცემდი.

ინგრიდი საბანში გემრიელად ეხვევა და პასუხის გაცემასაც არ კადრულობს. ახლა ჩაიძინებს, ჩვენ კი ვერაფრის გარკვევა ვერ მოვახერხეთ. დილას გავიღვიძებთ და ყველაფერი თავიდან დაიწყება. ლამის ბოღმამ დამახრჩოს, ვერაფრით დამშვიდებას ვერ ვახერხებ.

ერთ დღეს მაღაზიაში ტელეფონი რეკავს. ჯიმი მელაპარაკება.

— იცი, იმ დღეს ჩვენთან ბიუროში ვინ იყო? კონროი.

— მე მეგონა, საერთოდ წავიდა ქალაქიდან.

— ოჯახი ბრედფორდში ცხოვრობს. ახლა არსად არ მუშაობს. ავსტრალიაში აპირებს წასვლას. სანამ წავა, უნდა ბიჭებს თავი მოგვიყაროს.

ცოტა ხანს ვმუსაიფობთ (მაღაზიაში სიწყნარეა. მუშტრები ნაკლებადაა). ჯიმი მეუბნება „ლორდ ნელსონში“ ვაპირებთ წასვლას (ერთი სამიკიტნოა ბრედფორდის გზატკეცილზე) და კარგად დალევას, თუ გინდა შენც წამოდიო. პირველად ყველანი ათ-ათ შილინგს ჩავდივართ და მანამ ვსვამთ, ვიდრე ეგ ფული გვეყოფაო. ვეუბნები, არ ვიცი იმ ღამეს მეცლება თუ არა მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეგატყობინებ-მეთქი.

ვიცი, რომ არ წავალ, მაგრამ ინგრიდს მაინც ვეუბნები, მიხვდეს რანაირ მსხვერპლს ვიღებ, ოღონდ ოჯახშიც სიმშვიდე და სიმყუდროვე იყოს.

— მე ყოველთვის მეგონა კონროის ვერ იტანდი.

— ბოლო დროს, სანამ წავიდოდა, მომეწონა და დავუახლოვდი. თანაც ჩვენი ბიჭების ნახვაც მინდოდა...

— საბმელად მიდიხართ, არა?

— მაშ რისთვის?

— უთხარი წამოვალო?

— არა, პასუხი ჯერ არ მიმიცია. ხომ იცი, დედაშენი ყველაფერს დაიგლეჯს, როცა გაიგებს მარტო მივდივარ დასალევად.

ინგრიდი რაღაც მორჩილად და დაბნეული სახით მიყურებს.

— ოჰ, ვიკ, სულაც არ მინდა იფიქრო, რომ შენს ნებაზე აღარაფრის გაკეთება შეგიძლია.

— ეგ დედაშენს უთხარი ხოლმე. — ვეუბნები. — თუ წასვლა მოვინდომე, ვერც შენ დამაკავებ და ვერც დედაშენი, მაგრამ მე სიმშვიდე მირჩევნია და რადგან იძულებული ვარ აქ, თქვენ სახლში, ვიცხოვრო, ამიტომ დასალევად წასვლასაც უნდა შევეშვა.

როგორც ყოველთვის, საწოლ ოთახში ვართ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიძლია პირისპირ ვილაპარაკოთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩუმად.

— მაგრამ გულახდილად გეუბნები, ცოლად რომ გირთავდი, არ მეგონა თუ ასეთი ჯოჯოხეთური ცხოვრება მექნებოდა.

— წესიერად ლაპარაკი არ შეგიძლია?

— წესიერად?

—დიახ, წესიერად. ამ ბოლო დროს სულ აყირავებული ხარ. ადრე რომ ასე არ იყავი?

— მაშინ სხვა იყო. მე კი არა, ჭიას რომ ფეხი დაადგა, ისიც თავს ასწევს.

ამ ბოლო ხანებში სულ ასე ვართ. ლაპარაკი მხოლოდ დილიო ადრე ან გვიან ღამით შეგვიძლია, ანდა თუ სადმე გავალთ სასეირნოდ. მაგრამ გარეთ იშვიათად გავდივართ, იმიტომ რომ ინგრიდს თავისი მუცლისა ძალიან სცხვენია და მეც მერიდება. დილაობით, როგორც მოგეხსენებათ, სამსახურში დაგვიანებისა მეშინია, საღამოს კი მთელი დღის დაგროვილ წყენასა და ბოღმას ვიქარვებ და მეტ სხვა არაფრისათვის დრო არა გვრჩება. მოკლედ, ჩხუბისა და კინკლაობის მეტს არაფერს ვაკეთებთ.

— წადი თუ გინდა. — შეუბნება ინგრიდი.

— მერე რომ ცხვირში ძმრად ამომადინოთ, არა? დიდი მადლობა. კონცერტის ამბავი ჯერ არ დამვიწყებია.

— ხომ წახვედი, რაღა გინდა?

— წავედი და მომხვდა კიდეც. გეგონება სერიოზულ კონცერტზე კი არა, სადღაც საროსკიპოში ვიყავი.

—შენი ნებაა.

— ჰო, ჩემი ნებაა. რა თქმა უნდა. მე არასოდეს მემხრობი. დედა-შენმა რაც გინდა მითხრას, შენთვის სულერთია, აზრადაც არ მოგდის, მომეშველო.

— არ მესმის, დედაჩემს რატომ უნდა წავეჩხუბო. არც აქამდე მიჩხუბია და არც ახლა ვაპირებ.

ტუალეტის მაგიდაზე გასაღებებსა და ფულს ვახეთქებ:

— არც იმიტომ, რომ შეურაცხყოფისაგან დამიცვა. არა?

— ის დედაჩემია, ვიკ.

— მე კი შენი ქმარი ვარ. თუმცა იმის შემდეგ, რაც ცნობა აიღე, რომ ქმარი გყავს, იქნებ დაგავიწყდა კიდეც? იქნებ ზოგიერთებს ჰგონია, მარტო კვება-ბინაზე ვარ მორიგებული? მე რომ ძალიან კარგად მახსოვს, ხელი როგორ მოვაწერე?

— იქნებ ნანობ, რომ შემირთე? — მეუბნება ინგრიდი. განა თვითონ არ იცის? ძალიან კარგად იცის. რაღას მეკითხება, ვერა ხედავს რა გუნებაზე ვარ?

— ვნანობ, აბა რა ჯანდაბას ვშვრები?

ამ სიტყვების გაგონებაზე ინგრიდი ტირილს იწყებს და წვება. მე კი ოთახში ბოლთას ვცემ, ბოღმა მახრჩობს და ერთი სული მაქვს ყველაფერი აქეთ-იქით მოვისროლო და მივლეწ-მოვლეწო.

იფ, რა საამური ცხოვრებაა! და წინ სულ რაღაც ოცდაათიოდე ან ორმოციოდე წელიწადი, ასეთივე საამური ცხოვრება გველის.

## თავი მეშვიდე

### I

აგვისტოს ბოლოს. ერთ საღამოს მაღაზიიდან ასე შვიდის ნახევარზე ვბრუნდები. ისე ცხელა, სუნთქვა ჭირს. ვხედავ, სახლი დაკეტილია. გასაღები არა მაქვს, ამიტომ გარეთ ვიცდი, სანამ ინგრიდი და დედამისი

მაღაზიებიდან, თუ რა ვიცი, რა ჯანდაბიდან, დაბრუნდებიან. ჩემს გასაფრთხილებლად, რასაკვირველია, თავი არ შეუწუხებიათ.

დღისით ასე არა მცხელოდა, მაგრამ სადილის შემდეგ ისეთი თავის ტკივილი ამივარდა, თვალებს ძლივს ვახელ, თანაც უღმერთოდა ვარ დაღლილი. ხელები ჯიბეებში მაქვს ჩაწყობილი და სახლის უკანა კარებთან ვდგავარ. ნეტავი გამაგებინა როდის მობრძანდებიან. ამ დროს ჩვენი კარის მეზობელი, მისის ოლიფანტი გარეთ გამოდის სუფრის გასაბერტყად. სწორედ იმ დროს, სახლში რომ უნდა შებრუნდეს, მამჩნევს და გაოცებული მიყურებს.

— ეტყობა, სახლში აღარ მიშვებენ. — ვეუბნები და საშინლად უხერხულად ვგრძნობ თავს. — ხომ არ იცით, სად წავიდნენ?

ახლა კი მართლაც რომ გაოცებისაგან პირდაღებული მომჩერებია. ჩვენი სახლის ღობესთან მოდის, კუბოკრული სუფრა მკლავზე აქვს გადაგდებული.

— ისინი ხომ საავადმყოფოში არიან. — მეუბნება. — როგორ, თქვენ...

— საავადმყოფოში? კი მაგრამ ინგრიდი ხომ სამშაბათობით ღადის ხოლმე... — უცებ ისეთი გრძნობა მაქვს, გეგონება მუცელში წიხლი ჩამაზილესო და შიშისაგან გულ-მუცელი მეწვის.

— რა მოხდა? — ვეკითხები. — ასე რატომ მომჩერებიხართ?

— კი მაგრამ, როგორ... — ამბობს და თვალს არ მაშორებს. — ინგრიდი ხომ... ინგრიდი ხომ საავადმყოფოში წაიყვანეს. უბედურება შეემთხვა...

მეჩვენება, რომ მზე თავის ქალას მიბურღავას. მისის ოლიფანტის სახე ქანაობას იწყებს. ღობეს ვეჭიდები და ვგრძნობ, რომ ვბარბაცებ.

— მე მგონი, კიბიდან ჩამოვარდა და მუცელი მოეშალა. ასე, ორი საათის წინ. ნუთუ არაფერი გაგიგიათ?

თავს ვაქნევ, თან მინდა გავაგებინო, არა-მეთქი, თან მინდა თავიდან ბურუსი მოვიშორო.

მუხლები მეკვეთება, ფეხზე დგომა მიჭირს. ვიცი, თუ არ ჩამოვჯექი, მიწაზე გავიშხლართები.

— წამოდით, ჩვენსა დაისვენეთ. — მეუბნება მისის ოლიფანტი და პატარა გვერდით ჭიშკარს აღებს, რომ გამატაროს. — ძალიან გაგიხეთქეთ გული, მაგრამ მეგონა, იცოდით... მობრძანდით და ცოტა დაისვენეთ. ცოტა ჩაიც მიირთვით. ხელად უკეთ იგრძნობთ თავს.

ოთახში შევდივართ. მისტერ ოლიფანტი გაზეთიდან თავს სწევს.

— ეს ახალგაზრდა ბრაუნია, ჰენრი. — ამბობს მისის ო., — ვხედავ. სახლის უკან დამდგარა და იცდის. სახლი ხომ დაკეტილია. ინგრიდის შესახებ არაფერი იცოდა, მე ვუთხარი... დაბრძანდით, გეთაყვა, მე ჩაის დაგისხამთ. ჩაი მოგამაგრებთ.

— არ იცოდა? — კითხულობს მისტერ ოლიფანტი. — კი მაგრამ შენ არა თქვი, სადილობისას მოხდაო?

მისის ო-მ ალბათ რაღაც ანიშნა, იმიტომ რომ მისტერ ოლიფანტი აღარაფერს ამბობს.

— მთელი საღამოა თავს ცუდად ვგრძნობ. — ვბურტყუნებ, მისტერ ოლიფანტი კი ისევ მიყურებს.

— ახლა კი უარესად გახდით, არა? — მეუბნება, მერე ფეხზე დგება და ჩემთან მოდის. უზარმაზარი კაცია, ტანზე მარტო პერანგი აცვია, უპიჯაკოდ. თავის უშველებელ თათს კეფაზე მადებს, თავს მუხლებამდე მიღუნავს და დაახლოებით ერთი წუთი ასე უჭირავს.

— ახლა სკამს მიეყუდეთ და კუნთები მოადუნეთ. მალე ჩაის მოგიტანენ და უკეთესად გახდებით.

მისის ოლიფანტი ფინჯან ჩაის მაწვდის. მე ხელს მაგრა ვუჭერ, მეშინია, არ გამივარდეს. ვეკითხები, ასპირინი ხომ არ გექნებათ-მეთქი. იგი სამზარეულოში გადის და წამალი შემოაქვს. ასპირინს ვყლაპავ და ჩაის ვაყოლებ, ჩაი სუსტია და არც თუ ძალიან ცხელი. ოლიფანტების ორი ბავშვი ბალიდან კისრისტეხით შემორბის ოთახში, მაგრამ მისის ოლიფანტი მაშინვე უკან აბრუნებს და ოთახიდან გაყავს.

— ალბათ ინგრიდის დედა ისე დაიბნა, რომ თქვენ ვერც კი შეგატყობინათ. — ამბობს მისის ოლიფანტი. — სამსახურში ტელეფონი ხომ გაქვთ?

დიახ, გვაქვს-მეთქი. თანაც რაც ეს ამბავი მოხდა, მას შემდეგ მთელი ოთხი საათი გავიდა. საკმაო დრო ჰქონდა, შეეტყობინებინა. ეს ამბავი მეც კარგად მესმის და მისის და მისტერ ოლიფანტებსაც.

— ხომ არ გინდათ აქედან დარეკოთ? — მეკითხება მისტერ ო. — შეგიძლიათ ჩვენი ტელეფონით ისარგებლოთ.

— გმადლობთ. ამ წუთში დავრეკავ, ახლავე.

ნეტავი ხომ არ მოკვდება? იქნებ უკვე მოკვდა? აი, იქნებ ამ წუთში უკვე ქვრივი ვარ და არ ვიცი? ისევ თავისუფალი...

ჩაის ვამთავრებ, მერე კი მისტერ ოლიფანტი მიჩვენებს, ტელეფონი სადაც არის, პატარა თაროზე, შემოსასვლელ ოთახში.

— იცით ნომერი?

თავს ვაქნევ, არა-მეთქი. იგი ტელეფონების წიგნს ფურცლავს. მერე ყურმილს იღებს, ნომერს ეუბნება და იცდის. შემდეგ კითხულობს:

— კრესლის საავადმყოფოა? ერთ წუთს მოიცათ, გეთაყვა. — ყურმილს მაწოდებს. — აჰა, ელაპარაკეთ.

— ალო... მისის ბრაუნის ამბავი მაინტერესებს. დღეს ნასადილევს მოიყვანეს. მარცხი შეემთხვა და მუცელი მოეშალა... რა? მისტერ ბრაუნი გელაპარაკებათ. ვიქტორ ბრაუნი, ქალს ინგრიდი ჰქვია... დიახ, სწორია.

უკან ვიხედები. მისტერ ოლიფანტი წასულა. ყურმილი ხელში მიჰირავს და ველოდები. შემოსასვლელი კარის უკან საბავშვო მანქანა და სამთვლიანი ველოსიპედი დგას. კიბის ძირში რეზინის ბურთი გდია. ეს შემოსასვლელი ოთახი ძალიან მომწონს. კედლებზე ღია ყავისფერი შპალერია გაკრული, ჭერი კი პაწაწინა მუქი ლურჯი ვარსკვლავებით არის მოხატული. დარწმუნებული ვარ შპალერს თვითონ მისტერ ოლიფანტი გააკრავდა. ზუსტად არ ვიცი მისტერ ოლიფანტი სად მუშაობს, მაგრამ შეძლებულად კი ცხოვრობენ. მშვენიერი ხალხია. კარგი, ტკბილი, წყნარი და ბედნიერი...

— ალო?

— დიახ!

— ვწუხვარ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მისის ბრაუნი ჯერ კიდევ სამშობიარო ოთახშია.

— როდის გეცოდინებათ?

— ასე, ერთ საათში დარეკეთ. ანდა მობრძანდით და აქ დაიცადეთ. როგორც კი რამეს ახალს შევიტყობთ, მაშინვე გაცნობებთ.

— კარგით, გმადლობთ. მანდ მოვალ.

ალბათ უკვირთ, რატომ იქ არა ვარ. სასადილო ოთახში შევდივარ და მისტერ და მისის ოლიფანტებს ვეუბნები, რაც მითხრეს.

— დარწმუნებული ვარ, კარგად იქნება. — ამბობს მისის ო. — ერთხელ მუცელი მეც მომეშალა, მაგრამ საავადმყოფოში არც კი წავსულვარ. მას შემდეგ, აი, ეს ორი ბავშვი მეყოლა. როგორც ხედავთ, არაფერი მომსვლია. ინგრიდი დიდი ხნის ფეხმძიმე არ უნდა ყოფილიყო, არა?

ნეტავი გამაგებინა, თუ იცის, რომ როცა ხელი მოვაწერეთ, ინგრიდი უკვე სამი თვისა იყო. ამიტომ ვეუბნები, არა-მეთქი და ამაზე ხმას აღარ ვიღებ.

— მშვენივრად იქნება, — ამბობს მისის ოლიფანტი. — კი, ნახავთ თუ არა.

— ახლავე წახვალთ? — მეკითხება მისტერ ოლიფანტი.

მე თავს ვუქნევ:

— ჰო, მე მგონი ასე აჯობებს.

იგი ფეხზე დგება:

— მანქანით მიგარბენინებთ.

— ძალიან კარგი იქნება. დიდი მადლობა.

— ხუთ წუთში იქ ვიქნებით. ასეთ დროს ავტობუსის ლოდინი ძნელია.

— რა თქმა უნდა. გმადლობთ.

— მერე ჩაი? — მეკითხება მისის ოლიფანტი. — რამე თუ ჭამეთ? ასე მშიერი ხომ არ გაიქცევით? ალბათ ლოდინიც დაგჭირდებათ.

— გმადლობთ. არაფრის ჭამა არ მინდა.

— მოითმინეთ. ახლავე სენდვიჩს გაგიმზადებთ.

— გმადლობთ. მაგრამ არა მგონია, ყელში რამე გადამივიდეს.

მისტერ ოლიფანტი ჰალსტუხს იკრავს და პიჯაკს იცვამს.

— აბა, წავედით. — მეუბნება. — ახლავე მიგარბენინებთ.

ცნობათა ბიუროში ვიღაც სხვა ქალია, ის არა, რომელიც ტელეფონზე შემხვდა. იმას სასიამოვნო და წკრიალა ხმა ჰქონდა, ეს კი ისე ლაპარაკობს გეგონება პირი წეულა კამფეტებით გამოუტენია და ხმის ამოღება უჭირსო. რის ვაივაგლახით ვგებულობ რას ლუღლუღებს.

ვეუბნები ვინა ვარ და რისთვის მოვედი. მეუბნება, მოსაცდელ ოთახში წადით და დაჯექითო. მოსაცდელი ოთახი მაღალჭერიანია, ფანჯრები მაღლა აქვს. ხოლო კედლების გასწვრივ ლურჯტყავგაკრული გრძელი მერხებია ჩარიგებული. თითქოს მაგონდება ბავშვობაში რომ აქ ვყოფილვარ. კედლებზე ბრინჯაოს ფირფიტებს ვათვალიერებ. ზედ იმ ადგილობრივ მესვეურთა გვარებია, რომლებმაც ფული გაიღეს შენობის ამ ფრთის ასაშენებლად. იქვეა ორკარედი წარწერით: „სასწრაფო დახმარება“. ალბათ, აქ მაშინ მომიყვანეს, ღობიდან რომ გადმოვვარდი და შუბლი გავიხეთქე. მეც აქ ვიჯექი, ალბათ აი, ამ კარის წინ და შიშისაგან თავიდან ფეხებამდე ვძაგძაგებდი, ვფიქრობდი, ნეტავი რა საშინელებას მიმზადებენ აგერ იმ ილუმინატორებისნაირ ფანჯრების უკანმეთქი. კარს უკან ახლაც შუქი ანთია, მაგრამ ჩემს მეტი არავინ იცდის. ალბათ, მანდ ყოველთვის მზად არიან. ისე. ყოველ შემთხვევისათვის. ვინ იცის, იქნებ ვის დასჭირდეს დახმარება, ამიტომ ყოველთვის ყველაფერი მზადა აქვთ.

ნუთუ მოკვდება? — მხოლოდ ეს მიბურღავს გონებას. ნუთუ ყველაფერი ასე უნდა დასრულებულიყო? ინგრიდი მოკვდება და ბავშვსაც თან წაიყვანს. და ამის შემდეგ კიდევ იტყვიან, რომ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი აზრი აქვს, რომ ყველაფერი წინასწარ არის განჭვრეტილი. რა არის განჭვრეტილი? ის, რომ ჯერ შემიყვარდა, მერე გადამიყვარდა, მაგრამ მაინც იმდენად მიზიდავდა, რომ ბავშვიც შევძინე და მერე კი იძულებული გავხდი, შემერთო, მიუხედავად იმისა, რომ აღარ მიყვარდა? ის, რომ კიბეზე ჩამოვარდა, თვითონ მოკვდა, ბავშვიც მოკლა და მე ისევ თავისუფალი დამტოვა? ეს იყო წინასწარ განჭვრეტილი? იქნებ ამ წინასწარგანჭვრეტის აზრი ის არის, რომ მთელი სიცოცხლე იმაზე ფიქრით დავიტანჯო, ინგრიდი მე მოვკალი და იმ ღამეს პარკში თავი რომ შემეკავებინა, იქნებ დღეს ცოცხალი ყოფილიყო-მეთქი.

არა, ინგრიდის სიკვდილი არ მინდა. არ მიყვარს, მაგრამ რომ მოკვდეს, ამას მაინც ვერ ვინდომებდი.

საავადმყოფოს სუნი გულს მირევს. თავის ტკივილს ჯერ არ გაუვლია. ასპირინმა არაფერი მიშველა. ვერ ვიტან საავადმყოფოებს. მერხზე გვერდულად ვჯდები, ერთ მუხლს მაღლა ვწევ, იდაყვით მერხის ზურგს ვეყრდნობი, მინდა თავი მკლავზე დავასვენო.

— მისტერ ბრაუნი ბრძანდებით?

ფეხზე ვდგები. რა ჩუმად მომპარვია თავის კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმელით! თვალს ვავლებ. პატარა, შავგვრემანი ქალია, სათვალე უკეთია და თეთრი ხალათი აცვია. ხალათის ქვემოდან თალხი კაბა უჩანს.

— დიახ.

— მე ექიმი პარკერი გახლავართ. ამ წუთში დავტოვე თქვენი ცოლი.

— როგორ არის?

— საკმაოდ კარგად. დღეს ძალიან დაიტანჯა, ბევრი სისხლიც დაკარგა, მაგრამ ჩვენ გადავუსხით. ასე რომ, ახლა კარგად იქნება. ბავშვზე ძალიან ვწუხვარ. ძალიან ვწუხვარ, მიუხედავად იმისა. რომ ყოველნაირად ვეცადეთ, საუბედუროდ გადარჩენა მაინც ვერ შევძელით.

— მესმის. — ვეუბნები და იატაკს დავცქერი.

— რამდენი ხანია, რაც დაქორწინდით?

— სამი თვეა.

— ჰოო... მაშ თქვენ...

— რომ დაქორწინდით, ფეხმძიმედ იყო.

— მესმის. არა უშავს. ყველაფერი კარგად იქნება. ბავშვი კიდევ გეყოლებათ. მაგის შიში ნუ გაქვთ.

— შეიძლება ვნახო? — ვეკითხები ჩემდაუნებურად. თითქოს ეგრძნობდე, რომ ჩემგან სწორედ ამ სიტყვების გაგონებას ელის. არა ვარ დარწმუნებული, ინგრიდის ნახვა მართლა მინდა თუ არა. ამიტომ როცა ექიმი მეუბნება, ამ საღამოს ნახვას არ გირჩევთო, გულზე მეშვება. ვინ იცის ავადმყოფი ინგრიდის დანახვაზე რა გუნებაზე დავდგები. ვაითუ შემზიზღდეს და ინგრიდმა შემატყოს?

— დედამისი ეს-ეს არის წავიდა. — მეუბნება ექიმი. — ვშიშობ, რომ მისმა აქ ყოფნამ ავადმყოფს მაინცდამაინც ვერ არგო. მეტისმეტად ემოციური პიროვნებაა. თქვენი მეუღლე ახლა ცდილობს დაიძინოს. ადრე რომ მოსულიყავით...

— მე არაფერი ვიცოდი.

— კი მაგრამ, ეს უბედურება ხომ საკმოდ ადრე შეემთხვა?

— სამუშაოზე ვიყავი. სახლში რომ მოვედი, მხოლოდ მაშინ გავიგე.

— ესე იგი თქვენმა სიდედრმა არ შეგატყობინათ?

— მეზობელმა მითხრა. ჩემ სიდედრს მე ყველაზე ბოლოს გავახსენდებოდი.

ექიმი მიყურებს და არაფერს ამბობს. ისევ ფეხზე ვდგები.

— ხვალ დილით შეგიძლიათ ადრე დარეკოთ, საღამოს შვიდზე კი სანახავად მოხვიდეთ.

— თუ დედამისი არ მობრძანდა...

— არა, ავადმყოფის ნახვისას უპირატესობა თქვენ გენიჭებათ.

კარებამდე მაცილებს.

— ძალიან გთხოვთ, ინგრიდს გადასცეთ, რომ ვიყავი და როგორც კი გავიგე, მაშინვე მოვედი.

— კარგით. კიდევ ხომ არაფერს დამაბარებთ?

არა-მეთქი, თავს ვაქნევ.

— უთხარით, ნურაფერზე იდარდებს, ბავშვზე ნუ ინაღვლებს. — მაინც ვერაფრით ვერ შევეჩვიე იმ აზრს, რომ მამა უნდა ვყოფილიყავი.

საავადმყოფოს ეზოდან გავდივარ თუ არა, ვხედავ რომ დაღმართზე ავტობუსი ჩამოდის. გავრბივარ და ვჯდები. მაღლა ავდივარ. ბავშვზე როგორღაც არა ვფიქრობ, ჯერ ხომ ბავშვიც არა ყოფილა! უსულო სხეული იყო, რომელიც ინგრიდის სხეულში იზრდებოდა, ის, რამაც გვაიძულა, დაექორწინებულიყავით. ჯერ ადამიანიც არ იყო, ამიტომ გული არა მწყდება, რომ აღარ არის. ისე კი, ძალიან საწყენია, როცა ფიქრობ, რომ ოდესმე ისიც ადამიანად იქცეოდა, ახლა კი აი, დედამისი კიბეებიდან ჩამოვარდა, ის კი აირია და აიზილა.. ექიმმა თქვა

ძალიან დაიტანჯაო. თვალებს ვხუჭავ და თვალწინ პირაღმა მწოლიარე ინგრიდი მიდგას, ფეხები ფართოდ გაეშლია, ექიმები კი საშოდან სისხლიან ნაგლეჯებს უღებენ.

ავტობუსში ბენზინისა და თამბაქოს კვამლის სუნი დგას. ჩემს გარდა თითქმის არავინ არ არის. დაღმართში ავტობუსი ისე ხტუნაობს და ირყევა, მთელი გულ-მუცელი მენჯღრევა. უცებ გულის რევას ვგრძნობ და ცივი ოფლი მასხამს. კიბეებზე ჩავრბივარ და როგორც კი მოსახვევში ავტობუსი სვლას ანელებს, ძირს ვხტები და ქუჩის მეორე მხარეს, მამაკაცების საპირფარეშოში შევრბივარ.

ჯიბეში ერთპენიანს ვპოულობ, კაბინაში შევდივარ, ჩემს უკან კარი ისეთი ხმაურით იხურება, ყოველი მხრიდან ექო ისმის. როგორ ყველაფერი ერთად დამატყდა თავს: ცოლი ინგრიდი, რომელიც არ მიყვარს, სიდედრი როთუელი, ახლა კი ეს მუცლისმოშლა, ეს ჩემი თავის ტკივილი, გულისრევა. უნიტაზზე ვიხრები, მაზიდებს და მაზიდებს, ისეთ დღეში ვარ, ლამის სული ამომძვრეს: ბოლოს, როგორც იქნა მაღებინებს. მერე ხმამაღლა ვამბობ:

— უჰ, ჯანდაბას ყველაფერი, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი და ტანი! — ეტყობა ძალიან ვხმაურობდი. კარს რომ ვაღებ, ვხედავ ზედამხედველი მელოდება.

— თუ ვერ ინელებ, რაღასა სვამ... — მეუბნება ეს მეტიჩარა სიბინძურის მწმენდავი. მაგასაც თავი მოაქვს! ჭკუა უნდა მასწავლოს. ჩემ გზაზე მივდივარ და ვეუბნები: — წადი, შენი...

პასუხად რაღაცას მომძახის, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ.

ვერ გადამიწყვეტია, როთუელებთან მივიდე, თუ ჩვენებთან. ძალიან დიდი სურვილი მაქვს როთუელებთან საერთოდ აღარ მივიდე, მაგრამ მერე მაგონდება, ინგრიდს რა შავი დღე დაადგა, და აღარ მინდა ზედმეტი სადარდებელი გავუჩინო. დაე, ჯერ საავადმყოფოდან გამოვიდეს და მერე ვნახოთ რა იქნება. ცოტა ხანს ქალაქში დავყიალებ. ვიცი, საჭიროა ჩემ ბებრებთან მივიდე და ვუთხრა რაც გადამხდა, მაგრამ იმათ დაწვრილებით გაგება მოუნდებათ, მე კი ყველაფერი სხვისგან შევიტყვე. შეიძლება გამომეღავნდეს, რომ მე და ინგრიდი მაინცდამაინც ვერ ვეწყობით ერთმანეთს, მე კი დღეს ამდენის თავი აღარა მაქვს. საბოლოოდ ისევ ჩემ ბებრებთან ვაპირებ წასვლას, მერე მაგონდება, რომ უკვე გვიანაა და მეორე დღისთვის ვდებ იქ წასვლას.

ისევ როთუელებთან მივდივარ. სახლში შევდივარ და ვხედავ, ჩემი სიდედრი და მისის ოლიფანტი ერთად სხედან. მისის როთუელი ყვე-

ლაფერს დაწვრილებით უყვება, უფრო სწორად, თავის შეხედულებებს უზიარებს ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა. მაგიდაზე ჩაიდანი უდგათ. ჩემ სიდედრს ტირილით სახე ისე დასიებია, რომ შეხედოთ შეგეშინდებათ.

მისის როთუელი ზედაც არ მიყურებს, სამაგიეროდ მისის ოლიფანტი მეუბნება:

— აი, ვიქტორიც. როგორ არის ინგრიდი, ვიქტორ?

— არ მინახავს. — ვეუბნები და მისის როთუელს ისეთი თვალებით ვუყურებ, რომ მისის ოლიფანტი ყველაფერს ხვდება.

— ძალიან გვიან იყო, ინგრიდი უკვე იძინებდა.

უცებ მისის როთუელი ხმამაღლა ქვითინს იწყებს. საშინელი სანახავია, როგორ ეღრიჯება სახე ტირილის დროს, მისი სლუკუნიც ნერვებს მიშლის.

— ოჰ, ნეტავი ინგრიდი ამას არასოდეს შეხვედროდა. — ამბობს ტირილისაგან გაგუდული ხმით.

— კარგი ერთი, ესთერ, ხომ იცი, რომ ვიქტორი არაფერ შუაშია. — ეუბნება მისის ოლიფანტი. — ასეთი რამ შეიძლება ყველას შეემთხვეს.

კარებთან ვდგავარ და ვგრძნობ, რომ ვფითრდები და სიბრაზისაგან ცახცახს ვიწყებ. მისის ოლიფანტი თვალებით რომ არ მანიშნებდეს თავი შეიკავეო, ალბათ ჩემ სიდედრს იქვე მივახრჩობდი. ოთახს ვტოვებ და საწოლ ოთახში ავდივარ; იქ ბოლთასა ვცემ, ვცახცახებ და ხმამაღლა ვიგინები. თუ რამე საგინებელი და სალანძღავი ვიცი, ჩემი სიდედრისათვის არ ვიშურებ.

## II

გვიან ღამით მესმის, ჩვენ სახლთან მანქანა ჩერდება. დილით ვდგები და ვხედავ, მისტერ როთუელი ჩამოსულა. თავისი ქმრისთვის რომ შეეტყობინებინა, მოიცალა, ჩემთან კი დარეკვაც ვერ მოახერხა. მისტერ როთუელის ფეხის ხმა რომ არა, ალბათ ამ ქალბატონს პირში მივახლიდი, რაც გულში მიდევს და სამუდამოდ ავიბარგებოდი აქედან. როგორც ჩანს, მისტერ როთუელმა ცოლი დააწყნარა და ცოტა გონზე მოიყვანა. ალბათ, თავის ქმარს ჩემს შესახებ ბევრ შხამს აწვეთებს, მაგრამ მისტერ როთუელი არაფერს იმჩნევს. როდესაც შინ არის, ისევ ძველებურად მექცევა, წყნარად, პატიოსნად და მეგობრულად. როცა გელაპარაკება, გრძნობ, რომ ადამიანად გთვლის და პატივს გცემს. სულ იმის ნატვრაში ვარ, ნეტავ მუდამ სახლში იყოს-მეთქი.

კუთვნილი შვებულებიდან ერთ კვირას იღებს და ვიდრე ინგრიდი უკეთ არა ხდება, არსად არ მიდის. საავადმყოფოში გვეუბნებიან, უკეთესი იქნებოდა ორიოდე კვირა ან ათი დღე კიდევ დაგეტოვებინათო. მაგრამ მერე შინ წამოსვლის ნებას რთავენ, ოღონდ იმ პირობით, თუ თავს ძალიან გაუფრთხილდება. მერე მისტერ როთუელიც გვტოვებს და ისევ ძველებურად ვრჩებით, ოღონდ უფრო უარეს ურთიერთდამოკიდებულებაში. ასე მგონია, ყველაფერი სიზმარში ხდება, საცაა გავიღვიძებ და ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდება-მეთქი. ჩემი სიდედრი ხმას სრულებით არა მცემს. მეც, თუ აუცილებელი არ არის, ერთ სიტყვას არ ვეუბნები.

ახლა ყველაზე მეტად ინგრიდი მიშლის ნერვებს. უკვე რამდენიმე კვირაა რაც სახლშია, მაგრამ დედამისი სულ იმას ჩასჩიჩინებს, არიქა, ძალიან ცუდად ხარ, არ გადაიღალო, თავს მოუფრთხილდიო. ინგრიდიც მთელი დღე გულხელდაკრეფილი გაუნძრევლად ზის სავარძელში, გეგონება დღეს ან ხვალ სული უნდა განუტევოსო.

ინგრიდი მარტო მაღიზიანებს. არაფერში მარგია. დღისით მთელი დღე სავარძელშია მისვენებული, გეგონება სკარბოროს პლაჟზე გამოსული ხეიბარიაო. ღამით კი ახლოს არ მიკარებს. უკვე კარგა ხანია ასე ვართ. ერთ დღეს ვეუბნები, იქნებ ჯობდა განცხადება აგეკრა, „არ მიეკაროთ, დაიმსხვრევა“-მეთქი.

— როდემდე აპირებ ასე გაგრძელებას? — ვეკითხები ერთ ღამეს, როცა ისევ ცივად მიშორებს თავიდან. — ადრე თუ გვიან ხომ უნდა მოეშვა მაგ მაიმუნობას?

— როგორ თუ მაიმუნობას?

— სწორედ მაიმუნობას. ერთი მუცლის მოშლის გულისთვის მთელი სიცოცხლე ხომ არ უნდა ინაზებოდე?

— მაშ ვინაზები, არა?

— იქნებ თვითონ ვერც ამჩნევ. დედაშენი იმდენს გეჩიჩინება, მგონი, მართლა გგონია, რომ ისევ ცუდადა ხარ. მართალი გითხრა, უკვე მომბეზრდა.

— შენ ხომ შენი თავის გარდა არაფერი გახსოვს. ჩემზე არასოდეს არა ფიქრობ.

— როცა გიჭირდა, ხომ შეგირთე? უკვე სამი თვეა, რაც მუცელი მოგწყდა, და ნუთუ აქამდე არ შეიძლება ისე მოგეხვიო, რომ ჩემი თავი გარყვნილი ავადმყოფი ბებერი არ მეგონოს?

ინგრიდი ლოგინზე ჯდება, ცივი და გაქვავებული. სახეზე ზუსტად

დედამისის გამომეტყველება აქვს. რომ იცოდეს, დედამისს როგორა ჰგავს და მე კი დედამისი როგორ მეჯავრება, ასე არ გააფრენდა.

— თუკი მაგის მეტი გონებაში არაფერი გიტრიალებს, — მეუბნება, — გირჩევნია, თავი ცოტა ხელში აიყვანო.

ისეთი ხმით მეუბნება, მგონია ინგრიდი კი არა, ჩემი სიდედრი მელაპარაკება-მეთქი. ვუყურებ და არა მჯერა, რომ ეს ის ვნებიანი გოგოა, პარკში რომ ვეხვეოდი და ვკოცნიდი ხოლმე. ვერ გამიგია, რა მოუვიდა. ალბათ ბავშვთან ერთად სასქესო ჯირკვლებიც ამოაცალეს.

— კი მაგრამ როდემდე? — ვეკითხები. — ვიდრე დედაშენი ნებას არ მოგცემს? არ მესმის, დედაშენს რა უნდა. თუ ისეთი შტერი ხარ, რომ ვერაფერს ხვდები? უნდა ისეთი რამე ჩამადენინოს, რომ ჩვენი განქორწინების საბაბი მიეცეს. ისე კი იცოდე, სწორი გზა აურჩევია. მუცელი რომ მოგეშალა, იმ დღეს სიამოვნებით ავითესებოდი. გგონია, იმის შემდეგ, რაც დედაშენმა მოიმოქმედა, აქ დაბრუნება ადვილი იყო?

— რაღას ბრუნდებოდი?

— იმიტომ რომ შენი ქმარი ვარ და გარდა ამისა, ისედაც შავი დღე გადგა, ცეცხლზე ნავთს ხომ არ დაგისხამდი?

— მეტად დიდსულოვნად და კეთილშობილურად მოქცეულხარ. — მეუბნება ისე გესლიანად, რომ ვატყობ, არც ერთი სიტყვა არ სჯერა.

— მაშ შენ მითხარი, რატომ დავბრუნდი.

— ხომ არ გინდა ფეხებში ჩაგივარდე და მადლობა გადაგიხადო იმისათვის, რასაც ყველა წესიერი ქმარი გააკეთებდა?

ერთი სული მაქვს სახეში ვლეწო. რაც ხანი გადის, ეს სურვილი უფრო და უფრო ხშირად მიჩნდება. ისე კი, ჩემ სიცოცხლეში გოგოსთვის არ გამირტყამს.

— ვინ გეუბნება ფეხებში ჩამივარდიო? მე კი არა, შენ გინდა დაგიჩოქო და გემუდარო, გააკეთო ის, რასაც ყველა წესიერი ცოლი აკეთებს. პირდაპირ გეუბნები, ყველაფერი ყელში ამომივიდა. ძალიან მინდოდა ერთმანეთთან კარგად ვყოფილიყავით, მაგრამ თუ ცოლ-ქმარი ვართ, ცოლ-ქმარი უნდა ვიყოთ. სულაც არ მინდა თქვენი მდგმური ვიყო, რომელსაც გულმოწყალედ ნებას რთავენ შენ ლოგინში ჩაწვეს, ოღონდ იმ პირობით, თუ თითს არ დაგაკარებს.

ერთ სიტყვას მეორე მოსდევს, მე ჩემსას ვამბობ, ის თავისას. მაგრამ საბოლოოდ ვერაფერზე ვთანხმდებით. ოღონდ ეს არის, ორივეს ძალიან გვინდა ერთმანეთს ჩავაფრინდეთ და ამ ვითომ ცოლქმრობანას თამაშს თავი დავანებოთ.

ასეთი წაკინკლავებიდან მაგარ შეხლა-შემოხლამდე დიდი მანძილი არ არის და მალე ეგრეც ხდება.

საბაბი, მგონი, ინგრიდის ახალი ზამთრის პალტო იყო. პატარა რამ ზოგჯერ უფრო დიდ სახეს იღებს ხოლმე, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს. ერთი კარადა ინგრიდის ტანსაცმლით არის გამოტენილი. ალბათ, ვიდრე გათხოვდებოდა, მთელ თავის ხელფასს ტანსაცმელზე ხარჯავდა. მაგას ახალი ზამთრის პალტო ისე სჭირდება, როგორც მე ახალი სიდედრი. თანაც, ადრევე შევთანხმდით, თუ აუცილებელი არ იყო, არაფერი გვეყიდა. ყოველი პენი უნდა შეგვენახა რომ ოდესმე საკუთარი სახლი გვეირსებოდა. ახლა კი ქალბატონ როთუელს ნებავს თორმეტი ან თხუთმეტი გირვანქა დამახარჯვინოს ისეთ რამეზე, რაც ინგრიდს სრულებით არ სჭირდება. სწორედ ამას ვეუბნები და იწყება ისევ კინკლაობა. აქეთ მე, იქით ჩემი სიდედრი, შუაში კი ინგრიდი. სწორედ იმ საღამოს კინოში ვაპირებ წასვლას და ინგრიდს ვეკითხები თუ წამოხვალ-მეთქი. რომ წავსულიყავით, ამ კამათსაც ბოლო მოეღებოდა. მაგრამ დედამისი მაშინვე ეუბნება, ამ საღამოს ტელევიზიით ის პროგრამაა, შენ რომ გაინტერესებდაო.

მაშ ასე, ან ტელევიზორი უნდა აერჩია, ან კინო. მე კი ვგრძნობ, ამით სხვა რამე უნდა გადაწყდეს: ან ქალბატონი როთუელი ან მე. დროა, ინგრიდმა დედამისს შეაგნებინოს, რომ ქმარი ჰყავს და ჯერ იმას უნდა გაუწიოს ანგარიში.

ინგრიდი რაღაცას ბურტყუნებს. მე კი სულ უფრო და უფრო ვხელდები და ვიდრე ინგრიდი რამეს გადაწყვეტდეს, თვითონ ვღებულობ გადაწყვეტილებას, პალტოს ვიღებ, გარეთ გავდივარ და გაჯავრებული კარს ვიჯახუნებ.

უკვე ავტობუსში ვზივარ, მაგრამ სიბრაზისაგან მთლად ვცახცახებ. ასე მგონია, თუ ფანჯრებს ჩავამტვრევ, ავეჯს მივლეწ-მოვლეწავ ან ვინმეს სახეში მუშტს ჩავცხებ, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები-მეთქი. რას გავიხარებდი რომ შეიძლებოდეს ჩემ სიდედრს კისერში წავუჭირო და მანამ არ მოვეშვა, სანამ იმ ცარიელი თავიდან თავისი გამოშტერებული თვალები არ წამოსცვივდება. არ ვიცი, რა მომდის. აქამდე ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. ახლა კი მესმის კაცს როგორა ჰკლავენ.

## III

უკვე კინოს კიბეებზე ავდივარ და ჯიბეში ფულს ვეძებ. უცებ ვხვდები, სულაც არ მინდა კინოში წასვლა. უკნიდან ვიღაც მეჯახება, ბოდიშს ეუხდი. ეტრიალდები და ქუჩაში გავდივარ. ვდგავარ და ვფიქ-

რობ საღამო როგორ გავატარო. ჩემ ძველ მეგობრებს ვიგონებ. ნეტავი ახლა რას აკეთებენ? მეგობრები ბლომად მყავდა და კარგ დროსაც ვატარებდი ხოლმე. ახლა თითქმის ყველა დავკარგე. რამდენიმე თვე თითქმის არც ერთი აღარ მინახავს. ცოლის შერთვამ თითქოს ბრუნვიდან ამომაგდო. ისე, კაცმა რომ თქვას, იმის შემდეგ, რაც ასე სულელურად გავები, მათთან შეხვედრას მაინცდამაინც არც ვცდილვარ. წვიმა ცრის და ეს კიდევ უფრო მიფუჭებს გუნებას. ქუჩას მივყვები და ორ პატარა მაღაზიას შორის თაღიან გასასვლელში ვაფარებ თავს. გასასვლელს იქით ვიწრო მოკირწყლული ქუჩა იწყება. ორიოდე წუთს ვიცდი. იქვე ერთი კოხტა გოგო დგას, ლურჯ ლაბადაში გამოხვეული, ეტყობა თავის ბიჭს ელოდება. ისიც მალე მოდის და მიჰყავს: მაღალი, ქერა ბიჭია, გოგოს მკლავში ხელს სდებს და კინოში შეჰყავს. აქეთ-იქით ვიხედები და სამიკიტნოს ფირნიშს ვამჩნევ, თაღიდან გამოვდივარ და იქით მივეშურები.

ბარში პლატინისფერთმიანი გოგო დგას. ტანზე ჯაჭვის პერანგივით კაბა აცვია, ვერცხლისფერი და ბრჭყვიალა. ბარის უკან, ღვინისა და არყის ბოთლებისა და დამხობილი კათხების ზემოთ მთელ კედელს დიდი სარკე მიჰყვება. კაბა ამ სარკეში ირეკლება და თვალისმომჭრელად ელავს. გოგოს ნაზი თეთრი მოვარდისფრო კანი აქვს, მარცხენა ყვრიმალზე კი პატარა შავი ხალი. არ ვიცი, დილის რვის ნახევარზე, გაყინულ საწოლ ოთახში, სადაც სიცივისაგან ფარდებიც კი გაშეშებულია, რა ფერისა იქნება, მაგრამ ახლა კი მშვენიერია. ეს მომხიბლავი ვარდისფერი კისრიდან ეწყება და კაბაში კოხტად გამოკრულ მკერდზე გადადის. მაგიდას ვუზივარ. წინ ნახევარი პინტი შავი ლუდი მიდევს და გოგოს შევცქერი. ასეთი გოგოები ყოველთვის მომწონდა, ნამდვილი, მაგარი გოგოები, გამოცდილები, ვერაფრით რომ ვერ ვააცურებ. ასეთი გოგო ჩემისთანა ცინგლიანს ხელად მოიცილებს. ნამდვილ კაცთან კი, თუკი მოეწონება, ყველაფერზე წავა. ახლოს მოდის და სწორედ ჩემ წინ რაღაცის ასაღებად იხრება. თვალი, ძალაუნებურად, მისი კაბის უბისკენ გამირბის, ეს კი ჩემთვის, თანაც ასეთ მდგომარეობაში, ძალიან საშიშია. აფსუს, ფული რომ მქონდეს, ერთ ასეთ გოგოს დავითრევდი და დავმშვიდდებოდი. ყოველგვარი გართულების გარეშე მივიღებდი იმას, რაც მინდა. სიყვარული კი ცოტას მოიცდიდა, ვიდრე ჩემი გუნების გოგოს არ შეეხვდებოდი. ამის მაგივრად კი ყველაფერი ამერ-დამერია და ჩამეხლართა. თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, ისე გავები, ხსნა კი არსაიდან ჩანს. ამის გახსენებაზე გული ისევ მეწურება, იმიტომ რომ უკვე ცოლიანი ვარ. აი, ახლა, ამ წუთ-

ში, კ-დეც რომ მოვიდეს ისეთი გოგო, როგორზედაც ყოველთვის ვოცნებობდი, და მითხრას, გამარჯობა, ვიკ, აი, მეც აქა ვარო, ვერაფერსაც ვერ ვიზამ. მორჩა, უკვე დამღა მაქვს დადებული.

ამ ფიქრებში რომ ვარ გართული, ჩემი ქერა გოგო ისევ დახლის ქვეშ ფათურობს, მე კი მის უბეს თვალს ვერ ვაშორებ. ისე, კაცმა რომ თქვას. წესიერად ვერაფერს ვხედავ. აი, ამაზე მეტყობა, რა დღეშიცა ვარ. მერე წელში სწორდება, მისი ჯაჭვის პერანგი ელავს, ბრჭყვიალებს და გონზე მოვყავარ. ვიცი, შემამჩნია, როგორ მივჩერებოდი. შაგრამ ხომ ვერ ვეტყვი, ისე უბრალოდ მოგჩერებოდი და არაფერი დამინახია, მარტო პირველად თუ მოვკარი თვალი რაღაცას-მეთქი. ამიტომ. დიდი გამოცდილი არშიყივით თვალს თვალში ვუყრი და ისიც მიყურებს — ცივად და მკაცრად, გეგონება თვითონ ჰერცოგის მეუღლე იყოს, მე კი საცოდავი პირისფარეში, რომელმაც თავს ზედმეტი ნება მისცა.

იგი ისევ ბარში შედის და, როცა ლუდის დასასხმელად ხელს სწვევს, ვხედავ, რომ საქორწინო ბეჭედი უკეთია.

— მოდს ტყუილად მიშტერებიხარ. — ამბობს ვიღაც ჩემ ზურგსუკან. — დანიშნულია.

ვიხედები და ვხედავ, რომ მეზობელ ტაბურეტზე პერსი უილშოუ ჯდება.

— როგორღაც არა მგონია, ნიშნობამ რამეში შეუშალოს ხელი.

— აბა, აბა... გარეგნობას ყოველთვის არ უნდა ენდო. მოდი მღვდლის ცოლივით პატიოსანია.

— ეგ რომელი მღვდლისა? — ვეკითხები. პერსი იცინის. ქერა გოგო ჩვენკენ მოდის და პერსის ესალმება. პერსიც პასუხობს და სახელით მიმართავს.

— როგორც ყოველთვის? — ეკითხება მოდი.

— ჰო. — თავს უქნევს პერსი.

გოგო კაუჭიდან კათხას ხსნის და ნახევარ პინტა შავ ლუდს ასხამს. პერსი გემრიელად ყლუპავს.

— ვითომ შენ ასეთ კათხაში რატომ დაგისხეს?

— იმიტომ რომ ამათი მუდმივი მუშტარი ვარ, ჩემო ძმაო. მუდმივ მუშტრებს პატივს სცემენ.

ისევ ის წინანდელი პერსია-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის. ჩემი ხნის ბიჭია. საშუალო სკოლაში ერთხანს ერთად ვსწავლობდით, მერე კი სკოლა მიატოვა. (ამბობენ, დიდი შესვენების დროს ერთ გოგოსთან

ცოტა ზედმეტებში შესტოპაო: დღემდე არ ვიცი ჭორია თუ მართალი). სადღაც, რომელიღაც პანსიონში მოეწყო. ცოტა ხანს კარგი მეგობრები ვიყავით, ახლა თუმცა ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით. მაინც ახლოსა ვართ. პერსი განსაკუთრებით იმიტომ მომწონდა, რომ თავისი ფულებით არასოდეს არ ამაყოპდა, თუმცა წაქეიფება კი უყვარდა ხოლმე. გავიგე, შვიდი საწოლი ოთახი ჰქონიათ. მოახლე და ეკონომი ქალიც ჰყავთო. უფრო მეტად ის მომწონდა, რომ ამაზე არასოდეს უტრაბახია და არც ქედმაღლურად მოქცეულა. მაშინაც კი მომწონდა კარგა მაგრა რომ გააფრენდა ხოლმე. ისე, იცოცხლე. ზოგჯერ მართლა გიჟივით იქცეოდა. ალბათ იმიტომ, რომ ფულებით ძალიან ადრე გაანებივრეს და მამამისი ხშირად არ როზგავდა ხოლმე. ახლაც, აშკარად ეტყობა, ჯიბეში ფული ბლომადა აქვს. კუბოკრული კეპი და ბეწვის საყელოიანი მოკლე პალტო ძალიან მდიდრულ იერს აძლევს. ამ პალტოში სულ ცოტა, 30 გირვანქას მაინც მისცემდა, თანაც, დარწმუნებული ვარ, აქ არც ფეხით მოვიდოდა და არც ავტობუსით.

— სხვა, როგორ ხარ, ჩემო კარგო? — მეკითხება. — კარგა ხანია არ მინახიხარ.

გულწრფელი პასუხი ის იქნებოდა. რომ მეთქვა საზიზღრად-მეთქი, მაგრამ მე ჩვეულებრივ პასუხს ვაძლევ:

— ისე რა... არა მიშავს.

— ისევ ძველებურად ფანქარი გიჭირავს და ხაზავ?

— არა, ახლა მაღაზიაში ვარ. შენა?

პერსი კათხას ცლის და ქერა გოგოს ნიშანს აძლევს. ჯიბიდან ერთ მუჭა ვერცხლის ფულს იღებს.

— რასაც სვამდი, ისევ იმას დალევ? — მეკითხება. მე მადლობას ვუხდი.

— ბიზნესს ვაკეთებ, ჩემო ძმაო. — მეუბნება პერსი და ლუდს უკვეთავს. — ბოლოს და ბოლოს იძულებული ვავხდი ჩვენებს დავმორჩილებოდი. უნდათ ჩემგან კომივოიაჟერი გამოიყვანონ. მგონი, მოახერხებენ. მომწონს აქეთ-იქით ხეტიალი და ხალხის დაყოლიება, რომ შეკვეთები მოგვცენ, სწორედ საჩემო საქმეა. ახალ-ახალი სამიკიტნოები, ჩეჩქვით ფული...

ტუჩზემოთ ქერა ულვაშს იწიწკნის.

— ამ ულვაშებსაც იმიტომ ვიზრდი. ხალხს პატარა ბიჭებთან საქმის დაჭერა არ უყვარს.

ქერა გოგო დახლზე სავსე კათხებს დგამს, პერსი ფულს იხდის.

— გაგიმარჯოს.

— კარგად ვიყოთ.

პერსი პორტსიგარს იღებს, ორივენი ვაბოლებთ.

— ამაღამ რას აპირებ? თუ ისე. უბრალოდ შემოიარე?

— ჰო, ისე შემოვიარე.

— რაღაც ამ საღამოს არ მომწონხარ, ვიკ. რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა?

ვეუბნები, ცოტა გუნებაზე ვერა ვარ-მეთქი:

— ხომ იცი, ზოგჯერ როგორ იცის ხოლმე.

— ჰოო... — ისე მეუბნება, გეგონება თავის სიცოცხლეში ცუდ გუნებაზე არ ყოფილა, მაგრამ ზრდილობის გულისთვის მეთანხმება.

— ვინმე გოგოს ხომ არ დასდევ?

— ეჰ, რაღა დროს გოგოების დევნაა.

— რაღა დროსო?

— ჰო, ცოლი მყავს.

პერსი პირდაღებული მომჩერებია.

— რას მეუბნები! უჰ, შე ჩუმჩუმელა შენა. კი, მაგრამ როდის შეირთე?

— ექვსი თვე იქნება.

— და უკვე სამიკიტნოებში ცხვირჩამოშვებული ზიხარ? — თავს აქნევს პერსი. — გასაოცარია, ცოლის შერთვა როგორა ცვლის წესიერ ადამიანს.

— კარგი, მოკეტე, პერსი.

— იუმორის გრძნობასაც კი უკლავს.

— როცა გუნებაზე ვარ, მშვენიერი იუმორის გრძნობა მაქვს. — ვეუბნები. — ოღონდ დღეს მაგის ხასიათზე არა ვარ.

— ყველაფერი მოგბეზრდა, არა?

— ყელში მაქვს ამოსული.

— ჰო... — კათხიდან ლუდს წრუპავს და ცდილობს თავისი ვითომდა ულვაშებიდან ქაფი მოიცილოს.

— ჩემის აზრით, ჩემი წმინდა ვალია ძველი სკოლის მეგობარს გუნება გამოვუსწორო. — ამბობს პერსი. — ცოტა მეც ვერა ვარ გუნებაზე. დღეისთვის პაემანი მქონდა დანიშნული და უკანასკნელ წუთებში ჩამეშალა. იქნებ სადმე შევსულიყავით, ჰა?

მშვენიერი აზრია. ამ ცოტა ხნის წინათ ვფიქრობდი, ნეტავი ჩემი მეგობრები სად არიან-მეთქი. აჰა, პერსის წავაწყდი. თუკი ამ ქვეყნად ვინმეს ჩემი გამხიარულება შეუძლია — ეს პერსია. საფულეს ვიღებ და ვსინჯავ. ერთი გირვანქა მქონია.

— კარგი, პერსი. თანახმა ვარ.

— კარგი, — ამბობს პერსი. ლუდს ბოლომდე წრუპავს და მიცდის, სანამ ჩემსას დავლევდე.

— აქეთ წამო. — ბეჭებზე ხელს მარტყამს. — კარეტა მორთმეულია.

გარეთ, მოკირწყლულ ქუჩაზე ორადგილიანი სპორტული მანქანა დგას, მაგრამ რომელი მარკისაა, სიბნელეში ვერ ვარჩევ.

— მშვენიერი რამეა. — ვეუბნები და აკვანივით სავარძელში ვეშვები.

— მოგწონს? — მეკითხება პერსი; მის ხმაში სიამაყე იგრძნობა. — „ტრიუმფი ტ. რ. ვ." პირველად სამსახურის საქმეზე რომ წავედი, მაშინ დავიყოლიე მამაჩემი რომ ეყიდა. თვითონ „ჰუმბერი" ან „ოსტონი" უნდოდა ეყიდა, უფრო სერიოზული შესახედაობა აქვსო, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე.

ჰო, დაიყოლიე, შე მამაძაღლო, თორემ, მთელი სიცოცხლე სულ დაყოლიებული არა გყავს-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის. არა და რაც გინდა თქვი, მშვენიერი რამეა.

პერსი მანქანას ქოქავს, ძრავა ისე ბრდღვინავს, გეგონება სამიკიტნოს სარდაფში ვეფხვი დაუმწყვდევიათო. ძრავის სიმძლავრისაგან მთელი ტანი მიძაგძაგებს, ცოტა არ იყოს, მშურს, რომ საჭეს მე კი არა, პერსი უზის.

— „ბერთა სავანეში" თუ ყოფილხარ? — მეკითხება პერსი. არა-მეთქი, ვპასუხობ.

— ახალი სამიკიტნოა ბრედფორდის გზაზე... კარგი რამეა! მოდი იქიდან დავიწყოთ.

გაზს ფეხს აჭერს. ძრავის გუგუნმა ლამის მინები ჩალეწოს.

— ქუდი მაგრა გეჭიროს!

მე მგონი სამი საათის განმავლობაში უესტ რაიდინგის სამიკიტნოების ნახევარში მაინც გავუსინჯეთ ლუდს გემო: ორი კათხა აქ, ერთი იქ, მესამეც სადღაც სხვაგან. მერე პერსი მხარზე ხელს მადებდა და მეუბნებოდა, აბა, ჩქარა, ახლა სხვაგან წავიდეთო.

ბოლოს სულ ამერია ანგარიში: რამდენი ბარის დახლზე ვიყავი დაყუდებული, რამდენ ვინმესთან ვილაქლაქეთ, რამდენი მარკის ლუდი გავსინჯეთ და რამდენ საპირფარეშოში შევედით, რომ შესმული ლუდისაგან გავთავისუფლებულიყავით. ლიდსის ერთ-ერთ ბარში პერსიმ კინაღამ ორი გოგო დაითრია, ჯინს შეექცეოდნენ და კარვანათრევი სახეები ჰქონდათ. გოგოებს ის მოეწონათ, პერსი რომ ბილწ ანეკდოტებს ყვებოდა და ფულს უდარდელად ფანტავდა. კიდევ კარგი,

დროზე გაახსენდა. რომ მანქანაში მხოლოდ ორი ადგილი იყო, თანაც მე უკვე ცოლი მყავდა და ჩემი თავის ბატონ-პატრონი აღარ ვიყავი.

— მგონი, ჯობდა „ჰუმბერტი“ მეყიდა. — მეუბნება, როცა გარეთ ვამოვდივართ და მანქანაში ვსხდებით, რომ ახლა სხვა სამიკიტნოსაკენ ავიღოთ გეზი.

გვიან, სამიკიტნოების დაკეტვის დროს, სადღაც ჰეროგეიტის გზატკეცილზე აღმოვჩნდით, ნათურებით გაჩირაღდნებულ რესტორანში.

რესტორნის დარბაზი ყვითელი ხითა და ლითონის ორნამენტებით არის გაწყობილი. კიბეებს მივყვებით და სხვა მანქანებს შორის ჩვენი მანქანისაკენ გაჭირვებით მივიკვლევთ გზას. ორივენი ფეხზე ძლივსა ვდგევართ, პერსი სავარძელში ეშვება, კარს ჯახუნით ხურავს და უცებ სიცილს იწყებს. კი არ ხარხარებს, ჩუმად, უმწეოდ იცინის. სწორედ ისე, როცა არ იცი, რაზე იცინი, მაგრამ თავიც ვერ შეგიკავებია.

— როგორ ხარ, ვიკ?

— მაგრა დავთვერი, პერსი, ძმაო, გამოლეშილი ვარ.

მერე. უცებ მეც სიცილს ვიწყებ და ორივენი სავარძლებზე ვგორაობთ. ყელიდან ისეთი ხმები ამოგვდის, გეგონება წყალსადენის მილი ხმაურობსო. მანამდე ვიცინით, სანამ ფერდები არა გვტკივა.

ბოლოს, როგორც იქნა, ვწყნარდებით.

— მგონი, ახლა დროა, სახლებში მოვუსვათ. სადა ვართ?

— სადღაც ჰეროგეიტის ახლოს უნდა ვიყოთ.

— პირველად მესმის. — ამბობს პერსი. ცოტა არ იყოს, მეშინია, როცა მანქანას ქოქავს და გზატკეცილისაკენ მიდის.

— ხომ კარგადა ხარ, პერსი?

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მანქანა ძალიან სწრაფმავალია, პერსის კი ზოგჯერ მეტისმეტად უყვარს გაფრენა.

— ამაზე უკეთ ჩემ სიცოცხლეში არა ვყოფილვარ. — საქეზე ისეა დახრილი, რომ ქუდის ცა მანქანის წინა ქარსაფარ მინას ეხება.

— საით წავიდეთ?

— მე რა ვიცი.

— რომელი მხრიდან მოვედით?

— მგონი მარცხნიდან.

— მაშ კარგი, მარჯვნივ წავიდეთ, ჩემთვის სულერთია.

მანქანა გზატკეცილზე გაჰყავს, სიჩქარეს რთავს და გაზს აძლევს. ისეთი გრძნობა მაქვს, გეგონება ვიღაცის ძლიერმა ხელმა სავარძლის საზურგეს მიმაკრაო. მანქანა გზაზე ელვასავით მიჰქრის. შიშისაგან ცოტა ეფხიზლდები. აქამდე მანქანაში არასოდეს შევშინებულვარ.

ახლა კი ძალიან მეშინია. ცოტა ხანს ვუძლებ, კბილს კბილზე ვაჭერ, ფეხებით კი რაც ძალა და ღონე მაქვს ძარის კედელს ვაწვები. მაგრამ ბოლოს ველარ ვითმენ და ვეუბნები:

— ცოტა ნელა, პერსი.

— რაა? — მეკითხება.

— ცოტა ნელა-მეთქი. ღამეა, დღე ხომ არ არის.

პერსი იცინის და ჩვენ მანქანას დიდი საბარგო მანქანის მისაბმელის ქვეშ აძვრენს, ერთხანს თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ბორბლებს შუა გავძვერით. სოფლის ვიწრო გზაზე მივქრიოვართ. გზას ორსავე მხარეს ყორეები ჩასდევს.

— თუ იცი, სადა ვართ? — მეკითხება პერსი.

— აბა, რა ჯანდაბა ვიცი? — ვეუბნები თავზარდაცემული. — შენ არ იცი თუ?

— უკვე ათი წუთია, წარმოდგენა არა მაქვს სადა ვართ. — მიყვირის, ეტყობა მშვენიერ გუნებაზეა. — სადღაც სხვაგან შევუხვიე.

— ამ სიჩქარით თუ ვიარეთ, მალე შოტლანდიაში ამოვყოფთ თავს; მართალია, დღეს საზიზღარ გუნებაზე ვარ, მაგრამ საიქიოს გამგზავრებას მაინც არ ვაპირებ.

ინგრიდი მაგონდება. დამელოდება, დამელოდება, მე კი არ მივალ. მერე პოლიცია მივა და ყველაფერს შეატყობინებს. ნეტავ თუ იტირებს? მერე მამაჩემი, დედაჩემი და ქრისი გაიგებენ...

— საიქიოს გამგზავრებასო? — ამბობს პერსი. — რას მიჰქარავ? რაო, ხომ არ გეშინია?

— დიახაც, მეშინია. ხომ ხედავ, როგორ ბნელა, თან გზასაც არ იცნობ.

— ჩემ მანქანას მშვენიერი ფარები აქვს. — მეუბნება და ისევ სიბნელეში მიჰქრის.

ფარები მართლაც რომ ძალიან ძლიერია, მაგრამ სიბნელეში შეიძლება ჩრდილები ნამდვილ საგნებს მიამგვანო, ნამდვილი საგნები კი სულაც ვერ შეამჩნიო...

უცებ თვალში საგზაო ნიშანი მხვდება.

— ღვთის გულისათვის, პერსი, მოსახვევია, მარჯვნივ... ფრთხილად იყავი. — მეტი ვერაფრის თქმას ველარ ვასწრებ, თვალებს ვხუჭავ, კბილს კბილზე ვაჭერ და საშინელ დარტყმას ველოდები. ზუსტად ჩვენ წინ ფარების შუქში, თეთრი კედელი ელავს. პერსი მყისვე საჭეს ატრიალებს, მე განზე ვვარდები, ისმის ქვაზე ლითონის ღრჭიალი... მერე ვჩერდებით.

რამდენიმე წამს თავჩაქინდრული, გაუნძრევლად ვზივარ. გულს ელექტროძრავასავით ბაგაბუგი გააქვს, ხელები კი შემოდგომის ფოთლებივით მიცახცახებს. ჩვენი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო, ვერაფრით ვერ დამიჯერებია, რომ არ დავშავებულვართ.

როგორც კი ვჩერდებით, პერსი მანქანიდან ხტება და ჩემსკენ მორბის.

— ერთი ფუტიც, — ამბობს პერსი. — ერთი საცოდავი ფუტიც და სამშვიდობოს ვიყავით.

ხმას არ ვიღებ. პერსი მანქანას ქოქავს, უკანა სვლით მიჰყავს და კედელს შორდება. მერე ისევ გადმოდის და ჩემი ფანჯრის მინაზე აკაკუნებს, მინას ძირს ვწევ.

— მარცხენა ფრთა ლავაშივით გაბრტყელებულა.

პერსის მანქანის ჯავრი სულაც არა მაქვს, მე ჩემ თავზე ვდარდობ.

— უარესიც შეიძლებოდა დამართოდა, ახლა ბორბლები მაინც ბრუნავს.

მანქანას მეორე მხრიდან უვლის და შიგ ჯდება.

— ჯობია, სანამ საგზაო ინსპექცია არ წამოგვდგომია თავს, აქედან მოვუსვათ.

ვიდრე სტარტერს მისწვდებოდეს, ხელს ვკიდებ:

— დაიცა, დღეს მეტის თავი აღარა მაქვს. — ვცდილობ გავიცინო, მაგრამ ძალიან უშნოდ გამომდის. — აქ ავტობუსი როდის იქნება?

პერსიც ზრდილობის გულისთვის იცინის და თითებს საჭეზე აკაკუნებს.

— ერთი ჭირიანი, უდღეური ფუტის გულისათვის. — მეუბნება ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. — ერთი ფუტით მარჯვნივ რომ ამეღო, გავძვრებოდით. იღბალი არა გვქონია.

— მე თუ მკითხავ, იღბალი სწორედ რომ გქონია. ერთი ფუტით მარცხნივ რომ აგეღო, დილით კედლიდან ვიქნებოდით ჩამოსაფხეკები.

პერსი ჩემსკენ ბრუნდება და მიყურებს.

— მართლა ძალიან შეგშინებია.

— მეგონა, ყველაფერი გათავდა-მეთქი, პერსი. იმედი მაქვს, კარგა ხანს ასეთი რამის გადატანა აღარ მომიწევს.

პერსი მარჯვენა კარის შალითის ჯიბეში ხელს აფათურებს.

— დაიცა... მგონი, აქ სწორედ ისა მაქვს, რაც შენ გჭირდება. აი, აქ არის.

ხელში ლითონის მათარა უჭირავს, თავს ხსნის და მაწოდებს.

— მოსვი.

— რა არის?

— ბრენდი.

— საკმაოდ ვსვი.

— მიდი, მიდი, მოგიხდება.

მათარა პირთან მიმაქვს, ერთ ყლუპს ვსვამ თუ არა, პერსი მათარას ძირს უწევს და სასმელი შიგ ხახაში მესხმება, ლამის სასულეში გადამცდეს. სიმწრისაგან ვახველებ.

— აბა, როგორ მოგწონს?

— ცეცხლი მიკიდია.

— დაიცა, მალე მთელ ტანში სითბო დაგივლის. ამ ქვეყნად აღარაფრის დარდი აღარ გექნება.

ხელით მათარის ყელს წმენდს, თვითონაც სვამს და ამბობს:

— იიფ! — შემდეგ თავს ისევ ახრახნის და ინახავს. მერე ისევ სტარტერისაკენ იწვდის ხელს. — მზადა ხარ?

— ერთ წუთს დაიცა. — ვეუბნები და კარს ვაღებ.

— რა მოგივიდა?

— გადმოსვლა მინდა.

— კარგი. ცოტას უკან დავწევ და საგზაო ნიშანს შევხედავ. სწორია. — ამბობს, როცა ისევ მანქანაში ჯდება. — ახლა კი ვიცი, სადაცა ვართ. თვალის დახამხამებაში სახლში ვიქნებით.

— რამდენ ხანსაც გინდა იარე, პერსი, ჩემო ძმაო. თუ გინდა მთელი ღამე მატარე.

პერსი იცინის.

როცა როთუელების კართან მანქანიდან მსვამს, ისევ იცინის. ღამე მშვიდობისაო, მიყვირის და სიბნელეში ისე მიჰქრის, როგორც ჯოჯოხეთის ჯურღმულებიდან ამოვარდნილი ღამურა.

## IV

ფეხზე ძლივს ვდგავარ. ბრენდიმ ადრე დალეულ ლუდს ძალა შემატა და ახლა კარგა გვარიანად მთვრალი ვარ, მაგრამ ისე კი არა, ადრე რომ ვიყავი, სიცილის გუნებაზე; ახლა ამღვრეული ვარ და გაბოროტებული, ერთი სული მაქვს ვინმეს ვეჩხუბო. სასტუმრო ოთახის ფარდებს შორის სინათლე გამოდის, ესე იგი, ვიღაცა არ დაწოლილა და მიცდის. თუმცა მეტი რა გზაა, მე ხომ ვასაღები არა მაქვს. ამ სახლის გასაღები ჩემთვის არავის მოუცია. ყოველ შემთხვევაში, სიდედრი

როთუელი, ალბათ უკვე შუა ძილშია და ფეხებში არ მომედება. ინგრიდი კი თუ ინებებს და მისაყვედურებს შუაღამისას მთვრალი რად მოხვედიო, გაუშვი, მისაყვედუროს. იმასაც ვნახავთ, რა პასუხს მიიღებს. დიახ, სწორედ დღეს ნახოს რა პასუხს მიიღებს.

მაგრამ როცა გაჩახჩახებულ ოთახში შევდივარ და სინათლეზე თვალებს ვხუჭავ, ვხედავ, ინგრიდი კი არა, ის ბებერი ძუკნა მელოდება.

— ინგრიდი წევს? — ვეკითხები ცოტა არ იყოს დაბნეული.

— უკვე ერთი საათია წევს. ალბათ მეც ვიწვებოდი, იძულებული რომ არ ვყოფილიყავი შენ დაგლოდებოდი. რომელი საათია არ იცი?

ვიცი, მაგრამ ბუხარზე რომ ხელოვნური მარმარილოს საათია, მაინც იმას ვუყურებ.

— თორმეტს ათი უკლია.

— დიახ, თორმეტს ათი წუთი უკლია. ხალხი კი ვერც კი დაწოლილა, იმიტომ რომ უნდა გელოდონ, როდის მოინებებთ სახლში მოსვლას.

თვალები ისეთნაირად მოპრუწა და თავისი სქელი ნიკაპი ისეთნაირად წამოსწია წინ, რომ ეტყობა, ჩხუბს აპირებს. ძალიან კარგი, თუ დიდი სურვილი აქვს, ეგრე იყოს. გუნებაში ამ ქალბატონისათვის ისე ხშირად მითქვამს ის, რისი თქმაც ხმამაღლა მენატრებოდა, რომ ალბათ ძილშიც კი უშეცდომოდ ვეტყოდი. ხშირად დამსიზმრებია, როგორ ვეჩხუბები, მინდა გული ერთი კარგად მოვიოხო. რას იზამ, თუ ჩხუბის გუნებაზეა, ვიჩხუბოთ.

ისეთ შვებას ვგრძნობ, გეგონება მხრიდან დიდი ტვირთი მომეხსნაო. ვეტყვი, რაც სათქმელია.

— სახლში? — ვეკითხები. — ამას სერიოზულად ამბობთ? როგორ. ნუთუ მართლა თვლით, რომ ეს ჩემი სახლია. მე ხომ გასაღებიც არა მაქვს. გასაღები რომ მქონოდა, ლოდინიც არ მოგიხდებოდათ. მაგრამ მე აქ მარტო მდგმური ვარ, კვება-ბინაზე მორიგებული, თქვენ კი ამას ყოველ წუთში მაგრძნობინებთ.

ვუყურებ, თავს როგორ ატრიალებს. ისე მედიდურად მიყურებს, პირდაპირ მეუხერხულება სახეში შევხედო. ნეტავ გამაგებინა, კიდევ რამდენ ხანს ითამაშებს ქალბატონის როლს და როდის გამოამეღავნებს, რომ სინამდვილეში ერთი უბრალო, ვიგინდარა დედაკაცია.

— როცა საკუთარი ჭერი გექნება თავზე, შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც გაგეხარდება. მაგრამ თუკი აქ ცხოვრობ, კეთილი ინებე და ისე მოიქეცი, როგორც ამ სახლშია მიღებული, თუნდაც შესაფერისად

აღზრდილიც არ იყო. — მეუბნება ქალბატონი როთუელი. ცალ-ხელით საქსოვს იღებს, მეორეთი კი სქელ გავაზე ქვედაკაბას ისწორებს.

— კი, როგორ არა. ასეთ პირობებში ძალიან მალე მექნება საკუთარი სახლი. ვერც ყიდვას შევძლებ და ვერც დაქირავებას. ასე თუ გაგრძელდა, აქედან მარტო 1968 წელს თუ დავაღწევთ თავს.

— როგორც ვხედავ, იოტისოდენა მადლიერების გრძნობაც არ გაგაჩნია იმის გამო, რომ სახლში შემოგიშვით და ნება მოგეცით აქ გეცხოვრა.

— უკაცრავად, მაგრამ შემცდარი ბრძანდებით. — ვეუბნები. — თქვენ კი არ შემოგვიშვით, ჩვენ დაგდეთ პატივი და აქ დავრჩით, იმიტომ რომ თქვენ ძვირფას ქალიშვილთან დაშორება არ შეგეძლოთ. ნუ სწუხხართ. თქვენზე მეტად მე მომბეზრდა აქ ყოფნა. როგორც კი მომეცემა მცირედი შესაძლებლობაც კი, ჩემი აქ ყოფნით აღარ შეგაწუხებთ.

— როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, ეს შესაძლებლობა არც თუ ისე მალე მოგეცემათ.

ლაბადას ვიხდი, მაგრამ ღილების გახსნა, ცოტა არ იყოს, მიჭირს. არ იმჩნევს, მაგრამ ვიცი, რომ ყურადღებით მიყურებს.

— როგორც კი ინგრიდი სამსახურში გასვლას შესძლებს, უფრო მეტი ფულის შენახვას მოვახერხებთ. მერე კი ბინასაც ვიყიდით.

— არა მგონია, ინგრიდს სამსახურში დაბრუნება უნდოდეს. ისიც ისეთივე აზრისაა, როგორც მე: ქმარმა ცოლის შენახვა უნდა შეძლოს, თუ არა და რაღა კაცია?

ჩემთვის ეს ახალი ამბავია. აღარ ვიცი, რომელი დავიჯერო, ის, რასაც ინგრიდი ამბობს, თუ ის, რასაც ჩემი სიდედრი ინგრიდის ნათქვამად ასაღებს. ვგრძნობ, ბრაზი მერევა.

— რას იზამ, ეგეთი აზრები თავიდან უნდა გამოიბერტყოს. თუკი საკუთარი სახლი ნებავს, უნდა დამეხმაროს კიდეც, რომ ყიდვა შევძლოთ. მე რა, მილიონერის ვაჟი კი არა ვარ. თუმცა თქვენ იქნებ სწორედ მილიონერის ვაჟი გინდოდათ სიძედ? ჰა? ჯიბეები რომ ფულით ექნებოდა გამოტენილი და თქვენ ქალიშვილს ფუფუნებაში აცხოვრებდა?

— ყოველ შემთხვევაში შენისთანა სიძე არასოდეს მინატრია.

— მაგრამ მე შევირთე და იცოცხლე, უხაროდა ჩემი ცოლობა რომ ეღირსა.

— სხვანაირად არ შეგიძლია ილაპარაკო?

ვატყობ, ვერა ვჯობნი და უფრო ცეცხლი მეკიდება. აჰა, ვდგავარ და ბოლოს და ბოლოს, ვეუბნები იმას, რის თქმაც მუდამ მენატრებოდა, ეს ქალბატონი კი აინუნშიაც არ იგდებს. მაინც მედიდურად იქცევა, და მაიძულებს თავი დამცირებულად ვიგრძნო.

— სწორედ ასეთი ლაპარაკის გუნებაზე ვარ, დილიდან მოყოლებული ბოღმა მახრჩობს.

— კეთილი ინებე და აქ ასეთი ტონით ლაპარაკს თავი დაანებე. შენს მეგობრებს ელაპარაკე ასე. ალბათ, იმათ თუ მოსწონთ ასეთი ლაპარაკი.

— ჩემი მეგობრები, — ვამბობ და ვგრძნობ, რომ ხმა მიწყდება. — ხომ არა გგონიათ, თქვენი მეგობრებისნაირნი არიან? მატრაკვეცებისა და კარიერისტების ხროვა! მე კი, თუ ძალიან გაინტერესებთ, სწორედ ახლა ისეთ ბიჭთან ერთად ვსვამდი, რომელსაც იმდენი ფული აქვს, რომ არც თქვენა და არც თქვენ მეგობრებს სიზმრადაც არ მოგელანდებათ.

უცებ გულს მაზიდებს. ეტყობა, ღორის ხორცის ღვეზელმა, გამონაბოლქვმა გაზმა და ლუდის შემდეგ დალეულმა ბრენდიმ თავისი საქმე გააკეთა. სკამისაკენ მივდივარ, იმ დაწყევლილ ხალიჩაზე ფეხი მიცდება და ლამის ძირს გავიშხლართო.

— ეტყობა, იმ ფულის დიდი ნაწილი დღეს სასმელზე დაუხარჯავს.

— დიახ, ცოტა დავლიე და არცა ვმალავ.

— ცოტაო... დარწმუნებული ვარ, ერთ თორმეტ კათხა ლუდს მაინც დალევდით.

— ეგრე იყოს. თორმეტი კათხა დავლიე და ძალიანაც ვისიამოვნე. არა მგონია, დალევა კანონით აკრძალული იყოს.

— წესიერების ელემენტარული გრძნობა რომ გაგაჩნდეს, მიხვდებოდი, რომ ასეთ მდგომარეობაში შინ, ცოლთან მოსვლა არ შეიძლება.

— ჰოო, გამოდის ახლა აღარც ელემენტარული წესიერების გრძნობა მქონია, არა? მაშინ ხომ მქონდა ფეხმძიმე ინგრიდი რომ ცოლად შევირთე? კი, კი, ვიცი; მე გავხადე ფეხმძიმედ, მაგრამ ხომ იცით, ასეთ საქმეში ორი ადამიანის მონაწილეობაა საჭირო. თანაც, არა მგონია, ინგრიდი წინააღმდეგი ყოფილიყო, როცა ვირთავდი. ფეხმძიმედაც რომ არ ყოფილიყო, მაინც წამომყვებოდა.

— შეცდენილი რომ არ გყოლოდა, სხვების აზრს მიუგდებდა ყურს.

— აი, ეს კი კარგი რამეა... როგორ, ხომ არ გგონიათ, ძალა ვიხმარე? ნუ გეშინიათ, მე არ ვიქნებოდი, სხვა იქნებოდა.

ვიცი, რასაც ვამბობ, მართალი არ არის, მაგრამ ახლა ბევრი ცერემონიის თავი არა მაქვს. ერთი სული მაქვს, როგორმე ქალბატონი როთუელი მოთმინებიდან გამოვიყვანო. ეტყობა, ბევრი აღარ უკლია. სიბრაზისაგან ცახცახებს.

— როგორ ბედავ ჩემ ქალიშვილზე ასე ბინძურ ლაპარაკს? შენ, ქუჩის ვიგინდარა, მოდიხარ, გალეშილი, გეგონება შენი საკუთარი სახლი იყოს და შენი ბილწი ენით ჩემი ქალიშვილის პატიოსან სახელს ლაფში სვრი.

აჰა, ახლა კი მართლა გამოვიყვანე მოთმინებიდან და ისეთი პირი უჩანს, კარგა ხანს ვერ დაწყნარდება, მაგრამ მალე ვაჩუმებ. უცებ საშინელ გულისრევას ვგრძნობ. ყელში ლუკმასავით რაღაც მაწვება. წინ ვიხრები და პირდაპირ მის თვალწინ, მშვენიერ კრემისფერ ხალიჩაზე ვაღებინებ. ასე იოლად არასოდეს მიღებინებია: არც ზიდება, არც კრუნჩხვები, არც ცივი ოფლი. ერთს მასლოკინებს და მთელი ჩაი. ღორის ხორცის ღვეზელი და ყველაფერი, რაც იმ დღეს ვსვი და ვჭამე. უკვე ჩემს ფეხებთან ხალიჩაზეა. ლაქა დიდი არ არის, სულ ჩაისლამბაქისოდენა, ვარდისფერი, თხელი და ძალგად მონელებული, მხოლოდ აქა-იქ თუ არის მოუნელებელი ნაჭრები ამოჩრილი.

ორივენი გამოთაყვანებულები ვდგავართ და ჩემ ნარწყევს დავცქერით. არ ვიცი ლუდის ბრალია თუ რა ჯანდაბა მომდის, უცებ სიცილს ვიწყებ.

ჩემი სიდედრი პირდაღებული მომჩერებია. ალბათ შავ დღეს დამაყენებს, მაგრამ ეტყობა, სიტყვებს ველარ პოულობს, რაღაცნაირად გაშეშებული დგას, თვალები ლამის ბუდიდან გადმოსცვივდეს. მომუშტული ხელები მაღლა აუწევია, გეგონება, ენა ჩაუვარდა და ახლა იტანჯება და იკლაკნება. რიუ როგორმე ხმა ამოიღოსო. სიბრაზისაგან დამბლა დაეცა. სახიდან სიწითლემ გადაუარა და ახლა მოლურჯო ფერი დაჰკრავს.

ესეც ასე. ვდგავართ ხალიჩაზე, მე ნარწყევის აქეთ, ის — იქით. ველი, რა მოხდება. როგორც ჩანს, ახლა ჩემი სიდედრი ბნედიანივით იატაკზე გაიშოტება და პირზე დუქმორეული ფეხების ქნევას დაიწყებს.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა საზიზღარი, აუტანელი, ბებერი ღორია და როგორ საშინლად მძულს. უცებ ამ ქალბატონს ლაპარაკის უნარი უბრუნდება.

— ღორო, შე ბინძურო ღორო! — მეუბნება.

სხვა დროს ასეთი რამ რომ ეთქვა ვერაფრით ვერ ავიტანდი, ახლა კი სასაცილოდ მეჩვენება. ერთი გულიანად მინდა ავხარხარდე, ნერწყვს ვყლაპავ და ვცდილობ თავი შევიკავო. არაფერი გამომდის. ცოტაც კიდევ და ალბათ შუაზე გავსკდები. სკამზე ვეცემი და ვხარხარებ. ისე გულიანად ვიცინი, ლამის სული შემეხუთოს. გეგონება ჩემ ცხოვრებაში არასოდეს გამცინებოდეს და მხოლოდ ახლა მეგრძნოს რა გემრიელი რამ ყოფილა ხარხარი. მეც ვხარხარებ, სანამ სიცილისაგან ღონემიხდილს გვერდები არ მტკივა.

მესმის ინგრიდის დედიკო როგორ წივის. მერე კი კარი ისეთი ჯახუნით იხურება, კედლები ზანზარებს და პიანინოდან ფაიფურის პატარა დოქი ვარდება.

ახლა ყველაფერი ისე სასაცილოდ აღარ მეჩვენება. ვჩუმდები, პაპიროსს ვუკიდებ და ფეხებს ხალიჩაზე ვშხლართავ, ოღონდ ისე, რომ ნარწყევში არ მოხვდეს. მალე სუნიც მაწუხებს. ისეთი საზიზღარი სუნია, ლამის ისევ მაღებინოს, მაგრამ კუჭში არაფერი ჩამრჩა. ვფიქრობ, ხომ არ გამეწმინდა-მეთქი. მისის როთუელის ხალიჩაზე ღებინება ერთია, მისის როთუელს რომ გააწმენდინო — ეგ კი მეორე. ვფიქრობ, როგორ გავწმინდო-მეთქი. გაზეთი არ გამოდგება, შეიძლება დასველდეს, გაიხეს და ყველაფერი ხელებზე გადმომეღვაროს. ჩვარი რომ ავიღო, მერე გასარეცხი გამიხდება. ყველაფერს ისევ აქანდაზი ჯობია. ვდგები, სამზარეულოში მივდივარ, ქვანახშირის ასაღებ აქანდაზს ვიღებ და ვბრუნდები.

ბოლოს გაზეთის ნაგლეჯი მაინც მჭირდება, რომ აქანდაზი ცეცხლში ჩავწმინდო. ხალიჩა კი მშვენივრად მოვასუფთავე. აქანდაზიდან ცოტა მური გადავიდა, მაგრამ მაგას ვეღარაფერს მოვუხერხებ. არა უშავს, ჩემი სიდედრი მოუვლის. პატარა ფაიფურის დოქი, პიანინოდან რომ გადმოვარდა, ნამსხვრევებად არის მოფანტული იატაკზე. სანამ დაიმტვრეოდა, წარწერა ჰქონდა „სალამი ლანდუდნოდან“. მისის როთუელი ამბობდა ხოლმე, ეს დოქი ძალიან მიყვარს, იმიტომ რომ თაფლობის თვეს მაჩუქესო. პატარა ფურცელს ვიღებ და ვწერ: „მე არ გამიტეხია, თქვენ გაგიტყდათ.“ მერე დოქის ნამსხვრევებთან ერთად პიანინოზე ვდებ. მერე ისევ ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ.

სულ მალე რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობ, ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. ეს ალბათ ლუდის ბრალია, ან კიდევ იმისი, რომ ეს სამი-ოთხი თვე თითქმის ვშიმშილობდი. ნეტავ ინგრიდს თუ სძინავს, ან ნეტავი ისევ უარს თუ ვეტყვის, ახლა რომ მაღლა ავიდე, ლოგინში შევუგორდე და ჩემსკენ გადმოვაბრუნო?

ფეხზე ვდგები და სიგარეტს ბუხარში ვაგდებ. სამზარეულოში და სასტუმრო ოთახში სინათლეს ვაქრობ და ხალიჩაზე დამჩნეულ ლაქას კიდევ ერთხელ ვუყურებ. ვიცი, ჩემ სიდედრს არ მოეწონება, მაგრამ რა ვქნა? ხვალინდელ დღეზე ფიქრი რატომღაც არ მაწუხებს. ვიცი, ამაღამდელი ღამის შემდეგ ძველებურად ვეღარ ვიქნებით, მაგრამ ახლა აღარც მაგაზე ფიქრი შემიძლია. ერთადერთი, რაც მინდა, ის არის, რომ რაც შეიძლება მალე შევუგორდე ინგრიდს ლოგინში და მივეალერსო. ეს აზრი ისე მოულოდნელად მომდის თავში, გეგონება, რაღაც ახალი აღმოვაჩინეო.

მაღლა ავდივარ და კიბის ბაქნის ნათურის შუქზე გახდას ვიწყებ. სანამ ბოლომდე არ ვიხდი, საწოლისაკენ არც ვიხედები. უცებ ვამჩნევ, რომ ინგრიდის ტანსაცმელი ოთახშია, ბალიშიც ჩაღრმავებულია, მაგრამ ინგრიდი არსად არის.

ახლა მაგონდება, ქვემოთ როცა ვიჯექი, რაღაც ლაპარაკი მესმოდა, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. ისევ კიბის ბაქანზე გავდივარ და ქალბატონ როთუელის ოთახის კარზე ვაკაკუნებ.

— ინგრიდ!

პასუხს არავინ მაძლევს.

ცოტა უფრო ხმამაღლა ვაკაკუნებ.

— ინგრიდ!

— წადი აქედან, მოშორდი. — მეუბნება ჩემი სიდედრი.

— მე ინგრიდი მინდა.

— მე ჩემ ქალიშვილს ნებას არ მივცემ გამოლეშილ ვიგინდარასთან დაიძინოს. — მეუბნება ბებერი ძუკნა.

— რის ნებას არ მისცემ? — ეს კი უკვე მეტისმეტია. კარზე მუშტს ვუბრაგუნებ.

— მე ჩემი ცოლი მინდა, ახლავე გამოუშვი, გესმის? ახლავე გარეთ გამოუშვი!

რაღაც ჩურჩული მესმის. ინგრიდი რაღაცას მეუბნება.

— წადი დაიძინე, ვიკ.

— გამოდი და იქ დაიძინე, სადაც უნდა გეძინოს.

— ამაღამ აქ ვიძინებ.

— თუ თვითონ არ გამოხვალ, შემოვალ და ძალით გამოგიყვან.

— ვერ შემოხვალ, კარი დაკეტილია.

— დაკეტილი? — სახელურს ვაწვები. — უჰ, თქვენი... ეს რას მაიმუნობთ. გესმის, რას გეუბნები? ეს რას მაიმუნობთ-მეთქი.

კარზე მუშტს ვუბრაგუნებ — აი, ახლა კი მართლა გაჯავრებული ვარ.

— მეზობლებს გააღვიძებ, ვიკ!

— მეზობლების დედაც... ყველამ თავის საქმეს მიხედოს. გამოდი-ვეთქი. ახლავე გამოდი.

— უკანასკნელად გეუბნები, — ამბობს ჩემი სიდედრი, — ამაღამ ინგრიდი ამ ოთახიდან ფეხს ვერ გამოადგამს.

— კარგი, შე ბებერო ძროხა. — ვუყვირი. — რაც გინდოდა, ხომ გაკეთე? ვინც უნდოდა უკვე ამოირჩია. ახლა მე ვიცი, როგორც მოვიქ-ცევი.

ჩვენ საწოლ ოთახში შევრბივარ და კარს ვიჯახუნებ. ახლავე ავიბარ-გებოდი და წავიდოდი აქედან, მაგრამ წასასვლელი რომ არა მაქვს? სა-ცცლებს ვიხდი და პიჟამოს ვიცვამ. ისე ვარ გაცეცხლებული, ღილებს ძლივს ვიკრავ.

საწოლში ვწვები, სიბნელეში გაშოტილი გულიანად ვიგინები. ცოტა ხანში ვწყნარდები და ყველაფერს გონებაში ვწონი. აი, როგორ დამ-ოავრდა ყველაფერი. ყვირილი და ლანძღვა-გინება შუაღამისას, გეგო-ნება ვიღაც ქუჩის მაწანწალები ვიყოთ. აი, ჩემი ოცნებები როგორ დასრულდა...

კი მაგრამ, ბევრი რომ არასოდეს მდომებია? ერთი კარგი გოგო, რომელიც მეყვარებოდა და რომელსაც ვეყვარებოდი. თანაც სიყვარუ-ლის გარდა რომ კარგი მეგობრებიც ვყოფილიყავით. ბევრს ვნატრობ? ვიცი, ყველაფერი ჩემი ბრალია. აღარ უნდა შევხვედროდი ინგრიდს, როცა მიეხვდი, რომ არ მიყვარდა. ათასი და ათიათასი უარესს სჩადის, მაგრამ მშვენივრადაა. ჩვენ კი ერთხელ შევცოდეთ და მაშინვე გავე-ბით. ხვალ რაღა იქნება? ავდგე და წავიდე? მივატოვო? აქ რომ ჩემი დარჩენა აღარ შეიძლება, ნათელია. არავითარ შემთხვევაში არ დავრჩე-ბი. რომ იტყვიან, ყელში ამომივიდა.

ვფიქრობ, რომ აქ დამრჩენი აღარა ვარ, ძილიც მერევა და რაღაც უცნაურ სიზმარს ვხედავ. ვითომ ქუჩაში მივდივარ და რომელი-ღაც სამეკიტნოში შევდივარ. მერე კი ვითომ ის სამეკიტნოა, დღეს პერ-სს რომ შევხვდი. მაგრამ შიგნით ერთი უზარმაზარი დარბაზია, ისეთი დიდი, კედლები არცა ჩანს, რაღაც ნისლშია ჩაკარგული. ვდგავარ და ვფიქრობ, ნეტავ რა უნდა მოხდეს-მეთქი. სწორედ ამ დროს საშინელი წვიმა მესმის. მერე წვიმა გმინვაში გადადის. შიშისაგან ვქვავდები, ამ დროს ნისლიდან ის ქერა ქალი გამოდის, დღეს ბარში რომ ვნახე, იატაკს ფეხს არ აბიჯებს, ისე მოდის. მთლად დედიშობილაა და ხელები ჩემსკენა აქვს გამოწვდილი. თითებზე საოცრად გრძელი, წითელი ფრჩხი-ლები აქვს. ისეთნაირად მიყურებს, რომ გავრბივარ. კაცისმკვლელის

სახე აქვს, რაღაცნაირად იკლაკნება და იგრიხება. უცებ ვამჩნევ, რომ ფრჩხილები ლაქით კი არა, სისხლითა აქვს შეღებილი და სისხლი იატაკზე წვეთავს. გავრბივარ, გავრბივარ, მაგრამ ადგილიდან თითქმის არც კი ვიძვრი, იმიტომ რომ ფეხებზე საოცრად მძიმე ფეხსაცმელები მაცვია. ქალი კი უკვე მეწევა და აჰა, თავისი სისხლიანი ბრჭყალები უნდა ჩამაფოს კიდეც... ამ დროს მეღვიძება.

თავი ძირსა მაქვს ჩამოკიდებული, საბანი და ზეწარი კი იატაკზე ყრია. მთლად ცივ ოფლში ვარ გაწუწული, გულს ბაგა-ბუგი გააქვს. უკვე ხუთის ნახევარია. საწოლს ვასწორებ, ვდგები და სიგარეტს ვუკიდებ. მერე ისევ ძილი მერევა, არც მახსოვს, სიგარეტი ჩავაქრე თუ არა.

მეორედ რომ მეღვიძება. უკვე შვიდის ნახევარია. ახლა კი ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. ტანზე ვიცვამ, თავში თითქოს ათასი ჩაქუჩი ნიკაკუნებს. არც ჰიოს ვიბან და არც წვერს ვიპარსავ, მეშინია, ის ქალბატონები არ გავაღვიძო. ერთ ჩემოდანში რაც ეტევა, ვალაგებ, ფანჯარას ვაღებ და ჩემოდანს ბაღში ვისვრი. დაბლა, სამზარეულოში ნახევარ ბოთლ რძეს ვპოულობ და ვსვამ. ლაბადა სადაც მივაგდე, ისევ იქ არის. ვიცვამ და უკანა კარით გავდივარ. მესმის, კარი როგორ იკეტება. ახლა კი ყველაფერი მორჩა და გათავდა. კიდეც რომ მინდოდეს უკან დაბრუნება, აღარ შეიძლება. ბაღში ჩემოდანს ვიღებ. ნეტავი გამაგებინა. ფანჯრიდან რისთვის ვისროდი! გეგონება, კიბეზე ვერ ჩამოვიტანდი. ჭიშკარში გავდივარ და გზას მივყვები.

## თავი მერვე

### I

ორ ქვის სვეტშუა დაკიდებულ ჭიშკარში შევდივარ. სვეტები დიდი ქვის ბურთებით ბოლოვდება. მივდივარ და ვფიქრობ, ქრისს რა ვუთხრა–მეთქი. აი, ახლა, როცა საცაა ქრისს უნდა შევხვდე და ვუთხრა. ცხოვრება ამეწეწა, ყველაფერი მივატოვე და თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი–მეთქი, ნერვიულობისაგან ცუდად ვხდები, ვაითუ ჯერაც არ ამდგარან! მაშინ ნახე რა სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდები. საათს დავცქერი, ჯერ მხოლოდ რვის თხუთმეტი წუთია.

ზარს ვრეკავ. ორიოდე წუთის შემდეგ კარი იღება და ჩემ წინ დევიდია. პიჟამოს ზემოდან მწვანე, თეთრად მოჩითული ხალათი აცვია.

— გამარჯობა, დევიდ!

ეტყობა, ამ დილაადრიან ჩემმა გამოცხადებამ, თანაც ჩემოდნით ხელში, ცოტა არ იყოს დააბნია. მალე გონს მოდის და მეუბნება:

— დილა მშვიდობისა, ვიკ! სტუმრად მოხვედი?

— ჰო, თუ მიმიღებთ.

იგი განზე იწევს, შინ მიშვებს და კარს ხურავს. სიცივისაგან კანკალებს:

— უჰ, რა ცივი დილაა.

— ქრისი უკვე ადგა?

— ჰო, საუზმეს ამზადებს.

ვიცი, აინტერესებს ჩემს თავს რა ამბავია და ალბათ ხვდება კიდეც, მაგრამ ზრდილობა ნებას არ აძლევს ჩემ საქმეში ცხვირი ჩაჰყოს. კიბეზე მომყვება და ისევ ამინდზე მელაპარაკება. ამასობაში კართან მივდივართ. დევიდი წინ მისწრებს და ქრისს გასძახის:

— ვიკი მოვიდა, ქრის!

სამზარეულოდან ქრისი გამოდის, ყავადნით ხელში. ბაცი ცისფერი საშინაო ხალათი აცვია, წელსზემოთ მოჭერილი, მაღალი საყელოთი, ქვედაბოლო კი თითქმის იატაკამდე სწვდება. ქრისი მესალმება. არაფერს იმჩნევს, თუმცა დარწმუნებული ვარ, მისი გონება ახლა გამალებით მუშაობს. რძეზე რაღაცას ამბობს, მეშინია არ გადმოვიღესო და ისევ სამზარეულოში შედის.

— დაჯექი, ვიკ! — მეუბნება დევიდი. — ლაბადა გაიხადე. მაღაზიაში წასვლამდე ჯერ დიდი დროა.

— ჰო, ჯერ ძალიან ადრეა.

ლაბადას ვიხდი, დევიდს გააქვს და ვიდრე მე დავჯდებოდე, თავიანთ პატარა დერეფანში ჰკიდებს. ელექტროღუმელი აქვთ ჩართული. საღამომდე, ალბათ, ნახშირს არც ანთებენ. რად უნდათ, მაინც საღამომდე შინ არ არიან.

დევიდი შემოდის და ცოტა ხანს ტრიალებს. ცდილობს თვალი ამარიდოს. მერე მეუბნება, წავალ და ქრისს სუფრის გაშლაში მივეშველებიო. სამზარეულოში გადის და მარტო მტოვებს.

— ყავას დალევ, ვიკ? — მეკითხება ქრისი.

— ჰო.

კარებში თავს ჰყოფს.

— ამ დილით თუ ისაუზმე?

— არა, არ მისაუზმია.

— ტოსტზე[1] და მოხარშულ კვერცხზე როგორა ხარ?

---

[1] გახეხული პური.

— მშვენიერია.

ქრისი კარს უკან უჩინარდება. მე ოთახს ვათვალიერებ. უცებ ყელში ბოღმა მაწვება და ლამის ვიტირო. ვფიქრობ ქრისზე და დევიდზე, ინგრიდზე და ჩემზე. ძალ-ღონეს ვძაბავ, ქვითინი რომ არ ამოვუშვა.

როცა დევიდი შემოდის სინით ხელში, უკვე დამშვიდებული ვარ. ყველანი სუფრას ვუსხდებით და კვერცხსა და ტოსტს მადიანად შევექცევი. ეს ყველაფერი რომ კინოში ხდებოდეს, ეე, ალბათ, ძალიან უბედური გამომეტყველება უნდა მქონდეს და საჭმელს საცოდავად ვიციცქნებოდე, სანამ ვინმე არა მკითხავს რა მოგვიდაო. აქ კი არც ერთი ხმას არ ვიღებთ და მე კვერცხსა და ტოსტს თვალისდახამხამებაში ვანადგურებ, ისე საშინლადა ვარ დამშეული. წუხანდელი ღორის ხორცის ღვეზელის შემდეგ პირში ლუკმა არ ჩამსვლია. ისიც ჩემი სიდედრის ხალიჩაზე ამოვანთხიე.

ქრისი თავს იკავებს, დევიდთან მუსაიფობს და ვიდრე ჭამას არ ვამთავრებ და მესამე ფინჯან ყავას არ შევექცევი, არაფერს მეკითხება. სიგარეტს მაწოდებს და პირველ ნაფაზს ვარტყამ თუ არა, პირდაპირ მეკითხება:

— რაო, ვიკ?

— **რა რაო?**

— რა მოგვიდა? არ მითხრა, სამსახურში მივდიოდი და ისე შემოვიარეო.

— არა.

დევიდი სკამს უკან სწევს და ფეხზე დგება.

— წავალ, გავიპარსავ.

— თუ გინდა, დარჩი და შენც მოისმინე. — ვეუბნები. — სულერთია, მერე მაინც გაიგებ ყველაფერს.

— არა, — მეუბნება და მიღიმის. — ჯობია თქვენ მარტო იჭორაოთ. სულერთია, მაინც წასასვლელი ვარ.

სიგარეტის ფერფლს თეფშზე ვბერტყავ და არ ვიცი, როგორ დავიწყო. ქრისი საფერფლეს მაწოდებს, ცოტა ხანს მიყურებს და მერე ჩემს მაგივრად იწყებს:

— ინგრიდს წაეჩხუბე?

თავს ვუქნევ, ჰო-მეთქი, სახეში კი არ ვუყურებ.

— მივატოვე.

— როგორ თუ მიატოვე? უბრალოდ, ამ დილით ადექი და წამოხვედი?

ისევ თავს ვუქნევ.

— ჩემი ჩემოდანი დერეფანშია.

ქრისი სახეში მომჩერებია, მე კი ახედვას ვერ ვბედავ.

— რა მოგივიდათ?

— სულ იმ წყეული დედაკაცის ბრალია. — ვეუბნები. — მეტის გაძლება აღარ შემეძლო. ინგრიდი რომ ჩემს მხარეზე ყოფილიყო, ასე არ გამიჭირდებოდა, მაგრამ დედამისი თავის ნებაზე ათამაშებს.

ქრისი ჩუმად ზის და თვალს არ მაშორებს. ერთი წუთით მზერას ვუსწორებ და ვამჩნევ, გონება როგორი გამალებით უმუშავებს.

— წუხელ ინგრიდთან პატარა უსიამოვნება მომივიდა, სახლიდან გამოვედი, მერე ჩემ ძველ მეგობარს შევხვდი. ბოღმა მახრჩობდა და დავთვერი. შინ რომ დავბრუნდი, მისის როთუელი მიცდიდა, მეც ავდექი და ერთი-ორი მაგარი სიტყვა ვუთხარი.

— იმან ხომ არ გითხრა წადიო?

— არა. მაგრამ ინგრიდი თავის ოთახში შეიყვანა და კარი ჩაკეტა. მაშინ მართლა მაგრა წავიჩხუბეთ. რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი ვუთხარი. რამდენი ხანია ყველაფერს გულში ვიხვევდი, წუხელ მთვრალი ვიყავი და თავიც ვეღარ შევიკავე. კარგები მოვახსენე... ვიფიქრე, აქ აღარ დამედგომება-მეთქი. ასეა თუ ისე, უკვე ყველაფერი გადავწყვიტე. ამ ამბავს წერტილი დაესვა. დილით, სანამ გაიღვიძებდნენ, წამოვედი.

ქრისის ხელებს შევცქერი, რა მოყვანილი და კოხტაა. ამასობაში ქრისი დგება და მაგიდას შორდება.

— რამდენი ხანია, რაც ასე ხართ?

— ოჰ, კარგა ხანია... ნელ-ნელა გროვდებოდა.

— იქნებ მუცელი რომ მოეშალა, იმისი ბრალია.

— მთლად მაგისი არა. უბრალოდ მაგ ამბავმა უფრო გაამწვავა. ჩემ სიდედრს მანამდეც ვერ ვეწყობოდი. დამინახა თუ არა, მაშინვე შემიძულა. რას იზამ, თურმე მისი ქალიშვილის შესაფერი არა ვყოფილვარ. სხვანაირი სიძე ნებავდა. ხომ ნახე და იცი, რანაირიც არის. ინგრიდი რომ კიბეებზე დაგორდა, ჩემთან დარეკვაც კი არ იკადრა. სანამ სახლში არ მოვედი, არაფერი ვიცოდი, მეზობელმა მითხრა. როგორ მოგწონს, კარგია არა? მერე ყველაფერი მე გადმომაბრალა. გეგონება ჩემი ბრალი იყო, გეგონება მე ვკარი ხელი და კიბეებზე დავაგორე. ამის შემდეგ წავიდა და წავიდა. მეც ავდექი და ყველაფერი მოვახსენე: თუ ახლა შენი ქალიშვილისათვის კარგი არა ვარ, მაშინ ხომ კარგი ვიყავი, ფეხმძიმედ რომ იყო და შევირთე-მეთქი?

— ეგ ხომ შენი ბრალი იყო, ვიკ. — წყნარად მეუბნება ქრისი.

— ვიცი. ნეტავი თითიც არ დამეკარებინა. რას არ მივცემდი, ოღონდ ეგ არ მომხდარიყო.

სახეს ხელებში ვმალავ.

— ოჰ, ქრის, ნეტავ ვინმე შენისთანას შევხვედროდი, ისეთს, ვის ხელშიც უკეთესი გავხდებოდი, უარესი კი არა.

— მაგრამ ინგრიდი ხომ შეირთე ცოლად? ხომ შენი ნებით შეირთე?

— ჰო, დრო გავატარე, ვისიამოვნე და მერე სამაგიერო მომეზღო. ეს არის ნებით შერთვა? ხომ იცი, ჩვენთან როგორ არის? გოგო თუ შენგან ფეხმძიმედ ხდება, მეტი გზა არ არის, უნდა შეირთო. იმას არავინ კითხულობს, გიყვარს თუ არა. მთავარია სახელი არ გაუტყდეს.

— ნუთუ მარტო მაგიტომ შეირთე, ვიკ? თუმცა ცოტა რაღაცას ადრეც ვხვდებოდი.

— ახლა ხომ გაიგე?

— მაგრამ რაღაც გრძნობა ხომ მაინც გქონდა, ვიკ?

— შენ ქალი ხარ. არ ვიცი, გაიგებ თუ არა. დევიდის მეტი არავინ შეგხვედრია და ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, რომ ასე მოხდა. ყველას ასე კი არ უღიმის ბედი. თავიდან მეგონა, მე და ინგრიდიც ასე ვიყავით, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა.

— მერე ხომ მაინც ხვდებოდი ხოლმე?

—ჰო, ვხვდებოდი... მერე უკვე სხვა მიზეზი იყო.

— კი, მაგრამ ეგ ხომ ეგოისტობაა...

— ერთხელ გადავწყვიტე თავი დამენებებინა. მეგონა ამით ყველაფერი დამთავრდება-მეთქი. მაგრამ მომძებნა, მომაკითხა, ვიცი, უნამუსოდ ვექცეოდი. მაგრამ ინგრიდი მაინც არ მშორდებოდა, მერე ვიფიქრე, მე რა მენაღვლება-მეთქი. ერთ საღამოს ცოტა ზედმეტი მომივიდა და აი, ახლა სამაგიეროს ვღებულობ. ძალიან ძვირი დამიჯდა, ქრის, ძალიან ძვირი.

ისევ ისე ვზივარ, ხელებში თავჩარგული. ქრისი ერთხანს ჩუმად არის. ბოლოს, როცა ხმას იღებს, თავს მაღლა ვწევ და სახეში ვაშტერდები.

— რას იზამ, ვიკ, ბოლოს და ბოლოს, რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

ოავზარდაცემული შეეცქერი, გეგონება ვიღაცამ თავში კეტი ჩამცხოო.

— შენ მეუბნები ამას? ამას ხომ სხვაც მეტყოდა? სხვას ვერაფერს მეტყოდი?

— მერე განა ასე არ არის? განა სიმართლეს არ ვამბობ? შენთან გულახდილი უნდა ვიყო, ვიკ. ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე. იმ გო-

გოს ასე რომ არ მოქცეოდი, ახლა ამ დღეში არ იქნებოდი. ურიგო საქ-ციელი ურიგო საქციელია, და არავისა აქვს უფლება თავისი დანაშაუ-ლი სხვას გადააბრალოს.

გაოცებისაგან ლამის ჭკუაზე შევიშალო. ქრისს ველარა ვცნობ. ეს ის ქრისი არ არის, რომელთანაც გავრბოდი ხოლმე, რომელიც მუდამ გზას მიჩვენებდა და მეუბნებოდა როგორ მოვქცეულიყავი. ყველაზე უწინ აქ წამოსვლა ვიფიქრე. რაღას მოვრბოდი? ასეთ პასუხს ხომ სახლშიც მივიღებდი.

— დედაჩემივით ლაპარაკობ.

— რატომაც არა? ყველაფერი რომ სცოდნოდა, დედაჩემიც ამასვე გეტყოდა. ცოლი გყავს და ამის დავიწყება ასე უბრალოდ არ შეიძლება.

ვგრძნობ. როგორ მაწვება ყელში ბოღმა, ლამის დამახრჩოს.

— ცოლი მყავს, მაშ როგორ? თქვენ ყველანი ძალიან ცდილობდით, რომ ცოლი შემერთო, ყველანი მიბიძგებდით. რომ დაექორწინებული-ყავი. არც ერთს არ გითქვამთ, თუ არ გინდა, ნუ შეირთავო.

— შენ ნდომა-არნდომას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: შენ თავს მა-შინ ჰკარი ხელი როცა ინგრიდთან ის ამბავი ჩაიდინე. ყოველ შემთხვე-ვაში, იმდენი ვაჟკაცობა მაინც გეყო, რომ პასუხისმგებლობა გეკისრა.

— თანაც მთელი სიცოცხლის მანძილზე. დალახვროს ეშმაკმა. შავი შავია და თეთრი თეთრი. სხვა ფერები სად ჯანდაბაშია, ნაცრისფერი მაინც აღარ არსებობს?

— ძალიან აგდებულად ლაპარაკობ, ვიკ. ადრე რომ არ იცოდი ეგრე?

— ყველა მაგას მეუბნებით, ილანძღები, აგდებულად ლაპარაკობო. ნეტავი გამაგებინა, რატომ...

— არ ვიცი, რა გითხრა, ქრის. — ვეუბნები ცოტა ხნის შემდეგ. — წინათ შენთან ყველაფერზე შემეძლო ლაპარაკი, უფრო ახლოს ვიყა-ვით. ყველაზე მეტად შენ გესმოდა ხოლმე ჩემი.

— იქნებ ახლაც სხვებზე მეტად მესმის, მაგრამ ჯადოსნური ჯოხი ხომ არა მაქვს, რომ ერთი ავიქნიო და ყველაფერი უცებ მოწესრიგ-დეს? ამ დილით აქ რომ მოდიოდი, ალბათ, გეგონა, როგორც კი შენ სათქმელს მეტყოდი, ყველაფერი უცებ რაღაცნაირად მოგვარდებოდა და ისე იქნებოდა, როგორც შენი ცოლის შერთვამდე იყო. ხომ ასე გე-გონა? მე არაფერი არ ვიცი, მივალ და ქრისი როგორღაც მიშველისო. რას იზამ, ვიკ, გული მიკვდება, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარები. ასეთი ადვილი არ არის, ეგ სერიოზული საქმეა.

სკამზე ვტრიალდები და ფანჯარაში ვიხედები. მზიან ამინდში აქე-დან მშვენიერი ხედი იშლება, მაგრამ დღეს მოღრუბლულია, წვიმს და

მდინარის პირას ჩარიგებული ქარხნების ნისლში აწოწილი საკვამლე მილების გარდა არაფერი ჩანს.

— ახლა რას აპირებ? — მეკითხება ქრისი ცოტა ხნის შემდეგ.

— არ ვიცი... ერთი კი ვიცი, ჩემ სიდედრთან წამსვლელი და იქ დამრჩენი არა ვარ.

— არა მგონია იმან კი მიგიღოს.

— არც მე...

ქრისისათვის არ მიამბნია, ხალიჩაზე რომ ვაღებინე. ეს ისეთი რამეა, ვერაფრით ვერ ვეტყვი... — ეგ საქმეს უფრო აადვილებს.

დევიდი საწოლი ოთახიდან ბრუნდება, ჯიბეებში სიგარეტებს, ასანთსა და ქაღალდებს ილაგებს. ეს ჩვენი დევიდი მშვენიერ კოსტუმებს ყიდულობს. მაგრამ ჯიბეებში იმდენ რამეს იტენის, ყველაფერს აფუჭებს ხოლმე.

— ვიკმა ინგრიდს თავი დაანება, — ეუბნება ქრისი.

— მაგდენს მეც ვხვდები. ძალიან მწყინს, ვიკ, რომ საქმე აქამდე მივიდა. ჩვენ ხომ ვერაფრით დაგეხმარებოდით?

— მგონი, კი, — ამბობს ქრისი. — ალბათ ჩვენთან მოუხდება დარჩენა, ყოველ შემთხვევაში, ამაღამ მაინც.

— ჩემთვის თავს ნუ შეიწუხებთ.

ქრისი ჩემსკენ ბრუნდება:

— მოდი, ზედმეტ მეტიჩრობას თავი დაანებე, ვიკ. აბა, სხვაგან სად უნდა წახვიდე? მე მგონი, ჯერჯერობით სახლში, მშობლებთან დაბრუნება, მაინცდამაინც არ გესიამოვნება.

ვგრძნობ, რომ სახე მეღრიცება. ვცდილობ, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. სახიდან მთლად ვიშლები.

— სადა მაქვს სახლი? სად ჯანდაბაში მაქვს სახლი? — მერე უცებ სახეს ხელებში ვრგავ და ტირილს ვიწყებ, არცა ვცდილობ გავჩერდე. მინდა გული მოვიოხო. რაც ამ ექვსი თვის განმავლობაში გულში დამიგროვდა, ცრემლებს მინდა გადმოვაყოლო.

## II

იმ ღამეს და კიდევ რამოდენიმე ღამეს სასტუმრო ოთახში მძინავს, ტახტზე. ჯერ არ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. არავითარი გეგმა არა მაქვს. სახლში, მშობლებთან წასვლაზე და ეგრეთ წოდებულ საწყის მდგომარეობაში დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, იმიტომ, რომ მეორე დღესვე ქრისმა მითხრა, დედა ვნახეო.

— აქ იყო?

— არა, მე გავუარე სკოლიდან.

— ალბათ. ყველაფერს მოუყვებოდი.

— სწორედ მაგიტომ მივედი, დედამ უნდა ყველაფერი იცოდეს, ვიკ, და უკეთესია ჩვენგან გაიგოს, ვიდრე ვინმე უცხოსაგან ქუჩაში.

— ჰო, რა თქმა უნდა. მერე რაო, რა თქვა?

— ძალიან შეწუხდა.

ვხედავ, ქრისს კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ უჭირს.

— ასე ამბობს, თვალით არ დამენახოს, ვიდრე ინგრიდს არ შეუ-რიგდებაო.

კრიჭა მეკვრის:

— თუკი ეგრე ფიქრობს, მაშინ კარგა დიდხანს მოუხდება ლოდინი. მორჩა, ჩემი სათქმელი ვთქვი.

— ვუთხარი, ეგრე არ ვარგა, ბიჭს როცა გაუჭირდება, შენთან მო-სვლა უნდა შეეძლოს-მეთქი. მაგრამ ასე თქვა, თუკი ეგრეა, მაშინ რა-ტომ თავიდანვე ჩემთან არ მოვიდაო. ეტყობა, ეწყინა, მაშინვე რომ იქ არ მიხვედი.

— მე რჩევა მჭირდებოდა, ჩხუბი და ადამისდროინდელი ანდაზები-კი არა.

— მაგრამ აქაც ხომ ეგრე შეგხვდით?

მხრებს ვიჩეჩავ.

დევიდი შემოდის გატენილი პორტფელით ხელში. ალბათ რვეულე-ბი ულაგია. მესალმება და ქრისს კოცნის. განზე ვიხედები. მაგათი ყუ-რება არ შემიძლია. აქ ყოფნა და მაგათი ბედნიერების ყურება ცუდად მოქმედებს.

— ამ წუთში დაბლა ფაულერს შევხვდი. — ამბობს დევიდი და პორტფელს სკამზე აგდებს. — კანადაში მიუწვევიათ სამუშაოდ.

— უკვე გადაწყვიტეს წასვლა? — ეკითხება ქრისი.

— მაშ! ალბათ ახლა მხოლოდ იმას ელიან, ყველაფერი დროზე მო-აგვარონ და წავიდნენ.

ვატყობ, ქრისს თავში რაღაც აზრი მოსდის.

— რაო, მაინც რამდენ ხანში მოვახერხებთო წასვლას?

— ალბათ, თვენახევარში, ან ორ თვეში. წასვლა სულ ახლახან გადა-წყვიტეს.

— ბინას რას უშვრებიან?

— ვინმეს გადასცემენ.

ქრისი მე მიყურებს, დევიდი კი ამბობს:

— ჰო, ახლა მივხვდი, რასაც ფიქრობ...

— ვიკ, — მეუბნება ქრისი. — როგორა გგონია, შენ და ინგრიდს რომ მარტო გეცხოვრათ, მორიგდებოდით?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ასე არ ვიქნებოდით. ყველაფერს გულში არ ჩავიხვევდით. თუ საჭირო გახდებოდა, ერთმანეთს პირში ვეტყოდით და ამით გავათავებდით.

— ვთქვათ, შეძელი ფაულერების ბინის ქირაობა, როგორ გგონია. ინგრიდი გადმოვა?

— ვერ გეტყვი. — ვგრძნობ, რომ ისევ მიმიმწყვდიეს კუთხეში, ვფრთხები და ვცდილობ თავი დავიძვრინო. — ყველაფერი ძალიან მოულოდნელია, ქრის. თვითონაც არ ვიცი. რა მინდა.

— გადახდას თუ შეძლებდი? ქირა კვირაში ოთხი გირვანქა მაინც იქნება.

— ჩემი ხელფასით ვერა.

— ინგრიდს რომ დაეწყო მუშაობა?

— მაშინ, ალბათ, კი. მაგრამ დედამისს არა ნებავს, რომ ინგრიდმა იმუშაოს. ასე ამბობს, ქმარმა ცოლის შენახვა უნდა შეძლოსო.

— მოდი, დედამისს მოვეშვათ. იმან თავის სათქმელი უკვე თქვა.

— არაფერი არ ვიცი.

— დევიდ, — ამბობს ქრისი. — მოდი, ჩაირბინე და მისტერ ფაულერი ნახე. უთხარი, ერთი კაცი მეგულება, ბინა რომ სჭირდება-თქო. ჰკითხე, განცხადების გამოქვეყნებას ან ვინმეს მოყვანას როდის აპირებს. ალბათ, გუნებაში უკვე ვინმე ეყოლება.

დევიდი გადის.

— ყური მიგდე, ქრის. მე ჯერ არაფერი მესმის. მთლად არეული ვარ. არ ვიცი, რა მინდა.

— თუკი ფაულერი ბინაში ერთხანს ისევ დარჩება, მაშინ შენც მოსაფიქრებელი დრო გექნება.

— იქნებ სახლის პატრონს სხვა ჰყავს გუნებაში.

— მთლად ეგრე არ არის. ეს ბინები იჯარით ერთი წლის ვადით გაიცემა. თავის იჯარას ვის გადასცემს, ძველი მდგმურის საქმეა. თუმცა სახლის პატრონს, თუკი რამე არ მოეწონება, შეუძლია იჯარის განახლებაზე უარი თქვას. ფაულერებმა სულ რაღაც ორი თვის წინ განაახლეს თავისი იჯარა.

— ესე იგი, სადმე კარგა მოზრდილი თანხა უნდა ვიშოვოთ. ამდენი ფული არა მაქვს.

— მაგაზე ნუ სწუხხარ. ფულს ჩვენ როგორმე გიშოვით, შენ კი ყოველ კვირას იხადე. ეგ ყველაფერი მერეც მოგვარდება. შენ ის მითხარი, გინდა თუ არა. გინდა მოსინჯო?

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ქრის.

ჩემ წინ მუხლებზე ეშვება და ხელებზე ხელს მკიდებს.

— ყური მიგდე, ვიკ. ვიცი, რომ უბედური ხარ და ამიტომ მინდა გიშველო. ჩვენ ორივეს გვინდა გიშველოთ.

პირს ვარიდებ.

— ყველაფერი ყელში მაქვს ამოსული, ქრის. გესმის, ყელში. ეს ყველაფერი ერთი დიდი გაბერილი სიცრუეა, სიცრუე და მეტი არაფერი.

— ვიცი. რაც გინდოდა, ვიკ! — მეუბნება ქრისი. — თითქმის ყველას ეგ უნდა, თუმცა ზოგი ვერ მიმხვდარა. მათ თავიანთი მეორე ნახევარი უნდათ, მეორე ადამიანი, რომელიც მათ სრულყოფილს გახდის. მე ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ დევიდს შევხვდი. თავიდანვე არ შემპარვია ამაში ეჭვი და არც ახლა მეპარება. ადამიანები სიყვარულზე ძალიან მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ ხოლმე. გაზეთებში და ფილმებში ხომ მეტი არაფერია. მაგრამ მაგასა და ჩვეულებრივ სიყვარულს შორის დიდი განსხვავებაა. შეიძლება ისეთი ვინმე შეგიყვარდეს, რომელსაც სრულებითაც არ იცნობ — ეს მიჯნურობა, თავბრუსხვევა, გასხივოსნებული თვალებია და ეს ყველაფერი მართალია, ვიკ. შეიძლება სწორედ ისე მოხდეს, როგორც ფილმებსა და წიგნებში გეუბნებიან. მაგრამ არ შეიძლება ადამიანი გიყვარდეს, თუკი მთლიანად არ გაიცნობ, ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრებთ და ყველაფერს ერთად არ გამოსცდით: ბედნიერებას, მწუხარებას და ცხოვრებასთან ჭიდილს. ჯერ ცხოვრებასთან ჭიდილი უნდა გაიზიარო, აი, სწორედ ამის შემდეგ იპოვი სიყვარულს. შეყვარება დიდხანს არ გაგრძელდება. მაგრამ ხანდახან, მის ნაცვლად ნამდვილი სიყვარული მოდის. გესმის, რისი თქმაც მინდა, ვიკ?

— ჰო, მესმის.

— ზოგიერთი ცხოვრებასთან ჭიდილს ვერ უძლებს და გარბის, ზოგი კი უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს. შენ და ინგრიდს თავიდანვე მძიმე განსაცდელი დაგატყდათ თავს, ბავშვი დაკარგეთ. ამიტომ ნუ დაშორდებით ერთმანეთს, ვიკ. გაუძელით. დაე, ამან თქვენი სიყვარული კი არ ჩააქროს, პირიქით, გააძლიეროს.

— ჩვენ სიყვარული არც გვქონია, ქრის.

— მერე რა, შეეცადე ახლა იპოვო. — მეუბნება ქრისი. — ინგრიდზე იფიქრე. ინგრიდს უყვარხარ; ყოველ შემთხვევაში უყვარდი. ბავშვის დაკარგვამ მასზე უფრო იმოქმედა, ვიდრე შენზე. ინგრიდს გვერდით ვინმე უნდა ჰყავდეს, დედამისი კი არა, ვიღაც სხვა, ძლიერი, რომელიც მოუვლის, დააწყნარებს და ეტყვის, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ

გაქვსო. ამის გაკეთება შენ შეგეძლო, ვიკ. მხოლოდ შენ შეგეძლო ინგრიდს დახმარებოდი. — იგი ხელს ხელზე მიჭერს. — გამაგრდი, ვიკ, სულით ნუ დაეცემი. ისე მოიქეცი, რომ შენი ქორწინებაც ბედნიერი იყოს.

— მაინცდამაინც იოლი გამოსავალი ვერ ვიპოვე, არა, ვიკ? — მეკითხება ცოტა ხნის შემდეგ.

პასუხის გაცემას ვერ ვასწრებ, იმიტომ რომ ოთახში დევიდი შემოდის და ქრისი ფეხზე დგება.

— რა გითხრა?

— ჯერ არავისზე არ მიფიქრია და ერთ კვირას მოვიცდიო.

თითებით თმას ვისწორებ.

— სულ ერთი კვირა? რას მეყოფა, ქრის?

იგი მიყურებს.

— მე მგონი, გეყოფა, ვიკ. ერთი კვირა კარგა დიდი დროა.

— ფულის საქმე როგორა გაქვს? — მეკითხება დევიდი.

— ოცდაათიოდე გირვანქა მექნება. მაინცდამაინც ბევრი არ არის, არა?

— თუ მაგის მეტი არაფერი გაბრკოლებს, ნუ გეფიქრება. ჩვენ გაესესხებთ და როცა შეძლებ, მაშინ დაგვიბრუნე.

თავს მაღლა ვწევ. ქრისი ჯერ მე მიყურებს მერე — დევიდს. და ტკბილად იღიმება, თითქოს ამ ღიმილით უნდა მითხრას: „ნახე, როგორი ქმარი მყავს. თხოვნაც არ დამჭირდა, თვითონ მიხვდაო“.

— შენი ძალიან... ძალიან მადლობელი ვარ, დევიდ.

— სასიამოვნოა, თუკი რამით შევძლებ დაგეხმარო. ჩემის აზრით, ნათესავები ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგნენ.

## III

ორიოდე დღის შემდეგ მისტერ როთუელი შინ ბრუნდება. ეჭვი არ არის, ინგრიდის დედამ შეუთვალა, ჩამოდიო. ალბათ ის კაცი ფიქრობს, რაც ამ ბიჭმა ჩემ სახლში ფეხი შემოდგა, შინიდან სასწრაფო გამოძახების გარდა არაფერს ვღებულობო. რომ ჩამოსულა, იქიდან შევიტყვე, რომ თვითონ დამირეკა მაღაზიაში.

— ვიკი ხარ? მე ვარ, ინგრიდის მამა. შენი ნახვა მინდა.

ერთი მე მკითხოს, მინდა? წარმომიდგენია ჩემი სიდედრი როგორ გაბერავდა ჩემი ძაგებით: სახლში შუაღამისას გალეშილი მოვიდაო, ხალიჩაზე აღებინაო. სულაც არ გამიკვირდება, როცა შევხვდები ერთი კარგად რომ მლეწოს.

— ჩემი ნახვა? რისთვის?

— აბა, ახლა მიამიტობას ნუ დამიწყებ. როგორა გგონია, რისთვის მენდომება?

— კარგით. როდის? ახლა სამუშაოზე ვარ.

— სადა სადილობ ხოლმე?

— აქ, ჩვენთან, კუთხეში, ერთი პატარა კაფეა.

— „დელფინი“ თუ იცი, პატარა სამიკიტნო ბრედის ქუჩაზე?

ვიცი-მეთქი, ვეუბნები.

— იქ შემხვდი პირველის ნახევარზე... ალო! მისმენ? მეგონა, გაგვთიშეს, უეცველად მოდი.

მოვალ-მეთქი, ვეუბნები და ყურმილს ვკიდებ.

მთელი დღე შიშისაგან გულ-მუცელი მეწვის. მაინტერესებს რას მეტყვის. მაგრამ როცა სადილობის დროს სამიკიტნოში ვხვდები, ვხედავ, რომ იგი ისეთივე დინჯი და თავშეკავებულია, როგორც ყოველთვის. კერძებს ვუკვეთავთ. ვიდრე წვნიანი არ მოაქვთ, არაფერზე მელაპარაკება.

— ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდა. საქმე სულ აირ-დაირია. ასე არ არის? — მეკითხება.

— დიახ, ასეა.

— ძალიან მინდოდა, ხალიჩის გასაწმენდი ფული შენთვის გადამეხდევინებინა.

ვგრძნობ, როგორ ვწითლდები.

— ძალიან ვწუხვარ. მეც არ ვიცი, როგორ მომივიდა. ძალიან მთვრალი კი ვიყავი, შემთხვევით მოხდა.

— როგორც ჩანს, ლუდმა ცოტა ზედმეტებიც გალაპარაკა?

ხმას არ ვიღებ.

— იქნება, ასე რომ გამოხვედი მოთმინებიდან, რამე მიზეზიც გქონდა. არ ვიცი. ჯერ მხოლოდ ერთ მხარეს მოვუსმინე. — კოვზს იღებს და ტომატის წვნიანს ხვრეპავს. — თუ გინდა, ახლა შენ მოგისმენ.

ცოტა ხანს სკამზე ვწრიალებ:

— არ ვიცი, როგორ გითხრათ.

— ისე, რომ არ მაწყენინო, არა? არა უშავს, მიდი, სცადე.

— საქმე იმაშია, რომ ინგრიდის დედას თავიდანვე არ მოვეწონე. უბრალოდ. საშუალებას არ გვაძლევდა მე და ინგრიდი ერთმანეთს შევჩვეოდით. საერთო ენა გამოგვენახა. გეგონება, ცოლ-ქმარი არც კი ვიყავით. როგორც კი ხმას ამოვიღებდი, მისის როთუელი მაშინვე პირში

მეცემოდა ხოლმე. არ ვიცი, თქვენ ამჩნევთ თუ არა, მაგრამ ინგრიდზე ძალიან დიდი გავლენა აქვს.

თავს მიქნევს.

— ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მე თითქმის სულ არა ვარ სახლში.

— მოკლედ, ინგრიდისთვის დედამისის სიტყვა იყო ყველაფერი. მე კი მდგმურივით ვცხოვრობდი, ოღონდ მდგმური გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია — როცა უნდა წავა, როცა უნდა მოვა. მისის როთუელი სულ კრიჭაში მედგა და ჩამჩიჩინებდა, შენი მოვალეობაო, შენი პასუხისმგებლობაო, მე კი არასოდეს არა მქონია საშუალება, რამე მოვალეობა ან პასუხისმგებლობა მეკისრა. არავინ არაფრად მაგდებდა... მერე, როცა ინგრიდს ის უბედურება შეემთხვა, იმის ღირსიც არ გამხადა, შეეტყობინებინა. მაშინ ისე გავბრაზდი, კინაღამ გამოვიქეცი.

— როგორ თუ არ შეგატყობინა?

ვუყვები, როგორ მივედი სახლში და როგორ დამხვდა ქარი დაკეტილი, და მერე მისის ოლიფანტმა როგორ მიამბო, რაც მოხდა. აშკარაა, მისტერ როთუელს ამის შესახებ არაფერი სმენია, მაგრამ არ იმჩნევს.

— ისიც კი მოინდომა, ყველაფერი ჩემთვის დაებრალებინა. — კი ვლაპარაკობ, მაგრამ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარ. აბა, რა სასიამოვნოა ადამიანს პირში ცოლი გაულანძღო. მერე რა, რომ თვითონ მითხრა ილაპარაკეო? — გეგონება კიბის თავში ვმდგარიყავი და ინგრიდისათვის ხელი განგებ მეკრას...

მგონია, ახლა მაინც მეტყვის რამეს და იქნებ მეც მივხვდე, რა იცის და რა არა-მეთქი. მაგრამ ისევ ჩუმად ზის.

— მაგრამ მაინც დარჩი, არა?

— დიახ... მაგრამ მერე საქმე სულ უკან-უკან წავიდა. ინგრიდი მთლად მომაკვდავს დაემსგავსა, მთელი დღე სახლში იჯდა და დარდობდა. ვერაფრით გარეთ ვერ გავიტყუე, ცოტა მაინც რომ გამეხალისებინა. სულ იმას მეუბნებოდა, გულქვა და უგრძნობი ხარო.

— ბავშვის დაკარგვა ინგრიდისათვის ძალიან მძიმე იყო.

— რასაკვირველია. მაგრამ ხომ არ შეიძლება, მთელი სიცოცხლე მაგაზე იდარდოს და ისე მოიქცეს, გეგონება ყველაფერი გუშინ მოხდაო. დარწმუნებული ვარ, დედამისი განგებ ცდილობდა, რომ ინგრიდი ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ყოლოდა.

— მოკლედ, როგორც გამოდის, შენ იმის თქმა გინდა, რომ ყველაფერში ინგრიდის დედაა დამნაშავე? — მეკითხება და თვალს არ მაშორებს.

— ჰო, დიახ... სწორედ ამის თქმა მინდოდა.

მართლაც რომ საშინელებაა, კაცს აშკარად ცოლი გაულანძღო, მით უმეტეს, თუ ეს კაცი ძალიან წესიერი ადამიანია. გარდა ამისა, მეტი გზა არა მაქვს, ყველაფერი მისის როთუელს უნდა დავაბრალო. ნამდვილ მიზეზს ვერაფრით ვერ გავუმხელ: აბა, როგორ ვეტყვი, რომ რაც წთავარია, ინგრიდი არასოდეს მყვარებია და ამ უბედურებასთან ერთად კიდევ ათასი წვრილმანის ატანა მე კი არა, არავის არ შეუძლია-მეთქი?

ოფიციანტი მოდის და მეორე თავი საჭმელი მოაქვს. თეფშს დავცქერი. კარტოფილის პიურე, კომბოსტო და ცხვრის ხორცი. როგორღაც მადა სრულებით არა მაქვს.

— ერთ ჭიქა ლუდს ხომ არ დალევდი? — მეკითხება მისტერ როთუელი.

— არა, გმადლობთ. ახლა რომ დავლიო, მერე მთელი საღამო რულმორეული ვივლი.

თავისთვის ერთ კათხა თეთრ ლუდს უკვეთავს.

— დიდი მსმელი არ უნდა იყო, არა?

— არა, ძალიან ადვილად ვთვრები.

— ამაში სამარცხვინო არაფერია. — მეუბნება. — პირიქით, ეგ შენს სასარგებლოდ უფრო ლაპარაკობს.

დანასა და ჩანგალს იღებს. როგორც ეტყობა, ამ ჩვენს არასასიამოვნო საუბარს მის მადაზე გავლენა არ მოუხდენია.

— ისევ მშობლებთანა ხარ?

— არა, ჩემ დასთან ვცხოვრობ.

— მშობლებთან უსიამოვნება გექნება, არა?

— ჰო, ასეა.

— ახლა, ალბათ, თავს გარიყულივითა გრძნობ? ხომ?

— ნელ-ნელა ვეჩვევი. უკვე დიდი ხანია გარიყულივითა ვარ.

— იცი, რატომღაც ვფიქრობ, რომ შენა გგონია უსამართლოდ მაწყენინესო და ალბათ კარგა ხანია ასე გრძელდება. თითქოს ეს ქორწინებაც ძალით მოგახვიეს თავზე.

ახლა კი მართლა უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, იმიტომ რომ რასაც შეუბნება, მართალია.

— ინგრიდი რომ შეირთე, ნანობ?

— ჰო, ვნანობ.

— მაშინ რატომღა შეირთე? — მეკითხება და სახეში მომჩერებია. — იმიტომ, რომ გიყვარდა, თუ იმიტომ, რომ ფეხმძიმედ იყო?

არაფერს ვპასუხობ.

— მაშინ კარგი. გინდა ინგრიდი შენი ცოლი იყოს?

— არ მინდა ერთბაშად ორი ცოლი მყავდეს, ინგრიდიცა და დედამისიც. — დარწმუნებით ვერ ვეტყვით, მაგრამ მგონი ამ სიტყვებზე ეღიმება.

— გამოუვალ მდგომარეობაში კი ხარ, არა? — მეუბნება. — არ იცი, სად იცხოვრო, ცოლი სად წაიყვანო...

— მართალია.

— მოკლედ, დიდი გაჭირვება გადგია.

— ისე, კაცმა რომ თქვას, არც ისე დიდი. — ვეუბნები, იმიტომ რომ მისი სიტყვები გულში მხვდება. — ჩემი ნებით წამოვედი და, თუ მინდა, არც დავბრუნდები. ბავშვი მე არა მყავს სადარდებელი და არაფერი. ვერავინ მაიძულებს, რაც არ მინდა, ის გავაკეთო.

— მერე ვინ გაიძულებს? — მეკითხება ისე, რომ ხმას არ უწევს.

— კარგი, ვთქვათ, თქვენ არ მაიძულებთ. მაგრამ ნურც ისე გამოიყვანთ, თითქოს ეზიარ და ველოდები ინგრიდი როდის მომცემს ნებას, დავბრუნდე. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩემი ნებით წამოვედი.

— მართალია. შენი ნებით წამოხვედი, მაგრამ ისიც საკითხავია, უნდა თუ არა ინგრიდს, რომ დაბრუნდე.

— მაგის საქციელით თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა. მაინცდამაინც არ უნდა უნდოდეს.

— კარგი, იქნებ ჯობდეს, ყველაფერი ამით დავამთავროთ, დავივიწყოთ, რომ შენ და ინგრიდი ოდესღაც ცოლ-ქმარი იყავით. ექვსი თვე არც ისე დიდი დროა. ინგრიდს შეეძლო შენთვის ალიმენტი გადაეხდევინებინა, მაგრამ არა მგონია, სამაგისოდ გაუჭირდეს. მაგრამ განქორწინებას კი მოგთხოვს. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?

— რა საფუძველზე მოითხოვს განქორწინებას?

— იმ საფუძველზე, რომ მიატოვე. ამერიკაში, ალბათ, იმაშიც დაგდებდნენ ბრალს, რომ ფსიქიური ტრავმა მიაყენე.

— ეგ კი კარგი რამე იქნებოდა.

— ჰო, მართლაც რომ იქნებოდა. განქორწინებას სასაცილო მხარეებიც აქვს ხოლმე.

მეშინია სიცილისაგან გული არ წამივიდეს.

— ესეც ასე, ხედავ, ყველაფერი რითი დასრულდა, ვიკ? თვითონაც არ გეწდომება, ცოლიანი კაცის სახელი გერქვას და ცოლთან კი არ ცხოვრობდე. დარწმუნებული ვარ, ინგრიდიც მოისურვებს, რომ ისევ თავისუფალი გახდეს. ინგრიდი ახალგაზრდა და მიმზიდველია, ალბათ მეორეჯერაც გათხოვდება. შენც, უეჭველია, ცოლს შეირთავ.

— გმადლობთ, უკვე ყელამდე ვარ სავსე მაგ სიკეთით.

— მოკლედ, გადაწყვიტე, აქედან თავი დააღწიო და საბოლოოდ განთავისუფლდე?

— ეგ მე არ მითქვამს.

— ასე მომეჩვენა.

— მე ისე ვთქვი, თუკი მოვისურვებ, შემიძლია ასეც მოვიქცე-მეთქი. არავისაგან მოწყალებას არ ველოდები და ვერავინ მაიძულებს ის გავაკეთო, რაც არ მინდა-მეთქი. შეგიძლიათ ინგრიდს ჩემი სახელით ასე გადასცეთ და დედამისსაც ასევე მოახსენოთ.

ვატყობ, ცოტა არ იყოს, უხეშად გამომდის, მაგრამ ახლა ამის დარდი აღარა მაქვს.

— ამბების მიტან-მოტანას არ ვაპირებ, ვიკ. თუ ინგრიდისათვის რამე გაქვს სათქმელი, შეგიძლია თვითონვე უთხრა.

— ძალიან კი მოვახერხებ! დედამისი კუდში ჰყავს გამობმული. თქვენი მეუღლე კი რომ ვერ მიტანს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ მე მომწონხარ, ვიკ. ახლაც მგონია, რომ პატიოსანი ბიჭი ხარ და სულაც არ ვნანობ, რომ ჩემი სიძე გახდი.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ. — ვცდილობ მწარედ ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ გულში მაინც ნასიამოვნები ვარ. ძალიან საამო ყოფილა, როცა გაიგებ, რომ ვინმეს მოსწონხარ.

მისტერ როთუელი მენიუს დასცქერის. ოფიციანტი ისევ ჩვენ მაგიდასთან დგას.

— რა გინდა? პუდინგი თუ ვაშლის ტორტი?

— არც ერთი. ერთ ფინჯან ყავას კი დავლევდი.

ორ ფინჯან ყავას უკვეთავს, ოფიციანტი ჩვენ მაგიდას შორდება. ჩვენი ოფიციანტი კარგა ხნის ქალია, ფეხებზე სქელი წინდები აცვია და თეთრი არშიის თავსაფარი გვერდზე აქვს მოქცეული.

ეს სამიკიტნო ვერაფერი დიდი შვილია. შპალერი ჭუჭყიანია და ავეჯი მუქად არის შეღებილი. კლიენტები ბლომად არიან, უფრო მეტად მამაკაცები. ეტყობა ეს სამიკიტნო გარკვეული ჯურის ადამიანებს: კომივოიაჟერებს, ჩამოსულებსა და მისთანებს ძალიან მოსწონთ. იმიტომ რომ საჭმელი გემრიელია და სასმელიც საამო. კუთხეში ვსხედვართ. ჩვენსა და მეზობელ მაგიდას შორის ქუდების ჩამოსაკიდებელი დგას. ამიტომ ჩვენი ხმა არავის ესმის და თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

— დავუშვათ, რომ ცალკე ბინა ვიქირავე, — ვეუბნები. — ამაზე რას იტყოდით?

— იმას ვიტყოდი, რომ ეს საქმეს საგრძნობლად გამოასწორებდა. თუკი ინგრიდს შენთან გადმოსვლას სთხოვდი და უარს გეტყოდა, მაშინ კანონის წინაშე შენ იქნებოდი მართალი.

— და მაშინ შემეძლო განქორწინება მომეთხოვა?

— მე მგონი, კი.

— როგორა გგონიათ, გადმოვიდოდა? მაშინ ისევ სამუშაოდ გასვლა მოუხდებოდა, ისე ბინის ქირის გადახდას ვერ შევძლებდით.

— მერე რატომ არ გინდა ჰკითხო?

— ერთი მიბრძანეთ, როგორ შეეკითხო? — ვეუბნები და ისევ ვბრაზდები. — დედამისმა რომ გაიგოს, სიმწრისაგან თმა გასცვივა.

— ისე, იცოდე, მელოტი ცოლი არაფერში მჭირდება. მაინც რომ გაგვერისკა, რას იტყოდი?

— ესე იგი...

— ესე იგი, ის, რომ ამ შემთხვევაში მთავარია რას ფიქრობს ინგრიდი და არა დედამისი. თუ ინგრიდის ნახვა გინდა, მაშინ... — ცოტა ხანს ჩერდება. — გინდა ინგრიდის ნახვა?

ერთ ხანს ჩუმადა ვარ. მერე ვეუბნები:

— ჰო, მგონი მინდა.

— მაშინ კარგი, სადა?

— თქვენ სახლში არა.

ახლა მართლა იღიმება, თანაც გულიანად.

— აი, ახლა ეგ რომ შემომეთავაზებინა, შენ სიდედრს თმა მართლა გასცვივდებოდა.

## თავი მეცხრე

### I

ამ საღამოს, ალბათ, ათი მილი მაინც გავიარეთ. მივდიოდით და განუწყვეტლივ ვლაქლაქებდით, ჩურჩული საჭირო არ იყო, დედამისი მეზობელ ოთახში არ იჯდა და არ გვისმენდა. ბლომად გვქონდა სალაპარაკოცა და საფიქრებელიც, სინამდვილეში დარჩენილი ორმოცი წლის სამყოფი. ეს ხომ უბრალო რამ არ არის, რომ ერთ წუთში გადაწყვიტო. ისიც საკმარისია, რომ ერთხელ ჩვენი ბედი პარკში, ერთი თვალის დახამხამებაში გადავწყვიტეთ. ახლა კი ნურას უკაცრავად. ძალიან ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე, ახლაც გამალებით

ვფიქრობ და თან ინგრიდს ვესაუბრები. ამდენი არასოდეს გვილაპარაკია. რატომღაც ლაპარაკი მაინცდამაინც არც ერთს არ გვეხერხება. ამის შემდეგ ამდენი სალაპარაკო აღარც გვექნება. ვინ იცის, ცოტა მეტი რომ გველაპარაკა და ნაკლები გვეცუღლუტა. იქნებ ახლა ამ დღეში არც ჩავვარდნილიყავით. რაც იყო — იყო, ამაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. რადგან ყველაფერი ასეთნაირად შეტრიალდა, ახლა უნდა შეეცადოთ, მომავალში უკეთ ვიყოთ.

ქალაქში კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ პარკში შევდივართ და ფანჩატურში ვსხდებით.

— იმაზე თუ გიფიქრია, დედაშენთან როგორი შეხლა-შემოხლა მოგიხდება?

ინგრიდი თავს მიქნევს:

— ჰო.

— უნდა გააგებინო, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვიტე და ეღარ გადაგათქმევინებს.

— ეგ არც ისე ადვილია. შენი სასტიკი წინააღმდეგია.

— მამაშენი ხომ ჩვენს მხარეზეა.

— მამაჩემი ოქროა. არ ვიცი, რა მეშველებოდა, ეგ რომ არა მყავდეს.

— ჰო, მამაშენი მართლაც კარგი კაცია, ძალიან მომწონს.

— დიდი ბინაა, ვიკ? — მეკითხება. — ბევრი ავეჯი დაგვჭირდება?

ხმაში აღტაცება ეტყობა. ვიცი, ახლა, როცა უკვე გარკვეული ძიზანი გვაქეს, მოახერხებს, რომ დედამისის შემოტევას გაუძლოს. ვინ იცის მერამდენჯერ ვეუბნები, ბინა ჯერ არ მინახავს და არ ვიცი როგორია-მეთქი.

— როგორა გგონია, როდის ვნახაეთ?

— მე მგონი, როცა მოვისურვებთ. ალბათ, ფიქრობენ, ვიდრე საბოლოო პასუხს მოგვცემდნენ, ბინას დაათვალიერებენო.

— ხომ გინდა მაგ ბინის ქირაობა, ვიკ? — მეკითხება ინგრიდი.

— ასარჩევად რომ არა გვაქვს საქმე... ცოტა ძვირი კია, მაგრამ როგორმე მოვახერხებთ.

— რაღაც უნდა გკითხო, ვიკ... შენ... შენ იმიტომ გინდა იქირაო, გგონია ერთად გაგვეძლება?

ცოტა ხანს ვფიქრობ, რა ვუპასუხო-მეთქი.

— მე თუ მკითხავ, ჩვენ, სინამდვილეში, ერთად ცხოვრება არც გამოგვიცდია, — ვეუბნები. — ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ და უნდა ვნახოთ ორნი, მარტონი, როგორ შეეწყობით ერთმანეთს. ვინ იცის, ერთ-ორ

თვეში იქნებ თეფშების სროლა დაიწყოთ, ყოველ შემთხვევაში, სხვას მაინც არ ვადავაბრალებთ.

— არა მგონია, ეგრე მოხდეს. — ახლოს იწევს და თავს მხარზე მადებს. მეც ისევე, როგორც წინათ, წელზე ხელს ვხვევ.

— რა საშინელი ექვსი თვე გადავიტანეთ, არა?

— აუტანელი.

— შარშან რომ ვინმეს ეთქვა, ეს გადამხდებოდა, არ დავიჯერებდი.

— ჰო.

ვგრძნობ, რომ საცაა ვაკოცებ. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სხვანაირია, როცა დედამისი არ ადგია თავზე.

— ვიკ, — მეუბნება ცოტა ხნის შემდეგ. — იცი, აი, მაშინ. როცა მოფერების ნებას არ გაძლევდი... განა მართლა არ მინდოდა... ჩემ სახლში რომ ვიყავი, როგოლაც მეუხერხულებოდა.

— ვიცი, რისი თქმაც გინდა. — მაგონდება, როგორ მეუხერხულებოდა მაღლა დასაძინებლად ასვლა, როგორ ჭრიალებდა საწოლის ზამბარები და როგორ მეშინოდა უჯრაში რამის ჩატოვება, ვაითუ მისის როთუელმა ნახოს-ცეთქი. თუმცა, ვერც გეტყვით, რა იყო საუხერხულო და სასირცხვო. მაგრამ ინგრიდის დედას რომ ვხედავდი, ეგრე მემართებოდა.

ახლა კი ინგრიდს ვკოცნი. იმიტომ რომ სწორედ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რაც მე ამდენ ხანს მტანჯავდა: იმიტომ რომ, თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, მაშინ ჩვენს ერთად ცხოვრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— მარტო როცა ვიცხოვრებთ, ყველაფერი სხვანაირად იქნება.

— ჰო, რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ... — ვეუბნები და ვიღიმები. რა უცნაური რამე მოუვა ხოლმე ზოგჯერ ადამიანს თავში:

— არასოდეს აბაზანაში არ მინახიხარ, მარტო ერთხელ, თაფლობის თვეში მოგკარი თვალი.

— გინდა აბაზანაში მნახო?

— ჰო. იცი, რა ლამაზი ხარ... წყლისა და საპნის ქაფისაგან სულ ლაპლაპებ.

ინგრიდი იცინის.

— რა სასაცილო ვინმე ხარ.

— ჰო, სასაცილო, მაგრამ ახირებული არა.

— ესეც სასაცილოა, ვსხედვართ და ვლაპარაკობთ. ეს პირველი შემთხვევაა, რომ აქ ლაპარაკის მეტს არაფერს ვაკეთებთ.

— იმ საღამოს გარდა, როცა მითხარი, ბავშვი გვეყოლებაო.

— ჰო, მაშინ კი. სწორედ მაშინ მითხარი, ცოლად შეგირთავო.

სრულებით არ მინდა ყველაფერი დაწვრილებით მოვიგონო. უფრო მაგრად ვიხუტებ გულში და ვეუბნები:

— თუ გინდა, სხვა რამეც შეიძლება გავაკეთოთ.

— მაგალითად?

ხელს პალტოს ქვეშ ვუცურებ.

— რას იტყვი, ჰა?

— დღეს რომ ცოტა ცივა.

— აქამდე სიცივის არასოდეს გვშინებია.

— სასაცილო კია, ცოლ-ქმარი ამას პარკში ჩადიოდეს. ვინმე რომ მოვიდეს?

— წინათ თუკი არავინ მოდიოდა? თანაც ხომ ცოლი და ქმარი ვართ?

— მერე რა, ქორწინების მოწმობა თან არა მაქვს.

— სამაგიეროდ საქორწინო ბეჭედი გიკეთია.

— ვინ დამიჯერებს, რომ პარკში საკუთარ ქმარს ვეხვევი.

სულ უკანასკნელ წამს მეკითხება:

— თან რამე ხომ არა გაქვს?

მეცინება და ვეუბნები:

— შენ წარმოიდგინე, მაქვს.

მერე ინგრიდი კისერზე ორივე ხელს მაჭდობს, რაც ძალი და ღონე აქვს მეხვევა და განუწყვეტლივ იმეორებს:

— ოჰ, როგორ მიყვარხარ, ვიკ, როგორ მიყვარხარ...

მაშ ახლა ყველაფერი რიგზეა.

## II

ქრისთან რომ ვბრუნდები, გონებაში ყველაფერს ხელახლა ვწონი. მაშ ინგრიდს ისევ ძველებურად ვუყვარვარ და თანაც ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, იმის შემდეგ, რაც ასე საზიზღრად მოვექეცი, იმ უბედური შემთხვევისა და ბავშვის დაღუპვის შემდეგ; იმის შემდეგ, რაც დედამისი ყოველნაირად ცდილობდა ჩემს წინააღმდეგ აემხედრებინა: ყველა ჩემი აუტანელი საქციელის შემდეგ, ყოველივე ამის შემდეგ მაინც ვუყვარვარ და მზად არის ხელახლა სცადოს ჩემთან ერთ ჭერქვეშ იცხოვროს. მე მიყვარს თუ არა, ეგ უკვე სულ სხვა საქმეა და ამას ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარი ის არის, რომ ვიცი სწორად ვიქცევი. უკანასკნელ ვიგინდარასავით ვიქცეოდი და უკვე მომბეზრდა. ახლა კი მინდა, ძალ-ღონე არ დავიშურო და ყველაფერი გა-

მოვასწორო. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს სწორედ ისე მოხდეს, როგორც ქრისმა მითხრა: იქნებ ჩვენც გვეწვიოს სიყვარული, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გზას გაგვინათებს. ღმერთმა ქნას, ასეც იყოს, იმიტომ რომ წინ მრავალი წელი გვიძევს.

თანაც ახლა ბევრ რამეზე დავფიქრდი და ბევრი რამ ავწონ-დავწონე. იმან, რაც თავზე გადამხდა, ბევრი რამ მასწავლა, ცხოვრებაც გამაცნო და ათას წვრილმანზეც ამიხილა თვალი, ახლა მესმის: მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ არაფერი განსაკუთრებული საიდუმლო არ არსებობს: არც ღმერთია, არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი. იქნებ მკითხოთ, კარგი, მაგრამ ცხოვრების აზრი რაღაშიაო? გეტყვით, თვითონ ცხოვრებაში-მეთქი. ეს კი სრულიად საკმარისია. იმიტომ რომ ცხოვრებაში კარგიც ბლომადაა და ცუდიც. თანაც მგონია, რომ ქვეყნად არც ცოდვა არსებობს და არც ცოდვის საზღაური. არის ის, რასაც შენ სჩადიხარ და ის, რაც შენ საქციელს მოსდევს. არის სწორი საქციელი და არის მცდარი საქციელი. თუ მცდარად მოიქეცი, ყველაფერი აგერ-დაგერევა, სწორედ ეს იქნება შენი ცოდვის საზღაური. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ყველაფერი ასე მარტივი იყოს. შეიძლება მთელი სიცოცხლე სულ კარგად იქცეოდე, მაგრამ ცხოვრებაში მაინც ხელი მოგეცაროს, იმიტომ რომ შემთხვევას და იღბალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. შემთხვევას დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ შეიძლება თავი მოიკლა, ყოველნაირად შეეცადო, მაგრამ მაინც არაფერი გამოგივიდეს. ეს უკვე შენზე აღარ არის დამოკიდებული. იქნება მკითხოთ, ეგ როგორღაა, რომ აგერ, იმას, ყველაფერი კარგად გამოსდის, აი, ამას კი ყველაფერი უკუღმა მისდის, თუმცა პირველი მთლად ხელიდან წასულია, მეორე კი — ყველაფერში პატიოსანი და წესიერია. აი, მაშინ გიპასუხებთ: სწორედ ეგ არის იღბალი და შემთხვევა-მეთქი. თანაც იქნებ ის ვიღაც სულ არ არის ისე ბედნიერი, თქვენ რომ გგონიათ. გულში ხომ არ უზიხართ? შეიძლება კაცს ექვსი მანქანა ჰყავდეს, ყოველ შვებულებას სამხრეთ საფრანგეთში ატარებდეს, მაგრამ მთავარი მაინც ეგ არ არის, მთავარი ის არის, გულში რა ამბები უტრიალებს.

მოკლედ, იმისი თქმა მინდა, რომ უნდა შეეცადო, რაც შეიძლება კარგად მოიქცე და იმედი იქონიო, რომ შედეგიც კარგი იქნება. გააკეთე ის, რაც სწორად მიგაჩნია, მაშინ სწორედ ისე მოიქცევი, როგორც ათასობით ადამიანი იქცევა ამ დედამიწის ზურგზე. და როცა შენც დაგატყდება თავზე შემთხვევა თუ უბედობა, რა ვიცი, რაც გინდათ ის დაარქვით, შენც დანარჩენივით მხრებს აიჩეჩავ — იმიტომ რომ ყო-

ველთვის ცდილობდი კარგად მოქცეულიყავი და არაფრით არ დაგიმახურებია, რომ ცხოვრებაში ხელი მოგცარვოდა. ეგ უკვე შენი საქმეა.

აი, ახლა ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად მოვიქცე და, ვნახოთ, აბა. რა გამოვა.

აჰა, ეს ქადაგებაც დავამთავრე.

ცოტა ცივი საღამოა და ტანში მაჟრიალებს. ორ კვირაში ისევ შობაა.

---

რედაქტორი ნ. მეტრეველი
მხატვარი ნ. ზაალიშვილი
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. მანიეაშვილი
კორექტორი თ. ტურიაშვილი
გამომშვები ნ. მანაგაძე
გადაეცა წარმოებას 27. V. 77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. IV. 78 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16. 51.

სააღ-საგამომც. თაბახი 15.47. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 2402.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19